

ბესიკ ლოლაძე
ზურაბ მაჭარაძე
ანა ფირცხალაშვილი

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება



USAID
შედეგები სიმშვიდით

EAST-WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
Preserving Rule of Law
in Georgia (PROLoG)



საქართველოს იუსტიციის
სისტემების განვითარების
საერთაშორისო ცენტრი

ბესიკ ლოლაძე

ზურაბ მაჭარაძე

ანა ფირცხალაშვილი

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება

თბილისი

2021

წინამდებარე ნაშრომი მომზადდა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მიერ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხარდაჭერით.

ნაშრომის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. კომენტარის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან ავტორები. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

წიგნი გამოიცა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საგამომცემლო, სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი არ არიან პასუხისმგებელი ტექსტის სისწორეზე, მის შინაარსზე და ავტორების მიერ გამოხატულ მოსაზრებებზე.

Following publication was prepared by Georgian National University SEU with the support of Constitutional Court of Georgia.

Preparation of this work was made possible with the generous support of American people delivered by USAID. Authors are responsible for the content of the comments. It may not reflect the ideas of East-West Management Institute, USAID or the government of the USA.

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number SP -21 - 989].

Book was published in the framework of State Scientific Publishing Grant by the LEPL – Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Constitutional Court of Georgia and LEPL – Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia are not responsible for the correctness, content and the ideas expressed by the authors.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST · WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
Promoting Rule of Law
in Georgia (PROLoG)



რედაქტორი:

ანა ფირცხალაშვილი

ავტორები:

ბესიკ ლოლაძე

ზურაბ მაჭარაძე

ანა ფირცხალაშვილი

ენობრივი რედაქტორი:

ნათია გუგუნაშვილი

ტექნიკური რედაქტორები:

ანა ცეცხლაძე

ლევან ბარბაქაძე

დიზაინი:

ნათია შარაბიძე

ISBN 978-9941-8-3646-6

© წიგნის ავტორები: ბესიკ ლოლაძე, ზურაბ მაჭარაძე, ანა ფირცხალაშვილი;

© აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) 2021;

რედაქტორის წინასიტყვაობა

მეოცე საუკუნეს თუ გადავხედავთ, იგი შეიძლება, განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც დემოკრატიზაციის, არამედ ამავედროულად, როგორც კონსტიტუციური იურისდიქციის ეპოქად.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გასული საუკუნის მეორე ნახევარში ახალგაზრდა დემოკრატიებმა შემოიღეს და განავითარეს საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, როგორც საკმაოდ ძლიერი ინსტიტუტი. აღნიშნული განსაკუთრებით შეინიშნებოდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების დაცემის შემდეგ. თუმცა, ასეთივე ევოლუცია აღსანიშნავია სამხრეთ აფრიკაში, ლათინური ამერიკისა და აზიის რამდენიმე ქვეყანაში, იქ მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის პარალელურად. ზოგადად, ამ ეპოქაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესები მჭიდროდ არის დაკავშირებული კონსტიტუციური მართლმსაჯულების განვითარებასა და გაფართოებასთან. განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებისთვის, სადაც კონსტიტუციონალიზმის ტრადიციები ჯერ კიდევ ღრმად არ არის ფესვებგადგმული.

საინტერესოა, რომ მსოფლიოში საკონსტიტუციო სასამართლოს როლის ზრდასთან ერთად შეიმჩნევა გლობალური ტენდენცია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სულ უფრო პოლიტიზირდება და ზოგჯერ არსებობს ლეგიტიმურობის დეფიციტი სასამართლო სისტემაში მის დამკვიდრებასთან დაკავშირებით. თუმცა, მეორე მხრივ, ეს ბუნებრივიც არის, რადგან კონსტიტუცია არ არის მხოლოდ სამართლებრივი დოკუმენტი. შესაბამისად, კონსტიტუციის განმარტება არამხოლოდ ფორმალურ-სამართლებრივად უნდა იყოს გამართული, არამედ დემოკრატიული საზოგადოების გულისცემას უნდა იზიარებდეს და ამავედროულად, ქვეყნის პოლიტიკურ ძალაუფლებას აბალანსებდეს. საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იქნება გულგრილი იმ პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს კონსტიტუციის ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებას - ადამიანის უფლებათა დაცვას.

მართალია, საქართველოში საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას არ აქვს მრავალწლიანი ისტორია თუმცა, მისი როლი განუზომელია ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციის ყველაზე მთავარი ღირებულების დაცვის მხრივ დემოკრატიის, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

2020 წელს ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში მიღებულ იქნა სამართლის სფეროს სწავლების ახალი დარგობრივი მახასიათებელი. სამართლის სწავლება

სახელმწიფოს მიერ რეგულირებად სფეროდ განიხილება. სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შესწავლა სავალდებულო გახდა სამართლის ყველა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ კურსის შესწავლისას არსებობდეს სრულყოფილი და მეცნიერულად დამუშავებული სასწავლო მასალა სტუდენტებისთვის. წინამდებარე ნაშრომი შედგენილია იმგვარად, რომ სტუდენტმა შეძლოს თანმიმდევრულად და სისტემურად საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სფეროს საფუძვლიანი შესწავლა. ნაშრომი განკუთვნილია არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ იგი საინტერესოა ამ სფეროში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებელთათვის, მეცნიერებისათვის, პრაქტიკოსი იურისტებისა და კონსტიტუციური მართლმსაჯულებით დაინტერესებული სხვა პირებისთვის.

წინამდებარე ნაშრომი შეიქმნა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე, სეუ-ს სამეცნიერო - კვლევითი გრანტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროგრამის ხელშეწყობით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხარდაჭერა. წინამდებარე წიგნი გამოიცა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში. თითოეული ორგანიზაცია გულწრფელ მადლობას იმსახურებს იმ მნიშვნელოვანი წვლილისთვის, რომლის დამსახურებითაც შეიქმნა წინამდებარე ნაშრომი.

ვიმედოვნებთ, რომ ნაშრომი მეგზურობას გაუწევს საკონსტიტუციო მართლმსაჯულებით დაინტერესებულ პირებს მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლისას და საკუთარ წვლილს შეიტანს საზოგადოების კონსტიტუციური ღირებულებებისადმი პატივისცემის თვალსაზრისით.

რედაქტორი

ანა ფირცხალაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი,

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს

ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით

წინათქმა

საქართველოს კონსტიტუცია თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტურ პრინციპებს ეფუძნება. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო წარმოადგენს თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობის იდეოლოგიის ქვაკუთხედს და საქართველოს განვითარების ძირითად პლატფორმას.

კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის ძირითადი კანონის დაცვა და პატივისცემა თითოეული სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ჯგუფისა და ინდივიდის ვალდებულებაა. სწორედ კონსტიტუციის დაცვისა და პატივისცემის შემთხვევაში შეიქმნება მყარი საფუძველი კონსტიტუციური პრინციპების სრულყოფილი რეალიზაციისთვის და კონსტიტუციით გათვალისწინებული ღირებულებების საზოგადოების ტრადიციებთან შესისხლხორცების პროცესი შეუქცევადი გახდება.

საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტს საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს, რომელსაც სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება, ინდივიდებისა და სხვა შესაბამისი სუბიექტების მიმართვის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ნებისმიერი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არ შეესაბამება კონსტიტუციას. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, სწორედ საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის საფუძველზე შეიქმნა და იგი ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს ლიბერალური დემოკრატიის იდეოლოგიურ პირმშოს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაფუძნებიდან 25 წელი გავიდა. დღიდან დაარსებისა, საკონსტიტუციო სასამართლომ განვითარების დიდი გზა განვლო. კერძოდ, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვიანობა, არსებითად დაიხვეწა სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობისა და ხელმისაწვდომობის ხარისხი. საკონსტიტუციო სასამართლო ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტურ მექანიზმად, რომელიც საჭიროებს შემდგომ განვითარებასა და კიდევ უფრო სრულყოფას. იგი წარმოადგენს კონსტიტუციასა და კანონის პატივისცემაზე ორიენტირებულ სახელმწიფო ორგანოს.

კონსტიტუციური კონტროლისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლება სამართალმცოდნეობის ფაკულტეტების სტუდენტებისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, უადრესად მნიშვნელოვანია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცების პროცესში.

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს კონსტიტუციური კონტროლის სისტემური მახასიათებლებისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების თემაზე მომზადებულ გამოცემას, რომელიც კონსტიტუციური სამართლის დარგის მაღალი კვალიფიკაციის აღიარებული სპეციალისტების მიერ მომზადდა. ეს გამოცემა მნიშვნელოვნად დაეხმარება სამართალმცოდნეობის ფაკულტეტების სტუდენტებსა და ლექტორებს კონსტიტუციური კონტროლისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების ასპექტების სწავლების პროცესში და პირდაპირპროპორციულად აამაღლებს ცოდნას საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასა და ზოგადად, კონსტიტუციური სამართლის სფეროში.

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელი წესების, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლიანი შესწავლა და გააზრება დამწყები იურისტების, ისევე როგორც პროფესიული წრეების მიერ, ერთმნიშვნელოვნად აამაღლებს ჩვენი კონსტიტუციის მიზნებისა და ღირებულებების შემცნებას საზოგადოებაში, რაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცების გზაზე საქართველოს განვითარების საწინდარია.

დარწმუნებული ვარ, წინამდებარე სახელმძღვანელო გახდება პოპულარული და სასარგებლო არა მარტო სამართალმცოდნეობის ფაკულტეტების სტუდენტების, არამედ ასევე, ამ დარგით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

მერაბ ტურავა

*სამართლის დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე*

წინათქმა

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამა „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) უკვე მეექვსე წელია, ეწევა აქტიურ საქმიანობას საქართველოში. პროექტის ერთ-ერთი მიზანია იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების შესაძლებლობების გაზრდა საქართველოში. სამართლებრივი კვლევითი საქმიანობის წარმართვა და იურიდიული ლიტერატურის შექმნა არსებითი წინაპირობაა თანამედროვე სტანდარტების იურიდიული განათლების მიღებისა და ზოგადად, სამართლებრივი სისტემის ხელშეწყობისათვის. ასეთი სტანდარტებით შექმნილი იურიდიული ლიტერატურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებაზე. ამიტომ, როგორც პროექტის ხელმძღვანელს, მიმაჩნია, რომ ასეთი სამართლებრივი კვლევითი საქმიანობისა და იურიდიული ლიტერატურის შექმნის ხელშეწყობა პრიორიტეტი უნდა იყოს ქვეყნის სამართლებრივი რეფორმის პროცესში.

2020 წლის გაზაფხულზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ახალი დარგობრივი მახასიათებლის მიღების შედეგად, კონსტიტუციური მართლმსაჯულების შესწავლა სავალდებულო გახდა სამართლის ფაკულტეტებისთვის. აქედან გამომდინარე, ამ კურსის სრულყოფილად შესასწავლად საჭირო გახდა მეცნიერულად დამუშავებული სასწავლო მასალის შექმნა სტუდენტებისთვის. „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება“ - სახელმძღვანელოს შექმნამდე ასეთი სისტემურად დამუშავებული მასალა ქართულ ენაზე არ მოიპოვება.

მინდა, ამ პროექტის ინიციატივისა და განხორციელებისთვის მადლობა გადავუხადო საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს, კერძოდ, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორსა და სახელმძღვანელოს ერთ-ერთ თანაავტორს, ანა ფირცხალაშვილს. აგრეთვე, მადლობას ვუხდის ბესიკ ლოლაძეს და ზურაბ მაჭარაძეს ამ ნაშრომზე მუშაობისა და სახელმძღვანელოს შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისთვის.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმძღვანელო გახდება სამართლებრივი ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, აგრეთვე სამართლებრივი პრაქტიკის დახვეწისთვის.

გიორგი ჩხეიძე

„კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“

(PROLoG) პროექტის ხელმძღვანელი

აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI)

სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა.....	I
წინათქმა.....	VII
წინათქმა.....	V
სარჩევი	VI
შესავალი	1
თავი 1. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების არსი, ისტორიული განვითარება და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მოდელები	3
1.1. საკონსტიტუციო კონტროლის არსი.....	3
1.2. ტერმინთა განმარტება.....	5
1.3. მსოფლიოში საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განვითარების ისტორია.....	9
1.4. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განვითარების ისტორია საქართველოში	12
1.5. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მოდელები	17
1.6. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ქართული მოდელი.....	24
1.7. სასამართლოს მიერ „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობა	29
1.8. საკონსტიტუციო კონტროლის სახეები.....	30
1.9. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.....	32
თავი 2. საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოთა სტატუსი და ორგანიზაცია.....	34
2.1 საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა ფორმირება	34
2.2. ფორმირება დიფუზიური მოდელის პირობებში	34
2.2. საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირება	36
2.3. უფლებამოსილების ვადები	44
2.4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირება	45
2.4.6. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა	52
2.5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის სტატუსი და გარანტიები.....	59
2.6. საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა	64

2.7. საკონსტიტუციო სასამართლოს შიდა ორგანიზაცია და აპარატი.....	66
თავი 3. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების ზოგადი მიმოხილვა.....	68
3.1. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლები.....	68
3.2. უფლებამოსილებათა გამიჯვნა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმსა და კოლეგიებს შორის	98
3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის პრობლემები და პერსპექტივები.....	102
თავი 4. საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკეული უფლებამოსილებები.....	119
4.1. ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლი	119
4.2. აბსტრაქტული ნორმატიურობის კონტროლი.....	170
4.3. საერთო სასამართლოს წარდგინება	185
4.4. დავა უფლებამოსილების შესახებ	212
4.5. საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლი.....	227
4.6. პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლი	242
4.7. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლი	258
4.8. რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლი	277
4.9. მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელი	304
4.10. დასკვნა იმპიჩმენტთან დაკავშირებით.....	312
4.11. დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე	427
4.12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლი	333
4.13. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება	341
თავი 5. საკონსტიტუციო სამართალწარმოება საქართველოში	347
5.1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპები	347
5.2. კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციური წარდგინება	358
5.3. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები	369
5.4. საკონსტიტუციო სამართალწარმოების ვადები.....	371

5.5. საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყება და საქმეთა განაწილება	376
5.6. არსებითად განსახილველად მიღების საკითხის განხილვა და გადაწყვეტა.....	381
5.7. ნორმის მოქმედების შეჩერება.....	405
5.8. კონსტიტუციური სარჩელისა და კონსტიტუციური წარდგინების არსებითად გადაწყვეტა	407
თავი 6. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები	411
6.1. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების სახეები და მიღების წესი	411
6.2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება	427
6.3. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა.....	431
6.4. საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება	433
6.5. საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი.....	436
6.6. განსხვავებული და თანმხვედრი აზრი	440
6.7. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების იურიდიული ძალა, სვალდებულო მოქმედება და აღსრულება	442
ბიბლიოგრაფია:.....	457
ქართულენოვანი ლიტერატურა:	457
უცხოენოვანი ლიტერატურა:	461
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები:	473
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:.....	487
უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებები:.....	488
ეროვნული და საერთაშორისო ნორმატიული აქტები:.....	496
საინფორმაციო მასალა:	498
ავტორთა შესახებ:.....	499
ბესიკ ლოლაძე	499
ზურაბ მაჭარაძე.....	499
ანა ფირცხალაშვილი	500

შესავალი

ნაშრომის „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება“ შექმნის მიზანია, დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს სისტემური ცოდნა საკონსტიტუციო კონტროლისა და სამართალწარმოების ძირითად საკითხებზე. თანამედროვე საკონსტიტუციო კონტროლი ხშირად აღჭურვილია საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებით, რომელთა ძირითადი მიზნებია ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა თუმცა, ასევე, მმართველობის, სახელმწიფო მოწყობისა და სახელმწიფოში დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ნაშრომი თეორიულ და ამავდროულად, პრაქტიკულ კონტექსტში განიხილავს ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დგება საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელებისას. მასში ძირითადად მოყვანილია საქართველოსა და ასევე, უცხოეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სფეროში.

1

წარმოდგენილი ნაშრომი შედგება 6 თავისგან.

პირველ თავში განხილულია საკონსტიტუციო მართლმსაჯულების არსი, მისი ევოლუციის ეტაპები მსოფლიოსა და საქართველოში. იგი აღწერს და ერთმანეთისგან მიჯნავს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სახეებსა და მოდელებს. ამ თავში ასევე მოცემულია მნიშვნელოვანი განმარტებები საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სფეროში გამოყენებული ტერმინების შესახებ. ამასთანავე, მოკლედ არის მიმოხილული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციის ურთიერთმიმართება.

2

ნაშრომის მეორე თავი განიხილავს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა ფორმირებას, რომელიც განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ როგორი მოდელი ფუნქციონირებს კონკრეტულ ქვეყანაში. ნაშრომში განხილულია სასამართლოს ფორმირება საკონსტიტუციო კონტროლის სხვადასხვა მოდელის პირებში, რადგან მოდელების მიხედვით განსაზღვრულია განსხვავებული წესები. განსაკუთრებული აქცენტები რა თქმა უნდა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაზე კეთდება. ამ თავში განხილულია სასამართლოს უფლებამოსილებების ვადები, მისი შიდა სტრუქტურა, მოსამართლეთა სტატუსი და მათი გარანტიები და სასამართლოს შიდა ორგანიზაცია.

3

- 4 მესამე თავი მიმოიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს. ხოლო მეოთხე თავი დეტალურად განიხილავს სასამართლოს ყველა უფლებამოსილებას.
- 5 მეხუთე თავი ეთმობა საკონსტიტუციო სამართალწარმოებას საქართველოში. მასში მიმოიხილულია სამართალწარმოების პრინციპები, სამართალწარმოების დაწყება და საქმეთა განაწილება, პროცესის მონაწილეები, საქმის განხილვის ეტაპები, ნორმის მოქმედების შეჩერება და ა.შ.
- 6 ბოლო, მეექვსე თავი მთლიანად ეძღვნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებს. მასში ასევე განხილულია მათი სავალდებულო მოქმედების ძალა და აღსრულების საკითხები.
- 7 წინამდებარე ნაშრომი მომზადებულია სამი ავტორის - ბესიკ ლოლაძის, ზურაბ მაჭარაძისა და ანა ფირცხალაშვილის მიერ. პირველი თავი მოამზადა ანა ფირცხალაშვილმა, მეორე და მეხუთე თავები კი - ზურაბ მაჭარაძემ, ხოლო მესამე, მეოთხე და მეექვსე თავებზე იმუშავა ბესიკ ლოლაძემ. მთლიან ნაშრომს სამეცნიერო რედაქტირება გაუწია ანა ფირცხალაშვილმა.

თავი 1. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების არსი, ისტორიული განვითარება და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მოდელები

ნაშრომის პირველი თავი განიხილავს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ისეთ თეორიულ საკითხებს, როგორცაა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების არსი, მისი ევოლუციის ეტაპები მსოფლიოსა და საქართველოში. ის აღწერს, ერთმანეთისგან მიჯნავს და აღარებს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სახეებსა და მოდელებს. ამ თავში ასევე მოცემულია მნიშვნელოვანი განმარტებები სფეროში გამოყენებული ტერმინების შესახებ.

8

ამასთანავე, პირველი თავი მოკლედ მიმოიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციის ურთიერთმიმართებას.

1.1. საკონსტიტუციო კონტროლის არსი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, კონსტიტუცია ქვეყანაში უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივი აქტია. იგი არის სახელმწიფოს ის ძირითადი კანონი, რომლისგანაც გამომდინარეობს ყველა სხვა კანონი თუ სამართლებრივი აქტი. შესაბამისად, მას უნდა შეესაბამებოდეს ყველა მათგანი.

9

მიუხედავად ამისა, ყველა ქვეყანაში ხშირია შემთხვევები, როდესაც კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი შეიძლება, დაირღვეს. ზოგჯერ სამართლებრივი აქტები არ არის კონსტიტუციური ჩარჩოების შესაბამისი, ზოგიერთ შემთხვევაში კი, პირდაპირ ეწინააღმდეგება მას. სწორედ ამგვარი შემთხვევებისას აუცილებელი ხდება კონსტიტუციის და მის მიერ დამკვიდრებული სამართლებრივი წესრიგის დაცვა. კონსტიტუციის დაცვას ემსახურება საკონსტიტუციო კონტროლი. მისი დაცვის ინსტიტუციური მექანიზმი თვით კონსტიტუციით არის გარანტირებული. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის დაცვის ვალდებულება აქვს ყველა საჯარო თუ კერძო, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციას, სამართლებრივი აქტის საკონსტიტუციო კონტროლისა და კონსტიტუციის დადგენილი სამართალწარმოების წესით შემოწმების უფლებამოსილება აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სწორედ საკონსტიტუციო კონტროლის არსიდან გამომდინარეობს საკონსტიტუციო მართლმსაჯულება. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ნიშნავს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას სპეციალური

10

სამართალწარმოების მიხედვით. შესაბამისად, ტერმინი¹ საკონსტიტუციო სამართალწარმოება გამოიყენება იმ პროცესუალური მოქმედებების აღსანიშნავად, რომელსაც ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვის ეტაპზე.

11 საკონსტიტუციო კონტროლის მნიშვნელობა განუზომელია კონსტიტუციური ღირებულებების დაცვისთვის. რაც უფრო ეფექტიანი და ქმედითია საკონსტიტუციო კონტროლი, მით უფრო მაღალია კონსტიტუციური ღირებულებების დაცვის პერსპექტივაც.

12 მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუცია არის დოკუმენტი, რომელიც ზღუდავს ხელისუფლების თვითნებობას და ითხოვს, რომ მისი მოქმედებები მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებების ინტერესებიდან გამომდინარეობდეს, რადგან კონსტიტუციის ძირითადი ღირებულება არის სწორედ ადამიანი. თუმცა, იმისათვის, რომ კონსტიტუციით გარანტირებული სიკეთეები დაცული იყოს, აუცილებელია კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა და მისი მუდმივი კონტროლი.

13 დავა იმაზე, თუ რომელი ორგანო რა დოზით განახორციელებდა კონსტიტუციურ კონტროლს, მსოფლიოში თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის განვითარების პირველი ნაბიჯებისთანავე დაიწყო.² მე-20 საუკუნის დასაწყისში ჰანს კელზენი მიიჩნევდა, რომ კონსტიტუციის, როგორც სახელმწიფოს უმთავრესი და ძირითადი კანონის, სამართლებრივი დაცვა აუცილებელია.³ კელზენის აზრით, მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებებისთვის ზღვრების დაწესება. მისი მტკიცებით, თუ უფლებათა შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი არ არის გამართლებული, მაშინ ამ მიზნის მიღწევის საშუალებაც ვერ იქნება გამართლებული.⁴ კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის შემოწმება - კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასება - არის სწორედ კონსტიტუციის დაცვის საუკეთესო მექანიზმი და იგი საკონსტიტუციო მართლმსაჯულებით ხორციელდება.

¹ ქართულ სამართლებრივ მეცნიერებაში საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებული ზოგიერთი ცნების მნიშვნელობისა და გამოყენებასთან დაკავშირებული დისკუსია იხ. გუგუნავა, გვ. 15.-18. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები. თბილისი, 2012.

² Benda/Maihofer/Vogel/ Simon, § 34 Rn. 43

³ Kelsen, Schmitt und "der Hüter der Verfassung": Weimar, 1931.

⁴ Kelsen: Was ist Gerechtigkeit? S 16. „... wenn der letzte Zweck nicht rechtfertigbar ist, ist auch das Mittel zu diesem Zweck nicht rechtfertigbar.“

1.2. ტერმინთა განმარტება

მართალია, კონსტიტუციის დაცვისა და მისი შესრულების კონტროლის ფუნქცია საქართველოში სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოზე შეიძლება, გავრცელდეს, თუმცა ამ მიმართულებით მასშტაბურად ყველაზე მნიშვნელოვანი არის საკონსტიტუციო სასამართლოს როლი. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტი ვეტოს ფარგლებში უფლებამოსილია, გააკონტროლოს კანონის კონსტიტუციურობა. იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიჩნევს, რომ კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას,⁵ მას შეუძლია, გამოიყენოს ვეტოს ფუნქცია. გარდა ამისა, საერთო სასამართლოები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში აღმოჩენილი ნორმები, რომლებიც შესაძლოა, არაკონსტიტუციური იყოს, წარადგინონ საკონსტიტუციო სასამართლოში მათი კონსტიტუციურობის დასადგენად.

განსხვავებით სხვა სახელმწიფო ორგანოებისგან, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო კონტროლი სამართალწარმოების გზით ხორციელდება. მართალია, ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი, თუმცა ყველაზე გავრცელებული და ეფექტიანი გზა საკონსტიტუციო კონტროლის.⁶ იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში რა მოდელია დამკვიდრებული, გარდა საკონსტიტუციო სასამართლოსი, საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტურ ორგანოდ მეცნიერების მიერ ასევე განხილულია მაგალითად, პარლამენტი, როგორც ხალხის ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციის მქონე ორგანო. ზოგიერთი მეცნიერი უფრო შორსაც მიდის და განვითარებულ, დასავლურ დემოკრატიებში ამგვარი კონტროლის განმახორციელებლად ასევე განიხილავს პოლიტიკურ პარტიებს⁷ და ზოგადად, საზოგადოებასა და საჯაროობას მასმედიის სახით.⁸

კონსტიტუციის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი ზოგადი ჩანაწერები ან მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკური ნება, ამისთვის აუცილებელია კონტროლის განსაკუთრებული სისტემის - კონსტიტუციის დაცვის კონკრეტული, ეფექტიანი და რეალური გარანტიების არსებობა.

⁵ საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლი

⁶ შეადარე *Baden*, S. 14 ff.; *Björner*, S. 2 f.; *Laufer*, S. 7 ff.; *Nußberger*, S. 23.

⁷ *Brunner*, S. 139 ff.; *Grote*, S. 3 [6]; *Merten*, Festschr. f. Melichar, S. 107 [115]; *Nußberger*, S. 17, 50; *Öhlinger*, Festschr. f. Melichar, S. 125; *Schenke*, NJW 1979, 1321 [1322 f.]; entsprechend *Grote*, AöR 126 (2001), 10 [56],

⁸ *Brunner*, S. 191 ff., 195 ff.

საკონსტიტუციო სასამართლო კი, საკონსტიტუციო სამართალწარმოების საშუალებით განიხილავს და ადგენს ნორმის კონსტიტუციურობას. მნიშვნელოვანია, რომ მისი გადაწყვეტილება არის საბოლოო და გადასინჯვას ან გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

17 შესაბამისად, ნაშრომში განხილულია საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ცენტრალური ორგანოს განვითარების ისტორია, უფლებამოსილებები და საკონსტიტუციო სამართალწარმოება.

18 კონსტიტუციის უზენაესობის შინაარსობრივი და ფორმალური უზრუნველყოფა თანამედროვე სახელმწიფოს ფუნქციონირების დერძია, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციის უზენაესობის დამოუკიდებელი, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი⁹ ორგანო, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ფუნქციის რეალურ განხორციელებაში. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, როგორც ინსტიტუტი, სამართლის მეცნიერთა მიერ შეფასებულია, როგორც „სამართლებრივი სახელმწიფოს გვირგვინი“.¹⁰

19 დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებისკენ სწრაფვა¹¹ არის ის ძირითადი პრინციპი, რომელსაც ეფუძნება საქართველოს კონსტიტუცია. ამ ღირებულებათა სრულყოფილი რეალიზაცია მხოლოდ კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფით, მასში გამონახული პრინციპების ერთგულებით მიიღწევა. კონსტიტუციის უზენაესობის აღსრულება ხელისუფლების თითოეული შტოს უპირობო ვალდებულებაა, თუმცა ამ პროცესში განსაკუთრებული როლი საკონსტიტუციო სასამართლოს ეკისრება,¹² რომელიც კონსტიტუციის დებულებების განმარტების გზით უზრუნველყოფს ხელისუფლების დანაწილების პრინციპისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას.

20 საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ძირითადი ნაწილი მიმართულია ფიზიკური და იურიდიული პირების სარჩელის საფუძველზე ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებისკენ, რათა ხელისუფლებამ გაუმართლებლად არ შეზღუდოს ადამიანის უფლებები და ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესებს შორის

⁹ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით“.

¹⁰ Stern, Staatsrecht I, S. 788.


¹¹ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა

¹² ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2019 წ. გვ. 4

სამართლიანი ბალანსი დადგინდეს.¹³ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტი ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ კონკრეტული მოსარჩელის ინტერესების დაკმაყოფილება. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმები კარგავს იურიდიულ ძალას არა მხოლოდ კონკრეტული მოსარჩელის მიმართ, არამედ იგი გავლენას ახდენს საზოგადოების თითოეული წევრის უფლებრივ მდგომარეობაზე. ამასთანავე, გადაწყვეტილებით დგინდება ხელისუფლების ყველა შტოსთვის შესასრულებლად სავალდებულო კონსტიტუციური სტანდარტები.

¹³ იქვე. გვ. 5 ინფორმაცია, საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2019 წ.

მეტი ტერმინოლოგიური სიცხადისთვის იხილეთ შემდეგი სქემა:



1.3. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განვითარების ისტორია მსოფლიოში

21

საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას, როგორც ინსტიტუტს ისტორიული და იდეური განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია გააჩნია.¹⁴ მისი ჩამოყალიბება უკავშირდება 1803 წელს, კონკრეტულად კი აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე - *Marbury v. Madison*¹⁵. მართალია, 1803 წლამდეც აშშ-ის სასამართლოების პრაქტიკაში შეიმჩნეოდა აქტების კონსტიტუციურობის თაობაზე მსჯელობა, თუმცა მხოლოდ ფრაგმენტულად და არა სისტემურად.¹⁶ საქმეზე - *Marbury v. Madison* - სასამართლომ შექმნა საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების პრეცედენტი¹⁷. დასახელებულ საქმეზე აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონგრესის მიერ მიღებული კანონი ეწინააღმდეგება აშშ-ის კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებას. მოსამართლე მარშალის მიერ დაისვა საკვანძო კითხვა, თუ რომელ მათგანს უნდა მინიჭებოდა უპირატესობა. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუცია არის "ქვეყნის ძირითადი და უზენაესი კანონი" და რომ "საკანონმდებლო ხელისუფლების ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მოკლებულია იურიდიულ ძალას" და სასამართლოს შეუძლია მისი არაკონსტიტუციურობა ცნობა. აღნიშნული მსჯელობის შედეგად სასამართლომ საკუთარ თავს თვითონვე მიანიჭა კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის უფლებამოსილება. აღსანიშნავია გარემოება, რომ აშშ-ის კონსტიტუციაში არც მაშინ და არც დღეს არ არის ჩანაწერი სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესახებ. მოსამართლე მარშალმა აღნიშნული პრაქტიკა განსაკუთრებული კრიტიკის ან წინააღმდეგობის გარეშე დაამკვიდრა¹⁸, თუმცა ამას წინ დაძაბული პერიოდი უძლოდა¹⁹.

¹⁴ იხ., *შვარცი*, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, თბილისი, 2003, 52

¹⁵ მერბერი მედისონის წინააღმდეგ იხ., *William Marbury v. James Madison, Secretary of State of the United States*, 1 Cranch 137; 2 L. Ed. 60; 1803 U.S. LEXIS 352; ; კვერენჩიხილაძე, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ხელნაწერზე უფლებით, თბილისი, 2011, 1; კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში - თეორია და კანონმდებლობის ანალიზი,, თბილისი, 2011, 54-55.

¹⁶ იხ., *მელაძე, გონაშვილი*, საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", #1, 1999, 108.

¹⁷ *კახიანი*, საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში - თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 55.

¹⁸ *შვარცი*, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, თბილისი, 2003, 52

¹⁹ *შაიო*, ხელისუფლების თვითმზღვრუდა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, 275-284

- 22 საკონსტიტუციო კონტროლს დიდი ისტორია აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთაც.²⁰ საკონსტიტუციო კონტროლის ჩანასახი, როგორც სახელმწიფო საქმიანობის დამოუკიდებელი მიმართულება, შუა საუკუნეების დიდ ბრიტანეთში შეინიშნება. მაგალითად, მე-17 საუკუნეში საილუმო საბჭო უფლებამოსილი იყო, გაებათილებინა და იურიდიულად ძალადაკარგულად გამოეცხადებინა გაერთიანებული სამეფოს კოლონიების საკანონმდებლო ორგანოების მიერ გამოცემული კანონები, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდა ინგლისის პარლამენტის კანონებს ან საერთო სამართალს.²¹
- 23 საკონსტიტუციო კონტროლის ჩამოყალიბებასა და ყველა იმ კანონის გაუქმებას, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ემხრობოდა აბატი სიესი. მისი აზრით, „*კონსტიტუცია არის სავალდებულო კანონების კრებული ან არაფერი*“²². მისივე თქმით, „*თუ კონსტიტუცია ზოგადსავალდებულო ქვევის წესების ერთობლიობაა, ისმის კითხვა - სად არის მისი დამცველი ინსტიტუტი?*“²³ მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს იდეამ მსოფლიოში დიდი გავრცელება ჰპოვა, ზოგიერთ სახელმწიფოში დღემდე არ არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანო. მაგალითად, ინგლისში ე. წ. საპარლამენტო ჰეგემონია 1688 წლიდან დამკვიდრდა, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუშალა სპეციალური და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განვითარებას.²⁴
- 24 საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანოს შექმნის იდეა ჰანს კელზენს ეკუთვნის. მას მიაჩნდა, რომ კონსტიტუცია უზენაესი ნორმაა, რომელსაც უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია ნებისმიერი სხვა სამართლებრივი აქტის მიმართ და ის უნდა აღსრულდეს.²⁵ კელზენის იდეები ემყარებოდა ამერიკულ გამოცდილებასა და ევროპულ აზროვნებას.²⁶
- 25 კონტინენტური სამართლის ქვეყნებში საკონსტიტუციო კონტროლის პირველი პრეცედენტი უკავშირდება 1920 წელს, ავსტრიის კონსტიტუციის შემუშავებას, რაზეც

²⁰ გიორგაძე, თანამედროვე კონსტიტუციური სამართალი. გვ. 59.

²¹ შეადარე *შელუაძე, დვალი*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი, 2000, 241-242.

²² შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბ. 2003. გვ. 57, 54

²³ *კვრენჩხილაძე*, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, #3, 2006, 44;

²⁴ იხ. Starck C., Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Translated by

²⁵ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 56

²⁶ *გეგენაუ*, გვ. 14

ავსტრიელი მეცნიერის, ვენის უნივერსიტეტის პროფესორის ჰანს კელზენის ნააზრევმა დიდი ზეგავლენა მოახდინა.²⁷ საინტერესოა, რომ ეს მოდელი კელზენმა ავსტრიისთვის შეიმუშავა, თუმცა პირველი საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ამ იდეის საფუძველზე ჩამოყალიბდა, ამოქმედდა არა ავსტრიაში, არამედ ჩეხოსლოვაკიაში. იგი 1920 წლის თებერვალში დაარსდა, ხოლო ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლომ ფუნქციონირება რამდენიმე თვის შემდეგ, 1920 წლის ოქტომბერში დაიწყო.²⁸

კელზენის აზრით, არაკონსტიტუციური სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ფუნქცია უნდა გააჩნდეს როგორც პარლამენტისგან, ისე ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ხელისუფლების შტოსგან დამოუკიდებელ ორგანოს. ასეთი კი, მისი აზრით, შეიძლება, ყოფილიყო სასამართლო, ტრიბუნალი, რომელიც, თავის მხრივ, დაკომპლექტებული იქნებოდა კომპეტენტური და ავტორიტეტული იურისტებისგან.²⁹

კელზენის იდეა საუკუნის დასაწყისიდან უკვე პრაქტიკულად მასშტაბურად განხორციელდა: 1920 წელს საკონსტიტუციო სასამართლოები შეიქმნა ჩეხეთსა და ავსტრიაში, 1921 წელს - ლიხტენშტაინში, 1927 წელს - საბერძნეთში, 1931 წელს - ესპანეთში. მნიშვნელოვანია ასევე საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა შექმნის მეორე ტალღა, რომელიც დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაიწყო. იტალიაში 1947 წელს, გერმანიაში 1949 წელს და ოდნავ მოგვიანებით ბელგიაში, პორტუგალიაში, თურქეთში, საფრანგეთში და ა.შ. შეიქმნა საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ამ ორგანოს „საკონსტიტუციო სასამართლოს“ სახელწოდება არ ჰქონდა. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო მაგალითად, საფრანგეთში არის „საკონსტიტუციო საბჭო“, რუმინეთში - „საკონსტიტუციო პალატა“, ხოლო პოლონეთში - „საკონსტიტუციო ტრიბუნალი“.

საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოთა შექმნის მესამე ტალღად შეიძლება, ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდი. ეს განსაკუთრებით შეინიშნებოდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში

²⁷ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი. თბ. 2003. გვ. 285.

²⁸ შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. 2003. გვ. 57

²⁹ Kelsen, Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit, S. 24.

26

27

28

კომუნისტური რეჟიმების დაცემის შემდეგ, თუმცა ასევე დემოკრატიზაციის პროცესის პარალელურად სამხრეთ აფრიკაში და ლათინური ამერიკისა და აზიის რამდენიმე ქვეყანაში. ზოგადად, ამ ეპოქაში საკონსტიტუციო მართლმსაჯულება მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესების პირდაპირპროპორციულად გაიზარდა. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო შეიქმნა 1991 წელს რუსეთში, 1992 წელს - უკრაინაში, 1993 წელს - ლიტვაში, 1994 წელს - ბელორუსიაში, 1996 წელს - საქართველოში, 1996 წელს - ყაზახეთში, 1996 წელს - სომხეთში, 1998 წელს - აზერბაიჯანში.

29 გარდა ამისა, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების უფლებამოსილებები განიცდიდა ევოლუციას და დროის მსვლელობასთან ერთად შეიმჩნევა მისი უფლებამოსილების გაფართოება, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, მსოფლიოს უფრო მეტ ქვეყანაში მისი დამკვიდრებით და მეორე მხრივ, დემოკრატიული ფასეულობების წინ წამოწევით კონსტიტუციურ დონეზე. სახელმწიფოში კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება ძირითადად დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვასთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის კომპეტენციურ დავათა გადაწყვეტასთან და ხელისუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილების პრინციპთან, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს კომპეტენციათა განაწილებას და გამიჯვნას ხელისუფლების ცალკეულ შტოთა შორის, ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმის არსებობას,³⁰ აგრეთვე, კომპეტენციათა გამიჯვნას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის.

1.4. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განვითარების ისტორია საქართველოში

30 საქართველოს ისტორიაში საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო შეიქმნა 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით. საქართველოს პირველი, 1921 წლის კონსტიტუციიდან მართალია, შეიძლება, ამოვიკითხოთ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების ზოგადი უფლებამოსილება, თუმცა მას ვერ დავარქმევთ საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას, რადგან მას არ ჰქონდა

³⁰ ხეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, ჟურნ, „ადამიანი და კონსტიტუცია“ 2006, N3, გვ. 31.

მიზნად შესაბამისი სამართალწარმოების მიხედვით ნორმათა კონსტიტუციურობის შემოწმება.³¹ პირველ ქართულ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაზე მხოლოდ 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის მიერ შექმნილ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოზე შეიძლება მსჯელობა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში (1921-1991 წლ.), ისე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, არ არსებობდა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემა. ეს, სახელმწიფო მოწყობის სხვა მრავალ ნიშანთან ერთად, მაშინდელი კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილი სახელმწიფო მმართველობის სისტემის დიქტატურულ მმართველობაზე მეტყველებს.

31

1.4.1. კონსტიტუციური მართლმსაჯულება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში

საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს დაარსება უკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობის 1918-1921 წლებს, როდესაც 1919 წლის 29 ივლისს დაფუძნდა საქართველოს უზენაესი სასამართლო - სენატი, რომლის უფლებამოსილებაში საკასაციო ინსტანციით საქმის განხილვის გარდა, შედიოდა თვალყურის დევნება მთავრობის ყოველი დაწესებულების, თანამდებობის პირისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კანონის დაცვასა და სისწორით აღსრულებაზე³². დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული პირველი ქართული კონსტიტუციის მე-8 მუხლი ადგენდა კონსტიტუციის უზენაესობას: „კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, არ შეიძლება, გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება, ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია“. კონსტიტუციის 72-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი კი განსაზღვრავდა ზოგად ნორმას, რომელიც მოიაზრებდა კონსტიტუციის დაცვას. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოდ 1921 წლის კონსტიტუცია ასახელებდა რესპუბლიკის მთავრობას, რადგან კონსტიტუციისა და კანონების დაცვისადმი „თვალყურის დევნა“ და მათი აღსრულება რესპუბლიკის მთავრობას ევალებოდა.

32

³¹ დეტალურად იხ. ქვეთავი 1.3.1.

³² კახიანი, კონსტიტუციურობისა და კანონიერების კონტროლისა და ზედამხედველობის იდეები პირველ ქართულ კონსტიტუციაში, ჟურნ. „სამართალი“ 2006, N1-2, გვ. 19.

- 33 მიუხედავად საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი მექანიზმისა, პირველი კონსტიტუციის დამფუძნებლებმა უარყვეს მსოფლიო კონსტიტუციონალიზმში დამკვიდრებული, კონსტიტუციური მართლმსაჯულების კლასიკური პრაქტიკა; რეფერენდუმის საშუალებით თავად მოსახლეობას უნდა ეთქვა უარი იმ კანონზე, რომელიც კონსტიტუციის ან ხალხის ნების წინააღმდეგი იქნებოდა.³³ რეფერენდუმი აღქმული იყო, როგორც პარლამენტზე ხალხის კონტროლის ყველაზე ეფექტური ფორმა. კონსტიტუციაში უარყოფილია კონსტიტუციური კონტროლის ტრადიციული სახელისუფლებო ბერკეტები (ვეტო, ზედა პალატა, საკონსტიტუციო ზედამხედველობა). უპირატესობა მიენიჭა სახალხო კონტროლის მექანიზმს.³⁴
- 34 საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღების პერიოდში თვით ევროპაშიც კი ახალი დამკვიდრებული იყო საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელებელი სპეციალიზებული ორგანოს - სასამართლოს - მოდელი.³⁵ გამომდინარე აქედან, არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ საქართველოში შესაძლოა, უახლოეს წლებში დამკვიდრებულიყი საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სპეციალური ორგანო, რომ არა 1921 წლის ცნობილი საბჭოთა რუსეთის ოკუპაცია.

1.4.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბება და განვითარება

- 35 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და მათ შორის დამოუკიდებელ საქართველოშიც დაიწყო ფიქრი საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემის შექმნაზე. ამის წინაპირობა იყო ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მიღება. 1993 წლის 19 თებერვალს შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია 118 წევრით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საქართველოს პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე. მისი წინადადებით კომისიის

³³ *ქანთარია*, დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში. თბილისი, 2012. გვ. 241

³⁴ *ქანთარია*, დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში. თბილისი, 2012. გვ. 241

³⁵ იხ. ქვეთავი 1. 3.

შემადგენლობა დაამტკიცა პარლამენტმა.³⁶ საკონსტიტუციო ზედამხედველობის სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ჯონი ხეცურიანი.³⁷

უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი საკითხები საქართველოში საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შესახებ განხილულ იქნა ჩიკაგოს კონფერენციაზე. ერთკვირიანი (1994 წლის 12-18 ოქტომბერი) კონფერენცია ჩიკაგოში³⁸ ჩატარდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის „ადმოსავლეთ ევროპის კონსტიტუციონალიზმის შემსწავლელ ცენტრთან“ ერთად.

ერთიანი პროექტის სხვადასხვა ვარიანტზე მუშაობისას უკვე დასაწყისშივე გამოიკვეთა რამდენიმე საკამათო პუნქტი. ერთ-ერთი იყო არჩევანი კონცენტრირებულ და დიფუზურ საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას შორის. დეტალურად იქნა საკითხი განხილული იმის შესახებ, უნდა ყოფილიყო თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო უზენაესი სასამართლოსგან გამოყოფილი, დამოუკიდებელი, ცალკე არსებული ორგანო.

მხოლოდ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განსახორციელებლად ჩამოყალიბებული ორგანოს არსებობის, ე.წ. კონცენტრირებული საკონსტიტუციო მართლმსაჯულების, საპირისპიროდ იდგა უგრეხელიძისა და მისი სამუშაო ჯგუფის მიერ შემოთავაზებული დიფუზური საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მოდელი [მაგ., ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს მსგავსად], რომლის მიხედვითაც, ერთი უმაღლესი სასამართლო, რომელიც სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის სასამართლოა, ამავდროულად წყვეტს კონსტიტუციურ - სამართლებრივ დავასაც.³⁹

კომისიის წევრთა დიდმა ნაწილმა საკუთარი პოზიცია კონცენტრირებული საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სასარგებლოდ დააფიქსირა. საქართველოში კონსტიტუციის მიღების საკითხების მკვლევრის, ვოლფგანგ გაულის აზრით, იურიდიულ არგუმენტებთან ერთად ეს შეიძლება, იმითაც იყო გამოწვეული, რომ „შეჯარდნაძემ მანამდე გარკვევით განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო

³⁶ კომისიის შექმნის შესახებ. იხ. ინტერვიუები- გაული კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში. 2002 თბილისი, გვ. 13-22

³⁷ მაშინ იყო ყოფილი იუსტიციის მინისტრი, ხოლო შემდეგ იგი გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი და ასევე 5 წლის ვადით არჩეულ იქნება სასამართლოს თავმჯდომარედ.

³⁸ გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში. 2002 თბილისი, გვ. 40

³⁹ გარდა უგრეხელიძისა, ყველა მონაწილემ თავისი პოზიცია დააფიქსირა. შეადარე: გაული გვ. 41.

36

37

38

39

ნამდვილად იარსებებდა“.⁴⁰ რეალურად სწორედ ჩიკაგოში მოხდა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების არსებულ მოდელზე შეთანხმება.

40 საბოლოოდ, საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს რიგით მეორე კონსტიტუცია, შეჯერდა საკონსტიტუციო კონტროლის კონცენტრირებულ მოდელზე. ამ საკითხს კენჭი ეყარა საკონსტიტუციო კომისიის სარედაქციო ჯგუფში ჯერ კიდევ 1994 წლის დასაწყისში და მაშინდელი შედეგის მიხედვით, 8 წევრი (ოთხის წინააღმდეგ) თანახმა იყო, რომ საკონსტიტუციო სასამართლო შექმნილიყო დამოუკიდებელი ორგანოს სახით.⁴¹ გამომდინარე აქედან, საქართველოს კონსტიტუციის 107-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, 1996 წლის 31 იანვარს დაჩქარებული წესით მიღებულ იქნა ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“.

41 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პირველადი ვერსიის გარდამავალი დებულებებით, დადგინდა ვადა კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონების მისაღებად. განსაკუთრებული ვადა იყო დადგენილი საკონსტიტუციო სასამართლოსთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი კონსტიტუციის (ძველი რედაქციის) 107-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, 1996 წლის 1 თებერვლამდე უნდა მიეღოთ.

42 პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონპროექტს მხოლოდ 1996 წლის 30 იანვარს გაეცნო. კონსტიტუციის მიხედვით, ეს კანონი 1 თებერვლისთვის უნდა ყოფილიყო მიღებული, ამიტომ კანონპროექტი დაჩქარებული პროცედურით, ერთ დღეში „განიხილა“ პარლამენტმა და მეორე დღესვე მოეწერა ხელი, რის გამოც რაიმე შენიშვნის გამოთქმა ფაქტობრივად შეუძლებელი აღმოჩნდა.⁴² შედეგად კი, უკვე მარტში საჭირო გახდა შესწორებების შეტანა კანონში, რომლის მიხედვითაც დაწვრილებით განისაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების პროცედურა. გარდა ამისა, მაშინ გაკრიტიკებული იყო ორი კანონის - საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ და ამავედროულად ორგანული კანონის მიღების იდეა.

⁴⁰ გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში. 2002 თბილისი, გვ. 48. ავტორი დასტურად მიუთითებს, ინტერნოს ვ. ხმალაძესთან.

⁴¹ გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში. გვ. 248.

⁴² ასე გადმოსცემს ოთარ მელქაძესთან ინტერვიუს გაული, ნაშრომში კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში. გვ.106

ორივე კანონის დებულებები კი 2018 წელს მთლიანად იქნა ინტეგრირებული ერთ ორგანულ კანონში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“.

1.5. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მოდელები

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კონსტიტუციის დაცვა ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლით, ხოლო ყველაზე ეფექტური გზა ამისთვის არის სპეციალური საკონსტიტუციო მართლმსაჯულება. 43

თითოეული სახელმწიფო თავისი სამართლებრივი სისტემის, პოლიტიკური რეჟიმისა და საზოგადოებრივი განწყობების გათვალისწინებით ირჩევს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მოდელს. ცხადია, ყველა მათგანს აქვს თავისი უპირატესობები, დადებითი და უარყოფითი მხარეები. საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას, ინსტიტუციური მოწყობის მიხედვით თავისი ისტორიული და იდუარი განვითარებიდან გამომდინარე, აქვს ორი ძირითადი მოდელი. პირველი არის ე.წ. **კონცენტრირებული** საკონსტიტუციო მართლმსაჯულების, ხოლო მეორე - **დიფუზიური** საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მოდელი.⁴³ 44

1.5.1. დიფუზიური საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მოდელი

დიფუზიური საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მიხედვით, უზენაესი/უმაღლესი სასამართლო, როგორც სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი საკასაციო/უმაღლესი სასამართლო, ასევე განიხილავს და წყვეტს კონსტიტუციურსამართლებრივ დავასაც. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში მას საკონსტიტუციო მართლმსაჯულების „ერთიან“ ან „ინტეგრირებულ“ მოდელადაც მოიხსენიებენ.⁴⁴ ამ მოდელის პროტოტიპია ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლო, შესაბამისად, მას იურიდიულ ლიტერატურაში ამერიკულ⁴⁵ ან ანგლო-საქსურ მოდელსაც უწოდებენ. იგი ჩამოყალიბდა აშშ-ში საკონსტიტუციო 45

⁴³ მათ ასევე უწოდებენ ინტეგრირებულ და იზოლირებულ მოდელებს. იხ. Verfassungsentwicklung II . Verfassungsentwicklung durch Verfassungsgerichte Deutsch-Japanisches Verfassungsgespräch 2017 Herausg. von Jestaedt und Suzuki. გარდა ამისა, ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში გამოიყენებენ ტერმინებს „საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელი“, როგორც კონცენტრირებულ საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას, ხოლო „საკონსტიტუციო კონტროლის ანგლო-საქსური მოდელი“ ეწოდება დიფუზიურ მოდელს.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ შეადარე: გიორგაძე. თანამედროვე კონსტიტუციური სამართალი და ნაშრომში მითითებული ავტორები, გვ. 59.

კონტროლის დოქტრინის საფუძველზე. ამ მოდელის მიხედვით, საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ კონკრეტული საქმეების განხილვის დროს.

- 46 ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს მსგავსად ჩამოყალიბებული უმაღლესი სასამართლოები არსებობენ პრეცედენტული სამართლის სისტემის მქონე სხვა ქვეყნებშიც. ამგვარი მოდელი მოქმედებს მაგალითად, ისეთ ქვეყნებში როგორცაა ალჟირი, კორეა, კანადა, ბრაზილია, კოსტა-რიკა, ჰონდურასი, ნიკარაგუა, კოლუმბია, იაპონია, არგენტინა, ისრაელი, ირლანდია, მექსიკა, ნორვეგია, შვედეთი, დანია, პანამა, ვენესუელა.⁴⁶
- 47 დიფუზიური მოდელის მიხედვით, საერთო იურისდიქციის ნებისმიერ სასამართლოს შეუძლია, ცნოს კანონი არაკონსტიტუციურად, ხოლო თუ საქმე უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდება და იგი კანონს ასევე კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ აღიარებს, მაშინ უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უკვე სავალდებულოა ყველა სხვა სასამართლოსთვის.⁴⁷ ფორმალურად, უზენაესი სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონი აგრძელებს მოქმედებას. მართალია, ამ კანონს არცერთი სასამართლო აღარ იყენებს შემდეგ თავის საქმიანობაში, მაგრამ იმისათვის, რომ კანონმა ოფიციალურად შეწყვიტოს მოქმედება, იგი უნდა გააუქმოს პარლამენტმა.⁴⁸
- 48 ამ მოდელის პირობებში საკონსტიტუციო მართლმსაჯულება არ არის განცალკევებული საერთო სამართალწარმოებისგან და იგი ფაქტობრივად საერთო სასამართლოთა მთელ სისტემას მოიცავს. თვით მოდელისთვის დამახასიათებელი სიტყვიდან გამომდინარე, „დიფუზიური“⁴⁹ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ერთი რომელიმე ორგანოს მიერ კონკრეტული სამართალწარმოების

⁴⁶ Böckenförde, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 9 (14); Hopfau, in: Schmidt-Bleibtreu/Klein/Hofmann/Hopfau, GG, Art. 93, Rn. 6; Maus, Die Verwendung der Rechtsprechung der ausländischen Staaten, S. 3 (6); Müller, Die Verfassungsgerichtsbarkeit im Gefüge der Staatsfunktionen, S. 55 (56); Ingo von Münch: Das Bundesverfassungsgericht als Teil des Rechtsstaates, Jura 1992, S. 505 (506); Voßkuhle, in: von Mangoldt/Klein/Starck, GG, Art. 93, Rn. 14.

⁴⁷ დეტალურად Birgit Enzmann, Der demokratische Verfassungsstaat zwischen Legitimationskonflikt und Deutungs Offenheit, Wiesbaden 2009, S. 34 ff

⁴⁸ იხ. მოდულების შედარება Enzmann, Der demokratische Verfassungsstaat zwischen Legitimationskonflikt und Deutungs Offenheit, Wiesbaden 2009, S. 119 ff

⁴⁹ ნიშნავს გაფანტულს

გამოყენებით და კონცენტრირებულად კი არ ხორციელდება, არამედ იგი გაფანტულია მთელი სასამართლო სისტემის შიგნით.

საკონსტიტუციო კონტროლის დიფუზიური მოდელი ხასიათდება ოთხი ძირითადი ნიშნით:⁵⁰

49

1. საკონსტიტუციო კონტროლი ატარებს **უნივერსალურ** ხასიათს. იგი ვრცელდება არა მხოლოდ კანონებზე, არამედ ყველა ნორმატიულ აქტზე;
2. საკონსტიტუციო კონტროლი **არასისტემატიზებულ** ხასიათის ატარებს. იგი ხორციელდება დროგამოშვებით, აქვს კონკრეტული ხასიათს და შესაძლებელია, განხორციელდეს ნებისმიერი დონის საერთო სასამართლოს მიერ ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ეხება მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს;
3. საკონსტიტუციო კონტროლი ატარებს **კაზუალურ** ხასიათს. მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვის პროცესში, როდესაც ერთ-ერთი მხარე მიიჩნევს, რომ მეორე მხარის მოთხოვნა ეფუძნება კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმას;
4. საკონსტიტუციო კონტროლი ატარებს შეზღუდულ **შედარებით** ხასიათს. სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ მოდავე მხარეებისთვის, არ ვრცელდება სხვა სუბიექტებზე და არ შეიძლება მისი შემდგომი გამოყენება ანალოგიური საქმეების განხილვისას.

ამ მოდელის დადებით მხარედ მიიჩნევა დასმულ საკითხთან დაკავშირებით სამართლიანობის შეუფერხებელი, სწრაფი აღდგენის შესაძლებლობა. უარყოფითია ის, რომ უკვე განხილული საკითხი პრაქტიკაში შესაძლოა, ხელმეორედ დადგეს, ასეთ საკითხზე კი სასამართლომ ისევ უნდა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ამ მოდელის პირობებში გადაწყვეტილება კონკრეტულია და მხოლოდ მხარეებზე ვრცელდება. მართალია, შესაძლოა, რომ ეს გადაწყვეტილება „პრეცედენტის“ საფუძველზე იქნეს მიღებული, თუმცა, ამავდროულად გამორიცხული არაა ახალი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა,

50

⁵⁰ იხ. *კერენჩილაძე*, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ხელნაწერის უფლების მითითება ლიანა გიორგაძის მიერ. თანამედროვე კონსტიტუციური სამართალი, გვ. 67

რაც, თავის მხრივ, ისევ არ ატარებს ზოგადსავალდებულო ხასიათს და შემოიფარგლება პირთა კონკრეტული წრით.⁵¹ შესაბამისად, დიფუზიური საკონსტიტუციო მართლმსაჯულების დროს სახეზეა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების არასტაბილურობა. მოქალაქეს ამგვარი მოდელის ფარგლებში გაუჭირდება, ჰქონდეს კანონიერი, განჭვრეტადი და განსაზღვრული მოლოდინი, თუ რა შედეგი შეიძლება, დადგეს თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ პრეცედენტი მის სასარგებლოდ არსებობს. შესაძლოა, რომ კანონი აღნიშნულ საკითხს კვლავ იმგვარად არეგულირებდეს, როგორც არსებობდა აღნიშნულ პრეცედენტამდე და პარლამენტმა არც კი გააუქმოს კანონის ის ნორმა, რომელიც სასამართლომ კონკრეტულ საქმეში მოსარჩელის მიმართ არაკონსტიტუციურად მიიჩნია.

51 დიფუზიური მოდელის არჩევით სასამართლო სისტემა პირდაპირ უარს ამბობს აბსტრაქტულ კონტროლზე, რადგან მოსარჩელე საერთო იურისდიქციის სასამართლოს ვერ მიმართავს მანამ, სანამ კონკრეტული დავა არ წარმოიშვება და შესაბამისი კანონი არ დაარღვევს კონსტიტუციით გარანტირებულ მის უფლებას. შესაბამისად, დიფუზიური კონტროლის უარყოფით მხარედ შეიძლება, ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ სამართალწარმოება ვერ დაიწყება თუ კონკრეტული უფლების დარღვევას ადგილი არ აქვს.

1.5.2. კონცენტრირებული საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მოდელი

52 დიფუზიური მოდელისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების კონცენტრირებული მოდელის მიხედვით, საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას კონცენტრირებულად ახორციელებს ამისთვის სპეციალურად შექმნილი ორგანო. აღნიშნული ორგანოს ფუნქციაა სპეციალური, საერთო სასამართლოებისგან განსხვავებული სამართალწარმოება, რომელსაც ის ახორციელებს დამოუკიდებლად - საკონსტიტუციო სამართალწარმოების გზით.

53 ამ მოდელში მოიაზრება არამხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოები როგორც ასეთი, არამედ არსებობს ისეთი სპეციალიზებული ორგანოები, როგორებიცაა ე.წ.

⁵¹ გიორგაძე. თანამედროვე კონსტიტუციური სამართალი, გვ.70-71

კვაზისასამართლო ორგანოები, მაგალითად, საკონსტიტუციო საბჭო ან საკონსტიტუციო კომიტეტი, პალატა და სხვა. ამ მოდელის თავისებურებას წარმოადგენს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა საერთო მართლმსაჯულების სისტემისგან, კარგად ორგანიზებული, სპეციალიზებული ორგანოს არსებობა, რომელიც უფლებამოსილია, აკონტროლოს ნორმატიული აქტების მთელი სისტემის კონსტიტუციურობა. ასეთი სისტემა საკმაოდ ქმედითია, რაც იქედან გამომდინარეობს, რომ მის მიერ არაკონსტიტუციურად გამოცხადებული სამართლებრივი აქტები უნდა გაუქმდეს. კონცენტრირებული მოდელის შემთხვევაში, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანოების მიერ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა ნიშნავს ამ კანონის მოქმედების გაუქმებას პარლამენტის დამატებითი გადაწყვეტილების გარეშე.

საერთო სასამართლოებისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლო არ უდგას სათავეში სასამართლოების ინსტანციურ სისტემას. ძირითად შემთხვევებში ის ერთადერთია ქვეყანაში. იმ ფედერაციულ სახელმწიფოებში, სადაც ფედერაციულ სუბიექტებს აქვთ თავიანთი საკონსტიტუციო სასამართლოები, ეს სასამართლოები დამოუკიდებლები არიან, თუმცა მათი კომპეტენცია შეზღუდულია.⁵² გერმანიის მაგალითზე შეიძლება, ნათლად გაშუქდეს აღნიშნული საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფედერალურ მიწას (das Bundesland) თავისი მიწის საკონსტიტუციო სასამართლო (Das Landesverfassungsgericht) აქვს, ისინი განიხილავენ კონკრეტული მიწის კანონების შესაბამისობას შესაბამისი მიწის კონსტიტუციასთან, ხოლო გერმანიაში გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება შეუძლია მხოლოდ გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს (Das Bundesverfassungsgericht).⁵³

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ევროპულ მოდელს მე-19 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. 1849 წელს გერმანიის ლიბერალმა რეფორმატორებმა ფრანკფურტში ე.წ. „წმინდა პავლეს ეკლესიის“ სხდომაზე (Paulskirchenversammlung) წარადგინეს კონსტიტუციის (Frankfurter Reichsverfassung (FRV) ასევე იწოდება, როგორც Paulskirchenverfassung) პროექტი, რომელიც შეიცავდა არა მარტო ადამიანის უფლებათა ჩამონათვალს, არამედ ითვალისწინებდა მათი დაცვის გარანტიებს.

⁵² Ipsen, Staatsrecht I, Staatsorganisationsrecht, 12. Neubearbeitete Aufgabe. S. 201, Degenhart, Staatsrecht, Staatsorganisationsrecht 333, Hillgruber/Goos, Verfassungsprozessrecht, 3. Auflage. S. 19.

⁵³ გერმანიის ძირითადი კანონის 93-ე მუხლის პირველი პუნქტი.

54

55

აღნიშნული მექანიზმი მოიაზრებდა ისეთი სპეციალური სასამართლოს შექმნას, რომელსაც ცენტრალური და მიწების/ლანდების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საკონსტიტუციო კონტროლის ექსკლუზიური უფლებამოსილება ექნებოდა. საინტერესოა, რომ წარდგენილი პროექტი მოქალაქეებსაც ანიჭებდა უფლებას, გაესაჩივრებინათ ხელისუფლების წარმომადგენელთა არაკონსტიტუციური ან უსამართლო ქმედებები. ეს ნორმა გაცილებით გვიან, დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ამოქმედდა.⁵⁴ ამ დებულებამ „მეორე სიცოცხლე“ გერმანიის 1949 წლის ძირითად კანონში (გერმანიის ფედერაციის კონსტიტუციაში) ჰპოვა.

- 56 საკონსტიტუციო მართლმსაჯულების კონცენტრირებული მოდელის თანახმად, შექმნილია ისეთი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც პირდაპირ ხელისუფლების არც ერთ შტოს მიეკუთვნება, რადგან მან უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების შტოებს შორის წონასწორობა და ამავდროულად, თითოეულის მიერ კონსტიტუციის შესრულება. თუმცა იგი მისი არსიდან, ფუნქციებისა და საქმის განხილვის წესიდან გამომდინარე, როგორც სასამართლო, ისე განიხილება. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ჩანაწერს ვხვდებით საქართველოსა და სხვა მრავალი ქვეყნის კონსტიტუციაში, სწორედ სასამართლო ხელისუფლების/მართლმსაჯულების თავში.
- 57 კონცენტრირებული მოდელი, დიფუზიურისგან განსხვავებით, არ ეყრდნობა კონკრეტულ პრეცედენტს. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი ვრცელდება არა მხოლოდ მოსარჩელეზე, არამედ არაკონსტიტუციური ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებით მთელს სისტემაზე ახდენს ზეგავლენას.
- 58 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის საბოლოო, სავალდებულო ხასიათის და ვრცელდება ყველაზე. ქართულ ლიტერატურაში⁵⁵ სახელდება რამდენიმე უპირატესობა კონცენტრირებული მოდელის სასარგებლოდ:

- დიფუზიური მოდელის პირობებში, განსხვავებით კონცენტრირებულიდან, ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების საკითხი დგება მხოლოდ

⁵⁴ *Wesel, Geschichte des Rechts. Von den Frühformen bis zur Gegenwart. 3., Auflage, München 2006, S. 559 f., Kempny, Die Staatsfinanzierung nach der Paulskirchenverfassung. Eine Untersuchung des Finanz- und Steuerverfassungsrechts der Verfassung des deutschen Reiches vom 28. März 1849. Tübingen 2011 S. 42–54.*

⁵⁵ იხ. გიორგაძე და კვრენჩილაძე, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდულები (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ხელნაწერის უფლების მითითება ლიანა გიორგაძის მიერ. თანამედროვე კონსტიტუციური სამართალი, გვ. 71-72

კონკრეტული დავის განხილვისას. ხოლო როცა საკონსტიტუციო მართლმსაჯულება არის ერთ ორგანოში კონცენტრირებული, საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება, მიმართოს მოსარჩელემ კონკრეტული დავის გარეშე კანონის არაკონსტიტუციურობის საფუძვლით.

- დიფუზიური მოდელის პირობებში, საერთო სასამართლოებში კონკრეტულ საქმეთა განხილვა შესაძლებელია მხოლოდ საერთო სასამართლოების ინსტანციების (?) გავლით, რაც შესაძლოა, საკმაოდ დიდი ხანი მიმდინარეობდეს, რადგან საერთო სასამართლოები სხვა კატეგორიის დავებსაც განიხილავენ და ასევე, საკმაოდ ძვირიც დაჯდეს სამივე ინსტანციაში დავა. საკონსტიტუციო სასამართლო კი მხოლოდ ამ ტიპის დავებს განიხილავს და დროშიც უფრო ეფექტურად ახორციელებს ამას.

- მნიშვნელოვანი საკითხია, რომ დიფუზიური მოდელის მიხედვით, სასამართლოს არ აქვს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება, რაც თავისთავად აბსურდულიც შეიძლება იყოს. მაგალითად, აშშ-ის უზენაესი სასამართლო მხოლოდ აცხადებს, რომ ნორმა არის არაკონსტიტუციური. მოსამართლეს შეუძლია, შეაჩეროს ამ ნორმის მოქმედება, აკრძალოს მისი გამოყენება სასამართლოების მიერ, მაგრამ ვერ აუქმებს მას. ამისთვის სასამართლომ უნდა მიმართოს კონგრესს ნორმის გაუქმების თხოვნით, რაც დროში გაწელილი პროცესია და მთელი ამ ხნის განმავლობაში ნორმა განაგრძობს მოქმედებას, თუმცა იგი არ გამოიყენება. კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებულ მოდელში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს აქვთ მონოპოლია კონსტიტუციის საბოლოო ინტერპრეტაციაზე, რაც, თავის მხრივ, სამართლებრივ უსაფრთხოებას ამყარებს. მოქალაქეებს აღარ აქვთ კონსტიტუციის განმარტების სხვაგვარი მოლოდინი.

- ძირითადი უპირატესობა, რაც კონცენტრირებულ მოდელს გააჩნია, არის სამართალწარმოების მაღალი ხარისხის უფრო დიდი და რეალური ალბათობა. გაცილებით ეფექტურია მართლმსაჯულება, როდესაც იგი ხორციელდება სპეციალიზებული სასამართლოს მიერ და არ არის შეჯერებული ერთი ტიპის სასამართლო ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში.

- სპეციალიზებული სასამართლო ორგანო იძლევა კონსტიტუციური სამართლებრივი კონფლიქტის უფრო დეტალურად და ამომწურავად

შესწავლის შესაძლებლობას, რაც ნაკლებად წარმოსადგენია საერთო სასამართლოების პირობებში, თუნდაც გამომდინარე მოსამართლეთა შესაბამისი კომპეტენციიდან.

- მნიშვნელოვანია, რომ კონცენტრირებული მოდელის პირობებში გადაწყვეტილება საყოველთაო ხასიათს ატარებს. იგი არ არის შეზღუდული პირთა წრით და ვრცელდება ყველაზე. ამასთან, ნორმა პირდაპირ ცხადდება არაკონსტიტუციურად და დამატებით სხვა ორგანოსთვის მიმართვა აღარ არის საჭირო.
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა, როცა საერთო სასამართლოებში მოქმედებს ინსტანციურობის პრინციპი. ამის გამოც პრიორიტეტულია კონცენტრირებული მოდელი.
- დიფუზიური მოდელის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს მთელი სასამართლო სისტემის უფლებამოსილება, იმსჯელოს კანონების კონსტიტუციურობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთო სასამართლოც მუდამ ორიენტირებულია კონსტიტუციის დაცვაზე, ყოველდღიურ რეჟიმში თვალყურს ადევნებს და მსჯელობს კანონების კონსტიტუციურობაზე.

59 საერთო ჯამში, ორივე მოდელი ეფექტურია იმის გათვალისწინებით, თუ რომელ - კონტინენტურ თუ დიფუზიურ სისტემაში მოქმედებს საკონსტიტუციო მართლმსაჯულება. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მოდელის შემთხვევაში, გამამწყვებია სწორედ მთლიანი მართლმსაჯულების სისტემის მოდელი, რადგან საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაც დიდწილად თვით სასამართლო ხელისუფლების შტოში მოიაზრება.

1.6. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ქართული მოდელი

60 მოქმედი კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პერიოდში, როგორც უკვე აღინიშნა, ქვეყანა იდგა გადაწყვეტილების მიღების წინაშე, თუ რომელ - დიფუზიურ თუ კონცენტრირებულ მოდელზე იქნებოდა კონსტიტუციური მართლმსაჯულება ორიენტირებული. საქართველოში ამ პერიოდისთვის არსებული სხვადასხვა ისტორიული ობიექტური მიზეზის გამო, კონცენტრირებულ მოდელზე შეჩერდა არჩევანი.

ზოგადად, ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისთვის კონსტიტუციური მართ- 61
 ლმსაჯულების შექმნის დროს ძირითად ორიენტირს წარმოადგენდა გერმანიის
 ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო.⁵⁶ ამის გამო უმრავლეს ქვეყნებში
 (ესტონეთის გარდა) აირჩიეს კონცენტრირებული კონსტიტუციური მართლმსა-
 ჯულების მოდელი.⁵⁷ ეს გადაწყვეტილება კონცენტრირებული კონსტიტუციური
 მართლმსაჯულების სასარგებლოდ კი უნდა აიხსნას ამ (აღმოსავლეთევროპული)
 ქვეყნების კონტინენტური ევროპის სამართლებრივ ტრადიციებთან ახლო
 ურთიერთობით.⁵⁸

კონცენტრირებული მოდელის მიღება სწორი ნაბიჯი იყო საქართველოში იმ 62
 დროისათვის არსებული პოლიტიკური ლანდშაფტისა და ამავდროულად, საზოგა-
 დოების განწყობის გათვალისწინებით. პოსტსაბჭოთა რეალობაში საზოგადოებას არ
 ჰქონდა ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ, რადგან საბჭოთა კავშირში
 სასამართლო გამოიყენებოდა პოლიტიკურ იარაღად ადამიანების მიმართ და იგი
 სამართლიანობაზე უფრო უსამართლობის სიმბოლო იყო. სწორედ ამიტომ, უკეთესი
 იქნებოდა ისეთი (საქართველოსთვის ახალი) დამოუკიდებელი ინსტიტუციის
 ჩამოყალიბება, რომელიც არ ასოცირდებოდა ზოგადად სასამართლო სისტემასთან.
 ამით საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდა კარგი საწყისი იმისთვის, რომ
 მოეპოვებინა მეტი ავტორიტეტი და ნდობა საზოგადოებაში. ასეც მოხდა,
 სასამართლომ თავისი საქმიანობის დასაწყისიდან შეძლო, გამხდარიყო
 ინსტიტუცია, რომელიც სარგებლობდა საკმაოდ კარგი რეპუტაციით.

გარდა მოდელის შერჩევისა, უნდა შერჩეულიყო საკონსტიტუციო სასამართლოს 63
 უფლებამოსილებათა არეალი. ფუნქციურად საქართველოს საკონსტიტუციო
 სასამართლოს უფლებამოსილებად მაშინ კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი
 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით და (კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-60 მუხლის მე-4
 პუნქტით) ინდივიდუალური სარჩელების შემოწმებისთვის მხოლოდ ნორმატიული
 აქტების კონტროლის უფლებამოსილება მიენიჭა. შესაბამისი კომპეტენციის
 არარსებობის გამო, საკონსტიტუციო სასამართლო თავისი პრაქტიკით გამოირიცხავს

⁵⁶ *Garlicki*, Das Verfassungsgericht im politischen Prozeß. S. 278 f. In: Luchterhand, Otto (Hrsg.), Neue Regierungssysteme in Osteuropa und der GUS: Probleme der Ausbildung stabler Machtinstitutionen. Berlin, 1996 S. 275-319. გვ. 285.

⁵⁷ *Gaul*, Verfassungsgebung in Georgien. S. 242.

⁵⁸ *Garlicki*, Das Verfassungsgericht im politischen Prozeß. S. 278 f. In: Luchterhand, Otto (Hrsg.), Neue Regierungssysteme in Osteuropa und der GUS: Probleme der Ausbildung stabler Machtinstitutionen. Berlin, 1996 S. 275-319. გვ. 286.

ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის დადგენას, ე.წ. რეალურ კონტროლს.

- 64 1995 წლიდან დღემდე საქართველოს კონსტიტუციაში რამდენიმე სისტემური ცვლილება შევიდა. 2016 წლამდე ორჯერ მოხდა მისი გენერალური რევიზია, თუმცა კონსტიტუციური კონტროლის ფარგლებს ინდივიდუალურ სარჩელებთან მიმართებით ცვლილება არ შეხებია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მრავალგზის აღინიშნა,⁵⁹ რომ საქართველოში ამჟამად არსებული ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის მოდელის სისტემა არ არის ეფექტური. აღნიშნული საკითხი დღემდე რჩება კანონმდებლის/უმრავლესობის შეხედულებად. კონსტიტუციის ბოლო გადასინჯვით დადგა ისტორიული შანსი იმისთვის, რომ გაძლიერებულიყო კონსტიტუციური კონტროლის ქართული მოდელი.
- 65 ბოლო, 2017 წლის საკონსტიტუციო კომისიის წევრებს შორის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა გაფართოებას რეალური კონტროლის მიმართულებით საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ერთსულოვანი მხარდაჭერა არ ჰქონია კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში არც ერთ სხვა საკითხს, როგორც ამ ინსტიტუციის უფლებამოსილებების გაფართოებას ჰქონდა.⁶⁰ თუმცა, აღნიშნულმა ინიციატივამ ვერ მოიპოვა კომისიაში მმართველი გუნდის უმრავლესობის მხარდაჭერა. კომისიის ცხრა წევრის მიერ 2017 წლის 22 აპრილს საბოლოო კენჭისყრაზე დაყენებული ცვლილება ჩავარდა.
- 66 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი სარჩელის საფუძველზე რეალური აქტების კონსტიტუციურობის დადგენის უფლებამოსილება. აღნიშნულ პოზიციას იზიარებს ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილი.⁶¹

⁵⁹ აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, 2006 წლის 28 ნოემბერი, პ. 22-24, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეს მოდელი, როგორც „რეალური“.

⁶⁰ ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური კონტროლი კვლავ კონსტიტუციის გადასინჯვის მიღმა. სამეცნიერო ჟურნალის „აკადემიური მაცნე“ 2017 წლის სპეციალური გამოცემა. „საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“. გვ. 8-9

⁶¹ *Khubua*, Grund- und Menschenrechte in Georgien, in Handbuch der Grundrechte C.F Müller, Heidelberg 2016 გვ. 922; *კახიანი*, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2008, *Phirts Khalashvili*, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995, Potsdam 2010, S. 89; *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2015. S. 257; *გუგუნავა*, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში, სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი 2012; *Erkvania*, Verfassung und Verfassungsgerichtsbarkeit in Georgien, Nomos Berlin, 2017; *მუნაბდე*, კონკრეტული კონტროლის პარადიგმა კონსტიტუციონალიზმში ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, 2012; *ფირცხალაშვილი*, საკონსტიტუციო

აღნიშნული ფუნქციის გარეშე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ 67
 ახორციელებს სრულ კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას იმ აქტებზე, რომელიც
 შესაძლოა, არღვევდეს ადამიანის ძირითად უფლებებს და არ იყოს ნორმატიული.

მართალია, სასამართლოს გადაწყვეტილების კონსტიტუციური კონტროლი არ 68
 წარმოადგენს კონსტიტუციური მართლმსაჯულების აუცილებელ შემადგენელ
 კომპონენტს⁶², მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მან გერმანიის ისტორიაში⁶³
 გადამწყვეტი როლი ითამაშა ძირითადი უფლებების ეფექტიანად განხორციელებაში
 და ამით საკუთარი წვლილი შეიტანა კონსტიტუციით გარანტირებული სამართლებ-
 რივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ 69
 კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. შესაბამისად, კონსტიტუციური
 კონტროლი უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ ნორმატიულ, არამედ, ასევე,
 ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებზე. სხვაგვარად ირღვევა კონსტიტუციის
 უზენაესობის პრინციპი.

კონსტიტუციური კონტროლის კუთხით, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, 70
 რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებული
 უფლებები სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ უშუალოდ მოქმედ სამართალს
 წარმოადგენს. ამიტომაც, კონსტიტუციური კონტროლის ფარგლებში უნდა მოექცეს
 მთელი სახელმწიფო ხელისუფლება, რადგან იგი ადამიანის ძირითადი უფლებებით
 არის შებოჭილი. სასამართლო სისტემაც წარმოადგენს მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში
 აღნიშნულ ხელისუფლებას, ამიტომ კონსტიტუციური კონტროლი ვრცელდება ასევე,
 სასამართლო ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. სასამართლო
 ხელისუფლება ისე, როგორც დანარჩენი ორი შტო, შეზღუდულია ადამიანის
 კონსტიტუციური უფლებებით.

სასამართლოს რეალური კონტროლი კვლავ კონსტიტუციის გადასინჯვის მიღმა. სამეცნიერო ჟურნალის „აკადემიური მაცნე“ 2017 წლის სპეციალური გამოცემა. „საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“. გვ. 8-9 აკადემიური მაცნეს სპეციალური გამოცემა. გვ. 7-19. 2017 წ.

⁶² Bethge, in Maunz/ Schmidt-Bleibtreu/Klein/Bethge Bundesverfassungsgerichtsgesetz, kommentar, Band 1, S. 17. Rn.4. 2017, CH Beck, München. Lechner Hans/ Zuck Rüdiger, Bundesverfassungsgerichtsgesetz, Kommentar, 2015 C.H. BECH München.

⁶³ Prof. Dr. iur. Christoph Degenhart, Verfassungsreform Georgien Rechtsgutachtliche Stellungnahme zum Entwurf der Verfassungskommission – Stand 24.03.2017. 43-45. პროფ. დოქტორი კრისტოფ დეგენჰარტი, კონსტიტუციის რეფორმა საქართველოში, სამართლებრივი ანალიზი საკონსტიტუციო კომისიის მიერ 24.03.2017 წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, გვ. 36-39.

- 71 საქართველოს კონსტიტუციის მთავარი ღირებულება სწორედ ადამიანია.⁶⁴ ადამიანის კონსტიტუციით აღიარებული უფლებები კი ბოჭავს სახელმწიფო ხელისუფლებას, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. თუკი ადამიანის ძირითადი უფლებები ირღვევა ნორმატიული აქტით (საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ), მას უფლება აქვს, მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. მაგრამ თუკი მისი კონსტიტუციური უფლება სასამართლოს გადაწყვეტილებით დაირღვა, იგი ვერ გამოიყენებს კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმს. საკუთარი უფლებების დასაცავად მას სხვა მექანიზმების გამოყენება სჭირდება, მაგალითად, ქვეყნის გარეთ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ეძიოს სამართლიანობა. შესაბამისად, თუ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ყველა ადამიანს არ ექნება სრულყოფილი შესაძლებლობა, სასამართლო ხელისუფლების მიერ მათი დარღვეული კონსტიტუციური უფლებები საკონსტიტუციო სასამართლოს გზით ეფექტურად იქნას დაცული, მათი ძირითადი უფლებები კარგავს აზრს და ილიზორული ხდება. კონსტიტუცია კი ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ დეკლარაციულ და ამავდროულად ფიქტიურ ხასიათს ატარებს.⁶⁵
- 72 საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ვერ გადასინჯავს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებას. საქართველოს კონსტიტუცია არ განიხილავს მას საერთო სასამართლოების ნაწილად. ეს ცალსახად არის იმის განმაპირობებელი, რომ საერთო სასამართლოთა სამართალწარმოებაში იშვიათად ვხვდებით კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ძირითადი უფლებების განმარტებას და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით მიღებულ გადაწყვეტილებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი სტანდარტი არ არის ქართულ მართლმსაჯულებაში ერთიანი. თეორიულად შესაძლებელია, რომ სასამართლო სისტემა ორი განსხვავებული სტანდარტით მუშაობდეს. არსებული ნორმატიული საკონსტიტუციო სარჩელის მოდელი კი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საკონსტიტუციო წესით გასაჩივრდეს საერთო სასამართლოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შესაძლოა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, ნორმის ან კონსტიტუციის განმარტებას

⁶⁴ იზორია, ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013.

⁶⁵ ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური კონტროლი კვლავ კონსტიტუციის გადასინჯვის მიღმა. აკადემიური მანეს სპეციალური გამოცემა. გვ. 10 2017 წ.

ენინააღმდეგებოდეს. თუ დავუშვებთ, რომ საერთო სასამართლოს პრაქტიკა ენინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, პირი აღნიშნულ გადაწყვეტილებას ვერსად გაასაჩივრებს, თუკი არ ჩავთვლით იმ შანსს, რომელსაც იძლევა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობის ახლადდამკვიდრებული პრაქტიკა.⁶⁶

1.7. სასამართლოს მიერ „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობა

საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელ სამართალწარმოებაში საკმაოდ ფართოდ დამკვიდრდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული ახალი პრაქტიკა „ნორმის ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით. მოსარჩელეს შეუძლია, მოითხოვოს არა მხოლოდ მთელი ნორმის ან მისი ნაწილის გაუქმება, არამედ სადავო ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობა. თუ მას მიაჩნია, რომ რომელიმე კონკრეტული რეგულაცია სხვაგვარი „ნორმატიული შინაარსის“ მატარებელი უნდა იყოს, იგი სასარჩელო მოთხოვნად ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვს.

73

ნორმატიული შინაარსი მრავალგვარი შეიძლება იყოს. საკონსტიტუციო სასამართლოს ახალ პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია გადაწყვეტილებები, როდესაც გაუქმდა არა სადავო ნორმა ან მისი სიტყვები, არამედ მასში ნაგულისხმები შინაარსი. ამ შემთხვევაში, ნორმა რჩება კანონის ტექსტში, მაგრამ იგი ზოგიერთ შემთხვევაში არ მოქმედებს. სასამართლოს მიერ ბოლო დროს დამკვიდრებული ამგვარი პრაქტიკის საშუალებით საკონსტიტუციო სასამართლო უფრო მოქნილია და შეუძლია, ეფექტიანად დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებზე - კონკრეტულ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების - რეალური კონტროლის უფლება. იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გასაჩივრების უფლება პირს არ აქვს, სასამართლო ეფექტურად იყენებს „ბოლო“ შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ინსტრუმენტს. მის დადებით

74

⁶⁶ იქვე.

მხარეებთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ „ნორმატიული შინაარსის“ დამკვიდრებული პრაქტიკა სადაოა თეორიულად და პრაქტიკოს იურისტთა შორის, რადგან მას აქვს უარყოფითი მხარეებიც.⁶⁷

75 „ნორმატიული შინაარსის“ ინსტიტუტი ფაქტია, შეიცავს რეალური კონტროლის ნიშნებს, მაგრამ განსაზღვრული სისტემატიზაციის გარეშე, რადგან ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლოს რეალურ კონტროლს ახასიათებს: 1. ყველა სამართლებრივი გზის ამოწურვის მოთხოვნა და 2. კონკრეტული ვადის ფარგლებში სასამართლოსადმი მიმართვა. საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ „რეალურ კონტროლს“ ეს არ ახასიათებს. შესაბამისად, პირმა შესაძლოა, სასამართლოს მიმართოს იმ შემთხვევაშიც თუ საქმე სასამართლო წარმოების რომელიმე ეტაპზე⁶⁸ და ნებისმიერ დროს, ყოველგვარი ვადის დაცვის გარეშე.

76 ცალსახაა ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული პრაქტიკა იმის მანიშნებელია, რომ სასამართლოს ადამიანის უფლებათა უფრო ეფექტური დაცვისთვის ესაჭიროება რეალური კონტროლის მექანიზმი.⁶⁹ შესაბამისად, კანონმდებლის ვალდებულებაა, კონსტიტუციური ჩანაწერით მისცეს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, იყოს მეტად ეფექტიანი ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ისე, რომ, მეორე მხრივ, არ დაირღვეს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი.⁷⁰

1.8. საკონსტიტუციო კონტროლის სახეები

77 საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ხორციელდება საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით, იგი ატარებს რეპრესიულ და სავალდებულო ხასიათს. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება შესაძლებელია, იყოს კონკრეტული ან აბსტრაქტული, როგორც მატერიალური, ისე ფორმალური, ე.წ. რეალური და არარეალური.

78

⁶⁷ იქვე, გვ. 11-12.

⁶⁸ მაგალითისთვის იხ. №678 და №719 კონსტიტუციური სარჩელები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველად მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე სამართალწარმოება საერთო სასამართლოების სისტემაში მიმდინარეობდა.

⁶⁹ ფირცხალაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური კონტროლი კვლავ კონსტიტუციის გადასინჯვის მიღმა. აკადემიური მაცნეს სპეციალური გამოცემა. გვ. 11-12.

⁷⁰ იხ. დეტალურად ქვეთავი 3.1.6.

ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის ფარგლებში, რაზეც შესაბამისი სახელიც მეტყველებს, განიხილება ის საქმეები, რომლებიც ობიექტური გარემოებების გამო, კანონის არაკონსტიტუციურობაზე იქნა წამოწყებული, დამოუკიდებლად იმისა, არსებობს თუ არა კონკრეტული საქმისწარმოება სასამართლოში.

აბსტრაქტულ ნორმათა კონტროლისგან განსხვავებით, კონკრეტულ ნორმათა კონტროლი წარმოიშობა შესაბამისი სამართლებრივი დავის ფარგლებში და სასამართლო ამ შემთხვევაში, საქმეში გამოყენებული ნორმის კონსტიტუციურობაზე მსჯელობს კონკრეტულ საქმესთან მიმართებით. იგი ძირითადად საერთო სასამართლოების მიერ კონკრეტული საქმის განხილვასა და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წარდგინებით მიმართვას უკავშირდება.

79

არსებობს წინასწარი (აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე მისი კონსტიტუციურობის წინასწარი შემოწმება)⁷¹ და შემდგომი (კანონიერ ძალაში შესული აქტის შემოწმება) კონტროლი.⁷²

80

წინასწარი, პრევენციული კონტროლის უფლებამოსილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში გააჩნია, როცა იგი საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის წარდგინების საფუძველზე განიხილავს რატიფიცირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს;

81

პრევენციული კონტროლის უფლებამოსილებითაა აღჭურვილი მაგალითად, საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭო.⁷³

82

როდესაც საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ ჩვეულებრივი პროცედურის გამოყენებით, სახეზეა დეცენტრალიზებული კონტროლი, ხოლო, როცა სპეციალიზებული სასამართლო შესაბამისი სპეციალური პროცედურების საშუალებით ახორციელებს საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას - ცენტრალიზებული კონტროლი.

83

⁷¹ Maurer, Staatsrecht I: Grundlagen, Verfassungsorgane, Staatsfunktionen 6., überarbeitete und ergänzte Auflage. 2010. Verfassungsprozessrecht. §§ 66-78

⁷² იქვე.

⁷³ იხ. მეტი Stelten, Der prozessuale Schutz der Grundrechte in Frankreich in: Gerichtlicher Grundrechtsschutz in Frankreich, 83. 20 – 207 1. Edition 2018.

1.9. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

- 84 ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებულ იქნა 1999 წლის 27 აპრილს, იმავე წლის 20 მაისს იგი ძალაში შევიდა. მნიშვნელოვანია, რომ თვით რატიფიცირებამდეც, როცა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავზე მუშაობა მიმდინარეობდა, ჩვენს კონსტიტუციაში გათვალისწინებულ იქნა ბევრი დებულება, რომელიც განმტკიცებული იყო ევროპულ კონვენციაში.
- 85 აქედან გამომდინარე, ძალიან დაბალია იმის ალბათობა, რომ კოლიზია იყოს საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას შორის. თუმცა, არასწორი იქნება კოლიზიის შემთხვევების აბსოლუტურად გამორიცხვა.
- 86 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის, პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, თეორიულად შეიძლება, საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმა არაკონსტიტუციურად გამოცხადდეს. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება ან მისი ცალკეული დებულება ბათილად იქნება ცნობილი, ევროპული კონვენციის ცალკეული დებულება ვერ იქნება ბათილად ცნობილი, რადგან საერთაშორისო სამართალი არ უშვებს ხელშეკრულების დებულების დანაწილებას. კერძოდ, „საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მონაწილე მხარეს არ აქვს უფლება, შეწყვიტოს ხელშეკრულების ცალკეული დებულების მოქმედება მის მიმართ, თუ ხელშეკრულებით ეს არ არის გათვალისწინებული ან მხარეები ამაზე სხვაგვარად არ შეთანხმდნენ.⁷⁴

87

⁷⁴ ვენის კონვენციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ბათილად ცნობა ნიშნავს, რომ იგი კარგავს იურიდიულ ძალას გამოქვეყნების მომენტიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული კონვენცია არა მხოლოდ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის, არამედ საერთაშორისო სამართლის წყაროა, მხედველობაშია მისაღები მისი იურიდიული ძალის დაკარგვის ორივე ასპექტი: შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო. საერთაშორისო ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად ევროპული კონვენცია აღარ გავრცელდება საქართველოში. თეორიულად დასაშვებია, რომ ევროპულმა კონვენციამ დაკარგოს იურიდიული ძალა საქართველოში, შეწყვიტოს მოქმედება, როგორც შიდასახელმწიფოებრივმა ნორმატიულმა აქტმა, მაგრამ გააგრძელოს მოქმედება, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებამ, რომელიც საერთაშორისო დონეზე წარმოშობს ვალდებულებებს ქვეყნისთვის. ასეთი მიდგომა უკიდურესად დიდი რისკის ქვეშ დააყენებდა საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებას სახელმწიფოს მიერ.⁷⁵

88

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებს პირდაპირ არ აყრდნობს პოლიტიკურ მოტივებს, იგი აუცილებლად ითვალისწინებს ქვეყნის კონსტიტუციური წესრიგის საყრდენს, ევროპულ ღირებულებებს. შესაბამისად, იგი ვერ უგულებელჰყოფს ევროპული კონვენციის დენონსირების ნეგატიურ სამართლებრივ და პოლიტიკურ შედეგებს, რასაც გამოიწვევს ევროპული კონვენციის ბათილად ცნობა.⁷⁶

89

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სფეროში შედის სასამართლოს უფლებამოსილება, არაკონსტიტუციურად გამოაცხადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, მაშინ სასამართლოს ეს ქმედება იქნება არამხოლოდ სამართლებრივად, არამედ სახელმწიფოს შიდა და გარე პოლიტიკურად უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება.

90

⁷⁵ კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, გვ.72. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2003 თბილისი.

⁷⁶ იქვე, გვ. 76.

თავი 2. საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოთა სტატუსი და ორგანიზაცია

2.1 საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა ფორმირება

- 91 საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა ფორმირება განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ როგორი მოდელი ფუნქციონირებს კონკრეტულ ქვეყანაში. კონცენტრირებული კონტროლის მოდელის მქონე ქვეყნებში, სადაც საკონსტიტუციო კონტროლი ცალკე, სპეციალიზებული ორგანოს მიერ ხორციელდება, მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების განსხვავებული კრიტერიუმები და პროცედურებია განსაზღვრული, განსხვავებით იგივე იმ შემთხვევისგან, როდესაც კონტროლი საერთო იურისდიქციის მოსამართლეების მიერ ხორციელდება.
- 92 საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა ფორმირების ძირითადი ასპექტები ძირითადი კანონით არის ხოლმე განსაზღვრული და შემდგომ, მის საფუძველზე ხდება მიმდინარე საკანონმდებლო აქტით დეტალური მოწესრიგება. როგორც წესი, კონსტიტუციაშია გაწერილი სასამართლოს წევრთა რაოდენობასთან, ფორმირებაში ჩართულ სუბიექტებთან და კრიტერიუმებთან დაკავშირებული საკითხები
- 93 საქართველოშიც საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირება კონსტიტუციით არის განსაზღვრული. გარდა ამისა, გარკვეული საკითხები დეტალურად მოწესრიგებულია ასევე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.
- 94 წინამდებარე ნაწილში განხილულია საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა ფორმირების წესი და პროცედურები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება კონცენტრირებული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელის პირობებში საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ მოწესრიგებაზე და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების პროცედურაზე.

2.2. ფორმირება დიფუზიური მოდელის პირობებში

- 95 დიფუზიური მოდელის მქონე სახელმწიფოებში, სადაც საკონსტიტუციო კონტროლი საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ ხორციელდება,

ბუნებრივია, მოსამართლეთა კორპუსის ფორმირება ხდება ისე, როგორც ეს ორდინალური შემადგენლობისთვის არის გაწერილი.

როგორც აღინიშნა, ამ მოდელის მქონე სახელმწიფოთა ნაწილში საკონსტიტუციო კონტროლს ყველა სასამართლო ინსტანცია ახორციელებს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლო იღებს (როგორც ეს მაგალითისთვის: აშშ-ში, არგენტინაში, მექსიკაში, იაპონიაში, სკანდინავიის ქვეყნებში ხდება). სხვაგან საკონსტიტუციო კონტროლს მხოლოდ უზენაესი სასამართლო ახორციელებს (როგორც ეს მაგალითად, ავსტრალიაში, ინდოეთში, კანადაში, ირლანდიაში, ლათინური ამერიკისა (მექსიკა, ბრაზილია) და აფრიკის რიგ სახელმწიფოებშია).⁷⁷

შეერთებულ შტატებში უზენაესი სასამართლოსა და ფედერალური სასამართლოს შემადგენლობა ინიშნება უვადოდ (უფრო სწორად *During good behavior*) სენატის advise and consent-ით.

მეორე შემთხვევაში, იქ, სადაც უზენაესი სასამართლო ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს, დამოუკიდებლობა სხვადასხვა ინსტრუმენტის მეშვეობით არის უზრუნველყოფილი. მოსამართლეები ინიშნებიან გუბერნატორის ან პრეზიდენტის მიერ, ხშირად ზედა პალატის ან პარლამენტის თანხმობით.

თავისებური წესი მოქმედებს იაპონიაში, სადაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები სიცოცხლის ბოლომდე დანიშნული არიან კაბინეტის (მთავრობის) მიერ.⁷⁸ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნა ხალხის მიერ გადაისინჯება ამ დანიშვნის შემდეგ წარმომადგენელთა პალატის პირველი საყოველთაო არჩევნების ჩატარებისას და შეიძლება, ხელახლა გადაისინჯოს წარმომადგენელთა პალატის წევრთა პირველ საყოველთაო არჩევნებზე 10 წლის შემდეგ.⁷⁹

⁷⁷ Morbideli, Pegoraro, Reposo, Volpi, Diritto pubblico Comparato, Terza edizione, G. Giappichelli Editore – Torino, 2009, p., 468

⁷⁸ იაპონიის კონსტიტუციის 79-ე მუხლი, პირველი პუნქტი

⁷⁹ იაპონიის კონსტიტუციის 79-ე მუხლი, პირველი პუნქტი

2.2. საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირება

100 საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირება გამორჩეული მნიშვნელობის საკითხია. სხვადასხვა ქვეყანა ფორმირების განსხვავებულ წესს იცნობს, განსხვავებული სუბიექტები და დისკრეციის ფარგლებია განსაზღვრული. განსხვავებულია ასევე ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლე. თუმცა, რა თქმა უნდა, მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების პროცედურებში გვხვდება ასევე საერთო ხასიათის ნიშნებიც. წინააღმდეგარე ქვეთავში განხილულია, ერთი მხრივ, საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება და, მეორე მხრივ, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა.

2.2.1. პროცედურა

101 საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესი სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულად რეგულირდება. რიგ შემთხვევებში, პროცედურაში ჩართულია ხელისუფლების სამივე შტო. ასე მაგალითად, ბულგარეთში,⁸⁰ ესპანეთში, იტალიაში, უკრაინაში⁸¹ და ა.შ.

102 რიგ შემთხვევებში, მხოლოდ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება მონაწილეობს. ასე მაგალითად, ავსტრიაში, რუმინეთში,⁸² ჩეხეთში,⁸³ სომხეთში და ა.შ.

103 არის შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა არჩევა (დანიშვნა) მხოლოდ საკანონმდებლო ან სახელმწიფოს მეთაურის მიერ

⁸⁰ ბულგარეთის კონსტიტუციის 147-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 12 მოსამართლისგან, რომელთა 1/3-ს ირჩევს ეროვნული კრება, 1/3-ს ნიშნავს პრეზიდენტი და 1/3-ი აირჩევა უმაღლესი საკასაციო სასამართლოსა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გაერთიანებულ სხდომაზე. იმავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები ირჩევენ სასამართლოს თავმჯდომარეს ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით.

⁸¹ უკრაინის კონსტიტუციის 148-ე მუხლის თანახმად, უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 18 მოსამართლისგან. მე-2 პუნქტის თანახმად, უკრაინის პრეზიდენტი, უკრაინის უმაღლესი რადა და უკრაინის მოსამართლეთა ყრილობა ნიშნავს უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს 6-6 მოსამართლეს.

⁸² რუმინეთის კონსტიტუციის 140-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 წლის ვადით დანიშნული 9 მოსამართლისგან, ვადის გაგრძელების ან გახანგრძლივების გარეშე. მე-3 პუნქტის თანახმად, 3 მოსამართლეს ნიშნავს დეპუტატთა პალატა, სამს - სენატი, ხოლო 3 - რუმინეთის პრეზიდენტი. საკონსტიტუციო სასამართლოს განახლება ხდება ყოველ 3 წელიწადში, სასამართლოს შესახებ ორგანული კანონით განსაზღვრული დებულების შესაბამისად.

⁸³ ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 10 წლის ვადით დანიშნული 15 მოსამართლისგან. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს სენატის თანხმობით ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ხდება. ასე მაგალითად, მხოლოდ საკანონმდებლო ორგანო მონაწილეობს უნგრეთში, გერმანიაში,⁸⁴ პოლონეთში,⁸⁵ ლიეტუვაში,⁸⁶ შვეიცარიაში.

თავის მხრივ, მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური ნიშნავს ავსტრიაში, ბელგიაში, დანიაში, ესპანეთში, თურქეთში⁸⁷ და ა.შ. 104

აქვე უნდა ითქვას, რომ შესაძლოა, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური ნიშნავდეს, თუმცა კანდიდატის წარდგენის უფლება სხვა შტოს პრეროგატივა იყოს. ამგვარი ვითარება გვხვდება ავსტრიაში, სადაც კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს თანამდებობაზე ნიშნავს პრეზიდენტი, თუმცა კანდიდატებს წარადგენს ფედერალური მთავრობა და პარლამენტის პალატები. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თორმეტივე წევრს თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიფოს მეთაური (მონარქი), ხოლო კანდიდატურების წარდგენაში მონაწილეობს როგორც პარლამენტი, ასევე მთავრობა და სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭო. 105

იტალიაში საკონსტიტუციო ასამბლეამ უარი თქვა რა, რომ საკასაციო სასამართლოს განეხორციელებინა საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქცია, მალევე აიღო ორიენტაცია სპეციალური ორგანოს მიმართულებით. იტალიის კონსტიტუციის 135-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 15 მოსამართლისგან, რომელთაგან 3-3 ინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტის, 106

⁸⁴ გერმანიის ძირითადი კანონის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ფედერალური მოსამართლეებისგან და სხვა წევრებისგან. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები თანაბარი რაოდენობით აირჩევიან ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის მიერ.

⁸⁵ პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 194-ე მუხლის, პირველი პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო ტრიბუნალი შედგება სეიმის მიერ 9 წლის ვადით ინდივიდუალურად არჩეული იურიდიული განათლების მქონე 15 მოსამართლისგან. დაუმუშავებელია ტრიბუნალის შემადგენლობის ხელახლა არჩევა.

⁸⁶ ლიეტუვას კონსტიტუციის 103 -ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა წლის მხოლოდ ერთი უფლებამოსილების ვადით დანიშნული ცხრა მოსამართლისგან. საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა ყოველ 3 წელიწადში ერთი მესამედით განახლდება. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატებს დაასახელებს სეიმი, რომელთაგან სამი წარმოდგენილი უნდა იყოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, სამი - სეიმის თავმჯდომარის, ხოლო სამი - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

⁸⁷ თურქეთის კონსტიტუციის 146-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 11 ძირითადი და 4 სათადარიგო წევრისგან. რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს 2 ძირითად და 2 სათადარიგო წევრს უმაღლესი სააპელაციო სასამართლოდან, 2 ძირითად და 1 სათადარიგო წევრს - სახელმწიფო საბჭოდან და თითო წევრს - უმაღლესი სამხედრო სააპელაციო სასამართლოდან, უმაღლესი სამხედრო ადმინისტრაციული სასამართლოსა და აუდიტორული სასამართლოდან, ყოველ ვაკანტურ თანამდებობაზე ყოველი სასამართლოს საერთო კრების მიერ წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით თავმჯდომარისა და წევრებისგან წარდგენილი სამი კანდიდატიდან; რესპუბლიკის პრეზიდენტი აგრეთვე ნიშნავს ერთ წევრს უმაღლესი განათლების საბჭოს მიერ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა მასწავლებლებისგან წარდგენილი სამი კანდიდატიდან, რომლებიც არ არიან საბჭოს წევრები და სამ წევრსა და ერთ სათადარიგო წევრს - მაღალი თანამდებობის პირებისა და იურისტებისგან.

პალატების ერთობლივ სხდომაზე პარლამენტისა და უმაღლესი საერთო და ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ.

107 თავის მხრივ, 1953 წლის 11 მარტის N 87 კანონით განსაზღვრულია პარლამენტის მიერ მისაღები გადაწყვეტილების დეტალები, კერძოდ, პალატების ერთობლივ სხდომაზე პირველ სამ ტურში განსაზღვრულია პარლამენტის 2/3 მხარდაჭერის საჭიროება, შემდგომ ტურებში კი - 3/5-ის უმრავლესობა. უნდა ითქვას, რომ თავიდანვე პრეზიდენტმა უარყო ის მიდგომა, რომ მოსამართლეთა დანიშვნის თაობაზე გამოცემული აქტი შინაარსობრივად იყო სამთავრობო ხასიათის და მიიჩნია, რომ ეს მისი დისკრეციული უფლებამოსილება იყო.⁸⁸

108 ანალოგიური, თუმცა არაიდენტური ვითარება ფიქსირდება ესპანეთში, სადაც საკონსტიტუციო ტრიბუნალი იმგვარად არის დაკომპლექტებული, რომ დაცული იყოს ბალანსი საპარლამენტო, სამთავრობო და სასამართლო ნომინირებებს შორის. ესპანეთის სამეფოში 12-ვე მოსამართლე ფორმალურად დანიშნულია მონარქის მიერ. აქედან 4 ინიშნება ქვედა პალატის - კონგრესის წარდგენის საფუძველზე, 4 სენატის წარდგენის საფუძველზე. ორივე შემთხვევაში საჭიროა 3/5-იანი უმრავლესობა. ორი წევრი წარდგენილია მთავრობის მიერ, ხოლო ორიც სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭოს მიერ.⁸⁹ როგორც იკვეთება, იტალიასთან შედარებით მეტი დისბალანსია სასამართლოსთან მიმართებაში უმრავლესობა/მთავრობის სასარგებლოდ.⁹⁰

109 ბულგარეთში სასამართლო შედგება 12 წევრისგან, საიდანაც 3 ეროვნული საბჭოს მიერ არის არჩეული, 3-ს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი და 3-იც აირჩევა უმაღლესი საკასაციო სასამართლოსა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გაერთიანებულ სხდომაზე.⁹¹

110 მსგავსი სურათი გვხვდება ლიეტუვაშიც, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატებს დაასახელებს სეიმი, რომელთაგან სამი წარმოდგენილი უნდა იყოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, სამი - სეიმის თავმჯდომარის, ხოლო სამი - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.⁹²

⁸⁸ *Morbidelli, Pegoraro, Reposo., Volpi., Diritto Pubblico Comparato*, G. Giappichelli Editore – Torino, Terza Edizione, P., 471
⁸⁹ იხ., ესპანეთის სამეფოს კონსტიტუციის 159-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁰ *Morbidelli, Pegoraro, Reposo., Volpi., Diritto Pubblico Comparato*, G. Giappichelli Editore – Torino, Terza Edizione, P., 471

⁹¹ იხ., ბულგარეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 147-ე მუხლი.

⁹² იხ., ლიეტუვას კონსტიტუციის 103-ე მუხლის პირველი პუნქტი.

- რიგი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასამართლოს ფორმირების პროცესის ზემოაღნიშნულ ბალანსში არ გვხვდება სასამართლო ხელისუფლება. მაგალითად, სლოვაკეთის რესპუბლიკაში საკონსტიტუციო სასამართლოს 10 მოსამართლე განწესებულია პრეზიდენტის მიერ, რომელიც ეროვნული საბჭოს მიერ წარდგენილი 20-კაციანი სიიდან შეირჩევა.⁹³ 111
- რუმინეთშიც საკონსტიტუციო სასამართლოს 9 წევრს ნიშნავს დეპუტატთა პალატა, სენატი და პრეზიდენტი. მსგავსი სურათია ალბანეთში⁹⁴, სომხეთსა და ბელორუსიაში. 112
- უნგრეთში საკონსტიტუციო სასამართლოს 15 წევრი არჩეულია პარლამენტის 2/3-ის მიერ. 113
- პოლონეთშიც 15 წევრი არჩეულია სეიმის მიერ. რუსეთის ფედერაციაში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევს ფედერაციული საბჭო პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე. ამგვარი მოდელია ასევე აზერბაიჯანის რესპუბლიკაშიც. 114
- აღმოსავლეთ ევროპის მიღმა, მაგალითად, პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუცია პარლამენტს ანიჭებს 13-დან 10 მოსამართლის განწესების უფლებამოსილებას. 115
- ბოლივიასა და პერუში საკონსტიტუციო ტრიბუნალის ყველა წევრი არჩეულია ეროვნული საბჭოს მიერ ხმათა 2/3-ით. კოლუმბიაშიც მსგავსი მოდელია, იმ განსხვავებით, რომ სენატი შებოჭილია იმ სიებით, რომლებსაც წარუდგნს პრეზიდენტი, უზენაესი სასამართლო და სახელმწიფო საბჭო. 116
- რიგ შემთხვევებში, მოსამართლეების თანამდებობაზე განწესებისას გათვალისწინებულია ცენტრისა და ფედერალური ერთეულების თანაბრად წარმომადგენლობის უზრუნველყოფის საკითხი. ასე მაგალითად, გერმანიაში საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 16 მოსამართლისგან, საიდანაც 8 არჩეულია ბუნდესრატის მიერ და 8-ც ბუნდესტაგის მიერ ხმათა 2/3 უმრავლესობით. 117

⁹³ Morbidelli, Pegoraro, Reposo., *Volpi.*, Diritto Pubblico Comparato, G. Giappichelli Editore – Torino, Terza Edizione, P., 471 P.

⁹⁴ ალბანეთის კონსტიტუციის 125-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისგან, რომლებიც ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ კუვენდის თანხმობით. 1/3 განახლება ყოველ სამ წელიწადში კანონით დადგენილი პროცედურის თანახმად.

2.2.2. ცენზები

- 118 საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მიმართ, თავისი მაღალი სტატუსიდან და უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ფუნქციიდან გამომდინარე, სახელმწიფოების კანონმდებლობები, როგორც წესი, საკმაოდ მაღალ მოთხოვნებსა და მთელ რიგ ცენზებს ითვალისწინებს.
- 119 ქვეთავში განხილულია სწორედ ის ცენზები, მოთხოვნები, კრიტერიუმები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის მსურველი კანდიდატი.

2.2.2.1. კვალიფიკაცია

- 120 ზოგადად, ძირითადი კანონები მოითხოვს, რომ კანდიდატებს სათანადო იურიდიული განათლება ჰქონდეთ და იყვნენ აღიარებული სპეციალისტები, როგორც უნივერსიტეტის პროფესორები, ადვოკატები, მოსამართლეები ან ყოველ შემთხვევაში, იურიდიული განათლების მქონენი.⁹⁵
- 121 იურიდიული განათლება, რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევებში (ალბანეთი, ბულგარეთი, ესპანეთი, გერმანია, ლატვია, ლიეტუვა, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, სლოვაკეთი და ა.შ.) გვხვდება, როგორც ერთ-ერთი საკვალიფიკაციო მოთხოვნა. თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში (ავსტრია, სომხეთი, თურქეთი [საფრანგეთი]), საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება გახდეს ასევე არა იურისტულ პოლიტიკური თუ სოციალური ფაქტორების გასათვალისწინებლად. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად აქაც, დიდწილად იურისტებით კომპლექტდება.⁹⁶
- 122 აღნიშნული სახის გამონაკლისი, გარკვეულწილად ნაწილობრივი ხასიათით, გვხვდება ბელგიაში: 12 მოსამართლე მონარქის მიერ თითოეული პალატის მიერ წარდგენილი სიის საფუძველზე უვადოდ დანიშნული (თავის მხრივ, პალატების დამსწრეთა 2/3-ის უმრავლესობით ლინგვისტური პარიტეტის პრინციპის გათვალისწინებით). აქ ნახევარი „პოლიტიკოსია“ და მხოლოდ ნახევარი იურისტი.

⁹⁵ *Morbidelli, Pegoraro, Reposo., Volpi., Diritto Pubblico Comparato*, G. Giappichelli Editore – Torino, Terza Edizione, P., 470.
⁹⁶ იხ. European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-JU (1997)010e-rev-prov-restr Strasbourg, 3 June 1997, Revised Report on the Composition of Constitutional Courts, P. 2.

2.2.2.2. გამოცდილება

იურიდიულ განათლებასთან ერთად მოითხოვება ასევე გარკვეული პროფესიული გამოცდილება, დაწყებული სასამართლო გამოცდილებით (ალბანეთი) დასრულებული ნებისმიერ იურიდიულ პროფესიაში გამოცდილებით (არგენტინა, ბულგარეთი, ხორვატია, კანადა, ჩეხეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, რუმინეთი, რუსეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, უკრაინა). 123

ასე მაგალითად, სპეციალობით მუშაობის 10- წლიან სტაჟს ითხოვს უკრაინის⁹⁷ კონსტიტუცია, ისევე როგორც ჩეხეთის კონსტიტუცია.⁹⁸ იურისტის სპეციალობით ან იურიდიულ სფეროში სამეცნიერო თუ პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებას ითხოვს ასევე ლიეტუვას კონსტიტუციაც.⁹⁹ 124

უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მასწავლებლად, სახელმწიფო მოსამსახურედ ან იურისტად მუშაობის სულ ცოტა 15 წლის გამოცდილებაა საჭირო თურქეთში.¹⁰⁰ ზოგადად, სპეციალობით მუშაობის 15- წლიან სტაჟს ითხოვს ალბანეთის კონსტიტუცია.¹⁰¹ ასევე 15- წლიან იურისტად მუშაობის სტაჟს ითხოვს ბულგარეთის კონსტიტუციაც.¹⁰² 125

მაღალ პროფესიულ გამოცდილებასა და სასამართლო ან აკადემიური საქმიანობის არანაკლებ 18- წლიან გამოცდილებას ითხოვს რუმინეთის კონსტიტუციის 141-ე მუხლი. 126

2.2.2.3. მოქალაქეობა

როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება გახდეს ქვეყნის მოქალაქე. ასე მაგალითად, უკრაინაში¹⁰³, ჩეხეთში,¹⁰⁴ ლიეტუვაში¹⁰⁵ და ა.შ. 127

128

⁹⁷ იხ. უკრაინის რესპუბლიკის კონსტიტუციის 148-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁹⁸ იხ. ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁹⁹ იხ. ლიეტუვას რესპუბლიკის კონსტიტუციის 103-ე მუხლი.

¹⁰⁰ იხ. თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 146-ე მუხლი.

¹⁰¹ იხ. ალბანეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 125-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁰² იხ. ბულგარეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 147-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁰³ იხ. უკრაინის კონსტიტუციის 148-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁰⁴ იხ. ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁰⁵ იხ. ლიეტუვას კონსტიტუციის 103-ე მუხლი.

თუმცა აღსანიშნავია ლიხტენშტაინი, ასევე, ბოსნია და ჰერცეგოვინა, სადაც გათვალისწინებულია გარკვეული რაოდენობით უცხოელი მოსამართლეების დანიშვნის შესაძლებლობა.

2.2.2.4. უმცირესობების წარმომადგენლობა

129 უმცირესობათა წარმომადგენლობის უზრუნველყოფა არ წარმოადგენს ყველა ქვეყნისთვის ერთიან მიდგომას. როგორც ჩანს, ეს დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, როგორც შეიძლება იყოს ქვეყანაში შესაბამის უმცირესობაში მყოფი ოჯახების სტატუსი და მოცულობა.¹⁰⁶

130 ამ თვალსაზრისით, ენობრივი საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია (მაგალითად, შვეიცარიასა და კანადაში ერთზე მეტი სახელმწიფო ენაა). შვეიცარიაში უნდა იყოს უზრუნველყოფილი პროპორციული წარმომადგენლობა ამ თვალსაზრისით. იურიდიული განათლების მიღმა, მოსამართლეს *de facto* პასიური ცოდნა უნდა ჰქონდეს სხვა ორი სახელმწიფო ენის.

131 ეთნიკურ-ლინგვისტური თანაფარდობა კიდევ უფრო მკაფიოდ გვხვდება კვიპროსში, სადაც უზუნაესი საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 3 წევრისგან: ერთი დანიშნულია პრეზიდენტის და ერთიც ვიცე-პრეზიდენტის მიერ, შესაბამისად ბერძნული და თურქული კომპოზიციისა და მესამე „ნეიტრალური“, რომელიც ასრულებს პრეზიდენტის ფუნქციებს, არ შეიძლება იყოს რესპუბლიკის მოქალაქე (მართლაც უნიკალური შემთხვევა), არც ბერძენი და არც თურქი და დაქვემდებარებული დიდ ბრიტანეთს ან მის კოლონიებს.¹⁰⁷

2.2.2.5. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

132 გარდა ზემოაღნიშნული კრიტერიუმებისა, მაგალითად, უკრაინის კონსტიტუცია ასევე ითხოვს, რომ წევრი უნდა ცხოვრობდეს უკრაინაში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში და ფლობდეს სახელმწიფო ენას.

¹⁰⁶ იხ. European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-JU (1997)010e-rev-prov-restr Strasbourg, 3 June 1997, Revised Report on the Composition of Constitutional Courts, P, 3.

¹⁰⁷ Morbidelli, Pegoraro, Reposo., Volpi., Diritto Pubblico Comparato, G. Giappichelli Editore – Torino, Terza Edizione, P., 470.

მთელ რიგ შემთხვევებში, კონსტიტუციით დადგენილია მაღალი რეპუტაცია. ასე 133
მაგალითად, ბულგარეთის კონსტიტუციის 147-მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად,
საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებად აირჩევიან მაღალი
პროფესიული და ზნეობრივი თვისებების მქონენი.

ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, 134
საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს უმწიკვლო
რეპუტაციის მქონე მოქალაქე. უმწიკვლო რეპუტაციის მოქალაქეზე საუბრობს ასევე
ლიეტუვას კონსტიტუციის 103-ე მუხლიც.

2.2.2.6. სასამართლოს თავმჯდომარის
არჩევა

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის 135
განსხვავებული პროცედურები გვხვდება. ასე მაგალითად, ალბანეთში სასამართლოს
თავმჯდომარეს მის წევრთაგან პარლამენტის თანხმობით 3 წლის ვადით ნიშნავს
რესპუბლიკის პრეზიდენტი.¹⁰⁸ პოლონეთში საკონსტიტუციო ტრიბუნალის
თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს
საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლეთა საერთო კრების მიერ წარდგენილ
კანდიდატთაგან.¹⁰⁹ ლიეტუვაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს
ლიეტუვას რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით ამ სასამართლოს
მოსამართლეთაგან ნიშნავს სეიმი.¹¹⁰

თურქეთის კონსტიტუციის თანახმად, თავად საკონსტიტუციო სასამართლო წევრთა 136
სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით, ძირითად წევრთაგან 4 წლის
ვადით ფარული კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის
მოადგილეს. უფლებამოსილების ვადის გასვლისას შეიძლება მათი ხელახლა
არჩევა.¹¹¹ ასევე, რუმინეთშიც თავად საკონსტიტუციო სასამართლოს
მოსამართლეები სამი წლის ვადით ფარული კენჭისყრით ირჩევენ საკონსტიტუციო
სასამართლოს თავმჯდომარეს.¹¹²

¹⁰⁸ იხ. ალბანეთის კონსტიტუციის 125-ე მუხლი. 1/3 განახლება ყოველ სამ წელიწადში კანონით დადგენილი პროცედურის თანახმად.

¹⁰⁹ იხ. პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 194-ე მუხლი.

¹¹⁰ იხ. ლიეტუვას კონსტიტუციის 103 -ე მუხლი.

¹¹¹ იხ. თურქეთის კონსტიტუციის 146-ე მუხლი.

¹¹² იხ. რუმინეთის კონსტიტუციის 140-ე მუხლი.

2.3. უფლებამოსილების ვადები

2.3.2. წევრთა უფლებამოსილების ვადები

137 საკითხი, რომელიც, რა თქმა უნდა, გამოირჩევა მნიშვნელობით, დაკავშირებულია მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადასთან. საზღვარგარეთის ქვეყნებში ვადებთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები ფიქსირდება. ასე მაგალითად, პორტუგალიაში, მოლდავეთში მოსამართლეები 6 წლით აირჩევიან. 7 წლით აირჩევა მოსამართლე სლოვაკეთში, 8 წლით არის არჩეული ესპანეთში, იტალიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, ლიეტუვაში, სლოვენიაში და ა.შ. 9 წლით არის არჩეული საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე უკრაინაში. ლატვიაში, საქართველოს ანალოგიურად, მოსამართლე აირჩევა 10 წლის ვადით. გერმანიაში, ალბანეთსა და რუსეთში 12 წლით არიან მოსამართლეები განწესებული თანამდებობაზე.

138 ცალკეულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არა განსაზღვრული ვადით, არამედ უვადოდ არის განწესებული თანამდებობაზე. ასე მაგალითად, ავსტრიასა და ბელგიაში. იგივე, ბრაზილიაში. თუმცა, ავსტრიაში განსაზღვრულია, რომ კანონით დადგენილი მაქსიმალური ასაკი 70 წელია.

2.3.3. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადები

139 თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადებს რაც შეეხება, სურათი განსხვავებულია, იწყება 2 წლიდან (პორტუგალია, შვეიცარია) და გრძელდება 3 წლით (ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, იტალია, ლიეტუვა, რუმინეთი, რუსეთი, სლოვენია, ესპანეთი), 4 წლით (ხორვატია, თურქეთი), 5 წლით (საქართველო) ან 9 წლით (საფრანგეთი)].

140 რიგ შემთხვევებში, გათვალისწინებულია ხელმეორედ არჩევის შესაძლებლობა (ასე მაგალითად, ალბანეთში, ბულგარეთში, იტალიაში, პორტუგალიაში, რუსეთში, ესპანეთში, თურქეთში).

2.4. მოსამართლეთა რაოდენობა

საზღვარგარეთის ქვეყნების შედარებითი ანალიზი გვადლევს საფუძველს, ვთქვათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა მერყეობს 6-დან 18-მდე. შედარებით უფრო გავრცელებულია საკონსტიტუციო სასამართლოში, მსგავსად საქართველოსი, 9 მოსამართლისგან დაკომპლექტება. 9 მოსამართლე შედის რუმინეთის, სლოვენის, სომხეთის, მაკედონიის საკონსტიტუციო სასამართლოში. 141

2.4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირება

2.4.1 მოსამართლეთა რაოდენობა საქართველოში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 9 მოსამართლისგან შედგება. საქართველოს კონსტიტუციის მიღების შემდეგ, მისი რაოდენობა არ შეცვლილა. თუმცა, იყო წინადადება მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დაემატებოდა რეალური კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება, რაც, რასაკვირველია, უსათუოდ გამოიწვევდა განსახილველი საქმეების რაოდენობის მკვეთრ ზრდას.¹¹³ მაგრამ რადგანაც ეს წინადადება არ იქნა გაზიარებული, საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის კონსტიტუციით განსაზღვრული რაოდენობა დღემდე უცვლელი დარჩა.¹¹⁴ ასევე, არის მოსაზრება, რომ რეალური კონტროლის შემოღების შემთხვევაში, კოლეგიების რაოდენობა გაიზარდოს მოსამართლეთა რაოდენობის ცვლილების გარეშე. შესაბამისად, ჩამოყალიბდეს ოთხი წევრისგან შემდგარი 3 კოლეგია 3-3 წევრით (ნაცვლად დღეს მოქმედი ოთხი წევრისგან შემდგარი ორი კოლეგიისა). 142

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა რაოდენობასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები და პოზიციები იყო კონსტიტუციის მიღებისას. საკონსტიტუციო კომისიის სამდივნოს პროექტი ითვალისწინებდა 8 მოსამართლის 143

¹¹³ იხ. ბეგურაიანი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება“. „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016. გვ. 148-154.

¹¹⁴ ბეგურაიანი, საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017) და საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა 1 (2018), გვ., 5-6.

განწესებას. თუმცა, უცხოელმა ექსპერტებმა, პარიტეტზე მინიშნებით, ეს რაოდენობა არ გაიზიარეს. საკამათო იყო ასევე, უზენაესი სასამართლოსთვის კანდიდატა წარდგენის უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.¹¹⁵

2.4.2. ფორმირების წესი

- 144 საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობისა და ფორმირების წესის ძირითადი ასპექტები როგორც საკონსტიტუციო რეფორმამდე, ისე რეფორმის შემდეგაც საქართველოს კონსტიტუციის რეგულირების საგანს წარმოადგენს, რომელიც მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის რაოდენობის, მოსამართლის განწესების მეთოდისა და პროცედურის, მოსამართლეობის კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნებისა და სასამართლოს ფორმირებაში მონაწილე სუბიექტების შესახებ საკითხებს.¹¹⁶
- 145 საქართველოში ისევე, როგორც ავსტრიაში და ესპანეთში, საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში ხელისუფლების სხვადასხვა შტო მონაწილეობს, თუმცა განსხვავებით აღნიშნული ქვეყნებისგან, თითოეული მათგანი დანიშნა/არჩევს უფლებამოსილებით თავად სარგებლობს.¹¹⁷
- 146 საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს 9 მოსამართლიდან 3-ს ნიშნავს პრეზიდენტი, 3-ს სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/5-ის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი, ხოლო 3 მოსამართლეს ნიშნავს უზენაესი სასამართლო.
- 147 ამგვარი თანაფარდობა დადგინდა 1995 წლის კონსტიტუციის მიღების დღიდან და დღემდე უცვლელია. თუმცა, გარკვეული ცვლილებები მაინც შეინიშნება. ასე მაგალითად, პარლამენტი 3 წევრს ირჩევდა არა სრული, არამედ სიითი¹¹⁸ შემადგენლობის უმრავლესობით.

¹¹⁵ გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში, გვ., 247-248.

¹¹⁶ ხეგურიანი, საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017) და საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა 1 (2018), გვ. 6.

¹¹⁷ კახიანი, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, დისერტაცია, თბ., 2008, გვ. 92.

¹¹⁸ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, კონსტიტუციაში, არა მხოლოდ მოცემულ შემთხვევაში, აღარ გვხვდება სიითი შემადგენლობის უმრავლესობის ფორმულირება.

საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება დაიწყო 1995 წლის მიწურულს¹¹⁹ და დიდწილად, მოსამართლეთა კორპუსის პირველი შემადგენლობა თანამდებობაზე განწესდა 1996 წელს. 148

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 1 თვისა და არაუგვიანეს 10 დღისა განწესდება საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრი, რომლის უფლებამოსილებაც იწყება მისი წინამორბედის უფლებამოსილების 10-წლიანი ვადის ამოწურვისთანავე, მაგრამ არაუადრეს მის მიერ ფიცის დადების მომენტისა. 149

იმ შემთხვევაში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყდება, ამ ფაქტიდან არაუგვიანეს 20 დღისა განწესდება საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრი, რომლის უფლებამოსილებაც იწყება მის მიერ ფიცის დადების მომენტიდან. თუ საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა დაემთხვა საქართველოს პარლამენტის არასასესიო პერიოდს, საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრი განწესდება პარლამენტის უახლოესი სესიის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში. 150

2.4.3. საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშვნა

საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს 9 მოსამართლიდან 3-ს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. კონსტიტუციის 53-ე მუხლის თანახმად კი, აღნიშნული ნომინირება არ საჭიროებს თანახელმორწერას. შესაბამისად, პრეზიდენტი საკონსტიტუციო სასამართლოს 3 მოსამართლის დანიშვნას ერთპიროვნულად ახორციელებს. 151

იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესი, მასში მონაწილე სუბიექტების თვალსაზრისით, მართალია, დღიდან მიღებისა არ შეცვლილა, მაგრამ 2004 წელს საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად შეიცვალა ერთ-ერთი ამ 152

¹¹⁹ დემეტრაშვილი, 1995 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად.

სუბიექტის კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი. აღნიშნულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა, რითაც სახელმწიფოს მართვის მოდელი შეიცვალა, საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.¹²⁰ ამიტომ, გამოითქვა წინადადება, რომ სახელმწიფო ხელისუფლების შტოთა პარიტეტულობის პრინციპის სრული რეალიზაციის მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დასანიშნი კანდიდატურა პრეზიდენტისთვის წარედგინა მთავრობას.¹²¹ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა, რომ საკითხის ამგვარად დასმა მართებულია, თუმცა აუცილებლობა გაჩნდა არა 2004 წელს, არამედ 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, როდესაც საქართველოს მთავრობამ აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტატუსი შეიძინა, ხოლო პრეზიდენტს ჩამოსცილდა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების ძირითადი ფუნქციები. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ საქართველოს პრეზიდენტი თითქმის სრულად ჩამოაცილა აღმასრულებელ ხელისუფლებას და მას მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის სტატუსი აკმარა, როგორც ეს საპარლამენტო რესპუბლიკისთვისაა დამახასიათებელი, მას მაინც დაუტოვა საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის ერთი მესამედის ერთპიროვნულად დაკომპლექტების უფლებამოსილება. ავტორთა მოსაზრებით, თუ კანონმდებელი ერთგული რჩება იმ პრინციპისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო თანაბრად უნდა მონაწილეობდეს, მაშინ შეცვლილ კონსტიტუციურსამართლებრივ რეალობაში გაუგებარია, აღმასრულებელი ხელისუფლება როგორ მონაწილეობს ამ პროცესში. საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი საერთოდ აღარ წარმოადგენს ხელისუფლების ცნობილი ტრიადიდან არც ერთ შტოს. გამომდინარე აქედან, ეს საკითხი სამომავლოდ უნდა გადაწყდეს ისე, როგორც ეს ზემოთ იყო შემოთავაზებული ან პრეზიდენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნისას პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერის (კონტრასიგნაციის)

¹²⁰ კახიანი, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, დისერტაცია, თბ., 2008, გვ. 92.

¹²¹ ზეგურიანი, საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017) და საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა 1 (2018), გვ. 8.

შემოდებით.¹²² როგორც ეს მაგალითად, იტალიაშია, სადაც პრეზიდენტი ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ მესამედს (ხუთ მოსამართლეს) მთავრობის მიერ პრეზიდენტისთვის კანდიდატურების წარდგენის გარეშე, თუმცა პრეზიდენტის დეკრეტი მოსამართლის დანიშვნის შესახებ საჭიროებს კონტრასიგნაციას.¹²³

თუმცა, აქ საყურადღებოა ასევე ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომ 1995 წელს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესი დადგინდა, მმართველობის სხვა მოდელი ფუნქციონირებდა, პრეზიდენტს განსხვავებული სტატუსი ჰქონდა (იყო სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური) და მისი არჩევა ხდებოდა პირდაპირი წესით. რაც შეეხება დღეს მოქმედ მმართველობის მოდელს, აღმასრულებელი ხელისუფლება დაკავშირებულია პარლამენტთან ნდობა/უნდობლობის პროცედურით და ამდენად, შესაძლოა, სხვა საკითხებთან ერთად ეს გარემოებაც იყოს გასათვალისწინებელი.

153

2.4.4. პარლამენტის მიერ არჩევა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი. 2018 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, პარლამენტი, ნაცვლად სიითი შემადგენლობის უმრავლესობისა, სასამართლოს 3 წევრს ირჩევს სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციით, პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის არჩევისთვის საჭირო იყო პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის მხარდაჭერა.¹²⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განწესებისას საჭირო კვორუმის მნიშვნელოვნად გაზრდა დადებითად ფასდება, რამდენადაც იზრდება ოპოზიციის ჩართულობის საჭიროება.¹²⁵

154

¹²² ზეცურიანი, საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017) და საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა 1 (2018), გვ. 8-9.

¹²³ იქვე. ასევე იხ. (იხ. В.В. Маклаков (Ред), “Конституционный контроль в зарубежных странах”. “Норма”, М., 2007. с. 315-316). ციტ., ზეცურიანი, საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017) და საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა 1 (2018), გვ. 8-9.

¹²⁴ იხ. საქართველოს კონსტიტუციის 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული რედაქციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²⁵ ზეცურიანი, საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017) და საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა 1 (2018), გვ. 8-9.

- 155 აქვე შეიძლება ითქვას, რომ 2018 წლის კანონში განხორციელებულ ცვლილებებამდე¹²⁶ პარლამენტის მიერ მოსამართლის არჩევის წესი ორგანული კანონის 7² მუხლით იყო დარეგულირებული, თუმცა აღნიშნული ცვლილებებით საკითხი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით წესრიგდება.
- 156 რეგლამენტის თანახმად, პარლამენტს პარლამენტის თავმჯდომარე, ფრაქცია, უფრაქციო პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციანი ჯგუფი წარუდგენს კანდიდატურას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობაზე.¹²⁷ თავის მხრივ, პარლამენტის სრული შემადგენლობის 3/5-ის უმრავლესობით, ამავდროულად, სხვა კანდიდატებზე მეტი ხმით ირჩევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს.¹²⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის არჩევისას პარლამენტში კენჭისყრა ფარულია.¹²⁹
- 157 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.¹³⁰
- 158 კენჭისყრის წინ პლენარული სხდომის თავმჯდომარე პარლამენტს აცნობს კანდიდატა სიას და მათ წერილობით თანხმობას. პლენარულ სხდომაზე განხილვის დასრულების შემდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატაგან თითოეულ კანდიდატს ცალკე ეყრება კენჭი.¹³¹
- 159 თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრის არჩევისას 3 კანდიდატი მონაწილეობდა და რომელიმე მათგანმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, პარლამენტის თავმჯდომარე, ფრაქცია, უფრაქციო პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციანი ჯგუფი უფლებამოსილია, კენჭისყრიდან 10 დღის შემდეგ პარლამენტს იგივე კანდიდატურა წარუდგინოს. თუ არჩევისას 3-ზე მეტი კანდიდატი მონაწილეობდა და კანდიდატთა საჭირო რაოდენობა ვერ აირჩა, იმართება ხელახალი კენჭისყრა. ამ შემთხვევაში, კენჭი ეყრება იმ 3 კანდიდატს, რომლებმაც პირველ ტურში სხვა კანდიდატებზე მეტი ხმა მიიღეს.¹³²

¹²⁶ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ ორგანული კანონი.

¹²⁷ იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 204-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი

¹²⁸ იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 204-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი

¹²⁹ ზოგადად, საკადრო საკითხებზე კენჭისყრა ღიაა, თუმცა არის რამდენიმე შემთხვევა და მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების არჩევის შემთხვევაშიც კენჭისყრა ფარულია. იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 204-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹³⁰ იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 204-ე მუხლის მე-6 პუნქტი „ა“ ქვეპუნქტი.

¹³¹ იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹³² იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის მე-15 პუნქტი.

2.4.5. უზენაესი სასამართლოს მიერ დანიშვნა

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში დასანიშნ კანდიდატებს უზენაესი სასამართლოს პლენუმზე ასახელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. კენჭისყრის შედეგად დანიშნულად ჩაითვლება ის სამი კანდიდატი, რომელიც პლენუმის დამსწრე წევრთა ხმათა ორ მესამედს მიიღებს.

თავის მხრივ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად,¹³³ პლენუმი უფლებამოსილია, განიხილოს საკითხი, თუ მის სხდომას ესწრება პლენუმის წევრთა¹³⁴ არანაკლებ ორი მესამედისა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა სხდომის მონაწილეთა არანაკლებ ორმა მესამედმა.

2.4.5. ცენზები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა. ერთი სიტყვით, კონსტიტუცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლისთვის განსაზღვრავს მოქალაქეობრივ, ასაკობრივ, განათლების, სპეციალობით მუშაობისა და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაციის ცენზს.

საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის თანახმად,¹³⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება ყოფილიყო საქართველოს

¹³³ იხ. ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹³⁴ უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებისგან. თავის მხრივ, უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის 28 მოსამართლე. იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის პირველი და მე-14 მუხლის მე-3 პუნქტები.

¹³⁵ იხ. საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქცია, 88-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, თუ მას ჰქონდა უმაღლესი იურიდიული განათლება. 2010 წლის ცვლილების თანახმად, ასაკობრივი ცენზი შემცირდა 30 წლამდე.

164 თავის მხრივ, 2017-18 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ ასაკობრივი ცენზი კვლავინდებურად 35 წლამდე გაიზარდა და დაემატა სპეციალობით მუშაობის გამოცდილებისა და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაციის ცენზი.

165 საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

2.4.6. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა

166 ქვეთავში განხილულია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოწესრიგება და პრაქტიკა. საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციით, თავმჯდომარის არჩევის განსხვავებული პროცედურა იყო გათვალისწინებული, შეიცვალა ასევე თავმჯდომარის ხელმეორედ არჩევის საკითხიც. ქვეთავში ასევე განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელიც სხვა არაერთ საკითხთან ერთად ეხება თავმჯდომარის არჩევას.

2.4.6.1. თანამდებობაზე განწესება

167 საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლო.

168 თავმჯდომარის არჩევის პროცედურა ორგანულ კანონშია განსაზღვრული. 2016 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის განსხვავებული წესი მოქმედებდა, რომლის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით“.¹³⁶

¹³⁶ იხ. 2016 წლის პირველ ოქტომბრამდე მოქმედი ორგანული კანონის რედაქცია.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი და უფლებამოსილებები განსხვავებულად ჩამოყალიბდა, რის შემდეგაც პრეზიდენტი მხოლოდ კონსტიტუციის მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში მოქმედებდა (განსხვავებით მანამდე მოქმედი მოწესრიგებისგან, სადაც პრეზიდენტი კონსტიტუციის გარდა, კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებსაც ახორციელებდა).

169

შესაბამისად, 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ამოქმედებასთან ერთად, იმ პირობებში, რომ ძირითადი კანონის ტექსტი პრეზიდენტს არ ანიჭებდა არავითარ უფლებამოსილებას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განწესებაში მონაწილეობის თვალსაზრისით, დღის წესრიგში დადგა ორგანული კანონის კონსტიტუციასთან თავსებადობა.

170

2016 წლის 14 მაისს მიღებულ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტით განისაზღვრა, რომ¹³⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას თავად მოსამართლეები წარადგენ.

171

უნდა აღინიშნოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 (2011 წლის 5 მაისიდან 2016 წლის პირველ ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) პუნქტი. სასამართლოს მსჯელობა ეხებოდა არა მხოლოდ პრეზიდენტის ნაწილს.

172

მოსარჩელებების მიერ დაყენებული მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების პროცესში საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეების მონაწილეობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლოს მიერ შემოწმდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის (2011 წლის 5 მაისიდან 2016 წლის პირველ ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობაზე მსჯელობის ფარგლები.

173

¹³⁷ უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ კანონზე პრეზიდენტმა მოტივირებული შენიშვნებით მიმართა პარლამენტს, თუმცა ვეტო არ შეხებია იმ ნაწილს, რომელშიც კონსტიტუციისგან განსხვავებით, კანონი ანიჭებდა პრეზიდენტს თავმჯდომარის არჩევის პროცედურაში მონაწილეობას. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ პრეზიდენტის ეს მოტივირებული შენიშვნები პარლამენტმა გაიზიარა. იხ., <https://info.parliament.ge/#law-drafting/11441>

174 ხსენებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 წინადადება ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების უფლებას, 10 წლის განმავლობაში ჰქონდეთ შესაძლებლობა, არჩეულ იყვნენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციაზე. ამავე დროს, მოცემული კონსტიტუციური დებულება ცალსახად ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს „შემადგენლობის“, ე.ი. ყველა მოქმედი წევრის უფლებას, რომ აირჩიოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ადჟურვილია მნიშვნელოვანი სამოსამართლო და ადმინისტრაციული უფლებამოსილებებით და მისი არჩევა წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების მნიშვნელოვან ელემენტს. ამრიგად, ნებისმიერი სხვა ხელისუფლების შტოს ჩარევას საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში უნდა გააჩნდეს მყარი კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძველი.¹³⁸

175 სასამართლოს განმარტებითვე, საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, 3 წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. მოცემული კონსტიტუციური დებულება ადგენს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და უზენაესი სასამართლოს ლეგიტიმაციას, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში 3 წევრის დანიშვნის/არჩევის გზით. საქართველოს კონსტიტუცია არ ანიჭებს ლეგიტიმაციას საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, სხვაგვარად ჩაერიონ სასამართლოს ფორმირების პროცესში და მონაწილეობა მიიღონ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევაში.¹³⁹

¹³⁸ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტი vs ადვოკატი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე მახარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 48.

¹³⁹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტი vs ადვოკატი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე მახარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 49.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დამოუკიდებლად არჩევის უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმით საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს ერთმევათ შესაძლებლობა, საკუთარი შეხედულებისამებრ წამოაყენონ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატურა და მათ მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა შებოჭილია იმ კანდიდატურით, რომელსაც შეარჩევენ საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ასეთი შეზღუდვით დაკნინებულია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების როლი სასამართლოს ფორმირებაში და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი (2011 წლის 5 მაისიდან 2016 წლის პირველ ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის (ძველი რედაქციით) 82-ე მუხლის მე-3 პუნქტთან, 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 წინადადებასთან მიმართებით.¹⁴⁰

მოცემულ შემთხვევაში, დადგინდა, რომ სადავო ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობას არაკონსტიტუციურად უზღუდავს უფლებას, თავისუფლად აირჩიოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. ამგვარი რეგულაცია წარმოადგენს ხელისუფლების სხვა შტოების გაუმართლებელ, არალეგიტიმურ ჩარევას საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში, ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობას და არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.¹⁴¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრის მიერ ფიცის დადებიდან ან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა ტარდება საკონსტიტუციო სასამართლოს

¹⁴⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბუჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე მახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 50.

¹⁴¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება. II, 52.

პლენუმის სხდომა.¹⁴² კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან ან უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა აირჩევა შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე.

179 პლენუმის მიერ თავმჯდომარე აირჩევა 5 წლის ვადით. თუ არჩევის მომენტი სათვის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის ან მისი მოადგილეობის კანდიდატის, როგორც სასამართლოს წევრის, უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 5 წელზე ნაკლებია დარჩენილი, ის თანამდებობაზე აირჩევა სასამართლოს წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

180 საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს სულ ცოტა 3 წევრს მისი, როგორც სასამართლოს თავმჯდომარის, უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან ან უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში. საკონსტიტუციო სასამართლოს ერთმა წევრმა შეიძლება, ხელი მოაწეროს მხოლოდ ერთი კანდიდატურის წარდგენას.

181 საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები არჩეულად ჩაითვლებიან, თუ ფარული კენჭისყრის დროს თითოეულ მათგანს მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ 5-მა წევრმა.

182 თუ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატად მხოლოდ 1 პირი დასახელდა და მან ვერ მიიღო თავმჯდომარედ არჩევისთვის საკმარისი ხმები, 1 კვირის ვადაში დადგენილი წესით სახელდება ახალი კანდიდატურა (კანდიდატურები), რომელიც არჩეულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ 5-მა წევრმა. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატად 2 ან 3 პირი დასახელდა და ვერცერთმა ვერ მიიღო თავმჯდომარედ არჩევისთვის საკმარისი ხმები, იმავე დღეს იმართება კენჭისყრის მე-2 ტური, რომელშიც მონაწილეობის უფლებაც აქვს საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. თუ მეორე ადგილზე ერთნაირი შედეგით 2 კანდიდატი გავიდა, კენჭისყრის მე-2 ტურში სამივე კანდიდატი მონაწილეობს. თუ

¹⁴² იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

რომელიმე კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, კენჭი ეყრება დარჩენილ კანდიდატს (კანდიდატებს). თუ ვერცერთმა კანდიდატმა კვლავ ვერ მიიღო თავმჯდომარედ არჩევისთვის საკმარისი ხმები, 1 კვირის ვადაში, დადგენილი წესით სახელდება ახალი კანდიდატურა (კანდიდატურები) და თავმჯდომარედ არჩეული კანდიდატი გამოვლინდება ამ პუნქტით დადგენილი წესით.

თუ კანდიდატმა, რომელსაც კენჭი ეყრება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე, ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, 3 დღის ვადაში დადგენილი წესით სახელდება ახალი კანდიდატურა, რომელიც არჩეულად ჩაითვლება, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ 5-მა წევრმა დაუჭირა მხარი.

183

2.4.6.2. ხელმეორედ არჩევის საკითხი

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის საკითხს უკავშირდება მისი ხელმეორედ არჩევის შესაძლებლობა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია. მსგავსი შინაარსის განაწესს ითვალისწინებდა საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქცია¹⁴³ ვიდრე 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ამოქმედებამდე¹⁴⁴. აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილების შედეგად მოცემულ შეზღუდვას არ ითვალისწინებდა,¹⁴⁵ თუმცა, ამგვარი აკრძალვა გაჩნდა 2016 წლის 3 ივნისის ორგანული კანონის საფუძველზე. ეს ნორმა, სხვა დებულებებთან ერთად, გასაჩივრდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.¹⁴⁶ შემდეგ, 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის საფუძველზე

184

¹⁴³ იხ. საქართველოს კონსტიტუციის 2013 წელს ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებაზე მოქმედი რედაქციის 88-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁴⁴ იხ. საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ. 379.

¹⁴⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ 2011 წლის 21 სექტემბერს ხელმეორედ იქნა არჩეული გიორგი პაპუაშვილი. პირველად არჩეულ იქნა 2006 წლის 30 სექტემბერს. აღსანიშნავია, რომ გიორგი პაპუაშვილი განლავთ ერთადერთი, რომელიც ხელმეორედ იქნა არჩეული. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე გახდა ავთანდილ დემეტრაშვილი (1996-2001 წლებში), შემდგომ ჯონი ხეცურიანი (2001-2006 წლებში). გიორგი პაპუაშვილის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე იყო ზაზა თავაძე (2016-2020). ამჟამად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეა მერაბ ტურავა. იგი 2020 წლის 25 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ არჩეულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ.

¹⁴⁶ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება.

კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-3 პუნქტით განისაზღვრა, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია“.

2.4.7. მოადგილეთა/კოლეგიების თავმჯდომარეების არჩევა

185 საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლებამოსილებას ორგანული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ანიჭებს. თავის მხრივ, ორგანული კანონითვე განსაზღვრულია არჩევის პროცედურები. წარდგენილი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე არჩეულად ჩაითვლება, თუ ფარული კენჭისყრის დროს მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ 5-მა წევრმა.

186 თუ კანდიდატმა, რომელსაც კენჭი ეყრება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე, ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, 3 დღის ვადაში დადგენილი წესით სახელდება ახალი კანდიდატურა, რომელიც არჩეულად ჩაითვლება კლავინდებურად საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ 5 წევრის მხარდაჭერის შემთხვევაში.

2.4.8. საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის არჩევა

187 საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი შეირჩევა სასამართლოს შემადგენლობიდან და მისი კანდიდატურის დასახელების უფლებამოსილება, კოლეგიების თავმჯდომარის ანალოგიურად, აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. დასახელებული კანდიდატი მდივნის პოზიციაზე აირჩევა პლენუმის მიერ ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით. არჩეულად ჩაითვლება მოსამართლე, რომელსაც კენჭისყრაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ 5 წევრის მხარდაჭერა ექნება.

2.5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის სტატუსი და გარანტიები

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე, საქართველოს ძირითად კანონში საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის აღსანიშნავად თანაბარი მნიშვნელობით გამოიყენებოდა ორი ტერმინი: „საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე“ და „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი“ (88-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ამ მიზნისთვის გამოიყენება მხოლოდ ერთი ტერმინი - „საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე“, რაც, ავტორთა მოსაზრებით, უფრო ზუსტად გამოხატავს ამ თანამდებობის პირთა სამართლებრივ მდგომარეობას.¹⁴⁷

188

2.5.1. უფლებამოსილების ვადები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თანამდებობაზე განწესდება 10 წლის ვადით. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილების 10-წლიანი ვადის ამოწურვისთანავე შეუწყდება უფლებამოსილება. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ნორმა 2016 წლამდე განსხვავებულ რედაქციას ითვალისწინებდა. კერძოდ, ნორმა ადგენდა, რომ თუ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა მთავრდებოდა იმ დროს, როდესაც იგი მონაწილეობდა საქმის განხილვაში, უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდებოდა საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

189

2016 წელს ჩამოყალიბებული ახალი რედაქცია საკონსტიტუციო სასამართლოში იქნა გასაჩივრებული იმ მოტივით, რომ სადავო ნორმა შეიცავდა საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეფერხების რეალურ და მნიშვნელოვან რისკებს, რადგან არსებობდა შესაძლებლობა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ვერ მოხერხებულიყო მისი დროული ჩანაცვლება. შესაბამისად, მოსარჩელეთა მოსაზრებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედ წევრს უფლებამოსილება უნდა გაგრძელდებოდა ახალი წევრის არჩევამდე. მოსარჩელე

190

¹⁴⁷ ბეურიაძე, საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017) და საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა 1 (2018), გვ. 6.

ასევე მიიჩნევდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, რომელიც სათათბირო ოთახშია გასული, უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, დაესრულებინა მიმდინარე საქმეები, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში 9 წევრის განსაზღვრა გულისხმობდა კონკრეტულ საქმესთან მიმართებით 9-წევრიანი პლენუმის მიერ საქმის განხილვას, რაც სასამართლოში მოსამართლეთა გადაჭარბებული რაოდენობით მიღებას გამოიწვევდა.

191 საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების დაცვის ინსტიტუციურ გარანტიას. აუცილებელია, უზრუნველყოფილი იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა 10-წლიანი ვადის ფარგლებში. აღნიშნული გარანტია კრძალავს პირის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ განწესებას უფრო ნაკლები ვადით, ამ ვადაში უფლებამოსილების განხორციელებისთვის ხელშეშლას და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას ლეგიტიმური საფუძვლის გარეშე.

192 ამავე დროს, სასამართლოს განმარტებით, უფლებამოსილების 10-წლიანი ვადის მკაცრი დაცვის შემთხვევაში, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური ინსტიტუტის გამართულ ფუნქციონირებას. კერძოდ, შესაძლებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების 10-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ვერ მოხერხდეს მისი დროული ჩანაცვლება. აღნიშნული პროცესის დაყოვნება ხშირად განპირობებულია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების თანამდებობაზე განწესების წესის სპეციფიკით. ამ პროცესში მონაწილე ორი ორგანო – საქართველოს პარლამენტი და საქართველოს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებას იღებენ კოლეგიურად, კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების კვორუმით და შესაძლოა, არსებობდეს შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის კანდიდატურაზე შეთანხმებამ დიდი დრო მოითხოვოს და ვერ განხორციელდეს შესაბამის ვადებში. ასეთ პირობებში არსებობს რისკი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი დროულად ვერ ჩანაცვლდეს და მოსამართლეთა სათანადო რაოდენობის არარსებობის გამო, საკონსტიტუციო

სასამართლომ ვერ განახორციელოს მასზე კონსტიტუციით დაკისრებული უფლებამოსილება და ვიდრე არ მოხდება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ჩანაცვლება, საფრთხე ექმნება სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური ინსტიტუტის არსებობას, რაც, თავის მხრივ, ეჭვქვეშ აყენებს პირის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული უფლებით სარგებლობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად გამოაცხადა ორგანული კანონის მე-18 მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას 10-წლიანი ვადის ამოწურვისთანავე იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ კანონით დადგენილ ვადაში არ აირჩია/დანიშნა ახალი წევრი და ეს სათანადო კვორუმის არარსებობის გამო შეუძლებელს ხდის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უფლებამოსილების განხორციელებას.¹⁴⁸

193

2.5.2. იმუნიტეტი

საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლით განსაზღვრულია როგორც საერთო იურისდიქციის, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის სტატუსი და სამართლებრივი დაცვის გარანტიები. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანამაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ საკონსტიტუციო სასამართლო არ მისცემს თანხმობას, თავისუფლებაშეზღუდული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

194

აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის არანაკლებ 6 წევრი.

195

¹⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება.

- 196 საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების შესახებ თანხმობის მიცემის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება შეჩერდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.
- 197 თუ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოვიდა ან მარეაბილიტირებელ საფუძველზე საქმე შეწყდა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება აღდგება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.
- 198 საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა.
- 199 საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ასევე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან/და მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.
- 200 მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ფიცს დადებს, იმ დღიდან ის უნდა გადადგეს სხვა თანამდებობიდან ან შეწყვიტოს კანონით აკრძალული საქმიანობა.

2.5.3. უფლებამოსილების შეწყვეტა

- 201 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონით განსაზღვრულია ის შემთხვევები და საფუძველები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ვერ ასრულებდა ან წელიწადში 3 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ასრულებდა თავის მოვალეობას. უფლებამოსილება ასევე შეუწყდება, თუ მან დაიკავა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა კანონით აკრძალულ საქმიანობას.
- 202 შეწყვეტის საფუძველია ასევე, თუ მოსამართლემ დაარღვია სათათბირო ოთახის საიდუმლოება ან ჩაიდინა მოსამართლისთვის შეუფერებელი საქციელი.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში და საფუძვლით, საკონსტიტუციო სასამართლოს 203
წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას
იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი დადგენილებით, რომელიც
მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს
სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მოსამართლის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ასევე, თუ მან დაკარგა 204
საქართველოს მოქალაქეობა, სასამართლომ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარა
ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო (თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით, სხვა რამ არ
არის განსაზღვრული), ასევე, როდესაც მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში
შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

მოსამართლის სტატუსი შეუწყდება ასევე გარდაცვალების შემთხვევაში ან თუ 205
სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა
გარდაცვლილად.

ბუნებრივია, მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია ასევე 206
პირადი განცხადება თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე.

მოცემულ შემთხვევაში, უფლებამოსილების შეწყვეტის განსხვავებული 207
პროცედურაა დადგენილი. კერძოდ, ასეთ დროს საკონსტიტუციო სასამართლოს
პლენუმი რეგლამენტით დადგენილი წესით ამოწმებს მისთვის წარდგენილ
საბუთებს და მათში აღნიშნული ფაქტების დადასტურების შემთხვევაში,
საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე განკარგულებით აფორმებს
საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილება, აგრეთვე 208
საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება საკონსტიტუციო
სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე
დაუყოვნებლივ ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს
პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

2.6. საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა

- 209 საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურის ძირითადად ორი სახესხვაობა გვხვდება. ერთ შემთხვევაში, როგორც ეს მაგალითად, იტალიაში, ავსტრიაში და ბულგარეთშია, საკონსტიტუციო სასამართლო საქმეებს განიხილავს ყველა მოსამართლის შემადგენლობით და ერთიანი კოლეგიის ფორმატში. მეორე შემთხვევაში, და ამგვარი მოდელი ჭარბობს,¹⁴⁹ სასამართლო შემადგენლობა საქმეებს განიხილავს შედარებით მცირე შემადგენლობით კოლეგიების, სენატის, პალატის ფორმატში.
- 210 საქართველოში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-11 მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და 2 კოლეგიისგან. პლენუმის შემადგენლობაში შედის საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი. რაც შეეხება კოლეგიას, თითოეული კოლეგიის შემადგენლობაში 4-4 მოსამართლეა.
- 211 ორგანული კანონით განსაზღვრულია კოლეგიის დაკომპლექტების წესი. ორგანული კანონის თანახმად, კოლეგიის შემადგენლობას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პლენუმი. მნიშვნელოვანია ერთი საკითხის გათვალისწინება. საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და უზენაესი სასამართლოს მიერ განწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები კოლეგიებში რაც შეიძლება თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილი.
- 212 ორგანული კანონი ადგენს შემთხვევებს, როდესაც ერთხელ უკვე დაკომპლექტებული შემადგენლობა შეიძლება, გადახალისდეს. ორგანული კანონის კოლეგიების შემადგენლობა უნდა გადახალისდეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევიდან 10 დღეში. ასევე, კოლეგიების შემადგენლობა შეიძლება, გადახალისდეს სასამართლოს წევრთა რაოდენობის ორი ან ორზე მეტი წევრით შეცვლიდან ერთი თვის ვადაში.
- 213 საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო კოლეგიების სხდომებს - საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

¹⁴⁹ იხ. მაგალითისთვის, გერმანიაში, ესპანეთში, პოლონეთში, რუსეთში, უნგრეთში, რუმინეთში, უკრაინაში და ა.შ.

2.6.1. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის
უფლებამოსილებები

ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს დასამტკიცებლად საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტს და აპარატის დებულებას. 214

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პრეროგატივას განეკუთვნება საქმეების განაწილება და საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სხდომისთვის მომხსენებელი მოსამართლის დანიშვნა კანონით დადგენილი წესით. 215

როგორც აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პრეროგატივაში შედის პლენუმისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის კანდიდატურების წარდგენა. 216

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე რეგლამენტით დადგენილი წესით იწვევს პლენუმს, უძღვება მის სხდომებს, ხელს აწერს პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებას, განჩინებას, დასკვნას, საოქმო ჩანაწერსა და სხდომის ოქმს, ასევე პლენუმის დადგენილებას. 217

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე საერთო ხელმძღვანელობას უწევს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის საქმიანობას, კანონმდებლობის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის მოხელეებს. ასევე, ახორციელებს კანონმდებლობით და რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. 218

2.6.2. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მის მიერ სამოსამართლეო საქმიანობის განხორციელების პარალელურად, ასევე უძღვება კოლეგიის სხდომას, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს თავმჯდომარის ცალკეულ ფუნქციებს. საკონსტიტუციო სასამართლოს 219

თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობისას, თავმჯდომარის მოვალეობას მისივე დავალებით ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე, ასეთი დავალების არარსებობისას კი – უხუცესი მოადგილე.

2.6.3. საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი

220 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი ახორციელებს პლენუმისა და კოლეგიების სხდომების მოსამზადებელ ღონისძიებებს, ორგანიზებას უწევს პლენუმისა და კოლეგიების სხდომათა ოქმების წარმოებასა და გაფორმებას, ხელს აწერს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით, ორგანიზებას უწევს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური დოკუმენტაციის დაგზავნას.

221 საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი იღებს ზომებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად და თვეში ერთხელ მოახსენებს პლენუმს მათი აღსრულების მიმდინარეობის თაობაზე. იგი ასევე ხელს უწყობს საჭირო ინფორმაციის კომპიუტერული წესით დამუშავების სისტემის ჩამოყალიბებას.

2.7. საკონსტიტუციო სასამართლოს შიდა ორგანიზაცია და აპარატი

222 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატი იქმნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით. აპარატს ხელმძღვანელობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

223 საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის სტრუქტურა, უფლებამოსილება, ფორმირებისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით და აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებით. საკონსტიტუციო სასამართლოს დებულება დამტკიცებულია პლენუმის მიერ, ხოლო სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს ამტკიცებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

224 აპარატი ანგარიშვალდებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და სასამართლოს წევრების წინაშე.

225

საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული დანაყოფები: საორგანიზაციო დეპარტამენტი; სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტი; ეკონომიკური დეპარტამენტი; ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი; საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი; პროტოკოლისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი; თავმჯდომარის ბიურო; მანდატურის სამსახური.

საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო დეპარტამენტის ამოცანებს შორის შეიძლება აღინიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიის სხდომების, მოსამართლეთა თათბირების ორგანიზაციული უზრუნველყოფა; ოფიციალურად შემოსული და გასული კორესპონდენციის დამუშავება, რეგისტრაცია, სისტემატიზაცია და დროულად მიწოდება აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისათვის; სასამართლოს საქმეთა ნომენკლატურის შემუშავება, საქმეთა შენახვის ორგანიზება, სასამართლოს აქტების სისტემატიზაცია; მომხსენებელი მოსამართლის შერჩევის ელექტრონული სისტემის შექმნა და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.¹⁵⁰

226

შეიძლება აღინიშნოს ასევე, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის ამოცანები - საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსული სარჩელებისა და წარდგინებების ანალიზი და მოსამართლეებისთვის სამართლებრივი რჩევების მიწოდება გადასაწყვეტ საქმესთან დაკავშირებით; განსახილველი საქმისთვის მნიშვნელოვანი შედარებით-სამართლებრივი კვლევების განხორციელება; სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება.

227

¹⁵⁰ იხ. დებულების მე-5 მუხლი.

თავი 3. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების ზოგადი მიმოხილვა

228 ნაშრომის მე-3 თავი ეძღვნება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ზოგად მიმოხილვას. მასში განხილულია საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლების სამართლებრივი, ფუნქციონალური, პოლიტიკური და ფაქტობრივი ასპექტები, ასევე ხელისუფლების სხვადასხვა შტოებთან ურთიერთობის გავლენა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებზე. ცალკეა წარმოდგენილი უფლებამოსილებათა გამიჯვნის თემა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმსა და კოლეგიებს შორის. გარდა ამისა, ყურადღება არის გამახვილებული საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციასთან დაკავშირებულ ისეთი პრობლემებზე, როგორიცაა კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის კონტროლი და რეალური საკონსტიტუციო კონტროლი.

3.1. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლები

3.1.1. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის მნიშვნელობა

229 საკონსტიტუციო მართლმსაჯულება დიდ როლს თამაშობს სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებასა და გაძლიერებაში. ის არის ერთგვარი ფორპოსტი, რომელიც იცავს დემოკრატიას უმრავლესობის თვითნებურ ბატონობად გადაგვარებისგან.¹⁵¹ კელზენი მართებულად გამოყოფდა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ფუნქციას, რაც მდგომარეობს უმცირესობის ქმედით დაცვაში უმრავლესობისგან, „რომლის მმართველობაც მხოლოდ იმის გამოა ასატანი, რომ ის მართლზომიერად ხორციელდება.“¹⁵² საკონსტიტუციო კონტროლის უმნიშვნელოვანესი მიზანია ინდივიდუალური თავისუფლების უზრუნველყოფა, რომლის ყველაზე დიდი საფრთხეც კონსტიტუციურ ჩარჩოებს მიღმა გასული ხელისუფლებაა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის ძირითად მისიას სწორედ

¹⁵¹ სამართლებრივ სახელმწიფოში საკონსტიტუციო სასამართლოს მისიის შესახებ დეტალურად: იხ.: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam 2015, S. 103 ff.*

¹⁵² *Kelsen, Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit*, in: Ooyen, Robert Christian van (Hrsg.): *Wer soll der Hüter der Verfassung sein? Abhandlungen zur Theorie der Verfassungsgerichtsbarkeit in der pluralistischen, parlamentarischen Demokratie*, Tübingen 2008, S. 50. (ავტორის თარგმანი).

ხელისუფლების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და ადამიანის უფლებების ხელისუფლების მხრიდან არათანაზომიერი ჩარევისგან დაცვაში ხელდას.¹⁵³

საქართველოში მოქმედ საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელში გაზრდილია საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელი, გავლენიანი ინსტიტუტისა და კონსტიტუციის ინტერპრეტატორის მნიშვნელობა.¹⁵⁴ საპარლამენტო რესპუბლიკაში საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ერთი და იგივე პოლიტიკური ძალა/ძალები აკონტროლებს, ამიტომ ძალაუფლების დაბალანსებისათვის აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც უმცირესობის დაცვის არსებითი ფაქტორის,¹⁵⁵ სრულფასოვანი და ეფექტიანი ფუნქციონირება. ამის გარეშე საპარლამენტო სისტემა გაუწონასწორებელი და საშიშიც კი გახდება.¹⁵⁶

230

კონსტიტუცია და კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ანიჭებდეს შესაბამის კომპეტენციას ინდივიდუალური თავისუფლებისა და კონსტიტუციური წესრიგის სათანადოდ დასაცავად. მას მართებულად უწოდებენ კონსტიტუციის „მცველს“,¹⁵⁷ მაგრამ კომპეტენციაშეკვეცილი სასამართლო, მით უმეტეს ძირითადი უფლებების სფეროში, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ კონსტიტუციის „ჭირისუფალია“.

231

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში არ იგულისხმება უფლებამოსილებათა მარტოოდენ ფორმალური ჩამონათვალი. მისი რეალური მოცულობა დამოკიდებულია როგორც სამართლებრივ, ასევე ფუნქციონალურ და ფაქტობრივ ასპექტებზე.¹⁵⁸ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ფართოდ განმარტავს სასამართლო კონსტიტუციას, განსაკუთრებით ძირითადი უფლებების დამდგენ

232

¹⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18.

¹⁵⁴ საპარლამენტო რესპუბლიკაში საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობის შესახებ დეტალურად: იხ.: *Doehring*, *Allgemeine Staatslehre. Eine systematische Darstellung*, 3., neu bearbeitete Auflage, Heidelberg 2004, S. 195.

¹⁵⁵ *Stern*, *Verfassungsgerichtsbarkeit im Widerstreit*, Passau 1979, S. 9.

¹⁵⁶ შუად: *Doehring*, *Allgemeine Staatslehre*, S. 196.

¹⁵⁷ მაგ. იხ.: BVerfGE 1, 184 (195 ff.); 2, 124 (131); 6, 300 (304); 40, 88 (93); *Hopf auf*. (Bearb.), *Kommentar zum Art. 93 GG*, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Franz, Klein (Begr.), *Hofmann*, Hans/Hopf auf, Axel (Hrsg.): *GG – Kommentar zum Grundgesetz*, 12. Auflage, Köln 2011, Rn. 10; *Mastronardi*, *Verfassungslehre. Allgemeines Staatsrecht als Lehre vom guten und gerechten Staat*, Bern/Stuttgart/Wien 2007, S. 281; *Zippelius*, *Württembergischer*, *Deutsches Staatsrecht. Ein Studienbuch*, 32. Auflage, München 2008, S. 518; *Stern*, *Kommentar zum Art. 93 GG*, in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): *Bonner Kommentar zum Grundgesetz*, Band 12 (Art. 89 – 104), Heidelberg seit 1950, Rn. 38.

¹⁵⁸ *Benda/Klein*, *Verfassungsprozessrecht. Ein Lehr- und Handbuch*, 3., völlig neu bearbeitete Auflage, Heidelberg u. a. 2012, Rn. 21.

ნორმებს, ასევე საპროცესო თუ მატერიალური სამართლის სხვა დანაწესებს, სად ხელდავს ის სამოსამართლო თვითშეზღუდვის ზღვარს და ა.შ. ეს დიდწილად განაპირობებს საკონსტიტუციო სასამართლოს როლს, გავლენასა და ავტორიტეტს, რომლის გარეშეც აზრსაა მოკლებული უფლებამოსილებათა ყველაზე ვრცელი და ყოვლისმომცველი ჩამონათვალიც კი.¹⁵⁹

3.1.2. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის სამართლებრივი ფარგლები

233 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია დაფუძნებულია ენუმერაციის ანუ ჩამოთვლის პრინციპზე.¹⁶⁰ სასამართლო განიხილავს იმ საქმეებს, რაც შედის მისი უფლებამოსილებების კატალოგში და არა ნებისმიერ დავას, რომელიც თავისი შინაარსით საკონსტიტუციო სამართალს უკავშირდება.¹⁶¹ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია კომპეტენციური ნორმების ინტერპრეტაცია, თუმცა არ უნდა გასცდეს მათ ფარგლებს.¹⁶² მან თავად არ უნდა ჩამოაყალიბოს მოქმედისგან რადიკალურად განსხვავებული უფლებამოსილებები და გაიფართოოს კომპეტენცია, მაგალითად, ანალოგიის საშუალებით.¹⁶³

234 საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის დამდგენი ძირითადი ნორმა საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტია, რომელშიც ჩამოთვლილია შემდეგი უფლებამოსილებები:

- 1) ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლი - ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის განხილვა კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით;
- 2) აბსტრაქტული ნორმატოკონტროლი - გადაწყვეტილების მიღება ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე;

¹⁵⁹ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 173.

¹⁶⁰ *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გეგენავა დ. (რედ.), შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი 2019, გვ. 252; *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 174.

¹⁶¹ *Badura*, Staatsrecht. Systematische Erläuterung des Grundsatzes für die Bundesrepublik Deutschland, 4., neu bearbeitete Auflage, München 2010, S. 801; *Ipsen*, Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht, 20., neu bearbeitete Auflage, Köln, München 2008, S. 213; Meyer, W. (Bearb.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz. Kommentar, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012, Rn. 22.

¹⁶² შეადარე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 23.

¹⁶³ შეადარე: BVerfGE 1, 396 (408); Sturm, G. (Bearb.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011, Rn. 31.

- 3) საერთო სასამართლოს წარდგინება - იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასება, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლო და რომელიც მისი საფუძვლიანი ვარაუდით, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას;
- 4) დავა უფლებამოსილების შესახებ - სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა თაობაზე დავის განხილვა;
- 5) საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლი - საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა;
- 6) პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლი - პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და მისი წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
- 7) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლი - პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა;
- 8) რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლი - რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძვალზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავის განხილვა;
- 9) მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელი - ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის განხილვა კონსტიტუციის მეცხრე თავთან (ადგილობრივი თვითმმართველობა) მიმართებით.

ზემოაღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. კონსტიტუციაში მითითებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.¹⁶⁴ კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს და პარლამენტს წარუდგენს დასკვნას საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური

¹⁶⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ კონსტიტუციის დარღვევასთან ან მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობასთან დაკავშირებით.

236 საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია ასევე ასახულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში. ორგანულ კანონში დამატებით გათვალისწინებულია სამი უფლებამოსილება, რაც კონსტიტუციით არაა განსაზღვრული:

- 1) დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;¹⁶⁵
- 2) საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი;¹⁶⁶
- 3) საქართველოს კონსტიტუციის 59-ე – 64-ე მუხლებთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება).¹⁶⁷

237 2017 წლის 13 ოქტომბრის ცვლილებამდე საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარდა ამ პუნქტში უშუალოდ ჩამოთვლილი უფლებამოსილებებისა, საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლო, განეხორციელებინა საქართველოს კონსტიტუციით ან ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებებიც. შესაბამისად, ორგანული კანონით კომპეტენციის გაფართოება არ იყო პრობლემატური. კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია¹⁶⁸ ფაქტობრივად გამორიცხავს ამ შესაძლებლობას, რადგანაც მიუთითებს მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებზე. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი ორგანული კანონით დამატებითი უფლებამოსილებების დადგენის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.¹⁶⁹

¹⁶⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

¹⁶⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

¹⁶⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

¹⁶⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

¹⁶⁹ ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 252.

3.1.3. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფუნქციონალური ფარგლები და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით,¹⁷⁰ რაც ფუნქციონალურ დანაწილებასაც გულისხმობს. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ფუნქციონალურ ფარგლებს, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ის ინსტიტუციურად და მატერიალური თვალსაზრისით სასამართლო ხელისუფლების ნაწილია.¹⁷¹ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ფუნქცია უნდა გაიმიჯნოს არა მხოლოდ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების, არამედ საერთო სასამართლოთა ფუნქციებისგანაც. საკონსტიტუციო სასამართლომ პატივი უნდა სცეს სხვა ორგანოთა კომპეტენციის სფეროებს.¹⁷² კონსტიტუციის ნორმების ინტერპრეტაციამ არ უნდა მიიღოს მათი უფლებამოსილებების მითვისების ხასიათი. თავის მხრივ, სხვა სახელმწიფო ორგანოებსაც ეკისება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის პატივისცემის ვალდებულება.¹⁷³

238

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის „მცველია“, მაგრამ ეს არ ანიჭებს მას კონსტიტუციის განმარტების მონოპოლიას.¹⁷⁴ ეს ფუნქცია სხვა ორგანოებსაც, განსაკუთრებით პარლამენტსა და საერთო სასამართლოებს, აქვს.¹⁷⁵ საკონსტიტუციო სასამართლო იმითაა გამორჩეული, რომ ის კონსტიტუციის სავალდებულო განმარტებას ახორციელებს, რითაც გავლენას ახდენს სხვა სახელმწიფო ორგანოებზე. სახელისუფლებო საქმიანობა და ურთიერთობები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის მოთხოვნებსა და უზენაეს ღირებულებებს, თავსდებოდეს ფორმალურ თუ მატერიალურ კონსტიტუციურსამართლებრივ საზღვრებში.¹⁷⁶

239

¹⁷⁰ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁷¹ დეტალურად: იხ.: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 119.

¹⁷² Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 24.

¹⁷³ შეადარე: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 135; Meyer, GG, Art. 93, Rn. 12.

¹⁷⁴ BVerfGE 2, 124 (131).

¹⁷⁵ BVerfGE 62, 1.

¹⁷⁶ შეადარე: Maunz, Th. (Bearb.), Kommentar zum Art. 94 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band VI, München seit 1958, Rn. 3; Sturm, GG, Art. 93, Rn. 4.

3.1.4. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც „ნეგატიური კანონმდებელი“

- 240 თავის საქმიანობაში საკონსტიტუციო სასამართლო შემოიფარგლება „ნეგატიური კანონმდებლის“ ფუნქციით. მას ხელეწიფება მოქმედი ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადება და არა ახლის მიღება. სხვაგვარად საკონსტიტუციო სასამართლო მიითვისებდა კანონშემოქმედების უფლებამოსილებას, რითაც დაარღვევდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ის „...ქვეყანაში ახალი წესრიგის დადგენას (შექმნას) კი არ ემსახურება, არამედ უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას და ქმედითობას.“¹⁷⁷
- 241 კანონმდებლისა და საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა შესაძლოა, მსგავს შედეგებს იწვევდეს. კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დაკმაყოფილებას მოჰყვება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვამდე არსებული სამართლებრივი სივრცის შეცვლა.¹⁷⁸ მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის ერთ-ერთ პუნქტში არსებული მოკლე ჩანაწერი „... ან..“.¹⁷⁹ მისი გაუქმებით კანონმა მიიღო შინაარსი, რომელიც აღარ უშვებდა სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების საიდუმლოების მოსამართლის ბრძანების გარეშე არაკონსტიტუციურად შეზღუდვის შესაძლებლობას. იგივე შედეგის მიღწევა პარლამენტსაც შეეძლო კანონში ცვლილების შეტანით, მაგრამ ეს არ ნიშნავს სასამართლოს მიერ საკანონმდებლო ფუნქციის მითვისებას. ახალი სამართლებრივი სინამდვილე დადგა სამართალშეფარდებითი და არა სამართალშემოქმედებითი პროცესის შედეგად. შედეგის მსგავსება არ უდრის მისი გამომწვევი პროცესების იდენტურობას.¹⁸⁰
- 242 საკონსტიტუციო კონტროლი აზრს დაკარგავს, თუ ის ვერ მოახერხებს არაკონსტიტუციური ნორმატიული სინამდვილის კონსტიტუციურ სინამდვილედ ტრანსფორმაციას. ამ კონტექსტში პრინციპულად მნიშვნელოვანია „პოზიტიური“ და „ნეგატიური“ კანონმდებლობის სწორი გამიჯვნა. საკონსტიტუციო სასამართლომ,

¹⁷⁷ №1/466 გადაწყვეტილება, II-18.

¹⁷⁸ შეადარე: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 138.

¹⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III-1.

¹⁸⁰ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 139 f.

ერთი მხრივ, არ უნდა მიითვისოს სამართალშემოქმედებითი ფუნქცია, ხოლო მეორე მხრივ, არ შეკვეცოს მისი, როგორც „ნეგატიური კანონმდებლის“ შესაძლებლობები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მის უფლებამოსილებას მართებულად არ მიაკუთვნებს ნორმატიულ აქტებში ახალი რეგულაციების პირდაპირ ჩაწერას. გარდა ამისა, მას დაუშვებლად მიაჩნია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც დაადგენდა არა ფორმალურად, არამედ შინაარსობრივად ახალ სამართლებრივ წესრიგს, რომელიც არ ყოფილა საკანონმდებლო ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს სამართალშემოქმედების შედეგი. სასამართლოს დასკვნით, მისმა გადაწყვეტილებამ შეიძლება, დააყენოს შედეგი ნეგატიური ფორმით - სადავო ნორმის ან მისი რომელიმე ნორმატიული შინაარსის გაუქმება. მას არ შეუძლია, დაადგინოს ახალი წესრიგი და შეცვალოს სადავო ნორმის მოქმედების ფარგლები.¹⁸¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „ნეგატიური კანონმდებლის“ ფუნქციის ზემოაღნიშნული გაგება საკამათოა. უპირველეს ყოვლისა, ის არ განმარტავს განსხვავებას „ფორმალურ“ და „შინაარსობრივ“ სამართლებრივ წესრიგს შორის. თუ სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივ წესრიგზე მხოლოდ ფორმალურ და არა (ამავდროულად) შინაარსობრივ ზეგავლენას მოახდენს, კითხვის ქვეშ დადგება მისი ეფექტიანობა, განსაკუთრებით ინდივიდუალური სამართლებრივი პოზიციების დაცვის კუთხით. ფორმისა და შინაარსის დისტანცირება პრაქტიკულად შეუძლებელია. თვით საკონსტიტუციო სასამართლოს სწორი პოზიციით, „სამართალში ფორმას არ აქვს დამოუკიდებელი დატვირთვა და ამდენად, ფორმა არ არსებობს ფორმისთვის. ნებისმიერი ფორმის უკან დგას კონკრეტული შინაარსი და მართლწესრიგისთვის მთავარია ამ შინაარსის განხორციელება ან არგანხორციელება.“¹⁸² სამართალშემოქმედების შედეგი შეიძლება იყოს ფორმალური ან/და მატერიალური თვალსაზრისით არაკონსტიტუციური ნორმა. თუ საკონსტიტუციო სასამართლო თავის ამოცანას არ ხედავს მატერიალური არაკონსტიტუციურობის შეძლებისდაგვარად აღმოფხვრაში, მაშინ ის ლოგიკურად მხოლოდ ფორმალურ არაკონსტიტუციურობაზე უნდა ფოკუსირდეს, რაც არსებითად ავიწროვებს მისი კომპეტენციის ფუნქციონალურ ფარგლებს.

243

¹⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21, 22.

¹⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის №1/2/378 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, V.

244 სადავო ნორმის ან მისი რომელიმე ნორმატიული შინაარსის გაუქმება ნეგატიურია იმ თვალსაზრისით, რომ შესაბამისი ნორმა/შინაარსი აღარ აგრძელებს მოქმედებას. თუ სადავო ნორმა შესაბამისი ურთიერთობის ერთადერთი რეგულატორი იყო, მისი გაუქმების შემდეგ მივიღებთ სამართლებრივ ვაკუუმს. მისი შევსება ნორმატიულ აქტში ცვლილების განხორციელებით სამართალშემოქმედის და არა საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანაა. ამავდროულად, უმეტეს შემთხვევაში სადავო ნორმის გაუქმების შედეგად რჩება ურთიერთობის მომწესრიგებელი, კონსტიტუციის შესაბამისი, სახეცვლილი სამართლებრივი ბაზა. რაც შეეხება ნორმატიული შინაარსის გაუქმებას, ამ დროს ძალას კარგავს სადავო ნორმის შინაარსის ნაწილი, რაც თავისთავად გულისხმობს ასევე შინაარსობრივად სახეცვლილი ნორმის მოქმედების გაგრძელებას. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მტკიცება, რომ მისი გადაწყვეტილება მხოლოდ ნეგატიური ფორმით აყენებს შედეგს, არ არის მართებული და ყურადღების მიღმა ტოვებს გადაწყვეტილების თანმდევ პოზიტიურ შედეგებს. იგივე შეიძლება ითქვას სასამართლოს პოზიციაზე, რომ მას არ შეუძლია, დაადგინოს ახალი წესრიგი და შეცვალოს სადავო ნორმის მოქმედების ფარგლები. გადაწყვეტილების თანმდევი პოზიტიური შედეგი სხვა არაფერია, თუ არა ახალი კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებამდე არსებულისგან განსხვავებული სამართლებრივი წესრიგი, რამაც შეიძლება, განსხვავებულად დაადგინოს ნორმის მოქმედების ფარგლებიც.

245 აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის ნორმის გაუქმება თავისთავად ითვლება საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებაში შესვლად.¹⁸³ ამ კონტექსტში, სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგის რაობას კი არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა, არამედ იმას, რომ კანონის ნორმის გაუქმება არა საკანონმდებლო, არამედ სასამართლო პროცესის შედეგია. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო არ გადის მისი, როგორც „ნეგატიური კანონმდებლის“ ფუნქციონალური ჩარჩოებიდან.

246 თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „ნეგატიური კანონმდებლის“ ზემოაღნიშნული ინტერპრეტაციის ერთგული დარჩება, გაიზრდება რისკი, რომ მოსარჩელებმა ვერ მოახერხონ სუბიექტური სამართლებრივი პოზიციების სათანადო დაცვა, ხოლო არაკონსტიტუციურმა ნორმამ კი გააგრძელოს მოქმედება. ამ

¹⁸³ შეადარე: *Doehring, Allgemeine Staatslehre*, S. 204.

ვარაუდს თვით იმ გადაწყვეტილების მაგალითი ადასტურებს, რომლის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი საკამათო მიდგომა ჩამოაყალიბა. სადავო ნორმის¹⁸⁴ კონსტიტუციურობა, რომელიც თვითმიზნურ დიფერენცირებას ადგენდა და ახდენდა მოსარჩელის დისკრიმინაციას, არ შეფასებულა. ის კვლავ ძალაშია, ხოლო კონსტიტუციური სარჩელი კი არ დაკმაყოფილდა. სამართლიანი კრიტიკა გაისმა თვით საკონსტიტუციო სასამართლოს შიგნითაც. არ იქნა გაზიარებული მიდგომა, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლო უპირობოდ იყო მოკლებული შინაარსობრივად ახალი სამართლებრივი წესრიგის დადგენის უფლებამოსილებას. ასევე, კონკრეტული მაგალითების მოყვანით მიეთითა, რომ სასამართლოს მიერ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, როგორც წესი, იწვევდა ახალი სამართლებრივი წესრიგის დადგენას.¹⁸⁵

3.1.5. ურთიერთპატივისცემის პრინციპი კანონმდებელთან ურთიერთობაში და სამოსამართლო სამართალი

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ფარგლებზე უდიდეს გავლენას ახდენს მისი ურთიერთობა საკანონმდებლო ხელისუფლებასთან. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს კომპეტენციის ფორმალურ-სამართლებრივ საფუძვლებსა და ჩარჩოებს სწორედ კანონმდებელი ადგენს. თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვიტოს საკითხები, რომლებიც უკავშირდება საპარლამენტო არჩევნებისა და პარლამენტის საქმიანობის კონსტიტუციურობას, საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციას.¹⁸⁶ სამეცნიერო ლიტერატურაში პარლამენტის გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადამოწმების დათქმაზეც კი საუბრობენ.¹⁸⁷

საკონსტიტუციო სასამართლოსა და პარლამენტს შორის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთპატივისცემის პრინციპს. სასამართლოს მართებს კანონმდებლის დამოუკიდებელი და საკუთარი პასუხისმგებლობით მოქმედების

¹⁸⁴ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის - ლალი ფაფიაშვილის განხილული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 10 ნოემბრის N3/6/642 გადაწყვეტილებაზე, 8.

¹⁸⁶ დეტალურად: იხ.: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 137 f.*

¹⁸⁷ *Ipsen, Der Staat der Mitte. Verfassungsgeschichte der Bundesrepublik Deutschland, München 2009, S. 61.*

247

248

პატივისცემა.¹⁸⁸ პარლამენტს აქვს პირდაპირი დემოკრატიული ლეგიტიმაცია, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირება უშუალოდ ხალხის მიერ არ ხდება. ერთი მხედვით, პარლამენტზე კონტროლის განხორციელება უფრო დაბალი დემოკრატიული ლეგიტიმაციის მქონე ორგანოს მიერ არ შეესაბამება დემოკრატიის პრინციპს. ამავდროულად, დემოკრატიას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი აწონასწორებს, რომელიც ხშირად უპირატესობითაც კი სარგებლობს.¹⁸⁹ გონივრული ბალანსის მიღწევითვის, ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია პარლამენტის ლეგიტიმაციისა და თავისუფალი სამოქმედო სივრცის ფაქტორი. მეორე მხრივ, კანონმდებელი უნდა მოქმედებდეს კონსტიტუციის პრინციპებისა და ნორმების დაცვით, უზენაესი კანონის ფარგლებში.

249 საკანონმდებლო ორგანოს მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება მოითხოვს წინდახედულებას სამოსამართლო სამართლის განვითარების კუთხით.¹⁹⁰ სამოსამართლო სამართალი თავისთავად არ არღვევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ხელისუფლების შტოთა უფლებამოსილებების მსგავსი „გადაკვეთის“ შემთხვევები გამორიცხული არ არის.¹⁹¹ მოსამართლეთა მიერ სამართლის განვითარება ხშირად მიზანშეწონილი და აუცილებელიცაა სასამართლო დაცვის ეფექტიანობისთვის.¹⁹² მის საჭიროებას აძლიერებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა დინამიური ცვალებადობა, ამ დინამიკაზე კანონმდებლის სწრაფი რეაგირების შეზღუდული შესაძლებლობები და

¹⁸⁸ BVerfGE 77, 84 (104); Sturm, GG, Art. 93 GG, Rn. 14.

¹⁸⁹ შეადარე: *Bülow*, Gesetzgebung, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, S. 1459 (1462).

¹⁹⁰ *Doehring*, Allgemeine Staatslehre, S. 204.

¹⁹¹ *Kunig*, Der Rechtsstaat, in: Badura/Dreier, (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, Tübingen 2001, S. 421 (437); *Münch*, (Begr.), Mager, U. (Bearb.), Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht unter Berücksichtigung der europarechtlichen Bezüge, 7., völlig neu bearbeitete Auflage, Stuttgart 2009, S. 353; Schulze-Fielitz, H. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Rechtsstaat), in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Tübingen 2006, Rn. 75; *Vogel*, Gewaltenvermischung statt Gewaltenteilung? Zu neueren Entwicklungen im Verhältnis der Verfassungsorgane zueinander, Neue juristische Wochenschrift, 23 (1996), S. 1505 (1506); Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 111 f.

¹⁹² შეადარე: *Heyde*, Rechtsprechung, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, S. 1579 (1629); *Hofmann*, (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.)/Hofmann, Hans/Hopfauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011, Rn. 92; Jarass, H. D. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Jarass, Hans D./Piero, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, München 2012, Rn. 42; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 404 f.; Robbers, G., Kommentar zum Art. 20 GG (Aktualisierung Oktober 2009), in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 5 (Art. 20 – 21), Heidelberg seit 1950, Rn. 2021; Sachs, M. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011, Rn. 120.

ნორმების ზოგადი ფორმულირება.¹⁹³ ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის ინტერპრეტაციისას ისე შორსაც არ უნდა წავიდეს, რომ მის მკაფიო მოთხოვნებს შეეწინააღმდეგოს. დაუშვებელია სამოსამართლო სამართლის განვითარება *contra legem*.¹⁹⁴

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ფუნქცია კონსტიტუციის განმარტებაა და არა მისი ჩანაცვლება. ეს არ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციურობის ან არაკონსტიტუციურობის მშრალი, არაარგუმენტირებული ან არასათანადოდ დასაბუთებული კონსტატაციით უნდა შემოიფარგლოს.¹⁹⁵ კონსტიტუციის ნორმები ზოგადი ხასიათისაა და საფუძვლიან ინტერპრეტაციასა და კონკრეტიზაციას საჭიროებს.¹⁹⁶ საკონსტიტუციო სასამართლო ამ მიმართებით გადამეტებული სიფრთხილის გამოჩენით შეავიწროვებს მისი კომპეტენციის მატერიალურ ფარგლებს. ეს, საბოლოო ჯამში, ნეგატიურად აისახება კონსტიტუციური წესრიგისა და ძირითადი უფლებების დაცვაზე.

საკონსტიტუციო კონტროლის სიმკაცრეზე გავლენას ახდენს კანონმდებლის მოქმედების ხასიათი. რაც უფრო ინტენსიურია მისი ჩარევა ძირითად უფლებებში, მით უფრო მკაცრია კონსტიტუციურსამართლებრივი შეფასების სტანდარტები.¹⁹⁷ ძირითადი უფლებების შეზღუდვისა და ამ შეზღუდვის შემოწმების მასშტაბები ერთმანეთთან პროპორციულ დამოკიდებულებაშია. ეს სამართლებრივი სახელმწიფოს სულისკვეთების გამოსატულებაა, რომელიც ზომიერებისა და ბალანსის დაცვას მოითხოვს.¹⁹⁸

3.1.6. კომპრომისები კანონმდებელთან ურთიერთობაში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებელთან ურთიერთობაში იყენებს როგორც საზღვარგარეთულ პრაქტიკაში ცნობილ, ასევე ქართული სისტემის სპეციფიკით განპირობებულ კომპრომისულ მექანიზმებს. მათი გამოყენებით, ერთი

¹⁹³ BVerfGE 96, 375 (394).

¹⁹⁴ შეადარე: *Grzeszick, B.* (Bearb.), Die Verfassungsgrundsätze des Art. 20 Abs. 3 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, Rn. 148; Heyde, Rechtsprechung, S. 1579 (1631); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 96.

¹⁹⁵ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 142.

¹⁹⁶ შეადარე: *Zippelius/Würtenberger*, Deutsches Staatsrecht, S. 519 f.

¹⁹⁷ BVerfGE 60, 123 (134); 82, 126 (146); 88, 87 (97); Hopfauf, GG, Art. 93, Rn. 29.

¹⁹⁸ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 142.

250

251

252

მხრივ, ძალას არ კარგავს სადავო ნორმა, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფილია კონსტიტუციური წესრიგისა და ძირითადი უფლებების დაცვა.

253 სადავო ნორმის კონსტიტუციის შესაბამისი განმარტებისას საკონსტიტუციო სასამართლო აყალიბებს ნორმის ინტერპრეტაციის იმ ვერსიას, რაც არ არღვევს კონსტიტუციას. ის ამით თავიდან იცილებს მძიმე შედეგს ნორმის გაუქმების სახით.¹⁹⁹ ეს ნაბიჯი კომპრომისად განიხილება საკონსტიტუციო სასამართლოსა და კანონმდებელს შორის ურთიერთობაში.²⁰⁰

254 კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების ინსტიტუტი კანონის კონსტიტუციურობის პრეზუმფციას ეფუძნება.²⁰¹ ამერიკასა და ევროპაში გავრცელებული ნორმათა შენარჩუნების პრინციპი (*favor legis*) გულისხმობს, სადავო ნორმის ძალაში დატოვების პარალელურად, მისი კონსტიტუციასთან შესაბამისი ინტერპრეტაციის შეთავაზებას, თუ ნორმის კონსტიტუციურობაზე ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია.²⁰²

255 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის კონსტიტუციის შესაბამის განმარტებას ვერ ექნება ის ეფექტი, რაც რეალური საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში აქვს. მაღალია მისი იგნორირების რისკი და ნაკლებია საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ამაზე რეაგირების შესაძლებლობა. მას მხოლოდ მაშინ შეუძლია მოქმედება, როდესაც კონსტიტუციის შესაბამისი განმარტებიდან გადახვევა ნორმატიული აქტით მოხდება და ის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდება. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებითა და საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებით იგნორირებისას ეს თეორიული მანსიკ არ არსებობს, რადგანაც მათი შემოწმება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს სცდება.²⁰³

256 ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა სავარაუდოდ განაპირობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის

¹⁹⁹ *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 1411.

²⁰⁰ *Adamovich*, Verfassungsgerichtsbarkeit und ordentliche Gerichtsbarkeit, in: Adamovich, Ludwig (Hrsg.): Der Rechtsstaat in der Krise, Festschrift Edwin Loebenstein zum 80. Geburtstag, Wien 1991, S. 1 (8); *Stern.*, Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/München 1992, S. 1036 (1042).

²⁰¹ BVerfGE 2, 266 (282); *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 1413.

²⁰² *Stern*, Verfassungsgerichtsbarkeit im Widerstreit, S. 19; *Heun*, Bericht, in: Alexy, Robert/Kunig, Philip/Heun, Werner/Hermes, Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, VVDStRL (61), Berlin/New York 2002, S. 80 (112).

²⁰³ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 148.

არაკონსტიტუციურად ცნობის პრაქტიკის დამკვიდრება. კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების მსგავსად, სადავო ნორმა ამ შემთხვევაშიც არ კარგავს ძალას. არაკონსტიტუციურად ცხადდება და უქმდება მისი კონკრეტული ნორმატიული შინაარსი, რაც აისახება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გზავნილი უფრო მარტივად აღსაქმელი და აღსასრულებელია, ვიდრე კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება, რაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ვრცელი და რთული ტექსტის გაცნობას საჭიროებს. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილების აღრესატებისთვის სამოტივაციო ნაწილის შესწავლა ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის დროსაც მიზანშეწონილია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონკრეტული ნორმატიული შინაარსი პირველად არაკონსტიტუციურად ცნო 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილებით საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სადავო ნორმას წარმოადგენდა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი - „ამ კანონით განსაზღვრული წესით სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა საქართველოს თითოეული მოქალაქის მოვალეობაა.“ სამხედრო სარეზერვო სამსახური მნიშვნელოვანია სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების გაძლიერებისთვის, მაგრამ მისი დავალდებულება პირთათვის, რომლებსაც რწმენის საფუძველზე ჰქონდათ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, ჩაითვალა რწმენის თავისუფლებაში ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმად. ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შეიძლებოდა გაცილებით მსუბუქი შეზღუდვით - არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურით.²⁰⁴ საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე დაადგინა დისკრიმინაცია რწმენის ნიშნით.²⁰⁵ ამავდროულად, ხაზი გაესვა, რომ დავის საგანს არ წარმოადგენდა და ეჭვქვეშ არ დგებოდა სამხედრო სარეზერვო სამსახურის ინსტიტუტის კონსტიტუციურობის საკითხი.²⁰⁶ ამ ვითარებაში საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა არა სადავო ნორმა, არამედ მისი ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის

257

²⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60.

²⁰⁵ იქვე, II-79.

²⁰⁶ იქვე, II-81.

მოვალეობას ადგენდა იმ პირთა მიმართ, ვინც რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებდა სამხედრო სარეზერვო სამსახურზე.²⁰⁷

258

ზოგჯერ კანონმდებელი არღვევს პოზიტიურ კონსტიტუციურ ვალდებულებას. ამ დროს პრობლემას ნორმის არარსებობა ქმნის. საკონსტიტუციო სასამართლო ვერ შეავსებს ვაკუუმს კანონმდებლობაში, მაგრამ მიმართავს თხოვნით პარლამენტს ან სხვა ორგანოს, რათა მათ გამოასწორონ მდგომარეობა.²⁰⁸ თხოვნის ინსტიტუტი გამოიყენება უფლებამოსილი ორგანოების საკანონმდებლო ხარვეზებზე ყურადღების მიპყრობისთვისაც.²⁰⁹ თხოვნით საკონსტიტუციო სასამართლო ერთგვარად აკომპენსირებს საკუთარი კომპეტენციის დეფიციტს კანონმდებლის უმოქმედობისას.²¹⁰ მსგავსი გამოცდილება საზღვარგარეთაც არსებობს.²¹¹ დუმილს ჯობს მითითება კანონმდებლის უმოქმედობით გამოწვეულ პრობლემაზე, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს თხოვნა გარკვეულ, მათ შორის რეპუტაციულ რისკებს უკავშირდება. თხოვნა განიხილება obiter dictum-ად, რომლის შესრულებაც

²⁰⁷ იქვე, III-1.

²⁰⁸ მაგალითად იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 25 მარტის №2/31-5 გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან ფურცხვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სარეზოლუციო ნაწილი, 5; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის №1/51 გადაწყვეტილება საქმეზე „ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, სარეზოლუციო ნაწილი, 5; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბრის №1/5/32 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სარეზოლუციო ნაწილი, 4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 აპრილის №2/4/194 გადაწყვეტილება საქმეზე „მიხეილ ვადაჭორია საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, სარეზოლუციო ნაწილი, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის №1/1/186 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სარეზოლუციო ნაწილი, 3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 16 თებერვლის №1/2/213, 243 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - უტა ლიპარტია, გიორგი ხმელიძე, ელისო ჯანაშია და გოჩა დაღვა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სარეზოლუციო ნაწილი, III.

²⁰⁹ მაგალითად იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის №1/1/72-73 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ“, სარეზოლუციო ნაწილი, 4-5; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის №1/1/103, 117, 137, 147-48, 152-53 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ვალიდა დარბაიძე, ნათელა ციმაკურიძე და ნანა მირველაშვილი, ნატალია ოკუჯავა, მია მელაძე, მარი მიქიაშვილი, დავით ადამიძე, ნანა სარაშვილი, გიორგი ოკუჯავა და სხვები (სულ 54 მოქალაქე), ჟუჟუნა ბერიანიძე და მარია ვარამაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სარეზოლუციო ნაწილი, VI; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 15 ოქტომბრის №1/2/174 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ტრისტან ხანიშვილი, თედორე ნინიძე, ნოდარ ჭითანავა, ლევან ალექსიძე, გიორგი ქავთარაძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სარეზოლუციო ნაწილი, 3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სარეზოლუციო ნაწილი, 3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 22 ივნისის №2/2/245 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე კახაბერ ძაგანია საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, სარეზოლუციო ნაწილი, 2-3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმუელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაღიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III-2.

²¹⁰ *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 149.

²¹¹ დეტალურად იხ.: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1405 ff.; Schmidt, R., Staatsorganisationsrecht sowie Grundzüge des Verfassungsprozessrechts, 7. Auflage, Grasberg bei Bremen 2007, S. 277.

ადრესატზეა დამოკიდებული,²¹² ხოლო მისი გაუთვალისწინებლობა სასამართლოს ავტორიტეტზე ნეგატიურად აისახება.²¹³ ქართულ პრაქტიკაში იგნორირებაზე უარესი მდგომარეობაც იქმნებოდა, როდესაც სასამართლოს თხოვნის საპირისპირო შედეგი დგებოდა.²¹⁴ ამდენად, აუცილებელია ამ მექანიზმის წინდახედული და მხოლოდ იმ შემთხვევებში გამოყენება, როდესაც არ არსებობს გონივრული ალტერნატივა.²¹⁵

3.1.7. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის პოლიტიკური ფარგლები

საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაიცვას გარკვეული სტანდარტები, რათა არ მოგვევლინოს პოლიტიკის განმსაზღვრელ ან განმახორციელებელ ორგანოდ. ამ სტანდარტების დარღვევა ხელისუფლების სხვა შტოთა ფუნქციების მითვისების ტოლფასია, რადგანაც პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს კანონმდებელი ადგენს, ხოლო მათი განხორციელება ადმინისტრაციული ხელისუფლების პრეროგატივაა. სამართალშემფარდებელი სასამართლო ხელისუფლება ბუნებით აპოლიტიკურია, რაც მის ნეიტრალობას განაპირობებს და ავალდებულებს კიდევ.²¹⁶

259

ობიექტური მოცემულობაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითი პოლიტიკური გავლენა აქვს.²¹⁷ ის შეფასების მასშტაბად იყენებს კონსტიტუციას, რომელიც პოლიტიკური პროცესების სამართლებრივი საფუძველი და ჩარჩოა. კონსტიტუციას და ზოგადად, საკონსტიტუციო სამართალს პოლიტიკური ბუნება ახასიათებს,²¹⁸ ხოლო მათ გამოყენებასა და განმარტებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.²¹⁹ ამავდროულად, ეს სპეციფიკა არ ართმევს საკონსტიტუციო

260

²¹² Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1407.

²¹³ შეადარე: შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, თბილისი 2003, გვ. 144.

²¹⁴ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი 2007, გვ. 52.

²¹⁵ დეტალურად: იხ.: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 150.

²¹⁶ შეად/: №1/3/407 გადაწყვეტილება, II-24; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19.

²¹⁷ დეტალურად: იხ.: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 165 f.

²¹⁸ Böckenförde, Verfassungsgerichtsbarkeit, in: Neue juristische Wochenschrift, 52 (1999) 1, S. 9 (11); Hopfau, GG, Art. 93, Rn. 17; Ipsen, Staatsrecht I, S. 208; Leibholz, Der Status des Bundesverfassungsgerichts, in: Das Bundesverfassungsgericht 1951 – 1971, zweite völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Karlsruhe 1971, S. 31 (35); Mager, Staatsrecht I, S. 300; Stern, GG, Art. 93, Rn. 35, 48; Stern, Verfassungsgerichtsbarkeit im sozialen Rechtsstaat, Hannover 1980, S. 12; Voßkuhle, (Bearb.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Mangoldt, Hermann von(Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 32.

²¹⁹ Simon, Verfassungsgerichtsbarkeit, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, S. 1637 (1664).

სამართალს სამართლის ხარისხს.²²⁰ პრინციპული დატვირთვა აქვს პოლიტიკური და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გამიჯვნას, რომელთა მიღება საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა.²²¹

261 საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკურ გავლენას ასევე განაპირობებს მისი, როგორც კონსტიტუციის მთავარი ინტერპრეტატორის, სტატუსი. სასამართლოს „ინტერპრეტაციის ძალაუფლებაზე“ კი მიუთითებენ, რომლის საფუძველსაც კონსტიტუციის უზენაესობა, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებების საბოლოო და სავალდებულო ხასიათი და ინტერპრეტაციის საყოველთაოდ აღიარებული მეთოდების არარსებობა ქმნის.²²² საკონსტიტუციო მართლმსაჯულება კონსტიტუციის დაკონკრეტებისა და განმარტების პროცესში ადგენს იმ ჩარჩოებს, განსაკუთრებით ძირითადი უფლებების სფეროში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პოლიტიკა.²²³

262 საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა პრევენციულადაც ზემოქმედებს პოლიტიკურ საქმიანობაზე. სამართლებრივ სახელმწიფოში პოლიტიკის განსაზღვრისას და განხორციელებისას მხედველობაში მიიღება შესაბამის საკითხებზე საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მიერ უკვე ჩამოყალიბებული ან მოსალოდნელი პოზიცია.²²⁴

263 პოლიტიკური შეხედულებები და საზოგადოებრივი სინამდვილე, თავის მხრივ, გავლენას ახდენს საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაზე.²²⁵ მთავარია, რომ ეს გავლენა დარჩეს ზოგად მსოფლმხედველობრივ ჩარჩოებში იმ თემებთან დაკავშირებით, რაზეც პრინციპული პოზიციის ჩამოყალიბებას სწორედ მსოფლმხედველობა განაპირობებს.²²⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს მართებს მისი

²²⁰ შეადარე: *Sturm*, GG, Art. 93, Rn. 11.

²²¹ შეადარე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 9; *Böckenförde*, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 9 (10); *Brohm*, Die Funktion des BVerfG – Oligarchie in der Demokratie? in: *Neue juristische Wochenschrift*, 54 (2001) 1, S. 1 (3); *Ipsen*, Der Staat der Mitte, S. 61; *Korinek, K.*, Die Verfassungsgerichtsbarkeit im Gefüge der Staatsfunktionen, in: *Korinek, Karl/Müller, Jörg P./Schlaich*, Klaus: Die Verfassungsgerichtsbarkeit im Gefüge der Staatsfunktionen, Berlin/New York 1981, S. 8 (16); *Leibholz*, Der Status des Bundesverfassungsgerichts, S. 31 (49 f.); *Meyer*, GG, Art. 93, Rn. 6; *Kunig*, Bericht, in: *Alexy, Robert/Kunig, Philip/Heun, Werner/Hermes, Georg*: Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, VVDStRL (61), Berlin/New York 2002, S. 34 (77); *Simon*, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 1637 (1664); *Stern*, GG, Art. 93, Rn. 48.

²²² *Böckenförde*, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 9 (12 f.); *Voßkuhle*, GG, Art. 93, Rn. 33.

²²³ *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 9; *Böckenförde*, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 9 (12).

²²⁴ შეადარე: *Bülow*, Gesetzgebung, S. 1459 (1495); *Ipsen*, Der Staat der Mitte, S. 61.

²²⁵ *Leibholz*, Der Status des Bundesverfassungsgerichts, S. 31 (41); *Münch, I. v.*, Das Bundesverfassungsgericht als Teil des Rechtsstaates, *Jura* 1992, S. 505 (507).

²²⁶ მაგალითად, ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის საკითხი.

გადაწყვეტილების შესაძლო პოლიტიკური შედეგების კარგად გააზრება²²⁷ პოლიტიკური ან სოციალური კრიზისების პროვოცირების ან გამწვავების თავიდან ასაცილებლად.²²⁸ ეს არ ნიშნავს ვიწროპოლიტიკური ინტერესებისა და მიზანშეწონილობის საფუძველზე გადაწყვეტილებათა მიღებას, რაც კატეგორიულად დაუშვებელია. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს შეიძლება, ჰქონდეს პოლიტიკური მოსაზრებები, მაგრამ ის არ უნდა იქცეს პოლიტიკურ დავალებათა შემსრულებლად.²²⁹

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობას, მისი მნიშვნელობიდან და შედეგებიდან გამომდინარე, ახლავს პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის გაძლიერებისა და პოპულიზმის ცდუნება.²³⁰ თუ სასამართლო ამ ცდუნებას ვერ გაუძლებს, გადაიქცევა პოლიტიკურ აქტორად. ეს განიხილება საფრთხედ დემოკრატიისთვის, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლოს დემოკრატიული გზით გადარჩევა შეუძლებელია და შედეგად, მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის ხარისხი დაბალია.²³¹ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიჩნევა არა კონსტიტუციური წესრიგის დაცვად, არამედ მასზე ბატონობად, დემოკრატიული საფუძვლებიდან დისტანცირებად და სამოსამართლო ოლიგარქიის ჩამოყალიბებად.²³² მოვლენათა ამგვარი განვითარების პრევენციისთვის საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა იმოქმედოს არა სუბიექტურ-პოლიტიკური, არამედ ობიექტურ-სამართლებრივი მასშტაბების საფუძველზე.²³³ მისი ამოცანაა სადავო ნორმის კონსტიტუციურობისა და არა მართებულობის ან

264

²²⁷ შეადარე: *Leibholz*, Der Status des Bundesverfassungsgerichts, S. 31 (42).

²²⁸ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 169.

²²⁹ იქვე, S. 167 f.

²³⁰ დეტალურად: იხ.: იქვე, S. 168 f.

²³¹ *Münch*, Das Bundesverfassungsgericht, S. 505 (510).

²³² *Böckenförde*, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 9 (11); Meyer, GG, Art. 93, Rn. 9.

²³³ შეად/: *Böckenförde*, იქვე, S. 9 (12); Hopfauf, GG, Art. 93, Rn. 14; Khubua: Rechtstheorie, S. 107 f.; Korinek, Die Verfassungsgerichtsbarkeit, S. 8 (16 f.); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 169; Mager, Staatsrecht I, S. 300; Meyer, GG, Art. 93, Rn. 6; Stern, GG, Art. 93, Rn. 48; Stern, Verfassungsgerichtsbarkeit im Widerstreit, S. 12; Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 519 f.

მიზანშეწონილობის დადგენა.²³⁴ მიზანშეწონილობით განპირობებული გადაწყვეტილება პოლიტიკური და არა სამართლებრივი სივრცის ნაწილია.²³⁵

265 საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პოლიტიკურ გავლენას, ობიექტურ-სამართლებრივთან ერთად, სუბიექტური ფარგლებიც აქვს.²³⁶ ამ კუთხით გამოსაყოფია სამოსამართლო თვითშეზღუდვის (judicial self-restraint) პრინციპი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მას განიხილავს არა როგორც კომპეტენციის შემცირებას ან შესუსტებას, არამედ როგორც უარს პოლიტიკის განხორციელებაზე, თავისუფალი პოლიტიკური საქმიანობის კონსტიტუციით განსაზღვრულ და შემოფარგლულ სივრცეში ჩარევაზე.²³⁷ კონსტიტუციის ნორმების ზოგადი შინაარსი ზრდის მათ საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას არასამართლებრივი, სუბიექტური მიდგომების რისკს. მის დაშლვევ საშუალებად მოიაზრებენ ფუნქციონალური საზღვრების გავლენას,²³⁸ რათა საკონსტიტუციო სასამართლომ არ გადალახოს მიჯნა სამართალსა და პოლიტიკას შორის. მან საკითხის გადაწყვეტა კანონმდებელს უნდა მიანდოს, თუ ამის გაკეთება თავად არ შეუძლია შეფასების კონსტიტუციურსამართლებრივი მასშტაბების არარსებობის გამო.²³⁹

266 აშშ-ის უზენაესი სასამართლო იყენებს პოლიტიკური საკითხის დოქტრინას (political question doctrine), რაც გულისხმობს პოლიტიკური საკითხების განხილვისგან თავის შეკავებას, როდესაც გადაწყვეტილების მიღება სამართლებრივი მასშტაბების საფუძველზე შეუძლებელია.²⁴⁰ დამოკიდებულება ამ დოქტრინის გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაზე გავრცელებასთან დაკავშირებით

²³⁴ შეადარე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე მახარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-111; *Seuffert*, Die Verfassungsbeschwerde in der Verfassungsgerichtsbarkeit, in: Das Bundesverfassungsgericht 1951 – 1971, 2., völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Karlsruhe 1971, S. 159 (161).

²³⁵ შეადარე: Ipsen, Staatsrecht I, S. 209.

²³⁶ ლეტალურად იხ.: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 170 f.

²³⁷ BVerfGE 36, 1(14 f.).

²³⁸ *Badura*, Staatsrecht, S. 822.

²³⁹ შეადარე: BVerfGE 36, 1 (14 f.); Münch, Das Bundesverfassungsgericht, S. 505 (511); Simon, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 1637 (1644); Stein, E., Götz, F., Staatsrecht, 21., neu bearbeitete Auflage, Tübingen 2010, S. 16; *Zippelius/Würtenberger*, Deutsches Staatsrecht, S. 521.

²⁴⁰ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 28.

უარყოფითა.²⁴¹ ნათელი კრიტერიუმები განსახილველი საკითხის პოლიტიკურად მიჩნევასთან დაკავშირებით არ არის ჩამოყალიბებული.²⁴² ამის გამო პოლიტიკური საკითხის დოქტრინის გაზიარება არათუ შეამცირებდა, არამედ გაზრდიდა საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიზაციის ხარისხს. საკონსტიტუციო სასამართლო უარს ვერ იტყვის მისი უფლებამოსილების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე პოლიტიკურ ინტერესებს შეეხება ან პოლიტიკურ შედეგებს იწვევს. აქედან გამომდინარე, ითვლება, რომ პოლიტიკური საკითხების დოქტრინა არ შეესაბამება საკონსტიტუციო მართლმსაჯულების არსს.²⁴³

პოლიტიკისგან დისტანცირება არ უნდა იქცეს მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმისა და პასუხისმგებლობის თავიდან აცილების საბაბად. მკაფიო სტანდარტებს, პოლიტიკური საკითხის დოქტრინის მსგავსად, სამოსამართლო თვითშეზღუდვის პრინციპიც არ ეფუძნება.²⁴⁴ ეს ზოგჯერ იწვევდა მართლმსაჯულების განხორციელებაზე ფაქტობრივად უარის თქმას იმ შემთხვევებში, როდესაც სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა აუცილებელი იყო.²⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამის თავიდან ასაცილებლად საქმე შეიძლება არ მიიღოს არსებითად განსახილველად არა მისი პოლიტიკური მნიშვნელობის, არამედ კონსტიტუციურსამართლებრივი მასშტაბებით შემოწმების განხორციელების შეუძლებლობის გამო, როდესაც კონსტიტუციით არ არის გადაწყვეტილი კონსტიტუციურ სარჩელში/წარდგინებაში მითითებული არცერთი სადავო საკითხი.²⁴⁶

საკითხი ფორმალურად შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი იყოს, თუმცა მისი კონსტიტუციურსამართლებრივი შეფასება - შეუძლებელი. მაგალითად, საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაა, მაგრამ თუ კონსტიტუციური სარჩელი/წარდგინება ხელშეკრულების პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზე

²⁴¹ მაგ/ იხ.: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 28; Burchardt, D. O., Grenzen verfassungsgerichtlichen Erkenntnis. Zur Prozeduralität der Verfassungsnormativität, Berlin 2004, S. 62.

²⁴² Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, იქვე; Stern, Verfassungsgerichtsbarkeit im Widerstreit, S. 22.

²⁴³ Sturm, GG, Art. 93 GG, Rn. 11; Voßkuhle, GG, Art. 93, Rdn. 22.

²⁴⁴ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 27.

²⁴⁵ Ipsen, Staatsrecht I, S. 210.

²⁴⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

267

268

აპელირებს,²⁴⁷ ის სასამართლომ არსებითად განსახილველად არ უნდა მიიღოს. ამისგან განსხვავებით, მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის შემოწმების მასშტაბებსაც კონსტიტუცია იძლევა, თუნდაც კონსტიტუციური ნორმის რანგში აყვანილი პოლიტიკური მიზანშეწონილობის ფორმით. მაგალითად, საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციაში შესვლა საგარეო, ასევე თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხია და ერთი შეხედვით, ის არ ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილვა-შეფასებას. მიუხედავად ამისა, თუ ხელშეკრულება გაითვალისწინებს გაწევრიანებას არა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების (NATO), არამედ სხვა რომელიმე ორგანიზაციაში, ის შესაძლებელია, შემოწმდეს კონსტიტუციის 78-ე მუხლთან მიმართებით. ამ მუხლში ნორმატიულადაა განმტკიცებული კონსტიტუციური ორგანოების ვალდებულება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციისთვის ყველა ზომის მიღების შესახებ.

3.1.8. აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობის გავლენა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფუნქციონალურ ფარგლებზე

269 საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ფუნქცია არ არის კანონების აღსრულება. საკონსტიტუციო სასამართლო ასევე არ ერევა მთავრობის ფორმირების პოლიტიკურ პროცესში, რაც შეუთავსებელი იქნებოდა მისი, როგორც სასამართლო ორგანოს, არსთან.²⁴⁸ იგივე შეიძლება ითქვას სამინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების იმ ასპექტებზე, რომელთა შეფასება შეუძლებელია კონსტიტუციურ-სამართლებრივი მასშტაბებით. ამ კუთხით, საკონსტიტუციო სასამართლომ თავდაჭერილობა უნდა გამოიჩინოს²⁴⁹ და განსაკუთრებით თავი უნდა აარიდოს კონტროლს მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.²⁵⁰

²⁴⁷ მაგალითად, რომელიმე ავტორიტარულ სახელმწიფოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების დაუშვებლობა ამ სახელმწიფოს მიერ დემოკრატიული ფასეულობების იგნორირების გამო.

²⁴⁸ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 154.

²⁴⁹ დეტალურად: იხ.: *Bachof*, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates. Der soziale Rechtsstaat in verwaltungsrechtlicher Sicht, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, S. 201 (222 f.).

²⁵⁰ *Hopfauf*, GG, Art. 93, Rn. 31.

ზემოაღნიშნული არ გულისხმობს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სრულ დისტანცირებას ადმასრულებელი ხელისუფლებისგან. ის დიდ როლს თამაშობს იმაში, რომ ერთი მხრივ, არ დაირღვეს ადმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციის ფუნქციონალური ფარგლები, ხოლო მეორე მხრივ, თვით ადმასრულებელი ხელისუფლება არ შეიჭრას სხვა შტოების, განსაკუთრებით საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციებში. ამის კარგ თეორიულ შესაძლებლობას იძლევა უფლებამოსილებათა შესახებ დავების განხილვის კომპეტენცია, მაგრამ პრაქტიკაში სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები არ მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს მათი კონსტიტუციური უფლებამოსილებების დარღვევის თაობაზე.

მიუხედავად პოტენციურ მოსარჩელეთა პასიურობისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მაინც ახერხებს ხელისუფლების შტოებს შორის ფუნქციონალურ ზღვართან დაკავშირებით პოზიციის ჩამოყალიბებასა და შესაბამისი სტანდარტების დადგენას. განსაკუთრებით აღსანიშნავია პარლამენტის მიერ ადმასრულებელ ხელისუფლებაზე სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილებების დელეგირების თემა. სასამართლოს პოზიციით, სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილებების ადმასრულებელი ხელისუფლებისთვის გადაცემა დასაშვებია, თუ ამას პირდაპირ არ კრძალავს კონსტიტუცია ან პარლამენტი დელეგირებით უარს არ აცხადებს მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე.²⁵¹ განსაკუთრებით საფრთხილოა ძირითადი უფლებების შეზღუდვის დელეგირების საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც საკონსტიტუციო სასამართლო აყალიბებს მნიშვნელოვან მოთხოვნებს.²⁵² კონსტიტუციის მითითება ძირითადი უფლების კანონით შეზღუდვის თაობაზე გულისხმობს, რომ ამ საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილება მხოლოდ პარლამენტს აქვს. ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელი და პრაქტიკული საჭიროებით განპირობებულია შეზღუდვის რეგულირების დელეგირება სხვა სახელმწიფო ორგანოზე. ამ

²⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის №3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-78.

²⁵² დეტალურად იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-20; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/2/867 გადაწყვეტილება საქმეზე „რეზი მარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-16; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II – 22-34.

შემთხვევაშიც, პარლამენტმა თავად უნდა მოაწესრიგოს მნიშვნელოვანი, პრინციპული და ფუნდამენტური საკითხები.

272 სადავო ნორმის კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების ინსტიტუტი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კანონმდებელთან, არამედ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობაშიც. კანონის ნორმების არაკონსტიტუციური ინტერპრეტაცია ძირითადად სწორედ მათი აღსრულების პროცესში გვხვდება, ამიტომ აღმასრულებელი ხელისუფლება ხშირად არის ნორმის კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების ადრესატი. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ განახორციელა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის იმ ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისი განმარტება, რომელიც კრძალავდა მოწოდებას კონსტიტუციური წყობილების დამხობისკენ ან ძალადობით შეცვლისკენ. მან ხაზი გაუსვა, რომ ძალადობისკენ მოწოდების ფორმალურად შემცველი, ასევე ერთეული, იზოლირებული გამონათქვამები ყველა შემთხვევაში არ ქმნიდა ძალადობის განხორციელების რეალურ საფრთხეს. შეკრების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო დასაშვები, როდესაც არსებობდა არა მხოლოდ მოწოდება, არამედ ძალადობის საშიშროებაც. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ნორმის იმგვარი განმარტება, რაც აღნიშნული კრიტერიუმების გაუთვალისწინებლად იძლეოდა შეკრების თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია.²⁵³

273 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება, არაკონსტიტუციურად ცნოს სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამომდინარეობს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ამ ნორმის ინტერპრეტაციიდან. ეს ერთგვარად დააკომპენსირებდა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების კომპეტენციის არქონას. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ ნორმის შინაარსი უნდა იძლეოდეს ამგვარი განმარტების საფუძველს და ადგილი არ უნდა ჰქონდეს თვითნებურ, არაკეთილსინდისიერ ინტერპრეტაციას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან.²⁵⁴ ამ შემთხვევაში,

²⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგური და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-96.

²⁵⁴ შუადარე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს

უფლებების დასაცავად პირმა საერთო სასამართლოს უნდა მიმართოს და არა საკონსტიტუციო სასამართლოს.

3.1.9. საერთო სასამართლოებთან ურთიერთობის გავლენა
საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფუნქციონალურ
ფარგლებზე

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა, საერთო სასამართლოებთან ერთად ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას.²⁵⁵ გარდა სასამართლო ხელისუფლებისადმი ფორმალური მიკუთვნებისა, საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლოებისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს მატერიალური თვალსაზრისითაც.²⁵⁶ ეს წარმოშობს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის მკაფიო ფუნქციონალური ზღვრის გავლების აუცილებლობას დუბლირებისა და ურთიერთგამომრიცხავი პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად.

274

ფუნქციონალური გამიჯვნის ორიენტირს კონსტიტუცია გვთავაზობს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებს საკონსტიტუციო კონტროლის, ხოლო საერთო სასამართლოებს კი - მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციას.²⁵⁷ მართლმსაჯულება განიმარტება, როგორც სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებს საერთო სასამართლოები.²⁵⁸ საკონსტიტუციო კონტროლის მსგავსი ლეგალური დეფინიცია არ არსებობს, თუმცა თუ იგივე პრინციპით მივუდგებით, ის სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც საკონსტიტუციო სამართალწარმოების მეშვეობით ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო.

275

პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-6; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/538 გადაწყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3,6; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-69.

²⁵⁵ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

²⁵⁶ დეტალურად იხ.: Hopfauf, GG, Art. 93, Rn. 50; Voßkuhle, GG, Art. 93, Rn. 20.

²⁵⁷ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

²⁵⁸ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

- 276 საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს განასხვავებს არა მხოლოდ სამართალწარმოების ფორმები, არამედ გადაწყვეტილებათა მიღების სამართლებრივი მასშტაბები.²⁵⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ძირითადი მასშტაბი კონსტიტუციაა, საერთო სასამართლოების კი - დანარჩენი ნორმატიული აქტები. ამ მოცემულობას არ ცვლის „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც საერთო სასამართლოებმა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღონ კონსტიტუციის შესაბამისად. ამას ორი წინაპირობა აქვს: 1) საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტი არ შეესაბამება კონსტიტუციას; 2) ამ აქტის შემოწმება არ განეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას. ეს ნორმა ფაქტობრივად „მკვდარია“, რადგანაც ნებისმიერი ნორმატიული აქტი ექვემდებარება საკონსტიტუციო კონტროლს.²⁶⁰ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა მასშტაბებიდან კონსტიტუციის გამორიცხვა არ ათავისუფლებს მათ კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით ბოჭვისგან.
- 277 ზემოაღნიშნული განსხვავების მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოს უწევს მიმდინარე სამართლის, ხოლო საერთო სასამართლოებს კი - კონსტიტუციის განმარტება.²⁶¹ გარკვეული უფლებამოსილებების ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების მასშტაბად განსაზღვრულია მიმდინარე კანონმდებლობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შემოწმება შესაძლებელია არა მხოლოდ კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან, არამედ კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და კანონებთან მიმართებითაც. იმპიჩმენტს დაქვემდებარებული პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საკითხის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლო უნდა დაეყრდნოს სისხლის სამართლის კოდექსს, რადგანაც დანაშაულთა შემადგენლობები სწორედ მასშია მოცემული და არა კონსტიტუციაში.
- 278 საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს მიმდინარე სამართალს სხვა უფლებამოსილებათა ფარგლებშიც, რადგანაც კონსტიტუციურსამართლებრივი

²⁵⁹ Mager, Staatsrecht I, S. 316.

²⁶⁰ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 157.

²⁶¹ დეტალურად იხ.: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 159 ff.

შემოწმება წარმოუდგენელია სადავო ნორმის ინტერპრეტაციის გარეშე.²⁶² სადავო ნორმის განმარტება საჭიროა კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების ეტაპზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს, რამდენად სწორად ესმის მოსარჩელეს/წარდგინების ავტორს სადავო ნორმის შინაარსი და მისი არგუმენტაცია ხომ არ ემყარება მცდარ გაგებას.²⁶³ კონსტიტუციური სარჩელი/წარდგინება არსებითად განსახილველად არ მიიღება, თუ მისი დასაბუთება განპირობებულია ნორმის ცალსახად არასწორი ინტერპრეტაციით ან არ არსებობს შინაარსობრივი მიმართება არგუმენტაციასა და სადავო ნორმას შორის.²⁶⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა ასევე შეუძლებელია პროცესუალური ნორმების განმარტების გარეშე, რომლებიც მიმდინარე სამართლის ნაწილია.

საერთო სასამართლოებისთვის შეფასების მასშტაბი მიმდინარე კანონმდებლობაა, თუმცა მათ არ ეკრძალებათ კონსტიტუციის გამოყენება და განმარტება.²⁶⁵ პირიქით, კანონმდებლობის კონსტიტუციურობის შეფასება საერთო სასამართლოთა ვალდებულებად განიხილება.²⁶⁶ მოსამართლე არა მხოლოდ კანონს, არამედ პირველ რიგში, კონსტიტუციას ემორჩილება,²⁶⁷ რაც გულისხმობს მისი პრინციპებისა და ნორმების დაცვას. მან არ უნდა გამოიყენოს ნორმა, თუ თვლის, რომ ის არაკონსტიტუციურია. მიმდინარე სამართლის განმარტება უნდა განხორციელდეს კონსტიტუციის მოთხოვნათა დაცვით. საერთო სასამართლომ არ უნდა დაუშვას

279

²⁶² შეადარე: *ზოიძე*, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი, გვ. 159.

²⁶³ მაგ. იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 დეკემბრის №2/9/450 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე აკაკი მიქაძე ქალაქ თბილისის საკრებულოს წინააღმდეგ“, II-2,9,10; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის №2/1/456 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ თირქია, სერგო თირქია, ზვიზა გოგია და მამუკა შენგელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4,6; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/1/481 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნინო ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1,2,8.

²⁶⁴ მაგ. იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის №2/3/412 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის №2/2/438 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვახტანგ ცეციფურიძეილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II – 1-3; №2/1/456 განჩინება, II-7.

²⁶⁵ შეადარე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 753; *Stern*, Kommentar zum Art. 100 GG, in: Dolzer, Rudolf/Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 12 (Art. 89 – 104), Heidelberg seit 1950, Rn. 10.

²⁶⁶ *Ipsen*, Staatsrecht I, S. 224 f.; *Meyer*, W. (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz. Kommentar, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012, Rn. 3, 22; Müller-Terpitz, R. (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.), Hofmann, Hans/Hopfauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011, Rn. 3; Jan-Reinard Sieckmann, J.-R. (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: Mangoldt, Hermann von(Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 2; *Stern*, GG, Art. 100, Rn. 9.

²⁶⁷ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ძირითადი უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და „მხედველობაში მიიღოს სამართლებრივი შედეგი, რომელიც საკანონმდებლო ნორმების გამოყენებამ, ინტერპრეტირებამ შეიძლება მოახდინოს კონსტიტუციურ უფლებაზე“.²⁶⁸

280 საერთო სასამართლოების მიერ ნორმათა კონსტიტუციურობის შემოწმების შედეგი არ არის მათი გაუქმება. არაკონსტიტუციური ნორმების გაუქმების მონოპოლია საკონსტიტუციო სასამართლოს ხელშია.²⁶⁹ თუ საერთო სასამართლო გამოავლენს ნორმის არაკონსტიტუციურობას, თავად კი არ აცხადებს მას ძალადაკარგულად, არამედ კონსტიტუციური წარდგინებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს.²⁷⁰

281 საკონსტიტუციო სასამართლო არ ამოწმებს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობას, მაგრამ მათ საქმიანობაზე ირიბი ზეგავლენის საშუალებაა სადავო ნორმის კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების ინსტიტუტი. საერთო სასამართლო არის პრაქტიკაში კონსტიტუციის შესაბამისი ზოგიერთი განმარტების ადრესატი.²⁷¹ ეს ამცირებს საერთო სასამართლოების მიერ ნორმის არაკონსტიტუციური ინტერპრეტაციის საფრთხეს. ამავდროულად, კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ვერ მოახდენს რეაგირებას მის მიერ შეთავაზებული ინტერპრეტაციის იგნორირებაზე.

282 კონსტიტუციის შესაბამის განმარტებაზე ეფექტურია სადავო ნორმის იმ ნორმატიული შინაარსის გაუქმება, რაც გამომდინარეობს საერთო სასამართლოების პრაქტიკიდან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, ნორმას იმ შინაარსით განიხილავს, რომლითაც ის საერთო სასამართლომ გამოიყენა. მისი პოზიციით, სწორედ საერთო სასამართლოები იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, პრაქტიკულ გამოყენებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით.²⁷² განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნორმის ზემდომი

²⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „„მშს სამაწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „მშს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

²⁶⁹ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 753; Bülow, Gesetzgebung, S. 1459 (1464); Sieckmann, GG, Art. 100, Rn. 2; Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 533.

²⁷⁰ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 161.

²⁷¹ მაგ. იხ.: №1/2/384 გადაწყვეტილება, II-22; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 მაისის №2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II – 64-66.

²⁷² შეადარე: მაგ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/2/656 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „სილქ როულ ბანკი“ საქართველოს

ინსტანციების, უპირველეს ყოვლისა, უზენაესი სასამართლოს მიერ განმარტებას. ის საერთო სასამართლოების სისტემაში კანონის განმარტების უმაღლეს და საბოლოო ინსტანციად, ხოლო მისეული ინტერპრეტაცია კი ნორმის შინაარსის გაგების წყაროდ ითვლება.²⁷³

საერთო სასამართლოების პრაქტიკით განსაზღვრული ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა მკაფიოდ მიანიშნებს მათ, რომ ეს მიდგომა ანტიკონსტიტუციურია და არ უნდა იქნეს გამოყენებული პრაქტიკაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამავდროულად აღნიშნავს, რომ მისი მიზანი არაა საერთო სასამართლოთა გადაწყვეტილებების რევიზია, თუმცა მიანიშნებს იმ ვალდებულებაზე, რასაც აკისრებს მათ კონსტიტუცია კონკრეტული საქმის განხილვა-გადაწყვეტისას.²⁷⁴ ამგვარად, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება არ სცდება მის ფუნქციონალურ ფარგლებს, თუმცა გავლენას ახდენს საერთო სასამართლოების საქმიანობაზე.

სადავო ნორმის საერთო სასამართლოების პრაქტიკიდან გამომდინარე, ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის კარგი მაგალითია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც: 1) უშვებდა ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, როდესაც მისი ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდებოდა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების ჩვენებებით და ამავე დროს, მათ შეეძლოთ, მაგრამ არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად; 2) ითვალისწინებდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ ჩვენების მტკიცებულებად გამოყენებას, რომელიც ეფუძნებოდა ოპერატიული წყაროს („კონფიდენტი“,

პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1/10/703 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიძე სასამართლოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-54, 65, 83, 97.

²⁷³ №1/10/703 გადაწყვეტილება, II-16; №2/2/1276 გადაწყვეტილება, II-83, 97.

²⁷⁴ №2/2/1276 გადაწყვეტილება, II-99.

283

284

„ინფორმანტი“) ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას; 3) რომელიც ჩხრეკის შედეგს განიხილავდა ჩხრეკისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ერთ-ერთ საფუძვლად.²⁷⁵ საკონსტიტუციო სასამართლო ნორმატიული შინაარსის განსაზღვრისას სამივე შემთხვევაში დაეყრდნო საერთო სასამართლოების სხვადასხვა ინსტანციების პრაქტიკას და სადავო ნორმების მათ მიერ განხორციელებულ ინტერპრეტაციას.²⁷⁶

3.1.10. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფაქტობრივი ფარგლები

285 კომპეტენციის ფაქტობრივი ფარგლები დამოკიდებულია კონკრეტული საქმის სპეციფიკაზე. ამის მაგალითად მოჰყავთ სიტუაცია, როდესაც კანონის ნორმის კონსტიტუციურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამართლდება კანონმდებლის მოლოდინი პრაქტიკაში მის მოქმედებასთან დაკავშირებით. არც საკონსტიტუციო სასამართლო და არც კანონმდებელია დაჯილდოვებული წინასწარ-მეტყველების უნარით. აქედან გამომდინარე, სასამართლო იმის შემოწმებით შემოიფარგლება, ადეკვატურად განხორციელდა თუ არა სადავო ნორმის მოქმედების განჭვრეტა. ამ დროს მთავარია, კონსტიტუცია მცდარ პროგნოზებთან დაკავშირებული ნებისმიერი რისკის გამორიცხვას მოითხოვს, თუ კანონმდებელს თავისუფალი მოქმედების არეალს უტოვებს.²⁷⁷ პროგნოზი ძირითადი უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის შემოწმების ობიექტი ხდება, როდესაც ეს შეზღუდვა მხოლოდ პროგნოზის გამართლების შემთხვევაშია მართლზომიერი.²⁷⁸

286 მნიშვნელოვანია საკითხი, თუ როგორ უნდა შეაფასოს საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებლის პროგნოზი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, პროგნოზი ხშირად ალბათობის შეფასებას ეყრდნობა, რომლის საფუძვლების იდენტიფიცირებაც შესაძლებელი და აუცილებელია. თავის მხრივ, ეს საფუძვლები შემოწმებას ექვემდებარება. კანონმდებლის პროგნოზი ისეთ ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორცაა რეგულირების სფეროს სპეციფიკა, რელევანტური სამართლებრივი სიკეთეები, მყარი შეფასების ჩამოყალიბების

²⁷⁵ იქვე, III-1.

²⁷⁶ იქვე, II-66, 67, 68, 74, 84, 85, 98.

²⁷⁷ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 26.

²⁷⁸ იქვე Rn. 311.

შესაძლებლობა და სხვა, რომლებიც განსხვავდება ცალკეული შემთხვევების მიხედვით. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო კონტროლიც დიფერენცირებული ინტენსივობისაა და შემდეგი სახით შეიძლება განხორციელდეს: 1) ევიდენტობის კონტროლი (Evidenzkontrolle); 2) დასაბუთებულობის კონტროლი (Vertretbarkeitskontrolle); 3) ინტენსიური შინაარსობრივი კონტროლი (intensivierte inhaltliche Kontrolle).²⁷⁹

ევიდენტობის კონტროლის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლო აუქმებს ნორმას, თუ ის კანონმდებლის აშკარად მცდარ პროგნოზს ეფუძნება. ამის მაგალითია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონთან დაკავშირებით, რომლითაც განხორციელდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობების საფუძვლების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაცია. ბავარიის ფედერალური მიწის მთავრობას მიაჩნდა, რომ ამით ირღვეოდა ძირითადი კანონი, მათ შორის გერმანიის გაერთიანების პრინციპი. სასამართლომ დაადასტურა, რომ ქვეყნის გაერთიანება მართლაც იყო კონსტიტუციური პრინციპი, რასაც არა მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა, არამედ სამართლებრივი შინაარსიც ჰქონდა. ამავდროულად, პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოებს უნდა გადაეწყვიტათ, რა გზები იყო ამ მიზნის მიღწევისთვის პოლიტიკურად სწორი და მიზანშეწონილი. მათი პრეროგატივა იყო იმის პროგნოზირება, ესა თუ ის ღონისძიება სამართლებრივი ან ფაქტობრივი თვალსაზრისით, რამდენად შეუძლიდა ხელს ან შეუძლებელს გახდიდა გაერთიანებას. საკანონმდებლო ორგანოებს ჰქონდათ პოლიტიკური დისკრეციის განსაკუთრებით ფართო სფერო. საკონსტიტუციო სასამართლოს ჩარევა აუცილებელი მხოლოდ მაშინ იქნებოდა, როდესაც კანონმდებელი დისკრეციის ფარგლებს ცალსახად დაარღვევდა და გაერთიანებას სამართლებრივად ან ფაქტობრივად აშკარად შეუძლიდა ხელს.²⁸⁰

287

დასაბუთებულობის კონტროლისას მოწმდება, რამდენად არგუმენტირებულია კანონმდებლის პროგნოზი და თუ ეფუძნება ის კვლევებს, სტატისტიკურ მონაცემებს, საექსპერტო დასკვნებს და ა.შ. კანონმდებელმა ინდივიდთა თავისუფლებას არ უნდა შეუქმნას გადამეტებული რისკი.²⁸¹ რისკის დასაშვები ფარგლები დამოკიდებულია

288

²⁷⁹ BVerfGE 50, 290 (332 f.).

²⁸⁰ BVerfGE 36, 1 (17).

²⁸¹ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 312.

შეზღუდულ სამართლებრივ სიკეთეზე და ჩარევის ინტენსივობაზე.²⁸² რაც უფრო მძიმეა ჩარევა, მით უფრო რაციონალურად უნდა იყოს პროგნოზი დასაბუთებული. კანონმდებელს აქვს თავისუფალი საპროგნოზო სივრცე, რომლის ფარგლებიც კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია შესაბამის სფეროზე, დასაცავ ინტერესებზე, მოლოდინების ობიექტივიზაციისა და რაციონალიზაციის მასშტაბებზე. ამასთანავე, ის ვერ გათავისუფლდება საკონსტიტუციო კონტროლისგან და პასუხისმგებლობას ვერ შეიმსუბუქებს ისეთ გარემოებებზე აპელირებით, როგორცაა დროის ნაკლებობა, სამომავლო პერსპექტივის ბუნდოვანება და ა.შ. პროგნოზი უნდა ემყარებოდეს ფაქტებს, რომლებიც კანონმდებელმა საფუძვლიანად გამოიკვლია ან სასამართლო შემოწმების შედეგად მაინც დასტურდება. ის მეთოდოლოგიურად უნდა ეფუძნებოდეს შესატყვის, თანმიმდევრულ პროცედურას.²⁸³

289 ინტენსიური შინაარსობრივი კონტროლი²⁸⁴ უფრო კანონმდებლის საპროგნოზო საქმიანობის გამორიცხვაზეა ორიენტირებული, ვიდრე მის შინაარსობრივ შემოწმებაზე. ამ დროს ხდება ძირითადი უფლებებით დაცული იმ სფეროების იდენტიფიცირება, რომლებიც დახურულია საკანონმდებლო ექსპერიმენტებისთვის. ეს ის შემთხვევებია, როდესაც დაცულ სიკეთეს მაღალი ფასი აქვს და მისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, კანონმდებლის (შესაძლო) მცდარმა პროგნოზმა მას საფრთხე არ უნდა შეუქმნას.²⁸⁵

3.2. უფლებამოსილებათა გამიჯვნა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმსა და კოლეგიებს შორის

290 საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები განაწილებულია პლენუმსა და კოლეგიებს შორის. გადაწყვეტილების იურიდიულ ძალაზე, ხარისხსა და მნიშვნელობაზე გავლენას არ ახდენს, ის პლენუმმა მიიღო თუ კოლეგიამ. აქედან გამომდინარე, პლენუმი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც კოლეგიების „ზემდგომი ინსტანცია“.²⁸⁶

²⁸² BVerfGE 54, 237 (250).

²⁸³ დეტალურად იხ.: BVerfGE 106, 62 (151 ff.); ასევე BVerfGE 111, 226 (255).

²⁸⁴ დეტალურად იხ.: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 313.

²⁸⁵ BVerfGE 39, 1 (51 ff., 60).

²⁸⁶ შეადარე: BVerfGE 7, 17(18); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 164.

ფორმალურად პლენუმის უფლებამოსილებების რაოდენობა აღემატება კოლე- 291
გიებისას. მიუხედავად ამისა, კოლეგიები გაცილებით მეტ საქმეებს განიხილავენ,
ვიდრე პლენუმი.²⁸⁷ ეს განპირობებულია კოლეგიების კომპეტენციის სპეციფიკით და
განსაკუთრებით იმით, რომ როგორც წესი, სწორედ ისინი ახორციელებენ ძირითადი
უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლს.²⁸⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებს შორის კომპეტენცია გამიჯნული არ არის. 292
ისინი იდენტური უფლებამოსილებებით სარგებლობენ. კოლეგიები განიხილავენ
შემდეგ საკითხებს:²⁸⁹

- 1) ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლი;
- 2) დავა უფლებამოსილების შესახებ;
- 3) პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლი;
- 4) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე
შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლი;
- 5) მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელი.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი ახორციელებს ორი ტიპის - სტაბილურ და 293
შესაძლო უფლებამოსილებებს.²⁹⁰ სტაბილური უფლებამოსილებები ორგანული
კანონით ექსკლუზიურად პლენუმს აქვს მინიჭებული. ამ კატეგორიას მიეკუთვნება:²⁹¹

- 1) აბსტრაქტული ნორმატკონტროლი;
- 2) საერთო სასამართლოს წარდგინება;
- 3) საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლი;
- 4) რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლი;
- 5) დასკვნა იმპიჩმენტთან დაკავშირებით;
- 6) დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს
კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;
- 7) საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რეს-
პუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის

²⁸⁷ ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 253.

²⁸⁸ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 176.

²⁸⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁹⁰ ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 253; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 175.

²⁹¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი;

- 8) საქართველოს კონსტიტუციის 59-ე, 64-ე მუხლებთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება);
- 9) ორგანული კანონის ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი.

²⁹⁴ შესაძლო უფლებამოსილებებს პლენუმი ახორციელებს მხოლოდ გარკვეული ფორმალური და მატერიალური წინაპირობების არსებობისას.²⁹² ამ კატეგორიას განეკუთვნება:

1) საქმეების განხილვა, რომელიც მოიცავს როგორც პლენუმის, ასევე კოლეგიის განსჯად საკითხებს.²⁹³ მაგალითად, თუ ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში გასაჩივრებულია როგორც ორგანული კანონის, ასევე ჩვეულებრივი კანონის ნორმები, საქმეს განიხილავს პლენუმი, რადგანაც ორგანული კანონის ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა მისი პრეროგატივაა;

2) პლენუმისთვის გადაცემული საქმეების განხილვა.²⁹⁴

²⁹⁵ პლენუმისთვის საქმის გადაცემის უფლებამოსილება აქვს კოლეგიას, სასამართლოს თავმჯდომარეს ან კოლეგიის წევრს. გადაცემა შეიძლება განხორციელდეს ორი საფუძვლით:

1) განსახილველ საქმესთან დაკავშირებით პოზიციის ქონა, რომელიც განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისგან. ამ შემთხვევაში, შეიძლება შეიცვალოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. მიზანშეწონილია, რომ ეს განხორციელოს სასამართლოს სრულმა შემადგენლობამ პლენუმის სახით, რომელიც პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფის ინსტრუმენტად გვევლინება.²⁹⁵ აღნიშნული საფუძვლით საქმის პლენუმისთვის გადაცემის უფლებამოსილებით აღჭურვილია კოლეგია ან კოლეგიის წევრი;

²⁹² ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 253.

²⁹³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

²⁹⁴ დეტალურად: იხ.: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21¹ და 21² მუხლები.

²⁹⁵ შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 164.

2) განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას. ეს საფუძველი საკმაოდ ბუნდოვანია. მსგავსი პრობლემა საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯად თითქმის ყველა საქმეს ახასიათებს. პლენუმისთვის საქმის გადაცემის უფლებამოსილებით, კოლეგიასა და კოლეგიის წევრთან ერთად, სარგებლობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეც.

პლენუმისთვის საქმის გადაცემას ახლავს პასუხისმგებლობის არიდებისა და საქმის განხილვის გაჭიანურების რისკები. მათი პრევენცია, პირველ რიგში, იმითაა შესაძლებელი, რომ პლენუმს აქვს საქმის განხილვაზე უარის თქმის უფლებამოსილება. გამონაკლისია კოლეგიის მიერ პლენუმისთვის საქმის გადაცემა, როდესაც დღის წესრიგში სასამართლოს პრაქტიკის შეცვლის საკითხი დგას. აღსანიშნავია ისიც, რომ გადაცემული საქმეების განხილვა არ აჩერებს სასამართლოში სხვა საქმეების განხილვასა და გადაწყვეტას. გაჭიანურებას ხელს უშლის ასევე გადაცემული საქმეების განხილვისთვის შემჭიდროვებული 6 თვიანი ვადის განსაზღვრა. მიზანშეწონილი იქნებოდა პლენუმისთვის საქმის გადაცემის წინაპირობების დაკონკრეტებაც. მაგალითად, კოლეგიის ან კოლეგიის წევრის განსხვავებული პოზიცია უნდა შეეხებოდეს საქმის გადაწყვეტისთვის არსებით საკითხებს (Ratio decidendi) და არა დამხმარე მსჯელობებს (Obiter dictum).²⁹⁶

296

²⁹⁶ შეადარე: BVerfGE 4, 27(28); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 167.

3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის პრობლემები და პერსპექტივები

3.3.1. კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის კონტროლი

3.3.1.1. კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის კონტროლთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა და საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია

- 297 კონსტიტუციური კანონი საკანონმდებლო აქტის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ნორმატიული აქტების იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დგას.²⁹⁷ ის მიიღება შემდეგ შემთხვევებში: 1) საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებივი მოწყობის გადასინჯვისას, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ;²⁹⁸ 2) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებებისა და მათი განხორციელების წესის განსაზღვრისას;²⁹⁹ 3) საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვისას.³⁰⁰
- 298 საკონსტიტუციო კონტროლის პერსპექტივიდან ნორმატიული აქტები შეიძლება, პირობითად ორ ჯგუფად დავყოთ: 1) ნორმატიული აქტები, რომლებიც ქმნის საკონსტიტუციო კონტროლის მასშტაბს; 2) ნორმატიული აქტები, რომლებიც წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტს. კონსტიტუციური კანონები კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია,³⁰¹ ხოლო კონსტიტუცია - საკონსტიტუციო კონტროლის მთავარი მასშტაბი. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის კონტროლის შემთხვევაში მოხდებოდა საკონსტიტუციო კონტროლის მასშტაბისა და ობიექტის ადრევა.

²⁹⁷ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

²⁹⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

²⁹⁹ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

³⁰⁰ საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის პირველი პუნქტი.

³⁰¹ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის კომპეტენციად თვლის არა მხოლოდ კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციურობაზე მსჯელობას,³⁰² არამედ სხვა საკანონმდებლო აქტების იმ ნორმების შეფასებას, რომლებსაც კონსტიტუციური რომელიმე დანაწესის ანალოგიური შინაარსი აქვთ.³⁰³ მისი პოზიციით, კონსტიტუციური კანონი ძალაში შესვლისთანავე კარგავს დამოუკიდებელ ნორმატიულ შინაარსს და კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილი ხდება. სარჩელის დაკმაყოფილება კონსტიტუციური კანონის გასაჩივრებისას კონსტიტუციის ნორმის გაუქმებას ნიშნავს.³⁰⁴ მას იგივე იურიდიული ძალა აქვს, როგორც სხვა კონსტიტუციურ დანაწესებს. კონსტიტუციური კანონი თავად ქმნის კონსტიტუციურსამართლებრივ წესრიგს და ვერ იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების საგანი.³⁰⁵

არ არსებობს მყარი კონსტიტუციური საფუძვლები კონსტიტუციური კანონების კონტროლის განხორციელებისთვის. მათი შექმნა არა საკონსტიტუციო სასამართლოს, არამედ კანონმდებლის პრეროგატივაა.³⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს კონსტიტუციაში „მუდმივობის“/„უცვლელობის“ პრინციპისა და მის ნორმებს შორის ფორმალური იერარქიის არარსებობას. ის „მუდმივ“ და „უცვლელ“ კონსტიტუციურ ნორმებს ვერ შექმნის და ვერ განსაზღვრავს, თუ როგორი უნდა იყოს კონსტიტუცია. საკონსტიტუციო სასამართლო თავადაა შებოჭილი უზენაესი კანონით და კონსტიტუციით დადგენილი კომპეტენციით. ამასთანავე, სასამართლო მიანიშნებს, რომ კონსტიტუციური კანონების კონტროლის საფუძვლები კონსტიტუციის გადასინჯვის გზით უნდა შეიქმნას.³⁰⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოირიხნავს კონსტიტუციური კანონების კონტროლის განხორციელებას, როდესაც საქმე შეეხება მათი მიღების კონსტიტუციური პროცედურის დარღვევას. ის იქვე აღნიშნავს, რომ

³⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 12 ივლისის №2/2/486 განჩინება საქმეზე „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2, 3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/3/523 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გერონტი ამორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4, 5.

³⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1/431 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3, 6.

³⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის №1/1/549 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

³⁰⁵ იქვე, II-9.

³⁰⁶ *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 232.*

³⁰⁷ №1/1/549 განჩინება, II-11.

კანონმდებლობით ცხადად არაა განსაზღვრული ამგვარი დარღვევის დადგენის სამართლებრივი შედეგები.³⁰⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ მოსაზრების გაზიარება რთულია. კონსტიტუცია მკაფიოდ არეგულირებს ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შედეგებს.³⁰⁹ კონსტიტუციური კანონების ფორმალური კონტროლის შეუძლებლობის მიზეზი უფრო შესაბამისი უფლებამოსილების არარსებობაა. როგორც ცნობილია, სასამართლოს კომპეტენცია ენუმერაციის პრინციპს ეფუძნება და ის ვერ განიხილავს ნებისმიერ კონსტიტუციურ-სამართლებრივ საკითხს, რომელიც მის უფლებამოსილებებს უშუალოდ არ განეკუთვნება.³¹⁰

3.3.1.2. კონსტიტუციური კანონების
კონსტიტუციურობის კონტროლის
აუცილებლობა

302 პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, რომ ზოგიერთი კონსტიტუციური კანონი შეიცავდა საეჭვო დებულებებს კონსტიტუციის პრინციპებთან შესაბამისობის კუთხით.³¹¹ თუმცა, კონტროლის აუცილებლობის ძირითად არგუმენტებს თვით კონსტიტუცია გვთავაზობს. მისი იმპერატიული მოთხოვნაა სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა და განხორციელება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.³¹² აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობა, მათ შორის კონსტიტუციური კანონების მიღება, შებოჭილია კონსტიტუციური ნორმებითა და პრინციპებით.

303 რომელიმე პოლიტიკური ძალის საკონსტიტუციო უმრავლესობით პარლამენტში ყოფნა, რაც საქართველოს სინამდვილეში არცთუ იშვიათი მოვლენაა, ქმნის პოლიტიკური ინტერესების კონსტიტუციურ წესრიგზე დომინირების საფრთხეს. იზრდება ისეთი კონსტიტუციური კანონების მიღების რისკი, რომლებიც პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის ხელყოფს ფუძემდებლურ პრინციპებს. ამით

³⁰⁸ იქვე, II-16.

³⁰⁹ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

³¹⁰ ლოლაძე, კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის იგნორირება და მისი პრევენცია, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა“, თბილისი 2013, გვ. 187 (194-195); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 232 f.

³¹¹ დეტალურად იხ.: ლოლაძე, კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის იგნორირება და მისი პრევენცია, გვ. 187 (187, 188-192); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 233 ff.

³¹² საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

ზიანდება დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროცესი. დემოკრატია ფაქტობრივად გადაგვარდება უმრავლესობის თვითნებობად.³¹³ საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მოვლენათა ასეთი განვითარების პრევენციისთვის. ჰანს კელზენის მოსაზრებით, თუ დემოკრატიას განვიხილავთ არა როგორც უმრავლესობის ბატონობას, არამედ სტაბილურ კომპრომისს უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, კონსტიტუციური მართლმსაჯულება ამ იდეის განსახორციელებლად გამოსადეგი საშუალება იქნებოდა.³¹⁴

კონსტიტუციური კანონების კონტროლის თეორიული დასაბუთებისთვის გამოიყენება აბატი სიეისის სწავლება დამფუძნებელი ხელისუფლების (*pouvoir constituant*), რომელიც ხალხს ეკუთვნის და დაფუძნებული ხელისუფლების (*pouvoir constitué*) შესახებ.³¹⁵ დამფუძნებელი ხელისუფლება პირველადი, ელემენტარული და სამართლებრივად დამოუკიდებელია. ის არ იზღუდება პოზიტიური სამართლით. დაფუძნებული ხელისუფლება მეორადი ხასიათისაა, წარმოებულია კონსტიტუციის საფუძველზე, შებოჭილია კონსტიტუციითა და პოზიტიური სამართლით.³¹⁶ ამ სწავლებიდან გამომდინარეობს საკონსტიტუციო სამართლის დაყოფა პირველად და მეორად საკონსტიტუციო სამართლად. კონსტიტუციას დამფუძნებელი ხელისუფლება იღებს, ხოლო მასში ცვლილებები დაფუძნებულ ხელისუფლებას შეაქვს. ამდენად, კონსტიტუციური კანონი მეორადია, მისი შემოწმება კი შესაძლებელი და ზოგჯერ აუცილებელიცაა.³¹⁷

304

³¹³ შეადარე: *ლოლაძე*, კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის იგნორირება და მისი პრევენცია, გვ. 187 (188).

³¹⁴ *Kelsen*, Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit, S. 51.

³¹⁵ დეტალურად იხ.: *ლოლაძე*, კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის იგნორირება და მისი პრევენცია, გვ. 187 (192); *Böckenförde*, Die verfassungsgebende Gewalt des Volkes – Ein Grenzbegriff des Verfassungsrechts, in: Böckenförde, Ernts-Wolfgang: Staat, Verfassung, Demokratie. Studien zur Verfassungstheorie und zum Verfassungsrecht, Frankfurt am Main, 1991, S. 90 (94 ff.); *Dreier*, Grenzen demokratischer Freiheit im Verfassungsstaat, in: Juristen Zeitung, 1994 (15/16), S. 741 (743 ff.); Evers, Kommentar zum Art. 79 Abs. 3 GG, in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 10 (Art. 74 – 79), Heidelberg seit 1950, Rn. 77 ff.; *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 237 f.

³¹⁶ Badura, P., Verfassungsänderung, Verfassungswandel, Verfassungsgewohnheitsrecht, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band VII, Normativität und Schutz der Verfassung – Internationale Beziehungen, Heidelberg 1992, S. 57 (69).

³¹⁷ *Badura*, იქვე, S. 57 (59, 65 f., 71); Maunz, Th. (Bearb.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band VI, München seit 1958, Rn. 23.

3.3.1.3. კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის კონტროლის მასშტაბები

305 კონსტიტუციური კანონების კონტროლის განხორციელება ფორმალურ და მატერიალურ მასშტაბებს საჭიროებს. ფორმალური თვალსაზრისით, კონსტიტუცია ადგენს კონსტიტუციური კანონების მიღების შემთხვევებსა³¹⁸ და წესს.³¹⁹ პრობლემურია მატერიალური მასშტაბის საკითხი. ეს ფუნქცია მუდმივობის გარანტიამ უნდა შეასრულოს,³²⁰ რომელიც კონსტიტუციურ კანონებს მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს დაუწესებდა.³²¹ ასეთ ნორმას საქართველოს კონსტიტუცია არ შეიცავს.

306 მუდმივობის გარანტია არის კონსტიტუციური დათქმა, რომლის მიხედვითაც მუდმივი და შეუცვლელია კონსტიტუციის უმნიშვნელოვანესი დებულებები. მისი მიზანია თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი კონსტიტუციური წესრიგის ფუნდამენტურ ფასეულობათა დაცვა.³²² მუდმივობის გარანტია კრძალავს კონსტიტუციური წესრიგის არა მხოლოდ სუბსტანციურ გაუქმებას, არამედ მცოცავ დემონტაჟსაც.³²³ ამასთანავე, ის არ გულისხმობს კონსტიტუციის გადასინჯვის აბსოლუტურ აკრძალვას, თუ ამით არ ზიანდება გარანტიით დაცული სიკეთეების არსი.³²⁴

³¹⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, 77-ე მუხლის პირველი პუნქტი.

³¹⁹ საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები, 77-ე მუხლი.

³²⁰ შეადარე: *Badura*, Verfassungsänderung, S. 57 (71); *Robbers*, G., Die Änderungen des Grundgesetzes, in: *Neue Juristische Wochenschrift*, 1989, S. 1325 (1325).

³²¹ შეადარე: *Bryde*, (Bearb.), Kommentar zum Art. 79 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): *Grundgesetz-Kommentar*, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012, Rn. 26; *Dreier*, Grenzen demokratischer Freiheit, S. 741 (746); *Dürig*, Zur Bedeutung und Tragweite des Art. 79 Abs. III des Grundgesetzes, in: *Spanner*, Hans/Lerche, Peter/Zacher, Hans/Badura, Peter/Freiherr von Campenhausen, Axel (Hrsg.): *Festschrift für Theodor Maunz zum 70. Geburtstag am 1. September 1971*, München 1971, S. 41 (42); *Sachs*, (Bearb.), Kommentar zum Art. 79 GG, in: *Sachs*, Michael (Hrsg.): *Grundgesetz Kommentar*, 6. Auflage, München 2011, Rn. 9; *Stern*, Die Bedeutung der Unantastbarkeitsgarantie des Art. 79 III GG für die Grundrechte, in: *Stern*, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), *Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge*, Köln/Berlin/Bonn/München 1992, S. 269 (269); *Stern*, GG, Art. 93, Rn. 222; *Zippelius/Würtenberger*, *Deutsches Staatsrecht*, S. 536.

³²² შეადარე: *Badura*, Verfassungsänderung, S. 57 (63); *Benda*, E., Der soziale Rechtsstaat, in: *Benda*, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): *Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland*, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, S. 719 (724); *Dürig*, Zur Bedeutung und Tragweite des Art. 79 Abs. III, S. 41 (48); *Evers*, GG, Art. 79 Abs. 3, Rn. 115; *Fechner*, Freiheit und Zwang im sozialen Rechtsstaat, in: *Forsthoff*, Ernst (Hrsg.): *Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays*, Darmstadt 1968, S. 73 (74); *Hesse*, K., Bundesstaatsform und Grenzen der Verfassungsänderung, in: *Archiv des öffentlichen Rechts*, 98. Band, 1973, S. 1 (6 f.); *Schmitt*, Der Begriff der freiheitlich demokratischen Grundordnung und Art. 79 Abs. 3 des Grundgesetzes, in: *Die öffentliche Verwaltung*, 1965, S. 433 (438 ff.).

³²³ *Evers*, GG, Art. 79 Abs. 3, Rn. 115.

³²⁴ *Badura*, Verfassungsänderung, S. 57 (69 f.); *Evers*, GG, Art. 79 Abs. 3, Rn. 159; *Robbers*, Die Änderungen des Grundgesetzes, S. 1325 (1326); *Sobota*, K., Das Prinzip Rechtsstaat. Verfassungs- und verwaltungsrechtliche Aspekte, Tübingen 1997, S. 471 f.; *Schulze-Fielitz*, GG, Art. 20, Rn. 229.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 148-ე მუხლის შესაბამისად, დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გამხდარიყო კონსტიტუციის გადასინჯვის საგანი. ეს მცირემასშტაბიანი მუდმივობის გარანტია, ვაიმარის კონსტიტუციის მსგავსად,³²⁵ მიმართული იყო მონარქიის აღდგენის წინააღმდეგ. მას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არ ქმნის იმ მყარ ისტორიულ საფუძველს, რაზეც დაშენდებოდა მუდმივობის გარანტია მოქმედ კონსტიტუციაში.³²⁶ აქედან გამომდინარე, მუდმივობის გარანტიის შემოღების შემთხვევაში, უფრო საზღვარგარეთულ გამოცდილებაზე უნდა მოხდეს ორიენტაცია.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითად კანონში მისი ჩაწერა განაპირობა ნაციონალ-სოციალისტების მიერ ძალაუფლების მიტაცებისა და ვაიმარის რესპუბლიკის „ლეგალური“ დასასრულის მძიმე გამოცდილებამ.³²⁷ მუდმივობის გარანტიის შესაბამისად, დაუშვებელია ძირითადი კანონის ისეთი ცვლილება, რომელიც შეეხება ფედერაციის დაყოფას ფედერალურ მიწებად, ფედერალური მიწების თანამონაწილეობას კანონმდებლობაში და ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპებს.³²⁸ მსგავსი დათქმები გვხვდება სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებშიც. პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, კონსტიტუციის გადასინჯვა არ შეიძლება შეეხოს: სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და მთლიანობას; რესპუბლიკური მმართველობის ფორმას; ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას; მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს; ხელისუფლების დანაწილებას; სასამართლოს დამოუკიდებლობას და ა.შ.³²⁹ საბერძნეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაც გამორიცხავს ცვლილებების შეტანას იმ ნორმებში, რომლებიც ადგენს: სახელმწიფოს საფუძვლებსა და საპარლამენტო რესპუბლიკას, როგორც სახელმწიფოს ფორმას; ხელისუფლების დანაწილებას; სახელმწიფოს ფუნდამენტურ ვალდებულებას, პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის ღირსება;

³²⁵ Schmitt, Der Begriff der freiheitlich demokratischen Grundordnung, S. 433 (441).

³²⁶ შეადარე: ლოლაძე, კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის იგნორირება და მისი პრევენცია, გვ. 187 (196); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 243.

³²⁷ Böckenförde, Die verfassungsgebende Gewalt, S. 90 (104); Evers, GG, Art. 79 Abs. 3, Rn. 113.

³²⁸ გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 აბზაცი (https://www.gesetze-im-internet.de/gg/art_79.html); 13.01.2021).

³²⁹ პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 288-ე მუხლი (<http://www.verfassungen.eu/p/verf01-i.htm>); 13.01.2021).

კანონის წინაშე თანასწორობას; პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას; პიროვნების თავისუფლების ხელშეუხებლობას და ა.შ.³³⁰

309 როგორც ვხედავთ, მუდმივობის გარანტიის მოცულობა სხვადასხვა კონსტიტუციაში განსხვავებულია, მაგრამ მათთვის საერთოა, რომ იცავს სახელმწიფოსა და კონსტიტუციური წესრიგის საფუძვლებს. ეს გამოცდილება საქართველომაც უნდა გაითვალისწინოს და გაუქმებისგან ან გამოფიტვისგან დაიცვას დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოს, სოციალური სახელმწიფოსა და ხელისუფლების ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპები, ასევე ადამიანის ღირსება, როგორც კონსტიტუციური წესრიგის ფუნდამენტი.³³¹ ეს ფასეულობები საქართველოში ჯერ კიდევ არაა მყარად განმტკიცებული, ამიტომ გონივრული იქნებოდა მუდმივობის გარანტიის მაღალი ხარისხით დეტალიზება.³³² ამ კუთხით, გამოსაყოფია ძირითადი უფლებების სფერო. მუდმივობის გარანტიამ უნდა აკრძალოს ისეთი ცვლილება, რომელიც ხელჰყოფს რომელიმე უფლების არსს. ასევე, დაუშვებელი უნდა იყოს უფლების დამდგენი ნორმის არაკომპენსირებადი გაუქმება, როდესაც ამ უფლებით დაცულ სფეროს თანაბარი ეფექტიანობით არ გადაფარავს სხვა ძირითადი უფლება.³³³

310 მუდმივობის გარანტია შესაბამისი სახელმწიფოს ისტორიული გამოცდილებით ან არსებული რეალობით განპირობებულ სპეციფიურ საკითხებსაც ითვალისწინებს. ამგვარი თემები საქართველოსთვისაც არსებობს. მაგალითად, პრინციპული მნიშვნელობა აქვს ტერიტორიულ მთლიანობას. აქედან გამომდინარე, გადასინჯვას არ უნდა დაექვემდებაროს კონსტიტუციური ნორმა, რომელიც შეეხება სახელმწიფოს ტერიტორიის განსაზღვრას 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით³³⁴ და ტერიტორიულ მთლიანობას.³³⁵

311 მუდმივობის გარანტიის ფარგლებს არა მხოლოდ დაცული საკითხების ჩამონათვალი, არამედ პირველ რიგში, მათი მატერიალური შინაარსი განაპირობებს.

³³⁰ საბერძნეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 110-ე მუხლის პირველი აბზაცი (<http://www.verfassungen.eu/griech/verf75.htm>; 13.01.2021).

³³¹ ლოლაძე, კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის იგნორირება და მისი პრევენცია, გვ. 187 (197).

³³² შეადარე: იქვე, გვ. 187 (197).

³³³ დეტალურად იხ.: იქვე, გვ. 187 (199-200); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 244 f.

³³⁴ ეს არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის თარიღი. ამ მომენტში საქართველოს იურისდიქცია ვრცელდებოდა როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ასევე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

³³⁵ ლოლაძე, კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის იგნორირება და მისი პრევენცია, გვ. 187 (198); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 245.

კონსტიტუციური პრინციპების ნორმატიული დიაოზა ართულებს მუდმივობის გარანტიის მოცულობის განსაზღვრას.³³⁶ მისი მოქმედების სფერო დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აქვს კონკრეტული პრინციპის ფარგლებში პირველადი და რას - მეორადი მნიშვნელობა.³³⁷ მაგალითად, მუდმივობის გარანტია იცავს დემოკრატიის პრინციპის და არა მის კონკრეტულ ფომას.³³⁸ გარანტირებულია დემოკრატიის მხოლოდ ისეთი ელემენტები, როგორცაა სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი,³³⁹ რომელთა გაუქმება ან შეცვლა სუბსტანციურად დააზიანებდა მას.³⁴⁰

3.3.1.4. კონსტიტუციური კანონების
კონსტიტუციურობის კონტროლის შესაძლო
მოდელი ³⁴¹

კონსტიტუციური კანონების შემოწმების სხვადასხვა მოდელი არსებობს. გერმანიაში ხორციელდება შემდგომი, რესპრესიული კონტროლი, ხოლო რუმინეთსა და მოლდოვაში - პრევენციული კონტროლი.³⁴² პრევენციული კონტროლის ძირითადი პოზიტიური მხარე არაკონსტიტუციური ნორმის ამოქმედების თავიდან აცილებაა. ამასთანავე, ხშირად შეუძლებელია კონსტიტუციური კანონის სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური შედეგების საიმედოდ პროგნოზირება. აქედან გამომდინარე, პრობლემები შეიძლება, მხოლოდ ნორმის ძალაში შესვლის შემდეგ გამოჩნდეს,³⁴³ როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე გასცა დასკვნა მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე.

312

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადად სწორედ შემდგომ კონტროლს ახორციელებს. უმჯობესი იქნება კონსტიტუციური კანონების შემოწმების ისეთი ფორმის დამკვიდრება, რომელიც ერთი მხრივ, შემდგომი ხასიათის იქნება და

313

³³⁶ Hain, K.-E., Kommentar zum Art. 79 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 32; Maurer, H., Verfassungsänderung im Parteienstaat, in: Kästner, Karl-Hermann/Nörr, Knut Wolfgang/Schlaich, Klaus (Hrsg.): Festschrift für Martin Heckel zum siebzigsten Geburtstag, Tübingen 1999, S. 821 (836).

³³⁷ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S.241.

³³⁸ შეადარე: Hain, GG, Art. 79, Rn. 81; Sachs, GG, Art. 79, Rn. 72.

³³⁹ Bryde, GG, Art. 79, Rn. 41; Sachs, GG, Art. 20, Rn. 27; Sachs, GG, Art. 79, Rn. 67.

³⁴⁰ დეტალურად: იხ.: ლოლაძე, კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის იგნორირება და მისი პრევენცია, გვ. 187 (197-198).

³⁴¹ დეტალურად იხ.: იქვე, გვ. 187 (200-203); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 246 ff.

³⁴² რუმინეთის კონსტიტუციის 144-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი; მოლდოვის რესპუბლიკის კონსტიტუციის 135-ე მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტი.

³⁴³ შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება, გვ. 70; Doehring, Allgemeine Staatslehre, S. 202.

სასამართლოს აარიდებს პოლიტიკურ პროცესებში ჩარევას, ხოლო მეორე მხრივ, მაქსიმალურად შეამცირებს არაკონსტიტუციური ნორმის მოქმედების ნეგატიურ შედეგებს. ამ მიზნის მიღწევის საშუალებაა ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება მისი ამოქმედების მომენტიდან (Ex tunc), როდესაც ამის აუცილებლობა გადაწონის სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესებს.

314 კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის შემოწმებას, უპირველეს ყოვლისა, ობიექტური მნიშვნელობა აქვს, რაც კონსტიტუციური წესრიგის დაცვაში გამოიხატება. ამდენად, არ არსებობს იმის აუცილებლობა, რომ პროცესს კონტრადიქტორული ხასიათი ჰქონდეს, გარდა ძირითად უფლებებთან დაკავშირებული საქმეებისა. ეს მიზანშეწონილი იქნებოდა დროის ეკონომიის კუთხითაც. უმჯობესია, რომ საპროცესო რუტინისთვის საჭირო დრო ურთულესი კონსტიტუციურსამართლებრივი საკითხების ანალიზს მოხმარდეს.

315 კომპეტენციის ძირითადად ობიექტურმა ხასიათმა გავლენა უნდა მოახდინოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის სუბიექტების წრის განსაზღვრაზეც. სწორი იქნებოდა, აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის ანალოგიურად, სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილების მინიჭება პრეზიდენტისთვის, მთავრობისთვის ან პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედისთვის. პრაქტიკაში ამ შესაძლებლობით ძირითადად საპარლამენტო ოპოზიცია ისარგებლებს და არა პრეზიდენტი, მით უმეტეს, მთავრობა, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის ნდობით სარგებლობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონსტიტუციური კანონით ძირითადი უფლების არსის ხელყოფა ან მისი დამდგენი ნორმის არაკომპენსირებადი გაუქმება, პირველ რიგში, ცალკეულ პირთა სუბიექტურ-სამართლებრივ პოზიციებს შეეხება. ამიტომ, ამ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებით უნდა ისარგებლონ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, ასევე სახალხო დამცველმა.

316 კონსტიტუციური კანონის გასაჩივრების ვადის არარსებობა სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მოთხოვნებს დაარღვევდა. გაუმართლებელია ამ უმაღლესი რანგისა და მნიშვნელობის კანონის დაყენება გასაჩივრების მუდმივი საფრთხის ქვეშ. ამასთან, გასაჩივრების ვადა არ უნდა იყოს იმდენად მოკლე, რომ გაურკვეველი დარჩეს ნორმის პრაქტიკაში მოქმედების შედეგები და მოსარჩელებს არ მიეცეთ პოზიციების სათანადოდ დასაბუთების შესაძლებლობა.

3.3.2. რეალური საკონსტიტუციო კონტროლი

3.3.2.1. რეალურ საკონსტიტუციო

კონტროლთან დაკავშირებით არსებული

ვითარება

რეალური საკონსტიტუციო კონტროლი გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის სრულყოფილ შემოწმებას. ის ვრცელდება არა მარტო ნორმატიულ აქტებზე, არამედ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კომპეტენცია ძირითადად ნორმატოკონტროლითაა შემოფარგლული, რაც პრაქტიკაში სერიოზულ პრობლემებს აჩენს, განსაკუთრებით - ძირითადი უფლებების სრულყოფილი დაცვის კუთხით.³⁴⁴ 317

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკაში შეიძლება გააანალიზოს საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ არა ამ გადაწყვეტილების, არამედ სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასების მიზნით.³⁴⁵ მართალია, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები ბევრ განვითარებულ სახელმწიფოშიც არ ექვემდებარება საკონსტიტუციო კონტროლს, მაგრამ ამ გამოცდილების გაზიარება საქართველოსთვის მიზანშეწონილი არ არის. რეალური კონტროლის არარსებობას გარკვეულწილად აკომპენსირებს საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების მაღალი დონე, რაც ჩვენი ქვეყნისთვის სასურველი მიზანია და არა ობიექტური რეალობა. ამგვარ ვითარებაში მათი საქმიანობის კონტროლს მიღმა დატოვება ხელს უშლის ძირითადი უფლებების დაცვასა და კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფას.³⁴⁶ 318

სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის პრაქტიკა მხოლოდ ნაწილობრივ აგვარებს რეალური საკონსტიტუციო კონტროლის არარსებობის პრობლემას. ბევრ შემთხვევაში შეუძლებელია დარღვეული უფლებების აღდგენა. ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა არ იწვევს მის საფუძველზე აღრე მიღებული/გამოცემული ინდივიდუალური 319

³⁴⁴ დეტალურად იხ.: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 251 ff.

³⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის №1/2/440 განჩინება საქმეზე „ანატოლი კოზლოვსკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

³⁴⁶ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 249.

სამართლებრივი აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების გაუქმებას. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები გასაჩივრებას ექვემდებარება, მაგრამ არაკონსტიტუციური ნორმატიული შინაარსის გაუქმების მომენტში შესაძლებელია, უკვე გასული იყოს გასაჩივრების ვადა. გაცილებით რთულადაა საქმე სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, როგორც ახლადგამოვლენილი გარემოების, საფუძველზე დასაშვებია მხოლოდ განაჩენის გადასინჯვა.³⁴⁷ შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი შუალედური გადაწყვეტილებების, ასევე ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში მიღებული ნებისმიერი სასამართლო აქტის რევიზია იმ მიზეზით, რომ ისინი ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ შინაარსს.

320 რეალური საკონსტიტუციო კონტროლის არარსებობით შექმნილ პრობლემებზე მეტყველებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“. განმცხადებელმა მოიგო სამოქალაქო დავა სასამართლოში. მოპასუხემ სასამართლოს გადაწყვეტილება არ აღასრულა. აპოსტოლმა მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებით. სამინისტრომ მოითხოვა აღსრულებისთვის წინასწარი ხარჯის გაღება, რაც განმცხადებელმა ვერ მოახერხა და იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, უარი ეთქვა გადაწყვეტილების აღსრულებაზე. მან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა ისე, რომ არ შეუტანია კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. ეს მნიშვნელოვანი გარემოება იყო, რადგანაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეს განსახილველად იღებს, თუ ამოწურულია დაცვის ყველა შიდასამართლებრივი საშუალება.³⁴⁸ აქედან გამომდინარე, მან იმსჯელა, თუ რამდენად იყო საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ძირითადი უფლებების დაცვა „არარეალური“ კონსტიტუციური სარჩელით ხდებოდა. შეუძლებელი იყო სასამართლოების ან საჯარო უწყებების გადაწყვეტილებათა გასაჩივრება, რაც

³⁴⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

³⁴⁸ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გავლენას ახდენდა კერძო პირების სამართლებრივ მდგომარეობაზე. უნგრული მოდელის მსგავსად, არ არსებობდა სახელმწიფო ზომების გაუქმების ან გამოსწორების შესაძლებლობა. ამისგან განსხვავებით, გერმანულ, ესპანურ და ჩეხურ მოდელებში „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელების საფუძველზე შესაძლებელი იყო საჯარო უწყებებისა და სასამართლოების ინდივიდუალური გადაწყვეტილებების გაუქმება, უფლებების დარღვევის აღმოფხვრა და დარღვევამდელი მდგომარეობის შექცობისდაგვარად აღდგენა. ეფექტიან შიდასამართლებრივ საშუალებას არა მხოლოდ უბრალოდ, ირიბად უნდა დაეცვა კონვენციის მე-6 მუხლით³⁴⁹ გათვალისწინებული უფლებები, არამედ ასევე უზრუნველყო კონკრეტული სასარჩელო მოთხოვნების პირდაპირი და სწრაფი დაკმაყოფილება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა არ შეესაბამებოდა ამ სტანდარტს. აქედან გამომდინარე, ის არ ჩაითვალა სათანადო შიდასამართლებრივ საშუალებად სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე წარდგენილი სარჩელებისთვის.³⁵⁰

3.3.2.2. რეალური საკონსტიტუციო

კონტროლის კონსტიტუციური საფუძველები

რეალური კონტროლის მთავარ საფუძველს კონსტიტუცია და მისი ფუნდამენტური ფასეულობები ქმნის.³⁵¹ კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, რომლით დადგენილ ფარგლებშიც ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება.³⁵² სრულყოფილი საკონსტიტუციო კონტროლის გარეშე წარმოუდგენელია კონსტიტუციის უზენაესობისა და სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპების სრულყოფილი განხორციელება.

კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს

321

322

³⁴⁹ საქმის სამართლიანი განხილვის უფლება.

³⁵⁰ დეტალურად იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, პუნქტები 40-46 (<http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/apostoli.pdf>; 15.01.2021).

³⁵¹ დეტალურად: იხ.: *ლოლაძე*, აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა“, თბილისი 2018, გვ. 175 (193-194); *ლოლაძე*, სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, უგრეხელიძე მინდია, ქანთარია ბექა (რედ.), კონსტიტუციონალიზმი. მიღწევები და გამოწვევები, თბილისი 2019, გვ. 522 (531-532); *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 250 f.

³⁵² საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

ადამიანურ ღირებულებებს. ეს უფლებები და თავისუფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, ზღუდავს ხალხსა და სახელმწიფოს ხელისუფლების განხორციელებისას.³⁵³ ძირითადი უფლებებით შეზღუდვა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელიც არ უშვებს გამოწაკლისებს. კონსტიტუციურ კონტროლს მიღმა დარჩენილი სივრცეები აბრკოლებს კონსტიტუციის ამ ფუნდამენტური მოთხოვნის რეალიზაციას, რაც სამართლებრივი და ინსტიტუციური დაცვის მექანიზმების სრულყოფას საჭიროებს.³⁵⁴

323 რეალური საკონსტიტუციო კონტროლის საფუძველს ქმნის მოსამართლის კონსტიტუციისადმი დამორჩილების პრინციპიც.³⁵⁵ სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა შესაბამებოდეს კონსტიტუციას, განსაკუთრებით - ძირითად უფლებებს. საერთო სასამართლოები ძირითადი უფლებების დაცვის მექანიზმია და არა მათი არაკონსტიტუციურად შეზღუდვის ინსტრუმენტი. ამასთანავე, განვითარებულ სახელმწიფოთა სასამართლოებიც კი არ არიან დაზღვეული შეცდომებისა და არაკონსტიტუციური გადაწყვეტილებების გამოტანისგან. მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ამგვარი შეცდომების გამოსწორებისა და დარღვეული უფლებების ეფექტიანი დაცვის საშუალება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის შემოწმების სახით.

3.3.2.3. რეალური საკონსტიტუციო

კონტროლის შესაძლო მოდელი

324 რეალური კონტროლის სისტემა, მისი შემოღების შემთხვევაში, უნდა მოეწიოს საუკეთესო უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით. განსაკუთრებით გამორჩეული და წარმატებულია გერმანული მოდელი,³⁵⁶ სადაც შესაძლებელია საჯარო ხელისუფლების ნებისმიერი აქტისა და მოქმედების, მათ შორის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა გასაჩივრება. საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლს ყველა ნორმატიული აქტი ექვემდებარება, გარდა

³⁵³ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

³⁵⁴ ლოლაძე, აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით, გვ. 175 (176).

³⁵⁵ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტი.

³⁵⁶ გერმანულ მოდელთან და ქართული მოდელის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით დეტალურად: იხ.: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 256 ff. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლის შესაძლო მოდელთან დაკავშირებით ასევე დეტალურად: იხ.: ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, გვ. 522 (533-536).

კონსტიტუციური კანონებისა. მათ კონტროლზე უკვე გამახვილდა ყურადღება, ამჯერად აქცენტი გაკეთდება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმების პერსპექტივაზე.

გასაჩივრებას დაქვემდებარებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების განსაზღვრა შედარებით ადვილია, რადგანაც საქართველოს კანონმდებლობა შეიცავს დეფინიციებს,³⁵⁷ რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია მათი იდენტიფიცირება. შედარებით პრობლემატურია სასამართლო გადაწყვეტილებების თემა. საბოლოო, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების შემთხვევაში, ცალსახად არ არსებობს სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალება საკონსტიტუციო სასამართლოს გარდა.³⁵⁸ რთულია საერთო სასამართლოების შუალედური ხასიათის გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლის საკითხი. თუ შუალედური გადაწყვეტილებით გამოწვეული კონსტიტუციის დარღვევა შესაძლებელია, გამოსწორდეს საერთო სასამართლოების მიერ, როგორც წესი, ისინი არ ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას. საკონსტიტუციო სასამართლო უარს არ ამბობს ისეთი შუალედური გადაწყვეტილებების შემოწმებაზე, რომლებიც ისეთ სამართლებრივ ზიანს აყენებს პირს, რომლის (სრულყოფილი) გამოსწორება მოგვიანებით შეუძლებელია.³⁵⁹

325

რეალური საკონსტიტუციო კონტროლი გაზრდის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობებს, რაც გამოიწვევს საქმეთა რაოდენობის მნიშვნელოვან მატებას და სასამართლოს გადატვირთვას. ეს ორგანიზაციულ პრობლემებს შეუქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე შეამცირებს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანობასა და დროულობას. ამ პრობლემათა გადაჭრის ძირითადი მექანიზმია საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვამდე სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამოწურვის მოთხოვნა.³⁶⁰ მსგავსი

326

³⁵⁷ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

³⁵⁸ *Schmidt, Staatsorganisationsrecht, S. 284.*

³⁵⁹ BVerfGE 1, 322 (325); 34, 205 (207 f.); 111, 307 (314 f.); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 553.

³⁶⁰ შეადარე: BVerfGE 72, 39 (43); Hopfauf, A. (Bearb.): Kommentar zum Art. 94 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.), Hofmann, Hans/Hopfauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011, Rn. 69; Meyer, W. (Berab.): Kommentar zum Art. 94 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz. Kommentar, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012, Rn. 33; Stern, GG, Art. 93, Rn. 719.

გამოცდილება არსებობს მაგალითად, გერმანიაში,³⁶¹ სლოვაკეთსა³⁶² და სლოვენიაში.³⁶³ ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი საერთო სასამართლოებს ავალდებულებს მათი საქმიანობისას აღმოჩენილ დარღვევათა აღმოფხვრას.³⁶⁴ საკონსტიტუციო სასამართლო საქმეში მაშინ ერთვება, თუ ისინი აღნიშნულ ვალდებულებას ვერ ასრულებენ.³⁶⁵

327 არსებობს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით დარღვეული უფლებების დაცვის მექანიზმები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვამდე. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამოწურვის მოთხოვნას. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელს/წარდგინებას არსებითად განსახილველად არ იღებს, თუ სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.³⁶⁶ ამ დათქმის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება, თავიდან აიცილოს იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შეფასება, რომელთა გასაჩივრება შესაძლებელია საერთო სასამართლოებში. კანონქვემდებარე აქტი მიიღება (გამოიცემა) საკანონმდებლო აქტით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და მის შესასრულებლად.³⁶⁷ აქედან გამომდინარე, არსებობს ალბათობა, რომ კონსტიტუციურობის პრობლემები იმ საკანონმდებლო აქტსაც ჰქონდეს, რომელიც კანონქვემდებარე აქტის სამართლებრივი საფუძველია. ასევე შესაძლებელია, რომ კანონქვემდებარე აქტი, კონსტიტუციის პარალელურად, საკანონმდებლო აქტის მოთხოვნებსაც არღვევდეს. კანონმდებლობა არაპირდაპირ მიუთითებს მოსარჩელეს, რომ კონსტიტუციური სარჩელის შეტანამდე გაარკვიოს

³⁶¹ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 90-ე მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინადადება (<https://www.gesetze-im-internet.de/bverfgg/>; 15.01.2021).

³⁶² სლოვაკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 127-ე მუხლის პირველი პუნქტი (<http://www.verfassungen.eu/sk/>; 15.01.2021).

³⁶³ სლოვენის რესპუბლიკის კონსტიტუციის 160-ე მუხლის მე-3 პუნქტი (<http://www.verfassungen.eu/sl/verf91-i.htm>; 15.01.2021).

³⁶⁴ BVerfGE 49, 252 (258); Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 542.

³⁶⁵ Hopfauf, GG, Art. 93, Rn. 32; Hopfauf, GG, Art. 94, Rn. 69.

³⁶⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

³⁶⁷ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტი.

სამართლებრივი დაცვის სხვა შესაძლებლობების საკითხი და მაშინ იდავოს კანონქვემდებარე აქტის კონსტიტუციურობაზე, თუ შესაძლებელია მისი ცალკე, სრულყოფილი შემოწმება. რეალური კონტროლის პირობებში, ზემოაღნიშნული დათქმა უფრო ფართო და მკაფიო უნდა გახდეს, რათა საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად არ განიხილოს საქმე, როდესაც მოსარჩელის ინტერესების დაცვა შეიძლებოდა სხვა სამართლებრივი გზებით.

სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამოწურვის მოთხოვნა უნდა უშვებდეს გამონაკლისებსაც. პირველ რიგში, ის აზრს დაკარგავს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გარდა, სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალება არ არსებობს. მაგალითად, საკანონმდებლო აქტებისა და იერარქიაში მათზე მაღლა მდგომი ნორმატიული აქტების გასაჩივრება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოშია შესაძლებელი. სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამოწურვა ასევე არ უნდა იყოს აუცილებელი, თუ მათი გამოყენება, არსებული სამართლებრივი მდგომარეობიდან და უმაღლესი სასამართლო ინსტანციების პრაქტიკიდან გამომდინარე, უპერსპექტივოა.³⁶⁸

328

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს კონსტიტუციური სარჩელი სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამოწურვის გარეშე, როდესაც: 1) საკითხს აქვს საზოგადო მნიშვნელობა ან 2) მოსარჩელეს გარდაუვალად მიაღებია მძიმე ზიანი, თუ მისგან სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებათა ამოწურვას მოითხოვენ.³⁶⁹ პირველი გამონაკლისი აშკარად კონსტიტუციური წესრიგის დაცვის ობიექტური ინტერესებიდან გამომდინარეობს. კონსტიტუციური სარჩელი საზოგადო მნიშვნელობისაა, როდესაც ის ფუნდამენტურ კონსტიტუციურსამართლებრივ საკითხს შეეხება და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივად ნათელს მოჰყვანდა არა მხოლოდ განსახილველ, არამედ სხვა მსგავს შემთხვევებსაც. მეორე გამონაკლისი უფრო სუბიექტური სამართლებრივი ინტერესების სწრაფ და ეფექტიან დაცვაზეა ორიენტირებული. ის გამოიყენება, როდესაც სამართლებრივი დაცვის საშუალებათა

329

³⁶⁸ შუადარე: Maunz, GG, Art. 93, Rn. 71.

³⁶⁹ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 90-ე მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება (<https://www.gesetze-im-internet.de/bverf/15.01.2021>).

ამოწურვა არაგონივრულია ან მოსარჩელეს ფაქტობრივად სამართლებრივი დაცვის გარეშე დატოვებდა.³⁷⁰ გამონაკლისები სხვა ქვეყნების მოდელბშიცაა დაშვებული.

330 მაგალითად, სლოვაკეთში კონსტიტუციური სარჩელი სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამოწურვის გარეშეც მიიღება განსახილველად, თუ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს შეეხება.³⁷¹

331 რეალური კონტროლის განხორციელებისას საკონსტიტუციო სასამართლოს ნათლად უნდა განესაზღვროს მოქმედების ფარგლები, რათა თავიდან იქნეს აცილებული საერთო სასამართლოების უფლებამოსილებებში შეჭრა. მაგალითად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არ ადგენს და აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს, ასევე არ განმარტავს და იყენებს მიმდინარე კანონმდებლობას. ის არ აფასებს საერთო სასამართლოებში პროცესის კანონიერებასაც.³⁷² საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ იმის შემოწმებით შემოიფარგლება, რამდენადაა დარღვეული „სპეციფიური კონსტიტუციური სამართალი“.³⁷³

332 რეალური საკონსტიტუციო კონტროლის შემოღება პოლიტიკურ ნებასა და კონსენსუსზეა დამოკიდებული, რადგანაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების შეტანას კონსტიტუციაში. აუცილებელი იქნება რეფორმის სამართლებრივი და ორგანიზაციული თვალსაზრისით სათანადო მომზადება, თანამიმდევრული და ეტაპობრივი განხორციელება. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ამ მიმართულებით გაფართოება ვერ მოხერხდა, შეიძლება, განვიხილოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტრუქტურაში ადამიანის უფლებათა პალატის შექმნის იდეა, რომელიც შეამოწმებს, ხომ არ არღვევს საერთო სასამართლოთა გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ რომელიმე უფლებას. მართალია, ეს სრულად ვერ ჩაანაცვლებს რეალური საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს, მაგრამ არსებითად გააუმჯობესებს ძირითადი უფლებების დაცვის ხარისხს იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილი იქნება პალატის სათანადო დაკომპლექტება და დამოუკიდებლობა.

³⁷⁰ დეტალურად იხ.: Schmidt, Staatsorganisationsrecht, S. 284 ff.

³⁷¹ შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება, გვ. 310.

³⁷² BVerfGE 1, 418 (420); 2, 336 (339); 13, 318 (325); 18, 85 (92 f.); 43, 130 (135); Hopfau, GG, Art. 93, Rn. 32, 200; Maunz, GG, Art. 93, Rn. 65; Meyer, GG, Art. 93, Rn. 61; Stern, GG, Art. 93, Rn. 684.

³⁷³ მაგ. იხ.: BVerfGE 1, 418 (420); 43, 130 (135); 47, 239 (249); 52, 131 (157); Fürst, W., Die Funktionsgebundenheit von Verfassungs- und Verwaltungsrechtsprechung im Spannungsfeld grundgesetzlicher Gewaltenteilung, in: Festschrift Edwin Loebenstein zum 80. Geburtstag, Wien 1991, S. 31 (35); Stern, GG, Art. 93, Rn. 686.

თავი 4. საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკეული უფლებამოსილებები

ნაშრომის მე-4 თავში დეტალურად არის მიმოხილული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები. თითოეულ უფლებამოსილებას ეძღვნება სპეციალური ქვეთავი, სადაც განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული შემდეგ საკითხებზე: უფლებამოსილების არსი, მნიშვნელობა და ისტორია; მოსარჩელეთა (წარდგინების ავტორთა) და მოპასუხეთა წრე; დავის საგანი; კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემოწმების მასშტაბი, ფორმა და შინაარსი; კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) დაკმაყოფილების სამართლებრივი შედეგები. სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ასევე გაანალიზებული და შეფასებულია სხვადასხვა უფლებამოსილებასთან დაკავშირებული პრობლემები.

333

4.1. ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლი

4.1.1. მნიშვნელობა, ისტორია და ფუნქცია

ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილებაა. ის კონსტიტუციის თავდაპირველმა რედაქციამ გაითვალისწინა, რომლის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავდა ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავის³⁷⁴ საკითხებთან მიმართებით. დღეისათვის ეს უფლებამოსილება განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დაარსებიდან დღემდე უმთავრესად სწორედ ამ კომპეტენციის განხორციელებითაა დაკავებული. ამან, ერთი მხრივ, აამაღლა ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხი, ხოლო მეორე მხრივ, განამტკიცა საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტი. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული უფლებამოსილებისა და მის ფარგლებში შეტანილი კონსტიტუციური სარჩელის სახელწოდება შეძლებისდაგვარად სრულყოფილად ასახავდეს მათ არსს. საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება კონსტიტუციის მოთხოვნებს სახელმწიფო ხელისუფლების

334

³⁷⁴ საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი.

მხრიდან ძირითადი უფლებების ესა თუ ის შეზღუდვა, აქედან გამომდინარე, ოპტიმალური იქნება, რომ კომპეტენციას ვუწოდოთ „ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლი“. რაც შეეხება კონსტიტუციური სარჩელის სახელწოდებას, ამ შემთხვევაში, არ გამოდგება ტერმინები „კონსტიტუციური სარჩელი“ ან „ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი“. „კონსტიტუციური სარჩელი“ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის ძირითადი ფორმაა უფლებამოსილებათა უმრავლესობის შემთხვევაში, ამიტომ, ეს ცნება ვერ უზრუნველყოფს გამიჯვნას სხვა უფლებამოსილებათა ფარგლებში შეტანილი სარჩელებისგან. ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული სარჩელების არსს სრულად არც ტერმინი „ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი“ გამოხატავს, რადგანაც მოსარჩელე არა მხოლოდ კერძო პირი, არამედ სახალხო დამცველიც შეიძლება იყოს. უმჯობესია, აქცენტირება მოხდეს არა მოსარჩელე სუბიექტების ნაწილზე, არამედ სარჩელის მიზანმიმართულებაზე, რასაც კარგად გამოხატავს ტერმინი „ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელი“.³⁷⁵

335 საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავს კომპეტენციას გერმანიაში ძირითადი უფლებების დაცვის განსაკუთრებულ სამართლებრივ საშუალებას უწოდებენ.³⁷⁶ ამგვარი შეფასება ნამდვილად არ არის გადაჭარბებული. თითოეულ პირს ეძლევა მისი კონსტიტუციური უფლებების უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დარღვევისგან დაცვის რეალური და ზოგჯერ ერთადერთი შესაძლებლობა. ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლი პრევენციულადაც ზემოქმედებს სახელმწიფო ორგანოებზე, რათა მათ წინასწარ შეამოწმონ მისაღები გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობა.³⁷⁷ მართებულია შეფასება, რომ მსგავსი ინსტიტუტის უბრალო არსებობასაც კი წვლილი შეაქვს ძირითადი უფლებების დარღვევების თავიდან აცილებაში.³⁷⁸

336 ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლს აქვს ორმაგი ფუნქცია - სუბიექტური და ობიექტური,³⁷⁹ რაც განპირობებულია ძირითადი

³⁷⁵ შეადარე: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 196.

³⁷⁶ BVerfGE 18, 315 (325); Meyer, GG, Art. 93, Rn. 54; Simon, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 1637 (1649); Stern, GG, Art. 93, Rn. 403; *Sturm*, GG, Art. 93 GG, Rn. 78; *Vofskuhle*, GG, Art. 93, Rn. 165.

³⁷⁷ *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 208.

³⁷⁸ *Federer, Aufbau, Zuständigkeit und Verfahren des Bundesverfassungsgerichts*, in: *Das Bundesverfassungsgericht 1951-1971, zweite völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage*, Karlsruhe 1971, S. 59 (72).

³⁷⁹ მაგ. : *Böckenförde, Verfassungsgerichtsbarkeit*, S. 9 (15).

უფლებების ორმაგი ხასიათით.³⁸⁰ ერთი მხრივ, ისინი სუბიექტური უფლებებია, ხოლო მეორე მხრივ - კონსტიტუციის ობიექტური ფასეულობები.³⁸¹ ეს კომპეტენცია, პირველ რიგში, მიმართულია სუბიექტური სამართლებრივი პოზიციების დაცვისკენ სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან არაკონსტიტუციური ჩარევებისგან.³⁸² გერმანიაში ის სუბიექტური სამართლებრივი დაცვის ცენტრალურ ინსტიტუტადაც კი ითვლება.³⁸³ ეს შეფასება გამართლებულია, რადგანაც საქმე შეეხება ძირითადი, ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებების სასამართლო წესით უზრუნველყოფას.³⁸⁴

ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის ობიექტური ფუნქცია იმითაა განპირობებული, რომ ინდივიდი და მისი უფლებები თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის ცენტრალური ობიექტური ფასეულობებია.³⁸⁵ საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი უფლებების დაცვით უზრუნველყოფს ამ წესრიგისა და კონსტიტუციის უზენაესობის პატივისცემასაც.³⁸⁶ ობიექტური ფუნქციის ერთ-ერთი გამოხატულებაა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის ჩანაწერი. თუ კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო ნორმა ძალადაკარგულად ცნეს, საქმე ავტომატურად არ წყდება. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გააგრძელოს სამართალწარმოება, თუ საქმე შეეხება ძირითად უფლებებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი უზრუნველყოფისთვის. ამ შემთხვევაში, მოსარჩელის სუბიექტური მოთხოვნა დაკმაყოფილებულია - სადავო ნორმა აღარ მოქმედებს, მაგრამ სამართალწარმოების გაგრძელება ემსახურება ძირითადი უფლებების, როგორც უმნიშვნელოვანესი ობიექტური ფასეულობების დაცვას და სამომავლოდ მსგავსი დარღვევების პრევენციას.

საქმის შეწყვეტას ნებისმიერ შემთხვევაში იწვევს მოსარჩელის უარი სასარჩელო მოთხოვნაზე, რაც დისპოზიციურობის პრინციპის გამოხატულებაა. ამ პრინციპის მიხედვით, მოსარჩელის მიერ სარჩელის წარდგენით იწყება საკონსტიტუციო სამართალწარმოება, სარჩელი განსაზღვრავს დავის საგანს, მისი გატანა კი

337

338

³⁸⁰ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 208 f.

³⁸¹ მაგ. იხ.: *Hopfauf*, GG, Art. 93, Rn. 151.

³⁸² *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 196; Seuffert, Die Verfassungsbeschwerde, S. 159 (160); Stern, GG, Art. 93, Rn. 403.

³⁸³ Stern, GG, Art. 93, Rn. 411.

³⁸⁴ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 197.

³⁸⁵ *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 253-254.

³⁸⁶ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 197, 208.

ასრულებს სამართალწარმოებას.³⁸⁷ მიზანშეწონილია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ შემთხვევაშიც ჰქონდეს სამართალწარმოების გაგრძელების შესაძლებლობა, თუ საკითხის გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძირითადი უფლებების დაცვისთვის. ამ კონტექსტში, საინტერესოა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, რომელიც ჩამოყალიბდა მართლწერის რეფორმასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში³⁸⁸ და რომლის საფუძვლადაც ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის ობიექტური ფუნქცია მიიჩნევა.³⁸⁹ მოსარჩელებმა - მოსწავლეთა მშობლებმა უარი განაცხადეს სასარჩელო მოთხოვნაზე. მიუხედავად ამისა, საქმის განხილვა არ შეწყდა. სასამართლოს აზრით, როდესაც კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად დაუშვეს მისი საზოგადო მნიშვნელობის გამო, განიხილეს ზეპირი მოსმენით და საზოგადო მნიშვნელობას ინარჩუნებდა გადაწყვეტილების გამოცხადებამდე მომენტშიც, პროცესის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ შედიოდა მხოლოდ მოსარჩელის დისპოზიციურ უფლებამოსილებაში. სუბიექტური სამართლებრივი დაცვის ინტერესს ამ დროს აღემატებოდა ობიექტური საკონსტიტუციო სამართლის დაცვის, განმარტებისა და განვითარების ინტერესები.

339 ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის მთავარი ფუნქცია სუბიექტური უფლებების დაცვაა, ხოლო საკონსტიტუციო სამართლის განვითარება კი - მეორადი.³⁹⁰ შემოწმება ამ კომპეტენციის ფარგლებში ორიენტირებულია ძირითად უფლებაში ჩარევის შეფასებაზე და მისი ამოსავალი წერტილია მოსარჩელის სუბიექტური სამართლებრივი პოზიცია.³⁹¹ საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანა ამ დროს არ არის კონსტიტუციურსამართლებრივი საკითხის აბსტრაქტული გარკვევა.³⁹² ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონტროლის ობიექტივირების ზღვარს იქ ხედავენ, საიდანაც მისი სუბიექტური ფუნქციის რელატივირება დაიწყებოდა.³⁹³ სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლომ ობიექტურ მიზნებს არ უნდა მიაღწიოს მოსარჩელეთა ინტერესების ხარჯზე.

³⁸⁷ *Sturm*, GG, Art. 93 GG, Rn. 34.

³⁸⁸ BVerfGE 98, 218 (242 f.).

³⁸⁹ *Sturm*, GG, Art. 93 GG, Rn. 77.

³⁹⁰ შეადარე: *Hopfauf*, GG, Art. 93, Rn. 153; *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 197; *Meyer*, GG, Art. 93, Rn. 54.

³⁹¹ *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 433.

³⁹² შეადარე: BVerfGE 2, 139 (141); 29, 304 (310); *Sturm*, GG, Art. 93 GG, Rn. 77.

³⁹³ მაგ.: *Hopfauf*, GG, Art. 93, Rn. 153.

4.1.2. მოსარჩელები ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

4.1.2.1. მოსარჩელეთა წრე

კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით ნორმატიული აქტის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების უფლების მქონე სუბექტების წრე მოიცავს:

- 1) ფიზიკურ პირებს;
- 2) იურიდიულ პირებს;
- 3) სახალხო დამცველს.³⁹⁴

როგორც ვხედავთ, მოსარჩელეთა წრე ფაქტობრივად შეუზღუდავია.³⁹⁵ ძირითადი უფლებების დამცველი კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ასევე თანამდებობის პირს - სახალხო დამცველს. ამავდროულად, ამ შესაძლებლობით სარგებლობა გარკვეულ წინაპირობებს უკავშირდება.

4.1.2.2. ფიზიკური პირები

მოსარჩელეთა წრეს მიეკუთვნებიან არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები, არამედ სხვა ფიზიკური პირებიც,³⁹⁶ რომელთა უფლებები პოტენციურად შეიძლება შეზღუდოს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებამ. ამ კუთხით, ვითარება რამდენიმეჯერ შეიცვალა. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თავდაპირველი რედაქციით, საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის უფლებით სარგებლობდნენ საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა ფიზიკური პირები.³⁹⁷ 2002 წლის 12 თებერვლის ცვლილებით მოსარჩელე ფიზიკურ პირთა წრე შევიწროვდა. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა მოქალაქეობის

³⁹⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

³⁹⁵ ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 254.

³⁹⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

³⁹⁷ 39-ე მუხლის პირველი პუნქტი.

არმქონე ფიზიკურ პირს მხოლოდ იმ პირობით შეეძლო, თუ ის საქართველოში ცხოვრობდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილებით საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არაკონსტიტუციურად გამოცხადდა მოსარჩელე ფიზიკურ პირთა წრის შეზღუდვა მხოლოდ საქართველოში მცხოვრები პირებით,³⁹⁸ რადგანაც ის არღვევდა სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ უცხოელები და აპატრიდები იყვნენ ადამიანის უფლებების, მათ შორის სასამართლოსთვის მიმართვის უფლების სუბიექტები. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მოიცავდა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობასაც. ცალკეულ შემთხვევებში ეს იყო ერთადერთი გზა უფლების სრულყოფილად დასაცავად. არ არსებობდა აღნიშნული კატეგორიის პირთათვის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვის ლეგიტიმური მიზანი. მიზნის არსებობის შემთხვევაშიც კი, დაუშვებელი იქნებოდა ადამიანის დატოვება დარღვეული უფლებების სასამართლო დაცვის შესაძლებლობის გარეშე.³⁹⁹

343 ყველა ფიზიკურ პირს არ შეუძლია, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერი ძირითადი უფლების დარღვევის გამო. მოსარჩელე უნდა იყოს შესაბამისი უფლებით დაცული სუბიექტი. ძირითადი უფლების დამცველი კონსტიტუციური სარჩელის შეტანის შესაძლებლობა ეფუძნება და შეზღუდულია პირის უფლებაუნარიანობით კონკრეტულ უფლებასთან მიმართებაში.⁴⁰⁰ ამ კონტექსტში, გადამწყვეტია ძირითადი უფლების პერსონალური დაცული სფერო. მოქალაქის უფლებების მაგალითად, პოლიტიკური პარტიების თავისუფლების,⁴⁰¹ სუბიექტები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან და მათი დარღვევის გამო უცხოელი ვერ იღავეს. ძირითადი უფლებების სუბიექტთა წრე შეზღუდულია არა მხოლოდ მოქალაქეობის, არამედ ასაკობრივი, პროფესიული თუ სხვა ნიშნებით. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ სუბიექტად არ ჩათვალა პირი, რომელიც მართალია, საქართველოს მოქალაქე იყო, მაგრამ სასამართლოს განაჩენით იმყოფებოდა

³⁹⁸ №1/466 გადაწყვეტილება, III-2.

³⁹⁹ №1/466 გადაწყვეტილება, II-21.

⁴⁰⁰ შეადარე: BVerfGE 3, 383 (391 f.); 21, 362 (367); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 506; Sturm, GG, Art. 93 GG, Rn. 82.

⁴⁰¹ საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

სასჯელადსრულების დაწესებულებაში. კონსტიტუციის იმჟამინდელი რედაქციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამ პირებს გამორიცხავდა საარჩევნო უფლების სუბიექტთა რიგებიდან. ერთადერთი პირობა, რაც მათ საარჩევნო უფლების სუბიექტთა წრეში დააბრუნებდა, იყო სასჯელადსრულების დაწესებულებაში ყოფნის დასრულება.⁴⁰²

4.1.2.3. იურიდიული პირები

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თავდაპირველი რედაქცია მოსარჩელეთა შორის იურიდიულ პირებს არ ითვალისწინებდა. ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის მიხედვით, იურიდიულ პირებზეც ვრცელდება, ამიტომ, კანონმდებლობის ამ ხარვეზმა მალე პრაქტიკაშიც იჩინა თავი. მაგალითად, საკუთრების უფლება იურიდიულ პირებს, მათ შორის პროფესიულ კავშირებსაც, აქვთ. როდესაც პროფესიული კავშირის, როგორც იურიდიული პირის, საკუთრების უფლებაში ხდება ჩარევა, მის ნაცვლად საკონსტიტუციო სასამართლოში ვერ იდავებენ პროფკავშირის წევრები. იურიდიული პირისა და მისი წევრების ამგვარი ურთიერთჩანაცვლება ზოგადად დაუშვებელია.⁴⁰³ მიუხედავად ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განავითარა საკამათო მოსაზრება, რომ პროფკავშირების ქონებაზე მისი წევრების საკუთრების უფლება ვრცელდებოდა და დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი.⁴⁰⁴

344

საქართველოს იურიდიულ პირებს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება მიენიჭა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში 2002 წლის 12 თებერვალს განხორციელებული ცვლილებით. №1/466 გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ეს ნორმაც არაკონსტიტუციურად აღიარა.⁴⁰⁵ მისი პოზიციით, იმ იურიდიულ პირთაგან, ვისზეც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდებოდა, ნაწილი რჩებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს-თვის მიმართვის უფლების გარეშე.⁴⁰⁶ ამდენად, დღეისთვის ძირითადი უფლების

345

⁴⁰² №2/1/431 განჩინება, II-2.

⁴⁰³ შეადარე: *Sturm*, GG, Art. 93 GG, Rn. 92.

⁴⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 15 ივლისის №1/6-58,60,62,67 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეები ირაკლი ტულუში, ლონდა სისარულიძე, ზურაბ დიდიშვილი, ვალერიან რევიშვილი, სიმონ ხომტარია, დავით ჯანგულაშვილი და რუსუდან ბოკუჩავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

⁴⁰⁵ №1/466 გადაწყვეტილება, III-2.

⁴⁰⁶ №1/466 გადაწყვეტილება, II-13.

დამცველი კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ არა მხოლოდ საქართველოს იურიდიულ პირებს.

346 კერძო სამართლის იურიდიული პირების საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა სადავო საკითხი არ არის. შედარებით რთულია საჯარო სამართლის იურიდიული პირების თემა. როგორც ავლნიშნეთ, ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება უკავშირდება მოსარჩელის მიკუთვნებას შესაბამისი უფლებით დაცული სუბიექტებისთვის. საჯარო სამართლის იურიდიული პირები ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებებს. ისინი, როგორც წესი, ძირითადი უფლებების აღრესატები არიან და არა სუბიექტები.⁴⁰⁷ მიუხედავად ამისა, არსებობს გამონაკლისებიც. ამ კუთხით, საინტერესოა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილება. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შეუძლიათ, იდავონ ე.წ. „ძირითადი უფლებების მსგავსი საპროცესო უფლებების“, როგორცაა უფლებები კანონიერ მოსამართლეზე და სასამართლო მოსმენაზე, ასევე სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დასაცავად.⁴⁰⁸ გამონაკლისს ასევე წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიული პირები სპეციფიური სფეროების მიხედვით, რომელთა ძირითადი ფუნქცია არა საჯარო უფლებამოსილებების განხორციელება, არამედ ინდივიდთა ძირითადი უფლებების რეალიზაციაა.⁴⁰⁹ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით ჩამოყალიბებული მაუწყებლების,⁴¹⁰ უნივერსიტეტებისა⁴¹¹ და რელიგიური გაერთიანებების⁴¹² ძირითადი უფლებების სამართალსუბიექტურობა. აღსანიშნავია, რომ ეს აღიარება ორიენტირებულია სპეციფიურ სფეროებზე და არ აქვს ზოგადი ხასიათი. ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა შეიძლება, იდავოს მხოლოდ იმ უფლების დარღვევაზე, რომლის რეალიზაციასაც ის ემსახურება.⁴¹³

347 იურიდიული პირი ვერ გაასაჩივრებს იმ ძირითადი უფლების დარღვევას, რომლის სუბიექტიც მხოლოდ ფიზიკური პირია. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო

⁴⁰⁷ დეტალურად იხ.: *კუბლაშვილი*, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი 2019, გვ. 50-52.

⁴⁰⁸ BVerfGE 21, 362 (373); 61, 82 (104); 107, 299 (310 f.).

⁴⁰⁹ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 527.

⁴¹⁰ BVerfGE 31, 314 (322); 39, 302 (314).

⁴¹¹ BVerfGE 15, 256 (262); 39, 302 (314); 111, 333 (352).

⁴¹² BVerfGE 19, 1; 42, 322.

⁴¹³ BVerfGE 59, 231 (254 f.).

სასამართლოს მიმართა იურიდიულმა პირმა, რომელიც აპელირებდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებების დარღვევაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეიძლება, ჰქონოდა ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას. იურიდიული პირი, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ იქნებოდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებების სუბიექტი. წესდება, სპეციფიკა და საქმიანობა არ აძლევდა მოსარჩელეს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას და სხვა პირთა ინტერესების დაცვის საშუალებას, რადგანაც არ დასტურდებოდა უშუალოდ მისი უფლების (შესაძლო) დარღვევა.⁴¹⁴

4.1.2.4. მსხვერპლი და პოტენციური

მსხვერპლი

ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება წარმოემობა, თუ მას მიაჩნია, რომ მისი უფლებები: 1) დარღვეულია, ანუ ის მსხვერპლია ან 2) შესაძლებელია, უშუალოდ დაირღვეს, ანუ ის პოტენციური მსხვერპლია.⁴¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამ წინაპირობათა მიზანს ხედავს კონკრეტული ინდივიდის უფლებების დაცვაში ან მათი აშკარა დარღვევის პრევენციაში.⁴¹⁶

348

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თავდაპირველი რედაქცია არ ითვალისწინებდა უფლებების შესაძლო დარღვევის შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის შესაძლებლობას. ეს ინსტიტუტი შემოვიდა 2002 წლის 12 თებერვლის ცვლილების შედეგად და მართებულადაა შეფასებული პროგრესულ მოვლენად ძირითადი უფლებების დაცვისა და ევროპული სტანდარტების დამკვიდრებისთვის.⁴¹⁷ უფლებების დარღვევის პრევენცია მართლაც

349

⁴¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის №2/3/441 განჩინება საქმეზე „საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II – 5, 7-9.

⁴¹⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

⁴¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის №1/1/413 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ირაკლი ყანდაშვილი და კომანდითური საზოგადოება „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, ბარამიძე და პარტნიორები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2.

⁴¹⁷ ხეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა №4, 2010, გვ. 51 (65).

უკეთესი ვარიანტია, ვიდრე დარღვევაზე post factum რეაგირება. უფლების შეზღუდვიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე პერიოდში შეიძლება, მოსარჩელისთვის გამოუსწორებელი ან ძნელად გამოსწორებადი შედეგები დადგეს.⁴¹⁸

350 მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ ის მსხვერპლი ან პოტენციური მსხვერპლია. სხვაგვარად საქმე გვექნებოდა აბსტრაქტულ კონსტიტუციურ კონტროლთან და actio popularis-თან, რისი უფლებაც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს არ აქვთ.⁴¹⁹ მათ შეუძლიათ დავა მხოლოდ საკუთარი უფლებების დარღვევაზე, თუ არსებობს კავშირი სადავო ნორმასა და მოსარჩელის უფლებებს შორის.⁴²⁰ Actio popularis-ის უარყოფა პრაგმატულადაც სწორია. ის გამოიწვევდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადატივრთვას, მათ შორის არაკვალიფიციური სარჩელებით და მის საქმიანობას დიდ პრობლემებს შეუქნიდა.⁴²¹ ამას უნგრეთის ნეგატიური გამოცდილებაც ადასტურებს.⁴²²

351 თუ მოსარჩელე უფლებების წარსულში დარღვევაზე აპელირებს, მაშინ მან საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა წარუდგინოს შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები.⁴²³ აუცილებელი არ არის, რომ სადავო ნორმის საფუძველზე გამოცემული იყოს ადმინისტრაციული აქტი, რომელიც უშუალოდ ზღუდავს შესაბამის ძირითად უფლებას.⁴²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მთავარია ნორმის შინაარსის კონსტიტუციურობა და არა ის, თუ რამდენად წარმოშობს ის დამოუკიდებლად სამართლებრივ ურთიერთობებს.⁴²⁵ ამდენად, კონსტიტუციურობის შეფასებისთვის გადაწყვეტია ნორმის შინაარსი და მის აღსასრულებლად სამართლებრივი აქტის გამოცემა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ნორმასთან დაკავშირებულ კონსტიტუციური სარჩელს განსახილველად არ იღებს, თუ სადავო ნორმა უშუალოდ არ ზღუდავს

⁴¹⁸ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 203.

⁴¹⁹ მაგ. იხ.: №2/3/412 განჩინება, II-6.

⁴²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 25 ივლისის №1/14/335 განჩინება საქმეზე „კავშირი „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეა“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, I-2.

⁴²¹ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 204.

⁴²² *შვარცი*, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება, გვ. 145.

⁴²³ №1/1/413 განჩინება, 2.

⁴²⁴ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 204.

⁴²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

ძირითად უფლებას და საჭიროებს აღსრულებისთვის დამატებითი აქტის გამოცემას.⁴²⁶ ეს პირობა სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვას უკავშირდება და აიძულებს მოსარჩელეს, რომ ჯერ თავი დაიცვას აღსრულების აქტის, როგორც უშუალო ჩარევის წინააღმდეგ.⁴²⁷ მსგავსი მიდგომა ავსტრიაშიც. კანონის გასაჩივრება მაშინაა დასაშვები, როდესაც ის მოსარჩელის მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილების ან ადმინისტრაციული აქტის გამოცემის გარეშე მოქმედებს.⁴²⁸ არსებობს გარკვეული გამონაკლისებიც. სარჩელი განსახილველად მიიღება, თუ დაუშვებლობით გამოუსწორებელი შედეგები დადგებოდა.⁴²⁹ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო ასევე არ ელოდება მოსარჩელის მიერ დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას და შესაბამისი აქტის გამოცემას.⁴³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოზე აღნიშნული გამოცდილება ვერ გავრცელდება, რადგანაც სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის ასეთ საფუძველს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.⁴³¹ გარდა ამისა, ეს ფაქტობრივად გამორიცხავდა პოტენციური მსხვერპლის მიერ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის შესაძლებლობასაც.

ძირითადი უფლებების სამომავლო დარღვევაზე მითითებისას მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ ეს საფრთხე უშუალო, რეალური და გარდაუვალია.⁴³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლების სამომავლო დარღვევის რეალურობას აფასებს მისი ბუნების, სადავო ნორმის შინაარსისა და საქმის ვითარების გათვალისწინებით.⁴³³ ის შეისწავლის მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებს, რომ მოსარჩელე სადავო ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის მონაწილე განჭვრეტად მომავალში გახდება.⁴³⁴ სასამართლოსთვის არაა საკმარისი პირის აბსტრაქტული მტკიცება მისი უფლებების სამომავლო დარღვევის შესახებ.⁴³⁵ ამ საკითხისადმი დამოკიდებულება აქვს გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო

352

⁴²⁶ მაგალითად იხ.: BVerfGE 97, 157 (164).

⁴²⁷ Sturm, GG, Art. 93 GG, Rn. 94.

⁴²⁸ ავსტრიის ფედერალური კონსტიტუციური კანონის 140-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-4 წინადადება.

⁴²⁹ Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 541 f.

⁴³⁰ მაგ. იხ.: BVerfGE 81, 70 (82 f.).

⁴³¹ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 205.

⁴³² მაგალითად იხ.: №2/3/412 განჩინება, II - 4-5.

⁴³³ №1/1/413 განჩინება, 2.

⁴³⁴ იქვე.

⁴³⁵ მაგ. იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 27 ნოემბრის №2/17/399 განჩინება საქმეზე „ერმილე თორთლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4; №1/1/413 განჩინება, 2.

სასამართლოსაც. მან სარჩელის დაშვებისთვის არასაკმარისად მიიჩნია მოსარჩელის არგუმენტი, რომ ის ოდესღაც მომავალში დაექვემდებარებოდა შეზღუდვას.⁴³⁶

353 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნაკლებად მკაცრია, თუ უფლებების სამომავლო შეზღუდვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა ობიექტურად შეუძლებელია, სადავო ნორმის შინაარსიდან აშკარად გამომდინარეობს უფლებების დარღვევის შესაძლებლობა და ეჭვგარეშეა, რომ მოსარჩელე ამ საფრთხის პირისპირ რეალურად შეიძლება, აღმოჩნდეს.⁴³⁷ ამ კონტექსტში, გამოსაყოფია ძირითადი უფლებების ფარული შეზღუდვები, როდესაც თითქმის გამორიცხულია, რომ პირმა მათ შესახებ შეიტყოს.⁴³⁸ მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის ერთ-ერთ ნორმასთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელი,⁴³⁹ რომელიც შეეხებოდა სატელეფონო ან სხვა ტექნიკური საშუალებით განხორციელებული კომუნიკაციის საიდუმლოების შეზღუდვას ფარულად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით. მას მოსარჩელეთათვის არ მოუთხოვია მტკიცებულებების წარმოდგენა უფლებების შეზღუდვასთან ან სამომავლო შეზღუდვასთან დაკავშირებით, რაც მათ ობიექტურად არ შეეძლოთ.

4.1.2.5. სახალხო დამცველი

354 კონსტიტუციის ადვოკატის (Verfassungsanwalt) იდეა, რომელსაც შეეძლებოდა არაკონსტიტუციური აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების ინიცირება, ეკუთვნის ჰანს კელზენს.⁴⁴⁰ ის ერთგვარად რეალიზებულია სახალხო დამცველის უფლებამოსილებაში, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქართველოს მსგავსი გამოცდილება არსებობს ესპანეთში.⁴⁴¹ სახალხო დამცველის კონსტიტუციური ფუნქცია საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების

⁴³⁶ BVerfGE 1, 97 (102).

⁴³⁷ Ne1/1/413 განჩინება, 2.

⁴³⁸ Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 544.

⁴³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ნოემბრის Ne1/7/407 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁴⁴⁰ Kelsen, Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit, S. 45.

⁴⁴¹ ესპანეთის სამეფოს კონსტიტუციის 162-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (<http://www.verfassungen.eu/es/verf78-index.htm>; 26.01.21).

დაცვაზე ზედამხედველობა.⁴⁴² ამ ამოცანიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილება.⁴⁴³

სახალხო დამცველი არ საჭიროებს მტკიცებულებების მოტანას, რომ სადავო ნორმამ ვინმეს უფლებები დაარღვია ან მომავალში რეალურად დაარღვევს.⁴⁴⁴ ის არ არის ვალდებული, დაელოდოს ძირითადი უფლების კონკრეტულ დარღვევას.⁴⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ სახალხო დამცველს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება წარმოეშობოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჰქონდა ძირითადი უფლებების დარღვევის თაობაზე მოქალაქის განცხადება, ინფორმაცია ან სტატისტიკური მონაცემები და ვერც უფლებების სამომავლო შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით იდავებდა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ძირითადი უფლებების დაცვის პრიორიტეტზე და მათი უზრუნველყოფისთვის სახალხო დამცველის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე. მან მიუთითა იმაზეც, რომ სახალხო დამცველის ფუნქცია არა მხოლოდ უფლებათა დარღვევებზე რეაგირება, არამედ მათი პრევენციაც იყო. სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი ჩაითვალა აბსტრაქტული კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ფორმად, რაც მას ათავისუფლებდა წარსულში ან მომავალში უფლებების კონკრეტული დარღვევის მტკიცების ვალდებულებისგან. სახალხო დამცველს შეეძლო, ნებისმიერ შემთხვევაში მიემართა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, თუ მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, არღვევდა ძირითად უფლებებს.⁴⁴⁶ ამით საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა სახალხო დამცველის უფლებამოსილება *actio popularis*-ზე. სხვაგვარი მიდგომა არსებითად დააზიანებდა ძირითადი უფლებების დაცვისთვის ამ ძალიან მნიშვნელოვან ინსტიტუტს.⁴⁴⁷

⁴⁴² საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁴⁴³ შეადარე: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 200.

⁴⁴⁴ ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 254-255.

⁴⁴⁵ ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, გვ. 51 (66).

⁴⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის №2/6/418 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II – 3-6.

⁴⁴⁷ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 206.

4.1.3. მოპასუხეები ძირითადი უფლებების შეზღუდვის
კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

356 ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში, მოპასუხეა ის ორგანო ან თანამდებობის პირი, რომლის აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია ძირითადი უფლების დარღვევა.⁴⁴⁸ საქმის განხილვაში მონაწილეობს როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხე, ანუ პროცესი კონტრადიქტორულია.⁴⁴⁹ ეს მიდგომა გამართლებულია, რადგანაც იძლევა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მხარეთა პოზიციების შეფასებისა და გადაწყვეტილების დასაბუთების უკეთეს შესაძლებლობას.⁴⁵⁰ თუმცა, სხვაგვარი გამოცდილებაც არსებობს - გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში მსგავსი პროცესი კონტრადიქტორული არ არის.⁴⁵¹ ამავდროულად, იმ სახელმწიფო ორგანოს, რომლის მოქმედება ან უმოქმედობაა გასაჩივრებული, ეძლევა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა. მას შეუძლია პროცესში ჩართვაც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება განხილვის საგანი,⁴⁵² მაგრამ არ ენიჭება მოპასუხის სტატუსი.⁴⁵³ ამ გამოცდილების გაზიარება გონივრული იქნებოდა რეალური საკონსტიტუციო კონტროლის შემოღების შემთხვევაში, რაც დაზოგავდა დროს და შეამსუბუქებდა სასამართლოს გაზრდილ დატვირთვას.⁴⁵⁴

357 კანონმდებლობა პირდაპირ არ აწესრიგებს საკითხს, თუ ვინ იქნება მოპასუხე, როდესაც ნორმატიული აქტის გამომცემი ორგანო ან შესაბამისი თანამდებობა აღარ არსებობს. საკონსტიტუციო სასამართლო ამ მიზეზით უარს ვერ განაცხადებს სარჩელის განხილვაზე. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია ანალოგიით იმ წესის გამოყენება, რომელიც მოქმედებს აბსტრაქტული ნორმატკონტროლის ფარგლებში.⁴⁵⁵ ნორმატიული აქტის გამომცემი სუბიექტის არარსებობისას, მოპასუხე უნდა იყოს მისი უფლებამონაცვლე ორგანო ან თანამდებობის პირი. თუ უფლებამონაცვლევ არაა სახეზე, საკონსტიტუციო სასამართლომ მოპასუხედ უნდა

⁴⁴⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁴⁹ შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 255.

⁴⁵⁰ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 200.

⁴⁵¹ Hopfauf, GG, Art. 93, Rn. 148.

⁴⁵² ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 94-ე მუხლი.

⁴⁵³ Sturm, GG, Art. 93 GG, Rn. 79.

⁴⁵⁴ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 200 f.

⁴⁵⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

განსაზღვროს პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა ან ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოები.

4.1.4. დავის საგანი ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

4.1.4.1. დავის საგნის ნაწილები

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დავის საგნის დეფინიციას. საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკაში დავის საგნად მიუთითებს ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებულ უფლებასთან ან უფლებებთან მიმართებით. დავის საგანი, მსგავსად გერმანული მოდელისა, ორნაწილიანია: 1) სადავო ნორმა და 2) ძირითადი უფლების (სავარაუდო) დარღვევა.⁴⁵⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, კონსტიტუციურ სარჩელში უნდა მიეთითოს სადავო ნორმა,⁴⁵⁷ ასევე კონსტიტუციის ის ნორმები, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, ირღვევა და ამის დამადასტურებელი მტკიცებულებანი.⁴⁵⁸ დავის საგნის პირველი ნაწილი - სადავო ნორმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკაში გააფართოვა და განიხილავს ნორმის კონკრეტული ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობასაც.

358

4.1.4.2. სადავო ნორმა

გასაჩივრებას დაქვემდებარებული ნორმატიული აქტების იდენტიფიცირება, ერთი შეხედვით, არ არის რთული. „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონი განსაზღვრავს ნორმატიული აქტის დეფინიციას,⁴⁵⁹ სახეებს, იერარქიას,⁴⁶⁰ მიღებაზე

359

⁴⁵⁶ შუად: BVerfGE 78, 320 (328); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 492.

⁴⁵⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31¹ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁴⁵⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31¹ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები.

⁴⁵⁹ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁶⁰ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლი.

(გამოცემაზე) უფლებამოსილ სუბიექტებს⁴⁶¹ და ა.შ. ამავდროულად, არ არის გამორიცხული, რომ ნორმატიული აქტის ფორმით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი შინაარსობრივად ინდივიდუალური, ერთჯერადი ხასიათის იყოს და პირიქით. „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონით ეს აკრძალულია,⁴⁶² მაგრამ პრაქტიკაში მაინც გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ე.წ. „ერთი შემთხვევის კანონის“ მიღება ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპებს და დაუშვებლად ითვლება.⁴⁶³

360 ჩნდება კითხვა ზემოაღნიშნულ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომასთან დაკავშირებით. 1998 წლის 15 ივლისის №1/6-58,60,62,67 გადაწყვეტილებაში „მოქალაქეები ირაკლი ტულუში, ლონდა სინარულიძე, ზურაბ დიდიშვილი, ვალერიან რევიშვილი, სიმონ ხოშტარია, დავით ჯანგულაშვილი და რუსუდან ბოკუჩავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია წინააღმდეგობრივია. დავის საგანი იყო რამდენიმე სამართლებრივი აქტი, რომლებიც ითვალისწინებდა საქართველოს პროფკავშირების ქონების ცალკეული ობიექტების გადაცემას სხვა უწყებებისთვის. ეს ამკარად ერთჯერადი აქტები არ შეიცავდა მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესებს. აქტების ნაწილთან დაკავშირებით სასამართლომ ფორმალური მიდგომა განავითარა და ნორმატიულად ჩათვალა იმის გამო, რომ ისინი შეტანილი იყო ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში. სახელმწიფო რეესტრში დაურეგისტრირებული აქტი მან ასევე მიიჩნია ნორმატიულად მოწმის ჩვენების საფუძველზე, მისი შინაარსის შეფასების გარეშე.

361 შემდგომ პრაქტიკაში სადავო აქტის ნორმატიული აქტებისთვის მიკუთვნების კრიტერიუმები უფრო მკაფიო და სრულყოფილი გახდა. 2007 წლის 9 ნოემბრის №1/7/436 განჩინებაში საქმეზე „შპს “კავკასუს ონლაინი” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“ სასამართლომ იმსჯელა სადავო აქტის ბუნებაზე. მან იხელმძღვანელა ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების დეფინიციებით, რასაც ითვალისწინებდა „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და დაასკვნა, რომ

⁴⁶¹ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-10 და მე-14 მუხლები.

⁴⁶² „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი.

⁴⁶³ შეადარე: Herzog, (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Die Verfassungsentscheidung für die Gewaltenteilung), in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, Rn. 83; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 369; Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 111.

რელევანტური იყო როგორც ფორმალური (მიღების წესთან დაკავშირებული), ასევე მატერიალური (შინაარსობრივი) ნიშნები. სადავო აქტი ფორმალურად ინდივიდუალურ-სამართლებრივი იყო, მაგრამ მოსარჩელის მოსაზრებით, მას ნორმატიული შინაარსი ჰქონდა. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნორმატიული აქტის მატერიალური ელემენტი მისი სუბსტანციის განმსაზღვრელი მომენტი იყო. შინაარსის შეფასების შედეგად, ის მივიდა დასკვნამდე, რომ სადავო აქტი ინდივიდუალური იყო და უარი განაცხადა კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე.⁴⁶⁴

2008 წლის 17 ივნისის №2/2/438 განჩინებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვახტანგ ცქიფურიძევილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ კვლავ გაესვა ხაზი იმას, რომ სადავო აქტის ნორმატიულად ჩასათვლელად სასამართლო ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ ფორმალური, არამედ მატერიალური კრიტერიუმით. ფორმალურად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შინაარსობრივად შეიძლება, არ ყოფილიყო ნორმატიული და პირიქით, ფორმალურად ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს შესაძლოა, ჰქონოდა ნორმატიული შინაარსი. საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებით გამოყო შემთხვევები, როდესაც ნორმატიული აქტის გამომცემი სუბიექტი ადარ არსებობდა და ადარც შესაბამისი ნორმატიული აქტის სახეს ითვალისწინებდა კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“. თუ ამგვარ აქტს არ ჰქონდა დაკარგული იურიდიული ძალა, მისი კონსტიტუციურობის საკითხი ექვემდებარებოდა განხილვას. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანი პრეზიდენტის ფორმალურად ნორმატიული ბრძანებულებები იყო. საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა ამ აქტების შინაარსი და დაასკვნა, რომ ისინი არ შეიცავდა ქვევის ზოგად წესებს და მატერიალური თვალსაზრისით, არ იყო ნორმატიული აქტები. მათი კონსტიტუციურობის შემოწმება სცდებოდა სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს.⁴⁶⁵

საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს იურიდიული ძალის მქონე, ანუ მოქმედი ნორმის კონსტიტუციურობას. თუ ნორმა ჯერ არ ამოქმედებულა, ის ვერ ხელჰყოფს ძირითად უფლებას. ამდენად, არ განიხილება პრევენციული კონსტიტუციური

⁴⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 ნოემბრის №1/7/436 განჩინება საქმეზე „მპს „კავკასუს ონლაინი“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-1-7.

⁴⁶⁵ №2/2/438 განჩინება, II-6,7.

362

363

სარჩელები ნორმატიული აქტების პროექტებთან დაკავშირებით.⁴⁶⁶ თუ სადავო ნორმამ საქმის განხილვისას დაკარგა ძალა, მოსარჩელის სუბიექტური მიზანი მიღწეულია. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, გააგრძელოს მისი კონსტიტუციურობის შემოწმება, თუ საკითხის გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძირითადი უფლებების უზრუნველყოფისთვის.⁴⁶⁷ ეს, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის ობიექტურ ფუნქციას, ხოლო მეორე მხრივ, იძლევა მომავალში ანალოგიური დარღვევების პრევენციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მათი გამარტივებული წესით გაუქმების შესაძლებლობას.

4.1.4.3. ძირითადი უფლების (სავარაუდო)

დარღვევა

364 დავის საგნის მეორე ნაწილთან - ძირითადი უფლების (სავარაუდო) დარღვევასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა, რაც განპირობებულია ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის შემოწმების ორმაგი - სუბიექტური და ობიექტური ფუნქციით.⁴⁶⁸ დავის საგნის ობიექტური გაგების შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა იმოქმედოს პრინციპით *iura novit curia* (სასამართლომ იცის კანონი) და შემოწმებისას არ შეიზღუდოს მოსარჩელის მიერ მითითებული უფლებებით.⁴⁶⁹ დავის საგნის სუბიექტური გაგების მიხედვით, მოსარჩელე სადავო აქტის ნებისმიერი შესაძლო სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას კი არ ითხოვს, არამედ მხოლოდ იმ ძირითად უფლებასთან მიმართებით, რის დარღვევაზეც ის აპელირებს. ამდენად, სასამართლო უნდა შემოიფარგლოს მოსარჩელის მიერ მითითებული ძირითადი უფლების დარღვევის შემოწმებით.⁴⁷⁰ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში განვითარდა შუალედური, დავის საგნის ობიექტივირებული სუბიექტური გაგება.⁴⁷¹ სასამართლო არ იზღუდება

⁴⁶⁶ შეადარე: BVerfGE 68, 143 (150); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 543.

⁴⁶⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

⁴⁶⁸ დეტალურად იხ.: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 493.

⁴⁶⁹ მაგ. იხ.: *Sachs*, Die Bindung des Bundesverfassungsgerichts an seine Entscheidungen, München 1977, S. 379 ff.

⁴⁷⁰ BVerfGE 78, 320 (328); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 493.

⁴⁷¹ Klein, in: Rensen, H., Brink, S. (Hrsg.), *Linien der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts*, Band 1, Berlin 2009, S. 83 (90).

კონსტიტუციური სარჩელის სიტყვასიტყვითი ტექსტით, არამედ მისთვის მთავარი სასარჩელო მოთხოვნის შინაარსია,⁴⁷² რომელსაც ზოგჯერ განმარტავს კიდევ.⁴⁷³ მიუხედავად ამისა, ის არ სცდება სასარჩელო მოთხოვნის ცალსახად ჩამოყალიბებულ საგნობრივ ფარგლებს.⁴⁷⁴

საქართველოს კანონმდებლობიდან და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლისას დავის საგნის განსაზღვრა დამოკიდებულია მოსარჩელეზე და მის სასარჩელო მოთხოვნაზე. სასამართლო მკაცრადაა შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნით.⁴⁷⁵ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გაბატონებულია დავის საგნის სუბიექტური გაგება, თანაც მის ორივე ნაწილში, როგორც სადავო ნორმის, ასევე ძირითადი უფლების (სავარაუდო) დარღვევის კუთხით.

365

4.1.4.4. დავის საგნით შეზღუდვა

სადავო ნორმის ნაწილში დავის საგნის გაფართოებას ზღუდავს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი არ არის, იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.⁴⁷⁶ მიუხედავად ამისა, ცალსახად არაა გამორიცხული სადავო ნორმასთან ორგანულად დაკავშირებული ნორმების შეფასებისა და გაუქმების შესაძლებლობა. ეს არც „მთლიანად კანონის“ და არც „სხვა ნორმატიული აქტის“ კონსტიტუციურობაზე მსჯელობა იქნებოდა.

366

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკაში მკაცრად შემოიფარგლება მოსარჩელის მიერ მითითებული სადავო

367

⁴⁷² დეტალურად იხ.: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 494.

⁴⁷³ მაგ. იხ.: BVerfGE 103, 242 (257).

⁴⁷⁴ მაგ. იხ.: BVerfGE 2, 347 (367 f.).

⁴⁷⁵ ამ პრობლემასთან და მისი გადაჭრის პერსპექტივებთან დაკავშირებით იხ.: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 269 ff.

⁴⁷⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ნორმით⁴⁷⁷ ან მისი კონკრეტული ნორმატიული შინაარსით.⁴⁷⁸ სასამართლო უფრო შორს წავიდა 2016 წლის 18 აპრილის №2/1/631 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ერთ-ერთი სადავო ნორმა ითვალისწინებდა ყადაღის დადების შესაძლებლობას ბრალდებულის, მისი მოქმედებისთვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებაზე. მოსარჩელები დავობდნენ მის შესაბამისობაზე კონსტიტუციის იმჟამინდელი რედაქციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან, ანუ საკუთრების უფლებისა და მისი შეზღუდვის კონსტიტუციური რეგულირების დარღვევაზე. სასამართლომ არ შეაფასა სადავო ნორმის რელევანტური ასპექტები, რომლებიც შეეხებოდა ყადაღის ხანგრძლივობას, მისი გამოყენების საჭიროების პერიოდულად გადასინჯვას, ასევე იმ დანაშაულთა წრის შეზღუდვას, რა შემთხვევაშიც ყადაღის გამოყენება იყო შესაძლებელი. მან განაცხადა, რომ მოსარჩელები არ აყენებდნენ აღნიშნულ საკითხებს, ხოლო თავად კი შეზღუდული იყო სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით.⁴⁷⁹ საკონსტიტუციო სასამართლო არათუ კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული სადავო ნორმით, არამედ მოსარჩელის არგუმენტაციით შეიზღუდა და არ იმსჯელა იმ თემებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გასაჩივრებული ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისთვის. როგორც ამ გადაწყვეტილებაზე განსხვავებული აზრიდან ირკვევა, სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა საქმის არსებითი განხილვისას მოსარჩელე მხარის მითითება, რომ სადავო ნორმა ქმნიდა ე.წ. არასაპატიმრო საქმეებზე ყადაღის განუსაზღვრელი დროით განხანგრძლივების შესაძლებლობას. განსხვავებული აზრის ავტორმა მოსამართლეებმა მართებულად აღნიშნეს, რომ სასამართლო უფლებამოსილი იყო, ემსჯელა სადავო ნორმის თითოეული ელემენტის შესაბამისობაზე საკუთრების უფლებასთან და ამით ის არ გასცდებოდა დავის საგანს. ყადაღის გამოყენების ვადის გონივრულობის შეფასების საჭიროება სადავო ნორმის

⁴⁷⁷ მაგალითად იხ.: №1/2/213,243 გადაწყვეტილება; №1/1/493 გადაწყვეტილება, II-16; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/2/596 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33.

⁴⁷⁸ მაგალითად იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-61,89.

⁴⁷⁹ №2/1/631 გადაწყვეტილება, II - 77-79.

კონსტიტუციურობის გადაწყვეტის ფარგლებში არსებობდა და სასამართლო ვალდებული იყო, ეს გაეკეთებინა.⁴⁸⁰ დამატებით შეიძლება, აღვნიშნოთ, რომ სასარჩელო მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს შეზღუდვის ამგვარი ექსტენსიური გაგება არსებითად შეუშლის ხელს ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის არათუ ობიექტური, არამედ სუბიექტური ფუნქციის განხორციელებასაც.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი არ გამორიცხავს დავის საგნის გაფართოების შესაძლებლობას ძირითადი უფლების (სავარაუდო) დარღვევის ნაწილში. მიუხედავად ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ ამოწმებს სადავო ნორმას იმ ძირითად უფლებასთან მიმართებით, რომელიც კონსტიტუციურ სარჩელში არ არის მითითებული. 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დავის საგანი იყო სისხლის სამართლის კოდექსის ნორმა, რომელიც უშვებდა ეჭვმიტანილისთვის, ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის მის კანონიერ მფლობელობაში არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან ამისთვის რაიმე სახით გამიზნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. მოსარჩელებმა საქონელი შეიძინეს საზღვარგარეთ და გადასცეს გადამზიდავს, რომელსაც უნდა მოეხდინა მისი ტრანსპორტირება საქართველოში. საზღვარზე მძღოლმა დაარღვია საბაჟო წესები, რისთვისაც დაეკისრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. განჩენმა გაითვალისწინა დანაშაულის საგნის, მამასადამე, იმ საქონლის, რომელიც მოსარჩელებს ეკუთვნოდა, ჩამორთმევა. ისინი თვლიდნენ, რომ სადავო ნორმა არღვევდა საკუთრების უფლებას. სასამართლომ არ დაადგინა ამ უფლების დარღვევა, თუმცა გადაწყვეტილების საკმაოდ ვრცელი ნაწილი მიუძღვნა მესაკუთრის სამართლებრივი დაცვის თემას, განიხილა საერთაშორისო პრაქტიკა, სასამართლო გამოცდილება და მივიდა დასკვნამდე, რომ არ არსებობდა საკუთრების უფლების სრული და ეფექტური დაცვის შესაძლებლობა პროცედურა. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ

368

⁴⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ზაზა თავაძის და თამაზ ცაბუაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის №2/1/631 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით - 11-13.

შეზღუდული იყო სასარჩელო მოთხოვნით და აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა სცდებოდა საკუთრების უფლებასთან მიმართებით სადავო ნორმის შეფასების ფარგლებს.⁴⁸¹ როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონმდებლობა ითვალისწინებს შეზღუდვას მხოლოდ მოსარჩელის მიერ მითითებული სადავო ნორმის შეფასებასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოს თავშეკავებული პოზიცია არ ეყრდნობა საკანონმდებლო საფუძველს. შეიძლება ითქვას, რომ ეს შეზღუდვა მან თავად დაიწესა.⁴⁸²

369 საინტერესოა გერმანული გამოცდილება მოსარჩელის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს შეზღუდვასთან დაკავშირებით.⁴⁸³ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი სენატი უფრო იმ ძირითადი უფლებების დარღვევის შემოწმებით შემოიფარგლება, რაზეც მოსარჩელე პირდაპირ ან კონკლუდენტურად აპელირებს.⁴⁸⁴ მეორე სენატი მიიჩნევს, რომ იმ უფლებების დარღვევაც უნდა გადამოწმდეს, რომლებიც კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული არ არის.⁴⁸⁵ ამასთანავე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აუქმებს პარალელურ ნორმებსაც, რომლებზეც მოსარჩელე არ დავობს. ამ დროს ანალოგიის წესით გამოიყენება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 78-ე პარაგრაფი,⁴⁸⁶ რომელიც აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის ფარგლებში მოქმედებს. ამ პარაგრაფის მიხედვით, თუ საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს კანონის გარკვეულ ნორმებს, ის უფლებამოსილია, რომ იგივე საფუძვლებით არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ამ კანონის სხვა, გაუსაჩივრებელი ნორმებიც. პარალელური ნორმების გაუქმების ინსტიტუტს განასხვავებენ დავის საგნისა და შესაბამისად, შემოწმების ფარგლების გაფართოებისგან.⁴⁸⁷ ეს მართებულია, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლო არ ამოწმებს პარალელური ნორმების კონსტიტუციურობას სადავო ნორმისგან დამოუკიდებლად. პარალელური ნორმები უქმდება მაშინ, თუ სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შემდეგ ისინი კარგავს დამოუკიდებელ მნიშვნელობას. როდესაც სადავოა რომელიმე წესის განუყოფელი,

⁴⁸¹ №1/2/384 გადაწყვეტილება, II-24.

⁴⁸² *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 269.

⁴⁸³ დეტალურად იხ.: იქვე S. 271 f.

⁴⁸⁴ მაგ.: BVerfGE 82, 6 (18); 85, 1 (11).

⁴⁸⁵ მაგ.: BVerfGE 58, 163 (167).

⁴⁸⁶ შუადარე: BVerfGE 18, 288 (300); 40, 296 (328 f.); 98, 365 (401).

⁴⁸⁷ *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 499.

მნიშვნელოვანი ნაწილი და მისი ძალადაკარგულად ცნობა წესს მთლიანობაში აზრს უკარგავს, მაშინ სასამართლო წესს სრულად აუქმებს.⁴⁸⁸

საქართველოს კანონმდებლობისა და საკონსტიტუციო სასამართლოს ხისტი დამოკიდებულება დავის საგნის ფარგლებთან და სასარჩელო მოთხოვნით შებოჭვასთან დაკავშირებით, ძირითადი უფლებებისა და კონსტიტუციური წესრიგის დაცვის გაუმჯობესების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, გადაიხედოს.⁴⁸⁹ როცა ძირითადი უფლების დარღვევა აშკარაა და მოსარჩელის პრობლემა იდენტიფიცირებულია, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი იგნორირება აზიანებს არა მხოლოდ მოსარჩელის სუბიექტურ-სამართლებრივ პოზიციებს, არამედ კონსტიტუციურ წესრიგს მთლიანობაში. ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის შემოწმების როგორც სუბიექტურ, ასევე ობიექტურ ფუნქციებს არ შეესაბამება სასამართლოს მიერ ფორმალური მიზეზებით იმ საკითხების შეფასებისგან თავის შეკავება, რომლებიც დავის საგანს ორგანულად უკავშირდება. ამავდროულად, აუცილებელია გარკვეული ზომიერების დაცვა. თუ საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს და გადაწყვეტს იმ საკითხებს, რომლებიც დავის საგანს უშუალოდ არ უკავშირდება, ეს შეეწინააღმდეგება მისი, როგორც სასამართლო ორგანოს არსსა და პრინციპს - *Ubi non accusator, ibi non iudex* (სადაც არაა მოსარჩელე, იქ არაა მოსამართლე).

370

4.1.5. შემოწმების მასშტაბი ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

4.1.5.1. კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ძირითადი უფლებები

მოსარჩელე ვერ დააყენებს სადავო ნორმის კონსტიტუციის ნებისმიერ დანაწესთან შესაბამისობის საკითხს. შესაძლებელია აპელირება მხოლოდ იმ უფლების დარღვევაზე, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე

371

⁴⁸⁸ BVerfGE 8, 274 (301); Maunz, GG, Art. 93, Rn. 44.

⁴⁸⁹ დეტალურად იხ.: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 272 f.*

თავით.⁴⁹⁰ აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის შემოწმების მასშტაბი ამ თავში გათვალისწინებული ძირითადი უფლებებია.

372 კონსტიტუციის მეორე თავში ნორმის განთავსების ფაქტი თავისთავად არ გულისხმობს, რომ ის ძირითად უფლებას ადგენს და მის დარღვევაზე დავა შესაძლებელია ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში. მეორე თავი განსხვავებული შინაარსის ნორმებსაც შეიცავს.⁴⁹¹ მათი ნაწილის გამოიყენება ძირითადი უფლებების დამდგენი ნორმებისგან საკმაოდ მარტივია. ამის მაგალითია კონსტიტუციის 35-ე მუხლი, რომელიც სახალხო დამცველის სტატუსს, არჩევის წესს, ვადასა და გარანტიებს აწესრიგებს.

373 შედარებით რთულია ძირითადი უფლებებისა და სახელმწიფოს მიზნების დამდგენი ნორმების გამოიყენება. ამ კუთხით საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელები აპელირებდნენ კონსტიტუციის იმჟამინდელი რედაქციის 31-ე მუხლის შემდეგი წინადადების დარღვევაზე: „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.“ სასამართლოს პოზიციით, კონსტიტუციის მეორე თავში ნორმის მოთავსება უპირობოდ არ გულისხმობდა იმას, რომ ის იცავდა რომელიმე ძირითად უფლებას და მოსარჩელეს შეეძლო მასზე თავისი მოთხოვნის დაფუძნება. 31-ე მუხლი გამოხატავდა სახელმწიფოს ერთგვარ სოლიდარობას მისი შემადგენელი ტერიტორიული კორპორაციებისადმი. ამ ურთიერთობაში ფიზიკური პირის პირდაპირი მონაწილეობა არ მოიაზრებოდა. გარდა ამისა, აღნიშნული ნორმა სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა და ემსახურებოდა სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრებას, ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნებას, მოსახლეობის შეძლებისდაგვარად თანასწორ უზრუნველყოფასა და ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალურად თანაბარი პირობების შექმნას. სოციალური სახელმწიფოს ცალკე აღებული პრინციპიდან სუბიექტური უფლებები, გარკვეული სოციალური რეგულირებების მოთხოვნა და კონკრეტული მოვალეობები არ გამომდინარეობდა. 31-ე მუხლი მიუთითებდა

⁴⁹⁰ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

⁴⁹¹ *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 202.*

სახელმწიფოს მხრიდან „ზრუნვაზე“ და არა ვალდებულებაზე. ამდენად, ის იყო სახელმწიფოს მიზნის, სამომავლო მოქმედებებისა და არა ძირითადი უფლების, მისი შინაარსისა და ფარგლების დამდგენი ნორმა. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება 31-ე მუხლთან მიმართებით ვერ განხორციელდებოდა გაცალკევებულად, მაგრამ ეს შესაძლებელი იყო ძირითადი უფლებების დამდგენ ნორმებთან კავშირში.⁴⁹²

4.1.5.2. კონსტიტუციის პრინციპები

კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების დარღვევის შემოწმება არ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებების დამდგენ ნორმებს კონტროლის მასშტაბად იზოლირებულად იყენებს. კონსტიტუცია ფუნდამენტურ პრინციპებზე დაფუძნებულ წესრიგს ქმნის, ამიტომ მისი ცალკეული ნორმების სრულყოფილი განმარტება ვერ მოხდება სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატიისა და სხვა პრინციპების გათვალისწინების გარეშე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებისას არ იზღუდებოდა კონსტიტუციის კონკრეტული ნორმებით. სასამართლოს პოზიციით, კონსტიტუციური პრინციპები არ ადგენს ძირითად უფლებებს, მაგრამ გასაჩივრებული ნორმატიული აქტი უნდა გადამოწმდეს მათთან მიმართებით, კონსტიტუციის ცალკეულ ნორმებთან კავშირში და მსჯელობა ერთიან კონტექსტში უნდა წარიმართოს.⁴⁹³ ძირითადი პრინციპების კონტექსტში სადავო ნორმების გაანალიზება და შეფასება ემსახურება იმას, რომ ისინი განმარტების შედეგად არ დასცილდეს მთლიანად კონსტიტუციის ღირებულებათა წესრიგს. სასამართლოს აზრით, მხოლოდ ასეა შესაძლებელი ნორმის სრული განმარტება, რაც ხელს უწყობს მისი კონსტიტუციურობის სწორ შეფასებას.⁴⁹⁴

374

⁴⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II – 18-21.

⁴⁹³ მაგალითად იხ.: №2/2-389 გადაწყვეტილება, II-3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522,553 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „ გრიშა ამორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/10/1212 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის №1/1/655 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სკს“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/3/1526 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

⁴⁹⁴ №1/3/407 გადაწყვეტილება, II-1.

375 კონსტიტუციური კონტროლის მასშტაბების მსგავსი განვრცობა, რაც გულისხმობს ძირითად უფლებებში ჩარევის შემოწმებას მთლიანად კონსტიტუციურ წესრიგთან მიმართებით, მოახდინა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ და ცნობილია ელფესის დოქტრინის სახელით.⁴⁹⁵ ამ დოქტრინის შესაბამისად, კანონის კონსტიტუციურობისთვის არ არის საკმარისი მისი ფორმალური წესების დაცვით მიღება. კანონი მატერიალურად უნდა შეესაბამებოდეს თავისუფალი, დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის უზენაეს ღირებულებებს, ელემენტარულ პრინციპებსა და ფუნდამენტურ გადაწყვეტილებებს. სასამართლო განსაკუთრებით გამოყოფს - სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებსა და ადამიანის ღირსებას, როგორც უმაღლეს კონსტიტუციურ ფასეულობას.

376 ელფესის დოქტრინა ძირითადი უფლებების არსის გარანტიასაც (Wesensgehaltsgarantie) ადგენს. კანონმა ისე არ უნდა შეზღუდოს ადამიანის გონებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება, რომ მისი არსი ხელჰყოს.⁴⁹⁶ ელფესის გადაწყვეტილება მიღებულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან მიმართებით, მაგრამ მასში ჩამოყალიბებული სტანდარტები ასევე ვრცელდება სხვა ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზეც.⁴⁹⁷ მაგალითად, საავიაციო უსაფრთხოების შესახებ კანონთან დაკავშირებულ ცნობილ გადაწყვეტილებაში, სიცოცხლის უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემოწმების ფარგლებში, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ სადავო ნორმა კონსტიტუციის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს ნებისმიერი თვალსაზრისით - მიღებული უნდა იყოს კომპეტენციის ფარგლებში, არ ხელყოფდეს ძირითადი უფლების არსს და არ ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციის ფუნდამენტურ გადაწყვეტილებებს.⁴⁹⁸

4.1.5.3. კონსტიტუციით გაუთვალისწინებელი უფლებები

377 შემოწმების მასშტაბების კონტექსტში, დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუცია არ უარყოფს

⁴⁹⁵ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 468.

⁴⁹⁶ BVerfGE 6, 32 (41).

⁴⁹⁷ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 468.

⁴⁹⁸ BVerfGE 115, 118 (139).

ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც მასში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციური პრინციპებიდან.⁴⁹⁹ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ნორმა სისტემურად უკავშირდება ძირითადი უფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით, სახელმწიფოს შეზღუდვის პრინციპს. აქედან გამომდინარე, ის აუცილებლად მხედველობაში მისაღები იმ უფლებათა წრის განსაზღვრისას, რომლებითაც იზღუდება სახელმწიფო ხელისუფლება.

2017 წლის 13 ოქტომბრის ცვლილებებამდე ზემოაღნიშნულ ნორმას ითვალისწინებდა კონსტიტუციის 39-ე მუხლი, რომელიც მეორე თავში შედიოდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკაში შეაფასა სადავო ნორმების კონსტიტუციურობა 39-ე მუხლთან დაკავშირებით და განმარტა ეს კონსტიტუციური დანაწესი.⁵⁰⁰ მის მიზნად ჩაითვალა კონსტიტუციით პირდაპირ გაუთვალისწინებელი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, თუ ეს გამომდინარეობდა კონსტიტუციური პრინციპებიდან და ადამიანის უფლებების სფეროში სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებიდან, ანუ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან. საკონსტიტუციო სასამართლომ 39-ე მუხლის გამოყენება იმ შემთხვევაშიც მიიჩნია შესაძლებლად, როდესაც ძირითად უფლებას კონსტიტუცია ითვალისწინებდა, მაგრამ ანალოგიური უფლების საერთაშორისო ხელშეკრულებით გარანტირებული შინაარსი უფრო ფართო იყო.⁵⁰¹

378

საქართველოს კონსტიტუციურსამართლებრივ სივრცეში ახალი უფლებების „შემოტანის“ აუცილებელი წინაპირობაა, რომ ისინი თავისთავად გამომდინარეობდეს კონსტიტუციის პრინციპებიდან. შეუძლებელია ძირითადი უფლების რანგში ნებისმიერი საერთაშორისო ნორმის აყვანა, რომელიც რაიმე უფლებას ადგენს და შეიძლება, კონსტიტუციის რომელიმე პრინციპს დაუკავშიროთ. ეს ძირითად უფლებათა კონსტიტუციური კატალოგის ფაქტობრივად ულიმიტო გაფართოების ტოლფასი იქნებოდა, მათ შორის იმ უფლებებით, რომელთა შესრულება სახელმწიფოს ობიექტურად არ ძალუძს. განსაკუთრებით ფრთხილი

379

⁴⁹⁹ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵⁰⁰ დეტალურად იხ.: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 281 ff.

⁵⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-22; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-66.

მიდგომაა საჭირო საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სოციალური უფლებების მიმართ, რომელთა უზრუნველყოფა ხშირად სახელმწიფოს ეკონომიკურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ამავდროულად, არც ზედმეტი თავშეკავებაა გამართლებული, რადგანაც ამ შემთხვევაში, კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა დაკარგავდა ძირითადი უფლებების სისტემის სრულყოფის ფუნქციას. გონივრული იქნებოდა შუალედური მიდგომა და ახალი უფლებების „შემოტანა“, თუ წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვეოდა რომელიმე კონსტიტუციური პრინციპის ძირითადი მოთხოვნები.

380 კონსტიტუციით პირდაპირ გაუთვალისწინებელი უფლებების აღიარების დამდგენმა ნორმამ 2017 წლის 13 ოქტომბრის ცვლილებების შედეგად, კონსტიტუციის პირველ თავში გადაინაცვლა. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მას პირდაპირ, რომელიმე ძირითად უფლებასთან კავშირის გარეშე, ვეღარ გამოიყენებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ვეღარ „შემოიტანს“ კონსტიტუციით პირდაპირ გაუთვალისწინებელ უფლებებს. ამის შედეგად წარმოქმნილი დეფიციტის კომპენსირება ნაწილობრივ შეუძლია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას. სასამართლოს პოზიციით, ის უზრუნველყოფს საკუთარი ნების, გადაწყვეტილების, არჩევანის შესაბამისად განვითარების შესაძლებლობას ნებისმიერი შინაარსითა და მიმართულებით.⁵⁰² თითოეული უფლება უნდა განიმარტოს სწორედ ადამიანის თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფის პერსპექტივით.⁵⁰³ მას სუბსიდიური ხასიათი აქვს და უზრუნველყოფს იმ უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რომლებიც არ არის გარანტირებული სხვა ძირითადი უფლებებით, მაგრამ პიროვნების თავისუფალი განვითარების აუცილებელ კომპონენტს შეადგენს.⁵⁰⁴

⁵⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოგირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

⁵⁰³ იქვე, II-15.

⁵⁰⁴ მაგ. იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-57; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №Ne2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5; №1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-16.

4.1.5.4. საერთაშორისო ხელშეკრულებები

ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის მასშტაბი არ არის უშუალოდ რომელიმე საერთაშორისო სამართლებრივი აქტი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ კომპეტენციის ფარგლებში, კონსტიტუცია არ იძლეოდა სადავო ნორმის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობის დადგენის შესაძლებლობას. „ერთადერთი აქტი, რომლითაც ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებისას, არის საქართველოს კონსტიტუცია და საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანაა მოახდინოს კონსტიტუციის და არა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების განმარტება.“⁵⁰⁵ 381

მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქცია არ არის სადავო ნორმის შესაბამისობის დადგენა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ უფლებებთან,⁵⁰⁶ მაგრამ ეს არ ნიშნავს მათი მოთხოვნების, განსაკუთრებით კი - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის იგნორირებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ამათუიშ საკითხის გადაწყვეტა უნდა განხორციელებულიყო საერთაშორისო სამართლის, პირველ რიგში - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა მაქსიმალური პატივისცემითა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ამავდროულად, ეს არ გულისხმობდა რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულების აყვანას კონსტიტუციის რანგში და კონსტიტუციური ნორმების ჩანაცვლებას საერთაშორისო სამართლის ნორმებით.⁵⁰⁷ 382

ზემოაღნიშნული მიდგომა გერმანული გამოცდილების მსგავსია, რომლის მიხედვითაც, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის განმარტებისას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შინაარსს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას დამხმარე ფუნქცია აქვს ძირითადი უფლებების 383

⁵⁰⁵ №2/2-389 გადაწყვეტილება, II-5; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

⁵⁰⁶ შეადარე: BVerfGE 111, 307 (315 ff.); Sturm, GG, Art. 93 GG, Rn. 28, 88.

⁵⁰⁷ №2/1/415 გადაწყვეტილება, II-5.

შინაარსისა და ფარგლების, ასევე კონსტიტუციის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი მოთხოვნების განმარტებისას.⁵⁰⁸

384 საქართველო საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკაში აქტიურად იყენებს საერთაშორისო გამოცდილებას, რაც დადებით გავლენას ახდენს ძირითადი უფლებების დაცვასა და მისი გადაწყვეტილებების ხარისხზე.⁵⁰⁹ მაგალითად, სასამართლომ განიხილა საკითხი, თუ რამდენად იყო არარელიგიური ხასიათის რწმენა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამო სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის საფუძველი. მოიშველია რა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა საქმეებზე: „აროუსმითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ და „ლეკურ გრანდმეზონი და ფრიტცი საფრანგეთის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა: „რწმენა და შეხედულებები, რომელიც წარმოადგენს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საფუძველს, თავისი შინაარსით, არ არის აუცილებელი, იყოს რელიგიური ხასიათის. მაგალითად, პაციფიზმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ რწმენად იქნა აღიარებული მაშინაც, როდესაც ის გარკვეულ რელიგიას არ უკავშირდება.“⁵¹⁰

385 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულმა კანონმა 2015 წლის 29 მაისის ცვლილების შედეგად გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნისთვის მიმართვის ინსტიტუტი.⁵¹¹ მისი შემოღების საფუძველი გახდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის №16 ოქმი (2013 წლის 2 ოქტომბერი). საკონსულტაციო დასკვნისთვის მიმართვა ემსახურება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ეროვნულ სასამართლოებს შორის თანამშრომლობისა და დიალოგის ინსტიტუციონალიზაციასა და გაღრმავებას, ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანობის ზრდას, მკაფიო სტანდარტების დადგენას და ა.შ.⁵¹²

⁵⁰⁸ შეადარე: მაგ.: BVerfGE 74, 358 (370); 111, 307 (323); Hesse, K., Bedeutung der Grundrechte, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, S. 127 (133); Sturm, GG, Art. 93 GG, Rn. 29.

⁵⁰⁹ დეტალურად იხ.: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 290 f.

⁵¹⁰ №1/1/477 გადაწყვეტილება, II-17.

⁵¹¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21³ მუხლი.

⁵¹² დეტალურად იხ.: *კორკელია*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო იურისდიქცია: ევროპული სასამართლოსა და ეროვნული სასამართლოების თანამშრომლობის პერსპექტივები და გამოწვევები, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა“, თბილისი 2018, გვ. 145 (147-148).

საკონსულტაციო დასკვნით, მიმართვა ფაკულტატიურია - საკონსტიტუციო 386
 სასამართლოს გადასაწყვეტია, რა შემთხვევაში გამოიყენებს მას.⁵¹³ მიმართვა
 შესაძლებელია, განხორციელდეს:

- 1) ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში;
- 2) კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ;
- 3) საქმესთან დაკავშირებულ იმ პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებას შეეხება.

საკონსულტაციო დასკვნისთვის მიმართვა საჭიროებს დასაბუთებას და ადამიანის 387
 უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის საქმესთან დაკავშირებული სათანადო
 სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების წარდგენას. ადამიანის უფლებათა
 ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას სავალდებულო ხასიათი არ
 აქვს. მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ მის უდიდეს ავტორიტეტს და იმ
 გარემოებას, რომ მიმართვის ინიციატორი თვით საკონსტიტუციო სასამართლოა,
 დასკვნის ყურადღების მიღმა დატოვება ნაკლებად სავარაუდოა.⁵¹⁴

4.1.6. შემოწმების ფორმა და შინაარსი ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

4.1.6.1. შემოწმების საკანონმდებლო ჩარჩო

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონიდან 388
 გამომდინარე, ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივ-
 რებული ნორმის კონსტიტუციურობის დადგენისას საკონსტიტუციო სასამართლო
 ამოწმებს: 1. კონსტიტუციასთან მისი შინაარსის შესაბამისობას და ამ დროს
 მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არა მარტო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას,

⁵¹³ შეადარე: იქვე, გვ. 145 (149).

⁵¹⁴ შეადარე: იქვე, გვ. 145 (162-163).

არამედ მასში გამონათულ ნამდვილ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს; 2. რამდენადაა დაცული საკანონმდებლო აქტისა და პარლამენტის დადგენილების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესი.⁵¹⁵

389 როგორც ვხედავთ, კანონმდებლობა მოითხოვს სადავო ნორმის არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ მატერიალურ შემოწმებასაც. ამდენად, ძირითადი უფლების სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს, რომ მისი უფლება შეიძლება, შეიზღუდოს მხოლოდ ისეთი ნორმების საფუძველზე, რომლებიც ფორმალურადაც და მატერიალურადაც კონსტიტუციურია.⁵¹⁶

4.1.6.2. ფორმალური შემოწმება

390 სადავო ნორმის ფორმალური კონსტიტუციურობის შემოწმებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ის, ერთი მხრივ, კომპეტენციისა და პროცედურების დამდგენ ნორმებს, რომლებიც სახელმწიფო ორგანიზაციის სამართლის ნაწილია, აყენებს მოსარჩელის სუბიექტური ინტერესების დაცვის სამსახურში. მეორე მხრივ, მოსარჩელე კონსტიტუციის ფორმალური დანაწესების დარღვევაზე აპელირებით, ირიბად იცავს სახელმწიფო ორგანიზაციის სამართლის მოთხოვნებს.⁵¹⁷

391 ფორმალური შემოწმების კონტექსტში, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი საკანონმდებლო აქტისა და პარლამენტის დადგენილების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების კონსტიტუციურ პროცედურაზე მიუთითებს. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებული წესების დაცვის შემოწმება შეუძლია.⁵¹⁸ მაგალითად, თუ ორგანული კანონი პარლამენტმა მიიღო დამსწრეთა უმრავლესობით, სრული შემადგენლობის ერთი მესამედით, დაირღვევა კონსტიტუციის მოთხოვნა, რომლითაც მისი მიღებისთვის პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობაა საჭირო.⁵¹⁹

⁵¹⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

⁵¹⁶ შეადარე: BVerfGE 29, 402 (408).

⁵¹⁷ შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 469.

⁵¹⁸ *ხევერიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, გვ. 51 (57).

⁵¹⁹ საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნები მხოლოდ პროცედურის დადგენით არ 392
შემოიფარგლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ითვალისწინებს
ძირითადი უფლებების შეზღუდვის ფორმალურ კონსტიტუციურ სტანდარტებსაც.
ისინი ან პირდაპირაა მოწესრიგებული ძირითადი უფლების დამდგენი ნორმებით ან
ირიბად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან და ნორმებიდან.
ძირითადი უფლების შეზღუდვის ფორმალური სტანდარტის დარღვევა იწვევს
სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას შესაბამის უფლებასთან მიმართებით,
მიუხედავად ამ ნორმის შინაარსისა.⁵²⁰

ძირითადი უფლებების შეზღუდვის ფორმალურ სტანდარტებს შორის გამოსაყოფია 393
კანონისა და სასამართლოს დაქმნები. ისინი ძირითად უფლებებში ჩარევის
უმნიშვნელოვანესი ფორმალური წინაპირობებია და იცავს ინდივიდის თავისუფ-
ლებას აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან თვითნებური შეზღუდვებისგან.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ კანონის ზოგადი დაქმნა და კანონის 394
სპეციალური დაქმნები. ძირითადი უფლებების შემთხვევაში, კანონის ზოგადი
დაქმნა მაშინაა აქტუალური, როდესაც კონსტიტუციის შესაბამისი ნორმა არ შეიცავს
სპეციალურ დაქმნას, ანუ მითითებას კანონით ან კანონის საფუძველზე უფლებაში
ჩარევის შესაძლებლობაზე, ხოლო შესაბამისი ძირითადი უფლება არ არის
აბსოლუტური ხასიათის და შეიძლება, შეიზღუდოს. მაგალითად, საქართველოს
კონსტიტუციის მიხედვით, „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი
განვითარების უფლება.“⁵²¹ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება
აბსოლუტური არ არის, მაგრამ კონსტიტუციის ნორმა კანონზე არ მიუთითებს. რა
თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს, რომ მისი შეზღუდვა კანონის გარეშეა შესაძლებელი.

საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ არ ადგენს კანონის ზოგად დაქმნას, რომ 395
ძირითადი უფლებების შეზღუდვა მხოლოდ კანონით ან კანონის საფუძველზეა
შესაძლებელი. ის გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან და ნორმებიდან.
დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ძირითად უფლებებთან
დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რეგულირება კანონმდებელმა უნდა
მიიღოს.⁵²² ძირითადი უფლებების საკითხს ცენტრალური მნიშვნელობა აქვს და

⁵²⁰ შეადარე: №1/7/1275 გადაწყვეტილება, II-23.

⁵²¹ საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი.

⁵²² მაგალითად იხ.: BVerfGE 49, 89 (126); 88, 103 (116); *Herdegen*, (Bearb.), Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, München seit 1958, Rn. 44.

მასზე მსჯელობა უნდა წარიმართოს უშუალო დემოკრატიული ლეგიტიმაციის მექონე საკანონმდებლო ორგანოში, საჯარო განხილვისა და დისკუსიის პირობებში.⁵²³ თუ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებს ძირითადი უფლებების შეზღუდვის უფლებამოსილება პარლამენტის „გავლით“ არ მიენიჭა, წყდება დემოკრატიული ლეგიტიმაციის ჯაჭვი. ამ პირობებში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება კავშირში არ იქნება ხალხთან, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროსთან.

396 კანონის ზოგადი დათქმა ძირითადი უფლებების შეზღუდვისას გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ელემენტიდან - სახელმწიფო ხელისუფლების კანონით შეზღუდვის პრინციპიდან, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაშიცაა განმტკიცებული.⁵²⁴ ამ პრინციპის ნაწილია კანონის დათქმის ინსტიტუტი,⁵²⁵ რომელიც გულისხმობს სახელმწიფო რეგულირებას დაქვემდებარებული ფუნდამენტური სფეროების საკანონმდებლო ლეგიტიმაციას.⁵²⁶ სამართლებრივ სახელმწიფოში არ არსებობს ძირითად უფლებებზე აღმატებული ფუნდამენტური სფერო, ამიტომაც, კანონის ზოგად დათქმას აქ გამორჩეული მნიშვნელობა აქვს.⁵²⁷ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი გამორიცხავს ძირითადი უფლებების შეზღუდვას საკმარისად განსაზღვრული საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე.⁵²⁸ თუ ძირითად უფლებას შიდაკონსტიტუციური ზღვარი აქვს, კანონის ზოგადი დათქმის მასზე არგავრცელება ამ უფლებაში ჩარევის ფაქტობრივად შეუზღუდავ შესაძლებლობას მისცემდა ხელისუფლების სხვა შტოებს. შედეგად, მივიღებდით „დაწესებულებებისა და სასამართლოების ცალკეულ გადაწყვეტილებათა შიშველ დათქმას“.⁵²⁹

397 ძირითადი უფლებების სფეროში კანონის ზოგადი დათქმა ასევე შეიძლება, დავაფუძნოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს 36-ე მუხლის პირველ პუნქტთან კავშირში. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის

⁵²³ შეადარე: №1/7/1275 გადაწყვეტილება, II-28.

⁵²⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

⁵²⁵ კანონის დათქმასთან დაკავშირებით დეტალურად: იხ.: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 396 ff.

⁵²⁶ შეადარე: BVerfGE 98, 218 (251); Jarass, GG, Art. 20, Rn. 44; Lerche, P., Vorbehalt des Gesetzes und Wesentlichkeitstheorie, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band III – Grundrechte in Deutschland: Allgemeine Lehren II, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg 2009, § 62, S. 301 (304); Robbers, GG, Art. 20, Rn. 2012.

⁵²⁷ დეტალურად იხ.: Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 81; Jarass, GG, Art. 20, Rn. 48 ff.; Karpen, U., Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, Mainz 1985, S. 68; Sommermann, K.-P. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 276.

⁵²⁸ Badura, Staatsrecht, S. 381; Robbers, GG, Art. 20, Rn. 2121.

⁵²⁹ Robbers, GG, Art. 20, Rn. 2009 (ავტორის თარგმანი).

„ა“ ქვეპუნქტი საქართველოს უმაღლეს ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიაკუთვნებს კანონმდებლობას ადამიანის უფლებების შესახებ. ტერმინში „კანონმდებლობა“ უნდა მოვიაზროთ უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების საკანონმდებლო საქმიანობა და მისი შედეგი - საკანონმდებლო აქტი. ადამიანის უფლებების შესახებ კანონმდებლობა მათ შეზღუდვასთან დაკავშირებულ რეგულირებებსაც მოიცავს. 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს. ამდენად, სწორედ პარლამენტია უფლებამოსილი, რომ კანონებით მოაწესრიგოს ძირითად უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, მათი შეზღუდვის ჩათვლით.

კანონის სპეციალური დათქმების იდენტიფიცირება შედარებით მარტივია. ამ შემთხვევაში, ძირითადი უფლების დამდგენი ნორმის ტექსტი პირდაპირ ან ირიბად მიუთითებს კანონზე. მაგალითად, ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ.⁵³⁰ აღსანიშნავია, რომ გარდა ძირითადი უფლებებისა, გამოყოფენ კანონის სპეციალურ დათქმებს ორგანიზაციულ-ინსტიტუციურ, საფინანსო-საბიუჯეტო და საგარეო პოლიტიკის სფეროებში.⁵³¹ კანონის სპეციალური დათქმები, როგორც წესი, მიუთითებს ჩვეულებრივ კანონებზე, თუმცა გვხვდება ისეთი დათქმებაც, რომლებიც უფლებაში ჩარევას მხოლოდ ორგანული კანონის საფუძველზე უშვებს. მაგალითად, გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევები და წესი ორგანულმა კანონმა უნდა დაადგინოს.⁵³² თუ ამ საკითხებს ჩვეულებრივი კანონი მოაწესრიგებს, ის ფორმალურად არაკონსტიტუციური იქნება. სავარაუდოდ, ორგანული კანონის დათქმის მიზანია, გაართულოს ძირითადი უფლებების შედარებით მძიმე შეზღუდვების განხორციელება, ასევე ფორმალურად გააძლიეროს შესაბამისი უფლების დაცვა. ამასთანავე, ორგანული კანონის დათქმა ძირითად უფლებას არ ანიჭებს მალალ რანგს სხვებთან მიმართებით.

კანონის დათქმას არ აქვს ტოტალური ხასიათი. ის არ მოითხოვს ძირითადი უფლებების შეზღუდვის ნებისმიერი დეტალის მოწესრიგებას კანონმდებლის

⁵³⁰ საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁵³¹ Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 92 ff.; Ossenbühl, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band V – Rechtsquellen, Organisation, Finanzen, Heidelberg, München, Landsberg, Berlin 2007, § 101, S. 183 (201).

⁵³² საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი.

მიერ.⁵³³ თემას, თუ რომელი საკითხი ექვემდებარება აუცილებელ საკანონმდებლო რეგულირებას და რომლის დელეგირებაა შესაძლებელი, შეეხება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული არსებითობის თეორია - კანონმდებელმა უნდა მიიღოს ყველა არსებითი გადაწყვეტილება ფუნდამენტურ ნორმატიულ სფეროებში.⁵³⁴ ეს განსაკუთრებით შეეხება ძირითადი უფლებების შეზღუდვას, რომლის საგანი, შინაარსი, მიზანი და ზომა კანონმდებლის დასადგენია.⁵³⁵ ადამიანის თავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სრულად არ უნდა გადავიდეს აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაში.⁵³⁶ მას შესაძლებელია, გადაეცეს მხოლოდ მეორეხარისხოვანი საკითხების მოწესრიგების უფლებამოსილება.⁵³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან ამ კონტექსტში შეიძლება, გამოვარჩიოთ 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“. სასამართლოს პოზიციით, პარლამენტმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მნიშვნელოვან, პრინციპულ პოლიტიკურ-სამართლებრივ საკითხებზე, ხოლო მათი იმპლემენტაციისთვის საჭირო დეტალების მოწესრიგება კი შეიძლება, სხვა სახელმწიფო ორგანოებს გადაანდოს.⁵³⁸

400 ძირითადი უფლებების დამდგენი რამდენიმე ნორმა შეიცავს სასამართლოს დათქმას,⁵³⁹ რაც იმას გულისხმობს, რომ უფლების შეზღუდვა ან შეზღუდვის რომელიმე ფორმა ექვემდებარება სასამართლო კონტროლს და ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.⁵⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, სასამართლოს დათქმა, როგორც უფლების შეზღუდვის დამატებითი ფორმალური კრიტერიუმი, განპირობებულია შესაბამისი უფლების ან მისი ცალკეული კომპონენტების ბუნებით და აღმასრულებელი ხელისუფლების

⁵³³ დეტალურად იხ.: *Loladze*, *Das Rechtsstaatsprinzip*, S. 398 f.

⁵³⁴ BVerfGE 49, 89 (126); 84, 212 (226).

⁵³⁵ მაგ. იხ.: BVerfGE 8, 274 (325); 80, 137 (161); *Robbers*, GG, Art. 20, Rn. 2006; *Stein/Götz*, *Staatsrecht*, S. 162.

⁵³⁶ BVerfGE 8, 274 (324 f.); 49, 89 (145 f.); 113, 348 (376); *Badura*, *Staatsrecht*, S. 382; *Sachs*, GG, Art. 20, Rn. 115.

⁵³⁷ მაგ. იხ.: BVerfGE 77, 170 (230 f.); 83, 130 (142); 95, 267 (307); 98, 218 (251); 101, 1 (34); 108, 282 (312); 116, 24 (58); *Hofmann*, GG, Art. 20, Rn. 71; *Schmidt*, *Staatsorganisationsrecht*, S. 109.

⁵³⁸ №1/7/1275 გადაწყვეტილება, II-30.

⁵³⁹ სასამართლო დათქმებთან დაკავშირებით დეტალურად: იხ.: *Loladze*, *Das Rechtsstaatsprinzip*, S. 309 f.

⁵⁴⁰ საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი.

თვითნებობის საფრთხით.⁵⁴¹ სასამართლოს, როგორც ნეიტრალური ორგანოს, ჩართულობა ამცირებს აღმასრულებელი ხელისუფლების შეცდომის ან თვითნებობის რისკს და კანონის სწორი გამოყენების მნიშვნელოვანი გარანტიაა.⁵⁴² ის ემსახურება კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებასაც.⁵⁴³ ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლოს დაქტმა არ ნიშნავს შესაბამისი უფლების მაღალ რანგს სხვა უფლებებთან მიმართებით.⁵⁴⁴

4.1.6.3. მატერიალური შემოწმება -
თანაზომიერების პრინციპი

სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება მატერიალური თვალსაზრისით 401
რთული და მრავალსაფეხურიანი პროცესია. მასზე დიდწილადაა დამოკიდებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი და ხარისხი. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში ჩამოყალიბებული მოთხოვნები, თუ რა უნდა მიიღოს მხედველობაში საკონსტიტუციო სასამართლომ, უფრო სადავო ნორმის შინაარსისა და მისი მოქმედების შედეგების სწორად გაგებისკენაა მიმართული, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია, თუმცა მთავარი მაინც თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებთან ნორმის შესაბამისობის შემოწმებაა.

საქართველოს კონსტიტუცია თანაზომიერების პრინციპს პირდაპირ არ ახსენებს, 402
მაგრამ ის გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან. ეს პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს გადამწყვეტი მატერიალური განზომი-
ლებაა.⁵⁴⁵ სამართლებრივ სახელმწიფოზე, როგორც თანაზომიერების პრინციპის

⁵⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-109.

⁵⁴² შეადარე: მაგ.: №1/3/407 გადაწყვეტილება, II-24; №2/1/484 გადაწყვეტილება, II-20; №2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-109-111.

⁵⁴³ შეად/ მაგ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12; №1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-33.

⁵⁴⁴ №2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-108; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის 1/7/454 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

⁵⁴⁵ Grzeszick, (Bearb.), Art. 20 und die allgemeine Rechtsstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, Rn. 107; Reuter, Die Verhältnismäßigkeit im engeren Sinne - das unbekannte Wesen, Juristische Ausbildung, 7 (2009), S. 511 (512).

საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც მიუთითებს.⁵⁴⁶ მისი აზრით, სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლისთვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას.⁵⁴⁷

403 2017 წლის რეფორმის შედეგად, კონსტიტუციამ გაითვალისწინა შემდეგი ჩანაწერი: „ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება.“⁵⁴⁸ ის მოითხოვს თანაზომიერი ურთიერთმიმართების დაცვას, ძირითადი უფლების შეზღუდვას, როგორც საშუალებასა და იმ ლეგიტიმურ მიზანს შორის, რომლის მიღწევასაც შეზღუდვა ემსახურება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნორმა თანაზომიერების პრინციპის ძირითად არსს გამოხატავს.

404 სამართლებრივ სახელმწიფოში დაუშვებელია ძირითადი უფლებების თვითნებური და არათანაზომიერი შეზღუდვა. თანაზომიერების პრინციპი ეფუძნება იმ იდეას, რომ სახელმწიფოს მოქმედება არ უნდა იყოს შეუზღუდავი და დაუსაბუთებელი.⁵⁴⁹ ის იცავს ინდივიდს სახელმწიფოს თვითნებობისგან.⁵⁵⁰ თანაზომიერების პრინციპის ამ ფუნქციას გამოყოფს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც.⁵⁵¹ მისთვის მიუღებელია იმ ანტიპრინციპით ხელმძღვანელობა, რომლის მიხედვითაც, მიზანი ამართლებს საშუალებას.⁵⁵² სახელმწიფო ვალდებულია, რომ ძირითადი უფლებების შეზღუდვისას დაიცვას ბალანსი ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის.⁵⁵³

405 თანაზომიერების პრინციპი არ უშვებს სახელმწიფოს მხრიდან გადამეტებული ზომების გამოყენებას (Übermaßverbot) ძირითად უფლებებში ჩარევისას.⁵⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ამ პრინციპთან შეუთავსებელია ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვა, რაც აუცილებელია

⁵⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის №1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I; №2/1/415 გადაწყვეტილება, II-13.

⁵⁴⁷ №2/1/415 გადაწყვეტილება, II-13.

⁵⁴⁸ საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁵⁴⁹ Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 107.

⁵⁵⁰ იქვე.

⁵⁵¹ მაგ. იხ.: №2/1/415 გადაწყვეტილება, II-13.

⁵⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვლის №1/1/374,379 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და აკაკი მიქაძე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემკის) წინააღმდეგ“, III.

⁵⁵³ შეადარე: მაგ.: №1/3/407 გადაწყვეტილება, II-7; №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-37; №1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-31.

⁵⁵⁴ Sachs, GG, Art. 20, Rn. 147.

დემოკრატიულ საზოგადოებაში.⁵⁵⁵ ამასთანავე, თუ ძირითადი უფლება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს აკისრებს და მისგან მოქმედებას მოითხოვს, თანაზომიერების პრინციპი კრძალავს არასრული ზომების გამოყენებას (Untermaßverbot).⁵⁵⁶

თანაზომიერების პრინციპის მოქმედების არეალი ფართოა.⁵⁵⁷ ის ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლების ყველა შტოზე⁵⁵⁸ და ძირითად უფლებაში ნებისმიერ ჩარევაზე სამართალშემოქმედების, სამართალგამოყენებისა და მართლმსაჯულების სფეროებში.⁵⁵⁹ ამას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც უსვამს ხაზს.⁵⁶⁰ კანონმდებლის გადაწყვეტილებების თანაზომიერების პრინციპთან შესაბამისობის შემოწმების სიმკაცრე დამოკიდებულია შეზღუდული უფლების მნიშვნელობაზე, შესაბამის სფეროსა და მის მიერ ვითარების შესატყვისად შეფასების შესაძლებლობაზე.⁵⁶¹ აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება კანონის მოთხოვნებით იზღუდება და ვალდებულია, დაიცვას თანაზომიერების მოთხოვნები კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილებების განხორციელებისას.⁵⁶²

თანაზომიერების პრინციპი გამოიყენება თანასწორობის ძირითადი უფლებების შეზღუდვის შემოწმების დროსაც.⁵⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მკაცრი შეფასების ტესტის ფარგლებში, არსებითად თანასწორ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობის კონსტიტუციურობას სწორედ თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე აფასებს.⁵⁶⁴

⁵⁵⁵ №1/3/393,397 გადაწყვეტილება, I.

⁵⁵⁶ მაგ. იხ.: BVerfGE 88, 203 (254 f.); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 126 ff.; Michael, Die drei Argumentationsstrukturen des Grundsatzes der Verhältnismäßigkeit – Zur Dogmatik des Über- und Untermaßverbotes und der Gleichheitssätze, Juristische Schulung, 2 (2001), S. 148 (151 f.). კრიტიკა იხ.: Schlink, B., Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Bd. II, Tübingen 2001, S. 445 (462 ff.).

⁵⁵⁷ დეტალურად იხ.: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 314 f.

⁵⁵⁸ შეადარე: Robbers, GG, Art. 20, Rn. 1908; Sachs, GG, Art. 20, Rn. 148; Schlink, Verhältnismäßigkeit, S. 445 (445); Schnapp, F. E., Die Verhältnismäßigkeit des Grundrechtseingriffs, Juristische Schulung, 11 (1983), S. 850 (854 f.); Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 123.

⁵⁵⁹ Kunig, Das Rechtsstaatsprinzip. Überlegungen zu seiner Bedeutung für das Verfassungsrecht der Bundesrepublik Deutschland, Tübingen 1986, S. 358 f.; Robbers, GG, Art. 20, Rn. 1884.

⁵⁶⁰ №2/1/415 გადაწყვეტილება, II-37.

⁵⁶¹ Hesse, Bedeutung der Grundrechte, S. 127 (156).

⁵⁶² Robbers, GG, Art. 20, Rn. 1968.

⁵⁶³ დეტალურად იხ.: Michael, Argumentationsstrukturen, S. 148 (152 ff.); Robbers, GG, Art. 20, Rn. 1912 f.

⁵⁶⁴ მაგ. იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის №1/2/671 გადაწყვეტილება საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიციცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-აღვენიტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური ოუნია“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22.

406

407

- 408 თანაზომიერების პრინციპი ძირითადი უფლების შეზღუდვას რამდენიმე მოთხოვნას უყენებს.⁵⁶⁵ უფლებაში ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და იყოს ამისთვის გამოსადეგი (მიზნის მისაღწევად გამოსადეგობის პრინციპი), აუცილებელი (ჩარევის მინიმალურობის პრინციპი) და შესატყვისი (პროპორციულობის პრინციპი).⁵⁶⁶
- 409 უცხოურ თეორიასა და პრაქტიკაში გავრცელებულ ამ მიდგომას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც იზიარებს: „თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს.“⁵⁶⁷ თანაზომიერების პრინციპის თითოეული მოთხოვნა მომდევნოსთვის განმსაზღვრელია,⁵⁶⁸ რაც იმას ნიშნავს, რომ თუ რომელიმე მათგანს სადავო ნორმა არ აკმაყოფილებს, აღარ ხდება მომდევნო მოთხოვნასთან შესაბამისობის შემოწმება და ნორმა არაკონსტიტუციურად ითვლება.
- 410 ძირითადი უფლების შემზღუდველი ნორმა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. თანაზომიერების პრინციპის სხვა მოთხოვნები მჭიდროდაა დაკავშირებული ლეგიტიმურ მიზანთან,⁵⁶⁹ რომელიც გადაწყვეტ გავლენას ახდენს მათზე.⁵⁷⁰ თუ მიზანი არ არსებობს ან ის არალეგიტიმურია, სადავო ნორმის თანაზომიერების შემოწმება აზრს კარგავს,⁵⁷¹ რადგან ის a priori არაკონსტიტუციურია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე,

⁵⁶⁵ თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნების შესახებ დეტალურად: იხ.: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 313 ff.

⁵⁶⁶ BVerfGE 67, 157 (173); 104, 337 (347 ff.); *Grzeszick*, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 110; Jarass, GG, Art. 20, Rn. 83; *Kunig*, Rechtsstaatsprinzip, S. 354; *Mager*, Staatsrecht I, S. 359; *Michael*, Argumentationsstrukturen, S. 148 (148); Reuter, Die Verhältnismäßigkeit, S. 511 (513); *Robbers*, GG, Art. 20, Rn. 1897, 1914; Schnapp, Verhältnismäßigkeit, S. 850 (852); *Starck*, Kommentar zum Art. 1 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 278; *Sachs*, GG, Art. 20, Rn. 149 ff.

⁵⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60.

⁵⁶⁸ *Schmidt*, Staatsorganisationsrecht, S. 81.

⁵⁶⁹ *Grzeszick*, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 111; Reuter, Die Verhältnismäßigkeit, S. 511 (513); Sachs, GG, Art. 20, Rn. 149.

⁵⁷⁰ შეადარე: *Kunig*, Rechtsstaatsprinzip, S. 358.

⁵⁷¹ *Robbers*, GG, Art. 20, Rn. 1915.

ლეგიტიმური მიზნის გარეშე ძირითადი უფლების შეზღუდვა თვითნებური, თვითმიზნური, გაუმართლებელი და არაკონსტიტუციურია.⁵⁷²

მიზნის ფორმალური მითითება საკმარისი არ არის, თუ ის ლეგიტიმური არ იქნება. ლეგიტიმურობაში იგულისხმება მიზნის მართლზომიერება და უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციასთან შესაბამისობა.⁵⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის სულისკვეთებასთან, პრინციპებთან და მოთხოვნებთან წინააღმდეგობაში მყოფ მიზანს მიიჩნევს არალეგიტიმურად, ხოლო მის მისაღწევად უფლების შეზღუდვას - თვითმიზნურად და არაკონსტიტუციურად.⁵⁷⁴ სასამართლოს პოზიციით, მიზანს უნდა ჰქონდეს უფლების შეზღუდვის გამართლების უნარი, ხოლო ამგვარი მიზნები მომდინარეობს დემოკრატიული ღირებულებებისგან, რასაც სახელმწიფო და საზოგადოება ეფუძნება.⁵⁷⁵

ძირითადი უფლების დამდგენი ზოგიერთი ნორმა თავად მიუთითებს იმ ლეგიტიმურ მიზნებზე, რომელთა მისაღწევად შეიძლება, შეიზღუდოს შესაბამისი უფლება. მაგალითად, მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.⁵⁷⁶ სხვა მიზნების მისაღწევად მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევა არაკონსტიტუციური იქნება, რადგანაც კანონმდებელს არ აქვს კონსტიტუციისგან განსხვავებული მიზნების ჩამოყალიბების უფლებამოსილება.⁵⁷⁷ როდესაც

⁵⁷² მაგ. იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოცინი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსედიანი და ლენა ბარსედიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-24; №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-196; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ნაღია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22,23.

⁵⁷³ მაგ/ იხ.: *Kloepfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips*, in: Schmidt-Aßmann, Eberhard/Sellner, Dieter/Hirsch, Günter/Kemper, Gerd-Heinrich/Lehmann-Grube, Hinrich (Hrsg.): *Festgabe 50 Jahre Bundesverwaltungsgericht*, Köln u. a. 2003, S. 329 (334); *Robbers, GG, Art. 20, Rn. 1897, 1915.*

⁵⁷⁴ შეადარე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დარი ჯანელიძე, თამარ ხითარაიშვილი და სალომე სებისკვრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-45,47; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/5/626 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II – 48-50.

⁵⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-17.

⁵⁷⁶ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵⁷⁷ შეადარე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30; *Schlink, Verhältnismäßigkeit*, S. 445 (448).

411

412

კონსტიტუციაში ძირითადი უფლების შეზღუდვის მიზნები მითითებული არ არის, მასში ჩარევა შეიძლება, მიზნად ისახავდეს სხვათა უფლებებისა და კონსტიტუციური სიკეთების, მაგრამ არა ნებისმიერი საჯარო ინტერესის დაცვას.⁵⁷⁸

413 მნიშვნელოვანია ლეგიტიმური მიზნის დადგენის მეთოდოლოგიის საკითხი. რელევანტურია როგორც სადავო ნორმის მიღებისას დასახული მიზნების ისტორიული განმარტების მეთოდის გამოყენებით იდენტიფიცირება, ასევე მათი გარკვევა ნორმის განმარტების გზით.⁵⁷⁹ ნორმა დროთა განმავლობაში სხვადასხვა გარემოებების ზეგავლენით შესაძლოა, დასცილდეს ან შეიცვალოს თავდაპირველი მიზნები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ლეგიტიმური მიზნის დადგენისას ძირითადად სადავო ნორმის განმარტებასა და კანონის ნების გარკვევაზეა ორიენტირებული. მისი აზრით, კანონმდებლის ნების დადგენაც რელევანტურია, მაგრამ შეიძლება ზოგჯერ ის არ იყოს გამოხატული საკმარისი სიხადით, რაც იწვევს კანონის ნების დაშორებას კანონმდებლის რეალური შეხედულებებიდან და მიზნებიდან. სამართალშემფარდებელი ნორმის არსისა და მიზნის გაგებისას, პირველ რიგში, მის ტექსტს ეყრდნობა. საკანონმდებლო პროცესში გამოთქმული მოსაზრებები და მიზნები, რომლებიც ნორმის ტექსტში არაა ასახული, ვერ გაამართლებს სამართალშემფარდებლის კონკრეტულ გადაწყვეტილებას, აქედან გამომდინარე, სამართალშემფარდებისას უპირატესობა ენიჭება კანონის ნებას.⁵⁸⁰

414 გამოსადეგობა გულისხმობს, რომ ძირითადი უფლების შეზღუდვა, როგორც საშუალება, ხელს უწყობს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.⁵⁸¹ გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს გამოსადეგად მიაჩნია შეზღუდვა, რომელიც ქმნის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.⁵⁸² აუცილებელი არაა, რომ ის მიზნის მიღწევის გარანტიას იძლეოდეს.⁵⁸³ მსგავსია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც. სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის საფუძვლად არ ითვლება

⁵⁷⁸ დეტალურად იხ.: *Michael*, *Argumentationsstrukturen*, S. 148 (150).

⁵⁷⁹ *Jarass*, GG, Art. 20, Rn. 83; *Michael*, *Argumentationsstrukturen*, S. 148 (148).

⁵⁸⁰ №1/3/407 გადაწყვეტილება, II-17.

⁵⁸¹ *Grzeszick*, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 112; *Michael*, *Argumentationsstrukturen*, S. 148 (149); *Sachs*, GG, Art. 20, Rn. 150; *Schmidt*, *Staatsorganisationsrecht*, S. 114; *Schnapp*, *Verhältnismäßigkeit*, S. 850 (852); *Zippelius/Würtenberger*, *Deutsches Staatsrecht*, S. 123.

⁵⁸² BVerfGE 96, 10 (23); 100, 313 (373); 103, 293 (307).

⁵⁸³ *Kloepfer*, *Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips*, S. 329 (334); *Reuter*, *Die Verhältnismäßigkeit*, S. 511 (513).

გარემოება, რომ ის მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტური საშუალება არ არის.⁵⁸⁴ გამოსადეგად მიიჩნევა საშუალება, რომელიც იძლევა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.⁵⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს, თუ რამდენადაა ლოგიკური კავშირი ძირითადი უფლების შეზღუდვასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის,⁵⁸⁶ რაც მართებულია, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში, მიზნის მიღწევა თეორიულადაც კი შეუძლებელია. გამოსადეგი ასევე არაა უფლების შეზღუდვა, რომელიც არათუ შესაძლებელს ხდის, არამედ გამორიცხავს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.⁵⁸⁷

ძირითადი უფლების შეზღუდვა აუცილებელია, თუ ის არ სცდება ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის აუცილებელ ზღვარს საგნობრივი, სივრცობრივი, დროისა და პირთა წრის თვალსაზრისით.⁵⁸⁸ ეს სტანდარტი დარღვეულია, როდესაც მიზნის მიღწევა შესაძლებელია ალტერნატიული, უფრო მსუბუქი და მსგავსად ქმედითი საშუალებით.⁵⁸⁹ „უფრო მსუბუქია“ საშუალება, რომელიც ძირითად უფლებაში არ ერევა ან მას მნიშვნელოვნად ნაკლებად ზღუდავს.⁵⁹⁰ „მსგავსად ქმედითი“ საშუალება ანალოგიური მიზნის მიღწევის აშკარად მსგავს პერსპექტივას ქმნის.⁵⁹¹

აუცილებლობის შემოწმებისას მხედველობაში მიიღება შესაბამისი ძირითადი უფლების სპეციფიკა, შეზღუდვის ინტენსივობა, შედეგები და შეზღუდვას დაქვემდებარებულ პირთა რაოდენობა.⁵⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკაში იყენებს უფრო მსუბუქი საშუალების ზემოაღნიშნულ პირობას და ამოწმებს, თუ რამდენად არსებობს ნაკლებად მზღუდავი ღონისძიების

⁵⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40.

⁵⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30; №2/1/536 გადაწყვეტილება, II-71; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48.

⁵⁸⁶ მაგ. იხ.: №1/1/468 გადაწყვეტილება, II-44; №3/1/512 გადაწყვეტილება, II-63,65,67-70; №3/3/600 გადაწყვეტილება, II-48.

⁵⁸⁷ მაგ. იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-31.

⁵⁸⁸ შეადარე: BVerfGE 100, 226 (241); 110, 1 (28); Jarass, GG, Art. 20, Rn. 85; Michael, Argumentationsstrukturen, S. 148 (149); Reuter, Die Verhältnismäßigkeit, S. 511 (513); Starck, GG, Art. 1, Rn. 278.

⁵⁸⁹ Badura, Staatsrecht, S. 377; Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 114; Mager, Staatsrecht I, S. 359; Robbers, GG, Art. 20, Rn. 1918; Sachs, GG, Art. 20, Rn. 152; Schlink, Verhältnismäßigkeit, S. 445 (453); Schmidt, Staatsorganisationsrecht, S. 115; Schnapp, Verhältnismäßigkeit, S. 850 (852).

⁵⁹⁰ მაგ.: BVerfGE 68, 193 (219); 90, 145 (172); Robbers, GG, Art. 20, Rn. 1900.

⁵⁹¹ შეადარე: BVerfGE 25, 1 (20); 30, 292 (319); 77, 84 (109 ff.); 81, 70 (91); 100, 313 (375); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 114.

⁵⁹² მაგ. იხ.: Reuter, Die Verhältnismäßigkeit, S. 511 (513); Sachs, GG, Art. 20, Rn. 152.

415

416

გამოყენებით ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.⁵⁹³ ის თავის ამოცანად მიიჩნევს არა კანონმდებლისთვის საკითხის კონკრეტული გზით გადაწყვეტის დავალდებულებას, არამედ შესაძლო ალტერნატიული საშუალებების გაანალიზებას.⁵⁹⁴ სასამართლო მსგავსად ქმედითი საშუალების სტანდარტსაც იზიარებს - ალტერნატიულ, ნაკლებად მზღუდველ საშუალებას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ისეთივე რესურსი, როგორც სადავო ნორმას.⁵⁹⁵

417 თანაზომიერების შემოწმების ბოლო საფეხურს თეორიასა და პრაქტიკაში სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ - შესატყვისობა,⁵⁹⁶ თანაზომიერება ვიწრო გაგებით,⁵⁹⁷ გადამეტებული ზომების აკრძალვა,⁵⁹⁸ დასაშვებობა,⁵⁹⁹ პროპორციულობა,⁶⁰⁰ სიკეთეთა აწონ-დაწონვა.⁶⁰¹ მიუხედავად ტერმინთა მრავალფეროვნებისა, მათ შორის არსებითი შინაარსობრივი განსხვავება არ არის.⁶⁰² შესატყვისობის მოთხოვნა დაცულია, თუ ძირითადი უფლების შეზღუდვით გამოწვეული ზიანი არ ან უმნიშვნელოდ აღემატება მის შედეგად მიღებულ სიკეთეს.⁶⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უფლებაში ჩარევის ინტენსივობა საჯარო მიზნის პროპორციული უნდა იყოს და მისი მიღწევა არ მოხდეს მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.⁶⁰⁴ ძირითადი უფლებისთვის მიყენებული ზიანი არ უნდა იყოს იმ ინტერესზე აღმატებული, რომლისთვისაც ის იზღუდება.⁶⁰⁵ დასაცავია გონივრული ბალანსი ლეგიტიმურ მიზანსა და შეზღუდულ უფლებას შორის.⁶⁰⁶ სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს უფლების დაცვას მისთვის სხვა უფლებასთან მიმართებით უსაფუძვლო უპირატესობის მინიჭების გზით.⁶⁰⁷

⁵⁹³ მაგ/ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-52.

⁵⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გულბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-31.

⁵⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის №1/5/826 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23.

⁵⁹⁶ მაგალითად იხ.: Jarass, GG, Art. 20, Rn. 86; Michael, Argumentationsstrukturen, S. 148 (149).

⁵⁹⁷ მაგალითად იხ.: BVerfGE 104, 337 (349); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 117.

⁵⁹⁸ მაგალითად იხ.: BVerfGE 90, 145 (173); 105, 17 (36).

⁵⁹⁹ მაგ. იხ.: Schmidt, Staatsorganisationsrecht, S. 115.

⁶⁰⁰ მაგალითად იხ.: Starck, GG, Art. 1, Rn. 278.

⁶⁰¹ Sobota, Rechtsstaat, S. 516.

⁶⁰² Robbers, GG, Art. 20, Rn. 1901.

⁶⁰³ Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 124.

⁶⁰⁴ მაგალითად იხ.: №3/1/512 გადაწყვეტილება, II-60.

⁶⁰⁵ მაგალითად იხ.: №1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-62.

⁶⁰⁶ მაგალითად იხ.: №2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-7.

⁶⁰⁷ №1/5/826 გადაწყვეტილება, II-30.

გამოყოფენ შესატყვისობის შემოწმების სამ საფეხურს:⁶⁰⁸

418

- 1) ძირითადი უფლების შეზღუდვის სახის, სიმძიმის, ინტენსივობისა და მასშტაბების შეფასება;⁶⁰⁹
- 2) ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის ძირითადი უფლების შეზღუდვის მნიშვნელობის შეფასება. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება შეზღუდვის შედეგად დასაცავი სამართლებრივი სიკეთის რანგსა და მის წინააღმდეგ მიმართული საფრთხის ინტენსივობაზე;⁶¹⁰
- 3) ძირითადი უფლების შეზღუდვის სიმძიმისა და ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობის შედარება, სიკეთეთა აწონ-დაწონვა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამ საფეხურზე იყენებს ე.წ. „რაც უფრო - მით უფრო ფორმულას“ (Je-desto-Formel).⁶¹¹ რაც უფრო მძიმეა ჩარევა ძირითად უფლებაში, მით უფრო წონადი უნდა იყოს მისი მიზანი.⁶¹² მსგავს მიდგომას პრაქტიკაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც ავითარებს.⁶¹³

4.1.6.4. მატერიალური შემოწმება - განსაზღვრულობის პრინციპი

საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში განსაზღვრულობის პრინციპი ფართოდ გამოიყენება.⁶¹⁴ თანაზომიერების პრინციპის მსგავსად, ისიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს.⁶¹⁵ სამართლებრივი სახელმწიფო კანონმორჩილებას მოითხოვს, მაგრამ ამის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ სამართლის განსაზღვრულობის პირობებში.⁶¹⁶

419

განსაზღვრულობას სამართლებრივი უსაფრთხოებისა და შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან საქართველოს საკონსტიტუციო

420

⁶⁰⁸ დეტალურად იხ.: Alexy, Bericht, in: Alexy, Robert/Kunig, Philip/Heun, Werner/Hermes, Georg: Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, VVDStRL (61), Berlin/New York 2002, S. 7 (19 f.); Jarass, GG, Art. 20, Rn. 86a; Michael, Argumentationsstrukturen, S. 148 (150); Reuter, Die Verhältnismäßigkeit, S. 511 (515 ff.).

⁶⁰⁹ BVerfGE 92, 277 (327); 100, 313 (376); 113, 63 (80).

⁶¹⁰ BVerfGE 113, 63 (80); 120, 274 (327).

⁶¹¹ Alexy, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, S. 7 (19); Schnapp, Verhältnismäßigkeit, S. 850 (852); Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 124.

⁶¹² BVerfGE 118, 168 (195).

⁶¹³ მაგალითად იხ.: №1/2/384 გადაწყვეტილება, II-19; №2/1/415 გადაწყვეტილება, II-15.

⁶¹⁴ განსაზღვრულობის პრინციპთან დაკავშირებით დეტალურად: იხ.: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 333 ff.

⁶¹⁵ შეადარე: BVerfGE 120, 274 (315 f); Jarass, GG, Art. 20, Rn. 57; Papier, H.-J., Möller, J., Das Bestimmtheitsgebot und seine Durchsetzung, Archiv des öffentlichen Rechts, 122 (1997), S. 177 (178); Robbers, GG, Art. 20, Rn. 2128.

⁶¹⁶ შეადარე: Kunig, Rechtsstaatsprinzip, S. 396; Papier/Möller, Das Bestimmtheitsgebot, S. 177 (181 f.).

სასამართლოც აკავშირებს.⁶¹⁷ კანონი უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხობრივ მოთხოვნებს და არ ახდენდეს მისივე დარღვევის პროვოცირებას.⁶¹⁸ ბუნდოვანი და გაუგებარი კანონმდებლობა ქმნის სამართალშემფარდებლის თვითნებობის რისკებს, ამიტომ, განსაზღვრულობის პრინციპი მოითხოვს ისეთი საკანონმდებლო სისტემის შექმნას, რაც შეამცირებს ამ საფრთხეს და დაიცავს ინდივიდს თვითნებობისგან.⁶¹⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, კანონი არ უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ თავისი საქმიანობის ფარგლები დამოუკიდებლად დაადგინოს, რაც გაზრდიდა ძირითადი უფლებების გადამეტებული შეზღუდვის რისკსა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ცდუნებას.⁶²⁰

421 განსაზღვრულობის პრინციპის უნივერსალური განმარტება არ არსებობს.⁶²¹ ამაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც მიუთითებს: „განსაზღვრულობის მასშტაბი ზოგად დადგენას არ ექვემდებარება, არამედ დამოკიდებულია კონკრეტული შემთხვევის თავისებურებაზე“.⁶²² მოგვიანებით სასამართლომ დააკონკრეტა, რომ ცალკეული შემთხვევის ანალიზისას მხედველობაშია მისაღები სადავო ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის სპეციფიკა. აქედან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაზღვრულობის მოთხოვნები შეიძლება, განსხვავებული იყოს.⁶²³

422 თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, განსაზღვრულობის პრინციპი მოითხოვს სამართლის ნორმების ისე ჩამოყალიბებას, რომ მათმა აღრესატიებმა აღიქვან სამართლებრივი მდგომარეობის არსი და შესაბამისად იმოქმედონ.⁶²⁴ ამ პოზიციას იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო

⁶¹⁷ მაგ. იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „მპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „მპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

⁶¹⁸ №1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-69.

⁶¹⁹ №3/7/679 გადაწყვეტილება, II-29.

⁶²⁰ №1/3/407 გადაწყვეტილება, II-14; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/4/614,616 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიგა ბარათაშვილი და კარინე შაპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-22.

⁶²¹ მაგალითად იხ.: *Gärditz*, Kommentar zum Art. 20 GG, in: Friauf, Karl Heinrich/Höfling, Wolfram (Hrsg.): Berliner Kommentar zum Grundgesetz, Band 2, Berlin seit 2000, Rn. 227; *Robbers*, GG, Art. 20, Rn. 2129, 2199.

⁶²² №2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-37.

⁶²³ №3/7/679 გადაწყვეტილება, II-30.

⁶²⁴ მაგალითად იხ.: *BVerfGE* 31, 255 (264); 108, 52 (75); 110, 33 (53 f.); 113, 348 (375); *Grzeszick*, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 58; *Mager*, Staatsrecht I, S. 355; *Papier/Möller*, Das Bestimmtheitsgebot, S. 177 (184); *Robbers*, GG, Art. 20, Rn. 2129; *Sachs*, GG, Art. 20, Rn. 126; *Sommermann*, GG, Art. 20, Rn. 289; *Stein/Götz*, Staatsrecht, S. 156; *Stern*, Das

სასამართლოც: „ადამიანს უნდა შეეძლოს, ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას თავისი ქცევა“.⁶²⁵ ამისთვის კანონმდებელმა უნდა „მიიღოს ზუსტი, მკაფიო, არაორაზროვანი, განჭვრეტადი კანონმდებლობა (ნორმები)“.⁶²⁶ „ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით.“⁶²⁷ ამასთანავე, განსაზღვრულობის მოთხოვნა მკაცრდება ძირითადი უფლების შეზღუდვის ინტენსივობის ზრდასთან ერთად.⁶²⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, განსაზღვრულობის პრინციპი მოითხოვს სამართლებრივი მდგომარეობის ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბებას არა მხოლოდ ცალკეული პირებისთვის, არამედ სამართალშემფარდებელი ორგანოებისთვისაც.⁶²⁹ ერთი მხრივ, შეზღუდვის ადრესატებმა ზუსტად უნდა იცოდნენ ჩარევის მიზანი, წესი, დრო, ფორმა და განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. მეორე მხრივ, სამართალშემფარდებელი საჭიროებს მკაფიო ინსტრუქციებს ჩარევის საფუძვლის, მიზნის, წესისა და ინტენსივობის თაობაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული უფლების თვითნებური შეზღუდვა.⁶³⁰

განსაზღვრულობის პრინციპი მოითხოვს საკმარის და არა ოპტიმალურ ან მაქსიმალურ განსაზღვრულობას.⁶³¹ კანონი საკმარისად განსაზღვრული ვერ იქნება, თუ კანონმდებლის კომპეტენციაში შემავალი არსებითი საკითხების გადაწყვეტა, განსაკუთრებით ძირითადი უფლებების შეზღუდვა, აღმასრულებელი ან სასამართლო ხელისუფლების თავისუფალი მოქმედების სფეროში გადინაცვლებს.⁶³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკაში არსებითად მსგავს მიდგომას ავითარებს: „საკანონმდებლო რეგულირებისას, რა თქმა უნდა, იმთავითვე ვერ იქნება აცილებული ყველა გაურკვევლობა და ეჭვი, მაგრამ აუცილებელია, რომ კანონმდებელმა, სულ ცოტა, ძირითადი იდეა, თავისი საკანონმდებლო ნება და

Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band I – Grundbegriffe und Grundlagen des Staatsrechts, Strukturprinzipien der Verfassung, 2., völlig neu bearbeitete Auflage, München 1984, S. 830.

⁶²⁵ №2/2-389 გადაწყვეტილება, II-6.

⁶²⁶ №1/3/407 გადაწყვეტილება, II-11.

⁶²⁷ №2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-36.

⁶²⁸ №1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-61.

⁶²⁹ მაგალითად იხ.: №2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-27.

⁶³⁰ №1/4/614,616 გადაწყვეტილება, II-23.

⁶³¹ Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 61; Kunig, Rechtsstaat, S. 421 (440).

⁶³² შეადარე: Gärditz, GG, Art. 20, Rn. 227; Hesse, Bedeutung der Grundrechte, S. 127 (155).

423

424

მიზანი, სრულიად გარკვევით ჩამოაყალიბოს.“⁶³³ „ნორმა არ უნდა იყოს ფორმულირებული ისე, რომ კანონმდებლის მიერ გადასაწყვეტი და მოსაწესრიგებელი საკითხები ფაქტობრივად გადავიდეს სხვა ორგანოების დისკრეციის სფეროში..“⁶³⁴

425 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებით მკაცრად ამოწმებს იმ ნორმათა განსაზღვრულობას, რომელთა საფუძველზეც ძირითადი უფლებების ფარული შეზღუდვები ხორციელდება.⁶³⁵ ანალოგიური სიმკაცრე ახასიათებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას. მისი პოზიციით, სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით კომუნიკაციის საიდუმლოების შემზღუდველი ნორმების განსაზღვრულობისადმი მოთხოვნები გაცილებით მკაცრია, ვიდრე სხვა ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებისას. სასამართლო ამას ხსნის გარკვეული მიზეზებით: ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს აქვს ფარული ხასიათი; შეზღუდვას დაქვემდებარებულ პირს არ ეძლევა სამართლებრივი საშუალება, მონაწილეობა მიიღოს შესაბამის სასამართლო პროცესში და დაიცვას თავისი ინტერესები; რთულდება მესამე პირთა ინტერესების დაცვა, ვინც უარაღდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებით.⁶³⁶ „...საჯარო ხელისუფლების მიერ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების კომპეტენციის განმსაზღვრელი ნორმები უნდა იყოს მკაფიო და არ უნდა ქმნიდეს მისი არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შედეგად, ადამიანის უფლების დარღვევის თუნდაც მცირე საფრთხეს.“⁶³⁷

426 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ასევე მკაცრად აფასებს ძირითადი უფლებების შემზღუდველი საპოლიციო ფუნქციების დამდგენი ნორმების განსაზღვრულობას. პოლიციელის უფლებამოსილებები მკაცრად და ცხადად უნდა იყოს რეგლამენტირებული, ხოლო მათი საფუძვლები და განხორციელების წინაპირობები კი - მკაფიოდ გაწერილი.⁶³⁸ მაღალია სასამართლოს მიერ დადგენილი განსაზღვრულობის სტანდარტი სისხლის სამართალწარმოების სფეროშიც. აქ კანონმდებლობა უნდა იყოს იმდენად ზუსტი, მკაფიო და არაოროზროვანი, რომ

⁶³³ №2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-37.

⁶³⁴ №2/1/415 გადაწყვეტილება, II-41.

⁶³⁵ BVerfGE 100, 313 (359 f., 372); 110, 33 (53 f.); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 65.

⁶³⁶ №1/3/407 გადაწყვეტილება, II-13.

⁶³⁷ №2/1/484 გადაწყვეტილება, II-10.

⁶³⁸ №1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-25.

გამორიცხოს სამართალშემფარდებლის მხრიდან მანიპულირებისა და თვითნებობის შესაძლებლობა.⁶³⁹

კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების განსაზღვრულობის მიმართ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა ნაკლებად მკაცრია. სახელმწიფო დეტალურად ვერ მოაწესრიგებს იმ ურთიერთობებს, რომელთა შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრა სრულადაა დამოკიდებული კერძო პირების გადაწყვეტილებებზე. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ავტონომიურობის ხარისხი გაცილებით მაღალია სხვა ურთიერთობებთან შედარებით. კანონის დეტალიზაცია და განსაზღვრულობის საკითხისადმი ხისტი მიდგომა, სასამართლოს მართებული მოსაზრებით, მნიშვნელოვნად გაართულებდა სახელმეკრულებო ურთიერთობებს და შედეგად, მრავალმხრივ შეაფერხებდა საზოგადოების განვითარებას.⁶⁴⁰

427

განსაზღვრულობის პრინციპი არ გულისხმობს განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებებისა და ზოგადი დათქმების ავტომატურ აკრძალვას თვით სისხლის სამართალშიც კი.⁶⁴¹ მათი გამოყენება ზოგჯერ აუცილებელიცაა სამართლის ცვალებად რეალობაზე ადაპტაციისთვის.⁶⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, გარკვეულ შემთხვევებში, კანონმდებელი იძულებულია, გამოიყენოს მოქნილი ტერმინები, რათა შესაბამისი ნორმა მოერგოს სხვადასხვა წინასწარ განუსაზღვრელ გარემოებებს.⁶⁴³

428

განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნები დაცულია, თუ განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნების ან ზოგადი დათქმის დაზუსტება და სანდო ინტერპრეტაცია შესაძლებელია ნორმის განმარტების ტრადიციული მეთოდებით.⁶⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომით, სამართლებრივი ცნების განუსაზღვრელობა თავისთავად არ გულისხმობს ნორმის ბუნდოვანებას, თუ

429

⁶³⁹ №2/1/631 გადაწყვეტილება, II-16.

⁶⁴⁰ №3/7/679 გადაწყვეტილება, II-47.

⁶⁴¹ BVerfGE 92, 1 (12); 96, 68 (97 f.); Robbers, GG, Art. 20, Rn. 2146, 2204.

⁶⁴² დეტალურად: იხ.: *Bachof*, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, S. 201 (240, 257); *Hofmann*, GG, Art. 20, Rn. 86; *Kunig*, Rechtsstaat, S. 421 (440); *Mager*, Staatsrecht I, S. 355 f.; *Papier/Möller*, Das Bestimmtheitsgebot, S. 177 (184 ff.); *Schnapp*, F. E. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012, Rn. 39; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 289; Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 120.

⁶⁴³ №1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-31.

⁶⁴⁴ BVerfGE 90, 1 (16 f.); 92, 365 (409 f.); 117, 71 (111 f.); 118, 168 (188); Robbers, GG, Art. 20, Rn. 2204; Sachs, GG, Art. 20, Rn. 127.

განმარტების სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით მისი შინაარსის განსაზღვრა შესაძლებელი.⁶⁴⁵ კანონი შეიძლება იყოს ზოგადი ხასიათის, მაგრამ ის არ უნდა იძლეოდეს ადამიანის უფლებების დამრღვევი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.⁶⁴⁶ სასამართლო კანონს განუსაზღვრელად თვლის, თუ განმარტების ყველა მეთოდის გამოყენების მიუხედავად, გაუგებარია ნორმის ნამდვილი შინაარსი, ან არსი გასაგებია, მაგრამ ვერ ხერხდება მისი მოქმედების ფარგლების გარკვევა.⁶⁴⁷ სამართალმემფარდებელმა ნორმის განმარტების ისეთ მეთოდს უნდა მიმართოს, რაც „ყველაზე ნათლად და ობიექტურად ხსნის როგორც ნორმის არსს, ისე მისი მოქმედების ფარგლებს.“⁶⁴⁸

430 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, პრაქტიკაში ნორმის არასწორი განმარტება არ ნიშნავს მის არაკონსტიტუციურობას.⁶⁴⁹ არც კონსტიტუციის შესატყვისი სამართალგამოყენების პრაქტიკა გულისხმობს სადავო ნორმის კონსტიტუციასთან a priori შესაბამისობას.⁶⁵⁰ თუმცა, ამგვარი პრაქტიკის არსებობა სასამართლოსთვის დამატებითი არგუმენტია მისი კონსტიტუციურობის სამტიცებლად.⁶⁵¹ როდესაც სადავო ნორმის შინაარსი და მისი გამოყენების პრაქტიკა განსხვავდება, სასამართლო ამოწმებს, ხომ არ გამოიწვია ეს ნორმის შეუსაბამობამ სამართლებრივი უსაფრთხოების, მათ შორის განსაზღვრულობის, მოთხოვნებთან. ამ დროს გამოიყენება კეთილსინდისიერი განმარტების ტესტი, რომლის არსიც შემდეგშია: ნორმა სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, თუ კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში, შეუძლებელია მისი თვითნებური და ადამიანის უფლებებისთვის საზიანო გამოყენება.⁶⁵²

⁶⁴⁵ №2/1/631 გადაწყვეტილება, II-18.

⁶⁴⁶ №1/3/538 გადაწყვეტილება, II-9.

⁶⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-19; №2/1/631 გადაწყვეტილება, II-17.

⁶⁴⁸ №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II-18.

⁶⁴⁹ მაგალითად იხ.: №2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-44.

⁶⁵⁰ №1/3/407 გადაწყვეტილება, II-28; №2/1/536 გადაწყვეტილება, II-47.

⁶⁵¹ №1/3/538 გადაწყვეტილება, II-15; №2/1/631 გადაწყვეტილება, II-53.

⁶⁵² №2/2-389 გადაწყვეტილება, II-6; №1/3/538 გადაწყვეტილება, II-3,6; №3/2/646 გადაწყვეტილება, II-69.

4.1.7. ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შედეგები

ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს სადავო ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.⁶⁵³ იქედან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ასევე დამკვიდრებულია სადავო ნორმის კონკრეტული ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა, ამ შემთხვევაში, ძალადაკარგულია არა მთლიანად ნორმა, არამედ მისი არაკონსტიტუციური ნორმატიული შინაარსი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით არ აქვს უკუძალა. ამგვარი მიდგომა, სავარაუდოდ, გამომდინარეობს სამართლებრივი უსაფრთხოებისთვის უპირობო უპირატესობის მინიჭებიდან. ფაქტობრივად, ძალაში რჩება ის ნეგატიური სამართლებრივი შედეგები, რაც სადავო ნორმამ მისი ამოქმედებიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ძალადაკარგულად ცნობის მომენტამდე გამოიწვია. თუ გავითვალისწინებთ, რომ კონსტიტუციური სარჩელის განხილვა და გადაწყვეტა პრაქტიკაში საკმაოდ დიდხანს გრძელდება, ამგვარი შედეგების დადგომის რისკი კიდევ უფრო იზრდება. მათი ნაწილი შეიძლება, გამოსწორებას არ დაექვემდებაროს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის, ანუ სადავო აქტის მისი ამოქმედების მომენტიდან ძალადაკარგულად ცნობის გარეშე. ამის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, რომ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებამ აზრი დაკარგოს მოსარჩელისთვის და ვერ მოხერხდეს მისი დარღვეული უფლებების აღდგენა. გონივრული იქნებოდა, საკონსტიტუციო სასამართლოს, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მიეღო გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმის ძალის დაკარგვის მომენტის შესახებ.⁶⁵⁴

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არა მხოლოდ მხარეთა შორის (inter partes), არამედ საზოგადო (erga omnes) მოქმედება აქვს და სცდება კონკრეტული საქმის ფარგლებს. ის არა მხოლოდ აუქმებს ძირითადი უფლებების დარღვევებს,

⁶⁵³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁶⁵⁴ შეადარე: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 207.

არამედ იცავს, განმარტავს და ავითარებს ობიექტურ საკონსტიტუციო სამართალს,⁶⁵⁵ რითაც ერთგვარი „საგანმანათლებლო ეფექტიც“ აქვს.⁶⁵⁶

4.2. აბსტრაქტული ნორმათკონტროლი

4.2.1. აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ისტორია, ფუნქცია და მნიშვნელობა

434 კონსტიტუციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე.⁶⁵⁷ ამ უფლებამოსილებას „აბსტრაქტული ნორმათკონტროლი“ შეიძლება ვუწოდოთ, რადგანაც ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სამართალწარმოება არ უკავშირდება ნორმის გამოყენებიდან (ან შესაძლო გამოყენებიდან) გამომდინარე დავას და მოსარჩელის სუბიექტურ-სამართლებრივი ინტერესების დაცვას.⁶⁵⁸

435 საკონსტიტუციო სასამართლოს აბსტრაქტული ნორმათკონტროლის უფლებამოსილება კონსტიტუციის თავდაპირველმა რედაქციამ მიანიჭა. ის იღებდა გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან კანონის, პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე.⁶⁵⁹ 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონით, სიტყვა „აჭარის“ შეიცვალა სიტყვებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის“, რაც უკავშირდებოდა კონსტიტუციის ტექსტში შეტანილ ცვლილებებს აჭარის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის, სტატუსთან დაკავშირებით. 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციურმა კანონმა აბსტრაქტულ ნორმათკონტროლს დაქვემდებარებულ აქტებს დაუმატა

⁶⁵⁵ შეადარე: BVerfGE 51, 130 (139); Badura, Staatsrecht, S. 806; Federer, Aufbau, Zuständigkeit und Verfahren des Bundesverfassungsgerichts, S. 59 (72); Hopfau, GG, Art. 93, Rn. 153; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 197; Meyer, GG, Art. 93, Rn. 54; Stern, GG, Art. 93, Rn. 407; Sturm, GG, Art. 93 GG, Rn. 77; Voßkuhle, GG, Art. 93, Rn. 172.

⁶⁵⁶ BVerfGE 33, 247 (259); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 434; Stern, GG, Art. 93, Rn. 405; Voßkuhle, GG, Art. 93, Rn. 172.

⁶⁵⁷ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁶⁵⁸ შეადარე: BVerfGE 1, 208 (219 f.); ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (255); ზეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი 2020, გვ. 24; Sturm, GG, Art. 93 GG, Rn. 52.

⁶⁵⁹ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

კონსტიტუციური შეთანხმება. ეს განპირობებული იყო სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ამ აქტის ასახვით კონსტიტუციაში. 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციურმა კანონმა სიტყვა „აფხაზეთის“ შეცვალა სიტყვებით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის“. აჭარის მსგავსად, ეს გამორწვეული იყო აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის, სტატუსის გათვალისწინებით კონსტიტუციაში. 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონით, საპრეზიდენტო მოდელი ჩაანაცვლა შერეულმა ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემამ. მთავრობა პრეზიდენტის სათათბირო ორგანოდან გარდაიქმნა კოლეგიურ ორგანოდ ნორმატიული აქტების გამოცემის უფლებამოსილებით. აბსტრაქტულ ნორმატკონტროლს ეს ნორმატიული აქტებიც დაექვემდებარა. უფლებამოსილების დამდგენმა ნორმამ საბოლოო სახე 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით მიიღო. მასში მიეთითა მოსარჩელე სუბიექტები - პრეზიდენტი, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეზუთედი და მთავრობა. გარდა ამისა, აბსტრაქტული ნორმატკონტროლის წესით გასაჩივრებას დაექვემდებარა ნებისმიერი ნორმატიული აქტი, ანუ შეზღუდული აბსტრაქტული კონტროლი ჩაანაცვლა უნივერსალურმა აბსტრაქტულმა კონტროლმა.⁶⁶⁰ 2018 წლის 13 მარტის კონსტიტუციურ კანონს ამ მოცემულობაში არაფერი შეუცვლია.

აბსტრაქტულ ნორმატკონტროლს რამდენიმე ფუნქცია აქვს,⁶⁶¹ რომელთაგან უმთავრესი დაცვითი ფუნქციაა. კონსტიტუცია განამტკიცებს კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპს და მოითხოვს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას უზენაესი კანონით დადგენილ ფარგლებში.⁶⁶² აბსტრაქტული ნორმატკონტროლის დაცვითი ფუნქცია სწორედ კონსტიტუციის უზენაესობაზე დამყარებული მართლწესრიგის უზრუნველყოფაში მდგომარეობს.⁶⁶³ ის იცავს კონსტიტუციის ფუნდამენტურ ელემენტებს გაბატონებული პოლიტიკური უმრავლესობის მიერ პოლიტიკურ-პრაქტიკული გაუქმებისგან.⁶⁶⁴ ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა

436

⁶⁶⁰ *ბეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 29-30.

⁶⁶¹ დეტალურად იხ.: *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (255); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 181.

⁶⁶² საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

⁶⁶³ *Stern*, GG, Art. 93, Rn. 197.

⁶⁶⁴ *Meyer*, GG, Art. 93, Rn. 32.

მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებისთვის, არამედ დემოკრატიის პრინციპის განმტკიცებისთვის, რადგანაც უმრავლესობის უკონტროლო, კონსტიტუციის ჩარჩოებს მიღმა გასული ბატონობა მასაც ეწინააღმდეგება.

437 საკონსტიტუციო სასამართლომ ჩამოაყალიბა ზოგადი პოზიცია სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოებისა და თანამდებობის პირების კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების ფუნქციასთან დაკავშირებით: „იმ სუბიექტების, რომლებიც თავად არიან სამართალშემოქმედი (იღებენ კანონს ან გამოსცემენ სხვა ნორმატიულ აქტებს) – საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები - კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) შეტანის მიზანი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ქმედითობის, ხელისუფლების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ფუნქციონირების მიღწევის (უზრუნველყოფის) მცდელობაა. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მათი მიმართვა ხელისუფლების შტოთა ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების სამართლებრივი შესაძლებლობაა. ამ პროცესის შედეგად, არსებული ნორმების ძალადაკარგულად ცნობა და ახალი ნორმების მიღების მოტივირება (სტიმულირება) კონსტიტუციის უპირობოდ დაცვის უზრუნველყოფას ემსახურება და ზუსტად იმის დემონსტრირებაა, რომ ხელისუფლების არც ერთი შტო არ არის უფლებამოსილი, დაადგინოს კონსტიტუციით გათვალისწინებული წესრიგის საწინააღმდეგო წესები.“⁶⁶⁵

438 საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოყოფილი ორივე პრინციპი - ხელისუფლების დანაწილება და ხელისუფლების კონსტიტუციით შეზღუდვა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია. კონსტიტუციით შეზღუდვაზე უკვე გავამახვილეთ ყურადღება. რაც შეეხება ხელისუფლების დანაწილებას, აბსტრაქტულ ნორმატოკონტროლს შეუძლია, ხელისუფლების შტოების კონსტიტუციით დადგენილ ფუნქციონალურ ფარგლებში დარჩენასა და მათ დაბალანსებაშიც შეიტანოს წვლილი. ამ თვალსაზრისით, ის ზოგჯერ უფლებამოსილების შესახებ დავაზე ეფექტიან საშუალებადაც კი შეიძლება მოგვევლინოს, რადგანაც ეს უკანასკნელი კონსტიტუციის იმ ნორმებითაა

⁶⁶⁵ №1/466 გადაწყვეტილება, II-18.

შემოფარგლული, რომლებიც მოსარჩელე ორგანოს ან თანამდებობის პირის კომპეტენციას შეეხება.⁶⁶⁶

აბსტრაქტულ ნორმატკონტროლს აქვს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სიცხადის უზრუნველყოფის ფუნქცია,⁶⁶⁷ რაც ასევე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს უკავშირდება. ის იძლევა შესაძლებლობას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნათელი მოეფინოს გაურკვეველ და საკამათო კონსტიტუციურსამართლებრივ საკითხებს, დამკვიდრდეს და შენარჩუნდეს სამართლებრივი სტაბილურობა.⁶⁶⁸ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, აბსტრაქტული ნორმატკონტროლი ხელს უწყობს კონსტიტუციურსამართლებრივი კონფლიქტების მოგვარებასა და სამართლებრივი მდგომარეობის გარკვევის გზით, სამართლებრივი მშვიდობის დამყარებას.⁶⁶⁹

დემოკრატიულ სახელმწიფოში აბსტრაქტულ ნორმატკონტროლს პოლიტიკური უმცირესობის დაცვის ფუნქცია აქვს. ის უმცირესობის დაცვისა და უმრავლესობის გადაწყვეტილებების კონსტიტუციურსამართლებრივი კორექციის საშუალებაა.⁶⁷⁰ ქართულ მოდელში ეს ფუნქცია იკვეთება პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის კონტექსტში. საუბარია სულ ცოტა 30 დეპუტატზე, რაც ოპოზიციას აძლევს შესაძლებლობას, რომ გამოიყენოს აბსტრაქტული ნორმატკონტროლი საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული კანონების კონსტიტუციურობის შესამოწმებლად⁶⁷¹ და პოლიტიკური უმრავლესობის მიერ დომინირებული ადმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების გასაკონტროლებლად.⁶⁷² სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილების საპარლამენტო ფრაქციისთვის, რომლის შექმნა პარლამენტის 7 წევრს შეუძლია, მინიჭების თაობაზე.⁶⁷³ ეს მართლაც გონივრული იქნებოდა და გააძლიერებდა აბსტრაქტული ნორმატკონტროლის პოლიტიკური უმცირესობის დაცვის ფუნქციას.

⁶⁶⁶ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 180.

⁶⁶⁷ *Hopfauf*, GG, Art. 93, Rn. 97; *Reineck*, Allgemeine Staatslehre und Deutsches Staatsrecht, 15. überarbeitete Auflage, Hamburg 2007, S. 351; Stern, GG, Art. 93, Rn. 198.

⁶⁶⁸ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 181.

⁶⁶⁹ BVerfGE 1, 396 (413).

⁶⁷⁰ *Ipsen*, Staatsrecht I, S. 219; Mager: Staatsrecht I, S. 308; Stern, GG, Art. 93, Rn. 208.

⁶⁷¹ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 181.

⁶⁷² *Sturm*, GG, Art. 93 GG, Rn. 53.

⁶⁷³ *ხევრიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 43.

439

440

441 აბსტრაქტულ ნორმატკონტროლს ობიექტური ხასიათი აქვს - მისი მიზანი კონსტიტუციისა და არა მოსარჩელეთა სუბიექტური კონსტიტუციურსამართლებრივი პოზიციების დაცვაა.⁶⁷⁴ როგორც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, სწორედ ამ კომპეტენციის ფარგლებში, გამოდის წინა პლანზე მისი, როგორც „კონსტიტუციის მცველის“, როლი.⁶⁷⁵ აბსტრაქტული ნორმატკონტროლის ობიექტური ბუნება არ გულისხმობს მის გამოყენებას სუფთა თეორიული პოლემიკისთვის,⁶⁷⁶ ასევე ამათუიმ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციის გასარკვევად.⁶⁷⁷ ამასთან, აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებას სუბიექტურ-სამართლებრივად რელევანტური შედეგებიც შეიძლება მოჰყვეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ დადგინდა რომელიმე ძირითადი უფლების დარღვევა.

442 აბსტრაქტულ ნორმატკონტროლს კრიტიკოსებიც ჰყავს. მათი აზრით, ამ უფლებამოსილების ფარგლებში, საქმე შეეხება პოლიტიკურად განსაკუთრებით საკამათო ნორმებს. ეს გარემოება აიძულებს საკონსტიტუციო სასამართლოს, განახორციელოს კონკრეტული სამართალგამოყენებიდან აბსტრაჰირებული და ყოვლისმომცველი შემოწმება. ასევე, გაურკვეველია, თუ ვინ საჭიროებს სასამართლოს დახმარებას, რადგანაც აბსტრაქტული ნორმატკონტროლის წინაპირობა არ არის მოსარჩელის უფლებების დარღვევა.⁶⁷⁸ კრიტიკულ მოსაზრებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ განსახილველი საკითხის პოლიტიკური აქტუალობა ვერ იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს ამა თუ იმ უფლებამოსილების შეფასებისა და მით უმეტეს, მისი არსებობა-არარსებობისთვის გადამწყვეტი კრიტერიუმი. მთავარია, სასამართლომ შეინარჩუნოს პოლიტიკური ნეიტრალობა, რაც მიიღწევა საქმის გადაწყვეტისას კონსტიტუციურსამართლებრივი მასშტაბების გამოყენებით და არა პოლიტიკურად რელევანტური უფლებამოსილებების გაუქმებით. რაც შეეხება შემოწმების აბსტრაქტულ და ყოვლისმომცველ ხასიათს, კონკრეტული სამართალგამოყენებიდან აბსტრაჰირება ხშირად აუცილებელიცაა, მით უმეტეს, თუ სახეზე არ არის ან არასრულია სადავო ნორმის გამოყენების პრაქტიკის სურათი. გარდა ამისა,

⁶⁷⁴ შეადარე: BVerfGE 1, 184 (195 f.); 1, 396 (407); 83, 37 (49); 101, 158 (213); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 662; Meyer, GG, Art. 93, Rn. 35; Stern, GG, Art. 93, Rn. 202; Sturm, GG, Art. 93 GG, Rn. 52.

⁶⁷⁵ BVerfGE 1, 184 (195).

⁶⁷⁶ Federer, Aufbau, Zuständigkeit und Verfahren des Bundesverfassungsgerichts, S. 59 (67).

⁶⁷⁷ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 177.

⁶⁷⁸ მაგალითად იხ. Simon, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 1637 (1651).

აბსტრაქტული კონტროლისას საკონსტიტუციო სასამართლოს არ ეზღუდება სამართალგამოყენების პრაქტიკის ანალიზის შესაძლებლობა.⁶⁷⁹

4.2.2. მოსარჩელები აბსტრაქტული ნორმატკონტროლის ფარგლებში

კონსტიტუცია და ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ მკაფიოდ განსაზღვრავს მოსარჩელე სუბიექტებს აბსტრაქტული ნორმატკონტროლის ფარგლებში.⁶⁸⁰ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილება აქვს:

- 1) საქართველოს პრეზიდენტს;
- 2) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს;
- 3) საქართველოს მთავრობას.

იქედან გამომდინარე, რომ აბსტრაქტული ნორმატკონტროლი არ ემსახურება სუბიექტურ-სამართლებრივი ინტერესების დაცვას, შეუძლებელია მოსარჩელეთა წრის შეზღუდვა სამართლებრივი დაცვის საჭიროების ნიშნით. ამ პირობებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რაციონალურ მიდგომას მოსარჩელე სუბიექტების განსაზღვრისას.⁶⁸¹ ერთი მხრივ, მოსარჩელეთა წრე არ უნდა იყოს ისეთი ვიწრო, რომ აბსტრაქტულმა ნორმატკონტროლმა ვერ შეძლოს თავისი ფუნქციების განხორციელება. მაგალითად, თუ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილება არ ექნება პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, ეს არა მხოლოდ პოლიტიკური უმცირესობის დაცვის ფუნქციის, არამედ მთლიანად კომპეტენციის პარალიზებას გამოიწვევს. მეორე მხრივ, მოსარჩელეთა რიცხვში არ უნდა შედიოდნენ ის სუბიექტები, რომლებსაც ანალოგიური მიზნების მიღწევა საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უფლებამოსილების ფარგლებშიც შეუძლიათ, ან არ აქვთ იმის ობიექტური შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა, რომ კონსტიტუციის დაცვისას „მოდარაჯე ძაღლის“ როლში მოგვევლინონ.⁶⁸²

⁶⁷⁹ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 177 f.

⁶⁸⁰ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁶⁸¹ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 664; Stern, GG, Art. 93, Rn. 208.

⁶⁸² შეადარე: BVerfGE 101, 158 (213); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 664.

445 ქართული მოდელის მიხედვით განსაზღვრული მოსარჩელე სუბიექტების წრე მთლიანობაში აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებსა და აბსტრაქტული ნორმატკონტროლის მიზნებს. პრეზიდენტს, როგორც სახელმწიფოს მეთაურსა და პოლიტიკურად ნეიტრალურ ფიგურას, შეუძლია, პოზიტიური და ობიექტური როლი შეასრულოს კონსტიტუციური წესრიგის დაცვის საქმეში. არაკონსტიტუციურ კანონებზე რეაგირებისთვის მის განკარგულებაში ვეტოს მექანიზმიცაა, თუმცა პარლამენტის მიერ ვეტოს დაძლევის, ასევე სხვა ნორმატიული აქტებით კონსტიტუციის დარღვევისას, პრეზიდენტს რჩება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება. მთავრობის, როგორც საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელი აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობაა, რომ იმოქმედოს კონსტიტუციური წესრიგის ფარგლებში. ის კანონითაა შეზღუდული, მაგრამ ეს არ გულისხმობს არაკონსტიტუციური კანონების უსიტყვო აღსრულებას, რადგანაც მათ საფუძველზე მოქმედებით მთავრობაც გასცდება კონსტიტუციურ ჩარჩოებს. რაც შეეხება პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, ოპოზიციამ თავისი მაკონტროლებელი ფუნქციის ეფექტიანი განხორციელება უნდა მოახდინოს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებითაც. აბსტრაქტული ნორმატკონტროლით შეგნებულად ხდება ამ ფუნქციის გააქტიურება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპარლამენტო სისტემის პირობებში, სადაც მთავრობა და მისი მხარდამჭერი საპარლამენტო უმრავლესობა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.⁶⁸³

446 აბსტრაქტული კონტროლის ობიექტური ხასიათის მიუხედავად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების წარმართვა ძირითადად მაინც მოსარჩელის ნებაზეა დამოკიდებული. მის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა იწვევს საქმის შეწყვეტას ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.⁶⁸⁴ არსებობს იმის აღბათობა, რომ კონსტიტუციის დაცვის ინტერესი კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელესა და სადავო ნორმის ავტორს შორის პოლიტიკურ შეთანხმებას ემსხვერპლოს. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს სამართალწარმოების გაგრძელების უფლებამოსილება, თუ საქმე შეეხება ძირითადი უფლებების

⁶⁸³ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 668.

⁶⁸⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

უზრუნველყოფისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხს. მიზანშეწონილია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილების გათვალისწინებაც, რომელიც მხოლოდ მაშინ წყვეტს საქმისწარმოებას, როდესაც არ არსებობს საჯარო ინტერესი მის გასაგრძელებლად.⁶⁸⁵

4.2.3. მოპასუხეები აბსტრაქტული ნორმატკონტროლის ფარგლებში

აბსტრაქტული ნორმატკონტროლის ფარგლებში, მოპასუხეა ორგანო, რომლის ნორმატიული აქტიც არის გასაჩივრებული. თუ სარჩელი კონსტიტუციის ამოქმედებამდე მიღებულ/გამოცემულ ნორმატიულ აქტს შეეხება, მოპასუხეა მისი მიმღების/გამომცემის უფლებამონაცვლე ორგანო. როდესაც უფლებამონაცვლე ორგანო არ არსებობს, საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს საკითხს, ვინ იქნება მოპასუხე - პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა თუ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოები.⁶⁸⁶ სასამართლოს მიერ მოპასუხის განსაზღვრისას, სავარაუდოდ, რელევანტური იქნება, ხელისუფლების რომელ შტოს მიეკუთვნებოდა აქტის მიმღები/გამომცემი ორგანო, ასევე უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას წარმოადგენდა ის თუ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას. ასევე, მნიშვნელოვანი იქნება სადავო აქტის შინაარსი და სფერო, რომელშიც ის არის მიღებული/გამოცემული.

447

იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ პროცესში მხარეები - მოსარჩელე და მოპასუხე მონაწილეობენ, პროცესს კონტრადიქტორული ხასიათი აქვს. საქართველოს კანონმდებლობით, აბსტრაქტული ნორმატკონტროლის დროს სასამართლო განხილვა ფაქტობრივად არ განსხვავდება, მაგალითად, ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელის განხილვისგან. ამ კომპეტენციის ობიექტური ხასიათის გამო, არ არსებობს მხარეთა მონაწილეობისა და კონტრადიქტორული პროცესის საჭიროება.⁶⁸⁷ გერმანიაში კონსტიტუციური სარჩელის შეტანა განხილვა საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყების შესაძლებლობად და არა მატერიალური მოთხოვნის პროცესუალურ გამოსატულებად.⁶⁸⁸ ეს მიდგომა

448

⁶⁸⁵ BVerfGE 1, 396 (414); 87, 152 (153); 110, 33 (46); 115, 394 (395); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 713.

⁶⁸⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶⁸⁷ შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 696; Stern, GG, Art. 93, Rn. 202; Voßkuhle, GG, Art. 93, Rn. 118; Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 535.

⁶⁸⁸ BVerfGE 1, 396 (407 f.); 2, 307 (312); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 664.

მართებულია, რადგანაც საქმე შეეხება კონსტიტუციური წესრიგისა და არა მოსარჩელის ან მოპასუხის სამართლებრივი პოზიციების დაცვას. გარდა ამისა, კონტრადიქტორული პროცესი მეტ დროსა და რესურსს საჭიროებს, რაც უარყოფითად შეიძლება აისახოს სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობაზე.⁶⁸⁹ ამასთანავე, გერმანული კანონმდებლობა აძლევს პოზიციის გამონატვის საშუალებას ბუნდეს-ტაგს, ბუნდესრატს, ფედერალურ მთავრობას, ფედერალური მიწების მთავრობებსა და წარმომადგენლობით ორგანოებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში,⁶⁹⁰ მაგრამ მათ არ ენიჭება სამართალწარმოების მონაწილეთა სტატუსი და უფლებები.⁶⁹¹

4.2.4. დავის საგანი აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის ფარგლებში

449 დავის საგანი აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის ფარგლებში ორნაწილიანია:

1) სადავო ნორმა;

2) კონსტიტუციის ნორმა, რომელთან მიმართებაშიც მოწმდება სადავო ნორმის კონსტიტუციურობა.

450 კონსტიტუცია გასაჩივრებად აქტებს არ აკონკრეტებს და მიუთითებს ზოგადად „ნორმატიული აქტის“ კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტაზე. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე, ის ჩამოთვლიდა იმ აქტებს, რომლებიც აბსტრაქტულ ნორმატოკონტროლს ექვემდებარებოდა: კონსტიტუციური შეთანხმება, კანონი, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტები.⁶⁹² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, კანონების, პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, პრეზიდენტის, მთავრობისა და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა

⁶⁸⁹ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 179.

⁶⁹⁰ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 77-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი.

⁶⁹¹ BVerfGE 1, 66 (68); 2, 307 (311 f.); 46, 34 (36); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 697.

⁶⁹² 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი.⁶⁹³ როგორც ვხედავთ, სადავო ნორმატიული აქტების ჩამონათვალი კვლავ შეზღუდულია, რაც არ შეესაბამება კონსტიტუციის მოქმედ რედაქციას.⁶⁹⁴

მოსარჩელე სუბიექტებს შეუძლიათ ნებისმიერი ნორმატიული აქტის გასაჩივრება, რომელიც მოქმედებს.⁶⁹⁵ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ე.წ. „სამართლებრივად არსებული ნორმების“ თემა. იგულისხმება ნორმები, რომლებიც გამოქვეყნდა, თუმცა ჯერ ძალაში არ შესულა. გერმანული თეორიისა და პრაქტიკის მიხედვით, ეს არ აბრკოლებს აბსტრაქტული ნორმატონტროლის განხორციელებას. ნორმის არსებობა მისი გამოქვეყნებით იწყება, რითაც ხდება სამართალშემოქმედებითი პროცესის დასრულება და ნორმის მოქმედების პრეტენზიის მანიფესტირება.⁶⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი არგუმენტაცია არ წარმოუდგენია, თუმცა 2017 წლის 29 დეკემბერს არსებითად განსახილველად მიიღო რიგი კონსტიტუციური სარჩელებისა იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის 8⁴ მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობას.⁶⁹⁷ ეს ნორმა ამ დროისთვის მიღებული იყო, თუმცა მისი ამოქმედების თარიღად 2020 წლის 30 მარტი იყო მითითებული.

451

რელევანტურია ძალადაკარგული ნორმების საკითხიც. ამ შემთხვევაში მოქმედებს ზოგადი წესი, რომ საქმის განხილვის მომენტისთვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საქმის შეწყვეტას.⁶⁹⁸ ამ წესს საკონსტიტუციო სასამართლო არ ავრცელებს იმ შემთხვევებზე, როდესაც სადავო ნორმამ გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე ანუ სასამართლოს სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ დაკარგა ძალა.⁶⁹⁹ გამონაკლისის სახით, სასამართლო უფლებამოსილია, გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს საქმის განხილვისას გაუქმებული ან ძალადაკარგული ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი, თუ მისი

452

⁶⁹³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

⁶⁹⁴ *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (255).

⁶⁹⁵ *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 30.

⁶⁹⁶ შეადარე: BVerfGE 1, 396 (410, 411); 34, 9 (23 f.); 42, 263 (283); 104, 23 (29); *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 683; *Sturm*, GG, Art. 93 GG, Rn. 56; *Stern*, GG, Art. 93, Rn. 256 f.

⁶⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/4/N885-924, 928-929, 931-1207, 1213, 1220-1224, 1231 საოქმოდ ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III - 1, ა.ა, დ.ა.

⁶⁹⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶⁹⁹ №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-47.

გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.⁷⁰⁰ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს ძალადაკარგულ ნორმებს, თუ მათგან მაინც გამომდინარეობს სამართლებრივი შედეგები.⁷⁰¹ ამ გამოცდილების გაზიარება მიზანშეწონილია, რადგანაც აბსტრაქტულ ნორმათკონტროლს ობიექტური ხასიათი აქვს და მის ფარგლებში, სადავო ნორმა არა მხოლოდ ძირითად უფლებებთან შესაბამისობის შემოწმებას შეიძლება, დაექვემდებაროს. თუ ნორმა, მიუხედავად ფორმალური გაუქმებისა, კონსტიტუციური წესრიგის დაზიანებას მაინც განაგრძობს, საკონსტიტუციო სასამართლომ მასზე შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინოს. ეს მნიშვნელოვანი იქნება სამომავლოდ მსგავსი დარღვევების პრევენციისთვისაც.

453 აბსტრაქტული კონტროლის ფარგლებში, გერმანიაში დასაშვებია კონსტიტუციის ნორმების, განსაკუთრებით, კონსტიტუციის ცვლილებების გასაჩივრება.⁷⁰² ქართულ მოდელში ეს შეუძლებელია,⁷⁰³ რაზეც უკვე ვრცლად გავამახვილეთ ყურადღება.⁷⁰⁴ კონსტიტუციური კანონების შემოწმების შემთხვევაში, აბსტრაქტული ნორმათკონტროლი უკეთ შეასრულებდა თავის ფუნქციებს. პოლიტიკურ უმცირესობას მიეცემოდა დამატებითი ბერკეტი საკონსტიტუციო უმრავლესობის თვითნებური და კონსტიტუციური წესრიგის დამაზიანებელი მოქმედებების შესაკავებლად.

454 აბსტრაქტული ნორმათკონტროლის წესით, იმ ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებითაც არ უნდა წარიმართოს დავა, რომლებიც ექვემდებარება იგივე სუბიექტის მიერ გასაჩივრებას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი სპეციალური კომპეტენციის ფარგლებში. ამ კუთხით, მართებულად მიუთითებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე,⁷⁰⁵ რადგანაც მათ კონსტიტუციურობაზე დავა იმავე სუბიექტებს შესაბამისი კომპეტენციის საზღვრებშიც შეუძლიათ.⁷⁰⁶ ამ კუთხით, სხვა შემთხვევებზე შეიძლება გამოვყოთ. თუ ნორმა არღვევს მოსარჩელის კონსტიტუციურ კომპეტენციას, მან კონსტიტუციური სარჩელი უნდა შეიტანოს უფლებამოსილების შესახებ დავის და არა აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ფარგლებში. როდესაც

⁷⁰⁰ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

⁷⁰¹ BVerfGE 5, 25 (28); 20, 56 (93 ff.); 79, 311 (326 ff.); 119, 96 (116); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 683.

⁷⁰² BVerfGE 30, 1 (17 ff.); 84, 90 (120 ff.); 94, 12 (34 ff.); 94, 49 (120 ff.); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 676; Sturm, GG, Art. 93 GG, Rn. 55.

⁷⁰³ შეადარე: *ხეფურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 31.

⁷⁰⁴ დეტალურად: იხ.: ქვეთავი 3.3.1.1. - კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის კონტროლთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა და საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია.

⁷⁰⁵ *ხეფურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 31.

⁷⁰⁶ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

პრეზიდენტი ან პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი თვლის, რომ არაკონსტიტუციურია რეფერენდუმის/არჩევნების მომწესრიგებელი ნორმა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმი/არჩევნები, მან უნდა იდავოს რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის ჩარჩოებში.⁷⁰⁷

რაც შეეხება დავის საგნის მეორე ნაწილს, კონსტიტუცია და კანონმდებლობა მოსარჩელეს ამ თვალსაზრისით არ ზღუდავს. მან შეიძლება დააყენოს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის საკითხი კონსტიტუციის ნებისმიერ ნორმასთან მიმართებით, რომლიდანაც გამომდინარეობს ფორმალური თუ მატერიალური მოთხოვნა. აბსტრაქტულ ნორმათკონტროლზე ვრცელდება დათქმა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არ აქვს, იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.⁷⁰⁸ ამდენად, სასამართლო ამ კომპეტენციის ფარგლებშიც, მკაცრადაა შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აბსტრაქტული ნორმათკონტროლის დროს არ ექვემდებარება მსგავს შეზღუდვას და სადავო ნორმას აკონტროლებს ყველა სამართლებრივი, განსაკუთრებით - ძირითად უფლებებთან შესაბამისობის კუთხით. ის ასევე ამოწმებს არა მხოლოდ გასაჩივრებულ ნორმას, არამედ არსებითად მსგავს სხვა ნორმებსა და სამართლებრივი რეგულირების შესაბამის კომპლექსს მთლიანობაში.⁷⁰⁹ კონსტიტუციური სარჩელის შეტანა განიხილება ერთგვარ ბიძგად ობიექტური პროცესის დასაწყებად.⁷¹⁰ ამის შემდეგ საკითხის გადაწყვეტა გადადის სასამართლოს ხელში და ნაკლებადაა დამოკიდებული მოსარჩელის პოზიციაზე. ამ დროს საკონსტიტუციო სასამართლო მოძრაობს მისი, როგორც სასამართლო ორგანოს ფუნქციის ზღვარზე.⁷¹¹ ჩვენი აზრით, სასარჩელო მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს შეზღუდვა აბსტრაქტული ნორმათკონტროლის განხორციელებისას

⁷⁰⁷ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

⁷⁰⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁷⁰⁹ შეადარე: BVerfGE 1, 14 (41); 37, 363 (396 f.); 86, 148 (211); 93, 37 (65 f.); 97, 198 (214); 101, 239 (257); Hopfau, GG, Art. 93, Rn. 107.

⁷¹⁰ BVerfGE 1, 208 (219); 68, 346 (351); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 664.

⁷¹¹ Sturm, GG, Art. 93 GG, Rn. 52.

არ შეესატყვისება ამ უფლებამოსილების ობიექტურ ბუნებას და ხელს არ უწყობს მისი ფუნქციების სრულყოფილ განხორციელებას. ამავდროულად, სასამართლოს არც იმის შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს მიღმა გასვლისას არსებითად მოსწყდეს მის არსს და ისეთი საკითხები გადაწყვიტოს, რაც მოთხოვნას ორგანულად არ უკავშირდება.

4.2.5. შემოწმების მასშტაბი აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის ფარგლებში

456 როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის ფარგლებში, მოსარჩელემ შეიძლება, იდავოს კონსტიტუციის ნებისმიერი ფორმალური თუ მატერიალური მოთხოვნის დარღვევის თაობაზე. შესაბამისად, სადავო ნორმის შეფასების მასშტაბი შეიძლება იყოს სარჩელში მითითებული კონსტიტუციის ნებისმიერი დანაწესი, მათ შორის ძირითადი უფლების დამდგენი ნორმები, რასაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც ადასტურებს.⁷¹²

457 საკონსტიტუციო სასამართლო აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის განხორციელებისას არა მხოლოდ კონსტიტუციის ცალკეულ ნორმებს იყენებს შეფასების მასშტაბად, არამედ ხაზს უსვამს მათი გაანალიზების მნიშვნელობას ძირითადი კონსტიტუციური პრინციპებისა და ღირებულებების გათვალისწინებით.⁷¹³ იგი სრულად იზიარებს იმ სტანდარტს, რაც ჩამოყალიბდა ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში და გულისხმობს, რომ შემოწმების მასშტაბი, კონსტიტუციის კონკრეტულ ნორმებთან ერთად, მისი ფუნდამენტური პრინციპებიცაა. ამ თვალსაზრისით, სასამართლო წარმართავს მსჯელობას ერთიან კონტექსტში და ადგენს, თუ რამდენად თავსდება სადავო ნორმა კონსტიტუციურსამართლებრივი წესრიგისა და კონსტიტუციის სულისკვეთების ფარგლებში.⁷¹⁴

458 აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის დროს შემოწმების მასშტაბია მხოლოდ კონსტიტუცია და არა სხვა საკანონმდებლო აქტები. საკონსტიტუციო სასამართლომ

⁷¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 29 დეკემბრის №2/35 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის 48 წევრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება.

⁷¹³ №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-3.

⁷¹⁴ შუადარი: №2/35 გადაწყვეტილება, 3; №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-4,5.

ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კანონთა შორის კოლიზიაზე მსჯელობა, ანუ სადავო კანონის შემოწმება სხვა კანონთან მიმართებით, არ შედიოდა მის კომპეტენციაში და ის წყვეტდა მხოლოდ კონსტიტუციურსამართლებრივ საკითხებს.⁷¹⁵

4.2.6. შემოწმების ფორმა და შინაარსი აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის ფარგლებში

აბსტრაქტული ნორმატოკონტროლისას სადავო ნორმა შეიძლება, დაექვემდებაროს შემოწმებას როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კუთხით.⁷¹⁶ ამას ხაზს უსვამს საკონსტიტუციო სასამართლოც ამ კომპეტენციის ფარგლებში შეტანილი კონსტიტუციური სარჩელების განხილვისას: „...ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის მოთხოვნებს როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კონსტიტუციურობის თვალსაზრისით.“⁷¹⁷

ფორმალური კონტროლის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს ნორმატიული აქტების მიღების, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების მხოლოდ იმ წესების დაცვას, რაც დადგენილია კონსტიტუციით.⁷¹⁸ ამდენად, ის ვერ იმსჯელებს იმაზე, თუ რამდენადაა დაცული მიმდინარე კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები.⁷¹⁹ წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო შეიჭრება საერთო სასამართლოების კომპეტენციაში.

გარდა კონსტიტუციით დადგენილი პროცედურებისა, მოწმდება სადავო ნორმის კონსტიტუციის სხვა ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობაც. ამ კუთხით, გამოსაყოფია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ისეთი ფორმალური ელემენტები, როგორიცაა ხელისუფლების დანაწილება, მმართველობის კანონიერება, სასამართლოს დამოუკიდებლობა და ა.შ.⁷²⁰ საკონსტიტუციო

⁷¹⁵ №2/35 გადაწყვეტილება, 2.

⁷¹⁶ *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (256).

⁷¹⁷ №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-14.

⁷¹⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁷¹⁹ *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, გვ. 51 (57).

⁷²⁰ ფორმალურ ელემენტებთან დაკავშირებით შეადარე: *Huber*, Rechtsstaat und Sozialstaat in der modernen Industriegesellschaft, in: Forsthoef E. (Hrsg.), Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, S. 589 (593 f.); *Jarass*, GG, Art. 20, Rn. 30; *Papier*, Gewaltentrennung im Rechtsstaat, in: Merten D. (Hrsg.), Gewaltentrennung im Rechtsstaat. Zum 300. Geburtstag von Charles de Montesquieu; Vorträge und Diskussionsbeiträge der

სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, კანონის დათქმის პრინციპი ამ კონტექსტშიც აქტუალურია.⁷²¹ კონსტიტუცია პირდაპირ ითვალისწინებს ამა თუ იმ საკითხის მოწესრიგებას კანონით ან დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარე, საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის პარლამენტმა უნდა დაარეგულიროს. მაგალითად, კონსტიტუციის მიხედვით, საგადასახადო კონტროლს ახორციელებენ მხოლოდ კანონით განსაზღვრული საგადასახადო ორგანოები.⁷²² თუ მთავრობის დადგენილება, ანუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, შესაბამის უფლებამოსილებას მინიჭებს რომელიმე სხვა ორგანოს, დაირღვევა კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნა და ის სასამართლომ არაკონსტიტუციურად უნდა ცნოს.

462 საკონსტიტუციო სასამართლო მატერიალური კონტროლის ფარგლებში ამოწმებს სადავო ნორმის შინაარსის კონსტიტუციურობას.⁷²³ ამ დროს მხედველობაში მიიღება ნორმის არა მარტო სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, არამედ მასში გამოხატული ნამდვილი აზრი და მისი გამოყენების პრაქტიკა, ასევე იმ კონსტიტუციური ნორმის არსი, რომლის მიმართაც ის არის გასაჩივრებული.⁷²⁴ აბსტრაქტული ნორმატკონტროლისას ძირითადი უფლების დარღვევის შემოწმებისას სასამართლო იყენებს თანაზომიერების პრინციპს.⁷²⁵ ლოგიკურია, რომ ის, საჭიროების შემთხვევაში, სადავო ნორმის განსაზღვრულობის პრინციპთან შესაბამისობასაც შეამოწმებს.

463 აღსანიშნავია, რომ თანაზომიერებისა და განსაზღვრულობის პრინციპების გამოყენება, გარდა ძირითადი უფლებებისა, სხვა კონტექსტშიცაა შესაძლებელი.⁷²⁶ მაგალითად, ის მოქმედებს სახელმწიფო ორგანიზაციის სამართალშიც.⁷²⁷ იგივე შეიძლება ითქვას განსაზღვრულობის პრინციპზეც.⁷²⁸ მაგალითად, ის მოითხოვს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციის განსაზღვრულობას.⁷²⁹ მართალია,

57. Staatswissenschaftlichen Fortbildungstagung 1989 der Hochschule für Verwaltungswissenschaften Speyer, Berlin 1989, S. 95 (95); *Stern: Staatsrecht I*, S. 783.

⁷²¹ შეადარე: №2/35 გადაწყვეტილება, 1.

⁷²² საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁷²³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

⁷²⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁷²⁵ №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II – 35-40.

⁷²⁶ დეტალურად: იხ.: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 312 f.

⁷²⁷ *Schlink*, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, S. 445 (445 f., 448 f.); *Zippelius/Würtenberger*, Deutsches Staatsrecht, S. 125.

⁷²⁸ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 333.

⁷²⁹ შეადარე: *Sobota*, Rechtsstaat, S. 139.

უფლებამოსილებათა შესახებ დავა საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებელი კომპეტენციაა, თუმცა აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის ფარგლებშიცაა შესაძლებელი ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირის უფლებამოსილების დამდგენი ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება, როდესაც სადავო ნორმით უშუალოდ მოსარჩელის კონსტიტუციურ კომპეტენციაში შეჭრა არ ხდება.

4.2.7. კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შედეგები

აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის დროს გასაჩივრებული ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობის დადასტურება იწვევს სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (ex nunc).⁷³⁰ გადაწყვეტილების აღსრულების გადადების შესაძლებლობა ამ შემთხვევაშიც არსებობს, თუმცა სასამართლოს არ აქვს იმის უფლებამოსილება, რომ სადავო აქტი მისი გამოცემის მომენტიდან ცნოს არაკონსტიტუციურად. ეს აუცილებელი იქნებოდა, როდესაც კონსტიტუციის ნორმებისა და პრინციპების დაცვის ინტერესი გადაწონიდა სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესს და სხვაგვარად ვერ მოხდებოდა არაკონსტიტუციური ნორმით გამოწვეული ნეგატიური შედეგების აღმოფხვრა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდეს კონკრეტულ შემთხვევაში, სიკეთეთა აწონ-დაწონვის საფუძველზე, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტის განსაზღვრის უფლებამოსილება.⁷³¹

464

4.3. საერთო სასამართლოს წარდგინება

4.3.1. საერთო სასამართლოს წარდგინების არსი, მნიშვნელობა და ისტორია

კონსტიტუციის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო

465

⁷³⁰ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁷³¹ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 180.

სასამართლომ და რომელიც, მისი საფუძვლიანი ვარაუდით, შეიძლება, ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.⁷³² საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის შემთხვევაში, საერთო სასამართლო აჩერებს შესაბამისი საქმის განხილვას, რომელიც განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.⁷³³

466 საერთო სასამართლოს წარდგინება ხელს უწყობს ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპების განხორციელებას.⁷³⁴ ის ობიექტური ხასიათისაა,⁷³⁵ რამდენადაც მიზნად ისახავს არა წარდგინების ავტორის სუბიექტური ინტერესების, არამედ კონსტიტუციის უზუნაესობისა და მისი მოთხოვნების დაცვას სამართლებრივ სახელმწიფოში.⁷³⁶ წარდგინების ინსტიტუტი ემსახურება საერთო სასამართლოთა შეზღუდვას კონსტიტუციით და მათ მიერ არაკონსტიტუციური ნორმების გამოყენების პრევენციას.⁷³⁷ როდესაც არაკონსტიტუციური ნორმა სამართლებრივ შედეგებს იწვევს, ირღვევა არა მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს, არამედ დემოკრატიის პრინციპიც.⁷³⁸ ამდენად, საერთო სასამართლოს წარდგინებას დემოკრატიის დაცვაშიც შეაქვს წვლილი. ის ასევე გვევლინება ინსტრუმენტად სასამართლო ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების დასაბალანსებლად.⁷³⁹

467 საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების საფუძველი სასამართლო შემოწმების უფლებამოსილებაა.⁷⁴⁰ შემოწმების მასშტაბად კონსტიტუციის გამოყენების შესაძლებლობა არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს, არამედ

⁷³² საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁷³³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷³⁴ დეტალურად: იხ: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (256-257); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 227 f.

⁷³⁵ მაგალითად იხ.: BVerfGE 2, 213 (217); 42, 90 (91); 72, 51 (59, 62); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 759; Müller-Terpitz, GG, Art. 100, Rn. 1; Stern, GG, Art. 100, Rn. 4.

⁷³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზუნაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზუნაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-5, 6; ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, გვ. 522 (529).

⁷³⁷ შეადარე: №3/1/608,609 გადაწყვეტილება, II-5; BVerfGE 45, 63 (74); Sieckmann, GG, Art. 100, Rn. 3; Sturm G. (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011, Rn. 4.

⁷³⁸ Schmidt, Staatsorganisationsrecht, S. 271.

⁷³⁹ დეტალურად: იხ.: Stern, GG, Art. 100, Rn. 14.

⁷⁴⁰ შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (257); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 753; Federer, Aufbau, Zuständigkeit und Verfahren des Bundesverfassungsgerichts, S. 59 (68); Ipsen, Staatsrecht I, S. 255; Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 532. სასამართლო შემოწმების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით დეტალურად: იხ.: ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, გვ. 522 (528).

საერთო სასამართლოებსაც აქვს.⁷⁴¹ სასამართლო შემოწმების უფლებამოსილება მოსამართლის კონსტიტუციითა და კანონით შეზღუდვის პრინციპიდან გამომდინარეობს და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის რეალიზებას ემსახურება.⁷⁴² საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიერ ნორმატიული აქტების, განსაკუთრებით კანონების, კონსტიტუციურობის შემოწმება, კონსტიტუციის უზენაესობასთან ერთად, ხელისუფლების ძირითადი უფლებებით შეზღუდვასა და ინდივიდთა ეფექტიან სამართლებრივ დაცვასაც უზრუნველყოფს.⁷⁴³

საერთო სასამართლოს არ აქვს არაკონსტიტუციურობის გამო ნორმის ძალადაკარგულად ცნობის უფლებამოსილება. ამ შემთხვევაში, მან წარდგინებით უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელსაც აქვს არაკონსტიტუციური ნორმების გაუქმების მონოპოლია.⁷⁴⁴ ეს მონოპოლია გამართლებულია, განსაკუთრებით საკანონმდებლო აქტების მიმართ, რადგანაც პირდაპირი დემოკრატიული ლეგიტიმაციის მქონე კანონმდებლის ნების დაძლევა ნებისმიერ სასამართლოს არ უნდა ხელეწიფებოდეს.⁷⁴⁵ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ამ უფლებამოსილების ექსკლუზიურად მინიჭებას ხსნიან საერთო სასამართლოების არაერთგვაროვანი პრაქტიკის პრევენციის ინტერესითაც.⁷⁴⁶ მნიშვნელოვან საკონსტიტუციო-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით არათანმიმდევრული და განსხვავებული მიდგომები დააზიანებს სამართლებრივ უსაფრთხოებას.

ზემოაღნიშნული მონოპოლია არ გულისხმობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო იერარქიულად საერთო სასამართლოებზე მაღლა დგას. ეს უფრო ერთგვარი „შრომის განაწილება“ არის საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის.⁷⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად შენიშნავს, რომ სახეზეა სასამართლო სისტემების თანამშრომლობა კონსტიტუციური ღირებულებების დასაცავად. მის ფარგლებში „...საერთო სასამართლოები კონკრეტული სამართალწარმოების მაგალითზე ახდენენ პრობლემის

⁷⁴¹ შეადარე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 753; *Ipsen*, Staatsrecht I, S. 255.

⁷⁴² *Maunz* (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: *Maunz Th.*, Dürig G. (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band VI, München seit 1958, Rn. 2; *Stern*, GG, Art. 100, Rn. 12.

⁷⁴³ *Sieckmann*, GG, Art. 100, Rn. 3.

⁷⁴⁴ *Ipsen*, Staatsrecht I, S. 256.

⁷⁴⁵ შეადარე: BVerfGE 1, 184 (197 f.).

⁷⁴⁶ შეადარე: BVerfGE 1, 184 (199 f.); ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 48-49; *Sturm*, GG, Art. 100, Rn. 5.

⁷⁴⁷ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 157 f.

468

469

იდენტიფიცირებას და საკონსტიტუციო სამართალწარმოების ინიცირებას, საკონსტიტუციო სასამართლო კი უზრუნველყოფს სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასებას და კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში, არაკონსტიტუციური ნორმის გაუქმებას.⁷⁴⁸

470 წარდგინება უკავშირდება საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვას. აქედან გამომდინარე, ამ დროს საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს კონკრეტულ ნორმატიკონტროლს,⁷⁴⁹ რომელიც გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (აშშ, გერმანია, ავსტრია, არგენტინა, ბრაზილია, დანია და ა.შ.).⁷⁵⁰ საერთო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად გამოსაყენებელი ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმების წინაპირობა კონკრეტული საქმის განხილვაა. ის სწორედ ამ პროცესში უნდა მივიღეს დასკვნამდე, რომ ნორმა არაკონსტიტუციურია. გარდა ამისა, თუ საქმის განხილვა არ მიმდინარეობს, ობიექტურად შეუძლებელია კანონმდებლობის იმ მოთხოვნის დაცვა, რომ წარდგინების შეტანასთან ერთად, საქმის განხილვაც უნდა შეჩერდეს. საკონსტიტუციო სასამართლო ამ კონტექსტში მართებულად აღნიშნავს: „საქმის განხილვის შეჩერება, ცხადია, გამორიცხულია იმ პირობებში, როცა განხილვა არ დაწყებულა.“⁷⁵¹

471 წარდგინების არსის სწორად გაგებისთვის რელევანტურია საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა საერთო სასამართლოს ვალდებულებად უნდა განვიხილოთ, თუ უფლებამოსილებად.⁷⁵² ამ თვალსაზრისით, საინტერესოა გერმანული გამოცდილება, სადაც წარდგინების გაკეთება საერთო სასამართლოსთვის ერთდროულად უფლებამოსილებაცაა და ვალდებულებაც.⁷⁵³ საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეს მიდგომა ქართულ მოდელზე შეიძლება გავავრცელოთ. მოსამართლე თავის საქმიანობაში ემორჩილება კონსტიტუციას.⁷⁵⁴ სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის სასამართლოს, საქმიანობა შეზღუდულია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული

⁷⁴⁸ №3/1/608,609 გადაწყვეტილება, II-6.

⁷⁴⁹ შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (256); ხეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 53-54; Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 757; Schmidt, Staatsorganisationsrecht, S. 271; Sieckmann, GG, Art. 100, Rn. 1.

⁷⁵⁰ დეტალურად: იხ.: ხეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 46-49.

⁷⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის №1/3/99 განჩინება საქმეზე „თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, 3.

⁷⁵² დეტალურად: იხ.: ხეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 63-65.

⁷⁵³ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 770; Ipsen, Staatsrecht I, S. 256; Schmidt, Staatsorganisationsrecht, S. 273; Sieckmann, GG, Art. 100, Rn. 7; Sturm, GG, Art. 100, Rn. 2, 8.

⁷⁵⁴ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტი.

უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით⁷⁵⁵ და ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.⁷⁵⁶ თუ საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება დაეფუძნება არაკონსტიტუციურ ნორმას, დაირღვევა საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული პრინციპები. აქედან გამომდინარე, კონკრეტული საქმის განხილვისას ნორმის არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საფუძვლიანი ვარაუდის წარმოშობის შემთხვევაში, სასამართლო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია, იმოქმედოს კონსტიტუციის შესაბამისად, არ დაეყრდნოს საეჭვო ნორმას და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.⁷⁵⁷

კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქცია პირდაპირ არ ითვალისწინებდა საერთო სასამართლოს წარდგინების ინსტიტუტს, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვაზე უფლებამოსილ სუბიექტებს შორის იყო სასამართლოც.⁷⁵⁸ ის ასევე იძლეოდა ორგანული კანონით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციით გაუთვალისწინებელი უფლებამოსილებების მინიჭების შესაძლებლობას.⁷⁵⁹ 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით, საერთო სასამართლოს წარდგინება აისახა კონსტიტუციაში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ჩამონათვალში.

472

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტს თავიდანვე ითვალისწინებდა და შემდეგნაირად აყალიბებდა: „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.“⁷⁶⁰ 2018 წლის 21 ივლისის ორგანული კანონით აღნიშნული ნორმა შეიცვალა. კონსტიტუციის

473

⁷⁵⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷⁵⁶ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

⁷⁵⁷ შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (257); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 224.

⁷⁵⁸ 89-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁷⁵⁹ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

⁷⁶⁰ მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.

„მოსარჩელე“. წარდგინების ავტორი უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე პირობას. პირველ რიგში, ის უნდა იყოს საერთო სასამართლო. თუმცა, წარდგინების შეტანის უფლებამოსილება არა ნებისმიერ სასამართლოს აქვს, არამედ კონკრეტული საქმის განმხილველ სასამართლოს, რომლის ფარგლებშიც არის გამოსაყენებელი სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმა.

წარდგინების ავტორთა წრის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია დავაზუსტოთ, თუ რას ნიშნავს ტერმინი „საერთო სასამართლო“. უპირველეს ყოვლისა, ამ კითხვაზე პასუხს კონსტიტუცია იძლევა. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, რომელთა სისტემა განისაზღვრება ორგანული კანონით. საერთო სასამართლოების სისტემაში შეიძლება შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლოები, ხოლო საომარი მდგომარეობის დროს - ასევე სამხედრო სასამართლო. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, საერთო სასამართლოებში საქმეები შეიძლება, განიხილონ ნაფიცმა მსაჯულებმა.⁷⁶⁷ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში დაკონკრეტებულია, რომ საერთო სასამართლოებია რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო და უზენაესი სასამართლო.⁷⁶⁸

476

როგორც ვხედავთ, კონსტიტუცია და კანონმდებლობა ქმნის ნათელ წარმოდგენას საერთო სასამართლოების სისტემის შესახებ. წარდგინების ავტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოსამართლე ან სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა, რომელიც მიეკუთვნება ამ სისტემას.⁷⁶⁹ მნიშვნელოვანია, საერთო სასამართლოში საქმე ერთპიროვნულად განიხილება თუ კოლეგიურად. როდესაც განხილვა კოლეგიურად მიმდინარეობს, მასში მონაწილე მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, დამოუკიდებლად მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.⁷⁷⁰

477

წარდგინების ავტორთან დაკავშირებით ბუნდოვან და ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი. ის, ერთი მხრივ, მიუთითებს საქმის განმხილველი სასამართლოს საკონსტიტუციო

478

პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; 31³ მუხლის მე-2 პუნქტი; 31⁴ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები; 42-ე მუხლის პირველი პუნქტი; 43-ე მუხლის 1³ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

⁷⁶⁷ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁷⁶⁸ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

⁷⁶⁹ შეადარე: *ბეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 58; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 223.

⁷⁷⁰ №1/3/99, 2; ბეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 61-62.

სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილებაზე.⁷⁷¹ მეორე მხრივ, უზენაესი სასამართლოს პლენუმთან დაკავშირებით ვხვდებით ჩანაწერს, რომ ის უფლებამოსილია „საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკრეტული საქმის განხილვასთან და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს წარდგინება ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე.“⁷⁷² პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს პლენუმის კომპეტენციაში არ შედის კონკრეტული საქმეების განხილვა და ის ვერ იქნება „საქმის განმხილველი სასამართლო“. გარდა ამისა, საერთო სასამართლოს წარდგინების შეტანას კონსტიტუცია უკავშირებს კონკრეტული საქმის განხილვას და არა სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საჭიროებას. ნიშანდობლივია, რომ ორგანული კანონი მიუთითებს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომელიც ძალადაკარგულია. ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი ამ ნაწილში ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ცვლილებას საჭიროებს.⁷⁷³

479

საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ადრეულ პრაქტიკაში წარდგინების ავტორთა წრე დაავიწროვა.⁷⁷⁴ მისი პოზიციით, წარდგინების შეტანა შეეძლო მხოლოდ სასამართლოს, როგორც კოლეგიურ ორგანოს და არა მოსამართლეს ერთპიროვნულად.⁷⁷⁵ მოგვიანებით მიღებულ განჩინებებში საკონსტიტუციო სასამართლო უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ მისთვის წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილება ჰქონდა შესაბამის სასამართლო დაწესებულებას, სადაც საქმე განიხილებოდა. მან არარეგულარულად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქმის განხილვა მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად ხდებოდა და ის მაინც არ ჩათვალა წარდგინების შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტად.⁷⁷⁶ პარლამენტმა სათანადო რეაგირება მოახდინა ამ არასწორ პრაქტიკაზე. 2002 წლის 12 თებერვალს,

⁷⁷¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁷⁷² „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

⁷⁷³ დეტალურად: იხ.: ხეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 59-61.

⁷⁷⁴ დეტალურად: იხ.: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (257); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 223 f.

⁷⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 27 მაისის №2/49/1 განჩინება საქმეზე „ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს წარდგინება“, 1.

⁷⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის №1/6/115 განჩინება საქმეზე „ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 30 ნოემბრის №1/8/116 განჩინება საქმეზე „ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება“.

სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილებაზე.⁷⁷¹ მეორე მხრივ, უზენაესი სასამართლოს პლენუმთან დაკავშირებით ვხვდებით ჩანაწერს, რომ ის უფლებამოსილია „საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკრეტული საქმის განხილვასთან და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს წარდგინება ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე.“⁷⁷² პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს პლენუმის კომპეტენციაში არ შედის კონკრეტული საქმეების განხილვა და ის ვერ იქნება „საქმის განმხილველი სასამართლო“. გარდა ამისა, საერთო სასამართლოს წარდგინების შეტანას კონსტიტუცია უკავშირებს კონკრეტული საქმის განხილვას და არა სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საჭიროებას. ნიშანდობლივია, რომ ორგანული კანონი მიუთითებს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომელიც ძალადაკარგულია. ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი ამ ნაწილში ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ცვლილებას საჭიროებს.⁷⁷³

479 საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ადრეულ პრაქტიკაში წარდგინების ავტორთა წრე დაავიწროვა.⁷⁷⁴ მისი პოზიციით, წარდგინების შეტანა შეეძლო მხოლოდ სასამართლოს, როგორც კოლექტიურ ორგანოს და არა მოსამართლეს ერთპიროვნულად.⁷⁷⁵ მოგვიანებით მიღებულ განჩინებებში საკონსტიტუციო სასამართლო უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ მისთვის წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილება ჰქონდა შესაბამის სასამართლო დაწესებულებას, სადაც საქმე განიხილებოდა. მან არარელევანტურად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქმის განხილვა მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად ხდებოდა და ის მაინც არ ჩათვალა წარდგინების შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტად.⁷⁷⁶ პარლამენტმა სათანადო რეაგირება მოახდინა ამ არასწორ პრაქტიკაზე. 2002 წლის 12 თებერვალს,

⁷⁷¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁷⁷² „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

⁷⁷³ დეტალურად: იხ.: ხევერიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 59-61.

⁷⁷⁴ დეტალურად: იხ.: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (257); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 223 f.

⁷⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 27 მაისის №2/49/1 განჩინება საქმეზე „ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს წარდგინება“, 1.

⁷⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის №1/6/115 განჩინება საქმეზე „ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 30 ნოემბრის №1/8/116 განჩინება საქმეზე „ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება“.

სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებთან ერთად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 42-ე მუხლს დამატა მე-2 პუნქტი, სადაც გარკვევით მიეთითა, რომ საქმის განმხილველი სასამართლოს წარდგინებად ითვლება საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის ან საქმის განმხილველი სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის გადაწყვეტილებით მიღებული წარდგინება. ეს მკაფიო ჩანაწერი აღარ იძლევა მცდარი ინტერპრეტაციის საფუძველს.

ქართული მოდელი არ ადგენს განსხვავებებს საერთო სასამართლოების სისტემაში საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილების თვალსაზრისით. მსგავსი მიდგომაა გერმანულ მოდელშიც.⁷⁷⁷ თუმცა, განსხვავებული გამოცდილებაც არსებობს. მაგალითად, ბულგარეთში საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილებით სარგებლობს უმაღლესი საკასაციო სასამართლო ან უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო, თუ საქმის განხილვისას დაასკვნის, რომ კანონი კონსტიტუციას არ შეესაბამება.⁷⁷⁸ ამგვარი დიფერენციაცია წარდგინებას პრივილეგიად აქცევს, რაც ეწინააღმდეგება ამ კომპეტენციის არსსა და საფუძველს.⁷⁷⁹

480

საერთო სასამართლოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლია მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვისას. წარდგინების შეტანა სხვა შემთხვევებშიც რომ იყოს დასაშვები, ფაქტობრივად აბსტრაქტულ ნორმატივობას მივიღებდით, რაც არ შეესაბამება ამ კომპეტენციის ბუნებას. საქმის განხილვის პერიოდზე მითითება დროის იმ მონაკვეთს აზუსტებს, როდესაც შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა. თუ საქმის განხილვა არ დაწყებულა, სასამართლოს ვერ ექნება წარმოდგენა გამოსაყენებელი ნორმებისა და მათი კონსტიტუციურობის შესახებ. ნორმის არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საფუძველიანი ვარაუდი მას სწორედ განხილვის პროცესში უნდა ჩამოუყალიბდეს.⁷⁸⁰ აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უარს აცხადებს წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებაზე, თუ საერთო სასამართლოში საქმის განხილვა ჯერ არ დაწყებულა.⁷⁸¹ წარდგინება

481

⁷⁷⁷ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 223.

⁷⁷⁸ ბულგარეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 150-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷⁷⁹ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 223.

⁷⁸⁰ შეადარე: *ტეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 58-59.

⁷⁸¹ №1/3/99 განჩინება, 1.

ასევე დაუშვებელი და აზრს მოკლებული იქნება, როდესაც სასამართლომ საქმის განხილვა დაასრულა და გადაწყვეტილება გამოიტანა. ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმა აღარაა მნიშვნელოვანი იმ გადაწყვეტილებისთვის, რომელიც უკვე მიღებულია.

482 საერთო სასამართლოს წარდგინების განხილვაში არ მონაწილეობს მოპასუხე. წარდგინების ავტორს არ აქვს ის უფლებები, რაც მოსარჩევეებს სხვა კომპეტენციების ფარგლებში. ის უარსაც ვერ იტყვის კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და ვერ მოითხოვს საქმის შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოში.⁷⁸² წარდგინების არსებითი განხილვა წარიმართება წარდგინების ავტორისა და მისი წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, მოიწვიოს წარდგინების ავტორი და მოისმინოს მისი განმარტება, მაგრამ მას მხარედ არ აღიარებს.⁷⁸³ საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, „ეს პროცესუალური ნორმები მიუთითებს, რომ საერთო სასამართლოები კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის ფარგლებში მოქმედებენ საჯარო ინტერესის დასაცავად და ისინი არ წარმოადგენენ პროცესის დამოუკიდებელ მონაწილეებს, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი ინტერესი.“⁷⁸⁴ ამდენად, საერთო სასამართლოს წარდგინების განხილვისას პროცესს არ აქვს კონტრადიქტორული ხასიათი, რაც ამ კომპეტენციის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარეობს.⁷⁸⁵

4.3.3. საერთო სასამართლოს საფუძვლიანი ვარაუდის სტანდარტი

483 კონსტიტუცია და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის წინაპირობად განსაზღვრავს, რომ საერთო სასამართლოს უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი ვარაუდი ნორმის არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. 2018 წლის 21 ივლისს განხორციელებულ ცვლილებამდე ორგანული კანონი მიუთითებდა საკმარის საფუძველზე. აქვე აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“

⁷⁸² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

⁷⁸³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27³ მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷⁸⁴ №3/1/608,609 გადაწყვეტილება, II-6.

⁷⁸⁵ შეადარე: *Benda/Klein, Verfassungsprozessrecht*, Rn. 862.

ორგანულ კანონში ჩარჩენილია მითითება საკმარის საფუძველზე,⁷⁸⁶ რაც კორექტირებას საჭიროებს.

საერთო სასამართლოს წარდგინების დასაბუთება აუცილებელია. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, სასამართლომ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც, მისი აზრით, ადასტურებს წარდგინების საფუძვლიანობას.⁷⁸⁷ საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკაშიც მოითხოვს წარდგინების დასაბუთებას და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენას.⁷⁸⁸ ის საკმარისად არ თვლის ზოგად მსჯელობებსა და მითითებებს.⁷⁸⁹ საერთო სასამართლოს წარდგინებაში „გამოკვეთილი და ცხადი უნდა იყოს როგორც მოთხოვნის შინაარსი, ისე მისი საგნობრივი შემხებლობა კონსტიტუციის შესაბამის დებულებებთან.“⁷⁹⁰

484

„საკმარისი საფუძვლის“ სტანდარტის ჩანაცვლება „საფუძვლიანი ვარაუდის“ სტანდარტით, სავარაუდოდ, დასაბუთებულობის უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს საერთო სასამართლოს წარდგინებას. მისმა ავტორმა არა მხოლოდ მოთხოვნის შინაარსი და კონსტიტუციის შესაბამის დებულებებთან საგნობრივი შემხებლობა უნდა ჩამოაყალიბოს, არამედ წარმოადგინოს საფუძვლიანი არგუმენტები შესამოწმებელი ნორმის არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია, რომ „წარდგინებაში მკაფიოდ იკვეთებოდეს კონსტიტუციური პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც სურს კონსტიტუციური წარდგინების ავტორს“,⁷⁹¹ შეიძლება, არასწორად აღიქვან საერთო სასამართლოებმა, რაც შექმნის წარდგინების „შეკითხვა-წარდგინებად“ ტრანსფორმირების საფრთხეს.⁷⁹² მართალია, მსგავსი ინსტიტუტი მოლდოვასა⁷⁹³ და პოლონეთში⁷⁹⁴ არსებობს, მაგრამ ქართული მოდელისთვის ის უცხოა. თვით

485

⁷⁸⁶ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁷⁸⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 31¹ მუხლის მე-13 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

⁷⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 1 აპრილის №2/88/1 განჩინება საქმეზე „ქ. ჭიათურის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 26 იანვრის №13/270 განჩინება საქმეზე „ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს წარდგინება საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1.

⁷⁸⁹ შეადარე: №1/8/116 განჩინება.

⁷⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 10 ივლისის №9/189 განჩინება საქმეზე „ქ. თბილისის კრწანისი - მთაწმინდის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, 3.

⁷⁹¹ №3/1/608,609 გადაწყვეტილება, II-8.

⁷⁹² შეადარე: ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, გვ. 522 (529).

⁷⁹³ იხ. მოლდოვის რესპუბლიკის კონსტიტუციის 135-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁷⁹⁴ იხ. პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 193-ე მუხლი.

საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, რომ წარდგინების განხილვის მიზანია გადაწყვეტილების მიღება ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით და არა განმარტების მიცემა მისი ავტორისთვის.⁷⁹⁵

486 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონი, რომელიც ამ საქმისთვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რის შემდეგაც საქმის განხილვა განახლდება.“ წარდგინების დასაბუთებულობის სტანდარტი აქ უფრო დაბალია, ვიდრე ამას კონსტიტუცია და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი მოითხოვს. სასამართლოს „აზრი“, რომელიც შეიძლება ზედაპირულ მოსაზრებასაც გულისხმობდეს, უნდა ჩანაცვლდეს „საფუძვლიანი ვარაუდით“. გარდა ამისა, კოდექსმა უნდა მიუთითოს, თუ ვინ არის უფლებამოსილი, წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.⁷⁹⁶

487 გერმანული მიდგომით, წარდგინების ავტორი დარწმუნებული უნდა იყოს ნორმის არაკონსტიტუციურობაში.⁷⁹⁷ უბრალო ეჭვი, განსხვავებით ესპანური და იტალიური მოდელებისგან,⁷⁹⁸ ასევე ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევის ინტერესი საკმარისი არ არის.⁷⁹⁹ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს, რომ საერთო სასამართლომ წარდგინების შეტანამდე შესაბამისი ნორმის კონსტიტუციურობა გულდასმით შეამოწმოს.⁸⁰⁰ ამისთვის მან უნდა განახორციელოს როგორც საეჭვო ნორმის, ისე კონსტიტუციის იმ ნორმის, რომელსაც, მისი აზრით, არღვევს შესაბამისი ნორმა, სათანადო ინტერპრეტაცია,⁸⁰¹ გასაგებად და სრულყოფილად ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია.⁸⁰²

488 საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა იძლევა ზემოაღნიშნული გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას,⁸⁰³ ისევე როგორც იმ მიდგომისა, რომ

⁷⁹⁵ №13/270 განჩინება, 1.

⁷⁹⁶ *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 52.

⁷⁹⁷ მაგალითად იხ.: Ipsen, Staatsrecht I, S. 258.

⁷⁹⁸ *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 807.

⁷⁹⁹ *Mager*, Staatsrecht I, S. 311; *Maunz*, GG, Art. 100, Rn. 35; *Meyer*, GG, Art. 100, Rn. 22; *Sturm*, GG, Art. 100, Rn. 15.

⁸⁰⁰ BVerfGE 105, 48 (56).

⁸⁰¹ *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 810.

⁸⁰² BVerfGE 65, 265 (2820); 66, 265 (269 f.); 88, 70 (74); 105, 48 (56); *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 814.

⁸⁰³ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 226.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვას ჰქონდეს სუბსიდიური ხასიათი.⁸⁰⁴ თუ პრობლემის გადაჭრა საერთო სასამართლოს თავის კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია, მაგალითად, საეჭვო ნორმის კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების გზით, საკონსტიტუციო სასამართლოს ჩართულობის აუცილებლობა აღარ არსებობს.⁸⁰⁵

წარდგინება უშუალოდ მისმა ავტორმა უნდა დაასაბუთოს. ის საკუთარი პასუხისმგებლობით იღებს გადაწყვეტილებას და ეყრდნობა თავის და არა სხვათა რწმენას.⁸⁰⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „სწორედ საერთო სასამართლო უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში დაისვას ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხი“.⁸⁰⁷ ერთ-ერთ საქმეში საერთო სასამართლო მიუთითებდა, რომ წარდგინება შეადგინა მოქალაქის კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე. საკონსტიტუციო სასამართლომ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კონსტიტუციური წარდგინება საერთო სასამართლოში არსებული საქმის სათანადო მონაცემებით უნდა ყოფილიყო დასაბუთებული.⁸⁰⁸ ამასთანავე, მან არ გამოიციხა საერთო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარის მიერ შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის თაობაზე,⁸⁰⁹ მაგრამ „კონსტიტუციური წარდგინების აუცილებლობამდე სასამართლო დამოუკიდებლად მიდის და არა პროცესის მონაწილეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების გზით. იმ კანონის თუ სხვა ნორმატიული აქტის განსაზღვრა, რომელიც კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას უნდა იქნეს გამოყენებული, სწორედ სასამართლოს მიერაა შესაფასებელი.“⁸¹⁰ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიუღებელია, როდესაც წარდგინებაში მოყვანილი მტკიცებულებები ძირითადად გადმოტანილია მოსარჩელის სასარჩელო განცხადებიდან და შუამდგომლობიდან. წარდგინების ავტორმა უნდა მიუთითოს იმ

489

⁸⁰⁴ შეადარე: *Sturm*, GG, Art. 100, Rn. 6.

⁸⁰⁵ შეადარე: BVerfGE 68, 337 (344); 96, 315 (324 f.); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 812; *Sturm*, GG, Art. 100, Rn. 15, 21.

⁸⁰⁶ BVerfGE 68, 337 (345); 78, 1 (6); *ხევერიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 66-67; *Sturm*, GG, Art. 100, Rn. 15.

⁸⁰⁷ №9/189 განჩინება, 6.

⁸⁰⁸ №1/8/116 განჩინება.

⁸⁰⁹ შეადარე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 765.

⁸¹⁰ №9/189 განჩინება, 6.

მტკიცებულებებზე, რომლებიც მისი „...და არა მოსარჩელის აზრით, ადასტურებენ კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას.“⁸¹¹

490 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში, სასამართლო განხილვის შეჩერებას მხარის შუამდგომლობით.⁸¹² წარდგინების შეტანა და საქმის განხილვის შეჩერება ერთმანეთთან ორგანულადაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, არსებობს კოდექსის ჩანაწერის ისეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, თითქოს საერთო სასამართლოს წარდგინება სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მხარის შუამდგომლობაზეა დამოკიდებული. ამგვარი განმარტება დაარღვევდა კონსტიტუციისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მოთხოვნებს, ასევე, წინააღმდეგობაში მოვიდოდა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან.⁸¹³

4.3.4. საერთო სასამართლოს წარდგინების საგანი

4.3.4.1. წარდგინების საგნის ნაწილები

491 როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთო სასამართლოს წარდგინების განხილვას კონტრადიქტორული ხასიათი არ აქვს. ამ დროს მიმდინარეობს არა დავა მხარეებს შორის, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იმ ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება, რომელიც, წარდგინების ავტორის აზრით, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. აქედან გამომდინარე, ამ და სხვა მსგავსი კომპეტენციების კონტექსტში, მართებული იქნება ტერმინის „წარდგინების საგანი“ და არა „დავის საგანი“ გამოყენება.

492 წარდგინების საგანი საერთო სასამართლოს წარდგინების ფარგლებში ორნაწილიანია:

- 1) შესამოწმებელი ნორმა;
- 2) კონსტიტუციის ნორმა, რომელთან მიმართებაშიც უნდა დადგინდეს შესამოწმებელი ნორმის კონსტიტუციურობა.

⁸¹¹ №13/270 განჩინება, 3.

⁸¹² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁸¹³ შუადარე: *ბუგურაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 52-53.

კონსტიტუციიდან და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 493
 ორგანული კანონიდან გამომდინარე, შესამოწმებელი ნორმა შეიძლება იყოს
 ნებისმიერი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი, საერთაშორისო ხელშეკრულებების
 ჩათვლით. მაგალითად, 2002 წლის 21 მაისის №8/177/2 გადაწყვეტილებაში საქმეზე
 „ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური
 წარდგინება“ საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა „ადგილმდებარეობის შესახებ
 საქართველოს რესპუბლიკასა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის
 შეთანხმების“ მე-3 მუხლის კონსტიტუციურობა. ლოგიკურია, რომ საერთო
 სასამართლოს წარდგინების საგანი ვერ იქნება კონსტიტუცია და კონსტიტუციური
 კანონი, რადგანაც ის შემოწმების მასშტაბია და არა ობიექტი.

შესამოწმებელი ნორმების წრეს ავიწროებს სისხლის სამართლის საპროცესო 494
 კოდექსი, რომელიც მხოლოდ კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე უშვებს
 საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვას.⁸¹⁴ ანალოგიური მდგომარეობაა
 სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან დაკავშირებით.⁸¹⁵ საპროცესო კოდექსები ამ
 ნაწილში აუცილებელ ცვლილებებს საჭიროებს, რადგანაც ეწინააღმდეგება როგორც
 კონსტიტუციას, ასევე ორგანულ კანონს „საქართველოს საკონსტიტუციო
 სასამართლოს შესახებ“.⁸¹⁶

საერთო სასამართლოს წარდგინების ფარგლებში შემოწმებას შეიძლება, 495
 დაექვემდებაროს როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე აქტები.
 ამასთან, შედარებით დაბალია კანონქვემდებარე აქტებთან დაკავშირებით
 საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის ალბათობა. ისინი საკანონმდებლო
 აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და მათ შესასრულებლად გამოიყენა.⁸¹⁷
 საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს
 კანონქვემდებარე აქტების მიმართ.⁸¹⁸ აქედან გამომდინარე, კანონქვემდებარე
 აქტთან დაკავშირებული პრობლემა უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელია, გადაწყდეს
 თვით საერთო სასამართლოს მიერ მისი კანონიერების შემოწმებით. კოლიზიისას
 უპირატესობა უნდა მიენიჭოს საკანონმდებლო აქტს. კანონქვემდებარე აქტთან
 დაკავშირებით წარდგინების შეტანის ალბათობა იმ შემთხვევაში იზრდება, როდესაც

⁸¹⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

⁸¹⁵ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი.

⁸¹⁶ დეტალურად: იხ.: *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 52-55.

⁸¹⁷ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტი.

⁸¹⁸ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი.

საერთო სასამართლოს მის გარდა გადაწყვეტილების მიღების სხვა მასშტაბი არ მოეპოვება.

496 საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს მხოლოდ ნორმატიული და არა სხვა სახის სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობას.⁸¹⁹ წარდგინების ავტორმა ნათლად და გამოკვეთილად უნდა მიუთითოს იმ ნორმაზე, რომლის კონსტიტუციურობის დადგენასაც ითხოვს.⁸²⁰ აქტის ნორმატიულობის გასარკვევად, სხვა კომპეტენციების მსგავსად, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ ფორმალური, არამედ შინაარსობრივი მხარეც. ამ კუთხით, არასწორი იყო პოზიცია, როდესაც ინსტრუქციები, რომლებიც აწესრიგებდა საზღვარგარეთ დროებით მყოფი, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების რეგისტრაციისა და მათზე პირადობის მოწმობებისა და პასპორტების გაცემის წესს, არ ჩაითვალა ნორმატიულ აქტებად იმ ფორმალური მიზეზის გამო, რომ არ იყვნენ რეგისტრირებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში.⁸²¹

497 შესამოწმებელ ნორმას უნდა ჰქონდეს მიმართება საერთო სასამართლოს განსახილველ კონკრეტულ საქმესთან.⁸²² კონსტიტუციისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ფორმულირებები, ამ კუთხით, განსხვავდება ერთმანეთისგან. კონსტიტუცია მიუთითებს იმ ნორმატიული აქტზე, „რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლო“, ხოლო ორგანული კანონი კი - ნორმატიულ აქტზე, „რომელიც სასამართლომ.. საქმის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს.“ კონსტიტუცია და ორგანული კანონი ისე ვიწროდ არ უნდა განიმარტოს, რომ გადამეტებულად შეიზღუდოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობა, როდესაც ამის ობიექტური აუცილებლობა არსებობს. ამასთანავე, არც ისეთი ფართო ინტერპრეტაციაა გონივრული, რაც წარდგინებას დაუშვებდა საქმესთან შემხებლობაში მყოფ ნებისმიერ ნორმასთან დაკავშირებით. ამით კონკრეტული ნორმატოკონტროლი ფაქტობრივად აბსტრაქტულ ნორმატოკონტროლად გარდაიქმნებოდა, რისი ინიცირების უფლებამოსილებაც საერთო სასამართლოს არ აქვს. ამდენად, აუცილებელია ბალანსირებული მიდგომა, რისი

⁸¹⁹ №9/189 განჩინება, 2; ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, გვ. 522 (5290).

⁸²⁰ №1/8/116 განჩინება; №9/189 განჩინება, 3.

⁸²¹ №9/189 განჩინება, 2.

⁸²² ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (257-258).

შემუშავებისთვისაც მიზანშეწონილი იქნებოდა გერმანული გამოცდილების გამოყენება.⁸²³

პირველ რიგში, შესამოწმებელი ნორმა უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანი.⁸²⁴ საერთო სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ არაკონსტიტუციური ნორმის არარსებობის შემთხვევაში, განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებდა.⁸²⁵ პრინციპულია იმ ნორმების საკითხი, რომლებიც არა საბოლოო, არამედ სასამართლოს შუალედური გადაწყვეტილების მიღებისთვისაა რელევანტური. გერმანიაში ტერმინი „სასამართლო გადაწყვეტილება“ ფართოდ განიმარტება და მოიცავს სასამართლო პროცესის ცალკეულ, დამოუკიდებელ ნაწილთან დაკავშირებით მიღებულ სასამართლოს აქტსაც, მიუხედავად მისი ფორმისა.⁸²⁶ საქართველოში ამ პოზიციის გაზიარების შესაძლებლობას, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუცია იძლევა, რომელიც მიუთითებს „საქმის განხილვისას“ გამოსაყენებელ ნორმაზე. თავის მხრივ, „საქმის განხილვა“ სასამართლოს მიერ ამა თუ იმ შუალედური გადაწყვეტილებების მიღებასაც მოიცავს. მაგალითად, თუ ნორმა ითვალისწინებს ბრალდებულის პატიმრობის იმაზე ხანგრძლივ ვადას, რაც კონსტიტუციითაა განსაზღვრული, სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ ამ საკითხის განხილვისას წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვეოდა ადამიანის თავისუფლების უფლება არა მხოლოდ კანონმდებლის, არამედ შესაბამისი შუალედური გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს მხრიდანაც.⁸²⁷

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მცდარია საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობის ადრეულ ეტაპზე ჩამოყალიბებული პოზიცია, როდესაც მან „საქმის განხილვად“ არ ჩათვალა მოსამართლის მიერ საჩივრის ერთპიროვნულად განხილვა ბრალდებულის დაპატიმრებისა და წინასწარი პატიმრობის ვადის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შესახებ, რადგანაც ამ შემთხვევაში, მოსამართლე „მთლიანად

⁸²³ დეტალურად: იხ.: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 225.

⁸²⁴ BVerfGE 2, 380 (389); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 815; Maunz, GG, Art. 100, Rn. 31; Stern, GG, Art. 100, Rn. 152.

⁸²⁵ BVerfGE 7, 171 (173); 37, 328 (334); 65, 265 (277); 79, 240 (243 f.); 84, 233 (236 f.); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 824; Ipsen, Staatsrecht I, S. 258; Sieckmann, GG, Art. 100, Rn. 41; Stern, GG, Art. 100, Rn. 151; Sturm, GG, Art. 100, Rn. 16, 21. აღსანიშნავია, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც მსგავსი მოსაზრებაა განვითარებული. მაგალითად იხ.: *ლოლაძე*, სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, გვ. 522 (529); *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 63.

⁸²⁶ Maunz, GG, Art. 100, Rn. 32; Meyer, GG, Art. 100, Rn. 24; Sieckmann, GG, Art. 100, Rn. 38 f.

⁸²⁷ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 225.

საქმეს“ არ განიხილავდა.⁸²⁸ ეს მიდგომა წლების შემდეგ შეიცვალა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ წარდგინების საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებიც სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანის უფლებას არ აძლევდა გამართლებულ პირს.⁸²⁹ აღნიშნული ნორმები რელევანტური იყო საჩივრის დასაშვებობის კონტექსტში და არა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის.

500 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს იმ ნორმის კონსტიტუციურობასაც, რომელსაც საერთო სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტისთვის ირიბი მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევაში, წარდგინების საგანია არა უშუალოდ კანონქვემდებარე აქტი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს გადაწყვეტილება, არამედ კანონის ნორმა, რომელიც იძლევა ამ აქტის გამოცემის ფორმალურ საფუძველს.⁸³⁰ ეს საკითხი საქართველოს სინამდვილეშიც აქტუალურია. კანონშემოქმედებითი უფლებამოსილების დელეგირება შეიძლება ფორმალურად არაკონსტიტუციური იყოს. ამგვარი დელეგირების საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, მისი შინაარსის მიუხედავად, ასევე არაკონსტიტუციურია. საერთო სასამართლოს წარდგინება ვერ მიაღწევს მიზანს დელეგირების დამდგენი კანონის ნორმის შეფასების გარეშე.

501 საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, კონსტიტუციური წარდგინება არსებითად განსახილველად მიიღება მხოლოდ მოქმედი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.⁸³¹ ამდენად, დაუშვებელია ე.წ. „პრევენციული წარდგინებები“ იმ ნორმებთან მიმართებით, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში.⁸³² ამავდროულად, არსებობს შესაძლებლობა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ იმ ნორმის კონსტიტუციურობა შეაფასოს, რომელიც გაუქმდა ან ძალადაკარგულად ცნეს წარდგინების განხილვისას. პრაქტიკაში გამოიყენება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით

⁸²⁸ №2/49/1 განჩინება, 2.

⁸²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

⁸³⁰ BVerfGE 20, 296 (303); 75, 166 (175 ff.); 114, 303 (314 f.); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 780, 827.

⁸³¹ №9/189 განჩინება, 1.

⁸³² შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 775.

დადგენილი გამონაკლისი,⁸³³ რომლის შესაბამისად, საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, თუ საქმე ეხება კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.⁸³⁴ ეს გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იმ ზოგადი წესის აღიარებასაც, რომ საქმის განხილვის მომენტისთვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.⁸³⁵ ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადასაწყვეტია, კონკრეტულ შემთხვევაში შეწყვეტს თუ გააგრძელებს საქმის განხილვას.

პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც შესამოწმებელი ნორმის ნორმატიულმა შინაარსმა წარდგინების განხილვისას ძალა დაკარგა საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე. საკონსტიტუციო სასამართლომ შეამოწმა, რამდენად არსებობდა დამატებით ისეთი საკითხის გადაწყვეტის საჭიროება, რომელზეც პასუხი არ იყო გაცემული მის მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაში. მან ამგვარი საჭიროება ვერ დაინახა და ჩათვალა, რომ კონსტიტუციური უფლებების დაცვის ინტერესი უკვე მიღწეული იყო. აქედან გამომდინარე, წარდგინების საგნის შესაბამის ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.⁸³⁶ ამდენად, მსგავს შემთხვევებში საქმის განხილვა არა ავტომატურად წყდება, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის შინაარსობრივი გაანალიზების შემდეგ.

საყურადღებოა გერმანული გამოცდილება ძალადაკარგულ და ძალაში არმეხულ ნორმებთან დაკავშირებით. როდესაც ნორმამ ძალა დაკარგა, მხედველობაში მიიღება, თუ რამდენად არის ის ფორმალური გაუქმების მიუხედავად მნიშვნელოვანი

502

503

⁸³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის №3/1/633,634 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის “გ” ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის “გ” ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-1.

⁸³⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

⁸³⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸³⁶ №3/1/633,634 გადაწყვეტილება, II-8,9.

საერთო სასამართლოს მიერ შესაბამის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისთვის. თუ ძალადაკარგული ნორმა მაინც რელევანტურია, საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს მის კონსტიტუციურობას.⁸³⁷ მსგავსი ლოგიკა შეიძლება, გავრცელდეს იმ ნორმებზე, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში, მაგრამ გავლენას ახდენს მოქმედი ნორმების განმარტებაზე და ამ თვალსაზრისით, შეიძლება, მნიშვნელოვანი იყოს გადაწყვეტილების მიღებისთვის.⁸³⁸

504 საინტერესოა კითხვა, თუ რამდენად შეიძლება იყოს საერთო სასამართლოს წარდგინების საგანი კანონმდებლის უმოქმედობა. ამ კითხვაზე პასუხი, როგორც წესი, უარყოფითია, რადგანაც კონკრეტული ნორმატკონტროლის მიზანი არ არის ზოგადად, კანონმდებლის ქცევის კონსტიტუციურობის შეფასება.⁸³⁹ ამასთან, შესაძლებლად ითვლება კონსტიტუციური წარდგინების შეტანა კანონმდებლის რელატიური უმოქმედობის შემთხვევაში, როდესაც ის შესაბამის ურთიერთობას, მართალია, აწესრიგებს, მაგრამ არასრულყოფილად.⁸⁴⁰

505 წარდგინების საგნის მეორე ნაწილია კონსტიტუციის ნორმა, რომელთან მიმართებაშიც უნდა დადგინდეს შესამოწმებელი ნორმის კონსტიტუციურობა. კონსტიტუცია და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი არ ზღუდავს კონსტიტუციის იმ ნორმათა წრეს, რომელთა დარღვევაზეც შეიძლება აპელირებდეს საერთო სასამართლო. ამავდროულად, მან წარდგინებაში მკაფიოდ უნდა მიუთითოს კონსტიტუციის დებულებები, რომლებთან მიმართებითაც ითხოვს შესამოწმებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.⁸⁴¹

4.3.4.2. საკონსტიტუციო სასამართლოს

შეზღუდვა წარდგინების საგნით

506 საერთო სასამართლოს წარდგინებაზე ვრცელდება „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული აკრძალვა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს, იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ წარდგინების ავტორი

⁸³⁷ BVerfGE 47, 46 (64); Sturm, GG, Art. 100, Rn. 10.

⁸³⁸ შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 775.

⁸³⁹ შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 790; Stern, GG, Art. 100, Rn. 100.

⁸⁴⁰ BVerfGE 81, 363 (383); 99, 300 (314).

⁸⁴¹ შეადარე: №2/88/1 განჩინება, 1; №1/8/116 განჩინება; №9/189 განჩინება, 3.

ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.⁸⁴² ეს შეეხება წარდგინების საგნის ერთ ნაწილს - შესამოწმებელ ნორმას, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ შეზღუდული იყო „...მხოლოდ კონსტიტუციურ წარდგინებაში დასმული საკითხის გარკვევის ვალდებულებით.“⁸⁴³ „კონსტიტუციურ წარდგინებაში დასმული საკითხი“ ზოგადი ფორმულირებაა და შეიძლება მოიცავდეს არა მხოლოდ შესამოწმებელ ნორმას, არამედ კონსტიტუციის იმ დებულებასაც, რომელთან მიმართებითაც უნდა განხორციელდეს შემოწმება წარდგინების ავტორის აზრით. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო დავის საგნით უფრო მაღალი ხარისხის შეზღუდვა, ვიდრე ამას კანონმდებელი ითხოვდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ შეცვალა პრაქტიკა 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“. მან შესამოწმებელი ნორმის კონსტიტუციურობა შეაფასა არა წარდგინებაში მითითებულ, არამედ სხვა კონსტიტუციურ დანაწესთან მიმართებით. ამის მიზეზად დასახელდა საერთო სასამართლოების წარდგინების მნიშვნელობა კონსტიტუციური წესრიგისთვის და საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების მარეგულირებელი კანონმდებლობა.⁸⁴⁴ საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა წარდგინების ობიექტურ მნიშვნელობას სამართლებრივ სახელმწიფოში კონსტიტუციის მოთხოვნების დაცვის კუთხით.⁸⁴⁵ მან განაცხადა, რომ არასწორ კონსტიტუციურ ნორმაზე მითითების ფორმალური მიზეზით, შეფასების გარეშე ვერ დატოვებდა წარდგინებაში დასმულ პრობლემას. ეს გამოიწვევდა ისეთ ნეგატიურ შედეგებს, როგორცაა კონსტიტუციურობის თვალსაზრისით საეჭვო ნორმის მოქმედების გაგრძელება, საერთო სასამართლოში საქმის განხილვის გაჭიანურება, საფრთხე წარდგინების ინსტიტუტის

507

⁸⁴² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁸⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 19 აპრილის №7/176/2 გადაწყვეტილება საქმეზე „ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, 2.

⁸⁴⁴ №3/1/608,609 გადაწყვეტილება, II-4.

⁸⁴⁵ იქვე, II-6.

ეფექტიანობისთვის, კონსტიტუციის დარღვევის რისკის ზრდა მსგავს შემთხვევებში და კონსტიტუციური პრობლემის მოგვარების გადავადება განუსაზღვრელი ვადით.⁸⁴⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტები დამაჯერებელია და გონივრული იქნება, თუ ის მსგავს მიდგომას სხვა, განსაკუთრებით ობიექტური ბუნების, უფლებამოსილებების ფარგლებშიც განავითარებს.

508 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ნაკლებად მკაცრადაა შეზღუდული წარდგინების საგნით. მას შეუძლია, შეამოწმოს ნორმის შესაბამისობა კონსტიტუციის მოთხოვნებთან, რომლებიც წარდგინებაში არ იყო აღნიშნული.⁸⁴⁷ გარდა ამისა, შესაძლებელია იმ ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმება, რომლებზეც წარდგინების ავტორი არ მიუთითებს, იმ შემთხვევაში, თუ მათ საერთო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისთვის არსებითი დატვირთვა აქვთ,⁸⁴⁸ ან საკითხი ზოგადი მნიშვნელობისაა.⁸⁴⁹ ამდენად, გერმანულ მოდელში წარდგინების საგანი და შემოწმების საგანი არ არის ყოველთვის იდენტური.⁸⁵⁰ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობა არ აძლევს საკონსტიტუციო სასამართლოს შესამოწმებელი ნორმის ნაწილში წარდგინების საგნის გაფართოების შესაძლებლობას. მიზანშეწონილია, რომ ეს შეზღუდვა გაუქმდეს, განსაკუთრებით ობიექტური ხასიათის კომპეტენციებთან დაკავშირებით.

4.3.5. შემოწმების მასშტაბი საერთო სასამართლოს წარდგინების ფარგლებში

509 საერთო სასამართლოს წარდგინება შეიძლება შეეხებოდეს ნორმის კონსტიტუციურობას და არა მის შესაბამისობას სხვა ნორმატიულ აქტებთან. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სხვადასხვა კანონებს შორის კოლიზიის საკითხის განხილვა არ შედის მის კომპეტენციაში.⁸⁵¹ საერთო სასამართლომ ამ დროს თავად უნდა გააკეთოს დასკვნა კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუ რომელ ნორმას უნდა მიანიჭოს უპირატესობა.⁸⁵²

⁸⁴⁶ იქვე, II-7.

⁸⁴⁷ მაგალითად იხ.: BVerfGE 3, 187 (196 f.); 4, 219 (243); 4, 331 (344); 66, 214 (222); Sieckmann, GG, Art. 100, Rn. 65.

⁸⁴⁸ BVerfGE 33, 115 (122); 36, 174 (182 f.); 58, 300 (310, 326); 99, 246 (266); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 851.

⁸⁴⁹ BVerfGE 47, 146 (153 ff.); 104, 74 (83). კრიტიკული შეფასება იხ.: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 853 f.

⁸⁵⁰ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 805, 882.

⁸⁵¹ Ne2/88/1 განჩინება, 3.

⁸⁵² Ne9/189 განჩინება, 4.

საკონსტიტუციო სასამართლო „...განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას სადავო ნორმატიული აქტების მხოლოდ კონსტიტუციასთან და არა სხვა ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის თაობაზე.“⁸⁵³ აქედან გამომდინარე, შემოწმების მასშტაბი საერთო სასამართლოს წარდგინების განხილვისას შეიძლება იყოს მხოლოდ კონსტიტუცია.

კონსტიტუციურ ნორმათა კონკრეტული ჯგუფი, რომელთან მიმართებაშიც შეიძლება დააყენოს საერთო სასამართლომ ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი, დაკონკრეტებული არ არის. ამდენად, შემოწმების მასშტაბი თეორიულად შეიძლება იყოს კონსტიტუციის ნებისმიერი დანაწესი. საერთო სასამართლოები პრაქტიკაში უმეტესწილად რომელიმე ძირითადი უფლების დარღვევაზე აპელირებენ.⁸⁵⁴ თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში შემოწმების მასშტაბად გვევლინება კონსტიტუციის სხვა ნორმებიც.⁸⁵⁵ მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა შესამოწმებელი ნორმის კონსტიტუციურობა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილების დამდგენ ნორმასთან მიმართებით.⁸⁵⁶

510

საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოს წარდგინების განხილვისას თავისი მიდგომის ერთგულია და შემოწმებას ახორციელებს კონსტიტუციის არა მარტო ნორმების, არამედ პრინციპების გათვალისწინებით. ის ხაზს უსვამს, რომ „...კონსტიტუცია ერთიანი დოკუმენტია, სადაც ნორმები და პრინციპები ერთმანეთთან კავშირში უნდა განიმარტოს ადამიანის უფლებების უკეთ დაცვის მიზნით.“⁸⁵⁷ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ პრინციპებთან კავშირში, ძირითად უფლებებთან ერთად, კონსტიტუციის სხვა ნორმებსაც განმარტავს.⁸⁵⁸

511

⁸⁵³ №13/270 განჩინება, 2.

⁸⁵⁴ №1/51 გადაწყვეტილება; №7/176/2 გადაწყვეტილება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 21 მაისის №8/177/2 გადაწყვეტილება საქმეზე „ქ. თბილისის დიდუბე-რუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“; №3/3/601 გადაწყვეტილება; №3/1/608,609 გადაწყვეტილება; №3/1/633,634 გადაწყვეტილება.

⁸⁵⁵ №8/177/2 გადაწყვეტილება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 3 დეკემბრის №11/203/2 გადაწყვეტილება საქმეზე „თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის კონსტიტუციური წარდგინება“.

⁸⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის №3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

⁸⁵⁷ №3/1/608,609, II-13.

⁸⁵⁸ №3/4/641 გადაწყვეტილება, II – 1-6.

4.3.6. შემოწმების ფორმა და შინაარსი საერთო სასამართლოს
წარდგინების ფარგლებში

- 512 შემოწმების ფორმასთან და შინაარსთან დაკავშირებით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი საერთო სასამართლოს წარდგინებაზე ზოგად მოთხოვნებს ავრცელებს. ნორმა შეიძლება შემოწმდეს როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით. ფორმალურ შემოწმებაში კანონმდებელი გულისხმობს იმის გარკვევას, დაცულია თუ არა საკანონმდებლო აქტისა და პარლამენტის დადგენილების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესები.⁸⁵⁹ საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკაში უარს აცხადებს იმ წესების დარღვევის შემოწმებაზე, რომლებიც არ არის დადგენილი კონსტიტუციით. მაგალითად, მან მიუთითა, რომ ვერ იმსჯელებდა იმის შესახებ, თუ რამდენად დაიცვეს პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნები შესამოწმებელი აქტების მიღებისას.⁸⁶⁰
- 513 ფორმალური კონსტიტუციურობის შემოწმება მოიცავს სამ კომპონენტს - უფლებამოსილება, პროცედურა და ფორმა. უფლებამოსილებაში მოიაზრება იმის გადამოწმება, რამდენად აქვს კონსტიტუციიდან გამომდინარე, შესაბამის სუბიექტს შესამოწმებელი ნორმის გამოცემის კომპეტენცია. პროცედურის ფარგლებში უნდა შემოწმდეს, რამდენად არის ნორმა მიღებული უშუალოდ კონსტიტუციით დადგენილი პროცედურული წესების დაცვით. რაც შეეხება ფორმას, ამ დროს ხდება იმის გადამოწმება, თუ რამდენადაა ნორმა მიღებული იმ ფორმით, რასაც კონსტიტუცია განსაზღვრავს.⁸⁶¹
- 514 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში მხოლოდ პროცედურის კომპონენტია ასახული. ეს ავიწროებს ფორმალური კონსტიტუციურობის შემოწმების ფარგლებს როგორც შინაარსობრივი, ასევე შემოწმების საგნის თვალსაზრისით. მაგალითად, მთავრობის დადგენილების გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების წესს კონსტიტუცია არ ადგენს, ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლო ვერ შეამოწმებს მისი გამოცემის

⁸⁵⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁸⁶⁰ №13/270 განჩინება, 2.

⁸⁶¹ შეადარე: *კუბლაშვილი*, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, გვ. 60.

პროცედურის კონსტიტუციურობას. ამავდროულად, თუ მთავრობის დადგენილება გამოიყენა პარლამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხზე, რომელიც კანონით უნდა მოწესრიგდეს, სახეზე გვექნება ფორმალური არაკონსტიტუციურობა როგორც უფლებამოსილების, ასევე ფორმის კუთხით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ფორმალური კონსტიტუციურობის შემოწმების სამივე კომპონენტი ნათლად აისახოს ორგანულ კანონში. შემოწმების შინაარსი განსხვავებულია სხვადასხვა ფორმალური კომპონენტის ფარგლებში. ერთის შემოწმება ვერ ჩაანაცვლებს მეორეს და შეიძლება მცდარ დასკვნამდე მიიყვანოს საკონსტიტუციო სასამართლო. ამაზე მეტყველებს 2002 წლის 3 დეკემბრის №11/203/2 გადაწყვეტილება საქმეზე „თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის კონსტიტუციური წარდგინება“. საერთო სასამართლო აპელირებდა „რეფერენდუმის შესახებ“ კანონის არაკონსტიტუციურობაზე, რადგანაც დარღვეული იყო ამ საკანონმდებლო აქტის კონსტიტუციით განსაზღვრული ფორმით მიღების მოთხოვნა. კერძოდ, კონსტიტუციის იმჟამინდელი რედაქციის 74-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრებოდა ორგანული კანონით, ხოლო პარლამენტმა რეფერენდუმთან დაკავშირებით მიიღო ჩვეულებრივი კანონი.⁸⁶² საერთო სასამართლომ საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით მიმართა 2002 წლის 15 ოქტომბერს. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ამავე წლის 3 დეკემბერს. პარლამენტმა, სავარაუდოდ, გააცნობიერა დაშვებული შეცდომა და 2002 წლის 19 ნოემბერს „რეფერენდუმის შესახებ“ კანონის სახელწოდება ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს ორგანული კანონი „რეფერენდუმის შესახებ“. ამ ფაქტზე საკონსტიტუციო სასამართლომაც მიუთითა, თუმცა ამავდროულად კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნის დარღვევას „ტექნიკური ხასიათის ტერმინოლოგიური უზუსტობა“ უწოდა.⁸⁶³ გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტის მიერ ცვლილების არგანხორციელების შემთხვევაშიც არ დაადასტურებდა შესამოწმებელი კანონის არაკონსტიტუციურობას. კონსტიტუციით დადგენილი

515

⁸⁶² №11/203/2 გადაწყვეტილება.

⁸⁶³ იქვე, 4.

ფორმის შემოწმების ნაცვლად, სასამართლომ ყურადღება გადაიტანა პროცედურაზე. პარლამენტიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მან დაადგინა, რომ კანონი „რეფერენდუმის შესახებ“ და მასში მოგვიანებით შეტანილი ცვლილება მიღებული იყო ორგანული კანონისთვის საჭირო ხმათა უმრავლესობით. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მოიშველია პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც ორგანულ კანონზე იყო საუბარი და საბოლოოდ, დაასკვნა, რომ კონსტიტუციით განსაზღვრული პროცედურა არ ირღვეოდა.⁸⁶⁴ ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ორგანული კანონი და კანონი საკანონმდებლო აქტის ორი განსხვავებული სახეა, სხვადასხვა იურიდიული ძალითა და მიღების საფუძველებით. პარლამენტმა თეორიულად ნებისმიერი კანონი შეიძლება მიიღოს ორგანული ან თუნდაც კონსტიტუციური კანონის კვორუმით, მაგრამ მაღალი მხარდაჭერა არ გამოიწვევს მის სხვა საკანონმდებლო აქტად ტრანსფორმაციას. კანონს ორგანულ კანონად ასევე ვერ გადააქცევს პრეზიდენტის ან სხვა რომელიმე უმაღლესი თანამდებობის პირის წერილი. კონსტიტუციით დადგენილი ფორმის დაუცველობას ვერც ის გარემოება გაამართლებს, რომ ტერმინი „ორგანული კანონი“ სიახლე იყო და მსგავსი შეცდომა პარლამენტმა სხვა შემთხვევაშიც დაუშვა.⁸⁶⁵

516 თუ საერთო სასამართლოს წარდგინება აპელირებს ნორმის ფორმალურ არაკონსტიტუციურობაზე, საკონსტიტუციო სასამართლო მას ამოწმებს მხოლოდ ამ კუთხით. მსგავს შემთხვევებში, სასამართლო აღნიშნავს, რომ „შეფასების საგანს არ წარმოადგენს ის, თუ თავისი მატერიალური თვალსაზრისით, შინაარსობრივად რამდენად შეესაბამება სადავო ნორმა (ან ამავე ურთიერთობის მომწესრიგებელი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები) კონსტიტუციური უფლებების ან/და კონსტიტუციური პრინციპების მოთხოვნებს, ან მატერიალური შინაარსით რომელი რეგულირებაა უფრო სამართლიანი.“⁸⁶⁶ სავარაუდოდ, იგივე პოზიცია ექნება საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ წარდგინებაში ნორმის მხოლოდ მატერიალურ არაკონსტიტუციურობაზე იქნება საუბარი. კომპეტენციის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ სრულყოფილად უნდა

⁸⁶⁴ იქვე, 1, 3.

⁸⁶⁵ იქვე, 2.

⁸⁶⁶ №3/4/641 გადაწყვეტილება, II-23.

შეაფასოს შესამოწმებელი ნორმის კონსტიტუციურობა და ამაზე უარი არ განაცხადოს იმ ფორმალური მიზეზით, რომ წარდგინებაში არ იყო მსგავსი მოთხოვნა.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით, საერთო სასამართლოს წარდგინების შემთხვევაში, ნორმის მატერიალური კონტროლი გულისხმობს მისი შინაარსის შესაბამისობის შემოწმებას კონსტიტუციასთან, რა დროსაც მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ ნორმის სიტყვასიტყვით მნიშვნელობა, არამედ მასში გამომხატული ნამდვილი აზრი და მისი გამოყენების პრაქტიკა, აგრეთვე, შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსი.⁸⁶⁷ აქ პირდაპირ არ არის მოხსენიებული, თუმცა მატერიალური კონტროლი მოიცავს ნორმის შესაბამისობის შემოწმებას კონსტიტუციის პრინციპებთან, განსაკუთრებით კი - მისი თანაზომიერებისა და განსაზღვრულობის შეფასებას. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო წარდგინების განხილვისას ამოწმებს, რამდენად შეესაბამება ნორმა თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს და შეუსაბამობის შემთხვევაში, ადგენს ძირითადი უფლების დარღვევას.⁸⁶⁸

517

4.3.7. საერთო სასამართლოს წარდგინების დაკმაყოფილების შედეგები

საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე, ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობის დადასტურება იწვევს შესაბამისი ნორმის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (ex nunc).⁸⁶⁹ გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები არა მხოლოდ იმ საქმეზე ვრცელდება, რომლის განხილვის დროსაც მოხდა წარდგინების შეტანა, არამედ საყოველთაო მოქმედების ძალა აქვს.

518

საერთო სასამართლოს წარდგინების ფარგლებში, მწვავედ არ დგას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის უკუძალის მინიჭების საკითხი, რადგანაც საერთო სასამართლოში შესაბამისი საქმის განხილვა შეჩერებულია და განახლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

519

⁸⁶⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტი.

⁸⁶⁸ №3/3/601 გადაწყვეტილება, II – 23-29; №3/1/633,634 გადაწყვეტილება, II – 34-37.

⁸⁶⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

აქედან გამომდინარე, იმის რისკიც ნაკლებია, რომ წარდგინების ავტორმა გადაწყვეტილება დააფუძნოს არაკონსტიტუციურ ნორმას და აუცილებელი გახდეს ამით გამოწვეული სამართლებრივი შედეგების გამოსწორება.

520 განსხვავებული წესია დადგენილი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე არაკონსტიტუციურადაა ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულება ან მისი ნაწილი. წარდგინების დაკმაყოფილება იწვევს შესაბამისი ხელშეკრულების ან მისი ნაწილის ბათილად ცნობას საქართველოსთვის.⁸⁷⁰ ანალოგიური სამართლებრივი შედეგი მოსდევს კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებას საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში, რაზეც ამ კომპეტენციაზე მსჯელობისას დაწვრილებით გავამახვილებთ ყურადღებას.

4.4. დავა უფლებამოსილების შესახებ

4.4.1. უფლებამოსილების შესახებ დავის არსი, მნიშვნელობა და ისტორია

521 კონსტიტუციის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ.⁸⁷¹ ანალოგიურ ფორმულირებას შეიცავს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონიც.⁸⁷²

522 დავა უფლებამოსილების შესახებ, პირველ რიგში, ემსახურება ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უზრუნველყოფას.⁸⁷³ ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს მიკუთვნებულ ორგანოებს ეძლევა საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით მათი

⁸⁷⁰ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

⁸⁷¹ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

⁸⁷² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁸⁷³ დეტალურად: იხ.: ბეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 76-80; Böckenförde, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 9 (15).

კონსტიტუციური კომპეტენციის დაცვის შესაძლებლობა სხვა სუბიექტების მხრიდან ჩარევებისგან. ამასთან, დავას წყვეტს პოლიტიკურად ნეიტრალური სასამართლო ორგანო. ამ უფლებამოსილების განხორციელება რომელიმე პოლიტიკური ორგანოსთვის რომ იყოს მინდობილი, ამით ის სხვა სახელმწიფო ორგანოებზე მაღლა დადგებოდა,⁸⁷⁴ რაც სახელისუფლებო ბალანსს შეუქმნიდა საფრთხეს.⁸⁷⁵

სახელმწიფო ორგანოთა შორის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით მიმდინარე დავას, როგორც წესი, დიდი პოლიტიკური დატვირთვა აქვს.⁸⁷⁶ მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ამ კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა ისეთი პოლიტიკურად აქტუალური საკითხები, როგორიცაა ფედერალური პრეზიდენტის მიერ ბუნდესტაგის დათხოვნა,⁸⁷⁷ ფედერალური მთავრობის მიერ სპეციალური საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე თანხმობის მიცემა ქვეყნის ტერიტორიაზე ატომური ქობინებით აღჭურვილი საშუალო რადიუსის ამერიკული რაკეტების განლაგების თაობაზე,⁸⁷⁸ პოლიტიკური პარტიების დაფინანსება,⁸⁷⁹ ბუნდესტაგის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისას საზღვარგარეთ შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.⁸⁸⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური დაპირისპირება სამართლებრივ კალაპოტში გადაჰყავს და მას სამართლებრივი მასშტაბების საფუძველზე აგვარებს.⁸⁸¹ ეს აძლიერებს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების მიერ კონსტიტუციის უზენაესობის პატივისცემას და უზრუნველყოფს კონსტიტუციური წესრიგის დაცვას.⁸⁸² საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილების შესახებ დავების გადაწყვეტით ხელს უწყობს პოლიტიკური და სამართლებრივი სტაბილურობის განმტკიცებას.⁸⁸³

523

საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი ამოცანა მოცემული კომპეტენციის განხორციელებისას სახელმწიფო ორგანოთა შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა და ამასთან დაკავშირებული კონკრეტული დავის გადაწყვეტაა. ამ პროცესში ის ზოგადი კონსტიტუციურსამართლებრივი საკითხების გარკვევით იმ დოზითაა

524

⁸⁷⁴ Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 519.
⁸⁷⁵ შეადარე: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 185.
⁸⁷⁶ შეადარე: Hopfauf, GG, Art. 93, Rn. 81; Sturm, GG, Art. 93, Rn. 44.
⁸⁷⁷ BVerfGE 114, 121.
⁸⁷⁸ BVerfGE 68, 1.
⁸⁷⁹ BVerfGE 85, 264.
⁸⁸⁰ BVerfGE 90, 286.
⁸⁸¹ Ipsen, Staatsrecht I, S. 244.
⁸⁸² Stern, GG, Art. 93, Rn. 75.
⁸⁸³ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 185.

დაკავებული, რაც აუცილებელია იმ კონსტიტუციური ნორმის განმარტებისთვის, რომლის საფუძველზეც უნდა გადაწყდეს დავა.⁸⁸⁴

525 უფლებამოსილების შესახებ დავა შეეხება არა სუბიექტურ უფლებებს, არამედ ობიექტურ უფლებამოსილებებს.⁸⁸⁵ სუბიექტური უფლებებით სარგებლობა ან უარი სარგებლობაზე მათი მფლობელი სუბიექტის გადასაწყვეტია. რაც შეეხება სახელმწიფო ორგანოთა (კონსტიტუციურ) უფლებამოსილებებს, მათი გამოყენება არ შედის შესაბამისი ორგანოს თავისუფალი მიხედულების სფეროში. უფლებამოსილებები ქმნის კომპეტენციათა მყარ წესრიგს,⁸⁸⁶ რომელიც თანამედროვე სახელმწიფოს, რომელშიც ხელისუფლება დანაწილებულია, ფუნქციონირებისა და ქმედითობის საფუძველია.⁸⁸⁷ მიუხედავად ამისა, უფლებამოსილებების სასამართლო წესით დაცვა მაინც იწვევს საკონსტიტუციო-სამართლებრივი ურთიერთობების გარკვეულ სუბიექტივიზაციას.⁸⁸⁸ უფლებამოსილების შესახებ დავისას სუბიექტურად განსაზღვრული დავის საგანი და ამ კომპეტენციის ობიექტური ბუნება და მიზანი ერთგვარად ავსებს ერთმანეთს.⁸⁸⁹

526 საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებით სარგებლობს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი. ამდენად, დავა უფლებამოსილების შესახებ შეიძლება მოგვევლინოს პოლიტიკური უმცირესობის დაცვის მექანიზმად.⁸⁹⁰ საპარლამენტო ოპოზიციას ეძლევა შანსი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში იბრძოდოს არა მარტო თავისი პოლიტიკური ინტერესების, არამედ კონსტიტუციის ნორმებისა და პრინციპების დასაცავად.⁸⁹¹ მას შეუძლია, დაიცვას უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს პოზიციები საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან შესაძლო დაბრკოლებების გარეშე.⁸⁹²

527 კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო ინილავდა დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ.⁸⁹³ მსგავს

⁸⁸⁴ შეადარე: BVerfGE 104, 151 (193 f.); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 985 f.; Sturm, GG, Art. 93, Rn. 42.

⁸⁸⁵ Ipsen, Staatsrecht I, S. 244.

⁸⁸⁶ შეადარე: Stern, GG, Art. 93, Rn. 74.

⁸⁸⁷ შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 990.

⁸⁸⁸ BVerfGE 2, 143 (152); Sturm, GG, Art. 93, Rn. 41.

⁸⁸⁹ შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 991.

⁸⁹⁰ შეადარე: BVerfGG 45, 1 (29 f.); 60, 319 (325); 68, 1 (77); 70, 324 (352); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 991; Hopfauf, GG, Art. 93, Rn. 81, 92; Ipsen, Staatsrecht I, S. 247; Stern, GG, Art. 93, Rn. 76.

⁸⁹¹ შეადარე: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 186.

⁸⁹² შეადარე: Sturm, GG, Art. 93, Rn. 44.

⁸⁹³ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

ფორმულირებას ითვალისწინებდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი.⁸⁹⁴ ამასთან, ორგანული კანონის 34-ე მუხლში დაზუსტდა მოსარჩელეთა და მოპასუხეთა წრე, განისაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობები, ასევე პრეზიდენტის, პარლამენტისა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების საქმეში ჩაბმის წესი. 2004 წლის 25 ნოემბრის ცვლილებებით გაჩნდა მთავრობის საქმეში ჩაბმის შესაძლებლობაც, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ კონსტიტუციაში აისახა მთავრობის, როგორც დამოუკიდებელი კოლეგიური ორგანოს ინსტიტუტი. 2011 წლის 5 მაისის ცვლილებებით დაზუსტდა, რომ აღნიშნული სუბიექტების საქმეში ჩაბმა მოხდებოდა მოპასუხის სტატუსით.

დავამ უფლებამოსილების შესახებ დღეისთვის მოქმედი სახე მიიღო 2017 წლის 13 ოქტომბრის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად. ახალი რედაქცია უფრო სრულყოფილი და გასაგებია. კონსტიტუცია მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ საქმე შეეხება დავას შესაბამისი ორგანოს, ანუ თვით მოსარჩელის უფლებამოსილების შესახებ. მოსარჩელეთა წრე გაფართოვდა, რაც ასახულია უშუალოდ კომპეტენციის დამდგენ კონსტიტუციურ ნორმაში. საკონსტიტუციო რეფორმის საფუძველზე, 2018 წლის 21 ივლისის ცვლილებები შევიდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში. კომპეტენციის დამდგენი ნორმის ტექსტი ჩამოყალიბდა კონსტიტუციის ფორმულირების შესაბამისად.⁸⁹⁵ მოსარჩელეთა წრის განმსაზღვრელ ნორმაში კონსტიტუციის 89-ე მუხლზე მითითება ჩაანაცვლა მე-60 მუხლზე მითითებამ,⁸⁹⁶ რაც განპირობებული იყო კონსტიტუციის მუხლების ნუმერაციის შეცვლით.

528

4.4.2. მოსარჩელე უფლებამოსილების შესახებ დავის ფარგლებში

მოსარჩელეთა წრე ნათლადაა განსაზღვრული. უფლებამოსილების შესახებ დავაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილებით სარგებლობს: 1) პრეზიდენტი; 2) პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი; 3) მთავრობა; 4) იუსტიციის უმაღლესი საბჭო; 5) გენერალური პროკურორი; 6) ეროვნული ბანკის

529

⁸⁹⁴ მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁸⁹⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁸⁹⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

საბჭო; 7) გენერალური აუდიტორი; 8) სახალხო დამცველი; 9) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან ადმინისტრაციული ორგანო.⁸⁹⁷

530 2017 წლის 13 ოქტომბერს კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებამდე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილებას ანიჭებდა პრეზიდენტს, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს და კონსტიტუციის იმჟამინდელი რედაქციის 89-ე მუხლში ჩამოთვლილ ორგანოებს.⁸⁹⁸ თავის მხრივ, კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველ პუნქტში, გარდა აღნიშნული სუბიექტებისა, მითითებული იყო მთავრობა, სასამართლო, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, იუსტიციის უმაღლესი საბჭო და სახალხო დამცველი. ამდენად, მათი კონსტიტუციური კომპეტენციის დაცვა თეორიულად არ იყო დამოკიდებული პრეზიდენტზე ან პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედზე.⁸⁹⁹

531 საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, მოსარჩევეებს დაემატა ახალი სუბიექტები - გენერალური პროკურორი, ეროვნული ბანკის საბჭო, გენერალური აუდიტორი და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოები. მათ მიეცა კონსტიტუციური უფლებამოსილებების საკონსტიტუციო სასამართლოს საშუალებით დაცვის შესაძლებლობა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ამავდროულად, მოსარჩევეთა წრეს გამოაკლდა სასამართლო. აღსანიშნავია, რომ რეფორმამდე მოქმედი კანონმდებლობა ნათლად არ განსაზღვრავდა სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციის დარღვევასთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტს, რაც სამართლიან კრიტიკას იმსახურებდა.⁹⁰⁰

532 სასამართლოს დამოუკიდებლობისა და კონსტიტუციური კომპეტენციის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ სახელმწიფოში. კონსტიტუცია და კანონმდებლობა უნდა ქმნიდეს გამართულ სამართლებრივ ბაზას, რათა ხელისუფლების ამ შტოსაც ჰქონდეს მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევასთან დაკავშირებით დაცვის შესაძლებლობა. საინტერესოა სხვა

⁸⁹⁷ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁸⁹⁸ 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁸⁹⁹ განსხვავებული მოსაზრება იხ.: *ბეგურაიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 80.

⁹⁰⁰ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 183 f.

სახელმწიფოების გამოცდილება ამ სფეროში. ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს დავებს კომპეტენციის შესახებ სასამართლოებს, ასევე მათსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის. მისი კომპეტენცია თვით საკონსტიტუციო სასამართლოსა და სხვა სასამართლებს შორის დავის გადაწყვეტასაც მოიცავს.⁹⁰¹ სლოვენის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება შედარებით შეზღუდულია. ის განიხილავს დავას მხოლოდ სასამართლოებსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებს შორის.⁹⁰²

უცხოური გამოცდილების გაზიარება შესაძლებელია საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით. სასამართლოებს შორის კომპეტენციურ დავას არ აქვს აზრი, რადგანაც საერთო სასამართლოების პარალელურად, არ არსებობს სპეციალიზებული სასამართლოების სისტემა. ასევე, გაუმართლებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილოს დავა მასსა და საერთო სასამართლოებს შორის. ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო ერთდროულად მოსამართლეც იქნებოდა და მხარეც, რაც გამოიწვევდა საფუძვლიან ეჭვს მის მიუკერძოებლობასა და Nemo iudex in sua causa-ს პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით.⁹⁰³ ამავდროულად, საერთო სასამართლოებს უნდა მიეცეს, სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მათი კონსტიტუციური კომპეტენციის დარღვევის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება. კონსტიტუციამ და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულმა კანონმა მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს შესაბამისი დავის წარმოების შესაძლებლობა და მოსარჩელე სუბიექტი ან სუბიექტები. ამასთან, სასამართლო ხელისუფლებას აქვს იმის რესურსი, რომ დამოუკიდებლად დაიცვას თავისი ინტერესები და არა რომელიმე არასასამართლო ორგანოს, თუნდაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით. ისიც მნიშვნელოვანია, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, კონსტიტუციიდან გამომდინარე, მხოლოდ საკუთარ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით შეუძლია დავა.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელია გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.⁹⁰⁴ პირველ რიგში, საქმე უნდა

⁹⁰¹ ავსტრიის ფედერალური კონსტიტუციური კანონის 138-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

⁹⁰² სლოვენის რესპუბლიკის კონსტიტუციის 160-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-8 ქვეპუნქტი.

⁹⁰³ შეადარე: BVerfGE 60, 175 (202 f.); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1005.

⁹⁰⁴ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 182 f.

შეეხებოდა კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლების სავარაუდო დარღვევას.⁹⁰⁵ კონსტიტუციის გარდა, სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი უფლებამოსილებების ხელყოფის საკითხის განხილვა სცდება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს.⁹⁰⁶

535 მოსარჩელეს დავა შეუძლია მისი უშუალო კომპეტენციის დარღვევის გამო. სხვა ორგანოთა უფლებამოსილების ხელყოფასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილებით სარგებლობს მხოლოდ პრეზიდენტი და პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მენუთედი.⁹⁰⁷ ეს გამონაკლისი საკონსტიტუციო რეფორმამდეც არსებობდა და სავარაუდოდ, ამ სუბიექტებს აძლევდა იმ ორგანოთა კომპეტენციის დაცვის შესაძლებლობას, ვისაც არ ჰქონდა კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილება.⁹⁰⁸ რეფორმით მოსარჩელეთა წრის გაფართოებამ სხვა სუბიექტების უფლებამოსილების დაცვის საჭიროება თითქმის სრულად მოხსნა. გარდა ამისა, სხვათა უფლებამოსილებაზე დავა ამ კომპეტენციას ფაქტობრივად გადააქცევს აბსტრაქტულ ნორმატკონტროლად, რაც ეწინააღმდეგება მის არსს.⁹⁰⁹ უფლებამოსილების შესახებ დავის წარმოშობის წინაპირობაა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებობდეს კონსტიტუციურსამართლებრივი ურთიერთობა. ამგვარი ურთიერთობა არ არის სახეზე, თუ საქმე უშუალოდ მოსარჩელის უფლებამოსილების დარღვევას არ შეეხება.⁹¹⁰ გარდა ამისა, საეჭვოა სხვა ორგანოთა კომპეტენციაზე დავის ფორმალური შესაძლებლობაც კონსტიტუციასთან. უზუნაეს კანონში საუბარია დავაზე შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ, საიდანაც შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოსარჩელეს შეუძლია თავისი და არა სხვათა კომპეტენციის დაცვა. აღსანიშნავია, რომ თუ პრეზიდენტს და პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მენუთედს ექნება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სხვა ორგანოთა კომპეტენციის დამდგენი კონსტიტუციური ნორმების შემოწმების თაობაზე

⁹⁰⁵ შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (258).

⁹⁰⁶ შეადარე: ბეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 74; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 182.

⁹⁰⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁰⁸ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 183.

⁹⁰⁹ შეადარე: BVerfGE 68, 1 (72 f.); 73, 1 (28); 100, 266 (268); 118, 277 (319); 123, 267 (339); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1022.

⁹¹⁰ შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1022.

მიმართვის ნება, მისი რეალიზება აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის ფარგლებშიც შეუძლიათ.

4.4.3. მოპასუხე უფლებამოსილების შესახებ დავის ფარგლებში

უფლებამოსილების შესახებ დავისას მოპასუხეა ის სახელმწიფო ორგანო, რომლის ნორმატიულმა აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევა.⁹¹¹ ამდენად, საკონსტიტუციო სამართალწარმოება უფლებამოსილების შესახებ დავის განხილვისას მიმდინარეობს მხარეების - მოსარჩელისა და მოპასუხის მონაწილეობით,⁹¹² რაც პროცესს კონტრადიქტორულ ხასიათს ანიჭებს. პროცესის ამგვარი ბუნება შეესაბამება სხვა ქვეყნების გამოცდილებასა და კომპეტენციის არსს.⁹¹³

536

კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმეში მოპასუხის ჩაბმის ინსტიტუტს. კომპეტენციის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის მიღებისთანავე საკონსტიტუციო სასამართლო მის ასლს უგზავნის პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტს და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს. ამ სუბიექტებს ეძლევა ასლის ჩაბარებიდან 15 დღის ვადა, განაცხადონ, რომ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს მათი კომპეტენციის ფარგლების დარღვევას. ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, რომ განმცხადებელი მოპასუხედ ჩააბას საქმეში.⁹¹⁴

537

4.4.4. დავის საგანი უფლებამოსილების შესახებ დავის ფარგლებში

დავის საგანი უფლებამოსილების შესახებ დავის ფარგლებში ორნაწილიანია:

538

- 1) სადავო ნორმა;
- 2) კონსტიტუციის ნორმა, რომელთან მიმართებაშიც მოწმდება სადავო ნორმის კონსტიტუციურობა.

⁹¹¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹¹² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

⁹¹³ შეადარე: Hopfauf, GG, Art. 93, Rn. 82; Ipsen, Staatsrecht I, S. 244.

⁹¹⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

- 539 საკონსტიტუციო სასამართლოში შესაძლებელია იმ ნორმატიული აქტის გასაჩივრება, რომელიც, მოსარჩელის აზრით, არღვევს მის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას.⁹¹⁵ ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო არ განიხილავს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით კომპეტენციის დარღვევის შემთხვევებს.⁹¹⁶ 1998 წლის 29 იანვრის №1/1/72-73 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ“ ხაზგასმით აღინიშნა, რომ არანორმატიული აქტით სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციის დარღვევის შეფასება სცილდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს.
- 540 კონსტიტუცია არ ითვალისწინებს, რომ დავა მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება, როდესაც კომპეტენცია ნორმატიული და არა სხვა სამართლებრივი აქტითაა დარღვეული. სადავო აქტის სახეს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი აკონკრეტებს. სახელმწიფო ორგანოს კომპეტენცია, შესაძლოა, ინდივიდუალური აქტითაც დაირღვეს, ნორმატიულ აქტზე არანაკლები სიმძიმითა და ნეგატიური შედეგებით.⁹¹⁷ გონივრული და კონსტიტუციის შესაბამისი იქნება, რომ ორგანულმა კანონმა დაუშვას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გასაჩივრების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ ამოწურულია ან არ არსებობს სამართლებრივი დავის სხვა საშუალებები.⁹¹⁸ ამგვარი მიდგომა შეესაბამება უფლებამოსილების შესახებ დავის არსს და ხელს უწყობს მისი მიზნის განხორციელებას.⁹¹⁹
- 541 №1/1/72-73 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ დეტალურად გამოიკვლია სადავო აქტის ნორმატიულობის საკითხი. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რამდენად იყო დაცული ნორმატიული აქტის მომზადების, გამოქვეყნების, რეგისტრაციისა და ძალაში შესვლის წესები. აუცილებელია, რომ უფლებამოსილების შესახებ დავაზეც გავრცელდეს სასამართლოს მიერ მოგვიანებით ჩამოყალიბებული მიდგომა, რომლის მიხედვითაც, აქტის ნორმატიულობის საკითხის გარკვევისთვის მთავარია მისი შინაარსი და არა ფორმალურ-პროცედურული მხარე.

⁹¹⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹¹⁶ შეადარე: *ბეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 74; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 182.

⁹¹⁷ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 183.

⁹¹⁸ შეადარე: *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (259).

⁹¹⁹ დეტალურად: იხ.: *ბეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 74-76.

უფლებამოსილების შესახებ დავისას, სხვა კომპეტენციების მსგავსად, მნიშვნელოვანია სადავო ნორმის მოქმედების საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ კუთხითაც უფრო ფორმალურ მხარეზე გაამახვილა ყურადღება და შეამოწმა, თუ რამდენად იყო დაცული გასაჩივრებული აქტის ძალაში შესვლის პროცედურა. მან, ამ პროცედურის დარღვევის გამო, სადავო ნორმა არ ჩათვალა მართლზომიერად ძალაში შესულ აქტად.⁹²⁰ სადავო აქტის მოქმედებაზე დასკვნის გაკეთება მხოლოდ ფორმალურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით საკმარისი არ არის. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განიხილოს და შეაფასოს ის მტკიცებულებებიც, რომლებიც ადასტურებს, რომ ნორმა ფაქტობრივად მოქმედებს და იწვევს სამართლებრივ შედეგებს.

რელევანტურია ე.წ. „სამართლებრივად არსებული ნორმის“ საკითხი, რომელიც გამოქვეყნდა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა. ამ თემაზე უკვე გაამახვილდა ყურადღება და აღინიშნა, რომ აბსტრაქტული ნორმათკონტროლის დროს საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს ამგვარი ნორმების კონსტიტუციურობასაც.⁹²¹ სამწუხაროდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი სპობს მსგავსი მიდგომის უფლებამოსილების შესახებ დავაზე გავრცელების შესაძლებლობას. მოსარჩელე უფლებამოსილია, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს მაშინ, თუ მისი კონსტიტუციური კომპეტენციის ფარგლები უკვე დარღვეულია.⁹²² თუ ნორმა არ ამოქმედებულა, უფლებამოსილების დარღვევაც არ იქნება სახეზე. მოსარჩელე ჯერ უნდა დაელოდოს მის ძალაში შესვლას, კომპეტენციის ხელყოფას და მერე შეიტანოს კონსტიტუციური სარჩელი. მიზანშეწონილია, რომ საქართველოს კანონმდებლობა, გერმანიის მსგავსად,⁹²³ იძლეოდეს უშუალო საფრთხის შემთხვევაში კომპეტენციის დარღვევის პრევენციის შესაძლებლობას.

უფლებამოსილების შესახებ დავის განხილვისას სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.⁹²⁴ ამ შემთხვევაზე არ ვრცელდება სამართალწარმოების გაგრძელების საგამონაკლისო წესი, რადგანაც ის მხოლოდ ძირითად უფლებებს შეეხება, ხოლო დავა უფლებამოსილებათა შესახებ გულისხმობს კომპეტენციის დამდგენი

⁹²⁰ №1/1/72-73 გადაწყვეტილება.

⁹²¹ დეტალურად: იხ.: ქვეთავი 4.2.4 – „დავის საგანი აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ფარგლებში“.

⁹²² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁹²³ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 64-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი.

⁹²⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

კონსტიტუციური ნორმების დარღვევის შემოწმებას. სადავო აქტის გაუქმების ან ძალადაკარგულად ცნობისას საქმის შეწყვეტა ყველა შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს. მხედველობაშია მისაღები, რომ სადავო ნორმა, მიუხედავად გაუქმებისა, შეიძლება, მაინც იწვევდეს სამართლებრივ შედეგებს. საქმის წარმოების გაგრძელება, შესაძლოა, შედიოდეს კონსტიტუციური წესრიგისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვის ინტერესებში. არ არის გამორიცხული ისიც, რომ საქმის განხილვის დასრულებას ირიბად ჰქონდეს მნიშვნელობა ძირითადი უფლებების უზრუნველყოფისთვის. მაგალითად, ამგვარ შემთხვევასთან გვექნება საქმე, როდესაც რომელიმე სახელმწიფო ორგანო ზღუდავს ძირითად უფლებებს და შეზღუდვის განხორციელება სხვა ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება.

545 დავის საგნის მეორე ნაწილია კონსტიტუციის ნორმა, რომელთან მიმართებაშიც მოწმდება სადავო ნორმის კონსტიტუციურობა. ის შემოიფარგლება კონსტიტუციური დანაწესების გარკვეული კატეგორიით, რაც გამომდინარეობს კომპეტენციის სპეციფიკიდან. ამ კომპეტენციის ფარგლებში, დავა მიმდინარეობს კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევის თაობაზე. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმის შემოწმება შესაძლებელია კონსტიტუციის მხოლოდ იმ ნორმებთან მიმართებით, რომლებიც განსაზღვრავენ შესაბამისი ორგანოების კომპეტენციას.

546 საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნით სადავო ნორმის ნაწილში. ის არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე, თუ მოსარჩელე ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.⁹²⁵ უფლებამოსილების შესახებ დავის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული შეზღუდვა გადამეტებულად მკაცრია. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა შეეძლოს იმ ნორმებზე მსჯელობაც, რომლებიც ორგანულადაა დაკავშირებული სადავო ნორმასთან და სრულფასოვანი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მათი ერთობლივი შეფასებითაა შესაძლებელი.

547 მოსარჩელე უფლებამოსილია, შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა ან უარი თქვას მოთხოვნაზე, რაც იწვევს საქმის შეწყვეტას.⁹²⁶ ეს დისპოზიციურობის პრინციპის გამოხატულებაა. გერმანიაში დავის საგნის მოცულობა შესაბამისი

⁹²⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁹²⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

სარჩელიდან გამომდინარეობს, თუმცა მოსარჩელის პოზიცია არ არის აუცილებლად გადაწყვეტი პროცესის შემდგომი წარმართვისთვის. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო, ყოველ შემთხვევაში, ზეპირი განხილვის შემდეგ, ადარ აძლევს საშუალებას მოსარჩელეს, რომ თავად, სასამართლოს თანხმობის გარეშე, მიიღოს გადაწყვეტილება დავის საგნისა და პროცესის მიმდინარეობის თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლო ამ თანხმობაზე უარს აცხადებს, თუ ეს ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს.⁹²⁷ დისპოზიციურობის პრინციპის ამგვარ შეზღუდვას ამართლებენ პროცესის ობიექტური ბუნებითა და მიზნებით, რაც აბალანსებს სუბიექტურად განსაზღვრულ დავის საგანს.⁹²⁸ მიზანშეწონილია, რომ ეს გარემოება საქართველოს კანონმდებლობასა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაშიც იყოს გათვალისწინებული.

4.4.5. შემოწმების მასშტაბი, ფორმა და შინაარსი უფლებამოსილების შესახებ დავის ფარგლებში

სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების მასშტაბი გამომდინარეობს დავის საგნიდან. როგორც აღინიშნა, ნორმის გასაჩივრება შესაძლებელია კონსტიტუციის კომპეტენციის დამდგენ ნორმებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, შემოწმების მასშტაბი, პირველ რიგში, კონსტიტუციის ის დანაწესებია, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად განსაზღვრავს შესაბამისი სუბიექტის კომპეტენციას. ამავდროულად, უფლებამოსილებას მოსარჩელე შეიძლება ახორციელებდეს დამოუკიდებლად ან სხვა სუბიექტის თანამონაწილეობით. რელევანტურია კონსტიტუციის ის ნორმებიც, რომელთა დაცვა აუცილებელია იმისთვის, რომ მოსარჩელემ მოახდინოს თავისი უფლებამოსილებების რეალიზაცია.⁹²⁹

548

№1/1/72-73 გადაწყვეტილებაში დავის საგანი იყო განათლების მინისტრის ერთ-ერთი ბრძანებით ჰარლამენტის კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევა. მოსარჩელის მტკიცებით, სადავო აქტი ფაქტობრივად მოსაკრებელს ადგენდა კონსტიტუციის იმჟამინდელი რედაქციის 94-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებიდან

549

⁹²⁷ მაგალითად იხ.: BVerfGE 24, 299 (300).

⁹²⁸ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1058.

⁹²⁹ შეადარე: BVerfGE 60, 53 (63); 68, 1 (73); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1022.

გამომდინარე, მოსაკრებლების სტრუქტურა, შემოღების წესი და ოდენობა კანონით განისაზღვრებოდა. მართალია, ამ მუხლის პირდაპირი რეგულირების საგანი გადასახადები და მოსაკრებლები იყო, თუმცა მისი შინაარსიდან ირიბად გამომდინარეობდა პარლამენტის უფლებამოსილება აღნიშნულ სფეროში. სწორედ საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციას მიეკუთვნებოდა კანონების, მათ შორის მოსაკრებლებთან დაკავშირებით, მიღება.

550 საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილების შესახებ დავის გადაწყვეტის პროცესში ახდენს კონსტიტუციის ინტერპრეტაციას.⁹³⁰ ის, ამა თუ იმ ცალკეული სუბიექტის უფლებამოსილების დაცვასთან ერთად, კონსტიტუციურ წესრიგსაც იცავს.⁹³¹ ამ კომპლექსური ამოცანის სრულყოფილი განხორციელება შეუძლებელი იქნება, თუ კომპეტენციის დამდგენი ნორმების განხილვა მოხდება კონსტიტუციის სხვა ნორმებისა და პრინციპებისგან იზოლირებულად. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ უფლებამოსილების შესახებ დავებზე უნდა გაავრცელოს დამკვიდრებული პრაქტიკა და სადავო აქტის კონსტიტუციურობა შეამოწმოს ერთიან კონტექსტში არა მხოლოდ კონსტიტუციის ნორმებთან, არამედ, იმავდროულად, ფუნდამენტურ პრინციპებთან მიმართებითაც.

551 დავაზე უფლებამოსილების შესახებ ვრცელდება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების ზოგადი წესი. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო ფორმალური კუთხით არკვევს, დაცულია თუ არა საკანონმდებლო აქტისა და პარლამენტის დადგენილების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესები.⁹³² მატერიალური თვალსაზრისით, სასამართლო ამოწმებს სადავო ნორმის შინაარსის შესაბამისობას კონსტიტუციასთან.⁹³³ შემოწმების პროცესში ის მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არა მარტო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე, შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს.⁹³⁴

⁹³⁰ Stern, GG, Art. 93, Rn. 78 ff.

⁹³¹ შეადარე: Ipsen, Staatsrecht I, S. 244.

⁹³² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁹³³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

⁹³⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ფორმალური კონტროლის განხორციელებისას საკონსტიტუციო სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმის დადგენით, თუ რამდენადაა დაცული კონსტიტუციით განსაზღვრული პროცედურა. თუმცა, ამის შემოწმების პროცესშიც შესაძლებელია, რომ გამოიკვეთოს მოსარჩელის უფლებამოსილების ხელყოფა. მაგალითად, პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც არ გადასცემია პრეზიდენტს ხელმოწერისა და გამოქვეყნებისთვის. მას ხელი მოაწერა და გამოაქვეყნა პარლამენტის თავმჯდომარემ. ამ დროს სახეზე იქნება არა მარტო კანონის ხელმოწერისა და გამოქვეყნების პროცედურის, არამედ ასევე, პრეზიდენტის მიერ კანონის ხელმოწერისა და გამოქვეყნების უფლებამოსილების დარღვევა.⁹³⁵

ფორმალური კონსტიტუციურობის სხვა კომპონენტის - ფორმის დაუცველობამაც შეიძლება, იმავდროულად, გამოიწვიოს უფლებამოსილების დარღვევა. მაგალითად, საგანგებო მდგომარეობის დროს მთავრობამ გამოსცა დადგენილება, რომლითაც საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდისთვის შეიზღუდა რამდენიმე ძირითადი უფლება. ამავედროულად, პრეზიდენტის დეკრეტი უფლებების შეზღუდვის შესახებ არ გამოცემულა. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტის, რომელიც გამოსცემს შესაბამის დეკრეტს და პარლამენტის, რომელიც ამტკიცებს მას,⁹³⁶ უფლებამოსილების გარდა, ირღვევა კონსტიტუციის მოთხოვნა ფორმასთან დაკავშირებით, რადგანაც საგანგებო მდგომარეობის დროს უფლებები შეზღუდა არა პრეზიდენტის დეკრეტმა, არამედ სხვა სახის ნორმატიულმა აქტმა - მთავრობის დადგენილებამ.

ზემოაღნიშნული მაგალითებიც მეტყველებს, რომ ფორმალური კონტროლის მთავარი კომპონენტი უფლებამოსილებაა, რადგანაც დავა სწორედ მის დარღვევას შეეხება. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარი ამოცანაა, შეამოწმოს, რამდენად მოქმედებდა მოპასუხე თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ხომ არ მიითვისა მან მოსარჩელის რომელიმე კონსტიტუციური უფლებამოსილება.

უფლებამოსილების შესახებ დავის არსიდან გამომდინარე, სადავო ნორმის შემოწმებისას წამყვანი ფორმალური კონტროლია, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს გაუჭირდება შესაბამისი დასკვნების გამოტანა ნორმის მატერიალური შინაარსის სათანადო გაანალიზებისა და შეფასების გარეშე. ამ თვალსაზრისით,

⁹³⁵ საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹³⁶ საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება იმის გარკვევას, რამდენადაა დაცული განსაზღვრულობის პრინციპი და ხომ არ არის გამოწვეული მოსარჩელის კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევა ნორმის ბუნდოვანებითა და ორაზროვნებით. როგორც უკვე აღინიშნა,⁹³⁷ განსაზღვრულობის პრინციპი სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციის განსაზღვრულობასაც მოითხოვს.

4.4.6. კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შედეგები

556 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, უფლებამოსილების შესახებ დავაზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობას მისი ამოქმედებიდან (ex tunc).⁹³⁸ ეს წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასთან,⁹³⁹ რომელიც ადგენს არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა მომენტს - საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნებას, თუ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი არ არის აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელი ვადა.⁹⁴⁰ აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ ფორმულირებას „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონიც შეიცავს.⁹⁴¹ ამდენად, კოლიზია ორგანული კანონის ნორმებს შორისაც არის.

557 სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა მისი ამოქმედებიდან სამართლებრივი უსაფრთხოების კუთხითაც შესაძლოა, გახდეს პრობლემური. შეიძლება, უფლებამოსილების დამრღვევი ნორმის სამართლებრივი შედეგები არ იყოს ისეთი მასშტაბისა და შინაარსის, რომ მათმა რევიზიამ სამართლებრივი უსაფრთხოება და სტაბილურობა სერიოზულად დააზიანოს. თუმცა, ეს ვარაუდი, კონკრეტული შემთხვევების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყოველთვის არ გამართლდება. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ კომპეტენციის ფარგლებშიც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ შეაფასოს ვითარება და თავად გადაწყვიტოს, თუ რა მომენტიდან დაკარგავს ძალას არაკონსტიტუციური ნორმა.⁹⁴²

⁹³⁷ იხ.: ქვეთავი 4.2.6. – „შემოწმების ფორმა და შინაარსი აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის ფარგლებში“.

⁹³⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹³⁹ შეადარე: ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 86.

⁹⁴⁰ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

⁹⁴¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹⁴² *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 184 f.*

4.5. საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლი

4.5.1. საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლის არსი, მნიშვნელობა და ისტორია

კონსტიტუციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის ან მთავრობის სარჩელის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს.⁹⁴³ ამ კომპეტენციის ანალოგიურ ფორმულირებას ითვალისწინებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი.⁹⁴⁴ 558

კონსტიტუციით აღიარებულია საერთაშორისო სამართლის უპირატესობა შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან მიმართებით. საქართველოს კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საერთაშორისო ხელშეკრულებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, მაგრამ ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.⁹⁴⁵ კონსტიტუცია საერთაშორისო ხელშეკრულებების საქართველოს სამართლებრივ სისტემაში ინტეგრირებას ახდენს, ასევე, განსაზღვრავს მათ იურიდიულ ძალასა და ადგილს ნორმატიული აქტების იერარქიაში.⁹⁴⁶ საერთაშორისო ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, როგორც უმაღლესი იურიდიული ძალის ნორმატიულ აქტს. ამდენად, არსებობს მისი კონსტიტუციურობის კონტროლის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძველი.⁹⁴⁷ 559

ქართული მოდელი ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლის ორ წესს.⁹⁴⁸ თითოეული მათგანის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ექვემდებარება ხელშეკრულება რატიფიცირებას და არის თუ არა ეს პროცედურა უკვე განხორციელებული. რატიფიცირებად საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ან მის ცალკეულ დებულებებთან 560

⁹⁴³ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.
⁹⁴⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.
⁹⁴⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.
⁹⁴⁶ *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 139.
⁹⁴⁷ *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (259); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 209.
⁹⁴⁸ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 209.

დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება კონსტიტუციური წარდგინება. დანარჩენ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულება რატიფიცირებულია ან რატიფიცირება არ არის საჭირო, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ კონსტიტუციური სარჩელით.⁹⁴⁹

561 რატიფიცირება არის საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის ფორმა.⁹⁵⁰ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების უფლებამოსილება აქვს პარლამენტს.⁹⁵¹ რატიფიცირებამდე ხელშეკრულება ამოქმედებული არ არის, ამიტომ მისი კონსტიტუციურობის კონტროლს წინასწარი (პრევენციული) ხასიათი აქვს.⁹⁵² ეს გამონაკლისია საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, რომელიც სხვა შემთხვევებში შემდგომ (რეპრესიულ) კონტროლს ახორციელებს.⁹⁵³ გამონაკლისი შეიძლება აიხსნას იმ ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების ინტერესით, რაც შეიძლება მოიტანოს არაკონსტიტუციური საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედებამ სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა კუთხით.

562 ძირითადად, სწორედ წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა გამოარჩევს მოცემულ კომპეტენციას საკონსტიტუციო სასამართლოს იმ უფლებამოსილებებისგან, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია ასევე, შემოწმდეს საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობა.⁹⁵⁴ წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლის ცალკე კომპეტენციად ჩამოყალიბების საჭიროება ფაქტობრივად არ იარსებებდა. მაგალითად, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს მსგავსი უფლებამოსილება, თუმცა საერთაშორისო ხელშეკრულებების შინაარსის კონსტიტუციურობის შეფასება მას შეუძლია ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას, ასევე, აბსტრაქტული და კონკრეტული ნორმათკონტროლის განხორციელებისას.⁹⁵⁵

⁹⁴⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹⁵⁰ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

⁹⁵¹ საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁵² ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (259); Gaul W., Verfassungsgebung in Georgien. Ergebnisse internationaler rechtlicher Beratung in einem Transformationsstaat, Berlin 2001, S. 252; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 210.

⁹⁵³ შუადარ: *ხეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 146-147.

⁹⁵⁴ დეტალურად: იხ.: *ხეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 162-163.

⁹⁵⁵ მაგალითად შუადარ: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 538 ff., 677, 794; *Ipsen*, Staatsrecht I, S. 251; *Sturm*, GG, Art. 93, Rn. 25, 55, 85; *Sturm*, GG, Art. 100, Rn. 9.

საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლი ემსახურება 563
 სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის უმნიშვნელოვანესი ელემენტის -
 კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფას.⁹⁵⁶ ეს პრინციპი უნდა დაიცვას
 სახელმწიფომ ნებისმიერ, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობების, სფეროში.
 მან არ უნდა დადოს ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რაც ეწინააღმდეგება
 კონსტიტუციის ნორმებსა და პრინციპებს.

საპარლამენტო ოპოზიციას აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე იმ 564
 საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხის დასმის
 შესაძლებლობა, რომელიც მთავრობასა და საპარლამენტო უმრავლესობას
 კონსტიტუციურად მიაჩნია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკონსტიტუციო
 სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე და ხელშეკრულების
 კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევამდე დაუშვებელია საპარლამენტო
 უმრავლესობის მიერ მისი რატიფიკაცია.⁹⁵⁷ აქედან გამომდინარე, საერთაშორისო
 ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლი, კონსტიტუციის
 უზენაესობასთან ერთად, პოლიტიკური უმცირესობისა და შესაბამისად,
 დემოკრატიის პრინციპის დაცვასაც ემსახურება.⁹⁵⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და 565
 შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვას ითვალისწინებდა
 კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქცია.⁹⁵⁹ 2017 წლის 13 ოქტომბრის
 კონსტიტუციურ კანონამდე ეს კომპეტენცია არ შეცვლილა. მან დღევანდელი
 შინაარსი აღნიშნული საკონსტიტუციო რეფორმით მიიღო. ტერმინი „საერთაშორისო
 ხელშეკრულებები და შეთანხმებები“ ჩაანაცვლა ტერმინმა „საერთაშორისო
 ხელშეკრულება“. გარდა ამისა, უშუალოდ კომპეტენციის დამდგენმა
 კონსტიტუციურმა ნორმამ განსაზღვრა კონსტიტუციური სარჩელისა და წარდგინების
 შეტანაზე უფლებამოსილი სუბიექტები.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის 566
 შემოწმების უფლებამოსილებას „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

⁹⁵⁶ *ბეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 141.

⁹⁵⁷ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 211.

⁹⁵⁸ შეადარე: *ბეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 152.

⁹⁵⁹ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

შესახებ“ ორგანული კანონიც მიღებისთანავე ითვალისწინებდა.⁹⁶⁰ საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, 2018 წლის 21 ივლისს ტერმინოლოგიურად შეიცვალა კომპეტენციის დამდგენი ნორმის რედაქცია და მიეთითა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი. უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა ორგანული კანონის 38-ე მუხლი, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლს ეძღვნება. 2002 წლის 12 თებერვლის ცვლილებით, ორგანულმა კანონმა გაითვალისწინა ამ კომპეტენციის ფარგლებში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის შესაძლებლობა პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედისთვის. გარდა ამისა, დაკონკრეტდა კონსტიტუციური სარჩელის შეტანის წინაპირობები და ვადები, ასევე, მოპასუხეები. 2004 წლის 25 ნოემბრის ცვლილებით, მოსარჩელეთა წრეს დაემატა მთავრობა, რაც განპირობებული იყო 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმით მისთვის დამოუკიდებელი, კოლეგიური ორგანოს სტატუსის მინიჭებით. 2018 წლის 21 ივლისის ცვლილებით, 38-ე მუხლის ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდა კომპეტენციის დამდგენი კონსტიტუციური ნორმის ახალ რედაქციასთან.

4.5.2. მხარეები საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

567 მხარეთა მონაწილეობა სამართალწარმოებაში და შესაბამისად, პროცესის ხასიათი დამოკიდებულია საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის ფორმაზე. ეს საკითხი განსხვავებულადაა მოწესრიგებული საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელისა და კონსტიტუციური წარდგინების შეტანის შემთხვევებში.

568 საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილებით სარგებლობს:

- 1) პრეზიდენტი;
- 2) მთავრობა;
- 3) პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი.⁹⁶¹

⁹⁶⁰ მე-19 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

⁹⁶¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტი.

კონსტიტუციური სარჩელის შეტანის წინაპირობები უკავშირდება იმას, არის თუ არა რატიფიცირებული სადავო ხელშეკრულება. ამასთან, არარატიფიცირებადი ხელშეკრულებების გასაჩივრება ამ პირობებით არ იზღუდება.⁹⁶² თუ საერთაშორისო ხელშეკრულება რატიფიცირებულია, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვამდე პარლამენტის წინაშე უნდა დაისვას მისი ან მის ცალკეულ დებულებათა დენონსირების ან გაუქმების საკითხი. ეს იმითაა ახსნილი, რომ პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულების არაკონსტიტუციურად ცნობა მისი გვერდის ავლით არ უნდა მოხდეს.⁹⁶³ აღნიშნული წინაპირობა საკონსტიტუციო სასამართლოს ჩართულობას სუბსიდიურ ხასიათს ანიჭებს, რადგან მისთვის მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ სხვა საშუალების გამოყენების შემდეგ.

მოსარჩელეთაგან მხოლოდ მთავრობაა უფლებამოსილი, რომ მიმართოს პარლამენტს წინადადებით იმ საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე, რომლის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა პარლამენტმა გამოხატა.⁹⁶⁴ ამრიგად, პრეზიდენტისა და პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მენუთედის მიერ რატიფიცირებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით სარჩელის შეტანა მთავრობაზეა დამოკიდებული, რაც მათ ფაქტობრივად ართმევს სასამართლოსთვის მიმართვის შანსს. მართებულია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ სათანადო ცვლილებებია შესატანი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონსა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონში, რათა აღნიშნულ სუბიექტებს მიეცეს რატიფიცირებული ხელშეკრულებების გასაჩივრების რეალური შესაძლებლობა.⁹⁶⁵

საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსირებაზე ან გაუქმებაზე პარლამენტის უარის შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელის შეტანა შეიძლება უარის თქმიდან 30 დღის ვადაში.⁹⁶⁶ დენონსირების ან გაუქმების საკითხის დასმიდან 30 დღეში პარლამენტის მიერ მისი გადაუწყვეტლობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა დასაშვებია საკითხის დასმიდან არაუადრეს 31-ე და

⁹⁶² იქვე, 38-ე მუხლის 2¹ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁹⁶³ *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 159.

⁹⁶⁴ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁹⁶⁵ *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 160.

⁹⁶⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 38-ე მუხლის 2¹ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

არა უგვიანეს მე-60 დღისა.⁹⁶⁷ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის ვადების განსაზღვრა ზოგადად სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესითაა განპირობებული. სამართლებრივ უსაფრთხოებას ემატება საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სტაბილურობის შენარჩუნების ფაქტორი.⁹⁶⁸

572 საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლისას მოსარჩელე იმ უფლებებით სარგებლობს, რომლითაც სხვა კომპეტენციების ფარგლებში. მათ შორისაა სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის შემცირების ან მასზე უარის თქმის უფლება. საქმის განხილვის მომენტისთვის სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა იწვევს საქმის უპირობო შეწყვეტას.⁹⁶⁹ იქედან გამომდინარე, რომ ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შემოწმება კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის ობიექტურ მიზანს ემსახურება, არ არის მართებული, რომ მისი ფარგლები და სამართალწარმოების გაგრძელების საკითხი მხოლოდ მოსარჩელეზე იყოს დამოკიდებული. საკონსტიტუციო სასამართლოს, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა ჰქონდეს მოსარჩელის პოზიციის არგაზიარების შესაძლებლობა როგორც სასარჩელო მოთხოვნის შემცირებასთან, ასევე მასზე უარის თქმასთან დაკავშირებით.

573 მოპასუხის ვინაობა საერთაშორისო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას დამოკიდებულია იმაზე, რატიფიცირებულია შესაბამისი ხელშეკრულება, თუ არ ექვემდებარება რატიფიცირებას.⁹⁷⁰ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შემთხვევაში, მოპასუხეა პარლამენტი, ხოლო ისეთ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რომელთა რატიფიცირებაც საჭირო არ არის - მათი დამდები ორგანო/თანამდებობის პირი ან მისი უფლებამონაცვლე.⁹⁷¹ საერთაშორისო ხელშეკრულებების დამდებ ორგანოებსა და თანამდებობის პირებზე წარმოდგენას გვიქმნის კონსტიტუცია⁹⁷² და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების

⁹⁶⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 38-ე მუხლის 2¹ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁹⁶⁸ ხეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 159.

⁹⁶⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹⁷⁰ ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (259).

⁹⁷¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

⁹⁷² საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და 55-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

შესახებ“ კანონი.⁹⁷³ საერთაშორისო ხელშეკრულების დადების უფლებამოსილებით სარგებლობს: 1) პრეზიდენტი; 2) პრემიერ-მინისტრი; 3) მთავრობა; 4) სამინისტრო; 5) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; 6) პროკურატურა; 7) შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სასაზღვრო პოლიცია; 8) შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით სარჩელის განხილვაში მოსარჩელისა და მოპასუხის მონაწილეობა მიუთითებს იმაზე, რომ პროცესი კონტრადიქტორულია. ეს ეწინააღმდეგება აღნიშნული კომპეტენციის არსს. მისი მიზანია კონსტიტუციის ობიექტური ღირებულებების და არა მოსარჩელეთა სუბიექტური სამართლებრივი პოზიციების დაცვა.⁹⁷⁴

574

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა შეუძლია, ე.ი. წარდგინების ავტორი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სუბიექტი - პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მესუთედი.⁹⁷⁵ წარდგინების შეტანა დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ხელშეკრულების რატიფიცირებამდე.⁹⁷⁶ ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა ჩნდება პარლამენტისთვის შესაბამისი ხელშეკრულების სარატიფიკაციოდ წარდგენის შემდეგ,⁹⁷⁷ რისი უფლებამოსილებაც მთავრობას აქვს.⁹⁷⁸ ამდენად, სახეზეა დროის მონაკვეთი, როდესაც დასაშვებია საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვა. ის იწყება შესაბამისი ხელშეკრულების რატიფიცირებისთვის წარდგენიდან და მთავრდება პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირების მომენტში. ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შემოწმების ინიცირება ამის შემდეგაც შეიძლება, ოღონდ კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე.

575

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი არ აწესრიგებს იმ საკითხს, თუ რამდენად მოჰყვება საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა წარდგინების ავტორის უარს წარდგინების განხილვაზე. საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლის ობიექტური

576

⁹⁷³ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი.

⁹⁷⁴ *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 211.

⁹⁷⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁷⁶ იქვე, 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹⁷⁷ შეადარე: *ბეგურია*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 151.

⁹⁷⁸ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

ხასიათიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ წარდგინების ავტორს, საერთო სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანალოგიურად, არ ჰქონდეს წარდგინების განხილვაზე უარის თქმის უფლება. თუ ეს უფლება მას მაინც ექნება, საქმის შეწყვეტა არ უნდა ხდებოდეს ავტომატურად და საკონსტიტუციო სასამართლომ ცალკეულ შემთხვევებში, საკითხის არსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, თავად მიიღოს სამართალწარმოების გაგრძელების გადაწყვეტილება.

577 კონსტიტუციური წარდგინებას მოპასუხე არ ჰყავს. ის არებითად განიხილება წარდგინების ავტორისა და მისი წარმომადგენლის გარეშე. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, მოიწვიოს წარდგინების ავტორი და მოისმინოს მისი განმარტება, თუმცა ამ პირს ის მხარედ არ აღიარებს.⁹⁷⁹ ამდენად, საერთაშორისო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონსტიტუციური წარდგინების განხილვის პროცესს კონტრადიქტორული ხასიათი არ აქვს.

4.5.3. დავისა და წარდგინების საგანი საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

578 საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური სარჩელით მიმართვისას შეიძლება ვისაუბროთ დავის საგანზე, ხოლო იგივე საკითხზე წარდგინების შეტანისას - წარდგინების საგანზე, რადგანაც ამ შემთხვევაში სასამართლოში დავა არ მიმდინარეობს. როგორც დავის, ასევე წარდგინების საგანი ორნაწილიანია: 1) სადავო ნორმა ან შესამოწმებელი ნორმა (წარდგინების შემთხვევაში) და 2) კონსტიტუციის ნორმა, რომელთან მიმართებითაც უნდა დადგინდეს სადავო ნორმის ან შესამოწმებელი ნორმის კონსტიტუციურობა.

579 სადავო ან შესამოწმებელი ნორმა შეიძლება იყოს მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულება ან მისი ცალკეული დებულებები. საერთაშორისო ხელშეკრულება არის საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობით დადებული

⁹⁷⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27³ მუხლის მე-2 პუნქტი.

შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით.⁹⁸⁰ კანონმდებლობა ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულების სამ სახეს - სახელმწიფოთაშორის, მთავრობათაშორის და უწყებათაშორის ხელშეკრულებებს.⁹⁸¹ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა დასაშვებია ნებისმიერი სახის ხელშეკრულების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.⁹⁸² საერთაშორისო ხელშეკრულება ნორმატიული აქტია.⁹⁸³ აქედან გამომდინარე, მისი კონსტიტუციურობის შემოწმების ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს ნორმატოკონტროლს,⁹⁸⁴ რომელსაც აბსტრაქტული ხასიათი აქვს.

კონსტიტუციური სარჩელის შემთხვევაში, დავის საგანია საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც არ მოითხოვს რატიფიცირებას. სავალდებულოდ აღიარება, გარდა რატიფიცირებისა, შეიძლება მოხდეს: 1) ხელშეკრულების ხელმოწერით; 2) ხელშეკრულების შემადგენელი დოკუმენტების (ნოტების) გაცვლით; 3) ხელშეკრულების დამტკიცებით; 4) ხელშეკრულებასთან შეერთებით; 5) ხელშეკრულებაზე თანხმობის ნებისმიერი სხვა ურთიერთშეთანხმებული საშუალების გამოყენებით.⁹⁸⁵ ბუნებრივია, დავის საგანი ვერ იქნება ხელშეკრულება, რომლის სავალდებულოდ აღიარება არ განხორციელდა რომელიმე ზემოაღნიშნული ფორმით.

580

დავის საგანი შეიძლება იყოს უკვე რატიფიცირებული ხელშეკრულებები, ოღონდ მათი გასაჩივრება დაკავშირებულია პირობებთან, რაზეც ზემოთ გამახვილდა ყურადღება.⁹⁸⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი ცალკე გამოჰყოფს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც რატიფიცირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობამდე. მართალია, მათთან ან მათ ცალკეულ დებულებებთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელის შეტანა ფორმალურად დასაშვებია,⁹⁸⁷ მაგრამ რეალურად ეს შეუძლებელია, რადგანაც ორგანული კანონი

581

⁹⁸⁰ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. საერთაშორისო ხელშეკრულების ცნებასა და ნიშნებზე დეტალურად: იხ.: ხევრიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 135-138.

⁹⁸¹ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁸² *ხევრიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 142.

⁹⁸³ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁸⁴ *ხევრიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 141.

⁹⁸⁵ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁸⁶ დეტალურად: იხ.: ქვეთავი 4.5.2. - მხარეები საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში.

⁹⁸⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ითვალისწინებს სარჩელის შეტანას საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობიდან 3 თვის ვადაში.⁹⁸⁸ ამ მომენტიდან არათუ 3 თვე, არამედ ორ ათეულ წელზე მეტია გასული. მიზანშეწონილია, რომ ორგანულმა კანონმა ასახოს რეალობა ან პირდაპირ უნდა მიეთითოს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებათა ეს ჯგუფი გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ან მათზე გავრცელდეს გასაჩივრების ზოგადი წესი. მეორე მიდგომა უფრო ლოგიკური იქნებოდა, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს დაბრკოლება, შეაფასოს სხვა ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობა, რომლებიც არათუ სასამართლოს პირველი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობამდე, არამედ კონსტიტუციის ამოქმედებამდეა მიღებული.

582 კონსტიტუციური წარდგინების საგანია რატიფიცირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარებამდე. პარლამენტის მიერ რატიფიცირებას ექვემდებარება ხელშეკრულება, რომელიც: 1) თავად ითვალისწინებს რატიფიცირებას; 2) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას; 3) სამხედრო ხასიათისაა; 4) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრის შეცვლას; 5) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასთან ან გაცემასთან; 6) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონების მიღებას.⁹⁸⁹

583 რელევანტურია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა კონსტიტუციურობის შემოწმების თემა, რომელთა სავალდებულოდ აღიარებაზე გამომხატულია თანხმობა, მაგრამ ისინი ჯერ ძალაში არ შესულა. პირველ რიგში, ეს თემა აქტუალურია მხოლოდ კონსტიტუციურ სარჩელზე დავის საგანთან მიმართებით. კონსტიტუციური წარდგინების საგანი ის საერთაშორისო ხელშეკრულებებია, რომლებიც არც ძალაში შესულა და არც მათ სავალდებულოდ აღიარებაზეა გამომხატული თანხმობა რატიფიცირების ფორმით.⁹⁹⁰ აქედან გამომდინარე, გაუმართლებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს უარი კონსტიტუციური წარდგინების არსებითად

⁹⁸⁸ იქვე, 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁹⁸⁹ საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹⁹⁰ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

განსახილველად მიღებაზე იმის გამო, რომ შესამოწმებელი საერთაშორისო ხელშეკრულება, მისივე შინაარსიდან გამომდინარე, ძალაში შედის არა რატიფიკაციის, ე.ი. სავალდებულოდ აღიარების მომენტიდან, არამედ მოგვიანებით.⁹⁹¹

კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე იმ ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემოწმების საკითხი, რომლებიც სავალდებულოდ აღიარებულია ამა თუ იმ ფორმით, მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში, მიზანშეწონილია, გადაწყდეს იგივე მიდგომით, რაც ე.წ. „სამართლებრივად არსებულ ნორმებთან“ დაკავშირებით ჩამოყალიბდა.⁹⁹² საკონსტიტუციო სასამართლომ ამ შემთხვევაშიც უნდა გამოიყენოს არსებული პრაქტიკა და არ დაელოდოს შესაბამისი ხელშეკრულების ფორმალურ ამოქმედებას, როდესაც სამომავლოდ მისი ძალაში შესვლა გარდაუვალია.⁹⁹³

თეორიულად შესაძლებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისას სადავო ნორმამ მოქმედება შეწყვიტოს. ზოგადი წესის მიხედვით, ეს გამოიწვევს საქმის შეწყვეტას.⁹⁹⁴ გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც საქმე შეეხება კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. საკონსტიტუციო სასამართლო ამ დროს უფლებამოსილია, რომ გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.⁹⁹⁵ საქმის შეწყვეტის ზოგადი წესი ვერ გავრცელდება კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე, რადგანაც წარდგინების საგანია ხელშეკრულება, რომელიც ჯერ არ ამოქმედებულა და შესაბამისად, საქმის განხილვისას მოქმედებასაც ვერ შეწყვეტს.

დავის/წარდგინების საგნის სადავო/შესამოწმებელი ნორმის ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია მოსარჩელის/წარდგინების ავტორის მოთხოვნით. ის არ არის უფლებამოსილი, რომ იმსჯელოს მთლიანად

⁹⁹¹ განსხვავებული პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: *ხეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 162.

⁹⁹² დეტალურად: იხ.: ქვეთავი 4.2.4. - დავის საგანი აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ფარგლებში; ქვეთავი 4.4.4. - დავის საგანი უფლებამოსილების შესახებ დავის ფარგლებში.

⁹⁹³ განსხვავებული პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: *ხეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 161.

⁹⁹⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹⁹⁵ იქვე, 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

584

585

586

საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს მისი მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.⁹⁹⁶ საერთაშორისო ხელშეკრულებების შემოწმებაზეც შეიძლება, გავავრცელოთ სხვა კომპეტენციების კონტექსტში გამოთქმული მოსაზრება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი ხისტი შეზღუდვა არ არის მართებული. მას უნდა შეეძლოს იმ ნორმათა კონსტიტუციურობის შეფასებაც (შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით), რომლებიც მჭიდრო შინაარსობრივ კავშირშია სადავო/შესამოწმებელ ნორმებთან და რომელთა შემოწმების გარეშე შეუძლებელია სადავო/შესამოწმებელი ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის სრულყოფილი გადაწყვეტა.

587 დავის/წარდგინების საგნის მეორე ნაწილია კონსტიტუციის ნორმა, რომელთან მიმართებითაც უნდა დადგინდეს სადავო/შესამოწმებელი ნორმის კონსტიტუციურობა. ამ კუთხით, არ არის გამოყოფილი კონსტიტუციის ნორმათა კონკრეტული ჯგუფი. აქედან გამომდინარე, თეორიულად შესაძლებელია, რომ მოსარჩელემ/წარდგინების ავტორმა დააყენოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან მისი რომელიმე დებულების შესაბამისობის საკითხი კონსტიტუციის ნებისმიერ დანაწესთან.

4.5.4. შემოწმების მასშტაბი, ფორმა და შინაარსი საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

588 საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობა როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი მხოლოდ საკანონმდებლო აქტისა და პარლამენტის დადგენილების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესების დარღვევის კონტროლს ითვალისწინებს.⁹⁹⁷ ეს არ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ უარი განაცხადოს იმ ფორმალური მოთხოვნების დარღვევის შემოწმებაზე, რომლებიც დადგენილია კონსტიტუციით საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით უფლებამოსილების, ფორმისა

⁹⁹⁶ იქვე, 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁹⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

თუ პროცედურის თვალსაზრისით. მიზანშეწონილია, რომ ორგანულმა კანონმა გაითვალისწინოს საერთაშორისო ხელშეკრულებების ფორმალურ კონტროლთან დაკავშირებული საკითხებიც.

მატერიალური კუთხით, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს საერთაშორისო ხელშეკრულების შინაარსის შესაბამისობა კონსტიტუციასთან.⁹⁹⁸ ამ დროს გასათვალისწინებელია ხელშეკრულების არა მარტო სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, არამედ მასში გამოხატული ნამდვილი აზრი და მისი გამოყენების პრაქტიკა, ასევე, შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსი.⁹⁹⁹ საერთაშორისო ხელშეკრულების შინაარსზე მსჯელობა უნდა წარიმართოს მისი არა მხოლოდ კონსტიტუციის ნორმებთან, არამედ ასევე, პრინციპებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

589

4.4.5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების და დასკვნის შედეგები

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვისას იღებს გადაწყვეტილებას. საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით კონსტიტუციური წარდგინების არსებითი განხილვა სრულდება დასკვნის მიღებით.¹⁰⁰⁰ გადაწყვეტილებისა და დასკვნის სამართლებრივი შედეგები განსხვავდება ერთმანეთისგან.

590

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულების ან მისი ნაწილის საქართველოსთვის ბათილად ცნობას,¹⁰⁰¹ ე.ი. ძალის დაკარგვას მისი ამოქმედების მომენტიდან (ex tunc). საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა, მით უმეტეს მისი ბათილად ცნობა, სპეციფიური და რთული საკითხია. ის არ შემოიფარგლება შიდასახელმწიფოებრივი პროცედურებით და კავშირშია საერთაშორისო ურთიერთობებთან და ვალდებულებებთან. გარდა სამართლებრივი სირთულეებისა, მხედველობაში

591

⁹⁹⁸ იქვე, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

⁹⁹⁹ იქვე, 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁰⁰⁰ იქვე, 43-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁰⁰¹ იქვე, 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

მისაღები შესაძლო ნეგატიური შედეგები საგარეო ურთიერთობების სფეროში. ამიტომ, ბათილობის საკითხი ფრთხილ მიდგომასა და გაანალიზებას მოითხოვს.¹⁰⁰²

592 კონსტიტუცია ითვალისწინებს არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულების ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (*ex nunc*), თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.¹⁰⁰³ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ აქვს უკუძალა. ამდენად, უკიდურესად საეჭვოა საერთაშორისო ხელშეკრულების ბათილად ცნობის კონსტიტუციურობა.¹⁰⁰⁴

593 „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონი საერთაშორისო ხელშეკრულების ბათილად ცნობის ინსტიტუტს არ ითვალისწინებს. ის ადგენს ხელშეკრულების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის ორ ფორმას - დენონსაციასა და გაუქმებას (ანულირებას). დენონსაცია გულისხმობს ხელშეკრულების ცალმხრივ შეწყვეტას ხელშეკრულების დებულებების თანახმად.¹⁰⁰⁵ გაუქმებისას ხელშეკრულების მოქმედება წყდება მეორე მონაწილე მხარის მიერ მისი არსებითად დარღვევის შემთხვევაში ან საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმების შესაბამისად,¹⁰⁰⁶ ამიტომ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხელშეკრულების არაკონსტიტუციურად აღიარებისას მისი მოქმედების შეწყვეტა მოხდეს ამ ფორმით. წინადადება საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე საერთაშორისო გართულებების პრევენციისთვის, სხვა დოკუმენტებთან ერთად, უნდა შეიცავდეს: 1) საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას შესაძლო საგარეო-პოლიტიკური შედეგების შესახებ; 2) იუსტიციის სამინისტროს დასკვნას შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ; 3) ფინანსთა სამინისტროს დასკვნას შესაძლო საფინანსო-ეკონომიკური შედეგების შესახებ.¹⁰⁰⁷ როგორც ვხედავთ, საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას აქვს სპეციფიკა, რაც გასათვალისწინებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგების განსაზღვრისას.

¹⁰⁰² შეადარე: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 211.

¹⁰⁰³ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁰⁰⁴ შეადარე: *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 164-165.

¹⁰⁰⁵ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁰⁶ იქვე, მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁰⁷ იქვე, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და კონსტიტუციის მოთხოვნათა 594
 გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ არაკონსტიტუციურმა ხელშეკრულებამ ან
 მისმა ნაწილმა ძალა დაკარგოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების
 გამოქვეყნების მომენტიდან. საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკაში უნდა
 გამოიყენოს ძალის დაკარგვის გვიანდელი ვადის დადგენის შესაძლებლობა. ეს ვადა
 უნდა განისაზღვროს გონივრულად, შესაბამისი ხელშეკრულების შინაარსის
 მხედველობაში მიღებით, რათა მოხერხდეს მისი მოქმედების შეწყვეტის
 პროცედურის განხორციელება და შესაძლო საერთაშორისო გართულებების თავიდან
 აცილება.¹⁰⁰⁸ აღსანიშნავია, რომ ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს
 უფლებამოსილება, განსაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც არის
 შესაძლებელი არაკონსტიტუციურად ცნობილი ხელშეკრულების გამოყენება.¹⁰⁰⁹

კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულების ან 595
 მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს ხელშეკრულების რატიფიცირების
 დაუშვებლობას.¹⁰¹⁰ მიზანშეწონილია წარდგინების დაკმაყოფილების სამართლებ-
 რივი შედეგების გადახედვა. ალოგიურია მთელი ხელშეკრულების რატიფიცირების
 დაუშვებლობა, თუ არაკონსტიტუციურად არის ცნობილი მისი რომელიმე დებულება
 და ამავდროულად, რატიფიცირებისას შესაძლებელია დათქმის გაკეთება.¹⁰¹¹ დათქმა
 გულისხმობს ცალმხრივ განცხადებას, რომელიც გამომხატავს საქართველოს მიმართ
 ხელშეკრულების გარკვეულ დებულებათა სამართლებრივი მოქმედების
 გამორიცხვის ან შეცვლის სურვლის.¹⁰¹² დათქმის გაკეთება შეიძლება საერთაშორისო
 ხელშეკრულების რატიფიცირების დროსაც ხელშეკრულების პირობების დაცვით და
 საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად. დათქმის გაკეთება
 დაუშვებელია, თუ ხელშეკრულება კრძალავს ამგვარ მოქმედებას და თუ ეს
 ეწინააღმდეგება ხელშეკრულების ობიექტსა და მიზნებს.¹⁰¹³ ამდენად, როდესაც

¹⁰⁰⁸ შეადარე: *ხეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 165-166; *Loladze*, *Das Rechtsstaatsprinzip*, S. 212.

¹⁰⁰⁹ ავსტრიის ფედერალური კონსტიტუციური კანონის 140a მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰¹⁰ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁰¹¹ *Loladze*, *Das Rechtsstaatsprinzip*, S. 212.

¹⁰¹² „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

¹⁰¹³ იქვე, 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.

არსებობს დათქმის გაკეთების შესაძლებლობა ხელშეკრულების არაკონსტიტუციურად ცნობილი ნაწილის მიმართ, რატიფიცირების დაუშვებლობა უნდა შეეხებოდეს მხოლოდ ამ ნაწილს და არა მთლიანად ხელშეკრულებას.¹⁰¹⁴

4.6. პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლი

4.6.1. პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლის არსი, მნიშვნელობა და ისტორია

- 596 კონსტიტუცია საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომლის მიხედვითაც ის პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იხილავს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს.¹⁰¹⁵
- 597 პოლიტიკური პარტიების არსებობა სახალხო სუვერენიტეტის პრინციპის რეალიზაციის, ხალხის მიერ ხელისუფლების განხორციელების წინაპირობაა.¹⁰¹⁶ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონი მათ თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნაწილად აღიარებს.¹⁰¹⁷ კონსტიტუცია სპეციალური ნორმით განამტკიცებს პოლიტიკური პარტიების როლსა და პასუხისმგებლობას დემოკრატიულ სახელმწიფოში. ისინი მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. ამავდროულად, პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ეფუძნება მათი თავისუფლების, თანასწორობის, გამჭვირვალობის და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპებს.¹⁰¹⁸
- 598 კონსტიტუცია განამტკიცებს პოლიტიკური პარტიების თავისუფლებას, როგორც ძირითად უფლებას. მოქალაქეებს უფლება აქვთ შექმნან პოლიტიკური პარტია და

¹⁰¹⁴ შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (259).

¹⁰¹⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

¹⁰¹⁶ შეადარე: *Ipsen*, (Bearb.), Kommentar zum Art. 21 GG, *Sachs*, (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011, Rn. 7.

¹⁰¹⁷ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მე-2 მუხლი.

¹⁰¹⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი.

მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.¹⁰¹⁹ ამდენად, პარტიის დაფუძნება და მის საქმიანობაში მონაწილეობა ძირითადი უფლებით დაცული სიკეთეებია. პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს პოლიტიკური პარტიების თავისუფლების დაცულ სფეროში ჩარევას ყველაზე მძიმე, აკრძალვის ფორმით. ეს გარემოება განსაკუთრებით ზრდის სასამართლოს პასუხისმგებლობის ხარისხს და დიდ წინდახედულებას მოითხოვს მისგან.¹⁰²⁰ მან, ერთი მხრივ, კონსტიტუციური წერიგი უნდა დაიცვას საშიში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალებისაგან, რომელთა თავისუფლების შეზღუდვა გამომდინარეობს სხვათა და მთელი საზოგადოების თავისუფლების დაცვის ინტერესებიდან.¹⁰²¹ მეორე მხრივ, ეს ამოცანა უნდა შესრულეს კონსტიტუციის ფუნდამენტური ღირებულებების დაზიანების გარეშე.

პოლიტიკური პარტია ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას და არა თავისუფალი კონსტიტუციური წესრიგისა და სახელმწიფოებრიობის რღვევას. კონსტიტუცია დაუშვებლად აცხადებს ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნასა და საქმიანობას, რომლის მიზანია კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. ასევე დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.¹⁰²² ანალოგიურ აკრძალვებს ადგენს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონიც.¹⁰²³

თუ პარტია გადის კონსტიტუციური ჩარჩოებიდან, ეს შეიძლება გახდეს მისი აკრძალვის საფუძველი. არაკონსტიტუციური პოლიტიკური გაერთიანებების წინააღმდეგ მოქმედების მექანიზმს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს. მასში საკონსტიტუციო სასამართლოს როლის მიხედვით, შეიძლება განვასხვავოთ ორი მოდელი.¹⁰²⁴ სახელმწიფოების ნაწილში პარტიის აკრძალვა

599

600

¹⁰¹⁹ იქვე, 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰²⁰ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 186.

¹⁰²¹ შეადარე: *ისამაროვი*, ს., მყიფე დემოკრატიები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა №2, 2010, გვ. 62 (68); *Ipsen*, GG, Art. 21, Rn. 151.

¹⁰²² საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁰²³ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-6 მუხლი.

¹⁰²⁴ დეტალურად: იხ.: *ხეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 224-225; *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 1157.

აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს მის გადაწყვეტილებას. მაგალითად, ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს, თუ რამდენად შეესაბამება გადაწყვეტილება პარტიის გაუქმებასთან ან მის საქმიანობასთან დაკავშირებით კონსტიტუციასა და კანონებს.¹⁰²⁵ სხვა სახელმწიფოებში თვით საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას პარტიის აკრძალვის შესახებ. ამის კლასიკური მაგალითია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც წვეტს პარტიის არაკონსტიტუციურობის საკითხს.¹⁰²⁶ ქვეყნების ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ საქართველოც, რადგანაც პარტიის აკრძალვის მონოპოლია საკონსტიტუციო სასამართლოს ხელშია. გერმანიაში ამას „პარტიების პრივილეგიასაც“ კი უწოდებენ, რადგანაც მათი აკრძალვა, დანარჩენი გაერთიანებებისაგან განსხვავებით, მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია.¹⁰²⁷ ეს აძლიერებს მათ დაცვას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან შესაძლო თვითნებობისაგან.¹⁰²⁸

601

კონსტიტუციის შესაბამისად, პოლიტიკური პარტიის აკრძალვის უფლებამოსილება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.¹⁰²⁹ ეს საშუალებას აძლევს კანონმდებელს, დაადგინოს აკრძალვის დამატებითი საფუძვლები.¹⁰³⁰ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონი დამატებით საფუძვლად ითვალისწინებს პარტიის მიერ შეიარაღებული ფორმირების შექმნას.¹⁰³¹ ამ რეგულირებას 2017 წლის 13 ოქტომბრის ცვლილებებამდე უშუალოდ კონსტიტუცია შეიცავდა,¹⁰³² რაც, დიდი ალბათობით, 1990-იანი წლების ნეგატიური გამოცდილებით იყო განპირობებული.¹⁰³³

¹⁰²⁵ ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის „j“ ქვეპუნქტი.

¹⁰²⁶ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-4 აბზაცი.

¹⁰²⁷ BVerfGE 12, 296 (304 f.); 17, 155 (166); 47, 130 (139); Seifert, K.-H., Die politischen Parteien im Recht der Bundesrepublik Deutschland, Köln u. a. 1975, S. 483. კრიტიკა ამ ტერმინთან დაკავშირებით იხ.: Ipsen, GG, Art. 21, Rn. 149.

¹⁰²⁸ შეადარე: ხეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 225.

¹⁰²⁹ საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი; „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 35-ე მუხლი.

¹⁰³⁰ შეადარე: კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, გვ. 304-305; ხეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 223.

¹⁰³¹ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 36-ე მუხლი.

¹⁰³² 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁰³³ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 187.

პოლიტიკური პარტიების საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლს აქვს 602
 თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის დაცვის ფუნქცია
 დესტრუქციური, რადიკალური, ანტისახელმწიფოებრივი და სახიფათო
 პოლიტიკური გაერთიანებებისაგან.¹⁰³⁴ ამგვარი პარტიების ძირითადი სამიზნე
 ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპებია. ისინი ზოგჯერ დემოკრატიულ
 ინსტიტუტებს დემოკრატიისვე გასანადგურებლად იყენებენ, რასაც ისტორიული
 გამოცდილებაც ადასტურებს.¹⁰³⁵ გერმანიაში სასამართლოს ანალოგიურ
 კომპეტენციას, მისი ფუნქციიდან გამომდინარე, კონსტიტუციის დაცვის პროცესსაც
 (Verfassungsschutzverfahren) უწოდებენ.¹⁰³⁶ გერმანიის ფედერალურმა საკონსტი-
 ტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში გერმანიის კომუნისტური პარტიის
 აკრძალვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არაკონსტიტუციური პარტიის
 აკრძალვა „მებრძოლი დემოკრატიის“ აღიარების გამოხატულებას წარმოად-
 გენდა.¹⁰³⁷

ერთ-ერთი მოსარჩელე სუბიექტია პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი 603
 მუხუთედი, რაც შესაძლებლობას აძლევს საპარლამენტო ოპოზიციას, რომ დაიცვას
 როგორც დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგი, ასევე თავისი პოლიტიკური
 მანსები, რაც მხოლოდ ამგვარი წესრიგის პირობებშია რეალისტური. მიუხედავად
 იმისა, რომ ამ შემთხვევაში საფრთხე არა სახელმწიფო ორგანოდან, არამედ
 პოლიტიკურ-იდეოლოგიური სუბიექტისაგან მომდინარეობს, მისი მასშტაბები
 შეიძლება არათუ მცირე, არამედ ზოგჯერ გაცილებით დიდიც იყოს.¹⁰³⁸

კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა საკონსტიტუციო 604
 სასამართლოს მიერ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და
 საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვას.¹⁰³⁹ 2017 წლის 13 ოქტომბრის
 კონსტიტუციურმა კანონმა არსებითი ცვლილებები შეიტანა ამ უფლებამოსილებაში.
 კომპეტენციის დამდგენ ნორმაში აისახა მოსარჩელეთა ჩამონათვალი. ახალმა
 რედაქციამ აღარ გაითვალისწინა პოლიტიკური პარტიის შექმნის
 კონსტიტუციურობის შემოწმება. ამავდროულად, კომპეტენცია გაფართოვდა იმ

¹⁰³⁴ შეადარე: *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (260); *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 1152.

¹⁰³⁵ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 188.

¹⁰³⁶ *Voßkuhle*, GG, Art. 93, Rn. 93.

¹⁰³⁷ BVerfGE 5, 85 (139).

¹⁰³⁸ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 189.

¹⁰³⁹ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

კუთხით, რომ მას დაემატა პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

605 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი მიღებიდანვე ითვალისწინებდა.¹⁰⁴⁰ საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, 2018 წლის 21 ივლისს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ტექსტი შეიცვალა კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით. თუმცა, კონსტიტუციის ნორმისაგან განსხვავებით, ორგანულ კანონში პარტიების არა მხოლოდ საქმიანობის, არამედ შექმნის კონსტიტუციურობის შემოწმებაცაა გათვალისწინებული.¹⁰⁴¹

606 2018 წლის 21 ივლისს, საკონსტიტუციო რეფორმის გავლენით, ასევე შეიცვალა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 35-ე მუხლის შინაარსიც, რომელიც პარტიების კონსტიტუციურობის შემოწმებას აწესრიგებს. მოსარჩელებში ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები ჩაანაცვლა მთავრობამ. ეს ცვლილება გამართლებულია, რადგანაც არ არსებობდა ლოგიკური საფუძველი, რომ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებს პარტიების კონსტიტუციურობის შემოწმებასთან დაკავშირებით სარჩელის შეტანის უფლებამოსილება შენარჩუნებოდათ. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება არ ემსახურება ავტონომიური ერთეულის კომპეტენციის დაცვას. გარდა ამისა, პარტიების შექმნა და საქმიანობა არ არის დაშვებული მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკების ფარგლებში, რასაც შეიძლება გამართლებინა ამ სუბიექტებისათვის სარჩელის შეტანის უფლებამოსილების მინიჭება.¹⁰⁴² რაც შეეხება მთავრობას, მას მოსარჩელებიდან ყველაზე მეტი შესაძლებლობები აქვს, რომ წარმოადგინოს სრულყოფილი არგუმენტაცია პარტიის არაკონსტიტუციური მიზნებისა თუ მოქმედებების შესახებ. შეიცვალა რეგულირებები მოსარჩელებთან დაკავშირებითაც. 35-ე მუხლის ძველი რედაქციის მიხედვით, ნებისმიერ შემთხვევაში

¹⁰⁴⁰ მე-19 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁴¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁴² დეტალურად: იხ.: შარაშიძე, პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის დადგენა საქართველოში. „სარჩევნო უფლებებისა და პოლიტიკური გაერთიანების თავისუფლების დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოში“, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი 2000 წ., გვ. 94; *ხეცურაიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 229-230.

მოპასუხე იყო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება და მისი მარეგისტრირებული ორგანო. მარეგისტრირებული ორგანოს ჩართვა საქმეში მოპასუხედ გაუმართლებელი იყო პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის განხილვისას.¹⁰⁴³ ის პასუხისმგებელია პარტიის რეგისტრაციაზე და არა მის შემდგომ საქმიანობაზე. ცვლილებით ეს ნაკლი გამოსწორდა. როდესაც სარჩელი შეეხება პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობას, მოპასუხეა შესაბამისი პარტია, ხოლო თუ სარჩელი პარტიის შექმნის კონსტიტუციურობას უკავშირდება, მოპასუხეა პარტია და მისი მარეგისტრირებული ორგანო. აღსანიშნავია, რომ 35-ე მუხლი, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მსგავსად, ითვალისწინებს პარტიის როგორც საქმიანობის, ასევე შექმნის კონსტიტუციურობის კონტროლს.

4.6.2. მხარეები პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის შემოწმების დროს მიმდინარეობს მხარეთა მონაწილეობით¹⁰⁴⁴ და კონტრადიქტორული ხასიათი აქვს. ამ კომპეტენციის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება კონსტიტუციური სარჩელი.¹⁰⁴⁵ სარჩელის შეტანის უფლებამოსილებით სარგებლობენ შემდეგი სუბიექტები: 1) პრეზიდენტი; 2) პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მესუთედი; 3) მთავრობა.¹⁰⁴⁶

607

გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა შესაბამისი სუბიექტების უფლებაა თუ ვალდებულება.¹⁰⁴⁷ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ეს შედის უფლებამოსლი ორგანოს დისკრეციაში.¹⁰⁴⁸ საწინააღმდეგო

608

¹⁰⁴³ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 186 f.

¹⁰⁴⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁴⁵ იქვე, 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁰⁴⁶ იქვე, 35-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰⁴⁷ დეტალურად: იხ.: *Ipsen*, GG, Art. 21, Rn. 175 ff.

¹⁰⁴⁸ მაგალითად იხ.: *Henke*, ., Kommentar zum Art. 21 GG, in: Dolzer, R., Grafhof, K., Kahl, W., Waldhoff, Ch. (Hrsg.), Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 5 (Art. 20 – 21), Heidelberg seit 1950, Rn. 359; Klein, H. H., (Bearb.), Kommentar zum Art. 21, Maunz, Dürig, (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, Rn. 546 f.; *Kunig*, . (Bearb.), Kommentar zum Art. 21 GG, in: v. Münch, (Begr.), Kunig, (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Band 1

პოზიციის შესაბამისად, მოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის ვალდებულება.¹⁰⁴⁹ არსებობს შუალედური მიდგომაც - მიმართვის ვალდებულება სახეზეა, როდესაც არსებობს განსაკუთრებული საფრთხე და აშკარაა პარტიის არაკონსტიტუციურობა.¹⁰⁵⁰ მთავრობას მაშინ უჩნდება სასამართლოსათვის მიმართვის ვალდებულება, როდესაც მას აქვს საკმარისი მტკიცებულებები პარტიის არაკონსტიტუციურობის დასაბუთებლად. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ბუნდესტაგის პალატებზე, რადგანაც მათ, როგორც წესი, არ აქვთ შესაძლებლობა ჩაატარონ მსგავსი მოკვლევა და შეფასება.¹⁰⁵¹

609 საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ ადგენს, რომ მოსარჩელე სუბიექტი ვალდებულია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. მიმართვის ვალდებულებაზე საუბარი პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედთან დაკავშირებით აზრსაა მოკლებული. პარლამენტის წევრები თავისუფალი არიან თავიანთ საქმიანობაში და მათ ნებაზეა დამოკიდებული, შეუერთდებიან თუ არა კონსტიტუციურ სარჩელზე ხელმომწერებს. პრეზიდენტს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტს,¹⁰⁵² გაცილებით მაღალი ხარისხის პასუხისმგებლობა აქვს, რომ სათანადო რეაგირება მოახდინოს რომელიმე პარტიის მიერ სახელმწიფოებრიობისა და კონსტიტუციური წყობილებისათვის საფრთხის შექმნაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტზე გაცილებით მეტი პრაქტიკული შესაძლებლობა პარტიის არაკონსტიტუციურობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებისათვის მთავრობას გააჩნია. პარტიის საქმიანობის არაკონსტიტუციურობის დასაბუთება რთულია, მაგრამ თუ არსებობს სათანადო საფუძვლები, პრეზიდენტმა და მთავრობამ, პოლიტიკური მოსაზრებების გამო, თავი არ უნდა აარიდოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვას.

610 მოსარჩელეზეა დამოკიდებული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლები და მისი შემცირება. მის ხელშია სამართალწარმოების გაგრძელების ბედიც - სასარჩელო

(Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012, Rn. 89; *Stern*, Staatsrecht I, S. 207; *Zippelius/Würtenberger*, Deutsches Staatsrecht, S. 547.

¹⁰⁴⁹ მაგალითად იხ.: *Seifert*, Die politischen Parteien, S. 490 ff.; *Sattler*, Die rechtliche Bedeutung der Entscheidung für die streitbare Demokratie: untersucht unter besonderer Berücksichtigung der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, Baden-Baden 1982, S. 86 f.; *Streinz*, Kommentar zum Art. 21 GG, in: v. Mangoldt, H, Klein, F., Starck, Ch. (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 245.

¹⁰⁵⁰ მაგალითად იხ.: *Stollberg*, Die verfassungsrechtlichen Grundlagen des Parteiverbots, Berlin 1976, S. 76.

¹⁰⁵¹ *Ipsen*, GG, Art. 21, Rn. 178.

¹⁰⁵² საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი.

მოთხოვნაზე უარის თქმა იწვევს საქმის შეწყვეტას.¹⁰⁵³ როგორც ვხედავთ, აქ უპირატესობა დისპოზიციურობის პრინციპს ენიჭება, რაც არაა გამართლებული, რადგანაც ამ კომპეტენციის უმთავრესი მიზანი - კონსტიტუციის დაცვა ობიექტური ხასიათია. სწორია გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებული მოსაზრება, რომ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის დაშვების საკითხი უნდა გადაწყდეს კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო ინტერესების გათვალისწინებით. როდესაც სასამართლო არსებითად განსახილველად იღებს საქმეს, იგულისხმება, რომ მან დაადასტურა საჯარო ინტერესის არსებობა და მიუხედავად სასარჩელო მოთხოვნაზე მოსარჩელის უარისა, ბოლომდე უნდა მიიყვანოს სამართალწარმოება.¹⁰⁵⁴

მოპასუხის ვინაობა დამოკიდებულია დავის საგანზე. თუ გასაჩივრებულია პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობა, მოპასუხეა შესაბამისი პარტია. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, პოლიტიკური პარტია არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ფარგლებში.¹⁰⁵⁵

611

თუ დავის საგანია პარტიის შექმნის კონსტიტუციურობა, მოპასუხე არის პოლიტიკური პარტია და მისი მარეგისტრირებელი ორგანო.¹⁰⁵⁶ რეგისტრაციას ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.¹⁰⁵⁷ მას წარედგინება რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტები,¹⁰⁵⁸ მათ შორის პარტიის წესდება, რომლის შინაარსიდან შეიძლება გამოიკვეთოს ინფორმაცია პარტიის არაკონსტიტუციური მიზნებისა და საქმიანობის შესახებ. დოკუმენტაციის სისწორის შემოწმებისა და რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტისათვის სააგენტოს ერთთვიანი ვადა აქვს.¹⁰⁵⁹ მას შეუძლია უარი განაცხადოს რეგისტრაციაზე, თუ პარტიის წესდება ან სხვა დოკუმენტები ეწინააღმდეგება კონსტიტუციის ან „მოქალაქეთა პოლიტიკური

612

¹⁰⁵³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁰⁵⁴ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1163.

¹⁰⁵⁵ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰⁵⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁰⁵⁷ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰⁵⁸ იქვე, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁰⁵⁹ იქვე, 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მოთხოვნებს.¹⁰⁶⁰ ამდენად, სააგენტოს უფლებამოსილება და იმავდროულად, პასუხისმგებლობაცაა, რომ არ დაარეგისტრიროს არაკონსტიტუციური პოლიტიკური გაერთიანება.

613 მოპასუხეს, სხვა საპროცესო უფლებებთან ერთად, აქვს უფლება სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე სრულად ან ნაწილობრივ ცნოს სარჩელი. ამ შემთხვევაში საქმე არ წყდება და სამართალწარმოება გრძელდება.¹⁰⁶¹ მოპასუხე პოლიტიკური პარტიის მხრიდან მსგავსი ნაბიჯი ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა კომპეტენციის ობიექტური დამცავი ბუნებიდან გამომდინარე, სამართალწარმოების დასრულება კონსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფის ინტერესებშია.

4.6.3. დავის საგანი პოლიტიკური პარტიის საქმიანობის
კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

614 კონსტიტუციიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობას და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს. აქედან ძირითადი და პირველ რიგში გასარკვევი სწორედ პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობაა. მასზეა დამოკიდებული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა. კომპეტენციის დამდგენი კონსტიტუციის ნორმა კანონმდებლობით სათანადო განვრცობასა და დაკონკრეტებას საჭიროებს. სამწუხაროდ, შესაბამისი საკანონმდებლო აქტები არ იძლევა ან ბუნდოვან და წინააღმდეგობრივ პასუხს სცემს რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას.

615 პირველ რიგში, გასარკვევია საკითხი, საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური პარტიის მხოლოდ საქმიანობის შემოწმების საშუალება აქვს, როგორც კონსტიტუცია განსაზღვრავს, თუ შექმნისა და საქმიანობის, რასაც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი ადგენს. პარტიის შექმნა და საქმიანობა ერთმანეთისაგან განსხვავებული პროცესებია. შექმნა გულისხმობს პარტიის დაფუძნებასა და რეგისტრაციას, ხოლო საქმიანობა - უკვე შექმნილი პარტიის

¹⁰⁶⁰ იქვე, 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁰⁶¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-29-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

პოლიტიკურ აქტივობას. შექმნა საქმიანობის წინაპირობაა, რადგანაც სხვაგვარად პარტია ლეგალურად ვერ იმოქმედებს. კონსტიტუცია უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტია. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებისა და მათი შინაარსის დადგენა მხოლოდ კონსტიტუციითაა შესაძლებელი. ორგანული კანონით პარტიის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლების გაფართოება და მისი გავრცელება პარტიის შექმნაზე ეწინააღმდეგება უზენაეს კანონს.

პოლიტიკური პარტიის არაკონსტიტუციურობა ძირითადად მისი საქმიანობის პროცესში ვლინდება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან რეგისტრაციისას წარდგენილ დოკუმენტაციაში გულახდილად ასახოს კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნები. კიდევ უფრო მცირეა იმის ალბათობა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მხედველობიდან გამორჩეს ეს და დაარეგისტრიროს პოლიტიკური პარტია. მიუხედავად ამისა, თუ კანონმდებელი მაინც თვლის მიზანშეწონილად პარტიის შექმნის კონსტიტუციურობის კონტროლს, მან ამისათვის ცვლილება უნდა შეიტანოს კონსტიტუციაში.

616

ბუნდოვნადაა მოწესრიგებული დავის საგნის მეორე ნაწილიც, კერძოდ კონსტიტუციის რომელ ნორმებთან მიმართებით უნდა გაკონტროლდეს პარტიის კონსტიტუციურობა. კონსტიტუცია და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი მიუთითებს ზოგადად კონსტიტუციურობის შემოწმებაზე. ეს გულისხმობს კონსტიტუციის იმ ნორმებთან შესაბამისობის კონტროლს, რომლებიც მოთხოვნებს უწესებენ პარტიებს. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პარტია, რომლის მიზანია კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება.¹⁰⁶² ყურადღების მიღმა დარჩენილია კონსტიტუციის რამდენიმე მნიშვნელოვანი მოთხოვნა პარტიების მისამართით. კონსტიტუცია აცხადებს, რომ პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ეფუძნება მათი თავისუფლების, თანასწორობის, გამჭვირვალობის და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპებს. ეს

617

¹⁰⁶² „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 36-ე მუხლი.

მოთხოვნა ირღვევა, მაგალითად, თუ პარტია პრაქტიკაში სისტემატურად უარს ეუბნება გაწევრიანებაზე მოქალაქეებს ეთნიკური, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნით. როდესაც პარტიის საქმიანობა საზოგადოებისთვის დახურულია, არ არსებობს ან მხოლოდ მოჩვენებითი სახე აქვს შიდაპარტიულ დემოკრატიას, მისი ხელისუფლებაში შესაძლო მოსვლა კონსტიტუციური წესრიგისათვის საფრთხის მომტანია.

618 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონი, კონსტიტუციის მსგავსად, დაუშვებლად მიიჩნევს, პარტიის შექმნას რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით,¹⁰⁶³ მაგრამ არ ითვალისწინებს ამას პარტიის აკრძალვის საფუძვლებში.¹⁰⁶⁴ ნაკლებად სავარაუდოა, პარტიამ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ოფიციალურად მიუთითოს, რომ იქმნება ტერიტორიული ნიშნით და საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ის მაინც დაარეგისტრიროს. თუმცა, პარტიამ რეგისტრაციის შემდეგ თავისი საქმიანობა, ტერიტორიული ან/და საგნობრივი თვალსაზრისით, შეიძლება შემოფარგლოს ქვეყნის რომელიმე ნაწილით, ანუ ფაქტობრივად ტრანსფორმირდეს ტერიტორიული ნიშნით მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებად. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს ამგვარი შემთხვევების შეფასების უფლებამოსილება.

619 ნათლად და კონკრეტულად არ არის მოწესრიგებული არაკონსტიტუციურად ცნობილი პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. გერმანიაში უფლებამოსილების შეწყვეტა პარტიის აკრძალვის სამართლებრივ შედეგად განიხილება.¹⁰⁶⁵ ეს იმას ნიშნავს, რომ არაკონსტიტუციური პარტიის წარდგენით არჩეული თითოეული დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლო ცალკე არ მსჯელობს. მსგავსი ლოგიკა გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდანაც პარლამენტის წევრებთან დაკავშირებით. ისინი შეიძლება დაექვემდებარონ უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი.¹⁰⁶⁶ ამდენად, საკონსტიტუციო კონტროლი ამ ნაწილში ფაკულტატიური ხასიათისაა და რეალურად

¹⁰⁶³ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მე-6 მუხლი.

¹⁰⁶⁴ განსხვავებული შეფასება იხ.: *ხეფრიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 223-224.

¹⁰⁶⁵ მაგალითად შეადარე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 1175.

¹⁰⁶⁶ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

საკანონმდებლო ორგანო განიხილავს და წყვეტს, თუ რამდენად არის პარტიის არაკონსტიტუციურად ცნობა კონკრეტული დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკმარისი საფუძველი. ამ ფონზე აღარ არსებობს იმის საჭიროება, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ცალ-ცალკე განიხილოს არაკონსტიტუციური პარტიის წარდგინებით არჩეული პარლამენტის თითოეული წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. საკმარისია მხოლოდ იმის გადამოწმება და დადგენა, რომ პირი მართლაც არაკონსტიტუციური პარტიის მიერ იყო წარდგენილი. მსგავსი მიდგომა უნდა გავრცელდეს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების წევრების უფლებამოსილების შეწყვეტაზეც.

4.6.4. შემოწმების მასშტაბი, ფორმა და შინაარსი პოლიტიკური

პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი არ ადგენს კონკრეტულ რეგულირებებს პარტიის საქმიანობის შემოწმების ფორმასთან და შინაარსთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლომ შემოწმების მასშტაბად, უპირველეს ყოვლისა, ის ნორმები უნდა გამოიყენოს, რომლებიც განსაზღვრავენ კონსტიტუციურ სტანდარტებს პარტიებთან მიმართებით. ამ სტანდარტების საფუძველზე, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, პასუხი უნდა გაეცეს ქვემოთ მოყვანილ ერთ ან ერთდროულად რამოდენიმე კითხვას:

620

- 1) რამდენად არის პოლიტიკური პარტიის მიზანი კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა?
- 2) რამდენად ეწევა პოლიტიკური პარტია ომის ან ძალადობის პროპაგანდას, ან აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს?
- 3) რამდენად შეიქმნა პარტია ტერიტორიული ნიშნით ან შექმნის შემდეგ ხომ არ ტრანსფორმირდა ტერიტორიული ნიშნით მოქმედ პარტიად?
- 4) რამდენად ეწინააღმდეგება პოლიტიკური პარტიის საქმიანობა თავისუფლების, თანასწორობის, გამჭვირვალობის და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპებს?

- 621 სრულფასოვან კონსტიტუციურსამართლებრივ ანალიზს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ განახორციელებს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის იმ ნორმების გამოყენების გარეშე, რომლებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია პარტიის საქმიანობის არაკონსტიტუციურად დაკვალიფიცირებისათვის. მაგალითად, თუ საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ პარტიის მიზანი იყო კონსტიტუციური წყობილების დამხობა, მან კონსტიტუციის შესაბამის ნორმებზე დაყრდნობით უნდა განმარტოს, თუ რა ქმნის ამ წყობილების საფუძვლებს და კონსტიტუციური წესრიგის რომელ ფუნდამენტურ პრინციპს ან პრინციპებს ექმნებოდა საფრთხე.
- 622 პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის შემოწმება შეუძლებელია მხოლოდ კონსტიტუციურსამართლებრივ მასშტაბებზე დაყრდნობით, ფაქტობრივი გარემოებების საფუძვლიანი ანალიზის გარეშე.¹⁰⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს შესაბამისი საქმეების არსებითი განხილვის პრაქტიკა, ამიტომ ყურადღებას გავამახვილებთ გერმანულ გამოცდილებაზე. პარტიის არაკონსტიტუციურობის დასადგენად, პირველ რიგში, აუცილებელია მისი მიზნების გარკვევა. ამის შესახებ ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს პარტიული პროგრამები, განცხადებები, სააგიტაციო მასალა, პარტიული პრესა, პარტიის იდეოლოგიებისა და ლიდერების ნაშრომები, გამოსვლები და სხვა.¹⁰⁶⁸ თუმცა, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებით შემოფარგვლა ხშირად საკმარისი არ არის.¹⁰⁶⁹ აკრძალვის საშიშროების გამო, პარტიები ღიად არ ამჟღავნებენ იმ მიზნებს, რაც შეიძლება გახდეს მათი აკრძალვის საფუძველი.¹⁰⁷⁰ ამის გათვალისწინებით, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო სამართლებრივ მნიშვნელობას ანიჭებს საიდუმლო მიზნებს, ასევე დეკლარირებული მიზნების ფაქტობრივ შეცვლას, თუ ეს დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით.¹⁰⁷¹ სასამართლოსათვის რელევანტურია პარტიის საერთო ტენდენცია, რაც მისი კონკრეტული მიზნების განსაზღვრაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს.¹⁰⁷²
- 623 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პარტიის არაკონსტიტუციურად ცნობისათვის აუცილებლად არ თვლის მის მიერ არაკონსტიტუციური

¹⁰⁶⁷ შეადარე: *Loladze*, *Das Rechtsstaatsprinzip*, S. 187.

¹⁰⁶⁸ BVerfGE 5, 85 (144); *Ipsen*, GG, Art. 21, Rn. 155.

¹⁰⁶⁹ შეადარე: *Ipsen*, GG, Art. 21, Rn. 156.

¹⁰⁷⁰ BVerfGE 2, 1 (20).

¹⁰⁷¹ BVerfGE 5, 85 (144).

¹⁰⁷² იქვე, 5, 85 (336).

მიზნების მისაღწევად კონკრეტული არამართლზომიერი მოქმედებების განხორციელებას.¹⁰⁷³ ასევე სავალდებულო არაა, რომ არსებობდეს კონკრეტული საფრთხე და არაკონსტიტუციური მიზნების წარმატებით მიღწევის პერსპექტივა.¹⁰⁷⁴ ამგვარი მიდგომა საკონსტიტუციო სასამართლოს აძლევს პარტიიდან მომდინარე საშიშროების აღრეულ ეტაპზე აღკვეთის შესაძლებლობას. ეს მიზანმიმართულად დაუშვა გერმანიის ძირითადმა კანონმა ნეგატიური ისტორიული გამოცდილებისა და იმ პრაგმატული მოსაზრების საფუძველზე, რომ რადიკალური მისწრაფებები მით უფრო რთული დასამარცხებელია, რაც უფრო მყარად გაიდგამს ისინი ფესვებს.¹⁰⁷⁵

პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის შეფასებისათვის ასევე მნიშვნელოვანია მისი წევრების ქცევის ანალიზი.¹⁰⁷⁶ აქ იგულისხმება მხოლოდ ისეთი მოქმედებები, რაც შეიძლება პარტიას მიეწეროს. პარტია არაკონსტიტუციურად ვერ გამოცხადდება მისი მომხრეების ცალკეული პოლიტიკური აქციების გამო, რაც მიმართულია თავისუფალი და დემოკრატიული წესრიგის წინააღმდეგ, თუმცა არ შეესაბამება პარტიის პოზიციას.¹⁰⁷⁷ უნდა დამტკიცდეს, რომ პარტიის წევრთა ქცევა განსაზღვრულია თვით პარტიის მიერ და გამომდინარეობს მისი ძირითადი ტენდენციიდან.¹⁰⁷⁸

624

პარტიის მიზნებთან და მისი წევრების ქცევასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოსაპოვებლად მოსარჩელემ უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლო ლეგალური საშუალება. დასაშვებია სპეცსამსახურების მიერ მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებაც, თუ ეს ჯდება სამართლებრივი სახელმწიფოს ჩარჩოებში და ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის წარმოადგენს აუცილებელ, უკანასკნელ საშუალებას.¹⁰⁷⁹ ითვალისწინებენ რა, რომ ყველა მოსარჩელეს არ შეუძლია სპეცსამსახურებიდან ინფორმაციის მიღება, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის სათანადოდ მომზადების ვალდებულება შემოიფარგლება იმ შესაძლებლობებით, რასაც შესაბამის სუბიექტს მისი კომპეტენცია ანიჭებს.¹⁰⁸⁰

625

¹⁰⁷³ იქვე, 5, 85 (142 f.).

¹⁰⁷⁴ იქვე, 5, 85 (143); *Ipsen*, GG, Art. 21, Rn. 159, 171; *Streinz*, GG, Art. 21, Rn. 232 f.

¹⁰⁷⁵ შეადარე: *Ipsen*, GG, Art. 21, Rn. 171; *Seifert*, Die politischen Parteien, S. 456.

¹⁰⁷⁶ *Ipsen*, GG, Art. 21, Rn. 157; *Seifert*, Die politischen Parteien, S. 468.

¹⁰⁷⁷ BVerfGE 5, 85 (143).

¹⁰⁷⁸ იქვე, 5, 85 (143).

¹⁰⁷⁹ დეტალურად: იხ.: *Ipsen*, GG, Art. 21, Rn. 205; *Klein*, GG, Art. 21, Rn. 577 ff.

¹⁰⁸⁰ *Ipsen*, GG, Art. 21, Rn. 184.

626 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არ შემოიფარგლება მხოლოდ მოსარჩელის მიერ მიწოდებული ინფორმაციით. მას აქვს უფლებამოსილება, რომ გასცეს განკარგულება ჩხრეკის ან ამოღების შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დაცვით.¹⁰⁸¹ რაიხის სოციალისტური პარტიის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საქმისწარმოების დაწყებისთანავე სასამართლომ გასცა განკარგულება პარტიისა და ლანდებში მისი ადგილობრივი ორგანიზაციების სამუშაო ფართების, ასევე ცალკეული პარტიული ფუნქციონერების საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისა და განსაზღვრული დოკუმენტების ამოღების თაობაზე.¹⁰⁸² მსგავსი განკარგულება გასცა სასამართლომ გერმანიის კომუნისტური პარტიის საქმესთან დაკავშირებითაც.¹⁰⁸³

627 გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს დროებითი განკარგულების გამოცემის უფლებამოსილება, როდესაც ეს საჭიროა მძიმე ზიანის თავიდან ასაცილებლად, მოსალოდნელი ძალადობის აღსაკვეთად ან საზოგადოებრივი კეთილდღეობის სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე, თუ არსებობს ამის გადაუდებელი აუცილებლობა.¹⁰⁸⁴ განკარგულება შეიძლება ითვალისწინებდეს პარტიის პოლიტიკური საქმიანობის დროებით აკრძალვასაც, რაც განხორციელდა რაიხის სოციალისტურ პარტიასთან მიმართებით.¹⁰⁸⁵

4.6.5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები

628 საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის აქტის გაუქმებას.¹⁰⁸⁶ რეგისტრაციის აქტი არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა.¹⁰⁸⁷ მისი გაუქმება იწვევს მძიმე შედეგებს არაკონსტიტუციური პარტიისათვის. ის წყვეტს არსებობას, როგორც პოლიტიკური და სამართლებრივი

¹⁰⁸¹ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 38-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი და 47-ე პარაგრაფი.

¹⁰⁸² BVerfGE 2, 1 (7).

¹⁰⁸³ BVerfGE 5, 85 (107).

¹⁰⁸⁴ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 32-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი.

¹⁰⁸⁵ BVerfGE 1, 349.

¹⁰⁸⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁰⁸⁷ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

სუბიექტი,¹⁰⁸⁸ კარგავს პოლიტიკური პარტიის სტატუსს და მასთან დაკავშირებულ გარანტიებსა და ბენეფიტებს. პარტიის დარჩენილი ქონება გადაეცემა სახელმწიფო ხაზინას.¹⁰⁸⁹ ის ვერ მიიღებს დაფინანსებას, მათ შორის სახელმწიფოს ბიუჯეტიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის აკრძალვა იწვევს მისი საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებას.¹⁰⁹⁰ ის მონაწილეობას ვერ მიიღებს არჩევნებში და ვერ წარადგენს კანდიდატებს.

ზემოაღნიშნული შედეგები მნიშვნელოვნად ამცირებს, მაგრამ არ გამორიცხავს არაკონსტიტუციური პარტიის „რეინკარნაციის“ შესაძლებლობას. არსებობს იმის საფრთხე, რომ მისმა წევრებმა დააფუძნონ ახალი პარტია სხვა სახელწოდებითა და ფორმალურად კონსტიტუციასთან შესაბამისი მიზნებით.¹⁰⁹¹ გერმანიის კანონმდებლობა ამ კუთხით უფრო ეფექტურია, რადგანაც ითვლისწინებს ე.წ. „სანაცვლო ორგანიზაციის“ (Ersatzorganisation) შექმნის აკრძალვას.¹⁰⁹²

629

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი არ ადგენს კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შედეგებს არაკონსტიტუციური პარტიის წარდგინებით არჩეულ წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით. მხოლოდ ისაა განსაზღვრული, რომ ამ პირთა ჩამონათვალი, მათი არსებობის შემთხვევაში, უნდა იყოს მითითებული კონსტიტუციურ სარჩელში.¹⁰⁹³ ორგანული კანონი ამ კუთხით სრულყოფას მოითხოვს.¹⁰⁹⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა აისახოს წარმომადგენლობითი ორგანოების იმ წევრების ჩამონათვალი, რომლებიც ექვემდებარებიან უფლებამოსილების შეწყვეტას. პარლამენტის წევრებთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, საბოლოო გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს. მსგავსი მდგომარეობაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტასთან მიმართებითაც. ეს საკითხი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

630

¹⁰⁸⁸ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 188.

¹⁰⁸⁹ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 38-ე მუხლი.

¹⁰⁹⁰ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 113-ე მუხლის მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁹¹ *Ipsen*, GG, Art. 21, Rn. 194; *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 188.

¹⁰⁹² გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 46-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცი.

¹⁰⁹³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁹⁴ შეადარე: *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (260).

კონსტიტუციის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს გადასაწყვეტია.¹⁰⁹⁵ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია საერთოდ არ აწესრიგებს უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ ორგანოს არჩევნები არ ტარდება, არც იმის აღბათობა არსებობს, რომ ამ პირობებში დადგეს არაკონსტიტუციურად ცნობილი პარტიის მიერ წარდგენილი წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. საკანონმდებლო ვაკუუმი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებს შორის არ ითვალისწინებს უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამო.¹⁰⁹⁶ ამდენად, აუცილებელია ამ საკანონმდებლო აქტში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

4.7. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლი

4.7.1. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლის არსი, მნიშვნელობა და ისტორია

- 631 კონსტიტუციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან შესაბამისი პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხს.¹⁰⁹⁷
- 632 პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის შემოწმება უკავშირდება შესაბამისი პირის სუბიექტურ-სამართლებრივ პოზიციებს. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც პარლამენტი არ ცნობს პირის უფლებამოსილებას ან ვადამდე შეწყვეტს მას

¹⁰⁹⁵ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁹⁶ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

¹⁰⁹⁷ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

დეპუტატის სტატუსს. საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტის წევრის მიერ საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების კონსტიტუციური გარანტიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისაგან დაცვას.¹⁰⁹⁸ ამავდროულად, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების საკითხის განხილვა შეუძლებელია მხოლოდ სუბიექტურ პრიზმაში. მისი მნიშვნელობა სცდება ინდივიდუალური ინტერესების ფაგლებს და უკავშირდება კონსტიტუციის ობიექტურ ღირებულებებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული კომპეტენცია განსაკუთრებით დემოკრატიის პრინციპის დაცვას ემსახურება. პარლამენტის შემადგენლობა უნდა ასახავდეს ხალხის მიერ არჩევნებზე გამოსატულ ნებას.¹⁰⁹⁹ საპარლამენტო უმრავლესობას არ უნდა ჰქონდეს საკუთარი შეხედულებისამებრ ამ ნების კორექციისა და ხალხის მიერ მინიჭებული მანდატის დაძლევის უკონტროლო შესაძლებლობა.¹¹⁰⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, დემოკრატია არა მხოლოდ სამართლიანი არჩევნების ჩატარებას მოითხოვს, არამედ ამომრჩევლის ნების სრულყოფილ აღსრულებასაც, რაც დემოკრატიის ბუნებრივი გაგრძელებაა.¹¹⁰¹

633

დემოკრატიის პრინციპი პოლიტიკური ოპოზიციის უფლებების დაცვას გულისხმობს. უმცირესობის წევრების უფლებამოსილების არცნობა ან შეწყვეტა თავისთავად აზიანებს არა მხოლოდ მათ, არამედ მთლიანობაში ოპოზიციის ინტერესებს. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა იძლევა უმცირესობის დაცვის შესაძლებლობას.¹¹⁰² საპარლამენტო უმრავლესობის თვითნებობა შეიძლება იმაშიც გამოიხატოს, რომ მან არაკონსტიტუციურად ცნოს ან არ შეწყვიტოს დეპუტატის უფლებამოსილება. საპარლამენტო ოპოზიციისა და დემოკრატიის ინტერესებს ესეც აზიანებს და საკონსტიტუციო სასამართლოს საშუალებით დაცვა ამ შემთხვევაშიცაა შესაძლებელი.¹¹⁰³

634

¹⁰⁹⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

¹⁰⁹⁹ შეადარე: BVerfGE 4, 370 (372); 22, 270 (280); 79, 173 (173 f.); 103, 111 (134); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1242.

¹¹⁰⁰ შეადარე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-13; №3/2/1473 გადაწყვეტილება, II-6.

¹¹⁰¹ №3/2/1473 გადაწყვეტილება, II-3.

¹¹⁰² შეადარე: *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (261); *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 212.

¹¹⁰³ შეადარე: *ხეყრიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 206.

- 635 პარლამენტის მიერ მისი წევრის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით მიღებული დაუსაბუთებელი და თვითმიზნური გადაწყვეტილებები ასევე ხელჰყოფს თვითნებობის აკრძალვისა და შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპსაც. ამიტომ, კონსტიტუციური კონტროლი ემსახურება ამგვარი, სამართლებრივი სახელმწიფოსათვის საშიში გადაწყვეტილებების გაუქმებას.¹¹⁰⁴
- 636 საკონსტიტუციო სასამართლოს, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კონტექსტში, ძირითად მიზნად მიაჩნია მაღალი რანგის საჯარო მოხელეთა ხელისუფლებისაგან ჩამოცილება ხელისუფლების სიჯანსაღის დაცვისა და მისდამი ხალხის ნდობის შენარჩუნებისათვის, ხოლო დეპუტატის უფლებებისა და ინტერესების დაცვას მეორეხარისხოვნად თვლის.¹¹⁰⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული კომპეტენცია, მით უმეტეს პარლამენტის მოქმედი წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტისას, პირველ რიგში, სუბიექტურსამართლებრივი პოზიციის დაცვას ემსახურება. ეს პოზიცია გამყარებულია კონსტიტუციის ობიექტური ღირებულებებით. საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანაა, არ დაუშვას პარლამენტის წევრის სუბიექტური პოზიციის ისეთი ხელყოფა, რომელიც არღვევს დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. სწორედ ამით დაიცავს ის ხელისუფლების სიჯანსაღეს და არა უფლებამოსილებაშეწყვეტილი დეპუტატის ინტერესების უკანა პლანზე გადაწევით. რაც შეეხება ხალხის ნდობას, მისი საზომი თავისუფალი არჩევნებია და არა საკონსტიტუციო სასამართლოს ვარაუდი, მაგალითად იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტის წევრის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი აცლის მას დემოკრატიულ ლეგიტიმაციასა და ნდობას.¹¹⁰⁶
- 637 საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ჩამონათვალი კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის 89-ე მუხლში არ ითვალისწინებდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის შემოწმების კომპეტენციას. ამავდროულად, მოქმედებდა მითითება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებდა კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.¹¹⁰⁷ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობასთან ან ვადამდე

¹¹⁰⁴ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 214.

¹¹⁰⁵ №3/2/1473 გადაწყვეტილება, II-36.

¹¹⁰⁶ იქვე.

¹¹⁰⁷ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

შეწყვეტასთან დაკავშირებით პარლამენტის გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას ადგენდა 54-ე მუხლის პირველი პუნქტი. 2017 წლის 13 ოქტომბრის ცვლილებით ეს კომპეტენცია და მოსარჩელე სუბიექტების წრე აისახა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა კატალოგში.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის საწყის რედაქციაში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ჩამონათვალში შედიოდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა.¹¹⁰⁸ ეს ნორმა - მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი დღემდე უცვლელია. მიზანშეწონილია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინება და დაზუსტება, რომ ხდება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან შეწყვეტის არა ზოგადად „საკითხის“, არამედ „პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხის“ განხილვა და გადაწყვეტა,¹¹⁰⁹ როგორც ეს კონსტიტუციითაა დადგენილი.

638

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგების დამდგენი ნორმის) თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევდა პარლამენტის შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდგენას გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან (ex nunc), თუ შეწყვეტილი იყო, ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, თუ პარლამენტმა არ შეწყვიტა მისი უფლებამოსილება. 2002 წლის 12 თებერვლის ცვლილებით ეს ნორმა ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა და დღეისათვის მოქმედი შინაარსი მიიღო. ის გავრცელდა პარლამენტის მიერ მისი წევრის უფლებამოსილების ცნობისა და არცნობის შემთხვევებზე. ცვლილებები შეეხო გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგების ამოქმედების მომენტსაც, რაზეც შესაბამის ქვეთავში დაწვრილებით გავამახვილებთ ყურადღებას.

639

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-40 მუხლმა, რომელიც სპეციალურად პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლს ეძღვნება, ცვლილება

640

¹¹⁰⁸ მე-19 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

¹¹⁰⁹ *ხეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 193-194.

განიცადა 2018 წლის 21 ივლისის ორგანული კანონით. მოსარჩელეთა წრე შესაბამისობაში მოვიდა კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან და მას გამოაკლდა პრეზიდენტი.¹¹¹⁰ აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის შეყვანას მოსარჩელეთა რიგებში საკონსტიტუციო რეფორმამდეც ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ მას კონსტიტუციური სარჩელი წარედგინა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თავად პარლამენტში უმრავლესობაში მყოფ პოლიტიკურ ძალას ეკუთვნოდა.¹¹¹¹

4.7.2. მხარეები პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

641 პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება კონსტიტუციური სარჩელი.¹¹¹² საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვისათვის განსაზღვრულია კონკრეტული ვადა - ორი კვირა, პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების ამოქმედებიდან.¹¹¹³ გასაჩივრების მოკლე ვადის მიზანია არაკონსტიტუციური და დემოკრატიის პრინციპის საწინააღმდეგო ვითარების დროული გამოსწორება, რაც შეიძლება გამოიხატოს დემოკრატიული ლეგიტიმაციის არმქონე პირის პარლამენტის წევრობაში, ან პირიქით, დემოკრატიულად არჩეული პირის არდაშვებით საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში.¹¹¹⁴ საკითხის დროული გადაწყვეტის აუცილებლობა იმითაცაა განპირობებული, რომ პარლამენტის წევრის ადგილი საკანონმდებლო ორგანოში არ დაიკავოს სხვა პირმა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს გახდის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდგენას მისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

642 პროცესი კონტრადიქტორულია და მიმდინარეობს მხარეების - მოსარჩელისა და მოპასუხის მონაწილეობით.¹¹¹⁵ მოსარჩელე შეიძლება იყოს:

- 1) პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი;

¹¹¹⁰ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი.

¹¹¹¹ *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 212.*

¹¹¹² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹¹¹³ იქვე, მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹¹¹⁴ *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 206.

¹¹¹⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

2) ის მოქალაქე, რომლის, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა პარლამენტმა.¹¹¹⁶

ორგანული კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოქალაქეს შეუძლია დავა პარლამენტის იმ გადაწყვეტილების კონსტიტუციურობაზე, რომელიც პირადად მას შეეხება და ითვალისწინებს მისი, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობას, შეწყვეტას ან არშეწყვეტას (მიუხედავად პირადი განცხადებისა). ამ საკითხებზე მოქალაქის ნაცვლად მოსარჩელე ვერ იქნება პარლამენტის წევრთა ერთი მენუთელი, რადგანაც საქმე გვექნება actio popularis-თან. ინდივიდის გადასაწყვეტია მიმართავს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს სუბიექტური პოზიციების დასაცავად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მენუთელს შეუძლია პარლამენტის იმ გადაწყვეტილების გასაჩივრება, რაც შეეხება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობას ან არშეწყვეტას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პარლამენტის წევრს უფლებამოსილება არ შეუწყვიტეს მიუხედავად მისი პირადი განცხადებისა). მიზანშეწონილია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონმა უფრო ნათლად ჩამოაყალიბოს, თუ რომელ სუბიექტს რა საკითხებზე შეუძლია დავა.

დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელის უარი სასარჩელო მოთხოვნაზე იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის უპირობო შეწყვეტას.¹¹¹⁷ მაგალითად, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბადრი ნანეტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სამართალწარმოება შეწყდა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, სასარჩელო მოთხოვნაზე მოსარჩელის უარის გამო.¹¹¹⁸

სასარჩელო მოთხოვნის შემცირება ფაქტობრივად შეუძლებელია, როდესაც მოსარჩელე მოქალაქეა. ის დავობს პარლამენტის მხოლოდ იმ გადაწყვეტილების კონსტიტუციურობაზე, რომელიც პირადად მას შეეხება. აქ არ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის შემცირების რესურსი. შეუძლებელია მისი გაყოფა დამოუკიდებელ ნაწილებად, რომლებზეც ცალკე იტყოდა უარს მოსარჩელე, ხოლო დანარჩენ ნაწილში გააგრძელებდა დავას. სასარჩელო მოთხოვნაზე ნაწილობრივ უარის თქმა

¹¹¹⁶ იქვე, მე-40 მუხლის პირველი პუნქტი.

¹¹¹⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹¹¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 მარტის №2/2/394 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბადრი ნანეტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

თეორიულად შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედია და გასაჩივრებულია პარლამენტის ერთდროულად რამოდენიმე წევრის უფლებამოსილების კონსტიტუციურობის საკითხი.

647 პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით კონსტიტუციურ სარჩელზე მოპასუხეა პარლამენტი - ორგანო, რომელსაც კონსტიტუცია ანიჭებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კომპეტენციას.¹¹¹⁹ პარლამენტი, მოსარჩელის სხვა უფლებებთან ერთად, სარგებლობს უფლებით, რომ სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცნოს სარჩელი, რაც არ იწვევს საქმის შეწყვეტას.¹¹²⁰ როდესაც დავა პარლამენტის ერთი წევრის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს, ფაქტობრივად სარჩელის მხოლოდ მთლიანად ცნობაა შესაძლებელი. სარჩელის ნაწილობრივ ცნობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც დავა პარლამენტის რამოდენიმე წევრის უფლებამოსილებას შეეხება. თუ მოპასუხემ სარჩელი ცნო, მოსარჩელის მიზანი მიღწეულია. საქმისწარმოება მხოლოდ მაშინ უნდა გაგრძელდეს, თუ საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ობიექტური საჯარო ინტერესი.

4.7.3. დავის საგანი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

648 პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის კონტროლის კომპეტენციის ფარგლებში გამოჰყოფენ საკონსტიტუციო კონტროლის ორ მიმართულებას:

- 1) პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შემოწმება;
- 2) პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შემოწმება.¹¹²¹

¹¹¹⁹ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹¹²⁰ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹¹²¹ *ხეყურანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 197.

პარლამენტმა დეპუტატის უფლებამოსილების ცნობასთან და ვადამდე 649 შეწყვეტასთან დაკავშირებით შეიძლება მიიღოს როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური გადაწყვეტილება. ამდენად, უფლებამოსილების ცნობის საკითხი მოიცავს პარლამენტის გადაწყვეტილებას: 1) პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ და 2) პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ, ხოლო უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი მოიცავს პარლამენტის გადაწყვეტილებას: 1) პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და 2) პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არშეწყვეტის შესახებ.¹¹²²

დავის საგანი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე 650 შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლისას ორნაწილიანია:

1) პარლამენტის გადაწყვეტილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობასთან ან ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებით;

2) კონსტიტუციის ნორმა, რომელთან მიმართებაშიც უნდა შემოწმდეს პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის №1/2/378 გადაწყვეტილებაში 651 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დავის საგნად მითითებულია „ვალერი გელაშვილისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 31 მარტის დადგენილების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან მიმართებით. 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილებაში საქმეზე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დავის საგანი იყო „ნიკანორ მელიასათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 12 დეკემბრის №5544-ის დადგენილების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან მიმართებით.

¹¹²² შეადარე: იქვე, გვ. 209.

652 კონსტიტუცია იყენებს ტერმინს „პარლამენტის გადაწყვეტილება“. პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, პარლამენტის ყველა გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს პარლამენტის დადგენილებით.¹¹²³ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებით მიიღება პარლამენტის დადგენილება. პრაქტიკაში უფლებამოსილების არშეწყვეტაც დადგენილებით ფორმდება. საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო სწორედ ასეთი დადგენილებების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელი.¹¹²⁴ ბუნდოვანია ახლადარჩეული პარლამენტის წევრების უფლებამოსილების არცნობის დადგენილებით გაფორმების საკითხი. პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, ახლადარჩეული პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ცნობა დადგენილებით ხდება.¹¹²⁵ ამ დადგენილებაში არ შეიტანება იმ პირის გვარი, რომლის პარლამენტის წევრად არჩევის კანონიერება: 1) გასაჩივრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ან საერთო სასამართლოში; 2) საეჭვოდ მიიჩნია პარლამენტის დროებითმა სამანდატო კომისიამ.¹¹²⁶ მიზანშეწონილია, რომ რეგლამენტმა გაითვალისწინოს ახლადარჩეული პარლამენტის წევრების უფლებამოსილების არცნობის შესახებ ცალკე დადგენილების მიღება ან უფლებამოსილების ცნობისა და არცნობის შემთხვევების ერთ დადგენილებაში ასახვა. ამით მოხდებოდა შესაძლო სირთულეების პრევენცია საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვისას.

653 დავის საგნის მეორე ნაწილი შეიძლება იყოს კონსტიტუციის ნორმა ან ნორმები, რომლებიც უკავშირდება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობას ან შეწყვეტას. კონსტიტუციით დადგენილია, რომ პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც. პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა.¹¹²⁷ ეს მოთხოვნები რელევანტურია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხის გადაწყვეტისას. კონსტიტუცია ითვალისწინებს

¹¹²³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 129-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹¹²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 აპრილის №3/5/1565,1568,1569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, თამარ კორძაია და ელენე ხომბარია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹¹²⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 86-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹¹²⁶ იქვე, მე-5 პუნქტი.

¹¹²⁷ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალს, თუ იგი: 1) პარლამენტს მიმართავს პირადი განცხადებით უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ; 2) იკავებს სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობას ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას; 3) მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო მორიგი სხდომების ნახევარზე მეტს; 4) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ; 5) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად; 6) გარდაიცვალა; 7) დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას; 8) ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.¹¹²⁸

რელევანტურია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების კონსტიტუციურობისა და საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის შეფასების ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხი. მათ შორის კავშირი აშკარაა,¹¹²⁹ რადგანაც პარლამენტის წევრი უნდა იყოს არჩეული საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი, პირდაპირი არჩევნებით.¹¹³⁰ პარლამენტის მიერ მისი წევრების უფლებამოსილების ცნობას წინ უსწრებს ამისათვის საჭირო დოკუმენტაციის (საარჩევნო ოქმები, მასალები არჩევნების შედეგების, მათი ჩატარების სისწორის, შემოსული საჩივრების თაობაზე, განცხადებები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების შესახებ და პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის შესახებ) შესწავლა, რომელსაც ცესკოს თავმჯდომარე გადასცემს პარლამენტის დროებით სამანდატო კომისიას. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დაკომპლექტებამდე ახლადარჩეული პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის შესწავლა, შესწავლის შედეგების, პარლამენტის წევრთა ერთიანი სიისა და შესაბამისი დასკვნების მომზადება და პარლამენტისათვის წარდგენა პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისიის კომპეტენციაა.¹¹³¹ როგორც ვხედავთ, უფლებამოსილების ცნობისათვის შესამოწმებელი დოკუმენტაციის ძირითადი ნაწილი სწორედ არჩევნებს

654

¹¹²⁸ იქვე, 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹¹²⁹ შადარე: კახიანი, საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი 2011, გვ. 273; მეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 197.

¹¹³⁰ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹¹³¹ დეტალურად: იხ.: საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 86-ე მუხლის მე3 - მე-6 პუნქტები.

უკავშირდება. მიუხედავად ამისა, საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის შეფასება ცალკე კომპეტენციის ფარგლებში ხდება და არა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვისას.¹¹³² საკონსტიტუციო სასამართლო არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სისწორეს კი არ ამოწმებს, არამედ იმას, თუ რამდენად მოხდა მისი სრულყოფილი შესწავლა და ამის საფუძველზე დასკვნის მომზადება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან არცნობის შესახებ.

655 გერმანულ მოდელში არჩევნების კონსტიტუციურობის შეფასება და საპარლამენტო მანდატების საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. საპარლამენტო არჩევნების შემოწმება ორსაფეხურიანია,¹¹³³ რაც ისტორიული განვითარების შედეგი და გერმანული საპარლამენტო ტრადიციის გამოხატულებაა.¹¹³⁴ საპარლამენტო ავტონომიიდან გამომდინარე, ბუნდესტაგი ახორციელებს თვითშემოწმების უფლებამოსილებას, ხოლო რამდენად სწორად განხორციელდა ეს პროცედურა, ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლს.¹¹³⁵ მსგავსი წესი ვრცელდება იმ საკითხის გარკვევაზეც, თუ რამდენად დაკარგა ბუნდესტაგის წევრმა მანდატი.¹¹³⁶ ბუნდესტაგის მიერ არჩევნების შემოწმებას ფართო მასშტაბები აქვს და სრულად მოიცავს საარჩევნო პროცესს.¹¹³⁷ მისი მიზანია ბუნდესტაგის მართლზომიერი დაკომპლექტების უზრუნველყოფა.¹¹³⁸

656 საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობამდე უნდა დასრულდეს ყველა სამართლებრივი დავა არჩევნებთან დაკავშირებით. პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, უფლებამოსილების ცნობის თაობაზე დადგენილებაში არ შეიტანება იმ პირის გვარი, რომლის პარლამენტის წევრად არჩევის კანონიერება გასაჩივრებელია საკონსტიტუციო სასამართლოში ან საერთო სასამართლოში.¹¹³⁹ ამ პირის პარლამენტის წევრად ცნობის საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება, თუ სასამართლოს მიერ არ დადგინდება მისი

¹¹³² *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 213 f.

¹¹³³ BVerfGE 2, 300 (306); Magiera, S. (Bearb.), Kommentar zum Art. 41 GG, in: Sachs, M. (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011, Rn. 8.

¹¹³⁴ *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 1240.

¹¹³⁵ შეადარე: *Magiera*, GG, Art. 41, Rn. 1.

¹¹³⁶ *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 1241.

¹¹³⁷ *Magiera*, GG, Art. 41, Rn. 3.

¹¹³⁸ BVerfGE 4, 370 (372 f.); 89, 291 (304); Magiera, GG, Art. 41, Rn. 4, 17; Rauber D. N., Wahlprüfung in Deutschland: materiell-rechtliche Maßstäbe für die Wahlprüfung bei Parlamentswahlen und Wahlen auf kommunaler Ebene, Baden-Baden 2005, S. 73 ff.

¹¹³⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

პარლამენტის წევრად არჩევის კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშეშლელი გარემოება.¹¹⁴⁰ პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ამგვარი რეგულირება მისასაღმებელია. სამეცნიერო ლიტერატურაში ვრცლად, სრულყოფილად და პრაქტიკულ მაგალითზე დაყრდნობითაა დასაბუთებული, თუ დემოკრატიის, საკონსტიტუციო სასამართლოსა და პარლამენტის დამაზიანებელი რა შედეგი შეიძლება მოიტანოს არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვამდე პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობამ, როდესაც პარლამენტი აიგნორირებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე და არაკონსტიტუციურად არჩეულ პარლამენტის წევრებს აქვთ სადეპუტატო უფლებამოსილების ვადის დასრულების საშუალება.¹¹⁴¹

4.7.4. შემოწმების მასშტაბი, ფორმა და შინაარსი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი კრძალავს თვითნებობას, მათ შორის, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობასთან ან ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებითაც. დეპუტატის მანდატი არ უნდა გახდეს საპარლამენტო უმრავლესობის თვითნებური პოლიტიკური გადაწყვეტილების ობიექტი. პარლამენტმა მისი წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კომპეტენცია არ უნდა გამოიყენოს, როგორც პოლიტიკური მოწინააღმდეგეების საკანონმდებლო ორგანოდან გაძევების, მათი ნების საწინააღმდეგოდ მანდატის შენარჩუნების ან ლოიალურად განწყობილი პირების პარლამენტში დატოვების ინსტრუმენტი.

657

საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითად ამოცანაა იმის შემოწმება, ხომ არ მოხდა პარლამენტის მიერ მისი წევრის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკითხის თვითნებური გადაწყვეტა. პარლამენტის გადაწყვეტილება თვითნებური იქნება, თუ მას არ აქვს შესაბამისი კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძველი, არ ემყარება

658

¹¹⁴⁰ იქვე, მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹¹⁴¹ დეტალურად: იხ.: *ბეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 201-205.

სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილ და ობიექტურ გამოკვლევასა და შეფასებას.

659 კონსტიტუციურსამართლებრივი შემოწმების მასშტაბი, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციის ის ნორმებია, რომლებიც აწესრიგებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობას ან ვადამდე შეწყვეტას. თუმცა, მათი სრულფასოვანი განმარტება შეუძლებელია კონსტიტუციის სხვა ნორმებისა და პრინციპების, განსაკუთრებით დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების, გათვალისწინების გარეშე. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის დასაშვები ფარგლების ანალიზი უნდა განხორციელდეს „პარლამენტის, როგორც ინსტიტუტის შინაარსისა და დანიშნულების, პარლამენტის წევრის სტატუსისა და ფუნქციების გათვალისწინებით.“¹¹⁴²

660 კონსტიტუციის შესაბამისი ნორმების განმარტება არ უნდა განხორციელდეს ექსტენსიურად, დაინტერესებული პირის ინტერესთა საზიანოდ. საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად შენიშნავს, რომ კონსტიტუცია უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლების ექსკლუზიურად და ამომწურავად ჩამოთვლით მინიმუმამდე ამცირებს პარლამენტის დისკრეციის ფარგლებს. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის კონსტიტუციური საფუძვლების კატალოგი მიმდინარე კანონმდებლობით გაფართოებას არ ექვემდებარება.¹¹⁴³ ამავედროულად, პარლამენტის დისკრეციის ფარგლების გაფართოება არა მხოლოდ უფლებამოსილების შეწყვეტის ახალი საფუძვლების შექმნით, არამედ არსებული საფუძვლების ექსტენსიური ინტერპრეტაციითაც შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ ფართოდ განმარტა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ის კონსტიტუციური საფუძველი, როდესაც პარლამენტის წევრი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ. კონსტიტუცია მკაფიოდ და არაორაზროვნად მიუთითებს განაჩენზე, რომელიც სასამართლოს გამოაქვს სისხლის სამართლის საქმეზე და დამნაშავედ ცნობაზე, რაც გამამტყუნებელი განაჩენით ხდება. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვა, რომ დანაშაულის გარდა, სხვა სამართალდარღვევაც

¹¹⁴² №3/2/1473 გადაწყვეტილება, II-2.

¹¹⁴³ იქვე, II-7,8.

შეიძლება გახდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი.¹¹⁴⁴ მისი პოზიციით, „საქართველოს კონსტიტუციის დასახელებული დებულების მიზანია, ზოგიერთი სამართალდარღვევის ჩამდენმა პირმა აღარ გააგრძელოს პარლამენტის წევრობა და საკანონმდებლო საქმიანობა.“¹¹⁴⁵ სამწუხაროდ, კონსტიტუციის ამგვარი ექსტენსიური ინტერპრეტაცია სამომავლოდ გაზრდის იმის საფრთხეს, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ თვითნებურად განახორციელოს პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა მის მიერ არა მხოლოდ დანაშაულის, არამედ სხვა სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაშიც.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა ან ვადამდე შეწყვეტა უმეტეს შემთხვევაში უკავშირდება ამათუიმ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას. პარლამენტმა საკითხის გადაწყვეტისას, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შემოწმებისას უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი ძირითადი უფლების მნიშვნელობა და პრიორიტეტი. მაგალითად, საჯარო თანამდებობის დაკავების კონსტიტუციური უფლება¹¹⁴⁶ პარლამენტის წევრის თანამდებობის დაკავებაზე ვრცელდება. ერთი მხრივ, ეს უფლება საქართველოს მოქალაქეს აძლევს შესაძლებლობას, რომ დაიკავოს პარლამენტის წევრის თანამდებობა, თუ ის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მეორე მხრივ, დაცულია მოქალაქის უფლება, უარი განაცხადოს საჯარო თანამდებობის დაკავებაზე. თუ მოქალაქე აკმაყოფილებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობისათვის აუცილებელ პირობებს, მაგრამ მისი უფლებამოსილების ცნობა არ ხდება ან დეპუტატის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით გამოსატავს თავისუფალ ნებას, თუმცა პარლამენტი მას არ უწყვეტს უფლებამოსილებას, ხდება ჩარევა საჯარო თანამდებობის დაკავების ძირითად უფლებაში. ეს გარემოება ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვოს საკონსტიტუციო სასამართლომ.

661

ძირითადი უფლების მნიშვნელობის გათვალისწინების კონტექსტში, კვლავ მივუბრუნდებით პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ ის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ. აშკარაა ამ საფუძვლის კავშირი უდანაშაულობის პრეზუმფციასთან.

662

¹¹⁴⁴ იქვე, II-20.

¹¹⁴⁵ იქვე, II-21.

¹¹⁴⁶ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გარდა იდენტური ფორმულირებებისა, ლოგიკურიცაა, რომ პირის მიმართ, რომელიც გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე უდანაშაულოდ ითვლება, არ უნდა დადგეს რთულად გამოსწორებადი ნეგატიური სამართლებრივი შედეგი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგნორირებული იქნება უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნები. პარლამენტის წევრობის ვადამდე შეწყვეტისათვის მთავარი მნიშვნელობა იმას კი არ აქვს, თუ რა დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული პირი, არამედ იმას, დაუმტკიდა თუ არა მას ეს დანაშაული. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვნად დაასუსტა ის პოტენციალი, რაც უდანაშაულობის პრეზუმფციას აქვს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების თვითნებური შეწყვეტისაგან დასაცავად. მან სამართალდარღვევის სახეს უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭა, ვიდრე იმას, რამდენად აქვს პირს ჩადენილი რეალურად ეს სამართალდარღვევა.¹¹⁴⁷ საკონსტიტუციო სასამართლომ განსხვავებულად განმარტა ტერმინი „კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი“ უდანაშაულობის პრეზუმფციისა და დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მიზნებისათვის. უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში აღნიშნული ტერმინი განიმარტა, როგორც გადაწყვეტილება, „...რომელთან მიმართებითაც ამოწურულია პირის დამნაშავეობასთან დაკავშირებით პირდაპირი გასაჩივრების შესაძლებლობა“.¹¹⁴⁸ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისას ანალოგიური ტერმინის შინაარსის განსაზღვრისას საკონსტიტუციო სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა არა ძირითადი უფლების რანგში აყვანილი უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნას, არამედ ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა პარლამენტის ინსტიტუტის, მისი სანდოობის, ავტორიტეტისა და ეფექტიანი ფუნქციონირების დაცვა; პარლამენტის წევრის მიერ უფლებამოსილების ბოროტად ან არასწორად გამოყენების პრევენცია და იმ პირების ჩამოცილება საკანონმდებლო საქმიანობისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან პარლამენტის ინსტიტუციურ რეპუტაციას და სანდოობას.¹¹⁴⁹ საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მიზნებისათვის „კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი“ გულისხმობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ

¹¹⁴⁷ №3/2/1473 გადაწყვეტილება, II-23.

¹¹⁴⁸ იქვე, II-27.

¹¹⁴⁹ იქვე, II-29, 30, 31.

მიღებულ გამამტყუნებელ განაჩენს.¹¹⁵⁰ სამწუხაროდ მან არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნები პარლამენტის წევრთან დაკავშირებითაც იგივეა, რაც სხვა პირებთან მიმართებით. არც ერთი ზემოთ მოყვანილი ფასეულობა არ იძლევა უდანაშაულო პირისათვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის ლეგიტიმურ საფუძველს. ამასთანავე, ეს ფასეულობები შეიძლება დაიცვა რეალური და არა ჰიპოთეტური საფრთხისაგან, ხოლო პირის დამნაშავეობა ჰიპოთეტურია, სანამ ის არ დადასტურდება კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციური საფუძვლების სრულყოფილი განმარტება საჭიროებს იმ ნორმატიული აქტების გამოყენებასა და ინტერპრეტაციას, რომლებიც აკონკრეტებენ ამ საფუძვლებს. ამავდროულად, ეს უნდა მოხდეს საკონსტიტუციოსამართლებრივი პერსპექტივიდან, კონსტიტუციის მოთხოვნებისა და მიზანმიმართულების გათვალისწინებით.¹¹⁵¹ გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონსტიტუციურ ტერმინებს აქვთ ავტონომიური სამართლებრივი მნიშვნელობა, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს მიმდინარე კანონმდებლობაში გამოყენებული ანალოგიური ტერმინების მნიშვნელობისაგან.¹¹⁵² საკონსტიტუციო სასამართლომ ამათუიმ კონსტიტუციური ტერმინის ავტონომიური შინაარსის განსაზღვრისას არ უნდა გადაუხვიოს კონსტიტუციის მკაფიოდ გამოხატულ ნებას, გაითვალისწინოს კონსტიტუციური პრინციპებისა და კონსტიტუციის მთავარი ღირებულების - ადამიანისა და მისი ძირითადი უფლებების მნიშვნელობა და მოთხოვნები.

663

მიმდინარე კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას საკონსტიტუციო სასამართლო არა მხოლოდ მის ფორმალურ მოთხოვნებს ითვალისწინებს, არამედ შინაარსობრივ და ფაქტობრივ მხარესაც ყურადღებით აანალიზებს. მისი პოზიციით, „...სამართალში ფორმას არა აქვს დამოუკიდებელი დატვირთვა და ამდენად, ფორმა არ არსებობს ფორმისათვის. ნებისმიერი ფორმის უკან დგას კონკრეტული შინაარსი და

664

¹¹⁵⁰ იქვე, II-32, 37.

¹¹⁵¹ დეტალურად: იხ.: იქვე, II - 15-17; №1/2/378 გადაწყვეტილება, II-VI; *ბეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 206-207, 215-217.

¹¹⁵² შეადარე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-63; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19; №3/2/1473 გადაწყვეტილება, II-9; №3/2/588 გადაწყვეტილება, II-15.

მართლწესრიგისათვის მთავარია ამ შინაარსის განხორციელება ან არგანხორციელება.¹¹⁵³ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლო არ კმაყოფილდება იმის შემოწმებით, თუ რამდენად იყო დარღვეული კანონმდებლობის ფორმალური მოთხოვნები. მისი აზრით, ასევე გამოსაკვლევია გარემოებები, რაც ადასტურებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლის არაფორმალურად არსებობას.¹¹⁵⁴

665

საკონსტიტუციო სასამართლო საქმის განხილვისას მხოლოდ სამართლებრივი საკითხების გარკვევით არ შემოიფარგლება. ის ხაზგასმით მიუთითებს პარლამენტის ვალდებულებაზე, საფუძვლიანად გამოიკვლიოს ყველა გარემოება გადაწყვეტილების მისაღებად.¹¹⁵⁵ პრინციპული სამართლებრივი საკითხების გარკვევის შემდეგ, მათ საფუძველზე ხდება საქმეში არსებული ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებების შეფასება, რომელიც გამომდინარეობს პარლამენტის სადავო დადგენილებიდან.¹¹⁵⁶ ამასთანავე, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის სრულფასოვანი შესწავლისა და შეფასებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ პარლამენტის დადგენილებიდან უშუალოდ გამომდინარე მტკიცებულებების, არამედ სხვა რელევანტური დოკუმენტების გაანალიზება. პარლამენტის გადაწყვეტილებას უსწრებს მისი მომზადების პროცესი, რაშიც განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა აქვს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს. ის შეისწავლის და განიხილავს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს, ამზადებს შესაბამის დასკვნას და წარუდგენს პარლამენტის ბიუროს.¹¹⁵⁷ ამ კომიტეტის დაკომპლექტებამდე ახლადარჩეული პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის შესწავლა, შესწავლის შედეგების, პარლამენტის წევრთა ერთიანი სიისა და შესაბამისი დასკვნების მომზადება და პარლამენტისათვის წარდგენა პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისიის კომპეტენციაა.¹¹⁵⁸ საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რამდენად სრულყოფილად და ობიექტურად განხორციელდა

¹¹⁵³ დეტალურად: იხ.: №1/2/378 გადაწყვეტილება, V-VII.

¹¹⁵⁴ დეტალურად: იხ.: იქვე, V, VIII-XII.

¹¹⁵⁵ იქვე, XV.

¹¹⁵⁶ იქვე, I.

¹¹⁵⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-12 პუნქტი.

¹¹⁵⁸ დეტალურად: იხ.: იქვე, 86-ე მუხლის მე-3 - მე-6 პუნქტები.

პარლამენტის გადაწყვეტილების მომზადების პროცესი. საჭიროების შემთხვევაში, მან მოწმეებად უნდა მოიწვიოს პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი და მასში ჩართული პირები. მაგალითად, საქმეში „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოწმის სტატუსით მონაწილეობდა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავამჯდომარე, ასევე ის პირები, რომელთა მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებებსაც დაეფუძნა პარლამენტის გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

ზემოაღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანია საკითხი, რამდენად შეუძლია მოიპოვოს და შეაფასოს საკონსტიტუციო სასამართლომ ის მტკიცებულებები, რომლებიც არ გამოუყენებია პარლამენტს გადაწყვეტილების მომზადების ან მიღების დროს. №1/2/378 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მოახდინა საქმეზე მოწვეული უცხოელი სპეციალისტის ციტირება, მათ შორის იმ ნაწილში, რომ პარლამენტის დადგენილებაში მითითებული გარემოებები არ შეიცავდა საკმარის ფაქტობრივ სამხილს, რომ პარლამენტის წევრმა განახორციელა მის სტატუსთან შეუთავსებელი სამეწარმეო საქმიანობა.¹¹⁵⁹ ამით სასამართლომ ფაქტობრივად გაიზიარა სპეციალისტის პოზიცია. მან გადაწყვეტილების დასაბუთებისას გამოიყენა მტკიცებულება (მოსარჩელის მიერ პრეზიდენტისათვის გაგზავნილ წერილი), რომელიც უფრო დამაჯერებელს ხდიდა მოსარჩელის მოქმედებას საწარმოს ინტერესებში, მაგრამ პარლამენტის სადავო დადგენილება არ ეფუძნებოდა ამ მტკიცებულებას. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ეს ფაქტი არ ნიშნავდა იმას, რომ მას აღნიშნული მტკიცებულებისათვის ყურადღება არ მიექცია.¹¹⁶⁰

საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომას ვერ გავიზიარებთ. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და შესაბამისად ამ გადაწყვეტილების დასაბუთება პარლამენტის კონსტიტუციური კომპეტენცია და პასუხისმგებლობაა. საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციაა ამ გადაწყვეტილების კონსტიტუციურობისა და საფუძვლიანობის შემოწმება და არა პარლამენტის, ანუ მოპასუხის ჩანაცვლება, მის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება ახალი მტკიცებულებების მოპოვების გზით.¹¹⁶¹

¹¹⁵⁹ №1/2/378 გადაწყვეტილება, V.

¹¹⁶⁰ იქვე, XIII.

¹¹⁶¹ დეტალურად: იხ.: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 378.

4.7.5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების
სამართლებრივი შედეგები

- 668 კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი შედეგები და მათი ძალაში შესვლის მომენტი დამოკიდებულია იმ პირის სტატუსზე, რომელსაც შეეხება გადაწყვეტილება.¹¹⁶² ამ ნიშნით შეიძლება ორი კატეგორია გამოვყოთ: 1) გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება პარლამენტის წევრის სტატუსის არმქონე პირებს და 2) გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება პარლამენტის წევრებს.¹¹⁶³ ორივე შემთხვევაში ხდება პარლამენტის სადავო დადგენილების ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობა, მაგრამ განსხვავებულია ძალის დაკარგვის მომენტი.
- 669 პარლამენტის წევრის სტატუსის არმქონე პირის მიმართ მიღებული დადგენილება მისთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან უფლებამოსილების არცნობის შესახებ ძალას კარგავს შესაბამისი დადგენილების ძალაში შესვლის მომენტიდან (*ex tunc*). ამავე მომენტიდან ხდება პირისათვის პარლამენტის წევრის არაკონსტიტუციურად შეწყვეტილი უფლებამოსილების აღდგენა ან უფლებამოსილების ცნობა.¹¹⁶⁴ ამ დროს უპირატესობა ენიჭება სამართლიანობის პრინციპს.¹¹⁶⁵
- 670 პარლამენტის წევრის მიმართ მიღებული არაკონსტიტუციური დადგენილება (ან მისი ნაწილი) უფლებამოსილების ვადამდე არშეწყვეტასთან ან უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (*ex nunc*). ამავდროულად ხდება პარლამენტის შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.¹¹⁶⁶ ამგვარი მიდგომა გამართლებულია, რადგანაც პარლამენტის წევრი მონაწილეობს პარლამენტის კომპეტენციას მიკუთვნებული სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის უკუძალის მინიჭება რისკებს შეუქმნიდა სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს, ეჭვქვეშ დააყენებდა

¹¹⁶² შეადარე: *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (261).

¹¹⁶³ შეადარე: *Loladze*, *Das Rechtsstaatsprinzip*, S. 213.

¹¹⁶⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

¹¹⁶⁵ *Loladze*, *Das Rechtsstaatsprinzip*, S. 213.

¹¹⁶⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

შესაბამისი დეპუტატის მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობას და შეაფერხებდა პარლამენტის საქმიანობას.¹¹⁶⁷

პარლამენტის დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობასთან ან ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებით ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია, რადგანაც ის შეეხება პერსონალურ საკითხებს.¹¹⁶⁸ კონსტიტუციის შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ ეს გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.¹¹⁶⁹ კონსტიტუცია იყენებს ტერმინს „აქტი“ და არა „ნორმატიული აქტი“, ანუ აღნიშნული წესი როგორც ნორმატიულ, ასევე ინდივიდუალურ აქტებზე ვრცელდება.¹¹⁷⁰ აქედან გამომდინარე, პარლამენტის წევრის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულმა ნებისმიერმა არაკონსტიტუციურმა დადგენილებამ ძალა უნდა დაკარგოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ ამავე გადაწყვეტილებით დადგენილი არ არის გვიანდელი ვადა. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი ამ კუთხით ცვლილებას საჭიროებს.¹¹⁷¹

671

4.8. რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლი

4.8.1. რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის არსი, მნიშვნელობა და ისტორია

4.8.1.1. რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის არსი და მნიშვნელობა

რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის კომპეტენციას ითვალისწინებს კონსტიტუცია და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი. საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის,

672

¹¹⁶⁷ შეადარე: BVerfGE 3, 41 (44 f.); *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 213; *Magiera*, GG, Art. 41, Rn. 17.

¹¹⁶⁸ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-9 პუნქტი.

¹¹⁶⁹ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹¹⁷⁰ შეადარე: *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 197.

¹¹⁷¹ შეადარე: იქვე, გვ. 208.

პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის, ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას.¹¹⁷² ამ უფლებამოსილებას დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაცვისათვის.

673 ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მიხედვით, არჩევნები არის „საარჩევნო პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა.“¹¹⁷³ კომპეტენციის დამდგენი კონსტიტუციური ნორმა იყენებს ზოგად ტერმინს „არჩევნები“. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონიც არ აკონკრეტებს, თუ რომელი ორგანოს ან თანამდებობის პირის არჩევნების კონსტიტუციურობა კონტროლდება. კონსტიტუციით დადგენილ პრინციპებსა და სტანდარტებს დემოკრატიულ სახელმწიფოში ნებისმიერი არჩევნები და მათი მომწესრიგებელი ნორმები უნდა აკმაყოფილებდეს. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციურ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს ნებისმიერი არჩევნები, რაც ტარდება საქართველოს ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში. აქ იგულისხმება პრეზიდენტის, პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოს – მერის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.¹¹⁷⁴

674 კანონმდებლობა ითვალისწინებს რეფერენდუმის ლეგალურ დეფინიციასაც. რეფერენდუმი არის „საერთო-სახალხო გამოკითხვა საყოველთაო, თანასწორი და ნების პირდაპირი გამოვლენის მიზნით, ფარული კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად, რომელიც იმართება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.“¹¹⁷⁵ რეფერენდუმი არ შეიძლება ჩატარდეს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილში, მაგალითად მხოლოდ რომელიმე მუნიციპალიტეტში. კანონმდებლობა არ იცნობს ადგილობრივი

¹¹⁷² საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹¹⁷³ ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

¹¹⁷⁴ დეტალურად: იხ.: *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 232-233.

¹¹⁷⁵ ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი; შეადარე ასევე: „რეფერენდუმის შესახებ“ ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები.

რეფერენდუმის ინსტიტუტს.¹¹⁷⁶ ამდენად, კონსტიტუციურობის კონტროლს ექვემდებარება საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე ჩატარებული რეფერენდუმი.

საქართველოში, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოში, მოქმედებს სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი. სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხია, რომელიც ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგებლების, აგრეთვე რეფერენდუმის და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.¹¹⁷⁷ ხალხის წარმომადგენლები, ანუ სახელმწიფო ხელისუფლება საჭიროებს დემოკრატიულ ლეგიტიმაციას ხალხის ნების საფუძველზე.¹¹⁷⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „არჩევნების კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი მოწესრიგება წარმოადგენს სახალხო სუვერენიტეტის რეალიზების უმნიშვნელოვანეს გარანტიას.“¹¹⁷⁹ არჩევნები და რეფერენდუმი უნდა დაინიშნოს და გაიმართოს კონსტიტუციის პრინციპებისა და ნორმების დაცვით და შესატყვისად ასახოს ხალხის ნება.¹¹⁸⁰ არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შემოწმება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უზრუნველყოფს, რომ არჩევითი სახელმწიფო თანამდებობების დაკავება და მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტა განხორციელდეს სწორედ ამომრჩევლის ნების შესაბამისად.¹¹⁸¹

675

დემოკრატიის პრინციპის მოთხოვნაა, რომ პოლიტიკურ უმცირესობას ჰქონდეს უმრავლესობად გახდომის, ანუ ხელისუფლებაში მოსვლის შანსი,¹¹⁸² რაც წარმოუდგენელია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გარეშე. ამდენად არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლი ოპოზიციის უფლებების დაცვასაც ემსახურება, მით უმეტეს, რომ პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს აქვს ამ კომპეტენციის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. გარდა ამისა, კონსტიტუციური სარჩელი კარგი ინსტრუმენტია პოლიტიკური უმცირესობისათვის, რათა დაიცვას თავისუფალი და დემოკრატიული

676

¹¹⁷⁶ ხევერიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 233-234.

¹¹⁷⁷ საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹¹⁷⁸ შეადარე მაგ.: *Sommerrmann*, GG, Art. 20, Rn. 2.

¹¹⁷⁹ №3/3/763 გადაწყვეტილება, II-9.

¹¹⁸⁰ შეადარე: №3/2/588 გადაწყვეტილება, II-10; №3/3/763 გადაწყვეტილება, II-3.

¹¹⁸¹ შეადარე: BVerfGE 4, 370 (372); 22, 270 (280); 103, 111 (134); *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 1242.

¹¹⁸² შეადარე: *Heun*, Das Mehrheitsprinzip in der Demokratie, Berlin 1983, S. 194 ff.; *Scheuner*, U., Das Mehrheitsprinzip in der Demokratie, Opladen, 1973, 58 f.; *Sommerrmann*, GG, Art. 20, Rn. 86.

კონსტიტუციური წესრიგი უმრავლესობის მიერ მანიპულირებული არჩევნებისა და რეფერენდუმებისაგან.¹¹⁸³

677 არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნისა და ჩატარების ძირითადი საკითხები და პრინციპები კონსტიტუციითაა განსაზღვრული. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ კონსტიტუციური ნორმებისა და პრინციპების რანგი ენიჭება. კონსტიტუციის უზენაესობის დაცვას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს. არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის კონტროლი ამ მოთხოვნის დაცვის ერთ-ერთ ინსტრუმენტად გვევლინება.¹¹⁸⁴

678 კონსტიტუციით გარანტირებულია რეფერენდუმსა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება და უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.¹¹⁸⁵ არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის კონტროლი ემსახურება აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების განხორციელებას.¹¹⁸⁶ მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლო არა მხოლოდ კონსტიტუციის ობიექტურ ფასეულობებს, არამედ სუბიექტურსამართლებრივ პოზიციებსაც იცავს. თავის მხრივ, ძირითადი უფლებების უზრუნველყოფა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მთავარი მოთხოვნაა.¹¹⁸⁷ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნებისა და რეფერენდუმის კონტროლს ძირითადად მაინც ობიექტური ბუნება აქვს, ხოლო სუბიექტური უფლებების დაცვა უფრო მისი თანმდევი ეფექტია. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმის შეუსაბამობის დადგენა ძირითად უფლებასთან a priori არ იწვევს შესაბამისი არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობას.¹¹⁸⁸

679 არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის კონტროლის მნიშვნელობა სხვა კუთხითაც შეიძლება დავინახოთ. თუ პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაში მოდის არაკონსტიტუციური არჩევნების გზით, არა მხოლოდ ხელისუფლების ამგვარად ხელში ჩაგდება, არამედ მისი შემდგომი მოღვაწეობაც დაარღვევს დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. ნაკლებად

¹¹⁸³ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 196.

¹¹⁸⁴ იქვე, S. 195.

¹¹⁸⁵ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹¹⁸⁶ შეადარე: BVerfGE 22, 277 (281); 34, 201 (203); 85, 148 (159); 99, 1, (18); *Klein*, H. H., (Bearb.), Kommentar zum Art. 41, *Maunz, Dürig*, (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band IV, München seit 1958, Rn. 47 ff.; *Magiera*, GG, Art. 41, Rn. 2.

¹¹⁸⁷ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 195.

¹¹⁸⁸ შეადარე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 1242.

სარწმუნოა, რომ უზურპატორმა კონსტიტუციურ წესრიგს სცეს პატივი. დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლებს ასევე აზიანებს არაკონსტიტუციური რეფერენდუმიც, რომლის შედეგი არ ასახავს ხალხის რეალურ ნებას.¹¹⁸⁹

4.8.1.2. რეფერენდუმისა და არჩევნების

კონსტიტუციურობის კონტროლის ისტორია

კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციით, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავდა რეფერენდუმებისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებულ დავას.¹¹⁹⁰ 2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონით ეს ჩანაწერი დაკონკრეტდა და მიეთითა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო იხილავდა რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას. 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით კომპეტენციის ფორმულირება არსებითად არ შეცვლილა, თუმცა მას დაემატა მოსარჩელე სუბიექტების ჩამონათვალი.

680

სამეცნიერო ლიტერატურაში 2005 წლის 27 დეკემბრის ცვლილება კრიტიკულადაა შეფასებული, რადგანაც მან შეზღუდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება და შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები და გაურკვევლობები.¹¹⁹¹ კრიტიკას ვერ გავიზიარებთ შემდეგი ძირითადი გარემოებების გამო: 1) კომპეტენციის თავდაპირველი ძალიან ზოგადი ფორმულირება ქმნიდა საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების უფლებამოსილებების აღრევის საფრთხეს. პრაქტიკაში გამოჩნდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გავიდა საკონსტიტუციოსამართლებრივი საკითხების განხილვის სფეროდან და ძირითადად სადავო არჩევნების კანონიერებაზე იმსჯელა.¹¹⁹² არსებობდა საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების მიერ ერთსა და იმავე საკითხზე

681

¹¹⁸⁹ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 195 f.

¹¹⁹⁰ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹¹⁹¹ დეტალურად: იხ.: *ხეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხებზე, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა №1, 2009, გვ. 58 (60-61); *ხეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 236-244.

¹¹⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 მარტის №6/134-139-140 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა სამი ჯგუფის 134-ე, 139-ე და 140-ე ნომრებით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელები საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის არჩევნების №63 აბაშის, №68 წალენჯიხისა და №70 ფოთის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში 14 ნომბრის არჩევნების კონსტიტუციურობის თაობაზე“, I, II - 1,2, III - 1(ა), 2.

განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების რისკს. მსგავსი წინააღმდეგობები სასამართლო ხელისუფლებაში არყვეს მის ავტორიტეტს და ზიანს აყენებს სამართლებრივ უსაფრთხოებას.¹¹⁹³ ცვლილებებით მკაფიოდ გაიმიჯნა საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების უფლებამოსილება. პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გადავიდეს არჩევნების (რეფერენდუმის) კანონიერების შემოწმებაზე და შეიჭრას საერთო სასამართლოების კომპეტენციაში; 2) ცვლილებამდე საკონსტიტუციო სასამართლო იკვლევდა და აფასებდა ფაქტობრივ გარემოებებს, რაც არ არის მისი ტიპური ამოცანა და მასზე მხოლოდ მაშინ უნდა დაიხარჯოს ისედაც შეზღუდული დრო და რესურსი, როდესაც კომპეტენციის თავისებურებიდან გამომდინარე, ამის განხორციელება აუცილებელია (მაგალითად, იმის შემოწმებისას, რამდენად არის დანაშაულის ნიშნები იმპიჩმენტს დაქვემდებარებული პირის ქმედებაში). არჩევნებთან და რეფერენდუმთან დაკავშირებული დავები შემჭიდროვებულ ვადებში განიხილება და სამართლებრივი საკითხებთან ერთად ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა-შეფასება საკონსტიტუციო სასამართლოს დროის დეფიციტს შეუქმნიდა. არსებობდა საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების მიერ იდენტური ფაქტობრივი გარემოებების განსხვავებულად შეფასების ალბათობა. ცვლილებების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს აღარ უწევს ფაქტობრივ გარემოებებზე მსჯელობა. საერთო სასამართლოებს აქვთ მეტი დრო, რესურსი და გამოცდილება ამ ამოცანის შესასრულებლად. საერთოდ, საკითხის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტა თვითმიზანი არაა. მისი ჩართულობა საარჩევნო (სარეფერენდუმო) დავების განხილვაში მიზანშეწონილია იყოს სუბსიდიური ხასიათის, როდესაც არ არსებობს სამართლებრივი დაცვის სხვა ეფექტიანი საშუალება;¹¹⁹⁴ 3) ცვლილებით საკონსტიტუციო სასამართლო კომბინირებულად ახორციელებს ნორმათკონტროლსა და არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის კონტროლს. მსგავსი კომბინაცია უცხო არ არის გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსათვის.¹¹⁹⁵ ე.წ. ირიბი ნორმათკონტროლი გამოიყენება საარჩევნო დარღვევების გადასამოწმებლად,¹¹⁹⁶ ანუ მის

¹¹⁹³ შეადარე: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 194.

¹¹⁹⁴ იქვე, S. 194.

¹¹⁹⁵ შეადარე: *ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო*, გვ. 245 (262); *Federer, Aufbau, Zuständigkeit und Verfahren des Bundesverfassungsgerichts*, S. 59 (74); *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 189.

¹¹⁹⁶ *Benda/Klein, Verfassungsprozessrecht*, Rn. 1242.

„პროვოცირებას“ საარჩევნო დარღვევების შემოწმება ახდენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ნებისმიერ საარჩევნო დარღვევას კი არ განიხილავს, არამედ განიხილავს არჩევნების შემოწმებასთან დაკავშირებით მიღებულ ბუნდესტაგის გადაწყვეტილებას.¹¹⁹⁷ ამდენად, არსებობს მკვეთრი ფარგლები, რასაც სასამართლო არ სცდება არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმებისას. ქართული მოდელის პირველადი ვერსია მსგავს ჩარჩოებს არ ადგენდა, ხოლო ცვლილების შედეგად გამოიკვეთა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შემოწმების ფარგლებს განაპირობებს არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმის შინაარსი და მისი გავლენა არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგებზე. ამიტომაც იწყება ქართულ მოდელში პროცესი ნორმატოკონტროლით, ხოლო უშუალოდ არჩევნების (რეფერენდუმის) კონტროლს კი არაპირდაპირი ხასიათი აქვს და გამომდინარეობს ნორმატოკონტროლის შედეგებიდან. ერთი შეხედვით, არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმის კონსტიტუციურობაზე დავა სხვა კომპეტენციების ფარგლებშიც შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში ხდება საკითხის შემჭიდროვებულ ვადებში განხილვა-გადაწყვეტა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ჩასატარებელ არჩევნებს (რეფერენდუმს) შეეხება, რათა არაკონსტიტუციური ნორმის გაუქმება არჩევნებამდე (რეფერენდუმამდე) მოესწროს და მოხდეს მის საფუძველზე არჩევნების (რეფერენდუმის) გამართვის პრევენცია.¹¹⁹⁸ ამ პოზიტიურ მხარეებს ვერ გადაწონის ის გარემოება, რომ ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის განხილვა ობიექტურად მხოლოდ ნორმატოკონტროლით შემოიფარგლება, თუ საქმე არ შეეხება არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშნა-არდანიშვნის კონსტიტუციურობას; 4) ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმა არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. ეს გარემოება არ აფერხებს ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობას. ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის კონტროლი ორი დაკავშირებული, მაგრამ დამოუკიდებელი ეტაპისაგან შედგება, განსხვავებული სამართლებრივი შედეგებით -

¹¹⁹⁷ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 41-ე მუხლის მე-2 აბზაცი; ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 48-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი; *Benda/Klein, Verfassungsprozessrecht*, Rn. 1247.

¹¹⁹⁸ შეადარე: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 191 f.

ნორმატივები და არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის საკითხის გადაწყვეტა.¹¹⁹⁹ არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგების ბათილად ცნობა იმიტომ ხდება, რომ (1) ის არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე ჩატარდა, (2) რამაც არსებითი და გამომწვევითი გავლენა მოახდინა მის შედეგზე. ნორმის არაკონსტიტუციურობის საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმატივების ეტაპზე უკვე გარკვეული აქვს. არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგების ბათილად ცნობისათვის ნორმის ძალის დაკარგვის მომენტს კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ მისი არაკონსტიტუციური შინაარსის გავლენის მასშტაბს ამ შედეგებზე. ამ საკითხის სხვაგვარი განმარტება და ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგების ბათილად ცნობის გამორიცხვა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რომელიც საუბრობს „...ამ [არჩევნების ან რეფერენდუმის მომწერიგებელი] ნორმის საფუძველზე... ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან“ დაკავშირებული დავის განხილვაზე. დავის განხილვა გულისხმობს შესაბამისი სამართლებრივი შედეგების დადგომას ჩატარებულ და არა შემდომ არჩევნებთან (რეფერენდუმთან) დაკავშირებით. სხვაგვარად კონსტიტუციის აღნიშნული ჩანაწერი აზრს დაკარგავდა.

682 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თავდაპირველი რედაქცია, კონსტიტუციის მსგავსად, ზოგადად მიუთითებდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავდა და წყვეტდა დავას რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ.¹²⁰⁰ კონსტიტუციაში 2005 წლის 27 დეკემბერს განხორციელებული ცვლილება ორგანულ კანონში მხოლოდ 2009 წლის 22 ოქტომბერს აისახა და დაკონკრეტდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავდა დავას რეფერენდუმისა და არჩევნების მომწერიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ.

683 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 36-ე მუხლის პირვანდელი რედაქცია განსაზღვრავდა რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტებს, სარჩელის შეტანის შემთხვევებსა და მოპასუხეს. მოსარჩელე იყო პარლამენტის

¹¹⁹⁹ შეადარე: იქვე, S. 192 f.

¹²⁰⁰ მე-19 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი და სახალხო დამცველი, ხოლო დავის საგანი - რეფერენდუმის დანიშვნა ან არდანიშვნა. პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს სარჩელის შეტანის უფლება ჰქონდა, თუ პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით ან ამომრჩეველთა მოთხოვნით დანიშნავდა, ან პარლამენტის მოთხოვნის მიუხედავად არ დანიშნავდა რეფერენდუმს.¹²⁰¹ სახალხო დამცველს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა შეეძლო იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი ამომრჩეველთა მოთხოვნის მიუხედავად არ დანიშნავდა რეფერენდუმს.¹²⁰² ორივე სუბიექტს შეეძლო სარჩელის შეტანა, თუ მიიჩნევდა, რომ რეფერენდუმის ჩატარება ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 74-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნებს.¹²⁰³ კონსტიტუციის ეს ნორმა ადგენდა იმ საკითხების ჩამონათვალს, რასთან დაკავშირებითაც რეფერენდუმის მოწყობა არ შეიძლებოდა. ამდენად, რეფერენდუმის კონტროლი შემოიფარგლებოდა მისი დანიშვნა-არდანიშვნის კონსტიტუციურობის შემოწმებით და იმის გარკვევით, ხომ არ ჩატარდა ის კონსტიტუციით აკრძალულ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მოპასუხე იყო პრეზიდენტი,¹²⁰⁴ რომელიც პასუხს აგებდა რეფერენდუმის დანიშვნა-არდანიშვნაზე და არა მისი ჩატარების კონსტიტუციურობაზე.

36-ე მუხლში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით. მოსარჩელებს დაემატა პრეზიდენტი. მას, სხვა მოსარჩელეთა მსგავსად, შეეძლო ედავა, რომ რეფერენდუმი ჩატარდა კონსტიტუციის 74-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით.¹²⁰⁵ 74-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენდა, რომ რეფერენდუმის დანიშვნასთან და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრებოდა ორგანული კანონით. ეს იყო კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნა და მასზე მითითება არ იძლეოდა რეფერენდუმის კონსტიტუციურობის სრულფასოვანი კონტროლის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში მოპასუხედ განისაზღვრა ცენტრალური საარჩევნო კომისია. გონივრული სიახლე იყო

¹²⁰¹ 36-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹²⁰² იქვე, „ბ“ ქვეპუნქტი.

¹²⁰³ იქვე, „გ“ ქვეპუნქტი.

¹²⁰⁴ 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²⁰⁵ 36-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

გასაჩივრების ვადების დადგენა,¹²⁰⁶ რაც ემსახურებოდა რეფერენდუმთან დაკავშირებული დავის დროულ გადაწყვეტას.

685 2009 წლის 22 ოქტომბერს 36-ე მუხლის ტექსტი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, რითაც ის შესაბამისობაში მოვიდა კონსტიტუციასთან. შეიცვალა მისი რეგულირების საგანი და ის შეეხება არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის კონტროლს. მოსარჩელეთა წრე არ გაზრდილა, თუმცა გაუქმდა შეზღუდვები მათ მიერ გასასაჩივრებელ საკითხებთან დაკავშირებით. მოპასუხეები განისაზღვრა იმის მიხედვით, თუ რა არის დავის საგანი და რომელი სუბიექტია შესაბამისი პასუხისმგებლობის მატარებელი. სადავო ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით მოპასუხეა ამ აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანო (თანამდებობის პირი). თუ სადავო ნორმატიული აქტის საფუძველზე ხდება არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნა ან არდანიშვნა, მოპასუხეა არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი).

686 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 37-ე მუხლის თავდაპირველი რედაქცია მხოლოდ არჩევნებს შეეხებოდა. განსაზღვრული იყო მოსარჩელე სუბიექტები. პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობაზე დავა მხოლოდ პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს შეეძლო და ისიც იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები ჩატარდა კონსტიტუციის 70-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით.¹²⁰⁷ 70-ე მუხლი ეძღვნებოდა პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს. პარლამენტის არჩევნების კონსტიტუციურობაზე დავა შეეძლო პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედსა და პრეზიდენტს, თუ ისინი მიიჩნევდნენ, რომ პარლამენტის არჩევნები დანიშნული ან ჩატარებული იყო კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 50-ე მუხლის პირველი-მეოთხე პუნქტების მოთხოვნათა დარღვევით.¹²⁰⁸ კონსტიტუციის ეს ნორმები აწესრიგებდა პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით მოპასუხე იყო ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო პარლამენტის არჩევნების დანიშვნასთან ან ჩატარებასთან

¹²⁰⁶ 36-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹²⁰⁷ 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹²⁰⁸ იქვე, „ბ“ ქვეპუნქტი.

დაკავშირებით - პრეზიდენტი ან ცენტრალური საარჩევნო კომისია.¹²⁰⁹ 37-ე მუხლის პირვანდელი რედაქცია ზღუდავდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების გარდა, სხვა არჩევნების კონსტიტუციურობაზე დავის საშუალებას. შემოწმების მასშტაბი შესაძლოა ყოფილიყო კონსტიტუციის მხოლოდ რამოდენიმე ნორმა. არ არსებობდა ამ კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიკონტროლის განხორციელების საშუალება.

2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით 37-ე მუხლი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, დაიხვეწა და გაითვალისწინა შემდეგი სიახლეები: 1) გაჩნდა პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა-არდანიშვნის კონსტიტუციურობის გასაჩივრების შესაძლებლობა. კონსტიტუციური საარჩელის შეტანის უფლებამოსილება მიენიჭა პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს და სახალხო დამცველს,¹²¹⁰ ხოლო მოპასუხედ განისაზღვრა პარლამენტი (ვადამდელი არჩევნების დანიშვნისას) ან ცენტრალური საარჩევნო კომისია;¹²¹¹ 2) პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების შემოწმება შესაძლებელი გახდა კონსტიტუციის 28-ე მუხლთან (საარჩევნო უფლება) მიმართებითაც;¹²¹² 3) პარლამენტის არჩევნების დანიშვნა-არდანიშვნაზე დავის შესაძლებლობა, პრეზიდენტთან და პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედთან ერთად, მიენიჭა სახალხო დამცველს. ასევე დაზუსტდა, რომ პრეზიდენტს შეეძლო გაესაჩივრებინა ხელახალი ან შუალედური არჩევნების დანიშვნა-არდანიშვნა, რადგანაც პარლამენტის საერთო არჩევნების დანიშვნა თავად მის კომპეტენციაში შედიოდა.¹²¹³ მოპასუხედ განისაზღვრა პრეზიდენტი (საერთო არჩევნების დანიშვნისას) ან ცენტრალური საარჩევნო კომისია (ხელახალი არჩევნების ან პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო არჩევნების დანიშვნისას);¹²¹⁴ 4) პარლამენტის არჩევნების ჩატარების შემოწმება შესაძლებელი გახდა კონსტიტუციის 28-ე მუხლთან მიმართებითაც;¹²¹⁵ 5) პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს და სახალხო დამცველს მიენიჭა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების დანიშვნა-

687

¹²⁰⁹ 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²¹⁰ 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹²¹¹ 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹²¹² 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹²¹³ 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹²¹⁴ 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹²¹⁵ 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

არდანიშნის კონსტიტუციურობაზე დავის უფლება.¹²¹⁶ ამ შემთხვევაში მოპასუხე იყო პრეზიდენტი (საერთო არჩევნების დანიშნისას) ან ცენტრალური საარჩევნო კომისია (ხელახალი არჩევნების, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო არჩევნების ან გამგებლის/მერის რიგგარეშე არჩევნების დანიშნისას);¹²¹⁷ 6) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილება მიენიჭა პრეზიდენტს და პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მესუთედს. აქაც შესაძლებელი იყო დავა კონსტიტუციის 28-ე მუხლის დარღვევაზე.¹²¹⁸ მოპასუხეები იყვნენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ან/და ცენტრალური საარჩევნო კომისია;¹²¹⁹ 7) განისაზღვრა გასაჩივრების ვადები არჩევნებთან დაკავშირებული დავების მაქსიმალურად მოკლე დროში განხილვის მიზნით.¹²²⁰

688 2009 წლის 22 ოქტომბრის ორგანული კანონით 37-ე მუხლის რედაქცია კვლავ სრულად შეიცვალა და მიიღო დღეისათვის მოქმედი შინაარსი. მისი რეგულირების საგანი გახდა არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობა. გაჩნდა ნორმათკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. შესაბამისად, მოპასუხეთა წრეს დამატა ის ორგანო, რომლის ნორმატიული აქტის გამოც იქნა შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი.

689 მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ის ნორმებიც, რომლებიც აწესრიგებს კონსტიტუციური სარჩელების დაკმაყოფილების შედეგებს. 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი თავდაპირველად მოკლედ ადგენდა, რომ სარჩელის დაკმაყოფილება იწვევდა არჩევნების ან რეფერენდუმზე გასატან საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების დაუშვებლობას, ან არჩევნების თუ რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობას. მისი სრულყოფა მოხდა 2002 წლის 12 თებერვლის ცვლილებით, რამაც გაითვალისწინა შემდეგი სიახლეები: 1) რეფერენდუმთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებას, გარდა რეფერენდუმზე გასატან საკითხზე რეფერენდუმის გამართვის აკრძალვისა, შეიძლება გამოეწვია დანიშნული რეფერენდუმის გაუქმება

¹²¹⁶ იქვე, „ე“ ქვეპუნქტი.

¹²¹⁷ 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹²¹⁸ 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

¹²¹⁹ 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

¹²²⁰ 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

ან მისი დანიშვნის დავალდებულება; 2) არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევდა დანიშნული არჩევნების გაუქმებას ან არჩევნების დანიშვნის დავალდებულებას; 3) დაკონკრეტდა, რომ არჩევნების ან რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობა შეიძლება მომხდარიყო როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ (ცალკეულ საარჩევნო ოლქებში ან საარჩევნო უბნებში). 2009 წლის 22 ოქტომბერს 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსი კვლავ შეიცვალა, ასევე ამ მუხლს დაემატა 4¹ პუნქტი. ეს გამოწვეული იყო კომპეტენციის დამდგენი კონსტიტუციური ნორმის შეცვლით და ნორმატივონტროლის ელემენტის შემოტანით, რაც აისახა კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შედეგებზე. ამასთან, მე-4 და 4¹ პუნქტებში საუბარია ზოგადად არჩევნებზე და არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებზე, რაც საშუალებას იძლევა საკონსტიტუციო კონტროლმა მოიცვას და სამართლებრივი შედეგები დადგეს ნებისმიერი არჩევნების მიმართ.

4.8.2. მხარეები რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება კონსტიტუციური სარჩელი.¹²²¹ არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანისათვის დადგენილია შეზღუდული ვადები. ჩატარებული რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული რეფერენდუმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა 7 დღე ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეფერენდუმის შედეგების გამოქვეყნებიდან.¹²²² ჩატარებული არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით სარჩელი შეიტანება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში.¹²²³

690

¹²²¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹²²² იქვე, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹²²³ იქვე, „ბ“ ქვეპუნქტი.

გასაჩივრების ვადების დადგენა, საქმის განხილვის შემჭიდროვებულ ვადებთან ერთად, უზრუნველყოფს ჩატარებულ რეფერენდუმთან და არჩევნებთან დაკავშირებით დავების დროულ გადაწყვეტას, რაც მნიშვნელოვანია როგორც დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიანი აღსრულებისათვის.

691 სამართალწარმოება კონტრადიქტორული ხასიათისაა¹²²⁴ და მიმდინარეობს მხარეების - მოსარჩელებებისა და მოპასუხეების მონაწილეობით.¹²²⁵ მოსარჩელეთა წრე ერთი და იგივეა როგორც ჩასატარებელი, ასევე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის კონტროლისას. კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებით სარგებლობენ შემდეგი სუბექტები:

- 1) პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი;
- 2) პრეზიდენტი;
- 3) სახალხო დამცველი.¹²²⁶

692 გონივრული იქნება, თუ ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის ფარგლებში მოსარჩელეთა წრე გაიზრდება და საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება მიეცემა საარჩევნო სუბიექტებს - არჩევნებში მონაწილე პარტიას/საარჩევნო ბლოკს და მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილე კანდიდატს, თუ ისინი თვლიან, რომ არჩევნების მომწესრიგებელმა არაკონსტიტუციურმა ნორმამ მათ საზიანოდ არსებითი და გადამწყვეტი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე. ეს გააქტიურებდა არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლს და გაზრდიდა მის ეფექტიანობას.

693 მოპასუხეთა წრე განსხვავდება დავებზე ჩასატარებელ და ჩატარებულ არჩევნებთან (რეფერენდუმთან) დაკავშირებით.¹²²⁷ როდესაც სარჩელი შეეხება არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობას, მოპასუხეა:

¹²²⁴ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 190.

¹²²⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹²²⁶ იქვე, 36-ე მუხლის პირველი პუნქტი და 37-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹²²⁷ *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (261).

1) სადავო ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანო (თანამდებობის პირი);

2) არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი), თუ სადავო ნორმატიული აქტის საფუძველზე ხდება არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნა ან არდანიშვნა.¹²²⁸

არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ დავისას მოპასუხეა:

1) ის ორგანო, რომლის ნორმატიული აქტის გამოც იქნა შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი;

2) ცენტრალური საარჩევნო კომისია ან/და საარჩევნო კომისია, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი არჩევნების ჩატარებაზე.¹²²⁹

დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელეს შეუძლია შეამციროს ან უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, რაც იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.¹²³⁰ ამისგან განსხვავებით, სამართალწარმოება არ წყდება მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის შემთხვევაში.¹²³¹ პროცესის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს სამართალწარმოების გაგრძელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების დისკრეცია იმის მიხედვით, რამდენად არსებობს კონსტიტუციისა და მისი მოთხოვნების დაცვის აუცილებლობა. ეს მისცემდა მას მნიშვნელოვანი საქმეების განხილვის დასრულების, ხოლო უმნიშვნელო ან მცირე მნიშვნელობის საქმეთა განხილვის შეწყვეტის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში არჩევნების კონტროლის ობიექტური ხასიათის გამო, უარი სასარჩელო მოთხოვნაზე არ არის საქმის გადაწყვეტის, თუ ამას საჯარო ინტერესი მოითხოვს, დამაბრკოლებელი გარემოება.¹²³² არჩევნებთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელი განიხილება, როგორც ბიძგი საკონსტიტუციო სამართალწარმოების დასაწყებად,¹²³³ რაც იმას

¹²²⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²²⁹ იქვე, 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²³⁰ იქვე, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²³¹ იქვე, მე-6 პუნქტი.

¹²³² BVerfGE 89, 291 (299); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1253; Magiera, GG, Art. 41, Rn. 13.

¹²³³ BVerfGE 122, 304 (306); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1242.

694

695

ნიშნავს, რომ სამართალწარმოების გაგრძელების შესახებ საკითხის გადაწყვეტა საკონსტიტუციო სასამართლოზეა დამოკიდებული.

4.8.3. რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის ეტაპები და დავის საგანი

696 რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლი ორი ეტაპისაგან შედგება:¹²³⁴

1) არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის კონტროლი. ამ ეტაპს ნორმატკონტროლის ფორმა აქვს. საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს, რამდენად შეესაბამება არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმა კონსტიტუციის ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს;

2) არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის კონტროლი. მეორე ეტაპზე გადასვლის წინაპირობაა, ის რომ საკონსტიტუციო სასამართლომ პირველ ეტაპზე დაადგინოს ნორმის არაკონსტიტუციურობა. თუ საქმე ჩასატარებელ არჩევნებს (რეფერენდუმს) შეეხება, საკონსტიტუციო სასამართლო მეორე ეტაპზე ამოწმებს მისი დანიშვნა-არდანიშვნის კონსტიტუციურობას. როდესაც არჩევნები (რეფერენდუმი) ჩატარებულია, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს და წყვეტს მისი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის საკითხს.

697 რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის პირველ ეტაპზე დავის საგანი ორნაწილიანია ისევე, როგორც ნორმატკონტროლის სხვა შემთხვევებში:

1) სადავო ნორმა;

2) კონსტიტუციის ნორმა, რომელთან მიმართებაშიც მოწმდება სადავო ნორმის კონსტიტუციურობა.

¹²³⁴ შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (262).

სადავო შეიძლება იყოს მხოლოდ არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმა. ასეთად ნორმა ჩაითვლება, თუ ის არეგულირებს საარჩევნო (სარეფერენდუმო) პროცესის ნებისმიერ ეტაპსა და საკითხს. აქ მთავარია ნორმის შინაარსი და არა ის, თუ რა სახისა და სათაურის ნორმატიულ აქტშია ის განთავსებული. საკონსტიტუციო სასამართლო ამ კომპეტენციის ფარგლებშიც მსჯელობს მხოლოდ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის და არა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობაზე. არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტის ნორმატიულობის განსაზღვრისას სასამართლო არ იზღუდება ფორმალური კრიტერიუმებით. შესაძლოა აქტი ფორმალურად ინდივიდუალური იყოს, მაგრამ მას ჰქონდეს ნორმატიული შინაარსი. ასეთი აქტი ექვემდებარება საკონსტიტუციო კონტროლს.¹²³⁵

რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლისას საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია იმ ნორმის შემოწმებით, რომლის არაკონსტიტუციურად ცნობასაც ითხოვს მოსარჩელე.¹²³⁶ სხვა ობიექტური ბუნების კომპეტენციების მსგავსად, ასეთი მკაცრი შეზღუდვა არ არის გამართლებული. რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა შეამოწმოს ის ნორმები, რომლებსაც საქმესთან არანაირი შინაარსობრივი კავშირი აქვთ. ამასთანავე არასწორი იქნებოდა, სადავო ნორმასთან ორგანულად დაკავშირებული ნორმების ყურადღების მიღმა დატოვება, რომელიც მოსარჩელეს არ აქვს მითითებული სასარჩელო მოთხოვნაში.

საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო ნორმის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.¹²³⁷ გამონაკლისია საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმების ან ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევა, თუ საქმე შეეხება კონსტიტუციით აღიარებულ ძირითად უფლებებს. ამ დროს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის

¹²³⁵ შეადარე: №3/3/763 გადაწყვეტილება, II – 44, 81-83.

¹²³⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹²³⁷ იქვე, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

საკითხი, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.¹²³⁸

701 რაც შეეხება დავის საგნის მეორე ნაწილს, კონსტიტუცია და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი არ ზღუდავს კონსტიტუციის იმ ნორმათა წრეს, რომელთან მიმართებაშიც შეიძლება შემოწმდეს სადავო ნორმა. კონსტიტუცია მრავლად შეიცავს ნორმებს, რომლებიც არჩევნებთან (რეფერენდუმთან) დაკავშირებულ მნიშვნელოვან წესებსა და პრინციპებს ადგენს, საარჩევნო უფლება კი ძირითადი უფლების რანგშია აყვანილი. ამავდროულად, აუცილებელი არაა, რომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობა მხოლოდ კონსტიტუციის იმ ნორმასთან მიმართებით შემოწმდეს, რომელიც უშუალოდ არჩევნებს (რეფერენდუმს) შეეხება. შესაძლოა განხორციელდეს კონსტიტუციის სხვა ნორმებთან შესაბამისობის კონტროლიც, მაშ შორის სხვა ძირითად უფლებებთან და არა მხოლოდ საარჩევნო უფლებასთან.¹²³⁹ მაგალითად, საქმეზე „საქართველოს პარლამენტი წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დავის საგანი იყო საარჩევნო კოდექსის რამოდენიმე ნორმის კონსტიტუციურობა როგორც კონსტიტუციის იმჟამინდელი რედაქციის 49-ე მუხლის პირველ პუნქტთან (პარლამენტის არჩევნების პრინციპები), 50-ე მუხლის პირველ პუნქტთან (პარლამენტის არჩევნებში პასიური საარჩევნო უფლებით მონაწილეობის წინაპირობები) და 28-ე მუხლის პირველ პუნქტთან (საარჩევნო უფლება), ასევე მე-14 მუხლთან (კანონის წინაშე თანასწორობა) მიმართებითაც.¹²⁴⁰

702 რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის მეორე ეტაპზე დავის საგანი იმაზეა დამოკიდებული, არჩევნები (რეფერენდუმი) ჩასატარებელია თუ ჩატარებული. ამასთან, ორივე შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ იმ საკითხების განხილვით, რაც ხვდება კონტროლის პირველ ეტაპზე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მოქმედების სფეროში.¹²⁴¹

¹²³⁸ იქვე, მე-7 პუნქტი.

¹²³⁹ განსხვავებული პოზიცია იხ.: *ხეურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 234-236.

¹²⁴⁰ №3/3/763 გადაწყვეტილება.

¹²⁴¹ *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 189 f.

ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) შემთხვევაში კონსტიტუციურობის კონტროლის მეორე ეტაპზე დავის საგანია.¹²⁴² 703

- 1) სამართლებრივი აქტი არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნის შესახებ, რომელიც გამოცემულია არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე;
- 2) არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნაზე უფლებამოსილი სუბიექტის მიერ არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნის ვალდებულება, რომელიც არ შესრულდა არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი არაკონსტიტუციური ნორმის გამო.

ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო ვერ განიხილავს არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგების ბათილობის საკითხს. ამ დროს არჩევნები (რეფერენდუმი) ჯერ არ გამართულა და ბუნებრივია, ობიექტურად შეუძლებელია დადგინდეს, თუ რა გავლენა მოახდინა არაკონსტიტუციურმა ნორმამ მათ შედეგებზე.¹²⁴³ აქედან გამომდინარე, როდესაც კონსტიტუციურობის კონტროლის პირველ ეტაპზე განიხილება არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმის კონსტიტუციურობა, რომელიც არ აწესრიგებს არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნა-არდანიშვნის საკითხებს, მისი არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი კონტროლის მეორე ეტაპის განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროება არ არსებობს. 704

ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) შემთხვევაში კონსტიტუციურობის კონტროლის მეორე ეტაპზე დავის საგანია არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგების დამდგენი სამართლებრივი აქტი. არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგები აბსტაქტულად არ არსებობს, ისინი დამტკიცებულია შესაბამისი საარჩევნო კომისიების სამართლებრივი აქტებით. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ამ აქტებზე. ამის გარეშე ის უბრალოდ ვერ შეაფასებს არაკონსტიტუციური ნორმის გავლენას არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგებზე. საქმეზე ვერც სამართლებრივი შედეგი დადგება, რადგანაც არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობა გულისხმობს იმ 705

¹²⁴² შეადარე: იქვე, S. 192.

¹²⁴³ შეადარე: იქვე, S. 192.

სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის ბათილად ცნობას, რითაც ეს შედეგებია დამტკიცებული.¹²⁴⁴

4.8.4. შემოწმების მასშტაბი, ფორმა და შინაარსი რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

4.8.4.1. შემოწმების მასშტაბი, ფორმა და შინაარსი რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის პირველ ეტაპზე

706 რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის პირველ ეტაპზე ვრცელდება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მოთხოვნები ნორმატკონტროლთან დაკავშირებით. მატერიალური კუთხით, საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს სადავო ნორმის შინაარსის შესაბამისობას კონსტიტუციასთან.¹²⁴⁵ არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას ის მხედველობაში იღებს ნორმის არა მარტო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს.¹²⁴⁶ ფორმალური თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლო არკვევს, დაცულია თუ არა ნორმის მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესები.¹²⁴⁷

707 არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმის ფორმალური კონსტიტუციურობის შემოწმება შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ პროცედურის, არამედ უფლებამოსილებისა და ფორმის კუთხით. მაგალითად, პრაქტიკაში საკონსტიტუციო სასამართლომ ვრცლად იმსჯელა საარჩევნო კოდექსის ნორმებით ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის მინიჭებული უფლებამოსილების

¹²⁴⁴ განსხვავებული პოზიცია იხ.: ხეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 241.

¹²⁴⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹²⁴⁶ იქვე, მე-3 პუნქტი.

¹²⁴⁷ იქვე, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

(მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც გათვალისწინებულია ორი ან ორზე მეტი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის შექმნა) კონსტიტუციურობაზე.¹²⁴⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისობა კონსტიტუციის მატერიალურ მოთხოვნებთან, განსაკუთრებით - ძირითად უფლებებთან. მისი პოზიციით, კონსტიტუცია „...იცავს არჩევნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტებს, მათ შორის, ხმათა თანასწორობას და მათ თანასწორ ეფექტუარობას არჩევნების შედეგებზე.“¹²⁴⁹ როდესაც არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმა ზღუდავს ამათუი უფლებას, ეს უნდა იყოს თანაზომიერი სხვა კონსტიტუციური სიკეთების დასაცავად.¹²⁵⁰ შემოწმებას ექვემდებარება სადავო ნორმის განსაზღვრულობაც, ანუ ის, თუ რამდენად ცხადი, გასაგები და განჭვრეტადია რეგულირება როგორც მისი ადრესატისათვის, ასევე შემფარდებლისათვის. მაგალითად, განსაზღვრულობას დიდი მნიშვნელობა აქვს პარლამენტის მიერ ამათუიმ საკითხის სამართლებრივი მოწესრიგების დელეგირებისას ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის, რათა არ გაჩნდეს ნორმის განუსაზღვრელობის გამო თვითნებობისა და მანიპულირების საშუალება.¹²⁵¹

708

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ კონსტიტუციური ნორმები, არამედ პრინციპებიც. ის აცხადებს, რომ „არჩევნების მომწესრიგებელი ნორმები უნდა თავსდებოდეს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ სამართლებრივ წესრიგში“.¹²⁵² ამ წესრიგის ფუნდამენტს სწორედ კონსტიტუციური პრინციპები ქმნის. საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად შენიშნავს სამართლიანი არჩევნების, როგორც ხალხის მიერ თავისი წარმომადგენლებისათვის ძალაუფლების გადაცემის მექანიზმის როლს დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციასა და პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებაში.¹²⁵³

709

¹²⁴⁸ №3/3/763 გადაწყვეტილება, II – 39-87.

¹²⁴⁹ იქვე, II-16.

¹²⁵⁰ შეადარე: იქვე, II-27.

¹²⁵¹ შეადარე: იქვე, II - 63-71.

¹²⁵² იქვე, II-9.

¹²⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის №1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; №3/3/763 გადაწყვეტილება, II-4.

710 არჩევნები რთული პროცესია და მასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა შეიძლება მოითხოვდეს ამ პროცესის სხვადასხვა ასპექტების კომპლექსურ სამართლებრივ ანალიზს, რაზეც მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლომ საარჩევნო გეოგრაფიასთან - „ჯერიმანდერინგთან“ დაკავშირებით მსჯელობისას. ამავდროულად, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დავა არ უნდა შეაფასდეს აბსტრაქტულად, პოლიტიკური მიზანშეწონილობის, თუ სხვა სახის სუბიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.¹²⁵⁴ ეს მიდგომა მართებულია, რადგანაც პოლიტიზაციის მაღალი ხარისხის მქონე საკითხების გადაწყვეტის დროსაც საკონსტიტუციო სასამართლო არ უნდა გასცდეს სამართლებრივი შეფასების ფარგლებს.

4.8.4.2. შემოწმების მასშტაბი, ფორმა და შინაარსი რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის მეორე ეტაპზე

711 საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე კონსტიტუციურობის კონტროლის მეორე ეტაპზე განსხვავებული ამოცანები დგას ჩასატარებელი და ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, შემოწმების ფორმა და შინაარსიც განსხვავებულია და ცალ-ცალკე განვიხილავთ.

712 ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის კონტროლის მეორე ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს შემდეგი გარემოებები:

- 1) რამდენად არის გამოცემული არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტი არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე. ეს მოითხოვს როგორც არაკონსტიტუციური ნორმის, ასევე დანიშვნის შესახებ აქტის შინაარსობრივ ანალიზს და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას. არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნა არაკონსტიტუციური ნორმის შედეგი უნდა იყოს.

¹²⁵⁴ დეტალურად: იხ.: №3/3/763 გადაწყვეტილება, II-17, 26.

2) რამდენად ათავისუფლებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა უფლებამოსილ სუბიექტს არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნის კონსტიტუციური ვალდებულებისაგან. სახეზე უნდა იყოს შემთხვევა, როდესაც უფლებამოსილ სუბიექტს კონსტიტუცია ავალდებულებდა არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნას, მაგრამ მან ეს არ გააკეთა არაკონსტიტუციურ ნორმაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი სუბიექტის უმოქმედობა არაკონსტიტუციური ნორმით უნდა იყოს განპირობებული.

ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის კონტროლის მეორე ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს შემდეგი გარემოებები:

713

1) რამდენად შეეძლო გავლენის მოხდენა არაკონსტიტუციურად ცნობილ არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელ ნორმას არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგებზე. ამისათვის სასამართლომ უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა ამ ნორმას, მისი შინაარსიდან გამომდინარე, არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგებზე ზეგავლენის პოტენციალი;

2) როგორია არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის გავლენის ხარისხი და მასშტაბები არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგებზე. არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგების სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად და რა ნაწილში მოახდინა არაკონსტიტუციურმა ნორმამ გავლენა მათზე.¹²⁵⁵ ამ საკითხზე საფუძვლიანი დასკვნის გაკეთება მოითხოვს როგორც ამ ნორმის, ასევე არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგების დამდგენი სამართლებრივი აქტისა და საჭიროების შემთხვევაში, სხვა რელევანტური დოკუმენტაციის ანალიზს.

მნიშვნელოვანი და საინტერესოა გერმანული გამოცდილება არჩევნების შედეგების ბათილობასთან დაკავშირებით. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო საარჩევნო დარღვევებზე რეაგირებისას იცავს თანაზომიერების პრინციპს.¹²⁵⁶ ის მხოლოდ იმ მასშტაბით ერევა არჩევნების შედეგებში, რაც

714

¹²⁵⁵ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 190.

¹²⁵⁶ *Achterberg, Schulte*, (Bearb.), Kommentar zum Art. 41 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 44ff.; *Magiera*, GG, Art. 41, Rn. 16; *Pieroth*, (Bearb.), Kommentar zum Art. 41 GG, in: Jarass, Hans D., Pieroth, B., Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, München 2012, Rn. 8.

დარღვევის გამოსწორებისთვისაა აუცილებელი.¹²⁵⁷ დარღვევა, რომელმაც უმნიშვნელო გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე, არ იწვევს მათ ბათილობას. რეაგირება ხდება იმ დარღვევებზე, რამაც გავლენა მოახდინა ბუნდესტაგში მანდატების განაწილებაზე.¹²⁵⁸ რაც შეეხება ბუნდესტაგის არჩევნების შედეგების სრულად ბათილად ცნობას, ეს მხოლოდ უკიდურესად მძიმე დარღვევების შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც აბსოლუტურად აუტანელია წარმომადგენლობითი ორგანოს ამგვარად არჩეული შემადგენლობის შემდგომი შენარჩუნება.¹²⁵⁹

4.8.5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები

715 ერთმანეთისაგან განსხვავდება კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შედეგები იმის მიხედვით, საქმე შეეხება ჩასატარებელ თუ ჩატარებულ არჩევნებს (რეფერენდუმს).¹²⁶⁰ ამასთანავე, ორივე შემთხვევაში ხდება არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი არაკონსტიტუციური ნორმის ძალადაკარგულად ცნობა.

716 ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს:¹²⁶¹

- 1) არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან;
- 2) დანიშნული არჩევნების (რეფერენდუმის) გაუქმებას, თუ არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშნვა ეფუძნება არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს;

¹²⁵⁷ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1256; Klein, GG, Art. 41, Rn. 99 ff.

¹²⁵⁸ შეადარე: BVerfGE 4, 370 (372 f.); 89, 291 (304); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1243; Magiera, GG, Art. 41, Rn. 4,17; Rauber, Wahlprüfung, S. 73 ff.

¹²⁵⁹ შეადარე: BVerfGE 103, 111 (134 f.); 121, 266 (312); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1256; Magiera, GG, Art. 41, Rn. 16.

¹²⁶⁰ ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (262); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 190.

¹²⁶¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

3) არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნის ვალდებულების დაკისრებას, თუ არჩევნების (რეფერენდუმის) არდანიშვნა ეფუძნება არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს.

ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს:¹²⁶²

717

- 1) ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი არ აკონკრეტებს ძალის დაკარგვის დროს, თუმცა კონსტიტუციიდან გამომდინარე, ეს ვერ მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტზე ადრე;
- 2) ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ (ცალკეული საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების მიხედვით) ბათილად ცნობას, თუ არაკონსტიტუციურად ცნობილმა ნორმატიულმა აქტმა ან მისმა ნაწილმა არსებითი და გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მათ შედეგზე და არაკონსტიტუციური აქტის ან მისი ნაწილის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა არსებულისაგან განსხვავებული შედეგი. აქ იგულისხმება არჩევნების (რეფერენდუმის) შედეგების დამდგენი სამართლებრივი აქტის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

კონსტიტუცია და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი კრძალავს შესაბამისი საარჩევნო წლის განმავლობაში არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას. გამონაკლისია ის ნორმები, რომლებიც მიღებულია შესაბამისი არჩევნების თვემდე 15 თვის განმავლობაში.¹²⁶³ ეს ერთგვარი მორატორიუმი არ ნიშნავს, რომ ამ პერიოდში დაუშვებელია არჩევნებთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელების შეტანა და განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოში, რაც 15 თვის განმავლობაში ამ კომპეტენციის სრული პარალიზების

718

¹²⁶² იქვე, 4¹ პუნქტი.

¹²⁶³ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი.

ტოლფასი იქნებოდა.¹²⁶⁴ რამდენადაც ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მორატორიუმი შეეხება მხოლოდ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანას.

719 ზემოაღნიშნულ აკრძალვას რამოდენიმე არსებითი ნაკლი აქვს: 1) ნორმის არაკონსტიტუციურობას მისი შინაარსი განაპირობებს და არა მიღების დრო.¹²⁶⁵ არაკონსტიტუციურ ნორმებზე საკონსტიტუციო სასამართლოს რეაგირების ამგვარი შეზღუდვა გამართლებულია, როდესაც ეს თანაზომიერი ღონისძიებაა რომელიმე უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური სიკეთის დასაცავად. ამგვარი შემთხვევა მხოლოდ მაშინაა სახეზე, თუ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის ან მნიშვნელოვნად აფერხებს არჩევნების ჩატარებას და მხოლოდ მორატორიუმის გამოყენებითაა შესაძლებელი ამის თავიდან აცილება. არჩევნების მომწესრიგებელი ნებისმიერი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ნამდვილად არ მოჰყვება ასეთი მძიმე შედეგი; 2) კონსტიტუცია მიუთითებს ზოგადად „არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის“ და არა „შესაბამისი არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის“ არაკონსტიტუციურად ცნობის დაუშვებლობაზე. ლოგიკასაა მოკლებული, რომ მაგალითად, აკრძალოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა საპარლამენტო არჩევნების წელს; 3) ბუნდოვანია მორატორიუმი მხოლოდ არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლზე ვრცელდება, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა კომპეტენციებზეც. მაგალითად, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში დავობს არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის კონსტიტუციურობაზე? 4) საარჩევნო წელი მოიცავს იმ პერიოდსაც, როდესაც არჩევნები ჩატარებულია. გამოდის, რომ ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით დავა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი მომწესრიგებელი ნორმა მიღებულია არჩევნებამდე 15 თვის განმავლობაში. ეს სერიოზულად ასუსტებს საკონსტიტუციო კონტროლს არჩევნებზე.

720 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას გაართულებს, თუ ბათილად ცნობილი არჩევნების შედეგად არჩეული პირის უფლებამოსილების ცნობა

¹²⁶⁴ განსხვავებული პოზიცია იხ.: *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 245.

¹²⁶⁵ *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (262).

მოხდება გადაწყვეტილების გამოტანამდე. აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და არჩეული პირების უფლებამოსილების ცნობის ვადების მაქსიმალური სინქრონიზაცია ისე, რომ მოეწროს გადაწყვეტილების მიღება უფლებამოსილების ცნობამდე.¹²⁶⁶ პოზიტიურად შეიძლება შევაფასოთ პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც, პარლამენტი არ ცნობს იმ პირის უფლებამოსილებას, რომლის პარლამენტის წევრად არჩევის კონსტიტუციურობა გასაჩივრებულია საკონსტიტუციო სასამართლოში¹²⁶⁷ და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მას შემდეგ, რაც სასამართლოს მიერ არ დადგინდება ამ პირის პარლამენტის წევრად არჩევის ხელშემშლელი გარემოება.¹²⁶⁸ მსგავსი რეგულირებაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტშიც.¹²⁶⁹ პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება ფიცის დადებისთანავე,¹²⁷⁰ ხოლო ფიცის დადება იმართება არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.¹²⁷¹ თუ გავითვალისწინებთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის ვადა არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღეა,¹²⁷² ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის განხილვის ვადა 12 დღეს არ უნდა აღემატებოდეს,¹²⁷³ სავსებით შესაძლებელია, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება ფიცის დადებაამდე გამოიტანოს. ამავდროულად, არსებობს პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტას საჭიროებს. პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტებით განსაზღვრული წესი ვრცელდება მხოლოდ ახლადარჩეული პარლამენტის/უმაღლესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობაზე და არა უფლებამოსილების ცნობის ნებისმიერ შემთხვევაზე. ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ არ ითვალისწინებს მექანიზმს, რომელიც შეაჩრებდა საკრებულოს წევრის ან მერის უფლებამოსილების ცნობის პროცესს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

¹²⁶⁶ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 195.

¹²⁶⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹²⁶⁸ იქვე, მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹²⁶⁹ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 72-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹²⁷⁰ საქართველოს კონსტიტუციის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²⁷¹ იქვე, პირველი პუნქტი.

¹²⁷² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹²⁷³ იქვე, 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

4.9. მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელი

4.9.1. მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის არსი, მნიშვნელობა და ისტორია

4.9.1.1. მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის არსი და მნიშვნელობა

- 721 საკონსტიტუციო სასამართლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით.¹²⁷⁴ ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში,¹²⁷⁵ ხოლო მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო.¹²⁷⁶ რაც შეეხება კონსტიტუციის მეცხრე თავს, ის ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს რეგულირებებსა და გარანტიებს ადგენს.
- 722 კონსტიტუციური სარჩელი საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტებს დაიცვან კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებები და გარანტიები. მსგავსი მიზანმიმართულება აქვს ე.წ. „კომუნალურ კონსტიტუციურ სარჩელს“ საკონსტიტუციო კონტროლის გერმანულ მოდელში.¹²⁷⁷ კონსტიტუციური სარჩელი მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვას ემსახურება და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შეიტანება. აქედან გამომდინარე, მის არსს შეესაბამება სახელწოდება „მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელი“.¹²⁷⁸
- 723 მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელი, თავისი არსით, ჰგავს ძირითადი უფლების დამცავ კონსტიტუციურ სარჩელს.¹²⁷⁹ გერმანიაში კომუნალური კონსტიტუციური სარჩელი ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის სპეციალურ შემთხვევადაც კი განიხლება.¹²⁸⁰ ეს იმიტოა განპირობებული, რომ ის შეიცავს სუბიექტური სამართლებრივი დაცვის ელემენტებს. ამავდროულად, სამართალწარმოებას ობიექტური ნიშნებიც აქვს, რამდენადაც ემსახურება ადგილობრივი

¹²⁷⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი.

¹²⁷⁵ ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

¹²⁷⁶ იქვე, 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹²⁷⁷ შეადარე: *Hopfauf*, GG, Art. 93, Rn. 205.

¹²⁷⁸ შეადარე: *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (262).

¹²⁷⁹ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 219.

¹²⁸⁰ მაგალითად იხ.: *Badura*, Staatsrecht, S. 810; *Stern*, GG, Art. 93, Rn. 776.

თვითმმართველობის, როგორც ინსტიტუტის, დაცვას და ნორმატონტროლის ფორმით ხორციელებდა.¹²⁸¹

მიუხედავად მსგავსებისა, მუნიციპალური და ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელები სხვადასხვა სუბიექტებსა და კონსტიტუციურსამართლებრივ სიკეთებს იცავენ. ძირითადი უფლების დამცავი სარჩელი უზრუნველყოფს ფიზიკური თუ იურიდიული პირების სუბიექტური კონსტიტუციური უფლებების დაცვას, ხოლო მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელი - საჯარო უფლებამოსილებებისა და გარანტიებისა, რომელთაც არ აქვთ ძირითადი უფლებების ხარისხი.¹²⁸² მუნიციპალიტეტები, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები,¹²⁸³ ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებებს და ძირითადი უფლებების ადრესატები არიან და არა სუბიექტები.¹²⁸⁴

724

ადგილობრივი თვითმმართველობა განამტკიცებს დემოკრატის ადგილობრივ დონეზე და დემოკრატიის პრინციპის მნიშვნელოვან ელემენტად ითვლება.¹²⁸⁵ ამ ინსტიტუტის დაცვის გარანტიის არსებობა, მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის სახით, პოზიტიური მოვლენაა.¹²⁸⁶ სამწუხაროდ, ეს მექანიზმი დღემდე პრაქტიკაში არცერთ მუნიციპალიტეტს არ გამოუყენებია, რაც რამოდენიმე მიზეზითაა განპირობებული. ყველა საკრებულოში ერთი პოლიტიკური ძალის უმრავლესობაში ყოფნის პირობებში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში მათ გაასაჩივრონ ცენტრალური ხელისუფლების ნორმატიული აქტები. ჯერ კიდევ დაბალია ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მუნიციპალიტეტებში არის იმ ცოდნისა და გამოცდილების დეფიციტი, რაც აუცილებელია კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანი არგუმენტაციისა და საკონსტიტუციო სასამართლოში დავის სათანადოდ წარმართვისათვის.¹²⁸⁷

725

¹²⁸¹ *Sturm*, GG, Art. 93, Rn. 100. შეადარე ასევე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 639.

¹²⁸² შეადარე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 635; *Hopfau*, GG, Art. 93, Rn. 205.

¹²⁸³ ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²⁸⁴ შეადარე: BVerfGE 61, 82 (100 ff.).

¹²⁸⁵ *ლოლაძე*, ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, გვენავა დ. (რედ.), შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი 2019, გვ. 336 (340); *Gern*, Deutsches Kommunalrecht. 2., neubearbeitete Auflage, Baden-Baden 1997, S. 68; *Hendler*, Selbstverwaltung als Ordnungsprinzip. Zur politischen Willensbildung und Entscheidung im demokratischen Verfassungsstaat der Industriegesellschaft, Köln u. a. 1984, S. 302; *Stober*, Kommunalrecht in der Bundesrepublik Deutschland. 3. Auflage, Stuttgart (u. a.) 1996, S. 61; *Waechter*, Kommunalrecht. 2., überarbeitete Auflage, Köln u. a. 1995, S. 14.

¹²⁸⁶ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 219.

¹²⁸⁷ შეადარე: იქვე, S. 219 f.

4.9.1.2. მუნიციპალური კონსტიტუციური

სარჩელის ისტორია

- 726 მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის ინსტიტუტი ქართულ მოდელში შედარებით ახალია. 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციურმა კანონმა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ჩამონათვალს დაუმატა თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს სარჩელის საფუძველზე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა კონსტიტუციის მეშვიდე¹ თავთან მიმართებით.¹²⁸⁸ ეს თავიც, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობას ეძღვნებოდა, კონსტიტუციას იმავე კონსტიტუციური კანონით დაემატა. დიდწილად სწორედ ამან განაპირობა მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის ინსტიტუტის შემოღება. კომპეტენციამ დღევანდელი ფორმულირება 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით მიიღო, თუმცა მის შინაარსში პრინციპული ცვლილებები არ განხორციელებულა.
- 727 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულმა კანონმა მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის განხილვის კომპეტენცია 2010 წლის 15 ოქტომბრის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ გაითვალისწინა. 2011 წლის 5 მაისს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველ პუნქტს დაემატა „ღ“ ქვეპუნქტი, რომელიც ადგენდა ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვას კონსტიტუციის მეშვიდე¹ თავთან მიმართებით. 2018 წლის 21 ივლისს აღნიშნული ქვეპუნქტი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, მაგრამ მნიშვნელოვანი შინაარსობრივი სიახლე არ განუცდია. კონსტიტუციის მეშვიდე¹ თავზე მითითება ჩაანაცვლა მეცხრე თავზე მითითებამ თავების ნუმერაციის შეცვლის გამო.
- 728 2011 წლის 5 მაისს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონს დაემატა 41³ მუხლი, რომელმაც განსაზღვრა მოსარჩელე და მოპასუხე მუნიციპალურ კონსტიტუციურ სარჩელეზე. 2020 წლის 15 ივლისის აღნიშნულ მუხლში შევიდა ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილება - ტერმინი „თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო“ ჩაანაცვლა ტერმინმა „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი“ ორგანო.

¹²⁸⁸ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

4.9.2. მხარეები მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში

მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლოში კონტრადიქტორული პროცესი მიმდინარეობს მხარეების - მოსარჩელისა და მოპასუხის მონაწილეობით.¹²⁸⁹ მოსარჩელე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სუბიექტი, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო.¹²⁹⁰ ეს გამართლებულია, რადგანაც კონსტიტუცია მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს უშუალო დემოკრატიულ ლეგიტიმაციას ითვალისწინებს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების გზით,¹²⁹¹ რაც იმას ნიშნავს, რომ საკრებულო ყველაზე კარგად ასახავს და გამოხატავს მუნიციპალიტეტის ამომრჩევლის ნებას.¹²⁹² საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილებას საკრებულო იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.¹²⁹³ საკონსტიტუციო სასამართლოში მუნიციპალიტეტს წარმოადგენს მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, თუ საკრებულომ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო.¹²⁹⁴

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი არ ადგენს მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის შეტანის წინაპირობებს. შესაბამისად დაისმის კითხვა, თუ რამდენადაა შესაძლებელი საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა, თუ სადავო ნორმა არ არღვევს უშუალოდ მოსარჩელის რომელიმე კონსტიტუციურ უფლებამოსილებას თუ გარანტიას ან არ ქმნის ამის რეალურ საფრთხეს. ამ კონტექსტში ყურადსადეობია გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის დაშვება იმ შემთხვევაში, როცა სადავო ნორმა უშუალოდ მოსარჩელის ინტერესებს არ ხელყოფს, კომუნალურ კონსტიტუციურ სარჩელს გადააქცევდა აბსტრაქტული ნორმატივობის განსაკუთრებულ ფორმად. ამ დროს მოსარჩელე იმოქმედებდა ზოგადი ინტერესების და არა საკუთარი სამართლებრივი პოზიციების დასაცავად. ეს შეუძლიათ იმ

¹²⁸⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹²⁹⁰ იქვე, 41³ მუხლის პირველი პუნქტი.

¹²⁹¹ საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹²⁹² შეადარე: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 219.

¹²⁹³ ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹²⁹⁴ იქვე, მე-6 პუნქტი.

სუბიექტებს, რომლებსაც აქვთ actio popularis-ის უფლება. თვითმმართველ ერთეულებს ეს უფლება არ აქვთ მინიჭებული.¹²⁹⁵ პრაქტიკაში გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო კომუნალური კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებადობას ფაქტობრივად იგივე სტანდარტებით ამოწმებს, როგორც ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელისას.¹²⁹⁶ აღნიშნული მოსაზრებები და პრაქტიკა გასაზიარებელია, ხოლო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი ამ კუთხით სრულყოფას საჭიროებს.

731 მუნიციპალურ კონსტიტუციურ სარჩელზე მოპასუხე კონკრეტული ორგანო ან თანამდებობის პირი განსაზღვრული არ არის. მოპასუხეა ის ორგანო (თანამდებობის პირი), რომლის ნორმატიულმა აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია კონსტიტუციის მეცხრე თავის ნორმათა დარღვევა.¹²⁹⁷

4.9.3. დავის საგანი მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში

732 მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას ნორმატოკონტროლი ხორციელდება, ამიტომ დავის საგანი აქაც ორნაწილიანია:

1) სადავო ნორმა;

2) კონსტიტუციის ნორმა, რომელთან მიმართებაშიც მოწმდება სადავო ნორმის კონსტიტუციურობა.

733 დავის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ნორმატიული აქტი. რასაკვირველია, მას უნდა ჰქონდეს შინაარსობრივი მიმართება კონსტიტუციის მეცხე თავთან. ადგილობრივი თვითმმართველობის საკონსტიტუციოსამართლებრივი პოზიციები ინდივიდუალური სამართლებრივი აქტითაც შეიძლება შეილახოს. მართალია, მისი გასაჩივრება შესაძლებელია საერთო სასამართლოებში, მაგრამ სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის დაშვება გონივრული იქნებოდა.¹²⁹⁸ ეს გაზრდიდა ადგილობრივი

¹²⁹⁵ შეადარე: *Benda/Klein, Verfassungsprozessrecht*, Rn. 648 f.

¹²⁹⁶ მაგალითად იხ.: *BVerfGE* 71, 25 (34); 107, 1 (8).

¹²⁹⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 41³ მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²⁹⁸ შეადარე: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 220.

თვითმმართველობის სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობებს და სავარაუდოდ, გაააქტიურებდა საკონსტიტუციო სასამართლოს ამ კომპეტენციას.

სადავო ნორმის ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნით. მას უფლება არა აქვს იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.¹²⁹⁹ ასეთი მკაცრი შეზღუდვა არ არის გამართლებული იმ ნორმების მიმართ, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება დავის საგანს და რომელთა განხილვისა და შეფასების გარეშე საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა და გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები სრულფასოვანი ვერ იქნება.

734

მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის განხილვის მომენტი სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.¹³⁰⁰ ამ კომპეტენციაზე არ ვრცელდება სამართალწარმოების გაგრძელების გამონაკლისი, რადგანაც მის ფარგლებში არ განიხილება სადავო ნორმის შესაბამისობა ძირითად უფლებებთან და ამდენად, საქმის გადაწყვეტა ვერ იქნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად. მიზანშეწონილია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიეცეს სამართალწარმოების გაგრძელების უფლებამოსილება, თუ დავა შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის დაცვისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხს. ეს შეამცირებდა სამომავლოდ მსგავსი დარღვევების ალბათობას.

735

დავის საგნის მეორე ნაწილს ის თავისებურება ახასიათებს, რომ სადავო ნორმის შემოწმება შეიძლება მხოლოდ კონსტიტუციის მეცხრე თავის დებულებებთან მიმართებით. როგორც აღვნიშნეთ, ეს თავი ადგილობრივ თვითმმართველობას ეძღვნება და შეიცავს მნიშვნელოვან რეგულირებებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საზღვრებთან და სამართლებრივ საფუძვლებთან,¹³⁰¹ თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებთან¹³⁰² და

736

¹²⁹⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹³⁰⁰ იქვე, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹³⁰¹ საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლი.

¹³⁰² იქვე, 75-ე მუხლი.

ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიებთან¹³⁰³ დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის თემა კონსტიტუციაში მეცხრე თავით არ ამოიწურება, ამიტომ მისით შემოფარგვლა არ აძლევს მუნიციპალიტეტებს საკონსტიტუციო სასამართლოში სამართლებრივი დაცვის სრულყოფილ საშუალებას.¹³⁰⁴ პირველ რიგში, ამ კუთხით აღსანიშნავია კონსტიტუციის მე-7 მუხლის (ტერიტორიული მოწყობის საფუძვლები) მე-4 პუნქტი, რომელიც ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის არსსა და ინსტიტუციურ გარანტიას, სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებათა გამიჯვნას სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე, ასევე სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის ფინანსური სახსრების შესაბამისობა მის უფლებამოსილებებთან. ამ მოთხოვნების დარღვევა არსებითად დააზიანებს ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებს, ამიტომ მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის შეტანა მათთან მიმართებაშიც უნდა იყოს დასაშვები.¹³⁰⁵ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებსა და გარანტიებში ჩარევის მიძიმე ფორმაა ასევე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის შეჩერება ან დათხოვნა. კონსტიტუციის მიხედვით, ამას ახორციელებს პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებითა და პარლამენტის თანხმობით იმ შემთხვევაში, თუ წარმომადგენლობითი ორგანოს მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას.¹³⁰⁶ შესაძლებელი უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა, თუ ნორმატიული აქტი არღვევს საკრებულოს საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის კონსტიტუციით განსაზღვრულ წესსა და საფუძვლებს.

4.9.4. შემოწმების მასშტაბი, ფორმა და შინაარსი მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში

737 მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის განხილვაზე, როგორც ნორმათ-კონტროლზე, ვრცელდება ფორმალური და მატერიალური შემოწმების ის ზოგადი

¹³⁰³ იქვე, 76-ე მუხლი.

¹³⁰⁴ ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (263).

¹³⁰⁵ შეადარე: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 220.

¹³⁰⁶ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

სტანდარტები, რასაც ადგენს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი. საკონსტიტუციო სასამართლო არკვევს, დაცულია თუ არა სადავო ნორმის მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესები.¹³⁰⁷ პროცედურის შემოწმებასთან ერთად, ფორმალური კონტროლის ფარგლებში შეიძლება შეფასდეს ისიც, თუ რამდენადაა დაცული კონსტიტუციის მოთხოვნები უფლებამოსილებასთან და ფორმასთან დაკავშირებით.

მატერიალური თვალსაზრისით მოწმდება სადავო ნორმის შინაარსის შესაბამისობა კონსტიტუციასთან.¹³⁰⁸ საკონსტიტუციო სასამართლო ითვალისწინებს ნორმის არა მხოლოდ სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მის ნამდვილ აზრსა და გამოყენების პრაქტიკას, ასევე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს.¹³⁰⁹ სრულყოფილი მატერიალური კონტროლი წარმოუდგენელია კონსტიტუციური პრინციპების გამოყენების გარეშე. კონსტიტუცია ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეების კანონმდებლობის შესაბამისად მოწესრიგებას¹³¹⁰ და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებას ორგანული კანონით დადგენილი წესით.¹³¹¹ ამდენად, საქმე გვაქვს კანონის დათქმასთან¹³¹² და თვითმმართველობა საკანონმდებლო რეგულირებას ექვემდებარება.¹³¹³ ამავდროულად, ეს რეგულირება უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ მატერიალურ მოთხოვნებსაც.¹³¹⁴ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო კომუნალური კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას იყენებს თანაზომიერებისა და თვითნებობის აკრძალვის პრინციპებს.¹³¹⁵ პირველ რიგში, ნორმატიული რეგულირება არ უნდა ხელყოფდეს ადგილობრივი თვითმმართველობის არსს, რომელიც ხელშეუვალია,¹³¹⁶ ანუ სადავო

738

¹³⁰⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹³⁰⁸ იქვე, „ა“ ქვეპუნქტი.

¹³⁰⁹ იქვე, მე-3 პუნქტი.

¹³¹⁰ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹³¹¹ იქვე, 74-ე მუხლის მე-3 პუნქტი

¹³¹² მაგალითად, შეადარე: *Gern*, Deutsches Kommunalrecht, S. 79 f.; *Schmidt-Aßmann*, (Hrsg.), Besonderes Verwaltungsrecht, 11 neubearbeitete Auflage, Berlin, New York, 1999, S. 20 f.; *Schmidt-Jortzig*, Die Einrichtungs-garantien der Verfassung. Dogmatischer Gehalt und Sicherungskraft einer umstrittenen Figur, Göttingen 1979, S. 37.

¹³¹³ შეადარე: *Sundermann, Miltkau.*, Kommunalrecht Brandenburg, Hamburg, 1995, S. 34.

¹³¹⁴ დეტალურად: იხ.: *ლოლაძე*, ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, გვ. 336 (339).

¹³¹⁵ BVerfGE 76, 107 (119 f.); Sturm, GG, Art. 93, Rn. 101.

¹³¹⁶ დეტალურად: იხ.: *Burmeister*, Verfassungstheoretische Neukonzeption der kommunalen Selbstverwaltungsgarantie, München 1977, S. 28; Schramm, T., Staatsrecht. 2., überarbeitete und erweiterte Auflage, Köln u. A. 1977, S. 157; *Stern*, Staatsrecht I, S. 309; *Sundermann/Miltkau*, Kommunalrecht Brandenburg, S. 42 f.

ნორმამ არ უნდა გამოფიტოს, აზრი დაუკარგოს ამ ინსტიტუტს. რაც შეეხება არსს მიღმა სფეროს, კანონმდებელი მასში უნდა ჩაერიოს თანაზომიერების პრინციპის დაცვით.¹³¹⁷ გარდა თანაზომიერების პრინციპისა, რელევანტური იქნება განსაზღვრულობის პრინციპიც, რომლის მოქმედებაც მხოლოდ ძირითადი უფლებების სფეროთი არ შემოიფარგლება.¹³¹⁸

4.9.5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები

739 მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (ex nunc).¹³¹⁹ ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს დაადგინოს არაკონსტიტუციური ნორმის ძალის დაკარგვის სხვა, უფრო გვიანდელი ვადა.

4.10. დასკვნა იმპიჩმენტთან დაკავშირებით

4.10.1. იმპიჩმენტთან დაკავშირებით დასკვნის არსი, მნიშვნელობა და ისტორია

4.10.1.1. იმპიჩმენტთან დაკავშირებით დასკვნის არსი და მნიშვნელობა

740 დასკვნას იმპიჩმენტთან დაკავშირებით, კონსტიტუცია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების ჩამონათვალში უშუალოდ არ ითვალისწინებს, თუმცა ის გამომდინარეობს 48-ე მუხლის ნორმებიდან. იმპიჩმენტი გულისხმობს პარლამენტის მიერ პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული

¹³¹⁷ შეადარე: *Dols, Plate*, Kommunalrecht, 5., neubearbeitete und erweiterte Auflage, Stuttgart u. a. 1999, S. 19; *Hendler*, Selbstverwaltung als Ordnungsprinzip, S. 200; *Nierhaus*, Die kommunale Selbstverwaltung in: Kommunale Selbstverwaltung. Beiträge zur Debatte, Büchner, C., Franzke, J. (Hrsg.), Berlin, 1999, S. 17; *Pagenkopf*, „Kommunalrecht, Köln u. a. 1971, S. 58; *Sundermann/Miltkau*, Kommunalrecht Brandenburg, S. 21; *Waechter*, Kommunalrecht, S. 75.

¹³¹⁸ იხ.: ქვეთავი 4.2.6. - შემოწმების ფორმა და მინარსი აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის ფარგლებში.

¹³¹⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობიდან გადაყენებას კონსტიტუციის დარღვევის ან მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო. იმპიჩმენტის საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. ამის შემდეგ საკითხი გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მას განიხილავს და პარლამენტს დასკვნას წარუდგენს ერთი თვის ვადაში.¹³²⁰

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი, კონსტიტუციისაგან განსხვავებით, სასამართლოს უფლებამოსილებათა ჩამონათვალში ითვალისწინებს, რომ ის განიხილავს და წყვეტს პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საკითხს.¹³²¹ ეს უფლებამოსილება ეფუძნება კონსტიტუციის 48-ე მუხლს. საკონსტიტუციო სასამართლოს როლი იმპიჩმენტის პროცედურაში, მართალია, ერთგვარად შუალედური ხასიათის დასკვნის მომზადებით შემოიფარგლება, მაგრამ მაინც ძალიან მნიშვნელოვანია.¹³²² სწორედ ეს დასკვნა წარმოადგენს პროცედურის დასრულების აუცილებელ წინაპირობას. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ არ დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, იმპიჩმენტის პროცედურა წყდება.¹³²³

იმპიჩმენტის პროცედურა კონკრეტული თანამდებობის პირის წინააღმდეგ მიმდინარეობს. მისი განხორციელების შედეგად აღიკვეთება შესაბამისი პირის თვითნებური მოქმედება. თანამდებობასთან ერთად, ის კარგავს იმუნიტეტს და იქმნება ჩადენილი დანაშაულისათვის მასზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა.¹³²⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, იმპიჩმენტის დანიშნულებაა „...მაღალი რანგის საჯარო მოხელეთა ხელისუფლებისაგან ჩამოცილება ხელისუფლების სიჯანსაღის დაცვისა და მისდამი ხალხის ნდობის შენარჩუნების თვალსაზრისით.“¹³²⁵ მიუხედავად ამისა, იმპიჩმენტის ძირითად მიზნად არა პირისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრება, არამედ მისი

¹³²⁰ საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹³²¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

¹³²² *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (263).

¹³²³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 179-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹³²⁴ შეადარე: *ბეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 189.

¹³²⁵ №3/2/1473 გადაწყვეტილება, II-36.

741

742

საკონსტიტუციოსამართლებრივი პასუხისმგებლობის განმტკიცება და კონსტიტუციური წესრიგის დაცვა ითვლება.¹³²⁶

743 კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნების პატივისცემა უმაღლესი თანამდებობის პირების უპირველესი მოვალეობაა. მათ მიერ უზენაესი კანონის დარღვევას ან დანაშაულის ჩადენას შეიძლება განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვეს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის. ამგვარი ნეგატიური მაგალითი აძლიერებს საზოგადოების ნიჰილისტურ დამოკიდებულებას კონსტიტუციისა და სამართლის უზენაესობის მიმართ. ასეთ პირებს არ აქვთ თანამდებობაზე დარჩენის მორალური და სამართლებრივი უფლება. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო იმპიჩმენტის საკითხის განხილვისას ასრულებს აღნიშნული კონსტიტუციური ფასეულობების დაცვის ობიექტურ მისიას.¹³²⁷

744 იმპიჩმენტს პრევენციული ეფექტიც აქვს. თანამდებობის პირებს უჩნდება სტიმული, რომ წინასწარ კარგად აწონ-დაწონონ და შეაფასონ თავიანთი ქმედებები, რათა არ დაექვემდებარონ ამ პროცედურას.¹³²⁸ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროცესი თანამდებობიდან გადაყენებით არ დამთავრდება, შესაბამისი პირის მიმართ უარესდება საზოგადოებრივი განწყობა.¹³²⁹ იმპიჩმენტის პრევენციულ ეფექტს ეს გარემოებაც აძლიერებს, რადგანაც უმაღლესი თანამდებობის პირთათვის არასასრურველი უნდა იყოს რეპუტაციის შელახვა და მათ მიმართ საზოგადოების ნდობის შერყევა.

745 იმპიჩმენტის პროცესში გადამწყვეტ როლს პარლამენტი ასრულებს. საკანონმდებლო ორგანოდან ხდება საკითხის ინიცირება. ის იღებს გადაწყვეტილებას პირის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. ეს გარემოება ზრდის საკითხის პოლიტიზირების ხარისხს. საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ხასიათის ჩართულობა ერთგვარად ამშვიდებს და ასტაბილურებს პოლიტიკურად დაძაბულ ვითარებას. მას ეკისრება პასუხისმგებლობა, რათა შეძლოს საკითხის

¹³²⁶ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1205, 1219.

¹³²⁷ შეადარე: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 215.

¹³²⁸ შეადარე: იქვე.

¹³²⁹ შეადარე: Nierhaus, (Bearb.), Kommentar zum Art. 61 GG, in: Sachs, M. (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011, Rn. 4.

პოლიტიკური მდგენელის უკანა პლანზე გადაწევა, დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ობიექტური დასკვნის გამოტანა სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად.¹³³⁰

4.10.1.2. იმპიჩმენტთან დაკავშირებით
დასკვნის ისტორია

იმპიჩმენტის ინსტიტუტი კონსტიტუციის თავდაპირველმა რედაქციამ გაითვალისწინა. პარლამენტს შეეძლო პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. კონსტიტუციის დარღვევა უნდა დაედასტურებინა საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები - უზენაეს სასამართლოს.¹³³¹ იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება ჰქონდა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. აღძვრის შემდეგ საკითხი დასკვნისათვის გადაეცემოდა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს.¹³³² იმპიჩმენტს ასევე შეიძლება დაქვემდებარებოდნენ შემდეგი თანამდებობის პირები: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მთავრობის წევრი, გენერალური პროკურორი, კონტროლის პალატის თავმჯდომარე და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები.¹³³³ საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს დასკვნები ამ შემთხვევაშიც აუცილებელი იყო.¹³³⁴

746

2008 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით პროკურატურის ორგანოები შევიდა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, ხოლო მათი საერთო ხელმძღვანელობის განხორციელება იუსტიციის მინისტრის კომპეტენცია გახდა. ამან გამოიწვია იმპიჩმენტს დაქვემდებარებული თანამდებობის პირების ჩამონათვალიდან გენერალური პროკურორის ამოღება. გარდა ამისა, იმპიჩმენტის საფუძვლებში

747

¹³³⁰ შეადარე: *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (263); *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 215.

¹³³¹ 75-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹³³² 63-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹³³³ 64-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹³³⁴ 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

სახელმწიფოს დალატზე და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულზე მითითება ჩაანაცვლა ზოგადად დანაშაულის ჩადენაზე მითითებამ.

748 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციურმა კანონმა მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა იმპიჩმენტის პროცედურაში. პროცესს ჩამოცილდა უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში გადავიდა დასკვნის მომზადება თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობასთან დაკავშირებით.¹³³⁵ ეს უფლებამოსილება არ მიეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს ტიპური ამოცანების რიცხვს.¹³³⁶ თუ საკითხს დღევანდელი პერსპექტივიდან შევაფასებთ, იმ ვითარებაში, როდესაც იმპიჩმენტს შეიძლება დაექვემდებაროს უზენაესი სასამართლოს ნებისმიერი წევრი, მიუკერძოებელი დასკვნის გამოტანის ალბათობა საკონსტიტუციო სასამართლოში გაცილებით მაღალია, ვიდრე უზენაეს სასამართლოში.

749 2012 წლის 22 მაისს ცვლილება შევიდა იმპიჩმენტს დაქვემდებარებულ თანამდებობის პირთა ჩამონათვალში. კონტროლის პალატის თავმჯდომარე ჩაანაცვლა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურმა აუდიტორმა. ეს გამოწვეული იყო კონტროლის პალატის გარდაქმნით სახელმწიფო აუდიტის სამსახურად, ხოლო მისი თავმჯდომარისა - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორად.

750 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით იმპიჩმენტთან დაკავშირებული რეგულირებები კონსტიტუციის 48-ე მუხლში გაერთიანდა და დღეისათვის მოქმედი შინაარსი მიიღო. იმპიჩმენტს დაქვემდებარებულ პირთა წრეს დაუბრუნდა გენერალური პროკურორი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გარდა, იმპიჩმენტის წესით გადაყენების შესაძლებლობა გავრცელდა უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლეზე. ეს დამატებითი გარანტიაა მათი დამოუკიდებლობისათვის, რადგანაც დაუშვებელია სხვა წესით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა გადაყენება.¹³³⁷

¹³³⁵ 63-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

¹³³⁶ ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (263); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 214.

¹³³⁷ საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

4.10.2. იმპიჩმენტთან დაკავშირებული კონსტიტუციური წარდგინების ავტორი

თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება კონსტიტუციური წარდგინება.¹³³⁸ წარდგინების ავტორი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სუბიექტი - პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი.¹³³⁹ ამდენად, სხვა კომპეტენციებთან შედარებით, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა პარლამენტის წევრთა გაზრდილ მხარდაჭერას საჭიროებს.

წარდგინება არ განიხილება დავის ფორმატში, მოპასუხის მონაწილეობით.¹³⁴⁰ განხილვაში არც წარდგინების ავტორები და მათი წარმომადგენლები არიან ჩართული.¹³⁴¹ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, დასკვნის მომზადებისას მოიწვიოს თანამდებობის პირი¹³⁴² და მოისმინოს მისი განმარტება, მაგრამ მას მხარედ არ აღიარებს. იმპიჩმენტს დაქვემდებარებული პირი უფლებამოსილია, რომ სასამართლოს წარუდგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება მიუხედავად იმისა, მიწვეული არის თუ არა ის სასამართლო განხილვაზე.¹³⁴³

წარდგინების შეტანას წინ უძღვის იმპიჩმენტის საკითხის აღძვრა პარლამენტში. აღძვრასთან დაკავშირებულ წერილობით მოთხოვნაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს: 1) იმ ქმედების აღწერა, რომელიც, საკითხის აღძვრის ინიციატორთა აზრით, იმპიჩმენტის საფუძველია; 2) კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც, საკითხის აღძვრის ინიციატორთა აზრით, არღვევს თანამდებობის პირი, ან/და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი/მუხლები, რომლით/რომლებით გათვალისწინებული დანაშაულიც, საკითხის აღძვრის ინიციატორთა აზრით, ჩაიდინა თანამდებობის პირმა; 3) მტკიცებულებანი, რომლებიც, საკითხის აღძვრის ინიციატორთა აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას.¹³⁴⁴ წერილობითი

¹³³⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹³³⁹ იქვე, 41-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹³⁴⁰ შეადარე: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 215.

¹³⁴¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27³ მუხლის მე-2 პუნქტი.

¹³⁴² იქვე, 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹³⁴³ იქვე, 27³ მუხლის მე-2 პუნქტი.

¹³⁴⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 178-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

მოთხოვნა ფაქტობრივად წარდგინების საფუძველია, რადგანაც სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები ქმნის წარდგინების ძირითად შინაარსს.¹³⁴⁵

754 კონსტიტუცია ადგენს შეზღუდვებს იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით. თუ საკონსტიტუციო სასამართლო დასკვნით დაადასტურებს თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევას ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობას და პარლამენტი დასკვნის წარდგინიდან 2 კვირის ვადაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საფუძველით იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია.¹³⁴⁶ ეს თავისთავად გამორიცხავს კონსტიტუციური წარდგინების შეტანის შესაძლებლობასაც. ასევე დაუშვებელია პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.¹³⁴⁷ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის მოქმედებისას შეუძლებელია პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის აღძვრა და შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა. თუ კონსტიტუციური წარდგინება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებამდე არის შეტანილი, მაშინ ლოგიკური იქნებოდა, რომ მომხდარიყო მისი განხილვის შეჩერება ამ მდგომარეობის დასრულებამდე. ამასთან ერთად, უნდა ჩერდებოდეს წარდგინების განხილვის ერთთვიანი ვადის დინებაც. პარლამენტი ანალოგიურ შემთხვევაში პრეზიდენტისათვის წარდგინილი ბრალდების განხილვას იწყებს/აგრძელებს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, უახლოესი (მორიგი ან რიგგარეშე) სესიის პირველსავე სხდომაზე.¹³⁴⁸ მიზანშეწონილია, რომ ეს საკითხი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულმა კანონმაც მკაფიოდ მოაწესრიგოს.

755 წარდგინების ავტორი უფლებამოსილია სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე უარი განაცხადოს წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საქმის შეწყვეტა. ამისათვის მან წერილობით უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც სავალდებულო წესით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.¹³⁴⁹ გერმანული

¹³⁴⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31¹ მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

¹³⁴⁶ საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹³⁴⁷ იქვე, მე-6 პუნქტი.

¹³⁴⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 178-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹³⁴⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

კანონმდებლობა ასევე იძლევა პრეზიდენტისათვის წაყენებულ ბრალდებაზე უარის თქმის შესაძლებლობას ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებამდე.¹³⁵⁰ უარი ბრალდებაზე ბათილდება, თუ პრეზიდენტი განაცხადებს პროტესტს ერთი კვირის განმავლობაში.¹³⁵¹ როგორც აღვნიშნეთ, თანამდებობის პირის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის წარმოება მას რეპუტაციულ ზიანს აყენებს. პრეზიდენტს ეძლევა საზოგადოების თვალში რეაბილიტაციისა და იმის დამტკიცების საშუალება, რომ ბრალდება უსაფუძვლო იყო.¹³⁵² აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია იმპიჩმენტს დაქვემდებარებულ პირთათვის მსგავსი შესაძლებლობის მიცემა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონითაც.

პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, თუ თანამდებობის პირი, რომლის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხიც აღიძრა, გადადგა ან გაათავისუფლეს თანამდებობიდან, მის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა წყდება.¹³⁵³ საკონსტიტუციო სასამართლო მიერ იმპიჩმენტის საკითხის განხილვა ამ პროცედურის ერთ-ერთი ეტაპია და სამართალწარმოება ამგვარ შემთხვევებში შეწყდება, რადგანაც იმპიჩმენტის პროცედურის მიზანი მიღწეულია და შესაბამისმა პირმა უკვე დატოვა თანამდებობა.¹³⁵⁴ ამ კონტექსტში საინტერესოა გერმანული მიდგომა, რაც განპირობებულია კონსტიტუციური წესრიგის დაცვის მიზნის წინა პლანზე წამოწევით. პრეზიდენტის გადადგომა ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა არ აფერხებს პროცესის დაწყებას და მიმდინარეობას.¹³⁵⁵ ბუნებრივია, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტს ვეღარ გადააყენებს, მაგრამ ადგენს მის ბრალეულობას.¹³⁵⁶ ამით პრეზიდენტს ერთმევა იმის შესაძლებლობა, რომ გადადგომით თავიდან აირიდოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი ქმედების შეფასება.

756

¹³⁵⁰ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 52-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი.

¹³⁵¹ იქვე, მე-3 აბზაცი.

¹³⁵² შეადარე: *Benda/Klein, Verfassungsprozessrecht*, Rn. 1215.

¹³⁵³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 178-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹³⁵⁴ შეადარე: *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 189.

¹³⁵⁵ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 51-ე პარაგრაფი.

¹³⁵⁶ იქვე, 56-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი.

4.10.3. იმპიჩმენტთან დაკავშირებული წარდგინების საგანი

4.10.3.1. წარდგინების საგნის შესაძლო
ვარიანტები და საკონსტიტუციო
სასამართლოს შეზღუდვა წარდგინების
საგნით

757 იმპიჩმენტთან დაკავშირებული წარდგინების საგანი შეიძლება იყოს: 1) თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან 2) თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა. შესაძლებელია, რომ იმპიჩმენტის აღძვრა ორივე საფუძვლით მოხდეს და საკონსტიტუციო სასამართლოს ორივე საკითხზე მოუწიოს მსჯელობა.¹³⁵⁷

758 საკონსტიტუციო სასამართლო მკაცრად არის შებოჭილი წარდგინების საგნით. დასაშვებია თანამდებობის პირის მხოლოდ იმ ქმედების შეფასება, რომელიც იმპიჩმენტის საკითხის აღმძვრელ პარლამენტის წევრთა მიერ მიჩნეულია იმპიჩმენტის საფუძვლად.¹³⁵⁸ ეს შეზღუდვა შეიძლება ჩავთვალოთ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პასურობის პრინციპის გამოხატულებად, რაც გამორიცხავს სასამართლოს თვითინიციატივას.¹³⁵⁹

4.10.3.2. თანამდებობის პირის მიერ
კონსტიტუციის დარღვევა

759 თანამდებობის პირმა კონსტიტუცია შეიძლება დაარღვიოს როგორც სამართლებრივი აქტით, ასევე ქმედებით. ქმედებაში იგულისხმება პირის მოქმედება ან უმოქმედობა. მოქმედებით ირღვევა ნეგატიური კონსტიტუციური ვალდებულება, რაც შეიძლება გამოიხატოს თანამდებობის პირის მიერ უფლებამოსილების განხორციელებისას კონსტიტუციით დადგენილი წესების ან აკრძალვების დარღვევაში. უმოქმედობით პირი არ ასრულებს პოზიტიურ კონსტიტუციურ ვალდებულებას, კონსტიტუციის მავალეებელი ნორმის მოთხოვნას.¹³⁶⁰

¹³⁵⁷ შეადარე: ბეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 171.

¹³⁵⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹³⁵⁹ ბეგურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 171.

¹³⁶⁰ დეტალურად: იხ.: იქვე, გვ. 172-173.

კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში შეიძლება მოდიოდეს თანამდებობის პირის როგორც ინდივიდუალური, ასევე ნორმატიული სამართლებრივი აქტი, თუ მას აქვს ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებამოსილება. ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასება, მათ შორის პარლამენტის წევრთა ინიციატივით, საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა კომპეტენციების ფარგლებშიცაა შესაძლებელი. ამგვარ შემთხვევებში იმპიჩმენტთან დაკავშირებით წარდგინების შეტანას სუბსიდიური ხასიათი უნდა ჰქონდეს. გამართლებულია მოსაზრება, რომ დაუშვებელია თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტის კონსტიტუციურობის საკითხის იმპიჩმენტის პროცედურით გადაწყვეტა, თუ ეს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა კომპეტენციის გამოყენებით შეიძლება.¹³⁶¹ გასათვალისწინებელია, რომ შესაბამის თანამდებობის პირს სხვა კომპეტენციების ფარგლებში, შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, ეძლევა თავისი პოზიციების უკეთ წარმოჩენისა და დაცვის შესაძლებლობა.¹³⁶² განსხვავებულია სამართლებრივი შედეგებიც - ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს არა მისი გამოცემა თანამდებობის პირის გადაყენებას, არამედ ამ აქტის იურდიული ძალის დაკარგვას.

მიზანშეწონილია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს სუბსიდიური ჩართულობა იმ შემთხვევებზეც გავრცელდეს, როდესაც თანამდებობის პირის სამართლებრივი აქტის ან ქმედების საკითხი შეიძლება გადაწყდეს სხვა სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით. ამგვარი საშუალების არსებობა თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ საქმე არ გვაქვს ისეთი სიმძიმის დარღვევასთან, რასთანაც შეუთავსებელი იქნებოდა პირის თანამდებობაზე შემდგომი დარჩენა. ეს შეამცირებდა საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტრუმენტალიზაციის საფრთხეს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ისეთ შემთხვევებში, როდესაც ფორმალურად შეიძლება სახეზე იყოს დარღვევა, მაგრამ არა იმ სიმძიმის, რისთვისაც პროპორციული ზომა იქნებოდა იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება.

პრეზიდენტის იმპიჩმენტის კონტექსტში მნიშვნელოვანია კითხვა, თუ რამდენად შეიძლება გახდეს იმპიჩმენტის საფუძველი ის სამართლებრივი აქტი, რომელიც პერმიერ-მინისტრის თანახემლოწერას საჭიროებს. ქართულ სამეცნიერო

¹³⁶¹ დეტალურად: იხ.: იქვე, გვ. 173-174.

¹³⁶² შეადარე: იქვე, გვ. 174.

ლიტერატურაში ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხია გაცემული, რადგანაც თანახელმოწერილ სამართლებრივ აქტზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას.¹³⁶³ ამ საკითხთან დაკავშირებით, ვიზიარებთ გერმანულ თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებულ მიდგომას და აღვნიშნავთ, რომ თანახელმოწერის შედეგად მთავრობაზე გადადის პოლიტიკური პასუხისმგებლობა,¹³⁶⁴ ხოლო საკონსტიტუციოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კვლავ პრეზიდენტს ეკისრება.¹³⁶⁵ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პრეზიდენტის აქტის თანახელმოწერა არ ათავისუფლებს მას საკონსტიტუციოსამართლებრივი ვალდებულებებისაგან და პასუხისმგებლობისაგან. კანცლერის თანახელმოწერა პრეზიდენტის აქტზე მხოლოდ იმას გამომხატავს, რომ ის იღებს საპარლამენტო-პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, რაც ხელს არ უშლის, რომ ეს აქტი არ გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული პროცესის საგანი.¹³⁶⁶

4.10.3.3. თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა

763 თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის დადგენა არ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სისხლის სამართალწარმოებას ახორციელებს. ამ პროცესს საკონსტიტუციოსამართლებრივი ხასიათი აქვს, მიმართულია თანამდებობის პირის გადაყენებისაკენ, ემსახურება კონსტიტუციური წესრიგის დაცვას და არა პირის დამნაშავეობის ან უდანაშაულობის დადგენას.¹³⁶⁷ თვით საკონსტიტუციო სასამართლო ერთმანეთისაგან მიჯნავს, ერთი მხრივ, თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის დადგენას და მეორე მხრივ, ორდინარულ სისხლის სამართალწარმოებას, რომლის შედეგადაც „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით“ გამოტანილი განაჩენი.¹³⁶⁸ საკონსტიტუციო

¹³⁶³ იქვე, გვ. 174-175.

¹³⁶⁴ საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹³⁶⁵ მაგალითად იხ.: *Benda/Klein*, *Verfassungsprozessrecht*, Rn. 1210; *Nierhaus*, GG, Art. 61, Rn. 7.

¹³⁶⁶ BVerfGE 62, 1 (33).

¹³⁶⁷ შეადარე: *Detterbeck*, (Bearb.), *Kommentar zum Art. 98 GG*, in: *Sachs*, M. (Hrsg.): *Grundgesetz Kommentar*, 6. Auflage, München 2011, Rn. 13; *Herzog*, (Bearb.), *Kommentar zum Art. 61 GG*, in: *Maunz*, Th., *Dürig*, G. (Begr.), *Grundgesetz Kommentar*, Band V, München seit 1958, Rn. 10; *Nierhaus*, GG, Art. 61, Rn. 5; *Schulze-Fielitz*, (Bearb.), *Kommentar zum Art. 98 GG (Rechtsstaat)*, in: *Dreier*, H. (Hrsg.), *Grundgesetz Kommentar*, Band III, 2. Auflage, Tübingen 2006, Rn. 32.

¹³⁶⁸ №3/2/1473 გადაწყვეტილება, II-36.

სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი ამოცანების განხორციელება შეუთავსებელი იქნებოდა კონსტიტუციური მართლმსაჯულების არსთან. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის გაკრიტიკებული უნგრული მოდელი, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო ფაქტობრივად სისხლის სამართალწარმოებას ატარებს და პრეზიდენტს სასჯელსაც უფარდებს.¹³⁶⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანა არის დასაბუთებული პოზიციის ჩამოყალიბება თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის ან არარსებობის შესახებ, ანუ რამდენადაა სახეზე (1) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, (2) მართლსაწინააღმდეგო და (3) ბრალეული ქმედება.¹³⁷⁰ ეს პოზიცია აისახება სასამართლოს დასკვნაში, რაც შეიძლება გახდეს თანამდებობის პირის კონსტიტუციურსამართლებრივი პასუხისმგებლობის - იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი. თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი წყდება ორდინარული სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში.¹³⁷¹ ის ფაქტი, რომ პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საკითხი განიხილა საკონსტიტუციო სასამართლომ, არ ათავისუფლებს მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ამ შემთხვევაში საქმე არ გვექნება ერთი და იმავე ქმედებისათვის განმეორებით მსჯავრდებასთან და მასზე არ ვრცელდება ne bis in idem პრინციპი.¹³⁷²

764

4.10.4. შემოწმების მასშტაბი, ფორმა და შინაარსი იმპიჩმენტის საკითხის განხილვისას

თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევის საკითხის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლოსათვის შემოწმების მასშტაბია კონსტიტუცია. დაკონკრეტებული არ არის კონსტიტუციის ნორმები, რომელთა დარღვევისათვის თანამდებობის პირი შეიძლება იმპიჩმენტს დაექვემდებაროს. ამდენად,

765

¹³⁶⁹ დეტალურად: იხ.: *ხეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 181-182.

¹³⁷⁰ სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი.

¹³⁷¹ შეადარე: *ხეგურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 183-184.

¹³⁷² შეადარე: *Nierhaus*, GG, Art. 61, Rn. 5; Stern, K., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band II, Staatsorgane, Staatsfunktionen, Finanz- und Haushaltsverfassung, Notstandsverfassung, München 1980, S. 1006.

თეორიულად შესაძლებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შემოწმება განახორციელოს კონსტიტუციის ნებისმიერი ნორმის საფუძველზე.¹³⁷³

766 კონსტიტუციის ნორმების სრულფასოვანი განმარტება და დარღვევის სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა იმპიჩმენტის საკითხის განხილვის დროსაც შეუძლებელია კონსტიტუციური პრინციპების გათვალისწინებისა და მსჯელობის ერთიან კონტექსტში წარმართვის გარეშე. ამავდროულად, მართებულია მოსაზრება, რომ პრინციპების ზოგადი, ფუძემდებლური ხასიათიდან გამომდინარე, მხოლოდ მათ საფუძველზე შეუძლებელია თანამდებობის პირის ქმედების კონსტიტუციურობის შეფასება, ხოლო პრინციპების გამოყენება უნდა მოხდეს დამხმარე კრიტერიუმების სახით.¹³⁷⁴

767 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტისათვის წაყენებული ბრალდების საკითხის გადაწყვეტისას შეზღუდულია თანაზომიერების პრინციპით, რაც კრძალავს როგორც გადამეტებული, ასევე არასაკმარისი სანქციების გამოყენებას. სანქციის სიმკაცრე დამოკიდებულია დარღვევის სიმძიმესა და სახელმწიფო ინტერესებისათვის მიყენებული ზიანის მასშტაბებზე.¹³⁷⁵ აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება მხოლოდ მაშინ განიხილება, როდესაც მისი დარჩენა თანამდებობაზე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურად აუტანელია და მაღალი ხარისხითაა დამაზიანებელი სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.¹³⁷⁶ თანაზომიერების პრინციპი გამოიყენება ასევე ფედერალური მოსამართლეების წინააღმდეგ ბრალდების საქმეების გადაწყვეტისას. საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება მოახდინოს მხოლოდ დარღვევის კონსტატაცია და არ გამოიყენოს სანქციები, თუ ამას არათანაზომიერად თვლის.¹³⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი ლავირების საშუალება არ აქვს, რადგანაც უშუალოდ ის არ წყვეტს თანამდებობის პირის გადაყენების საკითხს. ამავდროულად, არაფერი უდგას წინ დასკვნის სამოტივაციო ნაწილში იმის დასაბუთებას, რომ თანამდებობიდან გადაყენება არ იქნებოდა თანაზომიერი ზომა.

¹³⁷³ შეადარე: *ბეკურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 175.

¹³⁷⁴ დეტალურად: იხ.: იქვე, 175-177.

¹³⁷⁵ შეადარე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 1218.

¹³⁷⁶ Nierhaus, GG, Art. 61, Rn. 13 f.

¹³⁷⁷ *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 1227; Hillgruber, Ch. (Bearb.), Kommentar zum Art. 98 GG, in: Maunz, Th., Dürig, G. (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band VI, München seit 1958, Rn. 43.

განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს უზენაეს სასამართლოს მოსამართლის იმპიჩმენტის საკითხის განხილვა, რა დროსაც გასათვალისწინებელია მოსამართლის დამოუკიდებლობის ფაქტორი. გერმანიის კანონმდებლობით, თუ ბრალდება მოსამართლის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას უკავშირდება, მისი წარდგენა შეიძლება მხოლოდ შესაბამისი სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ.¹³⁷⁸ საკონსტიტუციო სასამართლოში ბრალდებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესმა გავლენა არ უნდა მოახდინოს მოსამართლის მიერ საქმის დამოუკიდებლად გადაწყვეტაზე.¹³⁷⁹ თუნდაც სკანდალური სასამართლო გადაწყვეტილების კონტროლი, არის მხოლოდ ზემდგომი სასამართლო ინსტანციის. მხოლოდ ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილება აბსოლუტურად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, არ იძლევა ფედერალური მოსამართლისათვის ბრალდების წაყენების საფუძველს. მისი გადაყენების წინაპირობაა არა კონსტიტუციის პრინციპების ნებისმიერი დარღვევა, არამედ თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის მიმართ აგრესიულ-მებრძოლი პოზიცია, რომელიც გამოხატულია მის გადაწყვეტილებებში. ამასთანავე, ამგვარი პოზიცია უნდა იყოს შერაცხვადი კონკრეტული მოსამართლისადმი. ამის დასადასტურებლად საკმარისი არ არის მხოლოდ გადაწყვეტილებაზე მოსამართლის ხელმოწერა, რადგანაც ხელმოწერის ვალდებულება იმ მოსამართლებსაც აქვთ, რომლებიც არ ეთანხმებიან გადაწყვეტილების საფუძველს.¹³⁸⁰

შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ კონსტიტუციის ნორმებითა და პრინციპებით ვერ შემოიფარგლება. ეს განსაკუთრებით შეეხება თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის გარკვევას, რაც შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმების განმარტება-გამოყენების გარეშე.

¹³⁷⁸ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 58-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის პირველი წინადადება.

¹³⁷⁹ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1225.

¹³⁸⁰ შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1224; Detterbeck, GG, Art. 98, Rn. 14 f; Herzog, GG, Art. 98, Rn. 26.

4.10.5. საკონსტიტუციო სასამართლოს დაკვნის სამართლებრივი
შედეგები

770 საკონსტიტუციო სასამართლო თავისი დასკვნით ადგენს ან უარყოფს თანამდებობის პირის ქმედების კონსტიტუციურობას ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობას.¹³⁸¹ ორივე შემთხვევაში დაკვნის არგუმენტაცია უნდა იყოს ცალსახა და ნებისმიერი ეჭვი გადაწყდეს იმპიჩმენტს დაქვემდებარებული პირის სასარგებლოდ.¹³⁸²

771 თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნამ დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.¹³⁸³ საკანონმდებლო ორგანომ შეიძლება არც მიიღოს პირის თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილება, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციის არაგზიარების ტოლფასია. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს დადებით დასკვნას პარლამენტისათვის და შესაბამისად, საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის უფრო საკონსულტაციო ხასიათი აქვს, ვიდრე სავალდებულო.¹³⁸⁴

772 განსხვავებულია მდგომარეობა საკონსტიტუციო სასამართლოს იმ დასკვნასთან დაკავშირებით, რაც უარყოფს თანამდებობის პირის ქმედების კონსტიტუციურობას ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობას. უარყოფითი დასკვნა იწვევს იმპიჩმენტის პროცესის შეწყვეტას. მას აქვს სავალდებულო ძალა, რადგანაც პარლამენტი ვეღარ უყრის კენჭს იმპიჩმენტის წესით თანამდებობის პირის გადაყენების საკითხს, თუნდაც არ ეთანხმებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას.¹³⁸⁵

¹³⁸¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

¹³⁸² შეადარე: *Benda/Klein, Verfassungsprozessrecht*, Rn. 1217.

¹³⁸³ საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹³⁸⁴ შეადარე: *კახიანი*, საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, გვ. 259; *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (263). განსხვავებული პოზიცია იხ.: *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 186.

¹³⁸⁵ შეადარე: *ხეცურიანი*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 185.

4.11. დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე

4.11.1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავის არსი, მნიშვნელობა და ისტორია

4.11.1.1 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავის არსი და მნიშვნელობა

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე.¹³⁸⁶ ამ კომპეტენციას უშუალოდ კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. ეს გარემოება საეჭვოს ხდის მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ უფლებამოსლების ასახვა კონსტიტუციაში.¹³⁸⁷

773

კონსტიტუცია ადგენს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება კონსტიტუციური კანონებით, რომლებიც კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.¹³⁸⁸ ეს გარემოება აჩენს აღნიშნული კონსტიტუციური კანონების დარღვევაზე დავის შესაძლებლობას როგორც აბსტრაქტული ნორმათკონტროლის, ასევე უფლებამოსილების შესახებ დავის კომპეტენციის ფარგლებში. თუმცა, ეს შესაძლებლობა სრულყოფილი არ არის. აბსტრაქტული ნორმათკონტროლის დროს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოებს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილება არ აქვთ. მართალია, მათ შეუძლიათ კონსტიტუციური სარჩელის შეტანა უფლებამოსილების

774

¹³⁸⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

¹³⁸⁷ შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (263-264).

¹³⁸⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

შესახებ დავისას, მაგრამ კონსტიტუციური კანონი მხოლოდ ამ ორგანოთა უფლებამოსილებებს არ აწესრიგებს და ყურადღების მიღმა დარჩება მისი სხვა მნიშვნელოვანი რეგულირებების დარღვევის საკითხი.

775 დღეისათვის მოქმედებს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“, რომელიც მიღებულია 2017 წლის 13 ოქტომბერს. ის აწესრიგებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებულ ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორცაა: სტატუსი, კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის წესი, უფლებამოსილებები, უმაღლესი ორგანოების ფორმირების წესი, კომპეტენცია და ა.შ. რაც შეეხება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, მასთან დაკავშირებით კონსტიტუციური კანონი ჯერჯერობით მიღებული არ არის, რაც განპირობებულია იმ სამწუხარო რეალობით, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

776 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავა ემსახურება ხელისუფლების ვერტიკალური დაბალანსების ობიექტურ მიზანს.¹³⁸⁹ ერთი მხრივ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ არ უნდა ხელყოს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და უფლებამოსილებები, ხოლო მეორე მხრივ, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება არ უნდა გასცდეს კონსტიტუციური კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებს. მსგავსი დარღვევები აზიანებს არა მარტო ცენტრალური ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების სამართლებრივ პოზიციებს, არამედ კონსტიტუციურ წესრიგსაც მთლიანობაში.¹³⁹⁰ სამართლებრივი და პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით კარგია, რომ ამ ტიპის დავას, საკონსტიტუციო სასამართლოს სახით, სასამართლო ორგანო წყვეტს და არა პოლიტიკური.

777 საკონსტიტუციო სასამართლოს საშუალებით სახელმწიფოსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის საკონსტიტუციოსამართლებრივი დავების გადაწყვეტის ინსტიტუტი სხვადასხვა ფორმით სხვა სახელმწიფოებშიც მოქმედებს. გერმანიაში ფედერაციას (ცენტრს) და ფედერალურ მიწებს შორის დავა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ერთ-ერთ საფუძვლად ითვლება.¹³⁹¹ ქართული მოდელი

¹³⁸⁹ შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (264); BVerfGE 1, 351 (359); 12, 36 (43); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1071; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 217.

¹³⁹⁰ შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1071.

¹³⁹¹ შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1102; Ipsen: Staatsrecht I, S. 218.

ახლოსაა პორტუგალიურ გამოცდილებასთან, სადაც კონტროლის მასშტაბად სწორედ ავტონომიის სტატუსის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი გამოიყენება.¹³⁹² კერძოდ, პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს, ხომ არ არღვევს სამართლის ნორმები ავტონომიური რეგიონის სტატუსს.¹³⁹³

4.11.1.2 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავის ისტორია

2004 წლის 1 ივლისს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“. ამავე დღეს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ჩამონათვალს კონსტიტუციაში დაემატა დავის განხილვა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე,¹³⁹⁴ რაც განპირობებული იყო აღნიშნული კონსტიტუციური კანონის მიღებით.¹³⁹⁵ 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციურმა კანონმა ეს კომპეტენცია კონსტიტუციის შეცვლილ რედაქციაში აღარ გაითვალისწინა. ამ თარიღს ემთხვევა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის მიღება, რომელმაც ჩაანაცვლა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონი.

778

2004 წლის 25 ნოემბერს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავის გადაწყვეტის კომპეტენცია აისახა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში. ნორმამ დღეისათვის მოქმედი შინაარსი მიიღო 2018 წლის 21 ივლისის ცვლილებით. შეიცვალა მხოლოდ კონსტიტუციური კანონის დასახელება. ყურადღების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ კონსტიტუცია საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილებას აღარ ითვალისწინებდა.

779

¹³⁹² Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 216.

¹³⁹³ პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 281-ე მუხლის პირველი პუნქტის „d“ ქვეპუნქტი.

¹³⁹⁴ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

¹³⁹⁵ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 216.

4.11.2. მხარეები „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“
კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავის ფარგლებში

780 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის
თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება კონსტიტუციური სარჩელი.¹³⁹⁶
პროცესი კონტრადიქტორული ხასიათისაა - საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში
მონაწილეობენ მოსარჩელები და მოპასუხეები.¹³⁹⁷

781 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის
თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს:

- 1) პრეზიდენტს;
- 2) მთავრობას;
- 3) პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს;
- 4) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.¹³⁹⁸

782 კონსტიტუციურ სარჩელზე მოპასუხეა ის ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელმაც
მოსარჩელეთა აზრით, დაარღვია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“
კონსტიტუციური კანონი.¹³⁹⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“
ორგანული კანონის 41¹ მუხლის მე-2 პუნქტში კვლავ „აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონზეა მითითება, რომელიც
ადარ მოქმედებს. მიზანშეწონილია, რომ გამოსწორდეს ორგანული კანონის ეს
ხარვეზი.

783 მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა იწვევს საკონსტიტუციო
სასამართლოში საქმის შეწყვეტას.¹⁴⁰⁰ ამისგან განსხვავებით, საქმის შეწყვეტა არ
ხდება მოპასუხის მიერ საკონსტიტუციო სარჩელის ცნობის შემთხვევაში.¹⁴⁰¹
გერმანიაში მსგავსი კომპეტენციის ფარგლებში მოსარჩელის უარი სასარჩელო
მოთხოვნაზე არ არის გადამწყვეტი სამართალწარმოების გაგრძელებისათვის.
ზეპირი განხილვის დაწყების შემდეგ სარჩელის გატანას სჭირდება გერმანიის
ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობა, რაც მიიღება საჯარო

¹³⁹⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹³⁹⁷ იქვე, 27³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹³⁹⁸ იქვე, 41¹ მუხლის პირველი პუნქტი.

¹³⁹⁹ იქვე, 41¹ მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁴⁰⁰ იქვე, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁴⁰¹ იქვე, 29-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

ინტერესების გათვალისწინებით.¹⁴⁰² აღნიშნული უფლებამოსილების სპეციფიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიეცეს კონკრეტული განსახილველი საკითხის ობიექტური მნიშვნელობის მიხედვით სამართალწარმოების შეწყვეტა-გაგრძელებაზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

4.11.3. დავის საგანი და შემოწმების მასშტაბი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავის ფარგლებში

საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს ნორმატიული აქტების შესაბამისობას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან, ანუ ახორციელებს აბსტრაქტული ხასიათის ნორმატკონტროლს.¹⁴⁰³ აქედან გამომდინარე, დავის საგანი აქაც ორნაწილიანია, მაგრამ გარკვეული თავისებურებით. დავის საგნის პირველი ნაწილი, აბსტრაქტული ნორმატკონტროლის კომპეტენციის მსგავსად, სადავო ნორმაა. რაც შეეხება მეორე ნაწილს, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის ნორმა, რომელთან მიმართებაშიც მოწმდება სადავო ნორმის კონსტიტუციურობა.

784

სადავო ნორმა შეიძლება იყოს ნებისმიერი ნორმატიული აქტი, გარდა კონსტიტუციისა და თვით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონისა, რადგანაც ისინი საკონსტიტუციო სასამართლოსათვის შემოწმების მასშტაბია და არა ობიექტი. დავის საგნის პირველ ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვისას შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნით. მას არ აქვს უფლება, იმსჯელოს მთლიანად ნორმატიული აქტის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ითხოვს სადავო აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის ძალადაკარგულად ცნობას.¹⁴⁰⁴ აღნიშნული უფლებამოსილების ბუნებიდან და მიზნიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს სასარჩელო მოთხოვნით

785

¹⁴⁰² Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1099.

¹⁴⁰³ შეადარე, Ipsen, Staatsrecht I, S. 249.

¹⁴⁰⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის 1¹ პუნქტი.

მკაცრ შეზღუდვაზე ვცრელდება ის შენიშვნები, რაც არსებობს აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის კომპეტენციასთან დაკავშირებით.¹⁴⁰⁵

786 საქმის განხილვის მომენტიდან სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.¹⁴⁰⁶ დავაზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე არ ვცრელდება სამართალწარმოების გაგრძელების გამონაკლისი, რადგანაც ის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისკენაა მიმართული, ხოლო აღნიშნული კონსტიტუციური კანონი კი ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს არ აწესრიგებს. როდესაც საქმე შეეხება ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსთან და უფლებამოსილებებთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ პრობლემას, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიეცეს სამართალწარმოების გაგრძელების დისკრეცია. სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივ სიცხადეს შეიტანდა საკამათო თემაში და მოახდენდა სამომავლოდ მსგავსი პრობლემების პრევენციას.

787 როგორც აღვნიშნეთ, დავის საგნის მეორე ნაწილი შეიძლება იყოს მხოლოდ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის ნორმები. საკონსტიტუციო სასამართლო ამ შემთხვევაში არ გადის კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებს გარეთ, რადგანაც ეს კონსტიტუციური კანონი კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.

788 მიუხედავად იმისა, რომ შემოწმების მასშტაბი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის ნორმებია, მათი განმარტება შეუძლებელი იქნება კონსტიტუციის პრინციპებისაგან, განსაკუთრებით ხელისუფლების დანაწილების პრინციპისაგან, იზოლირებულად. შემოწმების ფორმასა და შინაარსზე გავლენას მოახდენს ის გარემოება, რომ ეს კონსტიტუციური კანონი არ შეიცავს ძირითადი უფლებების დამდგენ ნორმებს და საკონსტიტუციო კონტროლს უფრო ფორმალური ხასიათი ექნება.

¹⁴⁰⁵ იხ.: ქვეთავი 4.2.4. - დავის საგანი აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის ფარგლებში ფარგლებში.

¹⁴⁰⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლი მე-2 პუნქტი.

4.11.4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების
სამართლებრივი შედეგები

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (ex nunc).¹⁴⁰⁷ გადაწყვეტილებას უკუძალა ამ შემთხვევაშიც ვერ მიენიჭება. შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინოს არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის გვიანდელი ვადა.¹⁴⁰⁸

789

4.12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული
აქტების კონსტიტუციურობის კონტროლი

4.12.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლის არსი,
მნიშვნელობა და ისტორია

4.12.1.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების
კონსტიტუციურობის კონტროლის არსი და
მნიშვნელობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა.¹⁴⁰⁹ მისი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლის კომპეტენცია კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის, რაც პრობლემატურია კონსტიტუციურობის თვალსაზრისით.¹⁴¹⁰ ამ უფლებამოსილებას განსაზღვრავს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

790

¹⁴⁰⁷ იქვე, 23-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

¹⁴⁰⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁴⁰⁹ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴¹⁰ ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (264).

შესახებ“ ორგანული კანონი, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი.¹⁴¹¹

791 სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია სამართლებრივი წესრიგის იერარქიული მოწყობა.¹⁴¹² საქართველოში სამართლებრივი წესრიგის საფუძველს კონსტიტუცია წარმოადგენს, ხოლო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონი, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი, შეიცავს ამ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსთან, უფლებამოსილებებთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებულ რეგულირებებს. ისინი ერთობლიობაში ქმნიან კონსტიტუციურსამართლებრივ რეჟიმს, რომლის დაცვა და პატივისცემა როგორც ცენტრალური, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ვალდებულებაა. უმაღლესი საბჭოს აქტები არ უნდა ხელყოფდეს საერთო-სახელმწიფოებრივ სამართლებრივ წესრიგს, ამიტომ მათზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების მიზანია სახელმწიფოს ერთიანი სამართლებრივი სივრცის დაცვა.¹⁴¹³

792 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონტროლის კომპეტენცია ავტონომიურ რესპუბლიკაში სეპარატისტული მისწრაფებების მქონე ავტორიტარული რეჟიმის დასრულების შემდეგ განხორციელდა. 1990-იან წლებში სამართლებრივ სფეროში თვითნებობა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეჟიმებსაც ახასიათებდა. მისი მიზანი იყო იზოლაცია სახელმწიფოს ერთიანი სამართლებრივი წესრიგისაგან. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კომპეტენციის შემოღება დიდწილად განაპირობა სამართლებრივი სეპარატიზმის ნეგატიურმა გამოცდილებამ.¹⁴¹⁴ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დღეისათვის ამგვარი საშიშროება არ არსებობს, თუმცა მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მაგალითად, ესპანეთისა¹⁴¹⁵ და პორტუგალიის¹⁴¹⁶ მსგავსად,

¹⁴¹¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

¹⁴¹² Stern, GG, Art. 93, Rn. 197.

¹⁴¹³ ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (264); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 218.

¹⁴¹⁴ იქვე.

¹⁴¹⁵ ესპანეთის სამეფოს კონსტიტუციის 161-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁴¹⁶ პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 281-ე მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტი.

საკონსტიტუციო სასამართლო გვევლინება შესაძლო დაპირისპირების სამართლებრივი მოგვარების ინსტიტუტად.

*4.12.1.2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების
კონსტიტუციურობის კონტროლის ისტორია*

კონსტიტუცია ამ კომპეტენციას პირდაპირ არასოდეს ითვალისწინებდა, თუმცა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ 2004 წლის 1 ივლისის კონსტიტუციურმა კანონმა პარლამენტს მიანიჭა უფლებამოსილება, დადგენილების საფუძველზე, კონსტიტუციური წარდგინებით მიემართა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის და მოეთხოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აქტის გაუქმება, თუ ის ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონს, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და კანონებს. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღება იწვევდა უმაღლესი საბჭოს შესაბამისი აქტის მოქმედების შეჩერებას.¹⁴¹⁷ ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებდა არა მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლს, არამედ საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დარღვევის შემოწმებასაც. აღნიშნულმა კონსტიტუციურმა კანონმა ძალა დაკარგა 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“, რომელმაც უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონტროლი აღარ გაითვალისწინა.

793

2004 წლის 25 ნოემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონტროლის კომპეტენცია აისახა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრულ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა კატალოგში.¹⁴¹⁸ 2018 წლის 21 ივლისს ამ უფლებამოსილებამ დღეისათვის მოქმედი შინაარსი მიიღო და გაითვალისწინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის შემოწმება მხოლოდ კონსტიტუციასთან და კონსტიტუციურ

794

¹⁴¹⁷ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁴¹⁸ მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

კანონთან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლით და არ ახორციელებს იმის შემოწმებას, თუ რამდენადაა დარღვეული საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები.

4.12.2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული
წარდგინების ავტორი

795 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება კონსტიტუციური წარდგინება.¹⁴¹⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი მოითხოვს, რომ წარდგინებაში აღინიშნოს კონსტიტუციისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დებულებანი, რომლებიც წარდგინების ავტორს აძლევს კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებას.¹⁴²⁰ ეს მოთხოვნა ვერ შესრულდება იმ ობიექტური მიზეზის გამო, რომ კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონი მსგავს უფლებას არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, ორგანული კანონის ტექსტი ცვლილებას საჭიროებს.

796 კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებით სარგებლობს მხოლოდ ერთი სუბიექტი - პარლამენტი. ამ უფლებამოსილებას ის ახორციელებს დადგენილების მიღებით,¹⁴²¹ რაც იმას არ ნიშნავს, რომ წარდგინების შინაარსი დადგენილების ტექსტში უნდა აისახოს. დასაბუთებული კონსტიტუციური წარდგინება, რა თქმა უნდა, ცალკე უნდა მომზადდეს. დადგენილება უბრალოდ უნდა დაერთოს წარდგინებას¹⁴²² იმის დასადასტურებლად, რომ პარლამენტმა მართლაც გადაწყვიტა საკონსტიტუციო სასამართლოში შესაბამისი წარდგინების შეტანა. პარლამენტის დადგენილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული

¹⁴¹⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁴²⁰ იქვე, 31¹ მუხლის მე-9 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

¹⁴²¹ იქვე, 41² მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴²² იქვე, 31¹ მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

შემადგენლობის ერთი მესამედისა,¹⁴²³ ანუ არანაკლებ პარლამენტის 50 წევრისა. სხვა კომპეტენციებისაგან განსხვავებით, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს პარლამენტის წევრთა გარკვეული ნაწილი, წარდგინების ავტორად გვევლინება პარლამენტი, როგორც ორგანო და არა მის წევრთა ჯგუფი, რომელმაც მხარი დაუჭირა შესაბამის დადგენილებას.¹⁴²⁴

უმადლესი საბჭოს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული წარდგინების განსახილველად მიღება ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ავტომატურად ჩერდება შესაბამისი აქტის მოქმედება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.¹⁴²⁵ მსგავსი წესი მოქმედებს ესპანეთში. ესპანეთის მთავრობის მიერ ავტონომიური რეგიონების ორგანოთა გადაწყვეტილებების გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში იწვევს მათ დროებით გაუქმებას. საკონსტიტუციო სასამართლომ ხუთი თვის ვადაში უნდა დაადასტუროს ამ გადაწყვეტილებების კონსტიტუციასთან შესაბამისობა ან საბოლოოდ გააუქმოს ისინი.¹⁴²⁶ ამგვარი მიდგომა, სავარაუდოდ, გამოწვეულია სიფრთხილით სამართლებრივი სეპარატიზმის საშიშროების წინაშე. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება არც არსებობდეს ნორმის მოქმედების შეჩერების აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ამ საკითხს წყვეტდეს საკონსტიტუციო სასამართლო კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკისა და საფრთხის ხარისხის მიხედვით.¹⁴²⁷

797

კონსტიტუციურ წარდგინებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განიხილავს წარდგინების ავტორთა და მათ წარმომადგენელთა გარეშე. სასამართლო უფლებამოსილია მოიწვიოს წარდგინების ავტორები, მაგრამ მათ მხარედ არ აღიარებს.¹⁴²⁸

798

მიუხედავად კომპეტენციის ობიექტური მიზნისა, სამართალწარმოების დასრულება სრულადაა დამოკიდებული წარდგინების ავტორზე. ის უფლებამოსილია

799

¹⁴²³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 130-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
¹⁴²⁴ შეადარე: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 217.*
¹⁴²⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 41² მუხლის მე-2 პუნქტი.
¹⁴²⁶ ესპანეთის სამეფოს კონსტიტუციის 161-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
¹⁴²⁷ შეადარე: *ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (265); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 218.*
¹⁴²⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27³ პუნქტის მე-2 პუნქტი.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე უარი განაცხადოს კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა. ამისათვის მან წერილობით უნდა მიმართოს სასამართლოს. კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე უარის თქმა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.¹⁴²⁹

4.12.3. წარდგინების საგანი და შემოწმების მასშტაბი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში

- 800 წარდგინების საგანი უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლებში სპეციფურია. შესამოწმებელი ნორმა შეიძლება იყოს მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი. მისი შემოწმება შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ კონსტიტუციის, არამედ ასევე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან მიმართებით.
- 801 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონი,¹⁴³⁰ ასევე „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონი.¹⁴³¹ უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი ნორმატიული აქტები: 1) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია; 2) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი; 3) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი; 4) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი; 5) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება.
- 802 შესამოწმებელი ნორმის ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია წარდგინების ავტორის მოთხოვნით. ის ვერ იმსჯელებს მთლიანად უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

¹⁴²⁹ იქვე, 29-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁴³⁰ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-9 პუნქტი.

¹⁴³¹ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან შესაბამისობაზე, თუ წარდგინების ავტორი ითხოვს აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის ძალადაკარგულად ცნობას.¹⁴³²

შესამოწმებელი ნორმის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა საქმის განხილვის მომენტისათვის იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.¹⁴³³ გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც საქმე ეხება კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.¹⁴³⁴ აღნიშნული გამონაკლისი ვერ გავრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც წარდგინებით დაყენებულია შესამოწმებელი ნორმის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან შესაბამისობის საკითხი, რადგანაც ეს კანონი არ ადგენს ძირითად უფლებებს.

803

წარდგინების საგნის მეორე ნაწილი შეიძლება იყოს კონსტიტუციის ან/და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის ნებისმიერი ნორმა. კომპეტენციის თავისებურებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ისეთ ნორმებთან შესაბამისობის საკითხის დაყენებაა მოსალოდნელი, რომლებიც აწესრიგებენ საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას.

804

უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს მისი არა მხოლოდ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, არამედ მასში გამოხატული ნამდვილ აზრი და მისი გამოყენების პრაქტიკა, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის ან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის ნორმის არსი.¹⁴³⁵ საკონსტიტუციო სასამართლო, შესამოწმებელი ნორმის სრულყოფილ შეფასებას, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს კონსტიტუციის პრინციპების გათვალისწინების გარეშე.

805

¹⁴³² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის 1¹ პუნქტი.

¹⁴³³ იქვე, 29-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁴³⁴ იქვე, 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁴³⁵ იქვე, 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

806 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის რამოდენიმე ნორმის შინაარსიდან გამომდინარე,¹⁴³⁶ შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ახდენს უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის შესაბამისობის შემოწმებას არა მხოლოდ კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან, არამედ ასევე კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და კანონებთან მიმართებით. აღნიშნული ნორმები ეწინააღმდეგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლის დამდგენ ნორმას - ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტს და ამ კომპენეტციისათვის მიძღვნილ სპეციალურ 41² მუხლს. სავარაუდოდ, კანონმდებელს ეს წინააღმდეგობა მხედველობიდან გამორჩა 2018 წლის 21 ივლისის ცვლილებების განხორციელებისას და მიზანშეწონილია, რომ შეცდომა გამოსწორდეს.

4.12.4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები

807 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიულ აქტთან დაკავშირებული წარდგინების არსებითი განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას.¹⁴³⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის კონსტიტუციასთან, ან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან შეუსაბამობის დადასტურება იწვევს აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (ex nunc),¹⁴³⁸ თუ ამავე გადაწყვეტილებით არ განისაზღვრა სხვა, გვიანდელი ვადა.¹⁴³⁹

808 შესაძლებელია, რომ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიულმა აქტმა მძიმე სამართლებრივი შედეგები გამოიწვიოს. არც

¹⁴³⁶ იქვე, 21-ე მუხლის 7¹ პუნქტი, 23-ე მუხლის მე-9 პუნქტი, 25-ე მუხლის 4¹ პუნქტი, 31¹ მუხლის მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, 43-ე მუხლის 14 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და 1⁵ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁴³⁷ იქვე, 43-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁴³⁸ იქვე, 23-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

¹⁴³⁹ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

ისაა გამორიცხული, რომ მათი აღმოფხვრისათვის საჭირო იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის უკუძალის მინიჭება და შესაბამისი აქტის ბათილად (ex tunc) ცნობა. ეს გარემოებაც ნათლად აჩვენებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თავად, კონკრეტული საქმის შეფასების საფუძველზე განსაზღვროს მისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტი.¹⁴⁴⁰

4.13. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება

4.13.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების არსი, მნიშვნელობა და ისტორია

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს და წყვეტს კონსტიტუციის 59-ე - 64-ე მუხლებთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს.¹⁴⁴¹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების განხილვის კომპეტენციას უშუალოდ კონსტიტუცია არ ადგენს. ამ უფლებამოსილების კონსტიტუციურობის საკითხი, კონსტიტუციით გაუთვალისწინებელი სხვა უფლებამოსილებების მსგავსად, საეჭვოა.¹⁴⁴²

809

კონსტიტუციის 59-ე - 64-ე მუხლები აწესრიგებს სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ საკითხებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძირითადი კონსტიტუციური ამოცანა საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაა.¹⁴⁴³ სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება და არსებობა წარმოდგენილია ძლიერი და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების გარეშე.¹⁴⁴⁴ ამდენად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებას ობიექტური მიზანი აქვს - სასამართლოს დამოუკიდებლობისა და კონსტიტუციის იმ მოთხოვნების დაცვა, რომლებიც უკავშირდება საერთო სასამართლოებს.

810

¹⁴⁴⁰ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 218.

¹⁴⁴¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

¹⁴⁴² შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (265).

¹⁴⁴³ საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴⁴⁴ Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 220 f.

- 811 მსგავსი კომპეტენცია აქვს კონსტიტუციით მინიჭებული პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს. მართლმსაჯულების საბჭოს შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს იმ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით, რომლებიც სასამართლოს და მოსამართლის დამოუკიდებლობას შეეხებიან.¹⁴⁴⁵
- 812 ნორმატიული აქტების კონსტიტუციის 59-ე - 64-ე მუხლებთან მიმართებით შემოწმება სხვა უფლებამოსილებების, მაგალითად აბსტრაქტული ნორმატოკონტროლის განხორციელების დროსაც შეიძლება. მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო სხვა კომპეტენციათა ფარგლებში მოკლებულია საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას. მას შეუძლია დავა მხოლოდ მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევის გამო. გარდა ამისა, საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული წევრები და მის შემადგენლობაში თანამდებობრივად შედის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.¹⁴⁴⁶ ამ წესით დაკომპლექტებულმა და მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე ანგარიშვალდებულმა¹⁴⁴⁷ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უკეთ უნდა წარადგინოს და დაიცვას საერთო სასამართლოების ინტერესები და დამოუკიდებლობა, ვიდრე სხვა სუბიექტებმა.¹⁴⁴⁸ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საბჭოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინება ჯერჯერობით არ შეუტანია.
- 813 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების ინსტიტუტი კონსტიტუციას დაემატა 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით.¹⁴⁴⁹ 2011 წლის 5 მაისს ეს კომპეტენცია აისახა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონში.¹⁴⁵⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციათა ჩამონათვალში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციურმა კანონმა ადარ გაითვალისწინა. მიუხედავად ამისა, უფლებამოსლება შენარჩუნდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

¹⁴⁴⁵ პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 186-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁴⁴⁶ საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁴⁴⁷ იქვე, მე-3 პუნქტი.

¹⁴⁴⁸ შეადარე: *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 221.

¹⁴⁴⁹ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

¹⁴⁵⁰ მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

შესახებ“ ორგანულ კანონში და 2018 წლის 21 ივლისს ჩამოყალიბდა დღეისათვის მოქმედი რედაქციით.

4.13.2. კონსტიტუციური წარდგინების ავტორი

საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ერთ სუბიექტს - იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.¹⁴⁵¹ კონსტიტუციის 59-ე - 64-ე მუხლებთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით საბჭო საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს კონსტიტუციური წარდგინებით.¹⁴⁵² კონსტიტუციურ წარდგინებას ხელს აწერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.¹⁴⁵³

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი არ ითვალისწინებს იუსტიციის საბჭოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების სპეციალურ წესს. ამდენად, ამ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს საერთო წესით, კენჭისყრით, საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით.¹⁴⁵⁴ საბჭო უფლებამოსილი იქნება ეს საკითხი განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ეწერება წევრთა ნახევარზე მეტი,¹⁴⁵⁵ ანუ არანაკლებ 8 წევრისა. ეს რეგულირება თეორიულად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი იყოს საბჭოს მხოლოდ 5 წევრის მხარდაჭერა. მიზანშეწონილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულმა კანონმა მოაწესრიგოს ეს საკითხი ისე, რომ კონსტიტუციური წარდგინების შეტანას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა მაინც დასჭირდეს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებას არ ჰყავს მოპასუხე. მართალია, ამას პირდაპირ არ ითვალისწინებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი, მაგრამ სხვა წარდგინებების ანალოგიურად, არსებით განხილვას არ ექნება კონტრადიქტორული ხასიათი და მასში მონაწილეობას არ მიიღებს წარდგინების ავტორი და მისი წარმომადგენელი, რაც არ გამორიცხავს

¹⁴⁵¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 41⁴ მუხლი.

¹⁴⁵² იქვე, 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁴⁵³ იქვე, 31¹ მუხლის მე-11 პუნქტი.

¹⁴⁵⁴ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები.

¹⁴⁵⁵ იქვე, 50-ე მუხლის პირველი პუნქტი.

მხარედ აღიარების გარეშე წარდგინების ავტორის მოწვევას და მისი განმარტებების მოსმენას.

817 იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი, რომ უარი განაცხადოს კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა.¹⁴⁵⁶ ეს ნათლად გამოხატავს და ადასტურებს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ კომპეტენციის ობიექტურ ხასიათს.

4.13.3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საგანი და შემოწმების მასშტაბი

818 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ ნორმატიულ აქტს. ამდენად, ამ კომპეტენციის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს ნორმატოკონტროლს. წარდგინების საგანი ორნაწლიანია: 1) შესამოწმებელი ნორმა; 2) კონსტიტუციის ნორმა, რომელთან მიმართებაშიც უნდა დადგინდეს შესამოწმებელი ნორმის კონსტიტუციურობა.

819 შესამოწმებელი ნორმის ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოთხოვნით. მას უფლება არ აქვს იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე, თუ წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.¹⁴⁵⁷ ისევე, როგორც ნორმატოკონტროლთან დაკავშირებული სხვა კომპეტენციების განხორციელებისას, აქაც არაა გამართლებული საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი მკაცრი შეზღუდვა.

820 საქმის განხილვის მომენტისათვის შესამოწმებელი ნორმის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.¹⁴⁵⁸ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებაზე ვერ გავრცელდება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილი სამართალწარმოების გაგრძელების გამონაკლისი შემთხვევა, რადგანაც ამ კომპეტენციის ფარგლებში ნორმის შემოწმება არ ხდება ძირითად უფლებებთან მიმართებით.

¹⁴⁵⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁴⁵⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴⁵⁸ იქვე, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

კომპეტენციის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს სამართალწარმოების გაგრძელების შესაძლებლობა, თუ საქმე შეეხება სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხს.

წარდგინების საგნის მეორე ნაწილი სპეციფიურია, რადგანაც შესაბამისი ნორმა შეიძლება შემოწმდეს არა კონსტიტუციის ნებისმიერ დანაწესთან, არამედ მხოლოდ 59-ე - 64-ე მუხლებთან მიმართებით. ეს მუხლები შედის კონსტიტუციის მეექვსე თავში (სასამართლო ხელისუფლება და პროკურატურა) და შეეხება ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორცაა: სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და ორგანიზაცია; უზენაესი სასამართლოს სტატუსი, შემადგენლობა და ფორმირების წესი; სამართალწარმოების პრინციპები; მოსამართლის თანამდებობაზე განწესების ძირითადი პირობები და მისი დამოუკიდებლობის გარანტიები; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატუსი, ამოცანები, ფორმირების წესი და სხვა.

821

კონსტიტუციის 59-ე მუხლი შეიცავს საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებულ რეგულირებებს,¹⁴⁵⁹ ხოლო მე-60 მუხლი კი სპეციალურად საკონსტიტუციო სასამართლოს ეძღვნება. ალოგიკურია, რომ ამ ნორმების დარღვევაზე წარდგინების შეტანის უფლებამოსილება ენიჭება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელსაც შეეხება არ აქვს საკონსტიტუციო სასამართლოსთან. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში 2018 წლის 21 ივლისის ცვლილებამდე გათვალისწინებული არ იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგინების შეტანა საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებულ კონსტიტუციის ნორმებთან მიმართებით. ასევე გაუმართლებელია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წარდგინებაში დააყენოს მისი კომპეტენციის დამდგენი კონსტიტუციური ნორმების დარღვევის საკითხი. ამის შესაძლებლობა მას აქვს უფლებამოსილების შესახებ დავის ფარგლებში.

822

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების განხილვაზე ვრცელდება ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის დადგენის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული ზოგადი წესი. საკონსტიტუციო

823

¹⁴⁵⁹ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

სასამართლო ადგენს შესამოწმებელი ნორმის შინაარსის შესაბამისობას კონსტიტუციის 59-ე - 64-ე მუხლებთან.¹⁴⁶⁰ მხედველობაში მიიღება ნორმის არა მხოლოდ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, არამედ მასში გამოხატული ნამდვილი აზრი და მისი გამოყენების პრაქტიკა, ასევე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსი.¹⁴⁶¹ გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო არკვევს, რამდენად არის დაცული შესამოწმებელი ნორმის მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესები.¹⁴⁶²

4.13.4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები

824 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების არსებითი განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას.¹⁴⁶³ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობის დადასტურება იწვევს მის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მოენტიდან (ex nunc),¹⁴⁶⁴ თუ ამავე გადაწყვეტილებით არ არის გათვალისწინებული ძალის დაკარგვის გვიანდელი ვადა.¹⁴⁶⁵ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტზე ვრცელდება ის შენიშვნები, რაც გამოითქვა სხვა კომპეტენციების კონტექსტში.¹⁴⁶⁶

¹⁴⁶⁰ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁴⁶¹ იქვე, მე-3 პუნქტი.

¹⁴⁶² იქვე, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁴⁶³ იქვე, 43-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁴⁶⁴ იქვე, 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴⁶⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁴⁶⁶ მაგალითად იხ.: ქვეთავი 4.2.7. - კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შედეგები.

თავი 5. საკონსტიტუციო სამართალწარმოება საქართველოში

წინამდებარე ნაწილში განხილულია საქართველოში საკონსტიტუციო სამართალწარმოების რიგი საკითხები, დაწყებული საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელისა თუ წარდგინების წარდგენიდან დასრულებული საქმის არსებითად განხილვით. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართალწარმოების პროცესში მიიღება, განხილულია მომდევნო თავში.

825

5.1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპები

„საკონსტიტუციო სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, კოლეგიალობის, საქვეყნოობის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის, უფლებამოსილებათა მთელი ვადით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დამოუკიდებლობის, ხელშეუხებლობისა და შეუცვლელობის საწყისებზე.“¹⁴⁶⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განმტკიცებულია დებულებები, რომლებიც მიმართულია აღნიშნული პრინციპების რეალიზებისკენ.

826

5.1.1. კანონიერების პრინციპი

კანონიერების პრინციპი სამართლის ზოგადი პრინციპია. სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, რომ მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივი ურთიერთობა კანონმდებლობის შესაბამისად იქნეს მოწესრიგებული“.¹⁴⁶⁸ *კანონიერების პრინციპი მოითხოვს, რომ მმართველობის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა გამომდინარეობდეს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან.*¹⁴⁶⁹

827

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები კონსტიტუციით არის

828

¹⁴⁶⁷ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლი.

¹⁴⁶⁸ ცხადაძე, კონსტიტუციურსამართლებრივი პრინციპების რელევანტურობა ადმინისტრაციული სამართლისათვის, ჟურნალი ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2016, გვ., 9.

¹⁴⁶⁹ ხუბუა, ოპერანტი, საჯარო მმართველობის მართლებრივი საფუძვლები, თბ., 2016, გვ., 68.

განსაზღვრული და შეუძლებელია სხვა საკანონმდებლო აქტებით აღნიშნული უფლებამოსილებების გაფართოვება ან/და პირიქით, მათი შემცირება. სწორედ აქედან გამომდინარე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გარკვეულ უფლებამოსილებებს, რომლებიც ორგანული კანონით არის განსაზღვრული¹⁴⁷⁰ ვერ განაზოცილებს.

829 საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების მხოლოდ კონსტიტუციით შემოფარგვლა 2017-18 წლების საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში დადგინდა. აღნიშნულ ცვლილებებამდე, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლი პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავდა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აზოცილებდა კონსტიტუციით და, ასევე ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

830 როგორც აღინიშნა, კონსტიტუციის დღეს მოქმედი რედაქციით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები კონსტიტუციით არის დადგენილი. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებული სხვა საკითხები, კერძოდ „საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებისა და მისი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.“¹⁴⁷¹ გარდა ორგანული კანონისა, საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და კონსტიტუციური სამართალწარმოების სხვა წესები განსაზღვრულია საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით.¹⁴⁷²

5.1.2. კოლეგიალობა

831 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიური შემადგენლობის ფორმატში - კოლეგიის ან

¹⁴⁷⁰ ავტორთა მოსაზრებით ჩნდება კითხვები, თუ რამდენად არის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული სასამართლოს უფლებამოსილება დაკავშირებული: 1. ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის დარღვევის თაობაზე დავების გადაწყვეტასთან; 2. ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კონტროლის თაობაზე უფლებამოსილებასთან; 3. სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების დაცვასთან. საუბარია ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ფორმალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობაზე. იხ.: საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სამართლის მიოხილვა, გამოცემა 1 (2018), გვ., 27. *ლოლაძე*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გეგენავა დ. (რედ.), შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი 2019, გვ. 252;

¹⁴⁷¹ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლამდე მოქმედებდა კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“, რომლის დებულებებიც შემდეგ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში აისახა.

¹⁴⁷² იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი.

პლენუმის მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ხელს აწერს საქმის არსებითად განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი.¹⁴⁷³ იმ შემთხვევაში, თუ კოლეგიის თუ პლენუმის რომელიმე წევრი არ ეთანხმება სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აყალიბებს შესაბამისად განსხვავებულ ან თანმხვედრ აზრს, რომელიც, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სწორედ საკუთარი კოლეგებისადმი პატივისცემის დადასტურებით იწყება.

კოლეგიალობის პრინციპი გულისხმობს კოლეგების პატივისცემას, პროფესიული დისციპლინის დაცვას. კოლეგიალობის პრინციპი მიზნად ისახავს მოსამართლეთა შორის ურთიერთპატივისცემისა და პროფესიული ღირებულებების ხელშეუხებლობას. აღნიშნული ერთი მხრივ, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა შორის ურთიერთნდობის, ასევე საზოგადოების მხრიდან პატივისცემის დამკვიდრებას ემსახურება.

832

კოლეგიალობის პრინციპი არეგულირებს ურთიერთობებს თავად მოსამართლეთა შორის და აღნიშნული ვალდებულება მოსამართლეებს არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს აქვთ, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

833

5.1.3. საქვეყნობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას. “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ. თავის მხრივ, ორგანული კანონით გაწერილია პროცედურები თუ რა ფორმით და როგორ ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული სხვადასხვა აქტის გამოქვეყნება.

834

¹⁴⁷³ იხ.: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

- 835 აღსანიშნავია ასევე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. ორგანული კანონით განსაზღვრულია ის შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია სხდომა დაიხუროს. კერძოდ, პირადი, პროფესიული, კომერციული, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა ან სხდომის ნაწილი შესაძლოა დაიხუროს. თავის მხრივ, აღნიშნული შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მოხდეს. დახურულ სხდომაზე, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება დაესწრონ მოწმეები, ექსპერტები და თარჯიმნები. მხარეთა შუამდგომლობით საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება მისცეს სხვა პირებსაც.
- 836 ორგანული კანონის თანახმად, სასამართლო სხდომაზე დასაშვებია რადიო-, ტელე-, აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის გაკეთება. ამისთვის კი საჭიროა კონკრეტული საქმის განმხილველი სასამართლოს თანხმობა.
- 837 განსხვავებული მოწესრიგება გვხვდება, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს. ორგანული კანონის თანახმად, საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე ზეპირი მოსმენით განიხილოს, თუ საქმის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებული გარემოებების გამორკვევა სხვაგვარად შეუძლებელია. სასამართლო უფლებამოსილია ასევე მოსარჩელის ან/და მოპასუხის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე არსებითად განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე.

5.1.4. თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი

- 838 საკონსტიტუციო სასამართლოში საქმე შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით ხორციელდება. ზოგადად უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე საქმის განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიტიურ მხარედ განიხილება.¹⁴⁷⁴

¹⁴⁷⁴ განსხვავებით საკონსტიტუციო საბჭოსგან, რომლის ნაკლადაც განიხილება სწორედ ის რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეების განხილვა არ ხდება შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. საკონსტიტუციო საბჭოს წევრი თავმჯდომარის დავალებით შეისწავლის საქმეს და შემდგომ თავის აზრს გამოთქვამს საბჭოს სხდომაზე, რის შედეგადაც საბჭო გადაწყვეტილებას დასკვნის სახით იღებს. ამ ფორმით ბევრად უფრო სწრაფად ხდება საქმეების განხილვა, ვიდრე ეს შეჯიბრებითობის შემთხვევაშია შესაძლებელი. იხ., *კაზიანი გ.*, საკონსტიტუციო

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის თანახმად მოსარჩელე 839 თავად განსაზღვრავს დავის საგანს, იმ სადავო სამართლებრივ ნორმასა თუ ნორმებს, რომლებიც მისი აზრით ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.¹⁴⁷⁵ თავის მხრივ, მას უფლება აქვს ასევე შეამციროს მოთხოვნის მოცულობა, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე.¹⁴⁷⁶ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმე წყდება, ისევე როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის განხილვის მომენტი სათვის სადავო აქტი გაუქმდა ან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი (გარდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა).¹⁴⁷⁷

უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებებამდე „საკონსტიტუციო 840 სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი მოსარჩელეს აძლევდა შესაძლებლობას შეეცვალა თავდაპირველი მოთხოვნის საგანი და დაფუძველი, გაეზარდა ან შეემცირებინა მოთხოვნის მოცულობა, უარი ეთქვა სარჩელის მოთხოვნაზე.¹⁴⁷⁸

სარჩელისგან განსხვავებული სურათია კონსტიტუციურ წარდგინებასთან 841 მიმართებაში. ორგანულ კანონის თანახმად, იმპიჩმენტის თაობაზე შეტანილი კონსტიტუციური წარდგინების ავტორი უფლებამოსილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა. ამისათვის მან წერილობით უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც ვალდებულია მოთხოვნა დააკმაყოფილოს.¹⁴⁷⁹

საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ 842 საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, გვ., 43-45.

¹⁴⁷⁵ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლი.

¹⁴⁷⁶ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴⁷⁷ დეტალურად: იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი, ასევე იხ., ქვეთავი 5.3.2.

¹⁴⁷⁸ იხ. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2006 წლის 29 დეკემბრის საქართველოს კანონი.

¹⁴⁷⁹ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხის თაობაზე შეტანილი კონსტიტუციური წარდგინების ავტორი უფლებამოსილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა. ამისათვის მან წერილობით უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე უარის თქმა, აგრეთვე საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.¹⁴⁸⁰

843 წარდგინების განხილვაზე უარის თქმისა და საქმის შეწყვეტის მოთხოვნის უფლება არ აქვს საერთო სასამართლოს ან/და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.¹⁴⁸¹

844 რაც შეეხება მოპასუხე მხარეს, მას უფლება აქვს საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცნოს სარჩელი, თუმცა ეს არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას. მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო აგრძელებს საქმის განხილვას და შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე.

845 მნიშვნელოვანია აღინიშნოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N608. საქმე უზენაესი სასამართლოს წარდგინებას ეხებოდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „წარდგინებაში იდენტიფიცირებული კონსტიტუციური პრობლემა უკავშირდებოდა პასუხისმგებლობის გამაუქმებელი, ახალი კანონის უკუძალით გამოყენების პრინციპს, რაც დაცული იყო არა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტით (რომელიც თავად წარდგინებაში იყო მითითებული), არამედ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებით¹⁴⁸².

846 კონსტიტუციური წესრიგისთვის საერთო სასამართლოების წარდგინების მნიშვნელობისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების

¹⁴⁸⁰ დეტალურად: იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტები.

¹⁴⁸¹ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-46 პუნქტი.

¹⁴⁸² საუბარია საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედ რედაქციაზე.

მარეგულირებელი კანონმდებლობის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეცვალა მიდგომა და საჭიროდ მიიჩნია ახალი პრაქტიკის დამკვიდრება.

სასამართლოს განმარტებით კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის არსი ნათლად აჩვენებს, რომ ის არ ემსახურება წარდგინების ავტორის ინტერესების დაცვას, არამედ ორიენტირებულია კონსტიტუციის მოთხოვნებისა და დანაწესების დაცვის ობიექტურ ინტერესზე სამართლებრივ სახელმწიფოში. საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ წარდგინებით მიმართვის მიზანი არის სამართალწარმოების მონაწილე პირების და ინსტიტუტების კონსტიტუციური გარანტიების დაცვა. ამის ნათელი პრაქტიკული გამოვლინებაა საერთო სასამართლოების წარდგინების განხილვის პროცესი საკონსტიტუციო სასამართლოში, რაც მიმდინარეობს წარდგინების ავტორისა და სადავო ნორმატიული აქტის მიმდები ორგანოს მონაწილეობის გარეშე. წარდგინების ავტორ საერთო სასამართლოს არ შეუძლია აგრეთვე უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საქმის შეწყვეტა. ეს პროცესუალური ნორმები, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მიუთითებს, რომ საერთო სასამართლოები კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის ფარგლებში მოქმედებენ საჯარო ინტერესის დასაცავად და ისინი არ წარმოადგენენ პროცესის დამოუკიდებელ მონაწილეებს, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი ინტერესი.¹⁴⁸³ სასამართლოს განმარტებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტამდე, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დატოვებს შეფასების გარეშე მის მიერ წარდგინებაში დასმულ პრობლემას კონსტიტუციური ნორმის არასწორად იდენტიფიცირების ფორმალური მიზეზით. საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელობის გათვალისწინებით¹⁴⁸⁴, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკმარისია, წარდგინებაში მკაფიოდ იკვეთებოდეს

¹⁴⁸³ გადაწყვეტილება N608, II. 7.

¹⁴⁸⁴ "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საერთო სასამართლო კონსტიტუციური წარდგინებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ კონკრეტული საქმის განხილვისას აღმოაჩენს, რომ ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტილისას, შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ. ამდენად, კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში კონსტიტუციის უზენაესობის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, რომელიც საშუალებას აძლევს საერთო სასამართლოებს, თავიდან აიცილონ სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენება. ამასთან, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობა კონსტიტუციურ ღირებულებებს პრაქტიკულ და რეალურ ძალას სძენს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და საერთო სასამართლოების საქმიანობაში კონსტიტუციის მოთხოვნების გათვალისწინებას და დაცვას უზრუნველყოფს.

კონსტიტუციური პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც სურს კონსტიტუციური წარდგინების ავტორს.¹⁴⁸⁵ საკონსტიტუციო სასამართლო იხელმძღვანელებს წარდგინების ავტორის მოსაზრებით, თუ რა შინაარსობრივ შეუსაბამობას იწვევს კონსტიტუციასთან სადავო ნორმატიული აქტის გამოყენება. შესაბამისად, სადავო ნორმის/ნორმების კონსტიტუციურობა შეფასდება კონსტიტუციის იმ დებულებასთან, რომელიც პასუხს სცემს წარდგინების ავტორის მიერ იდენტიფიცირებულ სადავო საკითხს.

848 საკონსტიტუციო სასამართლოში საქმე ეფუძნება ასევე თანასწორობის პრინციპს. ორგანული კანონის თანახმად, მხარეები თანასწორი უფლებებით სარგებლობენ საპროცესო უფლებების რეალიზაციისას. კერძოდ, მხარეებს უფლება აქვთ „გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ მათგან ამონაწერები, გადაიღონ ასლები, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, შუამდგომლობებით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, მისცენ მას ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მტკიცებულებები, მოთხოვნები, შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები.

5.1.5. მოსამართლის დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა

849 საკონსტიტუციო სასამართლოს სრულყოფილი და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პირობაა თავად სასამართლოსა და მოსამართლეების დამოუკიდებლობა. სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია მოსამართლეთა ხელშეუვალობის, შეუცვლელობის, მათ საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპის განმტკიცება, მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფის მიზნით მოსამართლეთა შესაბამისი უფლებებით აღჭურვა, ასევე მათთვის უსაფრთხოების გარანტიების მინიჭება და ა.შ.

850 საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თავის მოვალეობათა შესრულებისას დამოუკიდებელია. იგი ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და

¹⁴⁸⁵ იხ. აღნიშნულ საკითხზე ზემოთ, ქვეთავი 4.3.4.2.

გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად. მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია და ისჯება კანონით.“

ფიცის დადების დროსაც კი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ამბობს ტექსტს, სადაც განმარტავს, რომ მოვალეობის აღსრულებისას დაემორჩილება „მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, არავის და არაფერს სხვას, გარდა კონსტიტუციისა“.¹⁴⁸⁶ თავის მხრივ სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს შეუქმნას მოღვაწეობისა და ცხოვრების ღირსეული პირობები, ურუნველყოს მისი და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოება.¹⁴⁸⁷

851

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის თანახმად, „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

852

კონსტიტუციითა და ორგანული კანონით დადგენილია ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის იმუნიტეტი. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

853

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების შესახებ თანხმობის მიცემის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება შეჩერდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ან მარეაბილიტირებელ საფუძველზე საქმის შეწყვეტის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება აღდგება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

854

¹⁴⁸⁶ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლი.

¹⁴⁸⁷ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლი.

855 საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის არანაკლებ 6 წევრისა.¹⁴⁸⁸

5.1.6. მოსამართლის შეუცვლელობა

856 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადა 10 წელი¹⁴⁸⁹ და აღნიშნული 10-წლიანი ვადის ამოწურვისთანავე შეუწყდება უფლებამოსილება.¹⁴⁹⁰ 2016 წლის ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებებამდე აღნიშნული ნორმა ითვალისწინებდა საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესაძლებლობას. კერძოდ დადგენილი იყო, რომ თუ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა მთავრდებოდა იმ დროს, როდესაც იგი მონაწილეობდა საქმის განხილვაში, უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდებოდა საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

857 საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, საქმეზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ ამ საქმის განხილვაში უშუალოდ მონაწილე მოსამართლეებს. თუ განმწესრიგებელი სხდომის ან/და საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას რომელიმე მოსამართლე სხვა მოსამართლით შეიცვალა, ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში საქმის განხილვის იგივე ეტაპი თავიდან იწყება.¹⁴⁹¹

858 როგორც აღინიშნა, 2016 წელს განხორციელებული ცვლილებით უფლებამოსილების 10 წლიანი ვადა განისაზღვრა, მისი გაგრძელების შეუძლებლობით. ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა და სასამართლოს მიერ ნორმის ის ნორმატიული შინაარსი იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი, რომელიც ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას 10-წლიანი ვადის ამოწურვისთანავე იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისმა

¹⁴⁸⁸ აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 3 ივნისის ცვლილებებამდე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლებოდა, თუ მას მხარს დაუჭერდა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სხდომის მონაწილეთა ნახევარზე მეტი. იხ., საქართველოს 2016 წლის 3 ივნისის ორგანული კანონი №5161 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებები შეტანის თაობაზე.

¹⁴⁸⁹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 60.

¹⁴⁹⁰ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის ირველი პუნქტი.

¹⁴⁹¹ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

სახელმწიფო ორგანომ კანონით დადგინებულ ვადაში არ აირჩია/დანიშნა ახალი წევრი და ეს სათანადო კვორუმის არარსებობის გამო შეუძლებელს ხდის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უფლებამოსილების განხორციელებას.

სასამართლოს განმარტებით, უფლებამოსილების 10-წლიანი ვადის მკაცრი დაცვის შემთხვევაში, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას, ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური ინსტიტუტის გამართულ ფუნქციონირებას. კერძოდ, შესაძლებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების 10-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, ვერ მოხერხდეს მისი დროული ჩანაცვლება. აღნიშნული პროცესის დაყოვნება ხშირად განპირობებულია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების თანამდებობაზე განწესების წესის სპეციფიკით. ამ პროცესში მონაწილე ორი ორგანო – საქართველოს პარლამენტი და საქართველოს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებას იღებენ კოლეგიურად, კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების კვორუმით და შესაძლოა, არსებობდეს შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის კანდიდატზე შეთანხმებამ დიდი დრო მოითხოვოს და ვერ განხორციელდეს შესაბამის ვალებში.¹⁴⁹²

859

ასეთ პირობებში არსებობს რისკი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი დროულად ვერ ჩანაცვლდეს და, მოსამართლეთა სათანადო რაოდენობის არარსებობის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ განახორციელოს მასზე კონსტიტუციით დაკისრებული უფლებამოსილება და ვიდრე არ მოხდება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ჩანაცვლება, საფრთხე ექმნება სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური ინსტიტუტის არსებობას, რაც, თავის მხრივ, ეჭვქვეშ აყენებს პირის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული უფლებით სარგებლობას.¹⁴⁹³

860

იმ შემთხვევაში, როდესაც ამოიწურება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა და არ ხდება სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ მისი ჩანაცვლება და საქმის განხილვის კვორუმის არარსებობის გამო ეს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების შეფერხებას,

861

¹⁴⁹² გადაწყვეტილება №3/5/768,769,790,792, II, 74.

¹⁴⁹³ გადაწყვეტილება №3/5/768,769,790,792, II, 75.

აუცილებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა მისი ჩამნაცვლებელი წევრის განწესებამდე. სხვაგვარად, ეჭვქვეშ დგება საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური ინსტიტუტის არსებობა, ილუზორული გახდება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის გზით უფლების დაცვის შესაძლებლობა და, შესაბამისად, დაირღვევა კონსტიტუციის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნა. ამ მოთხოვნას ვერ გადაწონის კონსტიტუციის ექსპლიციტური მითითება უფლებამოსილების 10-წლიან ვადასთან დაკავშირებით.¹⁴⁹⁴

862 საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება მისი ჩამნაცვლებელი წევრის განწესებამდე არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის გათვალისწინებული უფლებამოსილების 10-წლიანი ვადის ზედა ზღვრის დაწესების მიზნებს. კერძოდ, ამით არ იზრდება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დამნიშნავი კონკრეტული სუბიექტის (დროის კონკრეტულ მომენტში არჩეული პრეზიდენტი, პარლამენტი, უზენაესი სასამართლო) გავლენა საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების პროცესზე.¹⁴⁹⁵

863 როგორც აღინიშნა, თუ განმწესრიგებელი სხდომის ან/და საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას რომელიმე მოსამართლე სხვა მოსამართლით შეიცვალა, ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში საქმის განხილვის იგივე ეტაპი თავიდან იწყება.¹⁴⁹⁶ ამდენად, 10 წლიანი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, თუ მოსამართლე შეიცვალა, ახლადგანწესებული მოსამართლე უფლებამოსილია მოითხოვოს საქმის განხილვის იგივე ეტაპის (საქმის არსებითად მისაღებად განხილვის ან არსებითი განხილვის ეტაპის) თავიდან დაწყება.

5.2. კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციური წარდგინება

864 კონსტიტუციური სამართალწარმოების დაწყების საფუძველია საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების

¹⁴⁹⁴ გადაწყვეტილება №3/5/768,769,790,792, II, 77.

¹⁴⁹⁵ გადაწყვეტილება №3/5/768,769,790,792, II, 78.

¹⁴⁹⁶ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

წერილობით შეტანა. კონსტიტუციური სარჩელისა და წარდგინების სააპლიკაციო ფორმას ამტკიცებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.¹⁴⁹⁷

კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს. კონსტიტუციურ სარჩელში ან კონსტიტუციურ წარდგინებაში აუცილებლად უნდა იყოს მოყვანილი ის მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელის ან წარდგინების ავტორის აზრით ადასტურებენ სარჩელის ან წარდგინების საფუძვლიანობას.

საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულია ის თუ რა შემთხვევაში შეიტანება სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინება და რა შემთხვევაში - კონსტიტუციური სარჩელი. კონსტიტუციური წარდგინება შეიტანება იმპიჩმენტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონთან შესაბამისობის და საქართველოს კონსტიტუციის 59-ე - 64-ე მუხლებთან ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხებზე. საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართავს ასევე საქართველოს პარლამენტის წევრთა ერთი მეხუთედი ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ, რომელიც ექვემდებარება რატიფიცირებას. სხვა შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების დაწყების საფუძელია კონსტიტუციური სარჩელი.

5.2.1. კონსტიტუციური სარჩელის რეკვიზიტები

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პლენუმის მიერ დამტკიცებულია კონსტიტუციური სარჩელის ფორმა და შესაბამისად კონსტიტუციური სარჩელი შედგენილი უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამტკიცებული, შესაბამისი სასარჩელო სააპლიკაციო ფორმის მიხედვით.

კონსტიტუციური სარჩელი, კონსტიტუციური წარდგინება და მათთვის დართული საბუთები შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

¹⁴⁹⁷ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

869 კონსტიტუციური სარჩელი ხელმოწერილი უნდა იყოს მოსარჩელის (მოსარჩელების) მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მოსარჩელის ხელმოწერის სავალდებულოება გულისხმობს, რომ არცერთი სხვა პირი, მათ შორის არც წარმომადგენელი, არ არის უფლებამოსილი, მოსარჩელის ნაცვლად მოაწეროს ხელი სარჩელს, ამდენად ეს მოთხოვნა იმპერატიული და უალტერნატივოა.¹⁴⁹⁸ ხელმოწერებთან დაკავშირებით განსხვავებული წესია დადგენილი იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელეა პრეზიდენტი ან საქართველოს პარლამენტის წევრები. ამ შემთხვევაში ხელმოწერები დამოწმებული უნდა იყოს შესაბამის უწყებაში დადგენილი წესით.

870 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, სარჩელის შედგენის შემდეგ საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი 3 დღის ვადაში ამოწმებს ხელმოწერების ნამდვილობას და ადგენს შესაბამის დასკვნას.¹⁴⁹⁹

871 ორგანული კანონის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს:

- საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება;
- მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელებები და მისამართები;¹⁵⁰⁰
- სადავო სამართლებრივი აქტის დასახელება, მისი მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამომცემის თარიღი;
- საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც, მოსარჩელის აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს სადავო სამართლებრივი აქტი ან რომელთა დარღვევითაც იქნა მიღებული/გამომცემული, ხელმოწერილი, გამოქვეყნებული ან ამოქმედებული საქართველოს საკანონმდებლო აქტი ან საქართველოს პარლამენტის დადგენილება; ფორმალური შესაბამისობის შემოწმებისას ფასდება მხოლოდ ის, თუ რამდენად ახდენს მოსარჩელე მხარე კონსტიტუციის დებულებების იდენტიფიცირებას. სწორად ახდენს თუ არა უფლებების გამოყოფას, ეს უკვე კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისას კანონმდებლობის მოთხოვნების შინაარსობრივად დაცვის შეფასების ნაწილია.¹⁵⁰¹

¹⁴⁹⁸ კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, ევროპის საბჭო, 2021, გვ., 22-23.

¹⁴⁹⁹ იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 200 მუხლის მე-2 პუნქტი და 178-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁵⁰⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 723 კონსტიტუციური სარჩელი.

¹⁵⁰¹ კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, ევროპის საბჭო, 2021, გვ., 24.

- მტკიცებულებანი, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობას; მოცემული არ გულისხმობს აუცილებლად რაიმე წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებების, ექსპერტიზის დასკვნის, ან სხვა სახის მტკიცებულებათა წარდგენას მოსარჩელისგან. ვინაიდან კონსტიტუციური მართლმსაჯულების ფარგლებში ფასდება ამა თუ იმ ნორმატიული წესის თავსებადობა ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებთან. შესაძლოა, ამ პროცესში კონსტიტუციური სარჩელის დასაკმაყოფილებლად საკმარისი აღმოჩნდეს მხოლოდ მოსარჩელეთა არგუმენტაცია ნორმის არაკონსტიტუციურობაზე. შესაბამისად, როგორც წესი, მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი არგუმენტაცია მიიჩნევა მტკიცებულებად. ბუნებრივია, ეს არ გამოირიცხავს, ცალკეული ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა მხრიდან სხვა მტკიცებულებათა წარმოდგენის ვალდებულებას. თუმცა, კონსტიტუციური სარჩელის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებისას, არ ხდება წარმოდგენილი მტკიცებულებების შინაარსობრივი შეფასება/ანალიზი.¹⁵⁰²
- მოთხოვნის არსი;
- საქართველოს კონსტიტუციის და ამ კანონის დებულებანი, რომლებიც მოსარჩელეს აძლევს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებას;
- კონსტიტუციური სარჩელისთვის დართული საბუთების ჩამონათვალი, აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართები, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, უნდა გამოიძახოს საკონსტიტუციო სასამართლომ; აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს, გამომდინარე იქიდან რომ ევალება საქმის სრულყოფილად შესწავლა და გამოკვლევა, თავადაც შეუძლია მოწმეების, ექპერტების, სპეციალისტების გამოხება.
- მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ, თუ მოსარჩელე საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას მოითხოვს.

თავის მხრივ, სარჩელს უნდა ერთვოდეს:

872

- სადავო სამართლებრივი აქტის ტექსტი;¹⁵⁰³

¹⁵⁰² კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, ევროპის საბჭო, 2021, გვ., 24.

¹⁵⁰³ ამ ფორმალური მოთხოვნის დაუცველობა არაერთხელ გამხდარა შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი. იხ. კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, ევროპის საბჭო, 2021, გვ., 24. ასევე იხ.: მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

- მოსარჩელის წარმომადგენელთა და ინტერესების დამცველთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, რომელშიც მითითებულია მათი მისამართები;
- საბანკო დაწესებულების საბუთი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ;
- კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია.

5.2.2. კონსტიტუციური სარჩელი პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის თაობაზე

873 საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის თანახმად, „საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იხილავს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს.¹⁵⁰⁴ 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციურმა კანონმა არსებითი ცვლილებები შეიტანა ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებაში და ახალმა რედაქციამ აღარ გაითვალისწინა პოლიტიკური პარტიის შექმნის კონსტიტუციურობის შემოწმება. ამავდროულად, კომპეტენცია გაფართოვდა იმ კუთხით, რომ მას დამატა პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

874 თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი კვლავინდებურად ითვალისწინებს ნორმებს, რომლებიც უკავშირდება პოლიტიკური პარტიის შექმნის კონსტიტუციურობის საკითხს.¹⁵⁰⁵

875 კონსტიტუციურ სარჩელში, რომელიც უკავშირდება პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის

2015 წლის 3 აპრილის No2/4/621 განჩინება საქმეზე „შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“; ასევე, 2017 წლის 21 აპრილის No1/7/727 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი სუხნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁵⁰⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

¹⁵⁰⁵ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ და 35-ე მუხლი.

საკითხს, აღნიშნული უნდა იყოს: საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება; მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელებები და მისამართები; იმ პოლიტიკური პარტიის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, რეგისტრაციის თარიღი, რომლის საქმიანობის კონსტიტუციურობაზედაც დავობს მოსარჩელე, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების ჩამონათვალი; მოთხოვნის არსი; მტკიცებულებანი, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობას; საქართველოს კონსტიტუციის და ამ კანონის დებულებანი, რომლებიც მოსარჩელეს აძლევს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებას; კონსტიტუციური სარჩელისთვის დართული საბუთების ჩამონათვალი, აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართები, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, უნდა გამოიძახოს საკონსტიტუციო სასამართლომ; მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ, თუ მოსარჩელე საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას მოითხოვს.

იმავედროულად აღნიშნულ სარჩელს თან უნდა ერთვოდეს: იმ პოლიტიკური პარტიის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, რომლის საქმიანობის კონსტიტუციურობაზედაც დავობს მოსარჩელე; მოსარჩელის წარმომადგენელთა და ინტერესების დამცველთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, რომელშიც მითითებულია მათი მისამართები; საბანკო დაწესებულების საბუთი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ; კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია.

876

5.2.3. საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და იმპიჩმენტთან დაკავშირებული წარდგინება

კონსტიტუციური წარდგინებაში, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობასა და შესაბამისი თანამდებობის პირების იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხს, უნდა აღინიშნოს, საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება; კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა დასახელება და მისამართები; სადავო საერთაშორისო ხელშეკრულების დასახელება, მისი ხელმომწერის დასახელება და ხელმოწერის თარიღი, თუ წარდგინება ეხება საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს, ან თანამდებობის პირის დასახელება, თუ წარდგინება ეხება იმპიჩმენტის წესით პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს; საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი,

877

რომლებსაც, კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს სადავო საერთაშორისო ხელშეკრულება; საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც, კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა აზრით, არღვევს თანამდებობის პირი, ან/და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი/მუხლები, რომლით/რომლებით გათვალისწინებული დანაშაულიც, კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა აზრით, ჩაიდინა თანამდებობის პირმა, და იმ ქმედების აღწერა, რომელიც, კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა აზრით, იმპიჩმენტის საფუძველია; მტკიცებულებანი, რომლებიც, წარდგინების ავტორთა აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას; მოთხოვნის არსი; საქართველოს კონსტიტუციის და ამ კანონის დებულებანი, რომლებიც წარდგინების ავტორებს აძლევს კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებას; კონსტიტუციური წარდგინებისთვის დართული საბუთების ჩამონათვალი, აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართები, რომლებიც, წარდგინების ავტორთა აზრით, უნდა გამოიძახოს საკონსტიტუციო სასამართლომ.

878 აღნიშნულ კონსტიტუციურ წარდგინებას უნდა ერთოდეს: სადავო საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტი, თუ წარდგინება ეხება საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს; კონსტიტუციური წარდგინების ავტორების წარმომადგენელთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, რომელშიც მითითებულია მათი მისამართები; საბანკო დაწესებულების საბუთი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ; კონსტიტუციური წარდგინების ელექტრონული ვერსია.

5.2.4. კონსტიტუციური სარჩელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ კონსტიტუციური კანონის დარღვევის შესახებ

879 კონსტიტუციური სარჩელში, რომელიც უკავშირდება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევას, მითითებული უნდა იყოს: საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება; მოსარჩელეთა და მოპასუხეთა დასახელებები და მისამართები; სადავო სამართლებრივი აქტის დასახელება, მისი მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამომცემის თარიღი; „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დებულებანი, რომლებსაც, მოსარჩელეთა აზრით, არღვევს ან არ შეესაბამება სადავო აქტი; მტკიცებულებანი, რომლებიც, მოსარჩელეთა აზრით, ადასტურებს

კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობას; მოთხოვნის არსი; საქართველოს კონსტიტუციის და ამ კანონის დებულებანი, რომლებიც მოსარჩელეს აძლევს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებას; კონსტიტუციური სარჩელისთვის დართული საბუთების ჩამონათვალი, აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართები, რომლებიც, მოსარჩელეთა აზრით, უნდა გამოიძახოს საკონსტიტუციო სასამართლომ; მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ, თუ მოსარჩელე საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას მოითხოვს.

აღნიშნულ კონსტიტუციურ სარჩელს უნდა ერთოდეს: სადავო სამართლებრივი აქტის ტექსტი; მოსარჩელის წარმომადგენელთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, რომელშიც მითითებულია მათი მისამართები; საბანკო დაწესებულების საბუთი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ; კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია.

880

5.2.5. წარდგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან შესაბამისობის შესახებ

კონსტიტუციური წარდგინება, რომელიც უკავშირდება „საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს, აღნიშნული უნდა იყოს: საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება; კონსტიტუციური წარდგინების ავტორი და მისი მისამართი; სადავო აქტის დასახელება, მისი მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამომცემის თარიღი; საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების ან საქართველოს კანონების დებულებანი, რომლებსაც, კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს სადავო აქტი; მტკიცებულებანი, რომლებიც, წარდგინების ავტორის აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას; მოთხოვნის არსი; საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური

881

კანონის და ამ კანონის დებულებანი, რომლებიც წარდგინების ავტორს აძლევს კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებას; კონსტიტუციური წარდგინებისთვის დართული საბუთების ჩამონათვალი, აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართები, რომლებიც, წარდგინების ავტორის აზრით, უნდა გამოიძახოს საკონსტიტუციო სასამართლომ.

882 აღნიშნულ კონსტიტუციურ წარდგინებას უნდა ერთოდეს: შესაბამისი დადგენილება¹⁵⁰⁶; სადავო სამართლებრივი აქტის ტექსტი; კონსტიტუციური წარდგინების ავტორის წარმომადგენელთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, რომელშიც მითითებულია მათი მისამართები; საბანკო დაწესებულების საბუთი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ; კონსტიტუციური წარდგინების ელექტრონული ვერსია.

5.2.6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება

883 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქართველოს კონსტიტუციის 59-ე-64-ე მუხლებთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი. მოცემულ შემთხვევაში, კონსტიტუციური წარდგინება ხელმოწერილი უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ და მასში აღნიშნული უნდა იყოს: საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება; კონსტიტუციური წარდგინების ავტორი და მისი მისამართი; ნორმატიული აქტის დასახელება, რომლის კონსტიტუციურობის დადგენასაც ითხოვს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მისი მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამომცემის თარიღი, ხოლო თუ ეს აქტი საერთაშორისო ხელშეკრულებაა – მისი ხელმოწერის დასახელება და ხელმოწერის თარიღი; საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც, კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს ნორმატიული აქტი, რომლის კონსტიტუციურობის დადგენასაც ითხოვს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; მტკიცებულებანი, რომლებიც, კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას; მოთხოვნის არსი; საქართველოს კონსტიტუციის და ამ კანონის დებულებანი, რომლებიც კონსტიტუციური წარდგინების ავტორს აძლევს კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებას;

¹⁵⁰⁶ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 41² მუხლის პირველი პუნქტი.

კონსტიტუციური წარდგინებისთვის დართული საბუთების ჩამონათვალი, აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართები, რომლებიც, კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით, უნდა გამოიძახოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

აღნიშნულ კონსტიტუციურ წარდგინებას უნდა ერთოდეს: სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი; კონსტიტუციური წარდგინების ავტორის წარმომადგენელთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, რომელშიც მითითებულია მათი მისამართები; საბანკო დაწესებულების საბუთი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ; კონსტიტუციური წარდგინების ელექტრონული ვერსია.

884

5.2.7. საერთო სასამართლოს წარდგინება

საერთო სასამართლოს მიერ შეტანილი კონსტიტუციური წარდგინება ხელმოწერილი უნდა იყოს საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის ან საქმის განმხილველი სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის წევრთა მიერ და მასში აღნიშნული უნდა იყოს: საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება; კონსტიტუციური წარდგინების შემტანი სასამართლოს და მოსამართლის/სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის მოსამართლეთა დასახელება და მისამართები; ნორმატიული აქტის დასახელება, რომლის კონსტიტუციურობის დადგენასაც ითხოვს საერთო სასამართლო, მისი მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამომცემის თარიღი, ხოლო თუ ეს აქტი საერთაშორისო ხელშეკრულებაა – მისი ხელმომწერის დასახელება და ხელმოწერის თარიღი; საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც, კონსტიტუციური წარდგინების შემტანი სასამართლოს აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს ნორმატიული აქტი; მტკიცებულებანი, რომლებიც, წარდგინების შემტანი სასამართლოს აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას; საქართველოს კონსტიტუციის და ამ კანონის დებულებანი, რომლებიც კონსტიტუციური წარდგინების შემტან სასამართლოს აძლევს კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებას; კონსტიტუციური წარდგინებისთვის დართული საბუთების ჩამონათვალი.

885

აღნიშნულ კონსტიტუციურ წარდგინებას უნდა ერთოდეს: იმ ნორმატიული აქტის ტექსტი, რომლის კონსტიტუციურობის დადგენასაც ითხოვს საერთო სასამართლო;

886

სასამართლოს აქტი საქმის განხილვის შეჩერების შესახებ; კონსტიტუციური წარდგინების ელექტრონული ვერსია.

5.3. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები

887 ქვეთავში განხილულია საკითხები დაკავშირებული საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეებთან. საქართველოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვით სხვადასხვა სუბიექტები არიან აღჭურვილნი. თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებები და საოქმო ჩანაწერები, რომლითაც მთელ რიგ შემთხვევებში დადგენილია შესაბამისი პრაქტიკა.

5.3.1. სამართალწარმოების მონაწილე სუბიექტები

888 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები არიან - მხარეები, მხარეთა წარმომადგენლები და მხარეთა ინტერესების დამცველები.

889 მხარეებად მიჩნეულნი არიან პირები და ორგანოები, რომლებიც ორგანული კანონის შესაბამისად ითვლებიან მოსარჩელეებად და მოპასუხეებად.

890 თავის მხრივ, მხარეთა წარმომადგენელია ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც მხარეებმა კანონით დადგენილი წესით გადასცეს თავიანთი უფლებამოსილება. საკონსტიტუციო სასამართლოში მხარეს სრული უფლება აქვს თავად მიიღოს მონაწილეობა, თუმცა ორგანული კანონით განსაზღვრულია შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლის დანიშვნა სავალდებულოა. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების შემტან პირთა რაოდენობა ორზე მეტია სავალდებულოა წარმომადგენლის დანიშვნა. ამგვარი ვალდებულება განსაზღვრულია ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც, კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების შემტანი პირი პენიტენციურ დაწესებულებაშია მოთავსებული.

მხარის წარმომადგენლის რწმუნებულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან შესაბამისი დაწესებულებისათვის დადგენილი წესით. 891

რაც შეეხება მხარეთა ინტერესების დამცველს, აღნიშნული სუბიექტებია ადვოკატები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი არიან განახორციელონ საადვოკატო საქმიანობა, ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირები, რომლებიც სამართალწარმოებაში მონაწილეობენ მხოლოდ მხარეებთან ან მათ წარმომადგენლებთან ერთად. მათი დანიშვნის უფლება აქვს როგორც მხარეს, ისე მის წარმომადგენელს. 892

ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში¹⁵⁰⁷ კონსტიტუციურ წარდგინებებს საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განიხილავს წარდგინების ავტორთა და მათ წარმომადგენელთა გარეშე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მოიწვიოს წარდგინების ავტორები. ასევე, სასამართლო უფლებამოსილია იმპიჩმენტის წესით პირთა თანამდებობიდან გადაყენების საკითხთან დაკავშირებით დასკვნის მომზადებისას მოიწვიოს შესაბამისი თანამდებობის პირები და მოისმინოს მათი განმარტებები, მაგრამ ამ პირებს იგი მხარედ არ აღიარებს. აღნიშნულ თანამდებობის პირებს, მიუხედავად იმისა, მიწვეული იქნებიან თუ არა ისინი სასამართლო განხილვაზე, უფლება აქვთ, საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინონ წერილობითი ახსნა-განმარტებები. 893

5.3.2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ მათგან ამონაწერები, გადაიღონ ასლები, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, შუამდგომლობებით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, მისცენ მას ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ 894

¹⁵⁰⁷ კერძოდ მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „თ“ და „კ“ ქვეპუნქტებითა და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ კონსტიტუციურ წარდგინებებთან დაკავშირებული წარდგინებების განხილვის დროს.

ან გააქარწყლონ მეორე მხარის მტკიცებულებები, მოთხოვნები, შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები.

895 მოსარჩელეს უფლება აქვს, შეამციროს მოთხოვნის მოცულობა, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე. სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა, აგრეთვე საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, გარდა განსაზღვრული შემთხვევებისა. აღნიშნული კი უკავშირდება ისეთ შემთხვევას, როდესაც, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტი გაუქმდა ან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი. მოცემულ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.

896 კონსტიტუციით განსაზღვრული თანამდებობის პირების იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხზე შეტანილი კონსტიტუციური წარდგინების ავტორი უფლებამოსილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა. ამისათვის მან წერილობით უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც ვალდებულია მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

897 საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხზე შეტანილი კონსტიტუციური წარდგინების ავტორი უფლებამოსილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა. ამისათვის მან წერილობით უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე უარის თქმა, აგრეთვე

საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შემტანი საერთო სასამართლო ან/და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი, უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა.

მოპასუხე უფლებამოსილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცნოს სარჩელი. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.

მხარეებს ასევე უფლება აქვთ საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე თავიანთი ინტერესების დაცვა მიანდონ ადვოკატს ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირს. მხარეებს უფლება აქვთ ასევე საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება მიანდონ ნდობით აღჭურვილ პირს – წარმომადგენელს.

გარდა უფლებამოსილებებისა მხარეებს აქვს ასევე ვალდებულებებიც. ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად გამოიყენონ თავიანთი უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.¹⁵⁰⁸

5.4. საკონსტიტუციო სამართალწარმოების ვადები

5.4.1. განხილვის საერთო ვადა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულია ის ვადა როდესაც სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე. „ზოგადად, ვადებს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობებში

¹⁵⁰⁸ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27³ მუხლის მე-3 პუნქტი.

წესრიგის შეტანისთვის. ... ვაძებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესშიც¹⁵⁰⁹ სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვაძებს, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას.¹⁵¹⁰

903 იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვის ვადა იქნება არაგონივრულად ხანგრძლივი, უფლების დაცვა გაჭიანურდება და დაკარგავს ეფექტიანობას. არაგონივრულად ხანმოკლე ვადის პირობებში კი მხარეებს და სასამართლოს შესაბამისად ერთმევათ შესაძლებლობა, წარმოადგინონ სასამართლოში საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, სრულყოფილად გამოიკვლიონ საქმის გარემოებები და განახორციელონ საჭირო საპროცესო მოქმედებები, რაც უარყოფითად აისახება საქმის განხილვის ხარისხზე, საფრთხეს უქმნის იმ კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დაცვას, რომელთა დასაცავად პირი მიმართავს სასამართლოს, აჩენს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების და, შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელყოფის საფრთხეს.

904 სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ნაწილია ასევე უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე. სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიანობა და მისი სწორად აღქმა მხარეებისა და საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხზე. დაუსაბუთებელმა, გაურკვეველმა და ზოგადმა ფორმულირებებმა შესაძლოა მხარეებს შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ მართლმსაჯულება იყო თვითნებური და მას აკლდა გამჭვირვალობა. სასამართლომ საკმარისი სიცხადით უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, რომელსაც ეფუძნება მის მიერ მიღებული

¹⁵⁰⁹ იხ. გადაწყვეტილება N3/1/531 II-16,17.

¹⁵¹⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N577 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „დამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 7.

გადაწყვეტილება. სასამართლოს ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს სადავო აქტის მოქმედების ცალკეული ასპექტები და ნორმის მოქმედების ყველა სეგმენტი კომპლექსურად უნდა იქნეს შეფასებული. სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ცხადი უნდა იყოს, რომ საქმის ყველა არსებით საკითხს გაცა პასუხი.¹⁵¹¹ სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლების შეზღუდვის ხარჯზე გაუმართლებელია.¹⁵¹²

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში სარჩელის განხილვის ვადას არა უმეტეს 2 თვით აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

905

ორგანული კანონის აღნიშნული 22-ე მუხლის თავდაპირველი რედაქციის თანახმად, „კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა ყოფილიყო 30 დღეზე მეტი და ის აითვლებოდა საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში საქმის განხილვის ვადას, არა უმეტეს 30 დღისა, აგრძელებდა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.

906

მოგვიანებით, 2002 წლის 12 თებერვლის ცვლილებით, კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადად განისაზღვრა არაუმეტეს 6 თვისა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღებიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში სარჩელის განხილვის ვადას აგრძელებდა არა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი, არამედ - საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

907

ზემოაღნიშნული 6 თვე 9 თვემდე 2009 წლის 22 ოქტომბრის ცვლილებით გაიზარდა. კერძოდ დადგინდა, რომ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა ყოფილიყო 9 თვეზე მეტი საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების

908

¹⁵¹¹ იხ. გადაწყვეტილება N577 II, 9-10.

¹⁵¹² იხ. გადაწყვეტილება N577 II, 13.

რეგისტრაციის მომენტიდან. ასევე, ამ ვადის გაგრძელების უფლებამოსილება კვლავინდებურად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ქონდა, თუმცა ვადის გაგრძელების შესაძლებლობა შეიძლებოდა არა უმეტეს 2 თვისა.

909 2013 წლის 30 მაისის ცვლილებით ორგანული კანონის 22-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი: „კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადა, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ამ სარჩელის/წარდგინების და ამ კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე შეაჩერებს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედებას, არ უნდა აღემატებოდეს შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 30 კალენდარულ დღეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის განმხილველი სასამართლოს დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე ამ ვადას, მის ამოწურვამდე არაუგვიანეს 5 დღისა, არაუმეტეს 15 კალენდარული დღით აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.“

910 აღნიშნული ნორმა გასაჩივრდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. მოსარჩელე მხარე¹⁵¹³ მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმით დადგენილი საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა არაგონივრულად მცირე იყო და ხშირ შემთხვევაში არ იძლეოდა საქმის სრულყოფილი გამოკვლევისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

911 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნული ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N577 გადაწყვეტილებით.¹⁵¹⁴ სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ გარკვეულ შემთხვევაში საქმის განხილვის შემჭიდროვებული ვადების არსებობა, შეზღუდვების დაწესება და სამართლიანი სასამართლოს უფლებებით სარგებლობის პროცესში გარკვეული წესრიგის შეტანა აუცილებელია. საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს კანონმდებლის უფლებამოსილებას, დაადგინოს ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელების ვადები. თუმცა, ნებისმიერი შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო მიზნის მიღწევის თანაზომიერ საშუალებას. არცერთი საპროცესო

¹⁵¹³ იხ. ა(ა)იპ გადაწყვეტილება N577 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდის სარჩელი.

¹⁵¹⁴ იხ. გადაწყვეტილება N577.

ვადა არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს მართლმსაჯულებისა და კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებას. ნებისმიერ შემთხვევაში ვადა უნდა იყოს გონივრული და აკმაყოფილებდეს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს.¹⁵¹⁵ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ შესაძლებელი იყო უფრო ნაკლებად მზღუდველი მექანიზმის შემოღება, რომლითაც დაცული იქნებოდა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, მოსარჩელის სასამართლოსადმი მიმართვის უფლებასა და, მეორე მხრივ, დასახელებული კერძო და საჯარო ინტერესების დაცვას შორის. მათ შორის მაგალითად, როგორც საქმის არსებითი განხილვისას აღინიშნა, სასამართლოს მიერ სადავო ნორმის არა ზოგადად, არამედ მხოლოდ მოსარჩელესთან მიმართებით შეჩერების შესაძლებლობა. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც მაღალია ნორმის შეჩერებით გამოწვეული სავარაუდო ზიანის ალბათობა, ამგვარი მექანიზმი შესაძლებელია მართლაც წარმოადგენდეს პრობლემის გადაჭრის უფრო ზუსტ, უკეთესად მორგებულ მექანიზმს, რომელიც ერთი მხრივ, დაიცავს მოსარჩელის ინტერესს, არ მოხდეს მისი უფლებების შეუქცევადი დარღვევა, ხოლო, მეორე მხრივ, ნორმის მოქმედების შეჩერება ნაკლებად გამოიწვევდა საჯარო ინტერესების ან მესამე პირების უფლებების დარღვევის საფრთხეს. შესაბამისად, შემცირებული იქნებოდა სადავო ნორმის მოქმედებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტები.¹⁵¹⁶

5.4.2. არჩევნები და რეფერენდუმთან დაკავშირებული განხილვის ვადები

გაცილებით შემჭიდროვებული ვადებია დადგენილი ჩასატარებელი ან ჩატარებული არჩევნებისა და რეფერენდუმთან დაკავშირებული დავების განხილვის დროს. კერძოდ, ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან. აღნიშნული კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება ჩასატარებელი არჩევნების დანიშვნამდე არა უგვიანეს 30 დღისა. ეს ვადა არ

912

¹⁵¹⁵ იხ. გადაწყვეტილება N577. II, 17.

¹⁵¹⁶ იხ. გადაწყვეტილება N577. II, 25.

ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც სასარჩელო მოთხოვნა ეხება არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნის ვალდებულების დაკისრებას.

913 რაც შეეხება ჩატარებული არჩევნების, გარდა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისა, ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ საკითხის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში სარჩელის განხილვის ვადას არა უმეტეს 30 დღით აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

914 კიდევ უფრო შემჭიდროვებული ვადაა განსაზღვრული ჩატარებული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის განხილვასთან დაკავშირებით და ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან.

915 აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული დავების განხილვის დროს 9 თვიანი ვადა, რომელიც დადგენილია ზოგადად, სხვა საქმეებთან მიმართებაში კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების განხილვის დროს, ჩერდება.

5.5. საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყება და საქმეთა განაწილება

916 საკონსტიტუციო სამართალწარმოების რამდენიმე სტადიას გამოყოფენ. პირველი სტადია უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვას - კონსტიტუციური წარდგინებისა და სარჩელის შეტანას. შემდეგ ხდება მათი წინასწარი ფორმალური შემოწმება და რეგისტრაცია. მოცემული სტადიის შემდეგ იწყება წარდგენილი სარჩელისა და წარდგინების შესწავლა და მათი არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტა. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად მიიღებს წარდგინებასა და სარჩელს ტარდება არსებითი განხილვის სხდომა და განხილვის შედეგად მიიღება გადაწყვეტილება.

5.5.1. კონსტიტუციური სარჩელის და წარდგინების რეგისტრაცია

საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელსა და კონსტიტუციურ წარდგინებას საქმის მასალების ფორმალური (და არა შინაარსობრივი) მხარის შემოწმების შემდეგ რეგისტრაციაში ატარებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილი თანამშრომელი. 917

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო დეპარტამენტი სარჩელის/წარდგინების შეტანიდან სამი დღის ვადაში ამოწმებს წარდგენილი მასალების ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან. კანონის ფორმალურ მოთხოვნებთან სარჩელის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, საორგანიზაციო დეპარტამენტი უფლებამოსილია, მოსარჩელე მხარესთან, კონსტიტუციური წარდგინების ავტორებთან ან/და მათ წარმომადგენლებთან დააზუსტოს სარჩელთან დაკავშირებული საკითხები. თუ შემოწმების შედეგად ფორმალური უზუსტობები არ იქნა აღმოჩენილი ან რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ ვადაში არსებული უზუსტობა გამოსწორდა, საორგანიზაციო დეპარტამენტი არეგისტრირებს კონსტიტუციურ სარჩელს/წარდგინებას.¹⁵¹⁷ 918

იმ შემთხვევაში თუ კონსტიტუციურ წარდგინებასა თუ სარჩელში არაარსებითი, ფორმალური ხასიათის უზუსტობა აღმოჩნდება სარჩელი და წარდგინება რეგისტრაციაში ტარდება საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის თანხმობით და, თავის მხრივ, მოსარჩელეს, წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს ეძლევა ორგანული კანონით განსაზღვრული 15 დღე უზუსტობის გამოსასწორებლად. 919

თუ ამ ვადაში სარჩელში და წარდგინებაში არსებული უზუსტობა არ გამოსწორდა, სარჩელისა და წარდგინების რეგისტრაცია უქმდება. 920

იმ შემთხვევაში თუ რეგისტრაციაზე უარის ეთქვა მოსარჩელეს ან წარდგინების ავტორს, ან მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს და მდივანი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. 921

¹⁵¹⁷ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის“ მე-12 მუხლის პირველი პუნქტი.

5.5.2. კოლეგიისთვის/პლენუმისთვის საქმის გადაცემა

5.5.2.1. კოლეგიის განსჯადი საქმე

- 922 მას შემდეგ რაც რეგისტრაციაში გატარდება კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციური წარდგინება, დაუყოვნებლივ გადაეცემა ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.
- 923 თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის განსჯად საქმეს 7 დღის ვადაში გადასცემს კოლეგიას საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად. საქმეთა საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებისთვის გადაცემის დროს დაცული უნდა იქნეს რიგითობის წესი. ამ წესის დაცვა არ მოითხოვება იმ შემთხვევაში თუ, რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი იმავე შინაარსისაა ან სამართლებრივად არსებითად უკავშირდება იმ საკითხს, რომელსაც ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიისთვის ადრე გადაცემული კონსტიტუციური სარჩელი. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია ეს სარჩელი ერთ წარმოებად გაერთიანების მიზნით განსახილველად იმავე კოლეგიას გადასცეს.
- 924 მას შემდეგ რაც საქმე გადაეცემა კოლეგიას, სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე საქმის მიღებისთანავე კოლეგიის წევრთაგან ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს განმწესრიგებელი სხდომისთვის და საქმეს კოლეგიის წევრებს გადასცემს.
- 925 მომხსენებელი მოსამართლის შერჩევა ხდება ავტომატური, ელექტრონული წესით შერჩევის სისტემის საშუალებით.
- 926 თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე შემოსული კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებს შორის განაწილებისას მივა დასაბუთებულ დასკვნამდე, რომ განსახილველმა საქმემ თავისი შინაარსით შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა, იგი მისთვის კონსტიტუციური სარჩელის გადაცემიდან 7 დღის ვადაში მიმართავს პლენუმს წერილობით დასაბუთებული წინადადებით საქმის პლენუმის მიერ განხილვის შესახებ. პლენუმი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წინადადების მიღებიდან 2 კვირის ვადაში წყვეტს თავმჯდომარის მიერ წარდგენილი

საქმის პლენუმის მიერ განხილვის საკითხს, რომლის შესახებაც იღებს შესაბამისად საოქმოდ ჩანაწერს ან განჩინებას. განჩინების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს განსახილველად დადგენილი წესით გადასცემს ერთ-ერთ კოლეგიას.

5.5.2.2. პლენუმის განსჯადი საქმე

იმ შემთხვევაში თუ საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯადია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე 7 დღის ვადაში ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს პლენუმის სხდომისთვის და საქმეს მას გადასცემს. მოცემულ შემთხვევაშიც მომხსენებელი მოსამართლე შეირჩევა ავტომატური, ელექტრონული წესით შერჩევის სისტემის საშუალებით.

927

თუ რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსახილველია, ან ასევე იმ შემთხვევაში თუ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის ან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ეს საქმე პლენუმს გადაეცა განსახილველად და იგი შინაარსობრივად ან სამართლებრივად არსებითად უკავშირდება იმ საკითხს, რომელსაც ეხება პლენუმისთვის ადრე გადაცემული კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება, პლენუმი უფლებამოსილია ეს სარჩელები ან წარდგინებები ერთ წარმოებად გააერთიანოს.

928

5.5.2.3. მომხსენებელი მოსამართლის დანიშვნის წესი

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 31² მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მომხსენებელი მოსამართლე შეირჩევა ავტომატური, ელექტრონული წესით შერჩევის სისტემის საშუალებით. აღნიშნული მეთოდი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში 2016 წლის ცვლილებების შედეგად ჩაიწერა.

929

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-14 მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ კონსტიტუციური

930

სარჩელისა და წარდგინების განაწილების შემდეგ, მომხსენებელი მოსამართლის ავტომატური, ელექტრონული წესით შერჩევის სისტემა კოლეგიის/პლენუმის საქმეებზე მომხსენებლად შეარჩევს სასამართლოს წევრს ანბანური თანმიმდევრობით. ავტომატური სისტემის მიერ კანდიდატის შერჩევის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო, თუ საქმე კოლეგიის განსჯადია - შესაბამისი კოლეგიის თავმჯდომარე, იღებს რეზოლუციას შერჩეული პირის მომხსენებელ მოსამართლედ დანიშვნის შესახებ.

931 პლენუმის ან კოლეგიის თავმჯდომარე უფლებამოსილია, მომხსენებლად დანიშნოს ავტომატური სისტემის მიერ შეთავაზებული წევრისგან განსხვავებული წევრი იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ კონსტიტუციური სარჩელი/წარდგინება იმავე შინაარსისა ან სამართლებრივად არსებითად უკავშირდება იმ საკითხს, რომელსაც ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისათვის/კოლეგიისათვის ადრე გადაცემული კონსტიტუციური სარჩელი/წარდგინება და მიზანშეწონილია ხსენებულ სარჩელებზე/წარდგინებებზე მომხსენებლად ერთი და იმავე პირის დანიშვნა. მოცემულ შემთხვევებში პლენუმის ან კოლეგიის თავმჯდომარე იღებს დასაბუთებულ რეზოლუციას.

932 თავის მხრივ საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია შემთხვევები, რა დროსაც შესაძლებელია მომხსენებელი მოსამართლის შეცვლა. აღნიშნული ნორმის თანახმად, მომხსენებელი მოსამართლე შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვას (მის რომელიმე ეტაპს) ან გადაწყვეტას ჩამოცილდა წევრი, რომელიც დანიშნული იყო მომხსენებელ მოსამართლედ, ასევე ცვლილება შესაძლებელია თუ პლენუმის ან კოლეგიის საოქმო ჩანაწერით მოხდა სხვადასხვა საქმეების ერთ საქმედ გაერთიანება და მათზე მომხსენებელ მოსამართლედ დანიშნული იყვნენ სასამართლოს სხვადასხვა წევრები. ასეთ შემთხვევაში ერთ საქმედ გაერთიანებულ ყველა კონსტიტუციურ სარჩელზე/წარდგინებაზე მომხსენებელ მოსამართლედ ინიშნება ის წევრი, რომელიც იყო მომხსენებელ მოსამართლედ დანიშნული ყველაზე ადრე რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელზე/წარდგინებაზე. ამ შემთხვევებშიც მიიღება პლენუმის ან კოლეგიის თავმჯდომარის მიერ დასაბუთებულ რეზოლუცია.

5.6. არსებითად განსახილველად მიღების საკითხის განხილვა და გადაწყვეტა

5.6.1. სარჩელისა და წარდგინების არსებითად მიღება

როგორ წესი, საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების ინიცირების ძირითადი საფუძველია ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელები, რომელთა ნაწილიც ხშირად აშკარად დაუსაბუთებელია; ისინი მიზნად არ ისახავს დარღვეულ უფლებათა აღდგენას, ან/და დარღვევის პრევენციას. რიგ შემთხვევებში, მსგავსი სარჩელები არ მიემართება კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებას და მათ არ აქვთ კონსტიტუციური განზომილება. იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შეძლოს ამგვარი გადატვირთვისგან დაცვა და კონცენტრირება უფლების დარღვევის რეალურ ფაქტებზე, არსებობს საპროცესო „ფილტრები“, რაც, ძირითადად, კონსტიტუციური სარჩელის დაუშვებლად ცნობის საფუძველში გამოიხატება.¹⁵¹⁸ ამგვარი ფილტრები, წინაპირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კონსტიტუციური სარჩელი თუ წარდგინება მოცემულია ნაწილობრივი ძირითად კანონში და უფრო დეტალურად საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში.

933

კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ: იგი ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31¹ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს; იგი შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის) მიერ; მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი; მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა; მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით; არასაპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა; სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი

934

¹⁵¹⁸ AMICUS CURIAE BRIEF FOR THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA ON THE EFFECTS OF CONSTITUTIONAL COURT DECISIONS ON FINAL JUDGMENTS IN CIVIL AND ADMINISTRATIVE CASES, CDL-AD(2018)012, § 29.

იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.¹⁵¹⁹

935 თუ მოსარჩელე/წარდგინების ავტორი ითხოვს რამდენიმე საკითხის გადაწყვეტას, რომელთა ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია, ხოლო ნაწილი ხელისუფლების სხვა ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს მხოლოდ ამ კანონით მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებს.

936 მომხსენებელი მოსამართლე კონსტიტუციური სარჩელისა და კონსტიტუციური წარდგინების შესწავლისას არკვევს, არსებობს თუ არა ზემოაღნიშნული საფუძველი სარჩელის/წარდგინების ან მასში მითითებული რომელიმე საკითხის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმისთვის. საჭიროების შემთხვევაში მომხსენებელი მოსამართლე, მხარეებთან, კონსტიტუციური წარდგინების ავტორებთან ან/და მათ წარმომადგენლებთან აზუსტებს საქმესთან დაკავშირებულ საკითხებს.

937 საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი წყდება განმწესრიგებელ სხდომაზე, რომელიც, როგორც წესი, ტარდება ზეპირი მოსმენის გარეშე. თუ საქმის განმხილველი კოლეგია/პლენუმი მივა დასკვნამდე, რომ საქმის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებული გარემოებების გამორკვევისათვის აუცილებელია ზეპირი მოსმენა, იღებს საოქმო ჩანაწერს განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით ჩატარების შესახებ. აღნიშნული საოქმო ჩანაწერის შესახებ მიეთითება სხდომის ოქმში.

938 პლენუმის განმწესრიგებელი სხდომის თარიღს ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომისას – შესაბამისი კოლეგიის თავმჯდომარე.

939 განხილვის შედეგად კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე მიიღება სასამართლოს შესაბამისად პლენუმის ან კოლეგიის საოქმო ჩანაწერი. ხოლო იმ შემთხვევაში თუ სასამართლო

¹⁵¹⁹ იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლი.

უარს ამბობს საქმის არსებითად განხილვაზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც უნდა იყოს დასაბუთებული.

დასაბუთებული განჩინება მიიღება ასევე იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე უკავშირდება ე.წ. დამძლეუ ნორმას. კერძოდ, თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.¹⁵²⁰

940

აღნიშნული განჩინება ძალაში შედის გამოქვეყნების მომენტიდან. ამგვარივე განჩინებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლო ასევე იმ შემთხვევაში თუ სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან შეუსაბამოდ ან საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ან საქართველოს კანონებთან შეუსაბამოდ.

941

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სასამართლო არ მიიღებს განჩინებას, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან, ან როდესაც განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას.

942

¹⁵²⁰ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან, ან როდესაც განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას.

943 კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო მოპასუხეს საოქმო ჩანაწერის მიღებიდან 3 დღის ვადაში უგზავნის საქმის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე შეტყობინებას და საქმის მასალებს. იმპიჩმენტის საკითხის განხილვის შემთხვევაში იმ თანამდებობის პირს, რომლის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხიც არის აღძრული, სასამართლო კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციაში გატარებიდან 3 დღის ვადაში უგზავნის წარდგინების საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანის თაობაზე შეტყობინებას და საქმის მასალებს.

5.6.2. საკონსტიტუციო სარჩელის დაუშვებლობის საფუძვლები

5.6.2.1. კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთება

944 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31.ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს. კონსტიტუციურ სარჩელში ან კონსტიტუციურ წარდგინებაში აუცილებლად უნდა იყოს მოყვანილი ის მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელის ან წარდგინების ავტორის აზრით ადასტურებენ სარჩელის ან წარდგინების საფუძვლიანობას.“

945 კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთება მოიცავს ორ ასპექტს. ერთი მხრივ, დასაბუთება შინაარსობრივად უნდა შეეხებოდეს სადავო ნორმას (მოსარჩელემ სწორად უნდა შეარჩიოს ნორმა, რომელიც მის უფლებებს ზღუდავს) და მეორე მხრივ, მასში გამოკვეთილი უნდა იყოს აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებებს შორის, რომლებთან მიმართებითაც მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას. ეს, ძირითადად, მოიაზრებს იმ უფლების სწორად იდენტიფიცირებას, რომელსაც, მოსარჩელის პოზიციით, არღვევს მის მიერ გასაჩივრებული ნორმა.¹⁵²¹

¹⁵²¹ კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთების სტანდარტები, გვ., 30.

„კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისთვის, 946
საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმაში ის პრობლემა უნდა ამოიკითხოს,
რომელზეც მოსარჩელე მხარე აპელირებს.“¹⁵²² სადავო ნორმის შინაარსის
განმარტებისას, საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, ეყრდნობა თავად
ნორმას – თუ რამდენად ცხადად იკითხება მოსარჩელის მიერ მითითებული შინაარსი
ნორმის ტექსტიდან – ხოლო მეორე მხრივ, სამართალშემფარდებლის
ავტორიტეტულ განმარტებას. როგორც წესი, სამართალშემფარდებლის
ავტორიტეტულ განმარტებად მიიჩნევა საერთო სასამართლოთა მიერ სადავო
ნორმის განმარტებისა და გამოყენების პრაქტიკა.¹⁵²³

მოსარჩელემ სადავო უნდა გახადოს არა აღმჭურველი, არამედ მზღლუდავი ხასიათის 947
ნორმა. აღმჭურველი ნორმა პირს ანიჭებს უფლებას, შესაძლებლობას, ხოლო
შემზღლუდავი ნორმის შედეგი გახლავთ ადამიანის თავისუფალი მოქმედების
ფარგლების შემცირება უფლებათა განხორციელებისას (დასახელებული სტანდარტი
არ მიემართება ნორმის გასაჩივრებას თანასწორობის უფლებასთან მიმართებით).¹⁵²⁴

თავისი პრაქტიკის განვითარების კვალდაკვალ და წარდგენილ სარჩელთა 948
მატებასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლომ გაამკაცრა კონსტიტუციური
სარჩელის დასაბუთებულობის მოთხოვნა არსებითად განსახილველად მიღების
ეტაპზე: თუ თავდაპირველ ეტაპზე უფლების შეზღუდვის ან/და სადავო ნორმის
კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართების წარმოჩენა სარჩელის არსებითად
განსახილველად მიღებისათვის საკმარისი იყო, დღეს მოსარჩელე მხარეს
მოეთხოვება, ასევე ნათლად წარმოაჩინოს სადავო რეგულირების შესაძლო
არაკონსტიტუციურობა. აღნიშნული სტანდარტით, კონსტიტუციური სარჩელის
არსებითად განსახილველად მიღება სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს,
თავიდან აირიდოს უპერსპექტივო და დაუსაბუთებელი სარჩელები.¹⁵²⁵

¹⁵²² იქვე, გვ., 31.

¹⁵²³ „ჩვეულებრივ, საკონსტიტუციო სასამართლო, საკანონმდებლო ნორმას იღებს და განიხილავს იმ
ნორმატიული შინაარსით, რომლითაც საერთო სასამართლომ გამოიყენა. იგი უფლებამოსილია, არ მიიღოს
საერთო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტება, თუ: ა) ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოს
განმარტებები წინააღმდეგობრივია; ბ) საერთო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტება აშკარად
არაგონივრულია.“ იხ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, გვ., 33.

¹⁵²⁴ კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, გვ., 36.

¹⁵²⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის No1/4/1416 განჩინება საქმეზე „მშს
„სვეტი ღვთისმშენი“, მშს „სვეტი ჯგუფი“, მშს „სვეტი“, მშს „სვეტი ნუგზიძე“, გივი ჯიბლაძე, თორნიკე
ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართველო-ლოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; ასევე,
2020 წლის 29 აპრილის No2/8/1496 განჩინება საქმეზე „თეკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის
წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 12 თებერვლის No1/3/1555 განჩინება

5.6.2. სათანადო სუბიექტის საკითხი

- 949 კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არსებითად განსახილველად არ მიიღება თუ იგი შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის) მიერ.
- 950 მოსარჩელე სუბიექტებისა და წარდგინების უფლებით აღჭურვილი სუბიექტები საქართველოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონის არის განსაზღვრული და შესაბამისად თითოეულ შემთხვევაში აუცილებელია სახეზე იყოს პროცესუალური სამართალსუბიექტობა.
- 951 საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების, საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებამდე შესაბამის ორგანოთა მიერ მიღებული/გამოცემული ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს.
- 952 პოლიტიკური პარტიის შექმნის, საქმიანობის და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის კონსტიტუციურობის შესახებ სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს ან საქართველოს მთავრობას.
- 953 საკონსტიტუციო სასამართლოში სახელმწიფო ორგანოთა შორის კომპეტენციის ფარგლების შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ

საქმეზე „გივი ლუაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-7. ასევე იხ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, გვ., 53.

მეხუთედს და საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლში აღნიშნულ ორგანოებს. საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტის წევრებს უფლება აქვთ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს თუ მიიჩნევენ რომ დარღვეულია შესაბამისად პრეზიდენტისა და პარლამენტის კომპეტენცია. აღნიშნულ სუბიექტებს უფლება აქვთ კომპეტენციურ დავებზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ ასევე სხვა სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლების დარღვევის შემთხვევაში. რაც შეეხება კონსტიტუციის მე-60 მუხლში აღნიშნულ ორგანოებს, მათ უფლება აქვთ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს თუ ისინი მიიჩნევენ, რომ დარღვეულია მათი კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები.

არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს სახალხო დამცველს. მოსარჩელე სუბიექტები არ იცვლება არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე უკვე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შემთხვევაში.

954

საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას ან საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების შეტანისა – საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს.

955

საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს ან იმ მოქალაქეს, რომლის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა.

956

საკონსტიტუციო სასამართლოში იმპიჩმენტის წესით კონსტიტუციით განსაზღვრული შესაბამისი თანამდებობის პირების თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე

957

დასკვნის მისაღებად საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

958 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

959 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან შესაბამისობის შესახებ კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტს დადგენილებით.

960 საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს.

961 საქართველოს კონსტიტუციის 59-ე-64-ე მუხლებთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

962 საერთო სასამართლოში საქმის განხილვისას გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს საქმის განმხილველ სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს განიხილავს წარდგინების ავტორისა და იმ ორგანოს დაუსწრებლად, რომლის აქტიც გახდა დავის საგანი.

963 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით.

საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს მეორე 964
 თავით აღიარებულ უფლებებთან მიმართებით სარჩელის წარდგენის უფლება აქვთ
 თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს
 საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და
 თავისუფლებანი. რაც შეეხება საქართველოს სახალხო დამცველს, უფლება აქვს
 შეიტანოს სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი თუ მიაჩნია, რომ დარღვეულია
 საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და
 თავისუფლებანი.

როგორც აღიშნა, საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ 965
 პირებს მეორე თავით აღიარებულ უფლებებთან მიმართებით სარჩელის წარდგენის
 უფლება აქვთ თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ
 დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი
 უფლებანი და თავისუფლებანი. აღნიშნული გულისხმობს, რომ უპირველეს ყოვლისა
 უშუალოდ მისი უფლება უნდა იყოს დარღვეული (სავარაუდოდ), ან იგი უნდა
 ასაბუთებდეს, რომ პერსპექტიულად არსებობს კონსტიტუციით გარანტირებული
 მისი უფლების დარღვევის რეალური საფრთხე. დაუშვებელია სხვისი უფლებების
 დაცვის მიზნით მიმართო საკონსტიტუციო სასამართლოს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს 966
 საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე
 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ფიზიკური პირები
 უფლებამოსილი არიან, კონსტიტუციური სარჩელით მიმართონ სასამართლოს, „...
 თუ მათ მიაჩნიათ, რომ დაირღვა ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს
 კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი“.
 აღნიშნული ნორმის მიზანს წარმოადგენს კონკრეტული ინდივიდის უფლების დაცვა
 ან მისი უფლებების აშკარა დარღვევის პრევენცია. სწორედ ამიტომ ფიზიკური პირი
 არის აღჭურვილი უფლებით, ეჭვქვეშ დააყენოს ნორმატიული აქტის
 კონსტიტუციურობა, თუ მიიჩნევს, რომ ასეთი აქტის მოქმედებით მან უშუალოდ
 განიცადა ზიანი ან ზიანის მიღების საფრთხე უშუალოდ მისთვის არის რეალური“.¹⁵²⁶

¹⁵²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის №2/2/508 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გვორჯი ბაბაიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

- 967 აღნიშნული ნორმა, „ერთი მხრივ, აღჭურავს ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებით, თუმცა, მეორე მხრივ, გამორიცხავს სასამართლოსათვის მიმართვის პროცესში „actio popularis“ შესაძლებლობას.¹⁵²⁷
- 968 პირის მიერ გასაჩივრებული ნორმა უშუალოდ მოსარჩელეს უნდა ეხებოდეს და არა მესამე პირს. №514 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელედ მითითებული იყო და სარჩელზე ხელს აწერდა ირაკლი ქემოკლიძის მეურვე მაია ასაკაშვილი. მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ იგი, როგორც მეურვე, სამეურვეო პირის ინტერესებს წარმოადგენდა მესამე პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოსთან და სასამართლოსთან ურთიერთობაში და მეურვე იყო უფლებამოსილი სუბიექტი, სამეურვეო პირის სახელით ედავა კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით. იგი მიუთითებდა, რომ სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთელი რიგი ნორმები წინააღმდეგობაში მოდიოდა ირაკლი ქემოკლიძის კონსტიტუციურ უფლებებთან, ვინაიდან ზღუდავდა კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ქმედუნარო პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს. საკონსტიტუციო სასამართოს განმარტებითი, აღნიშნულ მსჯელობას, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგლამენტირებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი. საკონსტიტუციო სასამართლოში ყველა პირი თავადაა უფლებამოსილი, იდავოს საკუთარი უფლებების დარღვევაზე.¹⁵²⁸
- 969 ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე, სრულწლოვანი პირი, სადავოს ხდიდა ნორმებს, რომლებიც კრძალავდა ცალკეული ფარმაცევტული პროდუქტების მიყიდვას არასრულწლოვნისათვის. სასამართლომ განმარტა, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგლამენტირებული კანონმდებლობა არ განასხვავებდა სრულწლოვან და არასრულწლოვან პირებს სასამართლოსთვის მიმართვის კუთხით. არასრულწლოვან პირს შეუძლია, თავად იდავოს საკუთარ დარღვეულ უფლებაზე. მოსარჩელე დავობდა არა საკუთარი, არამედ სხვა, 18 წელს მიუღწეველი პირების ინტერესთა დასაცავად, რომლებსაც თავადაც შეუძლოთ საკუთარი დარღვეული

¹⁵²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბრის N2/4/507 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი თარგამაძე, გიორგი ლეკიშვილი, ინგა გრიგოლია და ჯაბა სამუშია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-3;.

¹⁵²⁸ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის N2/3/514 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3.

უფლების დაცვა, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად.¹⁵²⁹

სასამართლოს განმარტებით, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგულამენტირებელი კანონმდებლობა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან არ მიჯნავს პირებს მათი გონებრივი თუ სხვაგვარი შესაძლებლობების მიხედვით. უფრო მეტიც, სამოქალაქო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, კონსტიტუციური სამართალწარმოება საერთოდ არ იცნობს ქმედუნარობის ინსტიტუტს. შესაბამისად, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სასამართლოსთვის მიმართვის სუბიექტებში იგულისხმება ნებისმიერი პირი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ქმედუნაროდ ითვლებიან.¹⁵³⁰

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიზნებისათვის, თავად მოსარჩელე ქმედუნარიანი პირია, ხოლო სასარჩელო არგუმენტაციიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ იგი დავობს სამოქალაქო კოდექსის მიზნებისათვის ქმედუნარო პირად აღიარებულ პირთა უფლებების დარღვევაზე. მოცემულ შემთხვევაში იგი გვევლინება არა მისი, არამედ სხვა პირის, ამ შემთხვევაში მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დამცველად. საკონსტიტუციო სამართალწარმოება არ აღჭურავს პირებს სასამართლოსთვის „actio popularis“ საშუალებით მიმართვის და ამ ფორმით სხვისი უფლებების დასაცავად სასამართლო დავის წარმოების უფლებამოსილებით.¹⁵³¹

კონსტიტუციურ სარჩელში მოყვანილი არგუმენტაციის ანალიზის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლო ასკვნის, რომ სარჩელი შემოტანილი არ არის იმ პირის მიერ, ვისი უფლებების დარღვევაზეც მიუთითებს სარჩელში მოყვანილი არგუმენტაცია. მოსარჩელე გვევლინება არა საკუთარი, არამედ სხვა პირის ინტერესების დამცველად. აღნიშნული ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგულამენტირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებს,

¹⁵²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის №1/3/606 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.. ასევე იხ. კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, გვ., 136.

¹⁵³⁰ იხ. განჩინება N2/3/514 II, 4.

¹⁵³¹ იქვე, II, 5.

970

971

972

რომლებიც გამორიცხავს პირების მიერ სხვისი უფლებების დაცვის მიზნით კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას. შესაბამისად, სახეზეა კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად არმიღების „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.¹⁵³²

973 როგორც აღინიშნა, სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელია ასევე არა მხოლოდ უკვე დარღვეული, არამედ ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა სამომავლოდ დაირღვეს მოსარჩელის კონსტიტუციური უფლებები.

974 ერთ-ერთ საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლოში მოქალაქემ გაასაჩივრა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს საპენსიო ასაკის - 65 წელს მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლის ასაკიდან. ნორმა გასაჩივრებული იყო თანასწორობის უფლებასთან მიმართებაში.

975 იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე 36 წლის ასაკის იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში წინასწარ, ზუსტი დამაჯერებლობით შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ 24 წლის შემდეგ, სადავო ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის შინაარსისა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების შესაძლო ცვლილების გათვალისწინებით, მას კვლავ ექნება იგივე შინაარსი, რაც დღეს აქვს და შედეგად მოსარჩელე მაღალი ალბათობით გახდება დადგენილი დიფერენციაციის სუბიექტი. ამგვარი ხანგრძლივი პერიოდი არ წარმოადგენს ისეთ განჭვრეტად მომავალს, რომლის პირობებშიც შესაძლებელი იქნება უფლების დარღვევის საფრთხის რეალურობის შეფასება. იმის ვარაუდი, რომ კონსტიტუციური სარჩელის ავტორი 24 წლის შემდეგ აუცილებლად გახდება სადავო რეგულირების სუბიექტი და აღმოჩნდება უფლების დარღვევის საფრთხის წინაშე, არ აკმაყოფილებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დამკვიდრებულ სტანდარტს. შესაბამისად, წარმოდგენილი კონსტიტუციური

¹⁵³² იქვე, II, 6.

სარჩელიდან უშუალოდ მოსარჩელის უფლების სავარაუდო დარღვევის რეალური საფრთხე არ იკვეთება.¹⁵³³

ასეთ პირობებში, მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია არა საკუთარი არამედ სხვა პირთა უფლებების დაცვისკენ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი „ერთი მხრივ, აღჭურავს ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებით, თუმცა, მეორე მხრივ, გამორიცხავს სასამართლოსათვის მიმართვის პროცესში „actio popularis“ შესაძლებლობას. მოსარჩელე უფლებამოსილია, იდავოს ნორმატიული აქტების საფუძველზე უშუალოდ მისი უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით“.¹⁵³⁴ N1258 კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ გამხდარი ნორმა დღეს და განჭვრეტად მომავალში შეეხება არა მოსარჩელეს არამედ სხვა პირებს. შესაბამისად, შინაარსობრივად N1258 კონსტიტუციური სარჩელი ემსგავსება „actio popularis“ რაც საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში არ დაიშვება.¹⁵³⁵

აღსანიშნავია, საკონსტიტუციო სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელებს საქმის არსებითად განსახილველად მიღებაზე სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც უკავშირდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების შესაძლებლობას ედავათ საზოგადოებრივი მაუწყებლის სახელით. სასამართლომ აღნიშნა, რომ „იმისათვის რომ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს საზოგადოებრივი მაუწყებლის კონსტიტუციურ უფლებებში ჩარევასთან დაკავშირებით, აუცილებელია, რომ ის კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით მოსარჩელედ იყოს მითითებული. სარჩელში კი მოსარჩელებად სამეურვეო საბჭოს წევრები იყვნენ მითითებულნი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ნაწილში კონსტიტუციური სარჩელი ვერ აკმაყოფილებს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ მოთხოვნებს.¹⁵³⁶

¹⁵³³ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/7/1258 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ვაშაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II. 3.

¹⁵³⁴ განჩინება N2/4/507 II-3;.

¹⁵³⁵ იხ. განჩინება №2/7/1258, II. 4.

¹⁵³⁶ იხ. საოქმო ჩანაწერი საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ეშვარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, 14.

978 უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ მოცემულ საკითხთან მიმართებაში განსხვავებული აზრი დააფიქსირა და აღნიშნა, რომ „იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაინახავს, რომ მოსარჩელე კონსტიტუციური სარჩელის ფორმალურ გრაფაში არასწორად მიუთითებს „მოსარჩელის დასახელებას“, თუმცა, კონსტიტუციური სარჩელის სხვა ნაწილებისა და სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზით ირკვევა, რომ მას აქვს შესაბამისი უფლებამოსილება და სურს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლების მქონე პირის სახელით იდავოს, კონსტიტუციური სარჩელის არმიღების საფუძველი არ უნდა გახდეს საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგულირებელი კანონის ფორმალური მოთხოვნები“.¹⁵³⁷

5.6.3. განსჯადობა

979 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები საქართველოს კონსტიტუციით არის განსაზღვრული. როგორც აღინიშნა, 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმაზე სასამართლო უფლებამოსილებები ასევე ორგანული კანონითაც იყო დადგენილი, თუმცა დღეის მდგომარეობით სწორედ ქვეყნის ძირითადი კანონი ადგენს საკითხთა იმ ნუსხას, რომელთან მიმართებაშიც საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება.

980 თავის მხრივ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით სასამართლო არსებითად განსახილველად არ მიიღებს სარჩელსა თუ წარდგინებას, თუ მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი;

981 ასე მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმ საფუძველით, რომ საკითხი მისი უფლებამოსილების ფარგლებს სცდებოდა არსებითად განსახილველად არ მიიღო სარჩელები, რომელთა დავის საგანიც იყო კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციურობის შეფასება.¹⁵³⁸

¹⁵³⁷ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი, 3.

¹⁵³⁸ დეტალურად, იხ. განჩინება №1/1/549; განჩინება N 2/2/486; განჩინება N 1/2/523.

საკონსტიტუციო სასამართლო ასრულებს ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციას, გავლენას ახდენს ნორმაშემოქმედებით საქმიანობაზე – სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა (ნორმები) კარგავს იურიდიულ ძალას, მეტიც, კანონმდებელმა, ხშირ შემთხვევაში, უნდა მიიღოს ახალი, კონსტიტუციის შესაბამისი ნორმები, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ქვეყანაში ახალი წესრიგის დადგენას (შექმნას) კი არ ემსახურება, არამედ უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას და ქმედითობას, ხელს უწყობს მის შესრულებას როგორც სახელმწიფოს, ისე ხალხის მიერ.¹⁵³⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია მხოლოდ კანონმდებლობაში არსებული არაკონსტიტუციური რეგულაციების, წესებისთვის იურიდიული ძალის გაუქმებისა და მათთვის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის რესურსის გაუქმების უფლებამოსილება. საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატს სცდება უფლებამოსილება, ძალადაკარგული სამართლებრივი ნორმების ნაცვლად კანონმდებლობაში დაადგინოს განსხვავებული, თუნდაც კონსტიტუციური წესები.¹⁵⁴⁰ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ გააუქმოს სადავო ნორმა მთლიანად ან/და მისი რომელიმე ნაწილი/ნორმატიული შინაარსი, თუმცა მას არ შეუძლია დაადგინოს ახალი წესრიგი, გააფართოოს სადავო ნორმის მოქმედება და ა.შ. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ სადავო ნორმის რომელიმე ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობაში, მის გაუქმებაში.¹⁵⁴¹

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე ითხოვდა არა სადავო ნორმის რომელიმე ნორმატიული შინაარსის გაუქმებას, არამედ ახალი ნორმატიული შინაარსის შექმნას. მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ იგი დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იყო და მოითხოვდა აღნიშნული მდგომარეობის აღმოფხვრას და სათანადო კომპენსაციის დანიშვნას. სასამართლოს განმარტებით მოსარჩელე, რეალურად, პრობლემურად საერთოდ არ მიიჩნევდა სადავო ნორმის საფუძველზე კომპენსაციის გაცემას, არამედ ითხოვდა, რომ სადავო ნორმის შინაარსი გაფართოვებულიყო და იგივე წესი გამოყენებულიყო მის მიმართაც. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული მოთხოვნა შინაარსობრივად კანონმდებლობაში პოზიტიური ჩანაწერის

¹⁵³⁹ გადაწყვეტილება №1/466, II, 18.

¹⁵⁴⁰ გადაწყვეტილება №3/6/642 II, 20.

¹⁵⁴¹ გადაწყვეტილება №3/6/642 II, 21-22.

გაკეთების იდენტური იყო, რაც კანონშემოქმედებითი პროცესის ნაწილი იყო და არა ნეგატიური კანონმდებლის კომპეტენციის ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა რომ იგი არ არის უფლებამოსილი, დააკმაყოფილოს მოსარჩელის მოთხოვნა და მიანიჭოს მას შესაბამისი სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება.

5.6.3. ხელახლა განხილვა

984 საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.¹⁵⁴² საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მასში განსაზღვრული მოთხოვნები, სტანდარტები, განმარტებები, დამკვიდრებული პრაქტიკა სავალდებულოა.

985 ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად არ მიიღებს კონსტიტუციურ სარჩელსა თუ წარდგინებას იმ შემთხვევაში თუ წარდგინებასა თუ სარჩელში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. გარდა, იმ შემთხვევისა თუ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან, ან თუ განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას.

¹⁵⁴² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 60, პუნქტი 5.

გადაწყვეტილებისთვის პრეცედენტული ძალის მინიჭების კიდევ ერთი მიზეზია, დაიზოგოს სასამართლოსა და მოსარჩევეების დრო და რესურსები.¹⁵⁴³ ამავედროულად, წინასწარ ჩამოყალიბებული პრაქტიკის მეშვეობით, უფლებათა სუბიექტებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის პროგნოზირებადი ხდება საკუთარი ქმედებების შედეგები და მათ საშუალება ეძლევათ, დადგინონ სამართლებრივი წესების შესაბამისად განსაზღვრონ საკუთარი ქცევა.¹⁵⁴⁴

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის თანახმად, თუ საკონსტიტუციო სასამართლო გამწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

ასე მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 24 ივნისის 563-ე განჩინებით არ მიიღო არსებითად განსახილველად სარჩელი და ძალადაკარგულად გამოაცხადა გასაჩივრებული ნორმები. სასამართლოს განმარტებით, ერთი მხრივ, არ არსებობდა სახეზე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები. მეორე მხრივ კი გასაჩივრებული ნორმა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის მიზნებისთვის წარმოადგენდა იმავე შინაარსის ნორმას, რაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილებით. შესაბამისად, სასამართლომ იგი ძალადაკარგულად გამოცხადა საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

¹⁵⁴³ The Supreme Court’s Overruling of Constitutional Precedent; Congressional Research Service R45319 · VERSION 3. The Supreme Court’s Overruling of Constitutional Precedent, Congressional Research Service, Brandon J. Murrill, 09.24.2018; გვ. 1089. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://fas.org/sgp/crs/misc/R45319.pdf>.

¹⁵⁴⁴ The Supreme Court’s Overruling of Constitutional Precedent; Congressional Research Service R45319 · VERSION 3. The Supreme Court’s Overruling of Constitutional Precedent, Congressional Research Service, Brandon J. Murrill, 09.24.2018; გვ. 1092. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://fas.org/sgp/crs/misc/R45319.pdf>.

989 მეორე მხრივ, სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე¹⁵⁴⁵ არ დაკმაყოფილა კონსტიტუციურ სარჩელში დაყენებული მოთხოვნა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის საფუძველზე „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების სიტყვების „ან პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე“ არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და ძალადაკარგულად ცნობის შესახებ, რამდენადაც მიიჩნია მსგავსი შინაარსის მატარებელი არ იყო.¹⁵⁴⁶

990 კანონის განსახილველი დანაწესი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პროცესის ეკონომიურობის პრინციპის დაცვას, კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც გასაჩივრებული საკითხი მატერიალური თვალსაზრისით სასამართლოს უკვე გადაწყვეტილი აქვს, საკონსტიტუციო სასამართლოს არ უწევს ნორმის კონსტიტუციურობაზე საქმის არსებითი განხილვის ფორმატში განმეორებით მსჯელობა. მეორე მხრივ, ხსენებული ნორმა წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი გადაწყვეტილების შესრულების ზედამხედველობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციის ეფექტურ მექანიზმს. ასეთი დავების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია დადგინდეს, რომ სადავოდ გამხდარი ნორმა შინაარსობრივად იდენტურია იმ ნორმისა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით წარსულში ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად და იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგს.¹⁵⁴⁷

¹⁵⁴⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი N640 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლამა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი დია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁵⁴⁶ იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ქეთევან ერემაძის განსხვავებული აზრი აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. მოსამართლეს მიაჩნდა რომ არსებობდა საფუძველი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტზე დაყრდნობით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების სიტყვების „ან პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე“ არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად ცნობისთვის, ვინაიდან სადავო დებულების გონივრული განმარტება იძლეოდა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ ის შეიცავდა იგივე შინაარსის ნორმას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით N1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ვკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁵⁴⁷ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის №1/5/525 განჩინება საქმეზე „მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 7.

სადავო ნორმები შეიცავს თუ არა იმავე შინაარსის ნორმას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად - უნდა შეფასდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი ძირითადი სტანდარტების, კრიტერიუმების მიხედვით: ა) ნორმა უნდა იწვევდეს იგივე კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას; ბ) უფლების შეზღუდვა უნდა ხდებოდეს მსგავსი სამართლებრივი საშუალებით; გ) უნდა იწვევდეს იდენტურ ან არსებითად მსგავს სამართლებრივ შედეგს.¹⁵⁴⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო როგორც აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად არ მიიღებს კონსტიტუციურ სარჩელსა თუ წარდგინებას იმ შემთხვევაში თუ წარდგინებასა თუ სარჩელში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. გარდა, იმ შემთხვევისა თუ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას პრეცედენტული ძალა აქვს, თუმცა ეს არ გამორიცხავს მისი დაძლევის (შეცვლის) შესაძლებლობას. ცალკეულ შემთხვევებში, სასამართლო დგება უფლებათა უფრო ფართოდ განმარტების, მისი დაცული სფეროს სხვაგვარად იდენტიფიცირების, წარსული შეცდომის გამოსწორების, ანდა მოუქნელი სტანდარტების ჩანაცვლების წინაშე, რაც მოიაზრებს საკუთარი პრაქტიკის გადასინჯვასა და დაძლევას. საკუთარი პრაქტიკით, საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს დოქტრინას, რომ კონსტიტუცია ცოცხალი ორგანიზმია. ეს, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს კონსტიტუციის ძირითადი უფლებების განმარტებას აწმყოს გააზრებით. სასამართლოს თანახმად, კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც აფუძნებს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდმივად ვითარდება ქვეყანაში არსებული რეალიებისა და გამოწვევების,

¹⁵⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება N1/2/563 II- 12; ასევე იხ., საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ქეთევან ერემაძის განსხვავებული აზრი საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჭაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 9.

ასევე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანამედროვე მოთხოვნებისა და ტენდენციების შესაბამისად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამარ-თლომ დროის მოთხოვნათა შესატყვისად უნდა განმარტოს კონსტიტუციის ის დებულებები, რომლებიც არეგულირებს ადამიანის უფლებებს, ასევე, მათი შინაარსობრივი ფარგლები; მან უნდა გამოიყენოს არა სტატიკური, არამედ დინამიკური განმარტების მეთოდი, ასახოს მუდმივად ცვლადი სამართლებრივი თუ კულტურული რეალები, ადამიანთა უფლებრივი განცდები და მათი აღქმა. შესაბამისად, ამა თუ იმ უფლების ნორმატიული რეგულირება, რომელიც წლების წინათ არ მიიჩნეოდა კონსტიტუციური უფლების დარღვევად, დროთა განმავლობაში შეიძლება სწორედ ასეთად ჩაითვალოს (რა თქმა უნდა, ყველა ლეგიტიმური ინტერესის სათანადოდ გათვალისწინებითა და მათ შორის სამართლიანი ბალანსის განუხრელი დაცვით).¹⁵⁴⁹ შეიძლება აღინიშნოს, საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ დამკვიდრებული პრაქტიკა შეცვალა და დაადგინა ახალი მიდგომა, სტანდარტი, პრაქტიკა. ასე მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წლის გადაწყვეტილებით შეცვალა მის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა და განსხვავებული შინაარსი ამოიკითხა კონსტიტუციის მე-14 მუხლში.¹⁵⁵⁰ ასევე შეიძლება აღინიშნოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის N608 გადაწყვეტილება, რომლთაც საერთო სასამართლოების წარდგინებასთან დაკავშირებით შეცვალა მიდგომა და საჭიროდ მიიჩნია ახალი პრაქტიკის ჩამოყალიბება.¹⁵⁵¹

5.6.4. საკონსტიტუციო ვაკუუმი

994 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკითხის კონსტიტუციურობის შეფასებისას ბუნებრივია ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით და შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ სადავო საკითხი/საკითხები ქვეყნის ძირითადი

¹⁵⁴⁹ კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, გვ., 166, ასევე იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის No1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40.

¹⁵⁵⁰ დეტალურად: იხ. გადაწყვეტილება #2/1-392 II. 2.

¹⁵⁵¹ გადაწყვეტილება №3/1/608, 609, II, 4.

კანონით არ არის გადაწყვეტილი, ყოველგვარი ლოგიკური აზრი ეკარგება არსებითად განსახილველად მის მიღებას.¹⁵⁵²

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკაში ამ საფუძვლით სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევები პრაქტიკულად არ გვხვდება.¹⁵⁵³

995

5.6.5. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დარღვევა

რიგ შემთხვევებში კონსტიტუციური სარჩელისა თუ წარდგინების შეტანის დროს განსაზღვრულია კონკრეტული ვადები. ასე მაგალითად, ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება ჩასატარებელი არჩევნების დანიშნამდე არა უგვიანეს 30 დღისა. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის ან წარდგინების დადგენილი ვადა არასაპატიო მიზეზით იქნება დარღვეული, სასამართლო არსებითად განსახილველად არ მიიღებს მას.

996

¹⁵⁵² აღსანიშნავია, რომ 2017-2018 საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი ადგენდა, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან. სასამართლომ 2002 წლის №1/1/126,129,158 გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნები შეეხებოდა მათი იმ კატეგორიის სოციალური უფლებების დაცვას, რაც მართალია, ცალკე არაა გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობდა მისი პრინციპებიდან. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის ძალით, საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.“ ამ პრინციპების ერთ-ერთი მთავარი გამოხატულება, როგორც ეს ჩანს კონსტიტუციის პრეამბულიდან, ისაა, რომ საქართველოს მოქალაქეთა „... ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი“. კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად ასევე „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“. საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებიდან და სასამართლოს მიერ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დასახელებული საერთაშორისო აქტებიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა აღნიშნული სოციალური უფლებები უნდა მივიჩნიოთ კონსტიტუციის 39-ე მუხლის შინაარსით გათვალისწინებულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ იმ უფლებებად, რომელთა დაცვის მიღავარი მექანიზმების შესაქმნელად სახელმწიფო ვალდებულია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა მართებული საშუალება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ის საკანონმდებლო ცვლილებები, რაც მოსარჩელეთა ულექტრონული მომარაგების სფეროში მოხდა, არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის და დასახელებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების (ნორმების) მოთხოვნებს.

საქართველოს კონსტიტუციის დღეს მოქმედი რედაქციაში ზემოაღნიშნული 39-ე მუხლის ანალოგიური შინაარსის ნორმა გაწერილია მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში.

¹⁵⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს 2002-2003 წლებში მიღებული განჩინებები, თუმცა, მათში გამოხატული პოზიციები ოგვიანებით სასამართლოს სამართლებრივ აქტებში აღარ გამოკრებულა. იხ. კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები.გვ. 173.

5.5.6. ზემდგომი ნორმის გასაჩივრება

- 997 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად არ მიიღებს სარჩელს და წარდგინებას თუ სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.
- 998 ასე მაგალითად, 2020 წლის N2/8/1496 განჩინებით სასამართლომ არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად სწორედ იმიტომ რომ სარჩელში არ იყო გასაჩივრებული ზემდგომი ნორმატიული აქტი. აღნიშნულ საქმეზე, მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების ადკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობას. სადავო ნორმის თანახმად, იკრძალება 3 პირზე მეტი რაოდენობით ფიზიკურ პირთა თავშეყრა.
- 999 მოსარჩელე მხარის მიერ სადავოდ არ იყო ქცეული „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტი. საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტი ორგანული კანონის ძალის მქონე აქტია. ამდენად, პრეზიდენტის დეკრეტი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილებაზე მაღლა მდგომ ნორმატიულ აქტს. ხსენებული დეკრეტის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის ვადით იზღუდება ნებისმიერი სახის შეკრება, მანიფესტაცია და ადამიანების თავშეყრა, გარდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა. მაშასადამე, ხსენებული ნორმა წარმოადგენს ნებისმიერი თავშეყრის აკრძალვის სამართლებრივ საფუძველს. ამდენად, მოსარჩელის პრობლემის გამომწვევი ნორმის მსგავს რეგულაციას იმეორებს ზემდგომი ნორმატიული აქტი - „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით

გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტი.

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე მხარეს არ მოჰყავს არგუმენტაცია, იმ პირობებში, როდესაც გასაჩივრებული არ არის აღნიშნული ზემდგომი აქტის ნორმა, რატომ მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია სადავო ნორმის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ სადავო ნორმა ადგენს პრეზიდენტის დეკრეტისაგან განსხვავებულ, დამატებით შეზღუდვას ან მასთან ერთად სადავოდ განადოს პრეზიდენტის დეკრეტის შესაბამისი დებულების კონსტიტუციურობა. ამდენად, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობასთან ერთად, მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია დასაბუთება, რომელიც გამორიცხავდა კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობას. ამდენად, სასამართლომ აღნიშნული საქმე არსებითად განსახილველად არ მიიღო და განჩინებით უარი ეთქვა.

1000

5.6.7. განმწესრიგებელი სხდომა

საქმის განხილვისათვის მომზადებას უზრუნველყოფს მომხსენებელი მოსამართლე, რისთვისაც იგი: მხარეებთან, კონსტიტუციური წარდგინების ავტორებთან ან/და მათ წარმომადგენლებთან აზუსტებს საქმესთან დაკავშირებულ საკითხებს; უზრუნველყოფს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებიდან და კერძო პირებისგან საქმის გადაწყვეტისათვის საჭირო დოკუმენტების გამოთხოვას; არკვევს მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის მოწვევის საჭიროებას და საქმის განმხილველი სასამართლოს თანხმობით უზრუნველყოფს მათ მოწვევას; ახორციელებს საქმის განსახილველად მომზადებისათვის საჭირო სხვა ღონისძიებებს.

1001

- 1002 საკონსტიტუციო სასამართლო წინასწარ ატყობინებს მოსარჩელეს, კონსტიტუციური წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს განმწესრიგებელი სხდომის გამართვის თარიღს.
- 1003 საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი და კოლეგია უფლებამოსილია, ხოლო მოსარჩელის, წარდგინების ავტორის ან მათი წარმომადგენლების წერილობითი განცხადების საფუძველზე – ვალდებულია, განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვიოს მოსარჩელე, წარდგინების ავტორი, მათი წარმომადგენლები და ინტერესების დამცველები და მოისმინოს მათი განმარტებები საკითხებზე, რომელიც უკავშირდება სარჩელისა თუ წარდგინების არსებითად მიღების საკითხებს.
- 1004 საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი და კოლეგია უფლებამოსილია, განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვიოს მოპასუხე, მისი წარმომადგენელი, ინტერესების დამცველი და მოისმინოს მათი განმარტებები.
- 1005 ე.წ. *დამძლევი ნორმების* კონსტიტუციურობის განხილვის შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი და კოლეგია უფლებამოსილია, ხოლო მხარეთა, წარდგინების ავტორთა ან მათი წარმომადგენლების წერილობითი განცხადების საფუძველზე – ვალდებულია, განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვიოს მოსარჩელე, წარდგინების ავტორი, მოპასუხე, მათი წარმომადგენლები, ინტერესების დამცველები და მოისმინოს მათი განმარტებები.
- 1006 საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე: გახსნის სხდომას და აცხადებს, რომელი საქმე განიხილება; ამოწმებს მოსამართლეთა კვორუმს და სხდომის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი სხდომის მდივნის გამოცხადებას; არკვევს სამართალწარმოების მონაწილეთა, მოწმეთა, ექსპერტთა, სპეციალისტთა და საჯარო დაწესებულების წარმომადგენელთა გამოცხადებას და მათი გამოუცხადებლობის მიზეზებს; ამოწმებს სხდომაზე გამოცხადებული პირების ვინაობას და მხარეთა წარმომადგენლების უფლებამოსილებას; აცხადებს საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობას და სხდომის მდივნის ვინაობას; სამართალწარმოების მონაწილეებს განუმარტავს კანონით განსაზღვრულ მათ უფლებებსა და მოვალეობებს; არკვევს, სურთ თუ არა სამართალწარმოების მონაწილეებს დამატებით მოწმეთა, ექსპერტთა, სპეციალისტთა და საჯარო დაწესებულების წარმომადგენელთა გამოძახება ან დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა; ამ საკითხებზე შემოსულ

შუამდგომლობებს სასამართლო წევრებს სხდომის დარბაზში. კოლეგიის მიერ საქმის განხილვისას ხსენებული შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად საკმარისია ორი მოსამართლის მხარდაჭერა, პლენუმის მიერ საქმის განხილვისას კი - სამი მოსამართლის მხარდაჭერა. აცხადებს სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების/არსებითი განხილვის საკითხის განხილვის დაწყებას.¹⁵⁵⁴

შემდეგ გრძელდება მომხსენებელი მოსამართლის მოხსენებით. მომხსენებელი მოსამართლე მოახსენებს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსის თაობაზე და ასევე უპასუხებს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შეკითხვებს.

1007

5.6.8. არსებითად მიღების საკითხის გადაწყვეტა

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელისა და კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხს, ისევე როგორც, ე.წ. დამძლევი ნორმებისა და ე.წ. ახლი პრაქტიკის დამდგენ დავებთან დაკავშირებულ საკითხებს წევრებს ღია კენჭისყრით, სათათბირო ოთახში.

1008

საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის და კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებად ითვლება განმწესრიგებულ სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიის მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა.

1009

განჩინების/საოქმო ჩანაწერის პროექტს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს/კოლეგიას წარუდგენს მომხსენებელი მოსამართლე. თუ არსებობს განჩინების ან საოქმო ჩანაწერის სხვა პროექტი, მას კენჭი ცალკე ეყრება.

1010

5.7. ნორმის მოქმედების შეჩერება

თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შეუძლია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება. საკონსტიტუციო სასამართლო

1011

¹⁵⁵⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-20 მუხლი.

უფლებამოსილია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით გადასინჯოს გადაწყვეტილება სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედების შეჩერების თაობაზე, თუ აღარ არსებობს ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილება სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედების შეჩერების თაობაზე, აგრეთვე ამ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ ძალაში შედის შესაბამისი საოქმო ჩანაწერის გამოქვეყნების მომენტიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედების შეჩერების თაობაზე ან მის შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქმეს განიხილავს და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია ან პლენუმი ამ კანონით დადგენილი წესით.

1012 აღნიშნული ნორმით დადგენილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მოსარჩელის უფლებების პრევენციულ დაცვას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფრთხე, რომ სადავო ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მისთვის გამოუსწორებელი შედეგი. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, პირს ასეთი შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია“.¹⁵⁵⁵

1013 „კონსტიტუციური მართლმსაჯულების არსებული სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, სადავო აქტის მოქმედების შეჩერების მექანიზმი იცავს მოსარჩელეს უფლების აუცილებელი და შეუქცევადი დარღვევისაგან და ხელს უწყობს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ეფექტიანობას“.¹⁵⁵⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კანონმდებლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს რეალური

¹⁵⁵⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის №1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ეშვარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II. 10. ასევე იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის N1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

¹⁵⁵⁶ გადაწყვეტილება 3/2/577 II.31.

საფრთხე, რომ სადავო ნორმის მოქმედება გამოიწვევს მხარისათვის გამოუსწორებელ შედეგებს. შესაბამისად, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი მიმართულია იმ აუცდენელი და შეუქცევადი საფრთხეების პრევენციისკენ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სადავო აქტის მოქმედებას და რომლის გამოსწორება შესაძლებელია ვერ მოხერხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგაც. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს სადავო აქტის მოქმედების შეჩერების ღონისძიებას, მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხე აშკარაა და არ არსებობს მესამე პირებისა და საზოგადოებრივი ინტერესების გაუმართლებელი შეზღუდვის რისკები“.¹⁵⁵⁷ „ამდენად, სადავო აქტის მოქმედების შეჩერება წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან პრევენციულ უფლებადაცვით მექანიზმს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტიანობას“.¹⁵⁵⁸

5.8. კონსტიტუციური სარჩელისა და კონსტიტუციური წარდგინების არსებითად გადაწყვეტა

არსებითი განხილვა, შეიძლება ითქვას ეს არის საკონსტიტუციო სამართალწარმოების მთელ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი და პროცესი, სადაც სასამართლო განიხილავს არსებითად საკითხის კონსტიტუციურობას და რის შედეგადაც იღებს საბოლოოდ გადაწყვეტილებას. 1014

5.8.1. არსებითი განხილვის სხდომა

საქმის არსებითად განხილვა იწყება საქმის მომხსენებელი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მოხსენებით. 1015

თუმცა საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე: გახსნის სხდომას და აცხადებს, რომელი საქმე განიხილება; ამოწმებს მოსამართლეთა კვორუმს და სხდომის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი სხდომის მდივნის 1016

¹⁵⁵⁷ გადაწყვეტილება N577.II-34.
¹⁵⁵⁸ გადაწყვეტილება №3/2/577 II-35.

გამოცხადებას; არკვევს სამართალწარმოების მონაწილეთა, მოწმეთა, ექსპერტთა, სპეციალისტთა და საჯარო დაწესებულების წარმომადგენელთა გამოცხადებას და მათი გამოუცხადებლობის მიზეზებს; ამოწმებს სხდომაზე გამოცხადებული პირების ვინაობას და მხარეთა წარმომადგენლების უფლებამოსილებას; აცხადებს საქმის განხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობას და სხდომის მდივნის ვინაობას; სამართალწარმოების მონაწილეებს განუმარტავს კანონით განსაზღვრულ მათ უფლებებსა და მოვალეობებს; არკვევს, სურთ თუ არა სამართალწარმოების მონაწილეებს დამატებით მოწმეთა, ექსპერტთა, სპეციალისტთა და საჯარო დაწესებულების წარმომადგენელთა გამოძახება ან დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა; ამ საკითგებზე შემოსულ შუამდგომლობებს სასამართლო წყვეტს სხდომის დარბაზში. კოლეგიის მიერ საქმის განხილვისას ხსენებული შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად საკმარისია ორი მოსამართლის მხარდაჭერა, პლენუმის მიერ საქმის განხილვისას კი - სამი მოსამართლის მხარდაჭერა. აცხადებს სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების/არსებითი განხილვის საკითხის განხილვის დაწყებას.

შემდეგ კი, როგორც აღინიშნა იწყება საქმის მომხსენებელი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მოხსენება.

1017 საქმის მომხსენებელი ვალდებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მოახსენოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებისა და საქმის არსებითად განხილვის საფუძველი, აგრეთვე საქმეში არსებული მასალების შინაარსი. მოხსენების შემდეგ მომხსენებელი მოსამართლე ვალდებულია ასევე უპასუხოს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შეკითხვებს.

1018 აღნიშნულის შემდეგ საქმის საკონსტიტუციო სასამართლო ისმენს ჯერ მოსარჩელის, ხოლო შემდეგ - მოპასუხის განმარტებებს. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს, შეკითხვები დაუსვას მხარეებს და მათ წარმომადგენლებს.

1019 მხარეთა მოსმენის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო ისმენს მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა ჩვენებებს, აქვეყნებს საქმეში არსებულ და საქმის განხილვის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებს. ექსპერტთა და სპეციალისტთა დაკითხვამდე სხდომის თავმჯდომარე ადგენს მათ ვინაობას და წერილობით აფრთხილებს მათ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემისათვის ან ყალბი დასკვნისათვის კანონით

გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. თავმჯდომარე აფრთხილებს აგრეთვე თარჯიმანს შეგნებულად არასწორი თარგმნისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე. ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობა დგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით.

საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებსა და სპეციალისტებს.

სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, ასევე საკუთარი ან საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ინიციატივით და საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უმრავლესობის თანხმობით მოხსნას მხარეების, მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისა და სასამართლოს მეგობრისათვის დასმული შეკითხვა.

1020

საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო იმენს საქმის განხილვის მონაწილეთა დასკვნით სიტყვებს. ჯერ გამოდიან მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი და ადვოკატი. დასკვნითი სიტყვების მოსმენის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში, რის შესახებაც სხდომის თავმჯდომარე უცხადებს საქმის განხილვის მონაწილეებს და სხდომის დარბაზში მყოფ სხვა პირებს.

1021

5.8.2. დისტანციური სხდომა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი ითვალისწინებს შესაძლებლობას, განსაკუთრებული ვითარების არსებობისას, საქმის განმხილველი კოლეგია/პლენუმი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონსტიტუციური სარჩელის განმწესრიგებელი ან/და არსებითი განხილვის სხდომის ზეპირი მოსმენის დისტანციურად, ტექნიკური საშუალების გამოყენებით, გამართვის თაობაზე.

1022

დისტანციურად, ტექნიკური საშუალების გამოყენებით, გამართვის თაობაზე გადაწყვეტილება ეცნობებათ მხარეებს.

- 1023 სხდომის დისტანციურად ჩატარება დასაშვებია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ სხდომის დისტანციურად ჩატარებასთან დაკავშირებით მხარის უარყოფითი პოზიცია წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით.
- 1024 რეგლამენტის თანახმად, მოპასუხე მხარე უფლებამოსილია, სხდომის დისტანციურად ჩატარებაზე უარი განაცხადოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზეპირ განხილვაში ფიზიკურად მონაწილეობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დასაბუთებლად. ხსენებულთან დაკავშირებით მოპასუხე მხარემ უნდა წარმოადგინოს წერილობითი დასაბუთება. თუ საქმის განმხილველი სასამართლო არ გაიზიარებს მოპასუხე მხარის პოზიციას საქმის განხილვაში ფიზიკურად მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ, იგი საქმის ზეპირი მოსმენის დისტანციურად გამართვის შესახებ იღებს წერილობით განჩინებას.
- გადადებული დისტანციური სხდომა, ამ მუხლით დადგენილი პირობების დაცვით, შესაძლებელია გაგრძელდეს ორდინალური წესით და პირიქით, ორდინალური წესით დაწყებული სხდომა შესაძლებელია გაგრძელდეს დისტანციური წესით.
- 1025 თუ საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულება, რომლის სრულფასოვანი გამოკვლევა მოითხოვს მის ფიზიკურ დათვალიერებას/ადგილზე შესწავლას, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას დისტანციური სხდომის გადადების თაობაზე. დისტანციური სხდომა შეიძლება გაგრძელდეს მას შემდეგ, რაც მხარე(ებ)ს მიეცემა შესაბამისი მტკიცებულების დათვალიერების გაცნობის შესაძლებლობა. ეს წესი არ გამოიყენება, თუ მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტს/გარემობას, რომლის დასადასტურებლადაც შესაბამისი მტკიცებულება არის წარმოდგენილი ან/და შესაბამისი ფაქტი/გარემოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 31-ე მუხლის შესაბამისად არ საჭიროებს მტკიცებას.
- 1026 დისტანციური სასამართლოს სხდომა არის ღია და პირდაპირი ტრანსლირების გზით გადაიცემა საჯაროდ. დისტანციური სხდომის ან მისი ნაწილის დახურვის შემთხვევაში, წყდება სხდომის შესაბამისი ნაწილის ტრანსლირება. დისტანციურ სხდომაზე სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოკვლევა დაუშვებელია.

თავი 6. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები

ნაშრომის მე-6 თავის ეძღვნება საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებს. მასში დეტალურადაა აღწერილი საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების მიღების პროცედურის სხვადასხვა ეტაპები. სპეციალურ ქვეთავებშია განხილული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, დასკვნა, განჩინება და საოქმო ჩანაწერი, ასევე განსხვავებული და თანმხვედრი აზრის ინსტიტუტი. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილებულია საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების იურიდიული ძალის, სავალდებულო მოქმედების და აღსრულების პრობლემატიკაზე.

1027

6.1. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების სახეები და მიღების წესი

6.1.1. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების სახეები

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებიდან კონსტიტუცია პირდაპირ მხოლოდ გადაწყვეტილებას ახსენებს.¹⁵⁵⁹ ამავდროულად, ის მიუთითებს, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების სხვა საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.¹⁵⁶⁰ ამ საკითხებში იგულისხმება საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებიც, რომელთა მიღება საკონსტიტუციო სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

1028

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად,¹⁵⁶¹ საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებია:

1029

- 1) გადაწყვეტილება;
- 2) დასკვნა;
- 3) განჩინება;
- 4) საოქმო ჩანაწერი.

¹⁵⁵⁹ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁵⁶⁰ იქვე, მე-7 პუნქტი.

¹⁵⁶¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტი.

- 1030 საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე შეიძლება მიიღოს აქტი, რომელიც არ არის დაკავშირებული საქმის განხილვასთან. ეს არის პლენუმის დადგენილება, რომელსაც ხელს აწერენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და მდივანი.¹⁵⁶² მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის დებულება მტკიცდება პლენუმის დადგენილებით.
- 1031 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:
- 1) სასამართლო აქტები, რომლებიც უკავშირდება საქმის განხილვას;
 - 2) საორგანიზაციო აქტები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საქმის განხილვასთან.
- 1032 თავის მხრივ, სასამართლო აქტები, მათი შინაარსისა და სამართალწარმოებაზე გავლენის გათვალისწინებით, შეიძლება იყოს საბოლოო და შუალედური. საბოლოო სასამართლო აქტი, რომელიც ასრულებს საკონსტიტუციო სამართალწარმოებას. საბოლოო სასამართლო აქტები იყოფა საგნობრივ და საპროცესო აქტებად. საბოლოო საგნობრივი აქტებით საკონსტიტუციო სასამართლო ასრულებს სამართალწარმოებას საქმის საბოლოოდ და საგნობრივად გადაწყვეტით. საბოლოო საპროცესო აქტები ასევე ასრულებს სამართალწარმოებას, მაგრამ კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმით ან საქმის შეწყვეტით.¹⁵⁶³
- 1033 ზემოაღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოს საგნობრივი საბოლოო აქტებია გადაწყვეტილება და დასკვნა. საპროცესო საბოლოო აქტია განჩინება კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის ან საქმის შეწყვეტის თაობაზე. ორივე კატეგორიის ნიშნები აქვს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 4¹ პუნქტის საფუძველზე მიღებულ განჩინებას, რადგანაც ის შეეხება როგორც საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობას, ასევე სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას.

¹⁵⁶² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 53-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები.

¹⁵⁶³ შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 356, 1362 f., 1365 f.

შუალედური სასამართლო აქტები მიიღება სამართალწარმოების პროცესში. ისინი არ 1034 ასრულებენ სამართალწარმოებას, თუმცა წყვეტენ მასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საოქმო ჩანაწერი, რომელიც მიიღება საქმის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებით, ასევე განჩინება პლენუმისათვის საქმის განსახილველად გადაცემის შესახებ. აღსანიშნავია, რომ თუ საოქმო ჩანაწერით კონსტიტუციური სარჩელი (წარდგინება) არსებითად განსახილველად მხოლოდ ნაწილობრივ მიიღება, საოქმო ჩანაწერის ის ნაწილი, რომელიც სარჩელის (წარდგინების) ნაწილის არსებითად განსახილველად არმიღებას შეეხება, საბოლოო ხასიათისაა.

6.1.2. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების მიღების წესი

6.1.2.1. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების მომზადება

საკონსტიტუციო სასამართლოს, სხვა სასამართლოების მსგავსად, აკისრია საქმის 1035 გადაწყვეტის ვალდებულება,¹⁵⁶⁴ რაც მოითხოვს შესაბამისი აქტების სათანადოდ მომზადებას. მომზადების პროცესში წამყვან როლს ასრულებს მომხსენებელი მოსამართლე.

განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე მომხსენებელი მოსამართლე არკვევს, რამდენად 1036 არსებობს კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) ან მისი ნაწილის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი. თუ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად,¹⁵⁶⁵ მომხსენებელი მოსამართლე არკვევს, რამდენად არსებობს სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობის საფუძველი.¹⁵⁶⁶ საჭიროების შემთხვევაში ხდება მხარეებთან, წარდგინების ავტორებთან ან/და მათ წარმომადგენლებთან საქმესთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტება. მომხსენებელი მოსამართლე განმწესრიგებელი

¹⁵⁶⁴ შეადარე: იქვე, Rn. 348.

¹⁵⁶⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტი.

¹⁵⁶⁶ იქვე, 31² მუხლის მე-11 პუნქტი.

სხდომისთვის ამზადებს განჩინების ან საოქმო ჩანაწერის პროექტს. პროექტი, საქმის მასალებთან ერთად, გადაეცემა პლენუმის (თუ საქმეს პლენუმი განიხილავს) ან შესაბამისი კოლეგიის თავმჯდომარეს (თუ საქმეს კოლეგია განიხილავს). პლენუმის (კოლეგიის) თავმჯდომარე უზრუნველყოფს ამ დოკუმენტაციის გადაცემას პლენუმის (კოლეგიის) წევრებისათვის განმწესრიგებულ სხდომამდე არაუგვიანეს 2 დღისა. პლენუმის (კოლეგიის) წევრი, რომელიც არ ეთანხმება განმწესრიგებულ სხდომაზე გასატან პროექტს, უფლებამოსილია წარადგინოს თავისი პროექტი.¹⁵⁶⁷ 2 დღე ძალიან მოკლე ვადაა მომხსენებელი მოსამართლის მომზადებული პროექტისა და საქმის მასალების გასაცნობად და მით უმეტეს, ალტერნატიული პროექტის წარსადგენად. მიზანშეწონილია, რომ ეს ვადა გაიზარდოს 5 დღემდე მაინც.

1037 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ან დასკვნის პროექტს მომხსენებელი მოსამართლე პლენუმს (კოლეგიას) წარუდგენს სასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს 7 დღისა.¹⁵⁶⁸ ეს აქტები, როგორც წესი, ვრცელია, ხოლო მათი შინაარსი - რთული და კომპლექსური. აქედან გამომდინარე, ეს ვადაც არაგონივრულად მოკლეა პლენუმის (კოლეგიის) სხვა წევრებისათვის სრულყოფილი ანალიზის განსახორციელებლად და პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. მიზანშეწონილია მისი გაზრდა 15 დღემდე მაინც.

1038 თუ მომხსენებელი მოსამართლის მომზადებული პროექტი პლენუმის (კოლეგიის) წევრთა საკმარის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს, ალტერნატიულ პროექტს ადგენენ ის მოსამართლეები, რომლებმაც წინააღმდეგ მისცეს ხმა. ისინი შეთანხმებით წყვეტენ ალტერნატიული პროექტის ავტორის ვინაობას. შეთანხმებლობის შემთხვევაში ალტერნატიული პროექტის ავტორს ნიშნავს საქმის განმხილველი კოლეგიის (პლენუმის) თავმჯდომარე.¹⁵⁶⁹ ალტერნატიული პროექტი გასაცნობად გადაეცემა საქმის განმხილველ ყველა მოსამართლეს. მოსამართლემ პროექტის წარდგენიდან კენჭისყრამდე შეიძლება მოითხოვოს გონივრული ვადა მის გასაცნობად. განმწესრიგებელი სხდომის დოკუმენტის შემთხვევაში ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 დღეს, ხოლო გადაწყვეტილების (დასკვნის) პროექტთან დაკავშირებით - 7 დღეს.¹⁵⁷⁰

¹⁵⁶⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31² მუხლის მე-10 პუნქტი.

¹⁵⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁵⁶⁹ იქვე, მე-7 პუნქტი.

¹⁵⁷⁰ იქვე, მე-8 პუნქტი.

6.1.2.2. საკონსტიტუციო სასამართლოს
 აქტების მიღებისათვის საჭირო კვორუმი

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია ჩაატაროს განმწესრიგებელი ან არსებითი განხილვის სხდომა და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება არანაკლებ 6 წევრი.¹⁵⁷¹ სულ ცოტა 7 წევრის დასწრებაა სავალდებულო შემდეგი აქტების მისაღებად:¹⁵⁷²

1039

- 1) გადაწყვეტილება რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ;
- 2) გადაწყვეტილება ორგანული კანონის ნორმის კონსტიტუციურობის საკითხზე (ნებისმიერი კომპეტენციის ფარგლებში);
- 3) დასკვნა პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საკითხზე;
- 4) დადგენილება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, დაკავებაზე, დაპატიმრებაზე, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირად ჩხრეკაზე თანხმობის თაობაზე.

პრაქტიკაში საკონსტიტუციო სასამართლოს მოუხდა 7 წევრიან კვორუმთან დაკავშირებული რეგულირების კონსტიტუციურობის შეფასება. მისი პოზიციით, კვორუმის მიზნია გადაწყვეტილების ლეგიტიმურობის უზრუნველყოფა. გადაწყვეტილების მიღებისას დამსწრეთა მცირე რაოდენობამ ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოს მისი ლეგიტიმურობა.¹⁵⁷³ ამავდროულად, კვორუმი არ უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ შეაფერხოს ან/და გაუმართლებლად გაართულოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა და ეჭვქვეშ დააყენოს მისი მეშვეობით უფლების დაცვის შესაძლებლობა.¹⁵⁷⁴

1040

¹⁵⁷¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁵⁷² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁵⁷³ №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-103.

¹⁵⁷⁴ იქვე, II-104.

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს პარალიზების საფრთხე არ ჩაითვალა იმდენად სერიოზულად, რომ 7 წევრიანი კვორუმი არაგონივრულად და უფლების საწინააღმდეგოდ მიჩნეულიყო.¹⁵⁷⁵

1041 საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია უფლებამოსილია განიხილოს კონსტიტუციური სარჩელი (წარდგინება), ჩაატაროს განმარტებელი ან არსებითი განხილვის სხდომა და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა 3 წევრი.¹⁵⁷⁶

1042 საქმის გადაწყვეტის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ მის განხილვაში უშუალოდ მონაწილე მოსამართლეებს. თუ განმარტებელი სხდომის ან/და საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას რომელიმე მოსამართლე სხვა მოსამართლით შეიცვალა, ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში საქმის განხილვის იგივე ეტაპი თავიდან იწყება.¹⁵⁷⁷ ცხადია, რომ მოსამართლე კარგად უნდა იცნობდეს საქმის გარემოებებს, რომ სრულფასოვნად შეძლოს პოზიციის ჩამოყალიბება. ამასთანავე, სამართალწარმოების გაჭიანურების პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია საქმის განხილვის იგივე ეტაპის თავიდან დაწყების მოთხოვნა დასაბუთდეს და პლენუმს (კოლეგიას) შეეძლოს მისი უარყოფა უსაფუძვლობის გამო.

1043 საქმის განხილვის დროს შესაძლოა, რომ რომელიმე მოსამართლე ჩამოსცილდეს საქმის განხილვას, მაგალითად აცილების გამო. ეს არ აბრკოლებს საქმის განხილვას და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, თუ მოსამართლეები დარჩენილი რაოდენობა ქმნის კვორუმს.¹⁵⁷⁸

6.1.2.3. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების კენჭისყრის პროცედურა

1044 საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის მიღებაში მონაწილეობს ყველა მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა შესაბამისი საქმის განხილვაში. საქმის განხილვის მონაწილე მოსამართლეს უფლება არ აქვს, რომ უარი განაცხადოს კენჭისყრაში მონაწილეობაზე და

¹⁵⁷⁵ იქვე, II-107.

¹⁵⁷⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁵⁷⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

¹⁵⁷⁸ იქვე, მე-10 პუნქტი.

თავი შეიკავოს კენჭისყრისას,¹⁵⁷⁹ ანუ თავი აარიდოს სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებას. მოსამართლეს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული პოზიცია, მაგრამ ეს უნდა გამოხატოს თანმხვედრი ან განსხვავებული აზრის საშუალებით.

გადაწყვეტილება მიიღება სათათბირო ოთახში, ღია კენჭისყრით.¹⁵⁸⁰ თათბირისა და 1045
გადაწყვეტილების მიღებისას სათათბირო ოთახში იმყოფებიან მხოლოდ ის მოსამართლეები, რომლებიც მონაწილეობდნენ შესაბამისი საქმის განხილვაში.¹⁵⁸¹ ამ პროცესში მონაწილეობის უფლება არ აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს.¹⁵⁸² ეს შეზღუდვა ემსახურება მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოების დაცვას. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს არ აქვს უფლება, გამჟღავნოს გადაწყვეტილების მიღებისას გამართული თათბირის არსი ან მოსამართლის მიერ კენჭისყრისას დაკავებული პოზიცია.¹⁵⁸³ არავის არ აქვს უფლება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს მოსთხოვოს ანგარიში ან განმარტება კონკრეტულ საქმეზე.¹⁵⁸⁴

განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში იგივე წესით¹⁵⁸⁵ მიიღება სასამართლოს აქტები, 1046
რომლებიც შეეხება:

- 1) კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითად განსახილველად მიღებას;
- 2) საქმის გადაცემას პლენუმისათვის;
- 3) გადაცემული საქმის პლენუმის მიერ განსახილველად მიღებას;
- 4) საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობას და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას;
- 5) სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედების შეჩერებას ან შეჩერებაზე უარის თქმას.

აქტის მისაღებად პლენუმის (კოლეგიის) სხდომას იწვევს პლენუმის (კოლეგიის) 1047
თავმჯდომარე მომხსენებელ მოსამართლესთან, ხოლო ალტერნატიული პროექტის

¹⁵⁷⁹ იქვე, მე-5 პუნქტი.

¹⁵⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁵⁸¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

¹⁵⁸² შეადარე: *Benda/Klein, Verfassungsprozessrecht*, Rn. 349.

¹⁵⁸³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁵⁸⁴ იქვე, მე-2 პუნქტი.

¹⁵⁸⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31⁵ მუხლის პირველი პუნქტი.

შემთხვევაში - მის ავტორთან ან ავტორებთან კონსულტაციის შემდეგ.¹⁵⁸⁶ პროექტის განხილვის მონაწილე მოსამართლე უფლებამოსლია, დააყენოს წინადადება მასში ცვლილების ან დამატების შეტანის შესახებ. მომხსენებელი მოსამართლის მიერ წინადადების გაზიარების შემთხვევაში, ის აისახება პროექტში.¹⁵⁸⁷ ამ პროცედურის დასრულების შემდეგ კენჭი ეყრება პროექტს ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით.¹⁵⁸⁸ ის მიღებულად ჩაითვლება, თუ მხარს დაუჭერს შესაბამისი აქტის მიღებისათვის საჭირო მოსამართლეთა რაოდენობა.¹⁵⁸⁹ თუ მომხსენებელი მოსამართლის პროექტს მოსამართლეთა საკმარისმა რაოდენობამ მხარი არ დაუჭირა, ის მიღებულად არ ითვლება და შემუშავდება ალტერნატიული პროექტი იმ მოსამართლეთა მიერ, რომლებმაც წინააღმდეგ მისცეს ხმა.¹⁵⁹⁰ მისი მიღების წესი მომხსენებელი მოსამართლის პროექტის მიღების წესის ანალოგიურია.¹⁵⁹¹

1048 როდესაც სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, თავდაპირველად კენჭი ეყრება განჩინების პროექტს საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ. თუ განჩინების პროექტმა საჭირო მხარდაჭერა ვერ მიიღო, კენჭი ეყრება საოქმო ჩანაწერის პროექტს კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ.¹⁵⁹²

*6.1.2.4. საკონსტიტუციო სასამართლოს
აქტების მიღებისათვის საჭირო
მხარდაჭერთა რაოდენობა*

1049 ზოგადი წესის მიხედვით, პლენუმი (კოლეგია) კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითად განსახილველად მიღების ან არსებითად გადაწყვეტის საკითხს წყვეტს საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით.¹⁵⁹³

¹⁵⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁵⁸⁷ იქვე, მე-4 პუნქტი.

¹⁵⁸⁸ იქვე, მე-5 პუნქტი.

¹⁵⁸⁹ იქვე, მე-6 პუნქტი.

¹⁵⁹⁰ იქვე, მე-7 პუნქტი.

¹⁵⁹¹ იქვე, მე-9 პუნქტი.

¹⁵⁹² იქვე, მე-10 პუნქტი.

¹⁵⁹³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

გამონაკლისის სახით, პლენუმის არანაკლებ 6 წევრის მხარდაჭერას საჭიროებს.¹⁵⁹⁴

1050

- 1) კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღება და დაკმაყოფილება რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ;
- 2) დასკვნის მიღება პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საკითხზე;
- 3) დადგენილების მიღება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, დაკავებაზე, დაპატიმრებაზე, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირად ჩხრეკაზე თანხმობის თაობაზე.

პლენუმის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა საჭირო იმ საოქმო ჩანაწერის, განჩინების, გადაწყვეტილების ან დასკვნის მისაღებად, რომელიც განსხვავდება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისაგან.¹⁵⁹⁵ ეს განპირობებულია სამართლებრივი უსაფრთხოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის სტაბილურობის ინტერესებით.

1051

საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის იმ ნორმის კონსტიტუციურობაზე, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების თაობაზე დასკვნა მიღებულად ჩათვლებოდა, თუ მას მხარს დაუჭერდა პლენუმის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. სასამართლოს პოზიციით, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო უმრავლესობის განსაზღვრა კანონმდებლის დისკრეციაში შედის, თუმცა ის შეზღუდულია სამართლიანი სასამართლოს უფლებით.¹⁵⁹⁶ ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც შეეხება მნიშვნელოვან კონსტიტუციურსამართლებრივ ინსტიტუტებს, საკმარისი არ არის საქმის განხილვაში მონაწილეთა უმრავლესობა და

1052

¹⁵⁹⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 49-ე მუხლის მე-7 პუნქტი და 50-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁵⁹⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21¹ მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁵⁹⁶ №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-109.

მისაღები გადაწყვეტილების ლეგიტიმაციისათვის აუცილებელია კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერა.¹⁵⁹⁷ სისტემური კონსტიტუციური საკითხების გადაწყვეტისათვის კანონმდებელმა შეიძლება გადაუხვიოს გადაწყვეტილების დამსწრეთა უმრავლესობით მიღების ზოგადი წესიდან და დაადგინოს უფრო მაღალი უმრავლესობის მოთხოვნა.¹⁵⁹⁸ იქედან გამომდინარე, რომ სადავო ნორმა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერას მოითხოვდა პლენუმის კომპეტენციაში შემავალ ყველა საქმეზე და არა საგამონაკლისო შემთხვევებზე, ის ჩაითვალა გაუმართლებელ, არაგონივრულ ბარიერად, რომელიც იმაზე მეტად ზღუდავდა პირის მიერ საკუთარი უფლებების ეფექტურ დაცვას, ვიდრე აუცილებელი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობის უზრუნველსაყოფად.¹⁵⁹⁹

1053 საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე შეამოწმა იმ წესის კონსტიტუციურობა, რომელიც ადგენდა, რომ ორგანული კანონის ნორმის კონსტიტუციურობის საკითხზე კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების თაობაზე დასკვნა მიღებულად ჩაითვლებოდა, თუ მას მხარს დაუჭერდა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის არანაკლებ 6 წევრი. სასამართლომ ხაზი გაუსვა ორგანული კანონის მაღალ კონსტიტუციურ მნიშვნელობას, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ორგანული კანონით წესრიგდებოდა ისეთი საკითხებიც, რომლებსაც არ ჰქონდა სისტემური კონსტიტუციური ხასიათი.¹⁶⁰⁰ ამგვარ შემთხვევებში ობიექტურად სწორი გადაწყვეტილების მიღების ინტერესს ვერ გადაწონიდა გადაწყვეტილების მიღების მაღალი ლეგიტიმაციის აუცილებლობა. რიგ ორგანულ კანონებთან ან მათ ცალკეულ ნორმებთან მიმართებით გაუმართლებელი იყო საქმის გადაწყვეტაში მონაწილე წევრთა გაზრდილი მხარდაჭერის მოთხოვნა.¹⁶⁰¹ საბოლოოდ სასამართლომ დაასკვნა, რომ გაუმართლებლად იზღუდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ეფექტურობა.¹⁶⁰²

1054 კონსტიტუციურ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისას პლენუმის (კოლეგიის) სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმები თანაბრად გაყოფისას სარჩელი არ დაკმაყოფილდება.¹⁶⁰³

¹⁵⁹⁷ იქვე, II-115.

¹⁵⁹⁸ იქვე, II-116.

¹⁵⁹⁹ იქვე, II-118.

¹⁶⁰⁰ იქვე, II-121.

¹⁶⁰¹ იქვე, II-122.

¹⁶⁰² იქვე, II-126.

¹⁶⁰³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

კონსტიტუციურ წარდგინებაზე გადაწყვეტილების მიღებისას პლენუმის სხდომაზე ხმების თანაბრად გაყოფისას დადასტურებულად არ ითვლება იმ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობა, რომელიც არაკონსტიტუციურად მიიჩნია საერთო სასამართლომ ან იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ. ასევე დადასტურებულად არ ითვლება იმპიჩმენტს დაქვემდებარებული თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა.¹⁶⁰⁴ საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად აღნიშნავს, რომ ხმების თანაბრად გაყოფისას სადავო ნორმის კონსტიტუციის შესაბამისად ჩათვლა განპირობებულია კანონის კონსტიტუციურობის პრეზუმფციით.¹⁶⁰⁵

კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტისას განმწესრიგებელ სხდომაზე დამსწრეთ წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში სარჩელი (წარდგინება) არსებითად განსახილველად არ მიიღება.¹⁶⁰⁶ თუ სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას ხმები თანაბრად გაიყო, სადავო ნორმის მოქმედება არ შეჩერდება.¹⁶⁰⁷ როდესაც ხმები თანაბრად გაიყოფა განჩინების მიღებისას საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ, სადავო ნორმა ინარჩუნებს ძალას.¹⁶⁰⁸ ამ წესიდან, გარდა სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებისა, დადგენილია გამონაკლისი. თუ კოლეგიის მიერ საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილე ოთხი წევრიდან ორი მიიჩნევს, რომ მათი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან, რაც შედეგად იწვევს კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე, დაკმაყოფილებაზე ან/და სადავო ნორმის არსებითი განხილვის გარეშე ძალადაკარგულად ცნობაზე უარის თქმას, საქმე განსახილველად გადაეცემა პლენუმს. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ კოლეგიის პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან.¹⁶⁰⁹

1055

¹⁶⁰⁴ იქვე, მე-7 პუნქტი.

¹⁶⁰⁵ №3/3/763 გადაწყვეტილება, II-40.

¹⁶⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁶⁰⁷ იქვე, მე-7 პუნქტი.

¹⁶⁰⁸ იქვე, მე-8 პუნქტი.

¹⁶⁰⁹ იქვე, მე-9 პუნქტი.

1056 პლენუმის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის დამტკიცებას სჭირდება ღია კენჭისყრის დროს სასამართლოს არანაკლებ ორი წევრის მხარდაჭერა.¹⁶¹⁰ რეგლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს აწესრიგებს და მისი დამტკიცება ასეთი დაბალი მხარდაჭერით დაუშვებელია. რეგლამენტის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა პლენუმის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერით მაინც უნდა ხდებოდეს.

*6.1.2.5. საკონსტიტუციო სასამართლოს
აქტებზე ხელმოწერა*

1057 საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის ხელმოწერის პროცედურა იმართება სათათბირო ოთახში.¹⁶¹¹ საოქმო ჩანაწერსა და განჩინებას ხელს აწერს საქმის განხილვაში, ხოლო გადაწყვეტილებასა და დასკვნას - საქმის არსებითად განხილვაში მონაწილე ყველა მოსამართლე.¹⁶¹² არ არის გამორიცხული, რომ მოსამართლე მონაწილეობდა კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითად განსახილველად მიღების საკითხის განხილვაში, მაგრამ მონაწილეობა ვერ მიიღო საქმის არსებითად განხილვაში. ამ შემთხვევაში ის გადაწყვეტილებას (დასკვნას) ხელს ვერ მოაწერს.

1058 სასამართლო აქტებს ხელს აწერს ჯერ სხდომის თავმჯდომარე, ხოლო შემდეგ - საქმის განხილვაში მონაწილე ყველა მოსამართლე ანბანური რიგითობის მიხედვით. ხელმოწერა ხდება მოსამართლის მიერ კენჭისყრისას დაკავებული პოზიციის მიუხედავად.¹⁶¹³

1059 როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი განზრახ არიდებს თავს ხელმოწერას ან ობიექტური მიზეზის გამო ვერ აწერს ხელს, ეს გარემოება არ აზრკოლებს გადაწყვეტილების (დასკვნის) გამოცხადებას, თუ ხელმოწერთა რაოდენობა საკმარისია მისი

¹⁶¹⁰ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁶¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 38-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁶¹² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁶¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

მიღებისათვის.¹⁶¹⁴ მსგავსი წესი მოქმედებს განჩინებასთან და საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით.¹⁶¹⁵

6.1.3. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების გამოცხადება

ხელმოწერის შემდეგ გამოცხადებას ექვემდებარება:¹⁶¹⁶

1060

- 1) გადაწყვეტილება;
- 2) დასკვნა;
- 3) განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ;
- 4) საოქმო ჩანაწერი სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის გამოცხადება გულისხმობს სხდომის თავმჯდომარის მიერ შესაბამისი აქტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის განსხვავებული აზრის (თანმხვედრი აზრის) არსებობის შესახებ ინფორმაციის საქვეყნოდ გამოცხადებას სხდომათა დარბაზში.¹⁶¹⁷ გამოცხადებას ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოს ის აქტები, რომლებიც მიღებულია საქმის ზეპირი მოსმენის შედეგად.¹⁶¹⁸ განჩინებისა და საოქმო ჩანაწერის გამოცხადება შესაძლებელია, მაგრამ არა სავალდებულო.¹⁶¹⁹

1061

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნა ცხადდება საქართველოს სახელით.¹⁶²⁰ გადაწყვეტილების (დასკვნის) სრულად გამოცხადება სავალდებულო არ

1062

¹⁶¹⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის 2¹ პუნქტი.

¹⁶¹⁵ იქვე, 31⁵ მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁶¹⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31⁵ მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁶¹⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტი. 43-ე მუხლის 2¹ პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁶¹⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-8 პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁶¹⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31⁵ მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁶²⁰ იქვე, 43-ე მუხლის 8¹ პუნქტი.

არის. შესაძლებელია გამოცხადდეს მისი მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი. ამ შემთხვევაში მხარეებს დაუყოვნებლივ გადაეცემა გადაწყვეტილების (დასკვნის) სრული ტექსტი.¹⁶²¹

1063 საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის იმ ნორმის კონსტიტუციურობაზე, რომელიც ითვალისწინებდა გადაწყვეტილების (დასკვნის) სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილების გამოცხადებას. მან გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ სამოტივაციო ნაწილი საკმაოდ მოცულობითი იყო და მისი გამოცხადება ობიექტურად დიდ დროს მოითხოვდა, რაც იწვევდა სასამართლოს რესურსის არამიზნობრივ ხარჯვას და გაუმართლებლად აყოვნებდა მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლას.¹⁶²² გარდა ამისა, გადაწყვეტილების ძალაში შესვლა უკავშირდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებას და გამოცხადება არ იწვევდა მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს.¹⁶²³ არ არსებობდა ლეგიტიმური ინტერესი, რაც გაამართლებდა სამოტივაციო ნაწილის გამოცხადების ვალდებულებას და ამ გზით საკონსტიტუციო კონტროლის შეფერხებას. სადავო ნორმა იყო თვითმიზნური და ეწინააღმდეგებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას.¹⁶²⁴

6.1.4. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების გამოქვეყნება

1064 მიღების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე დაუყოვნებლივ ქვეყნდება და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ეგზავნება შემდეგი აქტები:¹⁶²⁵

- 1) გადაწყვეტილება;
- 2) დასკვნა;
- 3) განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ;

¹⁶²¹ იქვე, 43-ე მუხლის 8² პუნქტი.

¹⁶²² №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-194.

¹⁶²³ იქვე, II-195.

¹⁶²⁴ იქვე, II-196, 197.

¹⁶²⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-11 პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის პირველი პუნქტი.

4) საოქმო ჩანაწერი სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით.

ოიგვე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზემოაღნიშნული აქტები მიღებულია საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე და არ გამოცხადებულა სხდომათა დარბაზში.¹⁶²⁶ 1065

საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა აქტები სასამართლოს ვებგვერდზე ქვეყნდება არა დაუყოვნებლივ, არამედ მიღებიდან 15 დღის ვადაში. ამავდროულად, ისინი ეგზავნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“, რომელიც მომდევნო 2 დღის განმავლობაში აქვეყნებს მათ.¹⁶²⁷ 1066

თუ საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი შეიცავს დახურულ სხდომაზე განხილულ ინფორმაციას, მისი გამოქვეყნება ხდება იმ ფორმით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობა.¹⁶²⁸ 1067

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, დასკვნის, განჩინებისა და საოქმო ჩანაწერის გარდა, ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის განსხვავებული (თანმხვედრი) აზრიც, მისი არსებობის შემთხვევაში.¹⁶²⁹ თავისებურებებით ხასიათდება განსხვავებული (თანმხვედრი) აზრის გამოქვეყნება გადაწყვეტილებაზე, დასკვნაზე, განჩინებაზე საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ, ასევე საოქმო ჩანაწერზე სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით. ამ დროს მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როდის გადაეცემა სასამართლოს განსხვავებული (თანმხვედრი) აზრი. როდესაც ეს ხდება შესაბამისი აქტის სხდომათა დარბაზში გამოცხადებამდე, განსხვავებული (თანმხვედრი) აზრი თან დაერთვის ამ აქტს და მასთან ერთად ქვეყნდება. თუ განსხვავებული (თანმხვედრი) აზრი სასამართლოს გადაეცემა შესაბამისი აქტის სხდომათა დარბაზში გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში, ის 2 დღის ვადაში ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და ეგზავნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“, რომელიც 2 დღის ვადაში აქვეყნებს მას.¹⁶³⁰ 1068

¹⁶²⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

¹⁶²⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-10 პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁶²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁶²⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-13 პუნქტი, 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁶³⁰ იქვე, 31⁵ მუხლის მე-6 პუნქტი და 43-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

1069 საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების გამოქვეყნებად ითვლება მათი სრული ტექსტის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნება.¹⁶³¹ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საკითხის კონსტიტუციურობის შეფასებაც მოუწია. კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე მან განაცხადა, რომ შესაბამისი სასამართლო აქტების მიღება ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უკვე მომზადებული იყო მათი პროექტები. შეუძლებელი იყო სასამართლოს აქტის მიღება, თუ სახეზე არ იქნებოდა მისი სრული ტექსტი.¹⁶³² სრული ტექსტის გამოქვეყნების წინაპირობა არ აბრკოლებდა გადაწყვეტილების ძალაში შესვლას და არ მოითხოვდა დამატებით დროს.¹⁶³³ აქედან გამომდინარე, ეს წესი კონსტიტუციასთან შესაბამისად ჩაითვალა.¹⁶³⁴

6.1.5. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების ძალაში შესვლა

1070 გამოქვეყნების მომენტიდან ძალაში შედის საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი აქტები:¹⁶³⁵

- 1) გადაწყვეტილება;
- 2) დასკვნა;
- 3) განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ;
- 4) საოქმო ჩანაწერი სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით.

1071 საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა განჩინებები და საოქმო ჩანაწერები ძალაში შედის საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრის მიერ მათი ხელმოწერის მომენტიდან.¹⁶³⁶ პლენუმის დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე, თუ მასში მითითებული არ არის ძალაში შესვლის სხვა თარიღი.¹⁶³⁷

¹⁶³¹ იქვე, 31⁵ მუხლის მე-6 პუნქტი და 43-ე მუხლის 12¹ პუნქტი.

¹⁶³² №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-183.

¹⁶³³ იქვე, II-185.

¹⁶³⁴ იქვე, II-187.

¹⁶³⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის 12¹ პუნქტი.

¹⁶³⁶ იქვე, 31⁵ მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁶³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის ძალაში შესვლისათვის მნიშვნელობა აქვს მის გამოქვეყნებას საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე.¹⁶³⁸ რაც შეეხება გამოქვეყნებას „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, ის უფრო განპირობებულია სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არაკონსტიტუციურად ცნობის გამო ძალას კარგავს ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი.¹⁶³⁹

6.2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლო აქტია, რომელიც კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითი განხილვის საფუძველზე საბოლოოდ და საგნობრივად წყვეტს შესაბამისი სარჩელის (წარდგინების) დაკმაყოფილების (ნაწილობრივ დაკმაყოფილების) ან არდაკმაყოფილების საკითხს.

გადაწყვეტილება მიიღება კონსტიტუციური სარჩელის, ასევე შემდეგი კონსტიტუციური წარდგინებების არსებითი განხილვის საფუძველზე.¹⁶⁴⁰

- 1) წარდგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან ან/და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან შესაბამისობის შესახებ;
- 2) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება;
- 3) საერთო სასამართლოს წარდგინება.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სტრუქტურა შედგება (1) შესავალი, (2) აღწერილობითი, (3) სამოტივაციო და (4) სარეზოლუციო ნაწილებისაგან.¹⁶⁴¹

გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება: 1) საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება; 2) გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი და ადგილი; 3) სასამართლოს შემადგენლობა და სხდომის მდივანი; 4) საქმის განხილვის მონაწილენი და დავის საგანი.¹⁶⁴²

¹⁶³⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31⁵ მუხლის მე-6 პუნქტი და 43-ე მუხლის 12¹ პუნქტი.

¹⁶³⁹ შეადარე: *Benda/Klein, Verfassungsprozessrecht*, Rn. 1443.

¹⁶⁴⁰ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁶⁴¹ იქვე, 1¹ პუნქტი.

¹⁶⁴² იქვე, 1² პუნქტი.

1077 გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში წარმოდგენილია:¹⁶⁴³ 1) მოსარჩელის (წარდგინების ავტორის) მოთხოვნა; 2) მოპასუხის პოზიცია; 3) მოწმის, სპეციალისტის, ექსპერტის და სასამართლოს მეგობრის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები. აღწერილობითი ნაწილი, როგორც წესი, საკმაოდ ვრცელია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მხარეთა პოზიციების აღწერას. ამგვარი პრაქტიკა მართებულია, რადგანაც ქმნის იმის შემოწმების საფუძველს, თუ რამდენად აფასებს საკონსტიტუციო სასამართლო მათ მიერ წარმოდგენილ ყველა მნიშვნელოვან არგუმენტს.

1078 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება:¹⁶⁴⁴

- 1) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები;
- 2) მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნები;
- 3) მოტივები, რომლებითაც საკონსტიტუციო სასამართლო უარყოფს საწინააღმდეგო მოსაზრებას, მტკიცებულებას;
- 4) კონსტიტუციის ნორმები, ასევე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის („აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლის შემთხვევაში) ნორმები, რომლებსაც შეესაბამება ან არ შეესაბამება სადავო აქტი;
- 5) კონსტიტუციისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ნორმები, რომლებითაც იხელმძღვანელა საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას.

1079 სამოტივაციო ნაწილი, შინაარსობრივი თვალსაზრისით, გადაწყვეტილების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგანაც აქ ხდება გადაწყვეტილების დასაბუთება და საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი არგუმენტების თავმოყრა. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია.¹⁶⁴⁵ დასაბუთების

¹⁶⁴³ იქვე, 1³ პუნქტი.

¹⁶⁴⁴ იქვე, 1⁴ პუნქტი.

¹⁶⁴⁵ იქვე, მე-7 პუნქტი.

ძირითად აზრს ხედავენ სამართლებრივი მშვიდობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ის უნდა იყოს შინაარსობრივად მაქსიმალურად გასაგები. აუცილებელია თანხვედრა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილ დასაბუთებასა და გადაწყვეტილების შედეგს შორის.¹⁶⁴⁶

საკონსტიტუციო სასამართლო სამოტივაციო ნაწილში განმარტავს იმ კონსტიტუციურსამართლებრივ მასშტაბებს, რასაც ეფუძნება მის მიერ განხორციელებული შემოწმება. ამას მოსდევს სადავო (შესამოწმებელი) ნორმის შეფასება ამ მასშტაბების საფუძველზე. სასამართლომ უნდა შეაფასოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი ყველა მნიშვნელოვანი არგუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვევა უფლება სამართლიან სასამართლოზე,¹⁶⁴⁷ ხოლო თუ მოსარჩელე ფიზიკური პირია - ასევე ღირსების უფლებაც, რადგანაც ის სასამართლო პროცესის სრულფასოვანი სუბიექტია და არა უბრალო ობიექტი.¹⁶⁴⁸ ამასთანავე, გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც განხილულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე ან წარედგინა მას საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევაში.¹⁶⁴⁹

1080

პრაქტიკაში, როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილი საკმაოდ ვრცელი და შინაარსობრივად გამართულია, მაგრამ სასამართლოს არსებობის პირველ ეტაპზე ის ყოველთვის არ აკმაყოფილებდა მაღალ სტანდარტს. ეს შეიძლება აიხსნას გამოცდილების ნაკლებობით. დროთა განმავლობაში გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხმა მოიმატა, რაშიც დიდი როლი ითამაშა საზღვარგარეთის წამყვანი ქვეყნების სასამართლოებისა და საერთაშორისო, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, გამოცდილების გათვალისწინებამ.¹⁶⁵⁰

1081

მოკლე დასაბუთების პრობლემა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობის საწყის პერიოდსაც უკავშირდება. დღეისათვის მის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია, როგორც წესი, იმდენად ვრცელია, რომ სამეცნიერო

1082

¹⁶⁴⁶ შეადარე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 363

¹⁶⁴⁷ შეადარე მაგ.: BVerfGE 96, 205 (216); 98, 218 (263).

¹⁶⁴⁸ შეადარე მაგ.: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 362; Heyde, Rechtsprechung, S. 1579 (1607); Maurer, H., Rechtsstaatliches Prozessrecht, in: Badura, P., Dreier, H. (Hrsg.), Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, Tübingen 2001, S. 467 (497).

¹⁶⁴⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁶⁵⁰ დეტალურად: იხ.: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 115 ff.

ლიტერატურაში ამ კუთხით თავშეკავების მიზანშეწონილობაზეც კი საუბრობენ, რათა გადაწყვეტილებები კითხვადი იყოს. საუკეთესო გამოსავლად მიიჩნევა შუალედური გზის არჩევა, ერთი მხრივ, ფრანგული ან ფრანგული ზეგავლენის ქვეშ მყოფი სასამართლოების ძალიან მოკლე გადაწყვეტილებებსა და მეორე მხრივ, გადამეტებულად დეტალიზებულ გადაწყვეტილებებს შორის.¹⁶⁵¹

1083 გადაწყვეტილების ტექსტს ასრულებს სარეზოლუციო ნაწილი, რომელიც შეიცავს:¹⁶⁵²

- 1) საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას კონსტიტუციური სარჩელის მთლიანად (ნაწილობრივ) დაკმაყოფილების ან მისი არდაკმაყოფილები შესახებ;
- 2) საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას საერთო სასამართლოს ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის ან კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დაუდასტურებლობის შესახებ;
- 3) საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას პარლამენტის კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული აქტის ან მისი ნაწილის კონსტიტუციასთან ან/და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან შეუსაბამობის თაობაზე ან შეუსაბამობის დაუდასტურებლობის შესახებ;
- 4) გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგებს.

1084 სარეზოლუციო ნაწილის დიდ მნიშვნელობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მასში ჩამოყალიბებულია საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო პოზიცია კონსტიტუციურ სარჩელთან (წარდგინებასთან) დაკავშირებით და გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები. პრაქტიკაში სარეზოლუციო ნაწილში აისახება ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს თხოვნა,¹⁶⁵³ რაც არ შეესაბამება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონს. თხოვნის ადგილი, მისი არსიდან და არასავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე, უფრო სამოტივაციო ნაწილშია obiter dictum-ის სახით.¹⁶⁵⁴

¹⁶⁵¹ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 364; Ritterspach, Th., in: Festschrift für Erwin Stein, zum 80. Geburtstag, Bad Homburg 1983, S. 285 (298 ff.).

¹⁶⁵² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის 1⁵ პუნქტი.

¹⁶⁵³ მაგალითად იხ. №1/2/213, 243 გადაწყვეტილება, სარეზოლუციო ნაწილი, III.

¹⁶⁵⁴ შეადარე: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 150.

6.3. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა სასამართლო აქტია, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლო, კონსტიტუციური წარდგინების არსებითი განხილვის საფუძველზე, საბოლოოდ და საგნობრივად წყვეტს მისი დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების საკითხს. დასკვნა საჭიროებს დასაბუთებას. მას საკონსტიტუციო სასამართლო საფუძველად უდებს მხოლოდ იმ მტკიცებებს, რომლებიც განხილულ იქნა სასამართლოს სხდომაზე ან წარდგინა სასამართლოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევაში.¹⁶⁵⁵

საკონსტიტუციო სასამართლო დასკვნას იღებს შემდეგ შემთხვევებში:¹⁶⁵⁶ 1086

- 1) იმ წარდგინების არსებითი განხილვისას, რომელიც რატიფიცირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობას შეეხება;
- 2) იმ წარდგინების არსებითი განხილვისას, რომელიც შეეხება პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ კონსტიტუციის დარღვევას ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის სტრუქტურა გადაწყვეტილების სტრუქტურის ანალოგიურია და შედგება (1) შესავალი, (2) აღწერილობითი, (3) სამოტივაციო და (4) სარეზოლუციო ნაწილებისაგან.¹⁶⁵⁷ 1087

შესავალ ნაწილში აღინიშნება: 1) საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება; 2) დასკვნის გამოტანის თარიღი და ადგილი; 3) სასამართლოს შემადგენლობა და სხდომის მდივანი; 4) საქმის განხილვის მონაწილენი და წარდგინების საგანი.¹⁶⁵⁸ 1088

აღწერილობით ნაწილში მიეთითება: 1) კონსტიტუციური წარდგინების ავტორის მოთხოვნა; 2) მოწმის, სპეციალისტის, ექსპერტის და სასამართლოს მეგობრის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები.¹⁶⁵⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1089

¹⁶⁵⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁶⁵⁶ იქვე, მე-6 პუნქტი.

¹⁶⁵⁷ იქვე, 1^ა პუნქტი.

¹⁶⁵⁸ იქვე, 1^ბ პუნქტი.

¹⁶⁵⁹ იქვე, 1^გ პუნქტი.

შესახებ“ ორგანული კანონი დასკვნის აღწერილობით ნაწილში მოპასუხის პოზიციის ასახვასაც ითვალისწინებს.¹⁶⁶⁰ იმ კონსტიტუციური წარდგინებების განხილვაში, რომლებთან დაკავშირებითაც დასკვნა მიიღება, მოპასუხე არ მონაწილეობს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ორგანულმა კანონმა მოპასუხის პოზიციის ნაცვლად გაითვალისწინოს იმპიჩმენტს დაქვემდებარებული პირის განმარტების ასახვა, მისი არსებობის შემთხვევაში.

1090 სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს: 1) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი; 2) მტკიცებულებანი, რომლებსაც ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნები; 3) მოტივები, რომლებითაც საკონსტიტუციო სასამართლო უარყოფს საწინააღმდეგო მოსაზრებას, მტკიცებულებას; 4) კონსტიტუციის ნორმები, რომლებსაც შესაბამება ან არ შესაბამება შესამოწმებელი აქტი; 5) კონსტიტუციისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ნორმები, რომლებითაც საკონსტიტუციო სასამართლო ხელმძღვანელობდა დასკვნის მიღებისას.¹⁶⁶¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი ამ ნაწილში ყურადღების მიღმა ტოვებს იმ გარემოებას, რომ დასკვნა შეიძლება შეეხებოდეს თანამდებობის პირის ქმედების კონსტიტუციურობის ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის შეფასებასაც.

1091 სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს: 1) საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა არაკონსტიტუციურად ცნობის ან კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დაუდასტურებლობის შესახებ; 2) საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული თანამდებობის პირის ქმედების კონსტიტუციურობის შესახებ ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის ან უარყოფის შესახებ; 3) დასკვნის სამართლებრივ შედეგებს.¹⁶⁶²

1092 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი გადაწყვეტილებისა და დასკვნის სტრუქტურას ერთიანად აწესრიგებს. ზემოთ

¹⁶⁶⁰ იქვე, 1³ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁶⁶¹ იქვე, 1⁴ პუნქტი.

¹⁶⁶² იქვე, 1⁵ პუნქტი.

მოყვანილი შენიშვნები მეტყველებს იმაზე, რომ ორგანულმა კანონმა დასკვნის სტრუქტურა, ამ აქტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცალკე უნდა განსაზღვროს.

6.4. საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

6.4.1 საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების არსი და სახეები

საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება სასამართლო აქტია, რომელიც შეიძლება იყოს შუალედური ან საბოლოო სახის. თავის მხრივ, საბოლოო განჩინებებს შეიძლება ჰქონდეთ საპროცესო ან/და საგნობრივი ხასიათი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შემთხვევაში და რა საკითხთან დაკავშირებით არის განჩინება მიღებული.

საბოლოო საპროცესო სასამართლო აქტებია შემდეგი განჩინებები: 1094

- 1) განჩინება კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითად განსახილველად მიუღებლობის შესახებ;¹⁶⁶³
- 2) განჩინება საქმის შეწყვეტის შესახებ.¹⁶⁶⁴

შუალედური სასამართლო აქტებია შემდეგი განჩინებები: 1095

- 1) კოლეგიის განჩინება საქმის განსახილველად პლენუმისათვის გადაცემის შესახებ;¹⁶⁶⁵
- 2) პლენუმის განჩინება კოლეგიის მიერ გადაცემული საქმის პლენუმზე განუხილველობის შესახებ;¹⁶⁶⁶
- 3) პლენუმის განჩინება კოლეგიის წევრის მიერ გადაცემული საქმის პლენუმზე განუხილველობის შესახებ;¹⁶⁶⁷

¹⁶⁶³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31² მუხლის მე-8 პუნქტი და 43-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁶⁶⁴ ამ შემთხვევაში განჩინების მიღებას უშუალოდ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, მაგრამ პრაქტიკაში საკონსტიტუციო სასამართლო საქმის შეწყვეტას განჩინებით ახდენს. მაგალითად იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის №1/5/1364 განჩინება საქმეზე „გიორგი გულიკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁶⁶⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21¹ მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁶⁶⁶ იქვე.

¹⁶⁶⁷ იქვე, მე-3 და მე-4 პუნქტები.

- 4) პლენუმის განჩინება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გადაცემული საქმის პლენუმზე განუხილველობის შესახებ;¹⁶⁶⁸
- 5) განჩინება საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ;¹⁶⁶⁹
- 6) განჩინება საქმის ზეპირი მოსმენის დისტანციურად გამართვის შესახებ;¹⁶⁷⁰
- 7) სამართალწარმოების პროცესში მიღებული სხვა განჩინებები.¹⁶⁷¹

1096 სპეციფიურია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებული განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ. ეს საბოლოო სასამართლო აქტია, თუმცა აქვს როგორც საგნობრივი, ასევე საპროცესო აქტის ნიშნები. განჩინება საგნობრივად წყვეტს საქმეს, რასაც შედეგად მოჰყვება სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობა. მისი საპროცესო ხასიათი კი იმითაა განპირობებული, რომ განჩინება ამავედროულად ითვალისწინებს საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობას.

1097 ცალკე უნდა გამოვეყნოთ განჩინება საკონსტიტუციო სასამართლოს აქტში ტექნიკური შეცდომების გასწორების შესახებ.¹⁶⁷² პლენუმი (კოლეგია) უფლებამოსილია, რომ გამოქვეყნებულ აქტში, რომელიც მან მიიღო, განახორციელოს რედაქციული ცვლილებები ტექნიკური შეცდომების გასწორების მიზნით. აღნიშნული განჩინება დასაბუთებული უნდა იყოს და მიიღება შესასწორებელი აქტის მიღებისათვის საჭირო კვორუმითა და მოსამართლეთა რაოდენობის მხარდაჭერით. ტექნიკური შეცდომის შესწორებამ არ უნდა გამოიწვიოს აქტის შინაარსის ცვლილება.

6.4.2 საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების სტრუქტურა

1098 კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითად განსახილველად მიუღებლობის შესახებ განჩინებაში აღინიშნება:¹⁶⁷³

¹⁶⁶⁸ იქვე, 21² მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁶⁶⁹ იქვე, 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁶⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 20¹ მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁶⁷¹ მაგალითად, საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის აცილების შესახებ.

¹⁶⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-40 მუხლი.

¹⁶⁷³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31⁶ მუხლის მე-2 პუნქტი.

- 1) საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
- 2) განჩინების გამოტანის დრო და ადგილი;
- 3) საქმის განხილვის მონაწილენი და დავის (წარდგინების) საგანი;
- 4) საკითხი, რომელზედაც გამოტანილია განჩინება;
- 5) კონსტიტუციისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ნორმები, რომელთა საფუძველზეც პლენუმმა (კოლეგიამ) არსებითად განსახილველად არ მიიღო კონსტიტუციური სარჩელი (წარდგინება);
- 6) აღნიშვნა კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) განსახილველად მიუღებლობის შესახებ.

განჩინებაში საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ აღინიშნება:¹⁶⁷⁴

1099

- 1) საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
- 2) განჩინების გამოტანის დრო და ადგილი;
- 3) საქმის განხილვის მონაწილენი და დავის (წარდგინების) საგანი;
- 4) საკითხი, რომელზედაც გამოტანილია განჩინება;
- 5) „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ნორმები, რომელთა საფუძველზედაც პლენუმმა (კოლეგიამ) განსახილველად არ მიიღო კონსტიტუციური სარჩელი (წარდგინება) და ძალადაკარგულად ცნო სადავო აქტი;
- 6) აღნიშვნა კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) განსახილველად მიუღებლობის შესახებ;
- 7) აღნიშვნა სადავო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

განჩინება, გადაწყვეტილებისა და დასკვნის მსგავსად, დასაბუთებული უნდა იყოს.¹⁶⁷⁵

1100

ეს გარემოება განაპირობებს, რომ ის შესავალ, აღწერილობით და სარეზოლუციო ნაწილებთან ერთად, აუცილებლად უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს. მართალია, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი განჩინების სტრუქტურაზე ამ კუთხით არაფერს ამბობს, თუმცა პრაქტიკაში განჩინება შედგება ოთხივე

¹⁶⁷⁴ იქვე, მე-3 პუნქტი.

¹⁶⁷⁵ იქვე, 43-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

ზემოაღნიშნული ნაწილისაგან.¹⁶⁷⁶ მიზანშეწონილია, რომ კანონმდებლობის ეს ხარვეზი გამოსწორდეს. გარდა ამისა, ორგანული კანონით ან საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით უნდა განისაზღვროს საქმის შეწყვეტის შესახებ განჩინებისა და შუალედური განჩინებების სტრუქტურა.

6.5. საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი

6.5.1. საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერის არსი და სახეები

1101 საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი შუალედური სასამართლო აქტია. საოქმო ჩანაწერს, რომლითაც ხდება კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) ნაწილობრივ მიღება არსებითად განსახილველად, იმ ნაწილში, რომელიც არსებითად განსახილველად არმიღებას შეეხება, საპროცესო საბოლოო აქტის ბუნება აქვს.

1102 საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის მიხედვით, შესაძლებელია შემდეგი საოქმო ჩანაწერების მიღება:

- 1) პლენუმის (კოლეგიის) საოქმო ჩანაწერი კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითად განსახილველად მიღების შესახებ;¹⁶⁷⁷
- 2) პლენუმის საოქმო ჩანაწერი სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების შესახებ;¹⁶⁷⁸
- 3) პლენუმის საოქმო ჩანაწერი სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე;¹⁶⁷⁹
- 4) პლენუმის საოქმო ჩანაწერი კოლეგიის მიერ გადაცემული საქმის პლენუმზე განხილვის შესახებ;¹⁶⁸⁰

¹⁶⁷⁶ მაგალითად იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის №2/6/1536 განჩინება საქმეზე „ლაშა შუკაკიძე ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ“.

¹⁶⁷⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31² მუხლის მე-8 პუნქტი და 43-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁶⁷⁸ იქვე, 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁶⁷⁹ იქვე.

¹⁶⁸⁰ იქვე, 21¹ მუხლის პირველი პუნქტი.

- 5) პლენუმის საოქმო ჩანაწერი კოლეგიის წევრის მიერ გადაცემული საქმის პლენუმზე განხილვის შესახებ;¹⁶⁸¹
- 6) პლენუმის საოქმო ჩანაწერი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გადაცემული საქმის პლენუმზე განხილვის შესახებ;¹⁶⁸²
- 7) პლენუმის (კოლეგიის) საოქმო ჩანაწერი საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ;¹⁶⁸³
- 8) პლენუმის (კოლეგიის) საოქმო ჩანაწერი კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტისათვის ზეპირი მოსმენის ჩატარების შესახებ;¹⁶⁸⁴
- 9) პლენუმის (კოლეგიის) საოქმო ჩანაწერი სხვადასხვა საქმეების ერთ საქმედ გაერთიანების შესახებ;¹⁶⁸⁵
- 10) პლენუმის (კოლეგიის) საოქმო ჩანაწერი საქმის სხვა საქმეებთან შედარებით პრიორიტეტულად განხილვა/გადაწყვეტის შესახებ.¹⁶⁸⁶

6.5.2. საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერის სტრუქტურა

კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საოქმო ჩანაწერში აღინიშნება:¹⁶⁸⁷

1103

- 1) საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
- 2) საოქმო ჩანაწერის შედგენის დრო და ადგილი;
- 3) საქმის განხილვის მონაწილენი და დავის (წარდგინების) საგანი;
- 4) საკითხი, რომელზეც შედგენილია საოქმო ჩანაწერი;

¹⁶⁸¹ იქვე, მე-3 პუნქტი.

¹⁶⁸² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21² მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁶⁸³ მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას ჩათვლის, რომ საქმის გარემოებების სრულად და ყოველმხრივი განხილვისათვის აუცილებელია საქმის ზეპირად განხილვა („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27² მუხლის მე-4 პუნქტი).

¹⁶⁸⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31² მუხლის მე-7 პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁶⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁶⁸⁶ იქვე, 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁶⁸⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31⁶ მუხლის პირველი პუნქტი.

- 5) კონსტიტუციის და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ნორმები, რომელთა საფუძველზეც პლენუმმა (კოლეგიამ) განსახილველად მიიღო კონსტიტუციური სარჩელი (წარდგინება);
- 6) აღნიშვნა კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) განსახილველად მიღების შესახებ;
- 7) საქმის განხილვის დაწყების სავარაუდო ვადა;
- 8) მითითება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ, თუ საქმე არსებითად ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება.¹⁶⁸⁸

1104 კოლეგიის საოქმო ჩანაწერში საქმის განსახილველად პლენუმისათვის გადაცემის შესახებ აღინიშნება:¹⁶⁸⁹

- 1) საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
- 2) საოქმო ჩანაწერის შედგენის დრო და ადგილი;
- 3) საქმის განხილვის მონაწილენი და დავის (წარდგინების) საგანი;
- 4) ის საკითხი, რომელზედაც შედგენილია საოქმო ჩანაწერი;
- 5) „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ნორმები, რომელთა საფუძველზედაც კოლეგია საქმეს პლენუმს გადასცემს;
- 6) აღნიშვნა კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) პლენუმისათვის გადაცემის შესახებ.

1105 ზემოაღნიშნულ საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით ხაზგასასმელია, რომ სახეზეა კოლიზია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ნორმებს შორის. ერთი მხრივ, 21¹ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ კოლეგიის მიერ პლენუმისათვის საქმის განსახილველად გადაცემა ხდება დასაბუთებული განჩინებით, ხოლო მეორე მხრივ, 31⁶ მუხლის მე-4 პუნქტისა და 43-ე მუხლის 5² პუნქტის მიხედვით, გადაცემა საოქმო ჩანაწერით უნდა განხორციელდეს. აუცილებელია ორგანულ კანონში არსებული ამ წინააღმდეგობის აღმოფხვრა.

1106 საოქმო ჩანაწერში სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების შესახებ აღინიშნება:¹⁶⁹⁰

¹⁶⁸⁸ იქვე, 27¹ მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁶⁸⁹ იქვე, 31⁶ მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁶⁹⁰ იქვე, მე-5 პუნქტი.

- 1) საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
- 2) საოქმო ჩანაწერის შედგენის დრო და ადგილი;
- 3) საქმის განხილვის მონაწილენი და დავის (წარდგინების) საგანი;
- 4) საკითხი, რომელზედაც შედგენილია საოქმო ჩანაწერი;
- 5) მოტივები, რომლებსაც ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნები;
- 6) „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ნორმები, რომლებიც საფუძვლად დაედო საოქმო ჩანაწერს;
- 7) აღნიშვნა სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერებისა და შეჩერების ვადის შესახებ;
- 8) აღნიშვნა სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ ხდება ამ გადაწყვეტილების გაუქმება).

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი მოითხოვს მხოლოდ გადაწყვეტილების, დასკვნისა და განჩინების დასაბუთებას.¹⁶⁹¹ ამდენად, საოქმო ჩანაწერი დასაბუთებას არ ექვემდებარება. ამასთან, რამოდენიმე შემთხვევაში საოქმო ჩანაწერში არგუმენტაცია აუცილებელია. როდესაც საოქმო ჩანაწერით კონსტიტუციური სარჩელი (წარდგინება) არსებითად განსახილველად ნაწილობრივ მიიღება, საჭიროა იმის დასაბუთება, თუ რატომ არ იღებს სასამართლო სარჩელის (წარდგინების) დანარჩენ ნაწილს არსებითად განსახილველად.¹⁶⁹² ორგანული კანონი მოითხოვს, რომ სასამართლომ შესაბამისი მოტივები მიუთითოს, ანუ დაასაბუთოს საოქმო ჩანაწერი სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების შესახებ.¹⁶⁹³ საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მიხედვით, დასაბუთებული უნდა იყოს საოქმო ჩანაწერი საქმის სხვა საქმეებთან შედარებით პრიორიტეტულად განხილვა/გადაწყვეტის შესახებ.¹⁶⁹⁴ აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონმა მიუთითოს ზემოაღნიშნული საოქმო ჩანაწერების დასაბუთების ვალდებულების თაობაზე.

1107

¹⁶⁹¹ იქვე, 43-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁶⁹² შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (268).

¹⁶⁹³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31^ე მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

¹⁶⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

6.6. განსხვავებული და თანმხვედრი აზრი

- 1108 საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებისას ჰქონდეს განსხვავებული ან თანმხვედრი აზრი, რომელიც დგება წერილობითი ფორმით.¹⁶⁹⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის იმ ნორმებიდან გამომდინარე, რომლებიც შეეხება განსხვავებული (თანმხვედრი) აზრის გამოქვეყნებას, განსხვავებული (თანმხვედრი) აზრი შეიძლება არსებობდეს არა მხოლოდ გადაწყვეტილებასთან, არამედ დასკვნასთან, განჩინებასა და საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებითაც.¹⁶⁹⁶ უმჯობესია, რომ ორგანული კანონმა უფრო ნათლად მოაწესრიგოს ეს საკითხი.
- 1109 განსხვავებული აზრი გულისხმობს, რომ მისი ავტორი არ ეთანხმება სასამართლოს აქტს და საკითხის ისე გადაწყვეტას, როგორც ამ აქტშია მოცემული. თანმხვედრი აზრის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი იზიარებს აქტის სარეზოლუციო ნაწილს, მაგრამ თვლის, რომ დასაბუთება ან მისი ნაწილი მართებული არ არის.¹⁶⁹⁷
- 1110 განსხვავებული ან თანმხვედრი აზრის ინსტიტუტი გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს პრაქტიკაში. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში¹⁶⁹⁸ ის აღიარებული არ არის, რაც ძირითადად განპირობებულია მოსამართლის პოზიციისა და სასამართლო თათბირის საიდუმლოების დაცვის მიზეზით. განსხვავებული აზრის ინსტიტუტი ასევე არ გამოიყენება ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ.¹⁶⁹⁹
- 1111 საქართველოში მოქმედებს საჯარო განსხვავებული (თანმხვედრი) აზრის ინსტიტუტი, რადგანაც ხდება მისი გამოქვეყნება.¹⁷⁰⁰ არსებობს ანონიმური ტიპის

¹⁶⁹⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁶⁹⁶ იქვე, 43-ე მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტები.

¹⁶⁹⁷ შეადარე: *Benda/Klein, Verfassungsprozessrecht*, Rn. 366; *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 132.

¹⁶⁹⁸ მაგ.: ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია.

¹⁶⁹⁹ *Loladze, Das Rechtsstaatsprinzip*, S. 132.

¹⁷⁰⁰ იქვე, S. 132.

განსხვავებული (თანმხვედრი) აზრიც, რომელიც არ ქვეყნდება და მხოლოდ საქმის მასალებს დაერთვის.¹⁷⁰¹

განსხვავებული (თანმხვედრი) აზრი ხელს უწყობს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განვითარებას და წარმოაჩენს საკონსტიტუციო სასამართლოს საზოგადოებისათვის გახსნილ, აქტიურ ორგანოდ.¹⁷⁰² ის განამტკიცებს საზოგადოების რწმენას, რომ განსხვავებული პოზიციების გამოხატვა შესაძლებელია ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხებზე.¹⁷⁰³ როგორც განსხვავებული (თანმხვედრი) აზრის ავტორი, ასევე გადაწყვეტილების მხარდამჭერი მოსამართლეთა უმრავლესობა იძულებული ხდება, რომ უკეთ დაასაბუთოს თავისი პოზიცია.¹⁷⁰⁴ ეს ზრდის საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების ხარისხს.¹⁷⁰⁵ მართალია, განსხვავებულ (თანმხვედრ) აზრს სავალდებულო ძალა არ აქვს, მაგრამ მან შეიძლება შექმნას კარგი საფუძველი საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სრულყოფისა და განვითარებისათვის.¹⁷⁰⁶ ის ააშკარავებს სადავო საკითხებს და ააქტიურებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ დისკუსიას მათთან დაკავშირებით.¹⁷⁰⁷ განსხვავებული (თანმხვედრი) აზრი ხელს უწყობს ნაკლოვანებების გამოსწორებას მნიშვნელოვან კონსტიტუციურსამართლებრივ სფეროებში და შესაძლო შეცდომების პრევენციას.¹⁷⁰⁸

განსხვავებულ (თანმხვედრ) აზრთან მიმართებით კრიტიკული მოსაზრებებიც არსებობს. მისი ხშირი გამოყენება ასუსტებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების დამაჯერებლობას.¹⁷⁰⁹ მასმედია, როგორც წესი, განსხვავებულ აზრს უფრო აქტიურად აშუქებს, რის გამოც საზოგადოებას ის უფრო აინტერესებს, ვიდრე თვით გადაწყვეტილება.¹⁷¹⁰ არც იმას გამორიცხავენ, რომ განსხვავებული (თანმხვედრი) აზრის არსებობა სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების

¹⁷⁰¹ *მკვირი*, ა.მ., განსხვავებული და თანმხვედრი მოსაზრებების (დამოუკიდებელი მოსაზრებების) მნიშვნელობა საკონსტიტუციო და სასამართლო მეთავადაჯერების განვითარებისათვის სლოვენის სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა №4, 2010, გვ. 107 (108).

¹⁷⁰² *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 133.

¹⁷⁰³ შეადარე: *Zippelius/Würtenberger*, Deutsches Staatsrecht, S. 516.

¹⁷⁰⁴ *შვარცი*, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება, გვ. 345; *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 369; *Simon*, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 1637 (1660 f.).

¹⁷⁰⁵ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 133.

¹⁷⁰⁶ *Mager*, Staatsrecht I, S. 314; *Simon*, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 1637 (1660 f.).

¹⁷⁰⁷ შეადარე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 369.

¹⁷⁰⁸ შეადარე: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 133 f.

¹⁷⁰⁹ მაგალითად იხ.: *Stern*, Verfassungsgerichtsbarkeit im Widerstreit, S. 16.

¹⁷¹⁰ დეტალურად: იხ.: *ტოკუშევი*, დ., ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არსებული განსხვავებული და თანმხვედრი აზრები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა №4, 2010, გვ. 127 (130).

ექვეყნულ დაყენების საბაზი შეიძლება განდეს.¹⁷¹¹ ეს რისკი იზრდება იმ განსხვავებული აზრის შემთხვევაში, რომლის ავტორი ან ავტორები ბრალს სდებენ უმრავლესობას კონსტიტუციის ნორმის სრულიად მცდარ გაგებაში.¹⁷¹² აღსანიშნავია, რომ განსხვავებული (თანმხვედრი) აზრის პოზიტიური მხარეები უფრო წონადია, ვიდრე მასთან დაკავშირებული პრობლემები.

1114 პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც განსხვავებული აზრი ფაქტობრივად გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილშია ინტეგრირებული.¹⁷¹³ ამით გადაწყვეტილების დასაბუთება წინააღმდეგობრივ შინაარსს იძენს, რამაც შეიძლება გაურკვევლობა გამოიწვიოს. სამოტივაციო ნაწილში უნდა აისახოს ის არგუმენტები, რასაც ეფუძნება სარეზოლუციო ნაწილი და არა საწინააღმდეგო მოსაზრებები,¹⁷¹⁴ რომელთა ადგილი განსხვავებულ (თანმხვედრ) აზრშია და არა გადაწყვეტილების ტექსტში.

6.7. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების იურიდიული ძალა, სვალდებულო მოქმედება და აღსრულება

6.7.1. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების იურიდიული ძალა

1115 განსხვავებულ საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების ფორმალურ და მატერიალურ იურიდიულ ძალას. ფორმალური იურიდიული ძალა გამოიხატება მათ საბოლოო ხასიათში.¹⁷¹⁵ საბოლოოა და გასაჩივრებასა და გადასინჯვას არ ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც გადაწყვეტილება,¹⁷¹⁶ ასევე დასკვნა, განჩინება და საოქმო ჩანაწერი.¹⁷¹⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი გამონაკლისსაც ითვალისწინებს. კერძოდ, შეიძლება

¹⁷¹¹ შეადარე: *Fromme, F. K.*, Das Sondervotum in der Bewahrung, in: Leibholz, G., Faller, H. J., Mikat, P., Reis, H. (Hrsg.), *Menschenwürde und freiheitliche Rechtsordnung. Festschrift für Willi Geiger zum 65. Geburtstag*, Tübingen 1974, S. 867 (874 ff.).

¹⁷¹² *Benda/Klein*, *Verfassungsprozessrecht*, Rn. 369.

¹⁷¹³ მაგალითად იხ.: №3/3/763 გადაწყვეტილება, II – 42-72.

¹⁷¹⁴ შეადარე: *Benda/Klein*, *Verfassungsprozessrecht*, Rn. 352.

¹⁷¹⁵ შეადარე: *Benda/Klein*, *Verfassungsprozessrecht*, Rn. 1419.

¹⁷¹⁶ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁷¹⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

გადასინჯოს საოქმო ჩანაწერი სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების შესახებ.¹⁷¹⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების მატერიალური იურდიული ძალა ემსახურება სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას. მხოლოდ გადასინჯვის არდაშვება არ გამორიცხავს სამომავლოდ მათ ეჭვქვეშ დაყენებას.¹⁷¹⁹ მატერიალური იურდიული ძალა იცავს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების შინაარსობრივ მდგრადობას და ზღუდავს მის მიერ უკვე გადაწყვეტილი საკითხის ხელშეორედ განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობას.¹⁷²⁰ აქედან გამომდინარე, კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის საფუძველია ის, რომ მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.¹⁷²¹

1116

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების გადასინჯვისაგან უნდა განვასხვავოთ მოგვიანებით იმავე კონსტიტუციურსამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილების მიღება, ანუ სასამართლო პრაქტიკის შეცვლა. გასაჩივრება და გადასინჯვა არ დაიშვება მხოლოდ ერთი და იმავე სამართალწარმოების ფარგლებში.¹⁷²² უკვე გადაწყვეტილ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა შესაძლებელია, თუ არსებითად შეიცვალა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოებები.¹⁷²³ ამდენად, მატერიალური იურდიული ძალა არ კრძალავს განსაკუთრებულ და გამონაკლის შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გადახედვას, რაც გულისხმობს არა ძველი გადაწყვეტილებების გადასინჯვას და მისი შედეგების რევიზიას, არამედ განსხვავებული ახალი პოზიციის ჩამოყალიბებას. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს უკიდურესი სიფრთხილე მოეთხოვება, რადგანაც სასამართლო

1117

¹⁷¹⁸ იქვე, 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁷¹⁹ Rupp, H. G., in: Tübinger Festschrift für Eduard Kern, Tübingen 1968, S. 403 f.; Bethge, H., in: Heinrich, Ch. (Hrsg.), Festschrift für Hans-Joachim Musielak zum 70. Geburtstag, München 2004, S. 77 (84 f.).

¹⁷²⁰ დეტალურად: იხ.: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1423, 1425 f.

¹⁷²¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁷²² შედარე: Sturm G. (Bearb.), Kommentar zum Art. 94 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011, Rn. 11.

¹⁷²³ მაგალითად იხ.: BVerfGE 109, 64 (84); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1442.

პრაქტიკის მდგრადობისა და სტაბილურობის საკითხი სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამართლებრივი უსაფრთხოების ელემენტარული მოთხოვნაა.¹⁷²⁴

1118 საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის იურიდიული ძალის საგნობრივ-შინაარსობრივი ფარგლები განისაზღვრება მისი სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით. ამ კონტექსტში, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი დამხმარე როლს ასრულებს სარეზოლუციო ნაწილის არსის გარკვევისა და მართებული განმარტებისათვის.¹⁷²⁵

6.7.2. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების სავალდებულო მოქმედება

6.7.2.1. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების სავალდებულო მოქმედების საგნობრივ-შინაარსობრივი ფარგლები

1119 საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა, ხოლო მათი შეუსრულებლობა ან შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.¹⁷²⁶ ამდენად, მათ აქვთ სავალდებულო, მზღუდავი მოქმედება ადრესატების მიმართ. სამართალწარმოების მონაწილეების წრის მიღმა სავალდებულო ეფექტი აქვს საგნობრივი ხასიათის საბოლოო აქტებს.¹⁷²⁷ იგივე შეიძლება ითქვას საოქმო ჩანაწერზეც, რომელიც აჩერებს სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედებას,¹⁷²⁸ თუმცა ამ შემთხვევაში სავალდებულო მოქმედება დროებითია და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადის განმავლობაში გრძელდება.

1120 საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის სავალდებულო მოქმედების საგნობრივ-შინაარსობრივი ფარგლების დადგენისას, სარეზოლუციო ნაწილთან ერთად, მნიშვნელოვანია სამოტივაციო ნაწილი და მასში ჩამოყალიბებული გადაწყვეტილების ძირითადი საფუძვლები (ratio decidendi).¹⁷²⁹ სავალდებულო მოქმედება ძირითად საფუძვლებს ანიჭებს მნიშვნელობას, რომელიც სცდება კონკრეტული

¹⁷²⁴ დეტალურად: იხ.: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 354 ff.

¹⁷²⁵ BVerfGE 33, 199 (203); 69, 92 (103 f.); Sturm, GG, Art. 94, Rn. 12.

¹⁷²⁶ საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁷²⁷ შეადარე: BVerfGE 107, 339 (360); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1445; Sturm, GG, Art. 94, Rn. 13.

¹⁷²⁸ შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1448.

¹⁷²⁹ შეადარე: BVerfGE 1, 14 (37); 40, 88 (93 f.); 79, 256 (264); 112, 1 (40); Sturm, GG, Art. 94, Rn. 12.

საქმის ფარგლებს. მათ არა მხოლოდ ფაქტობრივი პრეიუდიციური ეფექტი აქვთ, არამედ სამართლებრივად სავალდებულო ხასიათიც.¹⁷³⁰

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების ძირითადი საფუძვლების სავალდებულო-ბასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში კრიტიკული მოსაზრებებიცაა გამოთქმული.¹⁷³¹ განსაკუთრებით გამოჰყოფენ ორ არგუმენტს: 1) საფუძვლების სავალდებულო მოქმედება ქმნის მათი „კანონიზირების“ საფრთხეს და აყვანებს საკონსტიტუციო სამართლის განვითარებას; 2) არსებით სირთულეებს უკავშირდება ძირითადი საფუძვლების გამოვლენა და მათი გამიჯვნა საკონსტიტუციო სასამართლოს იმ მსჯელობებისაგან, რომლებიც გადაწყვეტილების საფუძვლებს არ წარმოადგენს (*obiter dicta*).¹⁷³²

ზემოაღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით არსებობს საფუძვლიანი კონტრა-რგუმენტები. გამოცდილება აჩვენებს, რომ ძირითადი საფუძვლების სავალდებულო მოქმედება არ იწვევს მათ „კანონიზირებას“ ან საკონსტიტუციო სამართლის განვითარების შეფერხებას.¹⁷³³ საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს და აკონკრეტებს კონსტიტუციის ნორმების შინაარსს. მისი პოზიცია არ შემოიფარგლება მხოლოდ შესაბამისი საქმით და სავალდებულოა ყველა ანალოგიური შემთხვე-ვისათვის. ამის უზრუნველყოფა შეუძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების ძირითადი საფუძვლების სავალდებულო მოქმედების გარეშე. კონსტიტუციის განმარტება სწორედ სამოტივაციო და არა სარეზოლუციო ნაწილში ხორციელდება. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი ვერ მოახდენს გავლენას კონკრეტული საქმის მიღმა სახელმწიფო ორგანოთა ქმედებაზე, თუ სავალდებულო ძალა არ ექნება სამოტივაციო ნაწილში მოცემულ ძირითად საფუძვლებს.¹⁷³⁴

ძირითადი საფუძვლების გამოვლენა-გამიჯვნა მარტივი ამოცანა არ არის, მაგრამ ეს შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაციის რეტროსპექტიული

¹⁷³⁰ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1450; Geiger, W., Einige Besonderheiten im verfassungsgerichtlichen Prozeß, Karlsruhe 1981, S. 33.

¹⁷³¹ მაგალითად იხ.: Stern, Kommentar zum Art. 94 GG, in: Dolzer, R., Graßhof, K., Kahl, W., Waldhoff, Ch. (Hrsg.), Bonner Kommentar zum Grundgesetz, Band 12 (Art. 89 – 104), Heidelberg seit 1950, Rn. 129; Voßkuhle, A. (Bearb.), Kommentar zum Art. 94 GG, in: Mangoldt, H. v. (Begr.), Klein, Starck, (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 32.

¹⁷³² Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1451.

¹⁷³³ იქვე, Rn. 1456.

¹⁷³⁴ შეადარე: Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1456; Bryde, B.-O., Verfassungsentwicklung. Stabilität und Dynamik im Verfassungsrecht der Bundesrepublik Deutschland, Baden-Baden 1982, S. 420 ff.; Detterbeck, Streitgegenstand und Entscheidungswirkungen im Öffentlichen Recht. Grundlagen des Verfahrens vor den allgemeinen Verwaltungsgerichten und vor dem Bundesverfassungsgericht, Tübingen, 1995, S. 357 ff.

1121

1122

1123

შემოწმებით.¹⁷³⁵ არსებობს ძირითადი საფუძვლების გამოვლენის რამოდენიმე კრიტერიუმი. ისინი წარმოადგენენ იმ აუცილებელ და ფუძემდებლურ არგუმენტებს, რომელთა გარეშეც სარეზოლუციო ნაწილით გათვალისწინებული შედეგი არ დადგებოდა.¹⁷³⁶ ძირითად საფუძვლებად ითვლება საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ ის მოსაზრებები, რომლებიც განმარტავს კონსტიტუციის ნორმებს.¹⁷³⁷ რაც შეეხება მიმდინარე სამართალს, სავალდებულო მოქმედება აქვს მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი განმარტების კონსტიტუციური მასშტაბების ან ფარგლების დადგენას. ეს იმითაა განპირობებული, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ითვლება საკონსტიტუციო და არა მიმდინარე სამართლის ძირითად ინტერპრეტატორად, რომლის განმარტება და შეფარდება საერთო სასამართლოების პრეროგატივაა.¹⁷³⁸

6.7.2.2. სავალდებულო მოქმედების
ადრესატები

1124 საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების, გარდა ვიწროპროცესუალური ხასიათის შუალედური აქტებისა, სავალდებულო მოქმედების მასშტაბები სცდება სამართალწარმოების მონაწილეთა ფარგლებს (inter partes) და ვრცელდება პირთა განუსაზღვრელ წრეზე (erga omnes).¹⁷³⁹ პირთა წრის მიხედვით მოქმედების მსგავსი ეფექტი დამახასიათებელია საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელისათვის.¹⁷⁴⁰

1125 საკონსტიტუციო სასამართლოზე არ ვრცელდება თავისი აქტების სავალდებულო მოქმედება, რადგანაც მას აქვს ამათუიმ კონსტიტუციურსამართლებრივ საკითხზე ადრე ჩამოყალიბებული მიდგომის შეცვლის უფლებამოსილება. საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციის მთავარი ინტერპრეტატორის, როლთან შეუთავსებელი იქნებოდა მისი ძველი აქტების სავალდებულო მოქმედებით

¹⁷³⁵ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1452; Buchwald, D., Objektive Bindungswirkung - Materielle Rechtskraft - Richterrecht. Eine verfassungsprozessuale und methodologische Untersuchung, Dürren 1997, S. 22 ff.

¹⁷³⁶ BVerfGE 96, 375 (404); 115, 97 (110).

¹⁷³⁷ BVerfGE 40, 88 (93); 112, 268 (277).

¹⁷³⁸ BVerfGE 40, 88 (94); 72, 119 (121); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1453.

¹⁷³⁹ შეადარე მაგ.: გეგენაჟა, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი 2012, გვ. 69.

¹⁷⁴⁰ ქამაკაშვილი, საკონსტიტუციო კონტროლი, გეგენაჟა, დ., გორაძე, ბ., ჯიქია, მ. (რედ.), კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი II, გვ. 125 (240).

შეზღუდვა, პრაქტიკის შეცვლის აკრძალვა და ამით კონსტიტუციის უფრო მართებული განმარტებისათვის ხელშეშლა.¹⁷⁴¹

6.7.2.3. საკონსტიტუციო სასამართლოს

აქტების სავალდებულო მოქმედება დროში

არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი ძალას 1126
კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების
გამოქვეყნების მომენტიდან (ex nunc), თუ გადაწყვეტილება არ ადგენს ძალის
დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.¹⁷⁴² შესაბამისი განჩინების გამოქვეყნების
მომენტიდან კარგავს ძალას ნორმატიული აქტი, როდესაც ის შეიცავს იმავე
შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო
არაკონსტიტუციურად.¹⁷⁴³

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების სავალდებულო მოქმედება დროში 1127
ვრცელდება მათი გამოქვეყნების ან სასამართლოს მიერ განსაზღვრული გვიანდელი
მომენტის შემდეგომ პერიოდზე. არ ხდება არაკონსტიტუციური სამართლებრივი
აქტების ძალის დაკარგვა მათი მიღების (გამოცემის), ანუ კონსტიტუციასთან
კოლიზიის წარმოქმნის მომენტიდან.¹⁷⁴⁴ ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს
აქტებს არ აქვთ რეტროაქტიული ეფექტი (ex tunc).¹⁷⁴⁵

ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების 1128
უკუძალის უარყოფა განპირობებულია სამართლებრივი უსაფრთხოების
ინტერესებით, თუმცა ყველა შემთხვევაში ეს არ არის გამართლებული. შეიძლება
არსებითად შეფერხდეს ან სულაც შეუძლებელი გახდეს არაკონსტიტუციური აქტის
ნეგატიური შედეგების გამოსწორება.¹⁷⁴⁶ ამის თავიდან ასაცილებლად ოპტიმალური
გამოსავალი იქნებოდა, რომ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე,
საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლოს მისი აქტის ძალაში შესვლის სხვა,

¹⁷⁴¹ შეადარე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 1474.

¹⁷⁴² საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁷⁴³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

¹⁷⁴⁴ შეადარე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 1376.

¹⁷⁴⁵ დეტალურად: იხ.: *ქაშაკაშვილი*, საკონსტიტუციო კონტროლი, გვ. 241.

¹⁷⁴⁶ მაგალითად იხ.: ქვეთავი 4.1.7. - ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შედეგები.

გამოქვეყნებამდელი მომენტის განსაზღვრა.¹⁷⁴⁷ სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ძირითად უფლებათა დაცვის ინტერესების დაბალანსებისათვის ასევე საინტერესოა მოსაზრება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს რეტროაქტიული ეფექტი მიენიჭოს მხოლოდ მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებით.¹⁷⁴⁸

6.7.2.4. ნორმების განმეორების აკრძალვა

- 1129 საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების სავალდებულო მოქმედება კრძალავს ნორმების განმეორებას.¹⁷⁴⁹ ამაში იგულისხმება იმავე შინაარსის ნორმის მიღება (გამოცემა), რაც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო.¹⁷⁵⁰ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტით ნორმათა განმეორების აკრძალვა საკანონმდებლო დონეზეა განმტკიცებული.
- 1130 ორგანული კანონი ზოგადად კრძალავს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ანალოგიური შინაარსის ნორმების მიღებას (გამოცემას). აქედან გამომდინარე, ნორმების განმეორების აკრძალვა ვრცელდება არა მხოლოდ იმ ორგანოზე (თანამდებობის პირზე), რომლის აქტიც იქნა ცნობილი არაკონსტიტუციურად, არამედ ნორმატიული აქტის მიღებაზე (გამოცემაზე) უფლებამოსილ სხვა სუბიექტებზეც.
- 1131 საყურადღებოა, რომ აქცენტი კეთდება იგივე შინაარსის ნორმებზე, ანუ საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმა არაკონსტიტუციურად უნდა ჰქონდეს ცნობილი კონსტიტუციასთან მისი შინაარსის შეუსაბამობის გამო. ნორმების განმეორება სახეზე არ იქნება, თუ მაგალითად საკონსტიტუციო სასამართლომ ფორმალური თვალსაზრისით არაკონსტიტუციურად ცნო მთავრობის დადგენილება, რომელიც აწესრიგებდა პარლამენტის კონსტიტუციურ კომპეტენციას მიკუთვნებულ

¹⁷⁴⁷ შეადარე: გეგენაჟა, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში, გვ. 66; ზოიძე, ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ადამიანი და კონსტიტუცია, №4, 2004, გვ. 68.

¹⁷⁴⁸ ჯამკაძევილი, საკონსტიტუციო კონტროლი, გვ. 242.

¹⁷⁴⁹ Gusy, Ch., *Parlamentarischer Gesetzgeber und Bundesverfassungsgericht*, Berlin 1985, S. 235.

¹⁷⁵⁰ შეადარე: Benda/Klein, *Verfassungsprozessrecht*, Rn. 1430.

საკითხს და ამის შემდეგ საკანონმდებლო ორგანომ მიიღო ანალოგიური შინაარსის კანონი.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტი ითვალისწინებს ნორმათა განმეორების პრევენციისა და აღკვეთის მექანიზმს.¹⁷⁵¹ თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, როლებიც მან უკვე ცნო არაკონსტიტუციურად ან/და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან შეუსაბამოდ, საქმე არსებითად განსახილველად არ მიიღება და ხდება სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა არსებითი განხილვის გარეშე, ე.ი. გამარტივებული და დაჩქარებული წესით.

1132

საკონსტიტუციო სასამართლო მკაცრად არის შეზღუდული დავის (წარდგინების) საგნით და ვერ აუქმებს ე.წ. პარალელურ ნორმებს.¹⁷⁵² პარალელური ნორმა შეიძლება იყოს ნორმატიული აქტის გაუსაჩივრებელი ნაწილი, რომელიც შინაარსობრივად იმეორებს ან ორგანულად უკავშირდება სადავო ნორმას. არ არის გამორიცხული, რომ პარალელურ ნორმას სხვა სუბიექტის მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტიც შეიცავდეს.¹⁷⁵³ ნორმების განმეორების აკრძალვა პარალელურ ნორმებზე არ ვრცელდება, რადგანაც შეეხება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტებს. მიზანშეწონილია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის მოქმედება პარალელურ ნორმებზეც გავრცელდეს და საკონსტიტუციო სასამართლოს მიეცეს ამ წესით მათი ძალადაკარგულად ცნობის შესაძლებლობა.

1133

ნორმების განმეორების აკრძალვა არ არის აბსოლუტური ხასიათის. არ არის გამორიცხული, რომ საქმე განსახილველად პლენუმს გადაეცეს.¹⁷⁵⁴ ნორმათა განმეორების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს ალტერნატივა მის ძალადაკარგულად ცნობასა და პრაქტიკის შეცვლას შორის. სწორი არჩევანს გაკეთებისათვის საკმარისი არ არის ძალადაკარგული და ახალი ნორმების შინაარსის მექანიკური შედარება. აუცილებელია იმ მიზეზებისა და არგუმენტების

1134

¹⁷⁵¹ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 147.

¹⁷⁵² იხ.: ქვეთავი 4.1.4.4. - დავის საგნით შეზღუდვა.

¹⁷⁵³ შეადარე: *Benda/Klein*, Verfassungsprozessrecht, Rn. 1458; *Detterbeck*, Streitgegenstand und Entscheidungswirkungen, S. 361.

¹⁷⁵⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტი.

ყურადღებით შესწავლა, რამაც გამოიწვია ნორმის განმეორება.¹⁷⁵⁵ ნორმების განმეორების აკრძალვიდან გადახვევა განსაკუთრებულ გამართლებას საჭიროებს.¹⁷⁵⁶ ის უნდა იყოს განპირობებული იმ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი გარემოებების არსებითი შეცვლით, რომელსაც ეფუძნებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობისას.¹⁷⁵⁷

1135 საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულების ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს ამ ხელშეკრულების რატიფიცირების დაუშვებლობას.¹⁷⁵⁸ ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი მისი ადრესატისაგან მოქმედებისაგან (რატიფიცირებისაგან) თავის შეკავებას მოითხოვს. თუ პარლამენტი დაარღვევს ამ ვალდებულებას და რატიფიცირებას მაინც მოახდენს, რატიფიცირებული ხელშეკრულების კონსტიტუციურობაც შეიძლება გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველი. ამგვარ შემთხვევებში, კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ,¹⁷⁵⁹ არ იქნებოდა სწორი გადაწყვეტილება. ამით საკონსტიტუციო სასამართლო დაკარგავდა მისი დასკვნის იგნორირებაზე რეაგირების შესაძლებლობას და დაუშვებდა არაკონსტიტუციური საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედებას. რაციონალური იქნებოდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის გამოყენება და განჩინების მიღება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ. ამასთან, მიზანშეწონილია, რომ ორგანულმა კანონმა ცალკე მოაწესრიგოს აღნიშნული საკითხი.

1136 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება ძალადაკარგულად გამოცხადდეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტიც.¹⁷⁶⁰ არც ისაა გამორიცხული, რომ ამის შემდეგ იგივე საფუძველებით კვლავ გამოიცეს ანალოგიური შინაარსის აქტი. მაგალითად, თუ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პარლამენტის წევრს

¹⁷⁵⁵ შეადარე: *Loladze*, *Das Rechtsstaatsprinzip*, S. 147.

¹⁷⁵⁶ *Benda/Klein*, *Verfassungsprozessrecht*, Rn. 1464; *Sturm*, GG, Art. 94, Rn. 13.

¹⁷⁵⁷ შეადარე მაგ.: BVerfGE 96, 260 (263); 102, 127 (141 f.); *Hopfauf*, GG, Art. 94, Rn. 62.

¹⁷⁵⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁷⁵⁹ იქვე, 31³ მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁷⁶⁰ იქვე, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი, მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, 41 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-6 პუნქტი.

არაკონსტიტუციურად ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, შესაბამისი დადგენილება ძალას კარგავს. ამის შედეგ პარლამენტის მიერ იმავე წევრისათვის იგივე ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლით უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ დადგენილების მიღება იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დარღვევა და მისი სავალდებულო მოქმედების იგნორირება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულმა კანონმა გაითვალისწინოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების განმეორების აკრძალვის ინსტიტუტი და მის დარღვევაზე რეაგირების იმის მსგავსი მექანიზმი, რაც მოქმედებს ნორმათა განმეორების შემთხვევაში.

6.7.2.5. განმეორებითი ნორმატოკონტროლი

საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება ნორმა ჩათვალოს კონსტიტუციასთან შესაბამისად და არ დააკმაყოფილოს კონსტიტუციური სარჩელი (წარდგინება). კონსტიტუციურად ცნობილი ნორმების კონსტიტუციურობის ხელახალი შემოწმების - განმეორებითი ნორმატოკონტროლის საკითხი განიხილება საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების სავალდებულო მოქმედების კონტექსტში. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები და პოზიცია ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ შესასრულებლად ამ შემთხვევაშიც სავალდებულოა მათი ადრესატებისათვის.¹⁷⁶¹ აქედან გამომდინარე, განმეორებით ნორმატოკონტროლს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, არ ახორციელებს.¹⁷⁶² იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოზეც რომელსაც ამ დროს აქვს კონსტიტუციური სარჩელის (წარდგინების) არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგანაც მასში მითითებული სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.¹⁷⁶³

განმეორებითი ნორმატოკონტროლი ზოგადად დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე განსახილველად პლენუმს გადაეცემა არსებული

¹⁷⁶¹ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1459.

¹⁷⁶² BVerfGE 36, 44 (56); 94, 315 (323); 105, 61 (70).

¹⁷⁶³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

1137

1138

პრაქტიკის შეცვლისათვის.¹⁷⁶⁴ ამ დროს საფუძვლიანად უნდა შეფასდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამის ნორმასთან დაკავშირებით აღრე ჩამოყალიბებული პოზიცია და დასაბუთდეს, თუ რა ცვლილებებმა განაპირობა გადაწყვეტილ საკითხზე ხელახალი მსჯელობის აუცილებლობა.¹⁷⁶⁵ აღნიშნული ცვლილებები შეიძლება იყოს ფაქტობრივი ან სამართლებრივი ხასიათის.¹⁷⁶⁶ მაგალითად, განმეორებითი ნორმატოკონტროლის საფუძველი შეიძლება გახდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც აყალიბებს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავებულ პოზიციას.¹⁷⁶⁷

6.7.2.6. საკონსტიტუციო სასამართლოს
აქტების სავალდებულო მოქმედება საერთო
სასამართლოების აქტებზე

1139 საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების სავალდებულო მოქმედება საერთო სასამართლოებზეც ვრცელდება. მიმდინარე სამართლის განმარტება და შეფარდება მათი პრეროგატივაა, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს კონსტიტუციის ფარგლებში და მისი მოთხოვნების დაცვით. ამ დროს საერთო სასამართლოებმა არ უნდა გადაუხვიონ კონსტიტუციის მთავარი ინტერპრეტატორის - საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებში ჩამოყალიბებულ პოზიციას. იმის შემოწმება, თუ რამდენად ასრულებენ ისინი ამ ვალდებულებას პრობლემატურია, რადგანაც საერთო სასამართლოების აქტები კონსტიტუციურ კონტროლს არ ექვემდებარება.

1140 საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს საერთო სასამართლოების აქტების გაუქმების უფლებამოსილება. ამავდროულად, მისმა აქტებმა შეიძლება, გავლენა მოახდინოს საერთო სასამართლოების აქტებზე და მათი გადასინჯვის სამართლებრივი საფუძველიც კი გახდეს.¹⁷⁶⁸ ამ გავლენის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სამართალწარმოების ფარგლებშია მიღებული საერთო

¹⁷⁶⁴ იქვე.

¹⁷⁶⁵ შეადარე: BVerfGE 65, 179 (181); 105, 61 (70 f.).

¹⁷⁶⁶ BVerfGE 39, 169 (181); 78, 38 (48); 105, 61 (70); Sturm, GG, Art. 94, Rn. 14.

¹⁷⁶⁷ Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1462.

¹⁷⁶⁸ შეადარე: Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 162.

სასამართლოს აქტი, არის თუ არა ის შესული კანონიერ ძალაში და დასრულებულია თუ არა მისი აღსრულება.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენი შეიძლება გადასინჯოს, თუ საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს შესაბამის საქმეში გამოყენებულ სისხლის სამართლის კანონს.¹⁷⁶⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამ შემთხვევაში არ ზღუდავს განაჩენის გადასინჯვის ვადას.¹⁷⁷⁰ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ იწვევს მის საფუძველზე გამოტანილი განაჩენის გაუქმებას, თუმცა აჩერებს მის აღსრულებას.¹⁷⁷¹ ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გავლენის ხარისხი სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ განაჩენებზე მაღალია. სისხლის სამართლის სფეროში ძირითადი უფლებების დარღვევის რისკი მომეტებულია, ხოლო მათში ჩარევა განსაკუთრებული სიმძიმით ხასიათდება. ამით შეიძლება აიხსნას სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სასამართლო განაჩენების სტაბილურობის საკითხის უკანა პლანზე გადატანა და სამართლიანობისათვის უპირატესობის მინიჭება.¹⁷⁷² ეს არ ნიშნავს განაჩენის ავტომატურ გაუქმებას, არამედ მის გადასინჯვას, რაც შეიძლება არც დასრულდეს გაუქმებით.¹⁷⁷³ პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ განაჩენის გადასინჯვისას გამოირიცხება გაუქმებული არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენება.¹⁷⁷⁴

1141

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებს ნაკლები გავლენა აქვთ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში მიღებულ საერთო სასამართლოების აქტებზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული აქტების გადასინჯვის საფუძველი ვერ გახდება, თუმცა აჩერებს მათ აღსრულებას.¹⁷⁷⁵ აღსრულების შეჩერება ლოგიკურად მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა.¹⁷⁷⁶ სამოქალაქო და

1142

¹⁷⁶⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁷⁷⁰ იქვე, 311-ე მუხლი.

¹⁷⁷¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლი.

¹⁷⁷² *ლოლაძე*, სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, გვ. 522 (530); Hopfau, GG, Art. 93, Rn. 110; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 163.

¹⁷⁷³ შეადარე: BVerfGE 16, 246 (250); Benda/Klein, Verfassungsprozessrecht, Rn. 1381; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 163.

¹⁷⁷⁴ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 163.

¹⁷⁷⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლი.

¹⁷⁷⁶ *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 163.

ადმინისტრაციულ საქმეებზე საერთო სასამართლოების აქტების გადასინჯვის არდაშვება განპირობებულია სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესით.¹⁷⁷⁷ სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა იყო მდგრადი, ხოლო მათი სტაბილურობისადმი ნდობა დაცვას ექვემდებარება.¹⁷⁷⁸ ამავდროულად, კონსტიტუციის უზენაესობის, სამართლიანობის, ძირითადი უფლებების დაცვის ინტერესები, რამაც შეიძლება გააჩინოს გადასინჯვის საჭიროება, კონსტიტუციური წესრიგის ფუნდამენტს შეადგენს. აქედან გამომდინარე, უპირობო უპირატესობის მინიჭება სამართლებრივი უსაფრთხოებისათვის არ არის მართებული და უნდა არსებობდეს გონივრულ ვადებში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილებათა გადასინჯვის შესაძლებლობა.¹⁷⁷⁹

6.7.3. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების აღსრულება

1143 საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება, თუ ამავე აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი.¹⁷⁸⁰ როგორც წესი, საჭირო არ არის სხვა ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ აღსასრულებლად დამატებითი აქტის მიღება (გამოცემა), მაგრამ არსებობს გამონაკლისიც. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნის ვალდებულების დაკისრებას,¹⁷⁸¹ აუცილებელია შესაბამისი აქტის გამოცემა. აღსრულებისათვის დამატებითი აქტის მიღების (გამოცემის) საჭიროება ზრდის მისი შეფერხების რისკს. ამას ადასტურებს საკონსტიტუციო სასამართლოს ნეგატიური გამოცდილება პარლამენტის მიერ იმ დეპუტატების უფლებამოსილების ვადამდე არშეწყვეტასთან დაკავშირებით, რომელთა არჩევნების შედეგები არაკონსტიტუციურად ცნო და ბათილად გამოაცხადა საკონსტიტუციო სასამართლომ.¹⁷⁸² აღსანიშნავია, რომ დღეისათვის მსგავსი გართულება ნაკლებად მოსალოდნელია, რადგანაც

¹⁷⁷⁷ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი, გვ. 178; Badura, Staatsrecht, S. 817; Maunz, GG, Art. 93, Rn. 45; Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 537.

¹⁷⁷⁸ ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, გვ. 522 (531).

¹⁷⁷⁹ შეადარე: ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, გვ. 522 (531); Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 164.

¹⁷⁸⁰ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁷⁸¹ იქვე, 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁷⁸² დეტალურად: იხ.: ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი, გვ. 47; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, 144 f.

საკონსტიტუციო სასამართლოში არჩევნების კონსტიტუციურობაზე დავის დასრულებამდე პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა არ ხდება.

არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების იძულებით აღსრულების ეფექტიანი მექანიზმი.¹⁷⁸³ საკონსტიტუციო სასამართლოს წარმატება, გავლენა და ავტორიტეტი დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად პასუხისმგებლობითა და პატივისცემით მოეპყრობიან სხვა ორგანოები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს.¹⁷⁸⁴ დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე საზოგადოების მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოსა და მისი აქტების შეფასებასა და აღიარებას.¹⁷⁸⁵ ამისათვის გადამწყვეტ როლს თამაშობს საკონსტიტუციო სასამართლოს სწორი და არგუმენტირებული პოზიცია, მისი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი.¹⁷⁸⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის ზომების მიღება საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის კომპეტენციაა, რომელიც თვეში ერთხელ მოახსენებს პლენუმს მათი აღსრულების მიმდინარეობის თაობაზე.¹⁷⁸⁷ ამასთან, არ არის დაკონკრეტებული, თუ რა ზომების განხორციელება შეუძლია მას აღსრულებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ მდივნის განკარგულებაში არ არის ქმედითი ბერკეტები აღსრულების უზრუნველსაყოფად.¹⁷⁸⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, განსაზღვროს არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ძალის დაკარგვის გვიანდელი ვადა, ანუ გადადოს მისი აქტის აღსრულება. აღსრულების გადადება შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც არაკონსტიტუციური ნორმის ძალის დაკარგვით შექმნილი ვაკუუმი უფრო დამაზიანებელია, ვიდრე ამ ნორმის მოქმედების დროებით გაგრძელება. არაკონსტიტუციური ნორმის ავტორს ეძლევა გონივრული ვადა საკითხის კონსტიტუციის შესაბამისად მოწესრიგებისათვის, რითაც ირიბად საკონსტიტუციო

¹⁷⁸³ Böckenförde, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 9 (12).

¹⁷⁸⁴ Müller, Die Verfassungsgerichtsbarkeit im Gefüge der Staatsfunktionen, in: Korinek, K., Müller, J. P., Schlaich, K., Die Verfassungsgerichtsbarkeit im Gefüge der Staatsfunktionen, Berlin/New York 1981, S. 55 (62); Simon, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 1637 (1654).

¹⁷⁸⁵ გეგენაუა, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში, გვ. 68-69; Simon, Verfassungsgerichtsbarkeit, S. 1637 (1654).

¹⁷⁸⁶ შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება, გვ. 252; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, S. 135.

¹⁷⁸⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁷⁸⁸ შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გვ. 245 (251).

სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის პრევენციაც ხდება.¹⁷⁸⁹ აღსრულების გადადებას ავსტრიისა და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოები ძირითადად იყენებენ კანონმდებლის უმოქმედობის შემთხვევაში ან სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნების გამო.¹⁷⁹⁰ აღსრულების გადადების შესაძლებლობას ითვალისწინებს პოლონეთის, სლოვენისა და ალბანეთის კონსტიტუციებიც.¹⁷⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ვხვდებით აღსრულების გადადების შემთხვევებს, მაგალითად სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესებში, საკანონმდებლო ვაკუუმის შექმნის თავიდან ასაცილებლად,¹⁷⁹² ახალი კანონმდებლობით შემოღებული სისტემის ინსტიტუციური და ტექნიკური უზრუნველყოფისათვის¹⁷⁹³ და ა.შ. აღსრულების გადადების გონივრული ვადა, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, თავად საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს და ეს არ მიანდოს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ავტორს, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას (დროულ) აღსრულებას.¹⁷⁹⁴

¹⁷⁸⁹ *ქამკამვილი*, საკონსტიტუციო კონტროლი, გვ. 244.

¹⁷⁹⁰ *Stern*, Verfassungsgerichtsbarkeit im Widerstreit, S. 21.

¹⁷⁹¹ პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 190-ე მუხლის მე-3 პუნქტი; სლოვენის რესპუბლიკის კონსტიტუციის 161-ე მუხლი; ალბანეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 132-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁷⁹² მაგალითად იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის №2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე „მპს „ჯორჯიან მანგანუმი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36.

¹⁷⁹³ №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II-118.

¹⁷⁹⁴ № 1/2/213, 243 გადაწყვეტილება, III, IV. კრიტიკული შეფასება დეტალურად: იხ.: *Loladze*, Das Rechtsstaatsprinzip, S. 151.

ბიბლიოგრაფია:

ქართულენოვანი ლიტერატურა:

ბაბუკი ვოლფგანგ, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995), თბილისი 2002.

ბურდული, ირაკლი/ გოცირიძე, ევა/ ერქვანია, თინათინ/ ზოიძე, ბესარიონ/ იზორია, ლევან/ კობახიძე, ირაკლი/ლორია, არჩილ/ მაჭარაძე, ზურაბ/ ფირცხალაშვილი, ანა/ ტურავა, მერაბ/ ფუტყარაძე იაკობ/ ქანთარია, ბექა/ წერეთელი, დავით/ ჯორბენაძე სანდრო: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, რედ. პ. ტურავა, თბილისი 2013;

გეგენავა, დიმიტრი: საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი 2012;

გიორგაძე, ლიანა: საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის სახე და მისი თანამედროვე მოდელები: ბრძოლა უპირატესობისთვის, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი 2012;

ზოიძე, ბესარიონ: საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი 2007;

ზოიძე, ბესარიონ: საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ადამიანი და კონსტიტუცია, №4, 2004;

ისაშროვი, საშუელ: მყიფე დემოკრატიები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა №2, 2010;

კახიანი გიორგი: საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში - თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი 2011;

კახიანი, გიორგი: კონსტიტუციურობისა და კანონიერების კონტროლისა და ზედამხედველობის იდეები პირველ ქართულ კონსტიტუციაში, ჟურნ. „სამართალი“ N1-2, 2006;

კახიანი, გიორგი: საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2008;

კვერენჩილაძე, გიორგი: კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ჟურნ. ადამიანი და კონსტიტუცია, #3, 2006;

კერენჩხილაძე, გიორგი: კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები (ზოგიერთი თეორიული საკითხი)". კავკასიის უნივერსიტეტის 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი 2008;

კორკელია, კონსტანტინე: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი 2003;

კორკელია, კონსტანტინე: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო იურისდიქცია: ევროპული სასამართლოსა და ეროვნული სასამართლოების თანამშრომლობის პერსპექტივები და გამოწვევები, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა“, თბილისი 2018;

კუბლაშვილი, კონსტანტინე: ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი 2019;

ლოლაძე, ბესიკ: ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, გეგენავა დ. (რედ.), შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი 2019;

ლოლაძე, ბესიკ: აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა“, თბილისი 2018;

ლოლაძე, ბესიკ: კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის იგნორირება და მისი პრევენცია, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა“, თბილისი 2013;

ლოლაძე, ბესიკ: სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, უგრეხელიძე მინდია, ქანთარია ბექა (რედ.), კონსტიტუციონალიზმი. მიღწევები და გამოწვევები, თბილისი 2019;

ლოლაძე, ბესიკ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გეგენავა დ. (რედ.), შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი 2019;

მავჩიჩი, არნე მარიან: განსხვავებული და თანმხვედრი მოსაზრებების (დამოუკიდებელი მოსაზრებების) მნიშვნელობა საკონსტიტუციო და სასამართლო მეთვალყურეობის განვითარებისთვის სლოვენიის სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა №4, 2010;

მელქაძე ოთარ/ დვალი, ბექა: სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი 2000;

მენაბდე, ვახუშტი: კონკრეტული კონტროლის პარადიგმა კონსტიტუციონალიზმში ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, თბილისი 2012;

ტოკუშვი, დიმიტრი: ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არსებული განსხვავებული და თანმხვედრი აზრები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა №4, 2010;

ფირცხალაშვილი, ანა: საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური კონტროლი კვლავ კონსტიტუციის გადასინჯვის მიღმა. სამეცნიერო ჟურნალის „აკადემიური მაცნე“ 2017 წლის სპეციალური გამოცემა. „საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“, თბილისი 2017;

ქანთარია, ბექა: დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, თბილისი 2012;

ქაშაკაშვილი, ნინო: საკონსტიტუციო კონტროლი, გეგენავა, დ., გორაძე, გ., ჯიქია, მ. (რედ.), კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი II;

შაიო, ანდრეაშ: ხელისუფლების თვითშეზღუდვა, თბილისი 2003;

შარაშიძე, მიხეილ: პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის დადგენა საქართველოში. „საარჩევნო უფლებებისა და პოლიტიკური გაერთიანების თავისუფლების დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოში“, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი 2000;

შელქაძე, ოთარ/ გონაშვილი, ვასილ: საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნ. ადამიანი და კონსტიტუცია #1, 1999;

შვარცი, ჰერმან: კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, თბილისი 2003;

ცანავა, ლანა: საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის განმარტება, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი 2012;

ცხადაძე ქეთევან, კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების რელევანტურობა ადმინისტრაციული სამართლისათვის, ადმინისტრაციული სამართალი, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, თბილისი 2016;

ხეცურიანი, ჯონი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“ N3, 2006;

ხეცურიანი, ჯონი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი 2020;

ხეცურიანი, ჯონი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა №4, 2010;

ხეცურიანი, გონი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხებზე, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა №1, 2009;

ხეცურიანი გონი: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება“. „ფავორიტი სტილი“, თბილისი 2016;

ხუბუა გია: საჯარო მმართველობის მართლებრივი საფუძვლები, ხუბუა/, ზომერმანი, (რედ.) თბილისი 2016.

უცხოენოვანი ლიტერატურა:

Achterberg, Norbert/ Schulte, Martin: Kommentar zum Art. 41 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010;

Adamovich Ludwig: Verfassungsgerichtsbarkeit und ordentliche Gerichtsbarkeit, in: Adamovich, Ludwig (Hrsg.): Der Rechtsstaat in der Krise, Festschrift Edwin Loebenstein zum 80. Geburtstag, Wien 1991;

Alexy, Robert: Bericht, in: Alexy, Robert/Kunig, Philip/Heun, Werner/Hermes, Georg: Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, VVDStRL (61), Berlin/New York 2002;

Bachof, Otto: Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates. Der soziale Rechtsstaat in verwaltungsrechtlicher Sicht, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968;

Badura, Peter: Staatsrecht. Systematische Erläuterung des Grundsatzes für die Bundesrepublik Deutschland, 4., neu bearbeitete Auflage, München 2010;

Badura, Peter: Verfassungsänderung, Verfassungswandel, Verfassungsgewohnheitsrecht, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band VII, Normativität und Schutz der Verfassung – Internationale Beziehungen, Heidelberg 1992;

Benda, Ernst: Der soziale Rechtsstaat, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995;

Benda, Ernst: Menschenwürde und Persönlichkeitsrecht, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995;

Benda, Ernst/Klein, Eckart: Verfassungsprozessrecht. Ein Lehr- und Handbuch, 3., völlig neu bearbeitete Auflage, Heidelberg u. a. 2012;

Bethge, Herbert: in: Heinrich, Ch. (Hrsg.), Festschrift für Hans-Joachim Musielak zum 70. Geburtstag, München 2004;

Bethge, Herbert: in Maunz/ Schmidt-Bleibtreu/Klein/Bethge, Bundesverfassungsgerichtsgesetz, kommentar, Band 1, CH Beck, München 2017;

Böckenförde, Ernts-Wolfgang: Die Verfassungsgebende Gewalt des Volkes – Ein Grenzbegriff des Verfassungsrechts, in: Böckenförde, Ernts-Wolfgang: Staat, Verfassung, Demokratie. Studien zur Verfassungstheorie und zum Verfassungsrecht, Frankfurt am Main 1991;

Böckenförde, Ernst-Wolfgang: Verfassungsgerichtsbarkeit, in: Neue juristische Wochenschrift, 52, 1999;

Brohm, Winfried: Die Funktion des BVerfG – Oligarchie in der Demokratie? in: Neue juristische Wochenschrift, 54 (2001) 1;

Bryde, Brun-Otto: Kommentar zum Art. 79 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012;

Bryde, Brun-Otto: Verfassungsentwicklung. Stabilität und Dynamik im Verfassungsrecht der Bundesrepublik Deutschland, Baden-Baden 1982;

Buchwald, Delf: Objektive Bindungswirkung - Materielle Rechtskraft – Richterrecht. Eine verfassungsprozessuale und methodologische Untersuchung, Düren 1997;

Bülow, Erich: Gesetzgebung, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995;

Burchardt, Daniel O.: Grenzen verfassungsgerichtlichen Erkenntnis. Zur Prozeduralität der Verfassungsnormativität, Berlin 2004;

Burmeister, Joachim: Verfassungstheoretische Neukonzeption der kommunalen Selbstverwaltungsgarantie, München 1977;

Degenhart, Christoph: Staatsrecht I, Staatsorganisationsrecht: Mit Bezügen zum Europarecht. Schwerpunkte. 31. Auflage, C. F. Müller, 2015;

Detterbeck, Steffen: Kommentar zum Art. 98 GG, in: Sachs, M. (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011;

Detterbeck, Steffen: Streitgegenstand und Entscheidungswirkungen im Öffentlichen Recht. Grundlagen des Verfahrens vor den allgemeinen Verwaltungsgerichten und vor dem Bundesverfassungsgericht, Tübingen, 1995;

Doehring, Karl: Allgemeine Staatslehre. Eine systematische Darstellung, 3., neu bearbeitete Auflage, Heidelberg 2004;

Dols, Heinz/Plate, Klaus: Kommunalrecht. 5., neubearbeitete und erweiterte Auflage, Stuttgart u. a. 1999;

Dreier, Horst: Grenzen demokratischer Freiheit im Verfassungsstaat, in: Juristen Zeitung, 1994 (15/16);

Dürig, Günter: Zur Bedeutung und Tragweite des Art. 79 Abs. III des Grundgesetzes, in: Spanner, Hans/Lerche, Peter/Zacher, Hans/Badura, Peter/Freiherr von Campenhausen, Axel

(Hrsg.): Festschrift für Theodor Maunz zum 70. Geburtstag am 1. September 1971, München 1971;

Enzmann, Birgit: Der demokratische Verfassungsstaat zwischen Legitimationskonflikt und Deutungsoffenheit, Wiesbaden 2009;

Erkvania, Tinatin: Verfassung und Verfassungsgerichtsbarkeit in Georgien, Nomos Berlin, 2017;

Evers, Hans-Ulrich: Kommentar zum Art. 79 Abs. 3 GG, in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 10 (Art. 74 – 79), Heidelberg seit 1950;

Fechner, Erich: Freiheit und Zwang im sozialen Rechtsstaat, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968;

Federer, Julius: Aufbau, Zuständigkeit und Verfahren des Bundesverfassungsgerichts, in: Das Bundesverfassungsgericht 1951 – 1971, zweite völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Karlsruhe 1971;

Fromme, Friedrich K.: Das Sondervotum in der Bewährung, in: Leibholz, G., Faller, H. J., Mikat, P., Reis, H. (Hrsg.), Menschenwürde und freiheitliche Rechtsordnung. Festschrift für Willi Geiger zum 65. Geburtstag, Tübingen 1974;

Fürst, Walther: Die Funktionsgebundenheit von Verfassungs- und Verwaltungsrechtsprechung im Spannungsfeld grundgesetzlicher Gewaltenteilung, in: Festschrift Edwin Loebenstein zum 80. Geburtstag, Wien 1991;

Gärditz, Klaus Ferdinand: Kommentar zum Art. 20 GG, in: Friauf, Karl Heinrich/Höfling, Wolfram (Hrsg.): Berliner Kommentar zum Grundgesetz, Band 2, Berlin seit 2000;

Garlicki, Leszek Lech: Das Verfassungsgericht im politischen Prozeß. In: Luchterhand, Otto (Hrsg.), Neue Regierungssysteme in Osteuropa und der GUS: Probleme der Ausbildung stabler Machtinstitutionen, Berlin 1996;

Gaul, Wolfgang: Neue Verfassungsstrukturen in Georgien, in: Verfassung und Recht in Übersee, 32, 1999;

Gaul, Wolfgang: Verfassungsgebung in Georgien. Ergebnisse internationaler rechtlicher Beratung in einem Transformationsstaat, Berlin 2001;

Geiger, Willi: Einige Besonderheiten im verfassungsgerichtlichen Prozeß, Karlsruhe 1981;

Gern, Alfons: Deutsches Kommunalrecht. 2., neubearbeitete Auflage, Baden-Baden 1997;

Grzeszick, Bernd: Die Verfassungsgrundsätze des Art. 20 Abs. 3 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958;

Grzeszick, Bernd: Art. 20 und die allgemeine Rechtsstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958;

Gusy, Christoph: Parlamentarischer Gesetzgeber und Bundesverfassungsgericht, Berlin 1985;

Hain, Karl-Eberhard: Kommentar zum Art. 79 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010;

Hatajiri, Tsuyoshi: Integrierte und isolierte Verfassungsgerichtsbarkeit, Verfassungsentwicklung II, Verfassungsentwicklung durch Verfassungsgerichte Deutsch-Japanisches Verfassungsgespräch 2017. Hrsg. Jestaedt und Suzuki, Tübingen 2019;

Hendler, Reinhard: Selbstverwaltung als Ordnungsprinzip. Zur politischen Willensbildung und Entscheidung im demokratischen Verfassungsstaat der Industriegesellschaft, Köln u. a. 1984;

Henke, Wilhelm: Kommentar zum Art. 21 GG, in: Dolzer, R., Graßhof, K., Kahl, W., Waldhoff, Ch. (Hrsg.), Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 5 (Art. 20 – 21), Heidelberg seit 1950;

Herzog, Roman: Kommentar zum Art. 20 GG (Die Verfassungsentscheidung für die Gewaltenteilung), in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958;

Herzog, Roman: Kommentar zum Art. 61 GG, in: Maunz, Th., Dürig, G. (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band V, München seit 1958;

Hesse, Konrad: Bedeutung der Grundrechte, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995;

Hesse, Konrad: Bundesstaatsform und Grenzen der Verfassungsänderung, in: Archiv des öffentlichen Rechts, 98. Band, 1973;

Herdegen, Matthias: Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, München seit 1958;

Heun, Werner: Bericht, in: Alexy, Robert/Kunig, Philip/Heun, Werner/Hermes, Georg: Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, VVDStRL (61), Berlin/New York 2002;

Heun, Werner: Das Mehrheitsprinzip in der Demokratie, Berlin 1983;

Heyde, Wolfgang: Rechtsprechung, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995;

Hillgruber Christian: Kommentar zum Art. 98 GG, in: Maunz, Th., Dürig, G. (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band VI, München seit 1958;

Hillgruber Christian/Goos Christoph: Verfassungsprozessrecht, Schwerpunkte, 3. Auflage. C. F. Müller, 2011;

Hofmann, Hans: Kommentar zum Art. 20 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.)/Hofmann, Hans/Hopfauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011;

Hopfauf, Axel: Kommentar zum Art. 93 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Franz, Klein (Begr.), Hofmann, Hans/Hopfauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011;

Hopfauf, Axel: Kommentar zum Art. 94 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.), Hofmann, Hans/Hopfauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011;

Huber, Ernst Rudolf: Rechtsstaat und Sozialstaat in der modernen Industriegesellschaft, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968;

Ipsen, Jörn: Der Staat der Mitte. Verfassungsgeschichte der Bundesrepublik Deutschland, München 2009;

Ipsen, Jörn: Kommentar zum Art. 21 GG, Sachs, M. (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011;

Ipsen, Jörn: Staatsrecht I, Staatsorganisationsrecht, 12. Neubearbeitete Aufgabe. München 2012;

Jarass, Hans D.: Kommentar zum Art. 20 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, München 2012;

Karpen, Ulrich: Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, Mainz 1985;

Kelsen, Hans: Was ist Gerechtigkeit? Wien 1953;

Kelsen, Hans: Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit, in: Ooyen, Robert Christian van (Hrsg.): Wer soll der Hüter der Verfassung sein? Abhandlungen zur Theorie der Verfassungsgerichtsbarkeit in der pluralistischen, parlamentarischen Demokratie, Tübingen 2008;

Kempny, Simon: Die Staatsfinanzierung nach der Paulskirchenverfassung. Eine Untersuchung des Finanz- und Steuerverfassungsrechts der Verfassung des deutschen Reiches vom 28. März 1849, Tübingen 2011;

Khubua, Giorgi: Grund- un Menschenrechte in Georgien, in Handbuch der Grundrechte C.F Müller, Heidelberg 2016;

Klein, Hans H.: Kommentar zum Art. 21, Maunz, Th., Dürig, G. (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958;

Klein, Hans H.: Kommentar zum Art. 41, Maunz, Th., Dürig, G. (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band IV, München seit 1958;

Klein, Oliver: in: Rensen, H., Brink, S. (Hrsg.), Linien der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, Band 1, Berlin 2009;

Kloepfer, Michael: Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, in: Schmidt-Aßmann, Eberhard/Sellner, Dieter/Hirsch, Günter/Kemper, Gerd-Heinrich/Lehmann-Grube, Hinrich (Hrsg.): Festgabe 50 Jahre Bundesverwaltungsgericht, Köln u. a. 2003;

Korinek, Karl: Die Verfassungsgerichtsbarkeit im Gefüge der Staatsfunktionen, in: Korinek, Karl/Müller, Jörg P./Schlaich, Klaus: Die Verfassungsgerichtsbarkeit im Gefüge der Staatsfunktionen, Berlin/New York 1981;

Kunig, Philip: Bericht, in: Alexy, Robert/Kunig, Philip/Heun, Werner/Hermes, Georg: Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, VVDStRL (61), Berlin/New York 2002;

Kunig, Philip: Das Rechtsstaatsprinzip. Überlegungen zu seiner Bedeutung für das Verfassungsrecht der Bundesrepublik Deutschland, Tübingen 1986;

Kunig, Philip: Der Rechtsstaat, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, Tübingen 2001;

Kunig, Philip: Kommentar zum Art. 21 GG, in: v. Münch, I. (Begr.), Kunig, Ph. (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012;

Lechner Hans/Zuck Rüdiger: Bundesverfassungsgerichtsgesetz, Kommentar, C.H. BECH München, 2015;

Leibholz, Gerhard: Der Status des Bundesverfassungsgerichts, in: Das Bundesverfassungsgericht 1951 – 1971, zweite völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Karlsruhe 1971;

Lerche, Peter: Vorbehalt des Gesetzes und Wesentlichkeitstheorie, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band III – Grundrechte in Deutschland: Allgemeine Lehren II, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg 2009, § 62;

Loladze, Besik: Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam 2015;

Magiera, Siegfried: Kommentar zum Art. 41 GG, in: Sachs, M. (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011;

Mastronardi, Philippe: Verfassungslehre. Allgemeines Staatsrecht als Lehre vom guten und gerechten Staat, Bern/Stuttgart/Wien 2007;

Maunz, Theodor: Kommentar zum Art. 93 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band VI, München seit 1958;

Maunz, Theodor: Kommentar zum Art. 94 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band VI, München seit 1958;

Maunz, Theodor: Kommentar zum Art. 100 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band VI, München seit 1958;

Maurer, Hartmut: Rechtsstaatliches Prozessrecht, in: Badura, P., Dreier, H. (Hrsg.), Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, Tübingen 2001;

Maurer, Hartmut: Staatsrecht I: Grundlagen, Verfassungsorgane, Staatsfunktionen 6., überarbeitete und ergänzte Auflage. 2010;

Maurer, Hartmut: Verfassungsänderung im Parteienstaat, in: Kästner, Karl-Hermann/Nörr, Knut Wolfgang/Schlaich, Klaus (Hrsg.): Festschrift für Martin Heckel zum siebzigsten Geburtstag, Tübingen 1999;

Maus, Didier: Die Verwendung der Rechtsprechung der ausländischen Staaten und der Dialog zwischen den Verfassungsgerichten, in: Die Review des Verfassungsrechts Nr.2, 2010;

Meyer, Wolfgang: Kommentar zum Art. 93 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz. Kommentar, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012;

Meyer, Wolfgang: Kommentar zum Art. 94 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz. Kommentar, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012;

Meyer, Wolfgang: Kommentar zum Art. 100 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz. Kommentar, Band 2 (Art. 70 bis146), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012;

Michael, Lothar: Die drei Argumentationsstrukturen des Grundsatzes der Verhältnismäßigkeit – Zur Dogmatik des Über- und Untermaßverbotes und der Gleichheitssätze, Juristische Schulung, 2 2001;

Morbideli Giuseppe, Pegoraro Lucio, Reposo Antonio, Volpi Mauro, Diritto pubblico Comparato, Terza edizione, G. Giappichelli Editore – Torino 2009;

Müller, Jörg Paul: Die Verfassungsgerichtsbarkeit im Gefüge der Staatsfunktionen, in: Korinek, Karl/Müller, Jörg P./Schlaich, Klaus: Die Verfassungsgerichtsbarkeit im Gefüge der Staatsfunktionen, Berlin/New York 1981;

Müller-Terpitz, Ralf: Kommentar zum Art. 100 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.), Hofmann, Hans/Hopfauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011;

Münch, Ingo v.: Das Bundesverfassungsgericht als Teil des Rechtsstaates, Jura 1992;

Münch, Ingo v. /Mager, Ute: Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht unter Berücksichtigung der europarechtlichen Bezüge, 7., völlig neu bearbeitete Auflage, Stuttgart 2009;

Nierhaus, Michael: Die kommunale Selbstverwaltung in: Kommunale Selbstverwaltung. Beiträge zur Debatte, Büchner, C., Franzke, J. (Hrsg.), Berlin, 1999;

Nierhaus, Michael: Kommentar zum Art. 61 GG, in: Sachs, M. (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011;

Ossenbühl, Fritz: Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, in: *Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.):* Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band V – Rechtsquellen, Organisation, Finanzen, Heidelberg, München, Landsberg, Berlin 2007, § 101;

Pagenkopf, Hans: Kommunalrecht, Köln u. a. 1971;

Papier, Hans-Jürgen: Gewaltentrennung im Rechtsstaat, in: Merten, Detlef (Hrsg.): Gewaltentrennung im Rechtsstaat. Zum 300. Geburtstag von Charles de Montesquieu; Vorträge und Diskussionsbeiträge der 57. Staatswissenschaftlichen Fortbildungstagung 1989 der Hochschule für Verwaltungswissenschaften Speyer, Berlin 1989;

Papier, Hans-Jürgen/Möller, Johannes: Das Bestimmtheitsgebot und seine Durchsetzung, Archiv des öffentlichen Rechts, 122 (1997);

Phirtsckhalashvili, Anna: Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995, Potsdam 2010;

Pieroth, Bodo: Kommentar zum Art. 41 GG, in: Jarass, Hans D., Pieroth, B., Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, München 2012;

Rauber, David N.: Wahlprüfung in Deutschland: materiell-rechtliche Maßstäbe für die Wahlprüfung bei Parlamentswahlen und Wahlen auf kommunaler Ebene, Baden-Baden 2005;

Reineck, Karl-Michael: Allgemeine Staatslehre und Deutsches Staatsrecht, 15. überarbeitete Auflage, Hamburg 2007;

Reuter, Thomas: Die Verhältnismäßigkeit im engeren Sinne – das unbekannte Wesen, Juristische Ausbildung, 7 (2009);

Ritterspach, Theo: in: Festschrift für Erwin Stein, zum 80. Geburtstag, Bad Homburg 1983;

Robbers, Gerhard: Die Änderungen des Grundgesetzes, in: Neue Juristische Wochenschrift, 1989;

Robbers, Gerhard: Kommentar zum Art. 20 GG (Aktualisierung Oktober 2009), in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 5 (Art. 20 – 21), Heidelberg seit 1950;

Rupp, Hans G.: in: Tübinger Festschrift für Eduard Kern, Tübingen 1968;

Sachs, Michael: Die Bindung des Bundesverfassungsgerichts an seine Entscheidungen, München 1977;

Sachs, Michael: Kommentar zum Art. 20 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011;

Sachs, Michael: Kommentar zum Art. 79 GG, in: *Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar*, 6. Auflage, München 2011;

Sattler, Andreas: Die rechtliche Bedeutung der Entscheidung für die Streitbare Demokratie: untersucht unter besonderer Berücksichtigung der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, Baden-Baden 1982;

Schenke, Wolf-Rüdiger: Justizgewähr und Grundrechtsschutz, in: Merten, Detlef/Papier, HansJürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band III – Grundrechte in Deutschland: Allgemeine Lehren II, Heidelberg 2009;

Scheuner, Ulrich: Das Mehrheitsprinzip in der Demokratie, Opladen, 1973;

Schlink, Bernhard: Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Bd. II, Tübingen 2001;

Schmidt, Rolf: Staatsorganisationsrecht sowie Grundzüge des Verfassungsprozessrechts, 7. Auflage, Grasberg bei Bremen 2007;

Schmidt-Aßmann, Eberhard: Besonderes Verwaltungsrecht, 11. neubearbeitete Auflage, Berlin, New York, 1999;

Schmidt-Jortzig, Edzard: Die Einrichtungsgarantien der Verfassung. Dogmatischer Gehalt und Sicherungskraft einer umstrittenen Figur, Göttingen 1979;

Schmitt, Walter Oskar: Der Begriff der freiheitlich demokratischen Grundordnung und Art. 79 Abs. 3 des Grundgesetzes, in: Die öffentliche Verwaltung, 1965;

Schnapp, Friedrich Eberhard: Die Verhältnismäßigkeit des Grundrechtseingriffs, Juristische Schulung, 11 (1983);

Schnapp, Friedrich Eberhard: Kommentar zum Art. 20 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012;

Schramm, Theodor: Staatsrecht. 2., überarbeitete und erweiterte Auflage, Köln u. A. 1977;

Schulze-Fielitz, Helmuth: Kommentar zum Art. 20 GG (Rechtsstaat), in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Tübingen 2006;

Schulze-Fielitz, Helmuth: Kommentar zum Art. 98 GG, in: Dreier, H. (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, Band III, 2. Auflage, Tübingen 2006;

Seifert, Karl-Heinz: Die politischen Parteien im Recht der Bundesrepublik Deutschland, Köln u. a. 1975;

Seuffert, Walter: Die Verfassungsbeschwerde in der Verfassungsgerichtsbarkeit, in: Das Bundesverfassungsgericht 1951 – 1971, zweite völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Karlsruhe 1971;

Sieckmann, Jan-Reinard: Kommentar zum Art. 100 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010;

Simon, Helmut: Verfassungsgerichtsbarkeit, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995;

Sobota, Katharina: Das Prinzip Rechtsstaat. Verfassungs- und verwaltungsrechtliche Aspekte, Tübingen 1997;

Sommermann, Karl-Peter: Kommentar zum Art. 20 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010;

Starck, Christian: Kommentar zum Art. 1 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010;

Stein, Ekkehart/Götz, Frank: Staatsrecht, 21., neu bearbeitete Auflage, Tübingen 2010;

Stelten, Lukas: Der prozessuale Schutz der Grundrechte in Frankreich in: Gerichtlicher Grundrechtsschutz in Frankreich, Nomos 2018;

Stern, Klaus: Die Bedeutung der Unantastbarkeitsgarantie des Art. 79 III GG für die Grundrechte, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/München 1992;

Stern, Klaus: Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/München 1992;

Stern, Klaus: Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band I – Grundbegriffe und Grundlagen des Staatsrechts, Strukturprinzipien der Verfassung, 2., völlig neu bearbeitete Auflage, München 1984;

Stern, Klaus: Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band II, Staatsorgane, Staatsfunktionen, Finanz- und Haushaltsverfassung, Notstandsverfassung, München 1980;

Stern, Klaus: Kommentar zum Art. 93 GG, in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Bonner Kommentar zum Grundgesetz, Band 12 (Art. 89 – 104), Heidelberg seit 1950;

Stern, Klaus: Kommentar zum Art. 94 GG, in: Dolzer, R., Graßhof, K., Kahl, W., Waldhoff, Ch. (Hrsg.), Bonner Kommentar zum Grundgesetz, Band 12 (Art. 89 – 104), Heidelberg seit 1950;

Stern, Klaus: Kommentar zum Art. 100 GG, in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Bonner Kommentar zum Grundgesetz, Band 12 (Art. 89 – 104), Heidelberg seit 1950;

Stern, Klaus: Verfassungsgerichtsbarkeit im sozialen Rechtsstaat, Hannover 1980;

Stern, Klaus: Verfassungsgerichtsbarkeit im Widerstreit, Passau 1979;

Stober, Rolf: Kommunalrecht in der Bundesrepublik Deutschland. 3. Auflage, Stuttgart (u. a.) 1996;

Stollberg, Frank: Die verfassungsrechtlichen Grundlagen des Parteiverbots, Berlin 1976;

Streinz, Rudolf: Kommentar zum Art. 21 GG, in: v. Mangoldt, H., Klein, F., Starck, Ch. (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010;

Sturm, Gerd: Kommentar zum Art. 93 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011;

Sturm, Gerd: Kommentar zum Art. 94 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011;

Sturm, Gerd: Kommentar zum Art. 100 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011;

Sundermann, Welf/ Miltkau, Thomas: Kommunalrecht Brandenburg, Hamburg, 1995;

Vogel, Hans-Jochen: Gewaltenvermischung statt Gewaltenteilung? Zu neueren Entwicklungen im Verhältnis der Verfassungsorgane zueinander, Neue juristische Wochenschrift, 23 (1996);

Voßkuhle, Andreas: Kommentar zum Art. 93 GG, in: Mangoldt, Hermann von(Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010;

Voßkuhle, Andreas: Kommentar zum Art. 94 GG, in: Mangoldt, H. v. (Begr.), Klein, F., Starck, Ch. (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010;

Waechter, Kay: Kommunalrecht. 2., überarbeitete Auflage, Köln u. a. 1995;

Wesel, Uwe: Geschichte des Rechts. Von den Frühformen bis zur Gegenwart. 3., Auflage, München 2006;

Zippelius, Reinhold/Würtenberger, Thomas: Deutsches Staatsrecht. Ein Studienbuch, 32. Auflage, München 2008.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- **1997 წლის 25 მარტის №2/31-5** გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან ფურცხვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **1997 წლის 21 ივლისის №1/51** გადაწყვეტილება საქმეზე „ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“;
- **1997 წლის 4 ნოემბრის №1/5/32** გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **1997 წლის 29 დეკემბრის №2/35** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის 48 წევრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **1998 წლის 29 იანვრის №1/1/72-73** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ“;
- **1998 წლის 15 ივლისის №1/6-58,60,62,67** გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეები ირაკლი ტულუში, ლონდა სიხარულიძე, ზურაბ დიდიშვილი, ვალერიან რევიშვილი, სიმონ ხოშტარია, დავით ჯანგულაშვილი და რუსუდან ბოკუჩავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“;
- **2001 წლის 30 მარტის №6/134-139-140** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა სამი ჯგუფის 134-ე, 139-ე და 140-ე ნომრებით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელები საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის არჩევნების №63 აბაშის, №68 წალენჯიხისა და №70 ფოთის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში 14 ნოემბრის არჩევნების კონსტიტუციურობის თაობაზე“;
- **2001 წლის 7 ივნისის №1/1/103, 117, 137, 147-48, 152-53** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ვალიდა დარბაიძე, ნათელა ციმაკურიძე და ნანა მირველაშვილი, ნატალია ოკუჯავა, მაია მელაძე, მარი მიქიაშვილი, დავით

- ადამიძე, ნანა სარაშვილი, გიორგი ოკუჯავა და სხვები (სულ 54 მოქალაქე), ჟუჟუნა ბერიანიძე და მარია ვარამაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2002 წლის 19 აპრილის №7/176/2** გადაწყვეტილება საქმეზე „ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“;
 - **2002 წლის 21 მაისის №8/177/2** გადაწყვეტილება საქმეზე „ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“;
 - **2002 წლის 15 ოქტომბრის №1/2/174** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ტრისტან ხანიშვილი, თედორე ნინიძე, ნოდარ ჭითანავა, ლევან ალექსიძე, გიორგი ქავთარაძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
 - **2002 წლის 3 დეკემბრის №11/203/2** გადაწყვეტილება საქმეზე „თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის კონსტიტუციური წარდგინება“;
 - **2003 წლის 10 აპრილის №2/4/194** გადაწყვეტილება საქმეზე „მიხეილ ვადაჭკორია საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“;
 - **2004 წლის 16 თებერვლის №1/1/186** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
 - **2004 წლის 11 მარტის №2/1/241** გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
 - **2004 წლის 22 ივნისის №2/2/245** გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე კახაბერ ძაგანია საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“;
 - **2005 წლის 16 თებერვლის №1/2/213, 243** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - უტა ლიპარტია, გიორგი ხმელიძე, ელისო ჯანაშია და გოჩა ღაღუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
 - **2006 წლის 13 ივლისის №1/2/378** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

- **2006 წლის 15 დეკემბრის №1/3/393,397** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2007 წლის 9 თებერვლის №1/1/374,379** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და აკაკი მიქაძე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“;
- **2007 წლის 2 ივლისის №1/2/384** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“;
- **2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2008 წლის 31 მარტის №2/1-392** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2008 წლის 20 მაისის N1/3/452,453** საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2009 წლის 6 აპრილის №2/1/415** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის

ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” II-19; №2/1/631 გადაწყვეტილება;

- **2010 წლის 28 ივნისის №1/466** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493** გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502** გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩივანია და ჯაბა ჯიჰარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2011 წლის 11 ივლისის №3/2/416** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2012 წლის 11 აპრილის №1/1/468** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2012 წლის 26 ივნისის №3/1/512** გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

- **2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2013 წლის 11 აპრილის №1/1/539** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2013 წლის 11 ივნისის №1/3/534** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531** გადაწყვეტილება „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522,553** გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „ გრიშა ამორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“;
- **2014 წლის 19 თებერვლის №1/1/569** საოქმო ჩანაწერი საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ეშვარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ";
- **2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2014 წლის 23 მაისის №3/2/574** გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ";
- **2014 წლის 24 ივნისის №1/3/538** გადაწყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2014 წლის 12 სექტემბრის №2/3/540** გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი

და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

- **2014 წლის 8 ოქტომბრის №№2/4/532,533** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2014 წლის 24 დეკემბრის 3/2/577** გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“;
- **2015 წლის 4 მარტის №1/2/552** გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2015 წლის 28 მაისის №1/3/547** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2015 წლის 31 ივლისის N2/2/579** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“;

- **2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2016 წლის 13 აპრილის №3/1/633,634** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის “გ” ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის “გ” ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“;
- **2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი დია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2016 წლის 14 აპრილის №3/2/588** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დარი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2016 წლის 4 მაისის №2/1/631** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები- თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2016 წლის 20 ივლისის №3/3/763** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

- **2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2016 წლის 29 სექტემბრის №3/4/641** გადაწყვეტილება საქმეზე „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“.
- **2016 წლის 30 სექტემბრის №1/2/596** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2016 წლის 30 სექტემბრის №1/4/614,616** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“
- **2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681** გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2017 წლის 27 მარტის №1/4/757** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-20; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/2/867

გადაწყვეტილება საქმეზე „რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“;

- **2017 წლის 21 აპრილის №1/5/826** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2017 წლის 17 მაისის №3/3/600** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კანა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2017 წლის 21 ივლისის №2/2/656** გადაწყვეტილება საქმეზე „სს “სილქ როუდ ბანკი” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2017 წლის 13 ოქტომბრის №1/10/703** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2017 წლის 17 ოქტომბრის №3/5/626** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2017 წლის 16 ნოემბრის №2/5/658** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2017 წლის 1 დეკემბრის №2/6/746** გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679** გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2018 წლის 3 ივლისის №1/2/671** გადაწყვეტილება საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

- **2018 წლის 26 ივლისის №2/4/665,683** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“;
- **2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2018 წლის 7 დეკემბრის №2/10/1212** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2019 წლის 18 აპრილის №1/1/655** გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სკს“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2019 წლის 28 მაისის №2/2/867** გადაწყვეტილება საქმეზე „რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“;
- **2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275** გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“;
- **2020 წლის 25 სექტემბრის №3/3/1526** გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473** გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276** გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები:

- **1997 წლის 27 მაისის №2/49/1** განჩინება საქმეზე „ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს წარდგინება“;
- **1999 წლის 1 აპრილის №2/88/1** განჩინება საქმეზე „ქ. ჭიათურის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“;
- **1999 წლის 22 აპრილის №1/3/99** განჩინება საქმეზე „თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“;
- **1999 წლის 22 სექტემბრის №1/6/115** განჩინება საქმეზე „ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება“;
- **1999 წლის 30 ნოემბრის №1/8/116** განჩინება საქმეზე „ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება“;
- **2002 წლის 10 ივლისის №9/189** განჩინება საქმეზე „ქ. თბილისის კრწანისი - მთაწმინდის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“;
- **2004 წლის 26 იანვრის №13/270** განჩინება საქმეზე „ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს წარდგინება საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2006 წლის 27 ნოემბრის №2/17/399** განჩინება საქმეზე „ერმილე თორთლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2007 წლის 1 მარტის №1/1/413** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ირაკლი ყანდაშვილი და კომანდიტური საზოგადოება „ანდრონიკაშვილი, საქვენ-ალტენბურგი, ბარამიძე და პარტნიორები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2007 წლის 5 აპრილის №2/3/412** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

- **2007 წლის 9 ნოემბრის №1/7/436** განჩინება საქმეზე „შპს “კავკასუს ონლაინი” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“;
- **2007 წლის 4 დეკემბრის №2/6/418** განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2008 წლის 31 მარტის №2/1/431** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2008 წლის 4 აპრილის №1/2/440** განჩინება საქმეზე „ანატოლი კოზლოვსკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2008 წლის 17 ივნისის №2/2/438** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვახტანგ ცვიფურიშვილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“;
- **2008 წლის 18 ივნისის №2/3/441** განჩინება საქმეზე „საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2008 წლის 4 დეკემბრის №2/9/450** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე აკაკი მიქაძე ქალაქ თბილისის საკრებულოს წინააღმდეგ“;
- **2008 წლის 19 დეკემბრის 1/7/454** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2009 წლის 7 აპრილის №2/1/456** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ თირქია, სერგო თირქია, ხვიჩა გოგია და მამუკა შენგელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2009 წლის 10 ივნისის №1/2/458** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“;
- **2010 წლის 22 მარტის №2/1/481** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნინო ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2010 წლის 12 ივლისის №2/2/486** განჩინება საქმეზე „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

- **2011 წლის 29 დეკემბრის N2/4/507** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი თარგამაძე, გიორგი ლეკიშვილი, ინგა გრიგოლია და ჯაბა სამუშია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-3;
- **2012 წლის 13 ივლისის №2/2/508** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გევორქ ბაბაიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2012 წლის 13 ივლისის N2/3/514** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2012 წლის 24 ოქტომბრის №1/3/523** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გერონტი აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2012 წლის 14 დეკემბრის №1/5/525** განჩინება საქმეზე „მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2013 წლის 5 თებერვლის №1/1/549** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2015 წლის 3 აპრილის No2/4/621** განჩინება საქმეზე „მპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარე-გულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“; ასევე, 2017 წლის 21 აპრილის No1/7/727 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი სეხნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
- **2015 წლის 14 მაისის No1/3/606** განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2020 წლის 29 აპრილის No2/8/1496** განჩინება საქმეზე „თეკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“;
- **2020 წლის 30 აპრილის No1/4/1416** განჩინება საქმეზე „მპს „სვეტი დეველოპმენტი“, მპს „სვეტი ჯგუფი“, მპს „სვეტი“, მპს „სვეტი ნუცუბიძე“, გივი ჯიბლაძე, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართვე-ლოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

- **2021 წლის 12 თებერვლის №1/3/1555** განჩინება საქმეზე „გივი ლუაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერები:

- **2006 წლის 14 ნოემბრის №1/7/407** საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- **2015 წლის 28 და 29 მაისს, N 640** საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- **2014 წლის 19 თებერვლის N1/1/569** საოქმო ჩანაწერი საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ",
- **2016 წლის 25 თებერვლის საქმეზე 3/1/719** საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ
- **2015 წლის 15 ნოემბრის სარჩელის N №678** საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა
განსხვავებული აზრები:**

- საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ქეთევან ერემაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილებაზე, საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ზაზა თავაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის **2016 წლის 18 აპრილის №2/1/631** გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის - ლალი ფაფიაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის **10 ნოემბრის N3/6/642** გადაწყვეტილებაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

„აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი №40765/02, 2006 წლის 28 ნოემბრის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.

უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებები:

„მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ იხ., William Marbury v. James Madison, Secretary of State of the United States, 1 Cranch 137; 2 L. Ed. 60; 1803 U.S. LEXIS 352;

BVerfGE 1, 14;

BVerfGE 1, 66;

BVerfGE 1, 97;

BVerfGE 1, 184;

BVerfGE 1, 208;

BVerfGE 1, 322;

BVerfGE 1, 349;

BVerfGE 1, 351;

BVerfGE 1, 396;

BVerfGE 1, 418;

BVerfGE 2, 1;

BVerfGE 2, 124;

BVerfGE 2, 139;

BVerfGE 2, 143;

BVerfGE 2, 213;

BVerfGE 2, 266;

BVerfGE 2, 300;

BVerfGE 2, 307;

BVerfGE 2, 336;

BVerfGE 2, 347;

BVerfGE 2, 380;

BVerfGE 3, 41;

BVerfGE 3, 187;

BVerfGE 3, 383;

BVerfGE 4, 27;

BVerfGE 4, 219;
BVerfGE 4, 331;
BVerfGE 4, 370;
BVerfGE 5, 25;
BVerfGE 5, 85;
BVerfGE 6, 32;
BVerfGE 6, 300;
BVerfGE 7, 17;
BVerfGE 7, 171;
BVerfGE 8, 274;
BVerfGE 12, 36;
BVerfGE 12, 296;
BVerfGE 13, 318;
BVerfGE 15, 256;
BVerfGE 16, 246;
BVerfGE 17, 155;
BVerfGE 18, 85;
BVerfGE 18, 288;
BVerfGE 18, 315;
BVerfGE 19, 1;
BVerfGE 20, 56;
BVerfGE 20, 296;
BVerfGE 21, 362;
BVerfGE 22, 270;
BVerfGE 22, 277;
BVerfGE 24, 299;
BVerfGE 25, 1;
BVerfGE 29, 304;

BVerfGE 29, 402;
BVerfGE 30, 1;
BVerfGE 30, 292;
BVerfGE 31, 255;
BVerfGE 31, 314;
BVerfGE 33, 115;
BVerfGE 33, 199;
BVerfGE 33, 247;
BVerfGE 34, 9;
BVerfGE 34, 201;
BVerfGE 34, 205;
BVerfGE 36, 1;
BVerfGE 36, 44;
BVerfGE 36, 174;
BVerfGE 37, 328;
BVerfGE 37, 363;
BVerfGE 39, 1;
BVerfGE 39, 169;
BVerfGE 39, 302;
BVerfGE 40, 88;
BVerfGE 40, 296;
BVerfGE 42, 90;
BVerfGE 42, 263;
BVerfGE 42, 322;
BVerfGE 43, 130;
BVerfGG 45, 1;
BVerfGE 45, 63;
BVerfGE 46, 34;

BVerfGE 47, 46;
BVerfGE 47, 130;
BVerfGE 47, 146;
BVerfGE 47, 239;
BVerfGE 49, 89;
BVerfGE 49, 252;
BVerfGE 50, 290;
BVerfGE 51, 130;
BVerfGE 52, 131;
BVerfGE 54, 237;
BVerfGE 58, 163;
BVerfGE 58, 300;
BVerfGE 59, 231;
BVerfGE 60, 53;
BVerfGE 60, 123;
BVerfGE 60, 175;
BVerfGE 60, 319;
BVerfGE 61, 82;
BVerfGE 62, 1;
BVerfGE 65, 179;
BVerfGE 65, 265;
BVerfGE 66, 214;
BVerfGE 66, 265;
BVerfGE 67, 157;
BVerfGE 68, 1;
BVerfGE 68, 143;
BVerfGE 68, 193;
BVerfGE 68, 337;

- BVerfGE 68, 346;
- BVerfGE 69, 92;
- BVerfGE 70, 324;
- BVerfGE 71, 25;
- BVerfGE 72, 39;
- BVerfGE 72, 51;
- BVerfGE 72, 119;
- BVerfGE 73, 1;
- BVerfGE 74, 358;
- BVerfGE 75, 166;
- BVerfGE 76, 107;
- BVerfGE 77, 84;
- BVerfGE 77, 170;
- BVerfGE 78, 1;
- BVerfGE 78, 38;
- BVerfGE 78, 320;
- BVerfGE 79, 173;
- BVerfGE 79, 240;
- BVerfGE 79, 256;
- BVerfGE 79, 311;
- BVerfGE 80, 137;
- BVerfGE 81, 70;
- BVerfGE 81, 363;
- BVerfGE 82, 6;
- BVerfGE 82, 126;
- BVerfGE 83, 37;
- BVerfGE 83, 130;
- BVerfGE 84, 90;

BVerfGE 84, 212;
BVerfGE 84, 233;
BVerfGE 85, 1;
BVerfGE 85, 148;
BVerfGE 85, 264;
BVerfGE 86, 148;
BVerfGE 87, 152;
BVerfGE 88, 70;
BVerfGE 88, 87;
BVerfGE 88, 103;
BVerfGE 88, 203;
BVerfGE 89, 291;
BVerfGE 90, 1;
BVerfGE 90, 145
BVerfGE 90, 286;
BVerfGE 92, 1;
BVerfGE 92, 277;
BVerfGE 92, 365;
BVerfGE 93, 37;
BVerfGE 94, 12;
BVerfGE 94, 49;
BVerfGE 94, 315;
BVerfGE 95, 267;
BVerfGE 96, 10;
BVerfGE 96, 68;
BVerfGE 96, 205;
BVerfGE 96, 260;
BVerfGE 96, 315;

BVerfGE 96, 375;
BVerfGE 97, 157;
BVerfGE 97, 198;
BVerfGE 98, 218;
BVerfGE 98, 365;
BVerfGE 99, 1;
BVerfGE 99, 246;
BVerfGE 99, 300;
BVerfGE 100, 226;
BVerfGE 100, 266;
BVerfGE 100, 313;
BVerfGE 101, 1;
BVerfGE 101, 158;
BVerfGE 101, 239;
BVerfGE 102, 127;
BVerfGE 103, 111;
BVerfGE 103, 242;
BVerfGE 103, 293;
BVerfGE 104, 23;
BVerfGE 104, 74;
BVerfGE 104, 151;
BVerfGE 104, 337;
BVerfGE 105, 17;
BVerfGE 105, 48;
BVerfGE 105, 61;
BVerfGE 106, 62;
BVerfGE 107, 1;
BVerfGE 107, 299;

BVerfGE 107, 339;
BVerfGE 108, 52;
BVerfGE 108, 282;
BVerfGE 109, 64;
BVerfGE 110, 1;
BVerfGE 110, 33;
BVerfGE 111, 226;
BVerfGE 111, 307;
BVerfGE 111, 333;
BVerfGE 112, 1;
BVerfGE 112, 268;
BVerfGE 113, 63;
BVerfGE 113, 348;
BVerfGE 114, 121;
BVerfGE 114, 303;
BVerfGE 115, 97;
BVerfGE 115, 118;
BVerfGE 115, 394;
BVerfGE 116, 24;
BVerfGE 117, 71;
BVerfGE 118, 168;
BVerfGE 118, 277;
BVerfGE 119, 96;
BVerfGE 120, 274;
BVerfGE 122, 304;
BVerfGE 123, 267;
BVerfGE 121, 266.

ეროვნული და საერთაშორისო ნორმატიული აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო;
- საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“, 2017 წლის 13 ოქტომბერი;
- საქართველოს კონსტიტუცია, 1921 წლის 21 თებერვალი;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 1996 წლის 31 იანვარი;
- საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, 1997 წლის 31 ოქტომბერი;
- საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, 2009 წლის 22 ოქტომბერი;
- საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 2009 წლის 4 დეკემბერი;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 2011 წლის 27 დეკემბერი;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 2014 წლის 5 თებერვალი;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერი;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, 1997 წლის 16 ოქტომბერი;
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 2018 წლის 6 დეკემბერი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 2008 წლის 15 ივლისი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, 2019 წლის 4 აპრილი;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, 2020 წლის 14 თებერვალი;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი;
- ვენის კონვენცია სახელმწიკრულებო სამართლის შესახებ, ვენა, 1969 წლის 23 მაისი;
- ავსტრიის ფედერალური კონსტიტუციური კანონი, 1920 წლის 1 ოქტომბერი;
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი, 1949 წლის 23 მაისი;
- საბერძნეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1975 წლის 9 ივნისი;
- პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1976 წლის 2 აპრილი;
- ესპანეთის სამეფოს კონსტიტუცია, 1978 წლის 29 დეკემბერი;
- ბულგარეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1991 წლის 12 ივლისი;
- რუმინეთის კონსტიტუცია, 1991 წლის 21 ნოემბერი;
- სლოვენის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1991 წლის 23 დეკემბერი;
- სლოვაკეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1992 წლის 1 სექტემბერი;
- ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1992 წლის 16 დეკემბერი;
- მოლდოვის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1994 წლის 29 ივლისი;
- პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1997 წლის 2 აპრილი;
- ალბანეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1998 წლის 28 ნოემბერი;
- თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1982 წლის 18 ოქტომბერი;
- ლიეტუვის რესპუბლიკის კონსტიტუციის, 1992 წლის 25 ოქტომბერი;
- უკრაინის კონსტიტუცია, 1996 წლის 28 ივნისი;
- იაპონიის სახელმწიფოს კონსტიტუცია, 1946 წლის 3 ნოემბერი;
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონი „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 1951 წლის 12 მარტი.

საინფორმაცია მასალა:

ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2019 წ.

Degenhart, Christoph: Verfassungsreform Georgien Rechtsgutachtliche Stellungnahme zum Entwurf der Verfassungskommission – Stand 24.03.2017. 43-45. პროფ. დოქტორი კრისტოფ დეგენჰარტი, კონსტიტუციის რეფორმა საქართველოში, სამართლებრივი ანალიზი საკონსტიტუციო კომისიის მიერ 24.03.2017 წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

AMICUS CURIAE BRIEF FOR THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA ON THE EFFECTS OF CONSTITUTIONAL COURT DECISIONS ON FINAL JUDGMENTS IN CIVIL AND ADMINISTRATIVE CASES, CDL-AD(2018)012, § 29. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2018\)012-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2018)012-e)

კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, ევროპის საბჭო, 2021.

ავტორთა შესახებ:**ბესიკ ლოლაძე**

განათლება: წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მინიჭებული აქვს პოტსდამის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორის (Dr. Juris) ხარისხი.

აკადემიური/სამეცნიერო გამოცდილება: აქვს სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის შემდეგ სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებში: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, პოტსდამის უნივერსიტეტის მუნიციპალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, მაქს-პლანკის ინსტიტუტი საზღვარგარეთის საჯარო სამართლისა და საერთაშორისო სამართლისათვის.

სამუშაო გამოცდილება: საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და სხვა თანამდებობები.

ზურა მაჭარაძე

განათლება: 2006 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2007/2008 წლებში სწავლობდა ბოლონიის უნივერსიტეტში (Master on Business Jurists). 2018 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

აკადემიური /სამეცნიერო გამოცდილება: აქვს მრავალწლიანი სწავლებისა და კვლევის გამოცდილება საქართველოში - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წმ. ანდრეას ქართული უნივერსიტეტი.

სამუშაო გამოცდილება: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საპარლამენტო მდივნის მოადგილე. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, კვლევებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი, ქ. ბოლონიის საადვოკატო ფონდი, საადვოკატო ბიურო (იტალია) და სხვა.

ანა ფირცხალაშვილი

განათლება: წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მინიჭებული აქვს ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის (LL.M. of Law) და პოტსდამის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის დოქტორის (Dr. Juris) ხარისხი.

აკადემიური /სამეცნიერო გამოცდილება: აქვს მრავალწლიანი სწავლებისა და კვლევის გამოცდილება საქართველოში: საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში სეუ, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ასევე უცხოეთში: პოტსდამის უნივერსიტეტი (გერმანია), ვურცბურგის უნივერსიტეტი (გერმანია), სანტ. გალენის აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტი (შვეიცარია), ამასთანავე არის განათლების კვლევის და მართვის ინსტიტუტის (გერმანია) ინოვაციების საბჭოს წევრი, არის ქართული და გერმანული ფონდების მრავალგზის სტეპენდიატი.

სამუშაო გამოცდილება:

ბერლინის ადვოკატთა ასოციაცია, გერმანიის პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული დახმარების კომიტეტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. რამდენიმე ქართული და უცხოური სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საქმიანობა, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო კომისიების/საბჭოების წევრი, საქსპერტო საქმიანობა სხვადასხვა დროს: GIZ, FES Georgia, USAID, UNICEF, World Vision, UNDP და სხვა.



9 789941 836466

